

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
გალაკტიონის კვლევის ცენტრი

კვანძიონოგოკი

||



თბილისი
2003

სარედაქციო კოლეგია:

**გურამ ბენაშვილი, თეიმურაზ დოიაშვილი (რედაქტორი),
რევაზ თვარაძე, თენგიზ მირზაშვილი, იზა ორჯონიკიძე,
აკაკი ხინთიბიძე, ვახტანგ ჯაფახაძე**

ნინო დარბაისელი (პასუხისმგებელი მდივანი)

თამაზ შეშაბერიძე (მორიგე რედაქტორი)

მხატვარი თენგიზ მირზაშვილი

**კრებული გაფორმებულია
გალაკტიონ ტაბიძის ნახატებით**



ოლიამ, აკაკიმ და ვაჟამ ისე დაასრულეს საამსოფლო ცხოვრება, რომ უპასუხოდ დარჩა წყველ-კრულვიანი საკითხავი:

მამულო საყვარელო,
შენ როსლა აყვავდები?

მარად ამირანის თავისუფლებაზე მეოცნებე მოხუცი აკაკი ნაღვლიანი მღუღარებით ღაემშვილობა უძღურ, დამცრობილ სამშობლოს:

მეც მიედივარ, შენც მიდიხარ,
გეთხოვები, საქართველო! —
მეც ვსჭკნები და შენცა სჭკნები,
როგორც ზამთრის პირად მღელო...

ამაო გამოდგა ვაჟას ოცნებაც:

კიდევაც ვნახავ გაზაფხულს,
ყელ-მოღერებულს იასა,
სიკვილის სიცოცხლედ მქცეველს,
იმის სიტურფეს ღეთიანსა...

მერცხლის ჭიკჭიკმა გაზაფხული ვერ მოიყვანა.
არ იძროდა სიცოცხლის სიო.
გაზაფხულმა დაიგვიანა.

*

გალაკტიონ ტაბიძეს ზამთრის სუსხი და დამჭკნარი მღელოს სევდა დახვდა ქართულ პოეზიაში. „წავიღინენ ლანდები, მეორე, მესამე“, მაგრამ წინაპართა შემოქმედება მისთვის დაფერფლილ სულთა ნეკროპოლად არ ქცეულა. პირიქით — ერთგულად ცდილობდა „ფერფელში ცეცხლის შენარჩუნებას“. ამიტომაც, რომ მანამდე არსებნილ, ქალწულბერივ სტრიქონში — „როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი“ მანც გვესმის ტრადიციის მოცახცახე ხმა.

საერთოდაც, როგორც არ უნდა დაშორებოდა მშობლიურ წიაღს, მისთა განცდათა მღვრიე სიღრმეებიდან მუდამ გამოკრთის სასოებით გადარჩენილი ცეცხლის მოთინათინე შუქი.

*

ის, ცხადია, ქართულ პატრიოტულ ლირიკაზე აღიზარდა — ანდერძით გადაეცა მოთქმით ტირილი და ურვა ეროვნული ჩაგვრის, თავისუფლების დაკარგვის გამო. მაგრამ...

გალაკტიონთან ქართული სული მანამდე უცნობ, ტრაგიკულ ხვეულს შემოწერს — ეს არის სამშობლოში უსამშობლობის განცდა. აქ აღარაა „მერანის“ საკაცობრიო სულისკვეთება, არც „ყვარლის მთების“ პატრიოტული ეთოსი. სამშობლოსთან გამოთხოვება, სამშობლოდან გაქცევის თემა სრული გაუცხოებით მთავრდება. გალაკტიონის ლექსებიდან გვესაუბრება გატანჯული, უმიზნო, მარტოსული აგასფერი:

საით მიეყაყარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოვებ შევბას მიუსაფარი?
რას მომცემს ისეთს მე საქართველო
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?

იმ ქვეყანაში, სადაც „სამშობლო ხვესურისა“ დაიწერა, ალბათ, ადვილი არ იყო თქმა იმისა, რომ „ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი სამშობლო“, ან — „სამშობლოსთვის შენ უცხო ხარ და უცხოა იგი შენთვის“...

უიმედობაში გალაკტიონი უბოლოოდ შორს წაეიდა — აკაკისეული „ზამთრის პირი“ და „მჭკნარი მღვლო“ მის პოეზიაში მარადიულ ზამთრად, დათოვლილ მირაჟად გარდაისახა:

რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია...
რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო.

ეს უკონტაქტობა და სასოწარკვეთა ის ზღვარია, რომლის მიღმაც ცივი, მიუსაფარი მღუმარებაა ჩასაფრებული.

*

გალაკტიონის მარადიულ სამშობლოდ პოეზია იქცა — ოცნებისა და თავისუფლების საუფლო. პოეზია იყო მისი ერთადერთი თავშესაფარი! სინამდვილესთან „შერიგებას“ შემოქმედებით ამართლებდა: ენება-წამებას მშვენიერებად გარდაქმნიდა, თავის ქალას ხელოვნების ყვავილებით ამკობდა...

დიდი მოლოდინიც ჰქონდა კენწეროთა რბევაში ქარს შეიცნობდა, სხვისთვის უხილავ-ფარულს გრძნობდა — თავისუფლებას, რევოლუციას ელოდა!

„ფსალმუნით“ შთაგონებულმა, მიჯნურის სახეო აღმაფრენით გამოხატა ეს მოლოდინი:

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა...

1917 წლის გაზაფხულის პირად დაწერილ ამ სტრიქონებს არც კონკრეტული პოლიტიკური შინაარსი აქვს და, მით უფრო, არც ბოლშევიკური ორიენტაცია.

განახლებისა სჯეროდა: ახალი სამყარო განწმენდის ცეცხლში იბადებოდა — შავი ფერფლიდან ხასხასა მღელო უნდა ამოზრდილიყო.

*

რევოლუციამ სამშობლოს გათავისუფლების იმედი აჯიორძინა ჩრდილოეთის თოვლსა და ბურუსში შორეულმა ხმამ დარეკა — სამშობლო ეძახდა!

მოენატრა მთაწმინდის მოსხივცისკარე ვარსკვლავი, წინაპართა ელვარე თასი, წმინდა წყარო და სუნთქვა სიოსი...

სადღაც წინ, ოცნებაში, უკვე ხედავდა გაბრწყინებულ ივერიას, მომავალი რომ ეალუბლებოდა.

იწერება სამშობლოში დაბრუნების ლირიკული ოდისეა:

გემით „დალანდი“ მოედოდი სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა;
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა.

ყველაფერი ახსოვდა: მტკვარი, ლიახვი და ფაზისი, იტრიის ხეობა და მცხეთა, თამარი და ირაკლი, მთაწმინდა, სიონი, გელათი...

როდესაც სამშობლომ მიიღო და შეითვისა წამების ცეცხლგამოვლილი ძე-შეცდომილი, მან უჩვევი ფერებით უკვდავყო საქართველოს მთები:

გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? —
ეს ჩემი სამშობლო მთებია!

კუთვას ნისლიანმა მთებმა თითქოს მზე შემოიხვიეს, დალიან-ბარაქიანმა ქედებმა სხეული დათმეს და ფერად ქარებად დაიძრნენ სილაქვარდისაკენ.

*

1920 წელს დაიბეჭდა ლექსი „გვარდია“ — თავისუფალი საქართველოს გუშავთ მიუძღვნა. როგორ ამაყად უღერდა მაშინ: „საქართველო — უპირველეს ყოვლისა!“ გაივლის წლები და ყრუ მოგონებად დარჩება დამოუკიდებლობაც და ეს სტრიქონებიც:

დღეს ჰყვავის ბზა, ალუბლები, ატამი...
ისევ დღეა შენი მამასადამე -
შორი სული დოვინ-დოვენ-დოვლისა,
საქართველო — უპირველეს ყოვლისა!
საქართველო — უპირველეს ყოვლისა!

მოგვიანებით, შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში, ლექსს სათაური შეუცვალა, „პოეზია — უპირველეს ყოვლისა“ უწოდა.

აღარც გვარდია იყო და აღარც დამოუკიდებელი საქართველო! ისევ თოვლი და ბურუსი იქცა ქართულ ამინდად:

მე არ მინახავს თოვლი იმდარი.
ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ რუსები,
მაგრამ კვლავ გაჩნდა მათი მინდორი,
მათი თოვლები და ბურუსები.

ასე იყო: „საქართველოს“ „პოეზია“ ჩაუნაცვლა—

სიყალბე არ ჩაუდენია — საქართველო მან თავის პოეზიაში გადაარჩინა.

*

ის არ ყოფილა იმათგანი, ვინც წითელ რუსეთთან დამძობილების ლოზუნგი გადმოისროლა. „სხვა ისტორიის წინაშე მდგომი“ ცდილობდა, „უნდობარი ჟამი“ შეეცნო, ბედითი სინამდვილე განეჭვრიტა.

სიმხდალე არ გამოუჩენია. დააპატიმრეს კიდევ—

უშიშრად გაიხსენა და სხვებსაც გაახსენა ეროვნული სიმბოლო — ამირანი:

ეს მძაფრი კენესა მიწამლავეს დღეებს,

ის გული ისევ ჩემი გულია—

„დაკარგულია?“ — მივმართავ ტყეებს

და ტყე გუგუნებს: დაკარგულია—

ილიას ლელთ-ღუნიაც გამოიხმო:

დაკარგულია გზა მოხვევისი...

ბნელდება. დამე. მიეშველენით.

„მიეშველენით“ — ქართულ პოეზიაში არ მეგულება უფრო უსასაო ამოძახილი... თითქოს დასაღუპად განწირული ხომალდიდან გაგზავნეს ტუნწი შეტყობინება...

ამირანისთვის ისევ დაედოთ ბორკილი.
მოხვეის ნატერაც უკუნ ღამეში ჩაკარგულიყო.
„მიეშველენით“... ვინ ან სად იყო მშველელი?

*

მწარედ განიცდიდა იმ ძალადობას და რეპრესიებს, იმთავითვე რომ დაჰყვა ბოლშევიკთა მმართველობას იმედი მაინც არ დაუკარგა, თავს იჯერებდა, რომ მოსისხარი ღამე გათენდებოდა, რომ მღვრიე მდინარე წმინდად ჩადგებოდა კალაპოტში, რომ...

რომ... რომ... რომ...

ოცდაათიანი წლებიდან სრულად გაცხადდა რუსული იაკობინიზმის სისხლიანი ბუნება: მასების სახელით პიროვნებებს ანადგურებდნენ, სკვითური ინტერნაციონალიზმი პროლეტარული „პირდაპირობით“ აშთობდა ყოველსავე ქართულს, ეროვნულს...

განსხვავებულად მოაზროვნეებს სიკვდილის ან კაპიტულაციის გზა დაუტოვეს მხოლოდ. იდეალების მსახურება კი არა, სიცოცხლის შენარჩუნება შეიქნა საძნელო.

გალაკტიონის კონიუნქტურული ლექსები დროს უფრო ახასიათებს, ვიდრე მის პიროვნებას და პოზიციას — ეს სატანური ეპოქისადმი გაღებული ზარკია. პოეტის მეტისმეტი სიგულვანე კი ის იყო, რომ მან თავისი გენია გადაურჩინა ერსა და ქვეყანას, მოწამის თავგანწირვით ააგო პირამიდებზე მაღალი ტაძარი პოეზიისა.

*

გალაკტიონის ლირიკაში ღვთაებრივ-დემონიური ძალმოსილებით ჩანს ქართული სულის „ხან უფსკრულები, ხან მწვერვალები“.

მოგვის, ნათელმზილველის მზერა მსჭვალავს ისტორიას და თანამედროვეობას.

გამოგნებელია ინტიმი ქართულ კლასიკურ პოეზიასთან, ხალხურ ლექსთან, საერთოდ — მსოფლიო ქნართან, კოსმიურ ორკესტრთან!

და მაინც -

გალაკტიონის ჯადოსნობა მარტო ის როდია, რომ მისი ლექსებიდან სამშობლოს გრძობა უხილავად შემოდის ჩვენში, გვავესებს და შთაგვაგონებს...

ის ქართული ენის სიღრმეებიდან ისეთ მარგალიტებს ამოსტყორცნის, რომ ქართველად ყოფნის ნეტარებას გვაგრძობინებს, არასრულფასოვნებისგან გვათავისუფლებს, ღირსებას გვიბრუნებს!

*

ფიქრი ქართლის ბედზე არასდროს ტოვებდა გამარჯვებული სოციალიზმის
ხანაში ისეე გაიხსენა ლელთ-ლუნია. ადრე, დაკარგულია გზა მოხვევისიო,
წერდა. ახლა?

- მოხვევე, გახედე იმიერ-ამიერს,
ეყუდენის თავის თავს?
- ცხადია, ეყუდენის!

ვითომ მოტყუვდა? ან იქნებ შეიცვალა?

მოხვევის პასუხი სინამდვილესთან ისეთ კონტრასტს ქმნის, რომ რიდეს
ისხნის სტრიქონებში განაბული ორზმოვანი ირონია. აკი თავადაც ძალიან
აფასებდა აკაკის „ღუთაებრივ ირონიას“! მიმხვდომი უნდა მიმხვდარიყო, თორემ
სათავისოდ უქარაგმოდ ჩაიწერა:

რაა ისე გულდამწყვეტი,
მეტეხო და დიღმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე,
ეს არ არის საქართველო...

*

ილიამ, აკაკიმ და ეაყამ ისე დაასრულეს საამსოფლო ცხოვრება, რომ
უპასუხოდ დარჩა წყევლა-კრულვიანი საკითხავი.


გალაკტიონმა ისე მიატოვა საამსოფლო ცხოვრება, რომ თან გაიყოლა
ოცნება თავისუფალ საქართველოზე... მაინც რწმენით აღესრულა! „მჭკნარი
მდელოს“ აბიზინება ეიშედებოდა, იცოდა:

სამშობლოს მიაქვს მიწას მიწადი,
მაგრამ უკვდავი არის სამშობლო!

თითქოს შთამომავლობას მიმართავდა, საჩვენოდ, სადღეისოდ წერდა:

ახლა კი დროა, ქართველო, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა,
გრილი ნიავის
ქროლა შეიგრძნოს მჭკნარმა მდელომა!

ოღონდაც! მართლაც რომ დროა!





ახვივინ

გალაკტიონ ტაბიძე

მუსიკა

მსუბუქი ფრთებით ამოძრავდენ ჰანგთა ზვირთები,
თვითონ ღმერთებიც ხომ მსუბუქი ფრთებით არიან;
უსივრცობით და სივრცეებით მე ვიტვირთები,
ვით სასწაული, უსხეულო დაჰქრის არია.

სერაფიმების სამოსელი თოვლის ფერია,
თოვლის ფერია უსივრცობა და გაოცება -
მხოლოდ არ არის უხილავში ის მატერია,
რომლითაც მიწად ყველაფერი შეიმოსება.

ვხედავ, რომ მოსხლტა გარინდებულ თეატრს სვეტები
და მსმენელთა წინ ლაქვარდების გაფრინდა რიგი,
გაფითრებულნი გაილანდენ სილუეტები,
ისევ ვაგნერი, ბერლიოზი, მოცარტი, გრიგი.

ო, ზეციერო, ერთადერთო, მძლავრო მუსიკა,
ო, უსხეულო! ეფემერულ ღრუბლით ნაგები
შენი ქარია, მწვერვალი რომ გადაუზნიქა
ყველაფერს, რაც კი აზსნილია და გასაგები.



* * *


ქვეყნად კაცმა რაც არ უნდა იოხროს,
არ იქნება, არ დახედოს იმ ოქროს,
ყრმობის დღეთა რომ დასდევდა
მიმოხვრას,
მოიხედოს და არ ამოიოხროს.

* * *

მოგონების ნაზი მტვერი
ანთებული ლალის ჭიქით -
ნისლში გაქრა ყველაფერი,
ყველაფერი დარჩა იქით.

და იქ, სადაც ელვებს შვენის
ხავერდები გობელენის,
მთა და ბარი შევაჯერე -
დაყენება მსურდა ცხენის -

მაგრამ ველარ შევაჩერე.



ის, რაზედაც ჩუმად არიან

აქ მთავარია ის, რაზედაც ჩუმად არიან,
ის, და არა ის, რით ყურები მე გამიჭედეს.
რაც თვით არ სჯერათ, მე იმაში სურთ დამაჯერონ...
არა, მე მდგმური არ მსურს ვიყო ამ საგიჟეთის!

ჩვენ მხარე გვაქვსო უმაღლესი თავისუფლებით -
გაიძახიან, თან ომისკენ მიიჩქარიან:
სტყუიან, რაზეც აქ ხმამაღლა გაიძახიან
და სიმართლეა ის, რაზედაც ჩუმად არიან!


* * *



რა ბედნიერი ხალხი ვართ ყველა,
ჩვენში მზე არის - სხვაგან კი ბნელა.
იმ მზეს შევხვართ ყრმა და ხნიერი
და იმიჰოვინაც ვართ ბედნიერი.

* * *

გუგუნო ქართულ ბუხრის -
ოდეს უამია მწუხრის -
დღეთა მწარეთა ღელვას
პოეტი თავს არ უხრის.



1944-27-XII

სემინარიიდან



გასული მინდვრებში სემინარიიდან -
სოფლებში, მითხარი, რა ამბებს მიიტან?

მივიტან ზარის ხმებს სემინარიიდან,
ერთს ახალ, მეორეს ძველი არიიდან.

სალიერს ვარდიდან და იაიიდან
თან მიჰყავს მოცარტი სემინარიიდან.

პოეტის მკვლელობა

ცხოვრობდა ფშავში, როგორც ნადირი,
იყო ამაყი, როგორც პოეტი,
არვის უნახავს თვალანატირი,
მოსილი დაფნით და ალოეთი.



დარია ახვლედიანი

აგერ სასახლე, მერყევი ბურჯო-
ქაშუეთისას მოუვლის განედს
სპეტაკი სული და კლუბი ლურჯი,
სადაც აკაკი დასტოვებს მანეთს.

ხელს იქნევს, მიდის შინ ხარ, დარიკო?
ისმის: მობრძანდით. იღება კარი.

აქ სიწყნარეა, გარედ კი ქარი.

* * *

ამაოდ ელი
წერილზე პასუხს.
აწ არავისზე
არავინ არ სწუხს.
ყოველი ყოველს
უმზადებს მარწუხს.

ამაოდ ელი
წერილზე პასუხს.
დაცალიერდა
საერთოდ გული,
კაცი მგელია
ან მაიმუნი.

1958, 7 ივნისი, ქ. სოხუმი



* * *

ო, სიმღერაე! როგორ მინდა,
მტკვარო ფიქრებ-გასართველო,
გამარჯობა გადატანილ
ქარიშხალთა და ქართველო -
მთებო ცეცხლის ყინულისა
მინდა ცეცხლით აგართველო,
საქართველო, საქართველო,
საით მიდის საქართველო?

პუბლიკაცია მოამზადა
მარინე ყიფიანმა

ქ ა ლ ა ბ შ ი თ ი ე .

დღიურები

1929
22 მარტი

არაფერია!

დღესაც ავადა ვარ. მუშაობა არ შემიძლია. საერთოდ მდგომარეობა კატასტროფულია. არსაიდან ჯერჯერობით იმედი არა მაქვს, რომ საიდანმე გაჩნდება სულ ცოტა მაინც ფული, რომ პაპიროსი მაინც მექნეს, თუ სად-ილი არა. გადაუხდელია წყლისა და ბინის ქირა. სულ ადვილათ შეუძლიათ გადამასახლონ ბინიდან. როდემდის გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა?

სახელგამიდან პასუხი არ არის „ეპოქის“ გამოცემის შესახებ.

მთავარხელოვნებიდანაც პასუხი არაა XX წლის მუშაობის აღნიშვნის შესახებ.

„მნათობიდან“ პასუხი არაა იქ თანამშრომლობის შესახებ.

ერთად ერთი პასუხი, გამომცემლობა „შრომის“-განაა. იგი თანახმაა გამოსცეს ჩემი რჩეული ლექსები. მაგრამ... როგორ უნდა შესდგეს „რჩეული“ ლექსები. ავტორისათვის ყველა ლექსი რჩეულია. მე, რა თქმა უნდა, შევეცდები შევარჩიო, მაგრამ, იქნება კი ისე, როგორც საჭიროა?

იბეჭდება კუპიურებით

გარდა ამისა, წიგნი გამოვა ერთი ან ორი თვის შემდეგ მანამდე? მანამდე? რა უნდა ვქნა, როგორ ვიმუშაო მანამდე? ხომ შეიძლება ბინა დაკარგო მანამდე, ხომ შეიძლება შიმშილმა წამაქციოს მანამდე?

„აი ამბავი, გულო ჩემო, შენ რომ გაშფოთებს“.

ყოველ შემთხვევაში, დღეს დავიწყე „ეპოქის“ გადამუშავება. ვინ იცის, რა მოხდება?

ჩემი ცხოვრება ხომ ყოველთვის საესეა მოულოდნელობით: ხან უცარი სიმდიდრე, ხან აუტანელი სიღარიბე. საერთოდ კი მოუწყობლობა.

„აი ამბავი, გულო ჩემო, შენ რომ გაშფოთებს“.

მაგრამ...

აი ამბავი, რომელიც უსათუოდ გამარჯვებით დამთავრდეს უნდა, რადგან ეს „ყოფნა-არყოფნის“ საკითხია.

მართლაც, აი ამბავი! სად უნდა წავიდე, არ ვიცი!

არც ერთი მეგობარი, არც ერთი ოჯახი ტფილისში.

ასე ვფიქრობდი, როდესაც დავიხურე ქუდი და ოთახიდან გავედი. აჭ მახლობლად სამკითხველოა, რომელიც ცხრა საათზე იხურება ეხლა სამი საათია, მაშასადამე, მთელი ექვსი საათი მე შემიძლია გეავტარო სამკითხველოში.

მშვიდი, მე ვზივარ სამკითხველოში ექვსი საათის განმავლობაში. ვკითხვულობ გაზეთებს, ჟურნალებს, დამავიწყდა შიმშილი. დამავიწყდა, რომ ავადა ვარ. ავად! მერე როგორ ავად! და გახდა ცხრა საათი. დახურეს სამკითხველო. ძალაუნებურად უნდა გამოხვიდე.

და ხეტიალი.



თოვს

ხეტიალი — ავადმყოფისა და უფულო კაცის ღამით.

გავიარე პლენხანოვის პროსპექტი ვორონკოვის ზღამდე ვიგრძენი ცული ჩემი ავადმყოფობა. მაშ უნდა დავბრუნდე დავბრუნდი. ისევ მიხაილოვის პროსპექტი.

თოვს

— გამარჯობა, — დამიხსა ვილაცამ
— გაგიმარჯოს, — ვუთხარი და გავეჩერდი.

ვილაცა გადარეული — ლაუ სორტელია.

— ბატონო ვილაქტიონ, აქეთ რამ წამოგიყვანათ? — მეკითხება.

— ისე, შემთხვევით.

— წავიდე, ღვინო დავლიოთ. მაგრამ მე ფული არა მაქვს. აი, ჩემი მეგობრები. ერთად წავიდე.

მომიხდა დღეს ქეიფი მეკუბოვეებთან, დამმარხველებთან, ორგანიზატორებთან ამ საქმისა.

— მეკუბოვეები.

— დამმარხველები!

— მასხრები — სულ 8 კაცი!

აი, სანამდე მიგიყვანს შიმშილი! და ვბრუნდები ჩემს ოთახში..

23 მაისი
თბილისი

— დილით ვიყავი ხელოვნების მთავარ სამმართველოში. პასუხი ჯერ კიდევ არ არის.

— „ეპოქის“ შესახებაც იმგვარადვე

— „მნათობში“ ლექსი ჯერ არ აწყობილა.

— ფული არსაიდან არ არის..

რუსთაველის პროსპექტზე დადინ „პოეტები“ — как сыпно-тифозные призраки. ოცნებობენ ერთ ჭიქა ღვინოზე. აწყობენ მანეთის შოვნის გეგმებს. მაგრამ სრულიად უიმედონი არიან. უიმედობა! ო, უბედურთა თავშესაფარი დათას სარდაფი! ნუთუ მათთვის დღეს დაიხშება შენი კარები? ნუთუ ეს სიცივიტ და რევილიუციით გაყინული ხალხი არ გადავარდებიან დღეს შენს ღრიანცელში, ბოთლების

მტკრევასა და უმოწყალოდ უგემურ სიმღერებში? არიან ზომ ბედნიერები, რომელთაც ღღეს მოეპოვებათ ბინა, ღვინო და თბილი გრძობა? ო, არაჲ-ინ არ იცის, რაა სიღარიბე, რანაირად დამამცირებელი, პიროვნების ფეხქვეშ გამქეღველია იგი — ღღეს ამ პოეტებისათვის...

— შევედი სამკითხველოში გაზეთებისთვის. შემხვდა ბენო გორდუზიანი.

— კარგი იქნება, ვუთხარი, ერთი ქართული ყოველკვირეული გაზეთი. სპეციალურად სახელოვნო.

— დიდებული იქნება — მაგრამ ნებას არ მოგვეცემენ.

— რატომ?

— თანამედროვეობა მხოლოდ მუშაკორების გამოჩენას სცდილობს. რუსეთში ლეჟია, ისიც დახურეს და მოითხოვეს, რომ ლეფელბმა იმუშაო — კოლექტიურად, ხელისმოწერაც კი არ უნდა იყოსო.

— ეგ არასდროს არ მოხდება, რადგან შეუძლებელია.

— მე გეუბნები ფაქტს.

— მერე?

— საერთოდ უნდა გაჩერდე და დაუცადო. ისტორიულად გარდამავალი ხანაა. დიდი მსოფლიო ამბების მოხდენის ხანაა. დიდი ამბები უნდა მოხდეს. მოგებული ის დარჩება, ვინც გაჩუმებული იქნება. დაეცადოთ უნდა.

— ?! —

შემხვდა ნინა მაყაშვილი. მიაბმო სოფლის ამბები, აღტაცებულია იქაურობით.

შემდეგ შემხვდა ერთი რეგენი მასწავლებელი, რომელიც ჭირივით მეჯავრება (გვარი ვერ დავიმახსოვრე

კრასავით).

— როგორაა „ანზორი“?

— „ანზორი“?

— არაფერია, მალე ყველაფრის ლიკვიდაცია მოხდება. მთლიანი ლიკვიდაციაა!!

2-4 მაგი
53078

საუცხოვო მზიანი ღღეა. სჩანს გაზაფხულდა. მე კი ორი ღღეა არა მიჭამია რა. მაინც კარგია გაზაფხული რუსთაველის პროსპექტზე ახალგაზრდობა სწუხს უკასტიუმობაზე: გავიხდით ჰალტოს, ტანისამოსი კი არა გვაქვსო.

მოვედი სახლში, ჩავიკეტე კარები და ვწვეარ. მწოლიარე კაცი უკეთეს — დიტანს შიშშილს.

შვეუდექი „ჩრეული“ ლექსების დამზადებას, ვნახოთ, რა გამოვა.

ღამით საოცარი სიზმრები მესიზმრებოდა. ვინ გინდა არ იყო ამ სიზმრებში: ახლობლები და შორეულები: პირადად მე საკუთარი ხელით დაბლობიდან მაღლა მთაზე ავიტანე უზარმაზარი მატარებელი! ტროცკი, სტალინი, ყველანი იყვენ.

ასე კარგია სიზმრები.

ასე კარგია გალიუცინაციები...

სიზმარი უკეთესია, ვინემ სინამდვილე

ეხლანდელი სინამდვილე კი — განსაკუთრებით ჩემი — ღმერთმა შეინახოს. მსოფლიო შემოსილია მხოლოდ შვი, საშინელი სინამდვილით. საბრალო პოეტი. რა უნდა ჰქნას წინანდელმა პოეტმა?



1 მაისი 1929

მე ენა არ მემორჩილება ვთქვა ის, რისი თქმაც აუცილებელია. რანაირი დღე იყო დღეს? იყო იგი კლასის დღე? იყო იგი სიხარულის დღე? არა. მაშასადამე, კლასს არა სცალია სიხარულისთვის. კალონები მანიფესტანტების მიდიოდენ უხმოდ, დაღერე მილნი, წარბშეჭმუხვნილნი, საშინლად წარბებშეჭმუხვნილნი, თითქო მათი დღესასწაული არ იყო დღეს. ნამდვილად დღეს არავისი დღესასწაული არ იყო, იყო ოფიციალური დღესასწაული, იყო აუცილებლობა, ძალით გამოყვანილი ხალხი. მასსა, რომელმაც იცის საიდუმლო. მასსა...

25 IX 36

სახელგამში ვათვალიერებდი „ქართულ მწერალთა ანტოლოგიას“. იქ სამი ახალგაზრდა ჰკითხულობდენ გრიშაშვილის ლექსს:

— ო, ეს მამაძალი! რა ნიჭიერია, რომ ეხლაცა სწერდეს. — სთქვა ერთმა.

— გალაკტიონ ტაბიძე და მაგი, აი, ძმავო, — დაუმატა მეორემ — პირველები არიან.

— გალაკტიონ ტაბიძე მაგასთან სად მოვა, — შეაწყვეტინა მესამემ.

— გალაკტიონ ტაბიძე ეხლა რომ სწერს, ისე კი არ სწერდა, — სთქვა მეორემ.

მე არ შევეუმჩნევევართ, მაგრამ საგულისხმო საუბარი კი იყო. დავიმახსოვროთ!

მე მგონია, ეს გრიშაშვილის, შანშიაშვილის, ყანწელების და სხვების პოზიციის გამოძახილია.

ეხლანდელმა მათმა მდგომარეობამ ცოტათი აამაღლა ისინი, მაგრამ როდემდის?

ეხლა მე ვიცი, დაპყრობილი პოზიციების გამაგრება როგორ უნდა.

რათაც არ უნდა დაჯდეს, უნდა ავალაპარაკო ყველა ჩემს პოეტურ მიღწევებზე! რომელთაც მარხავენ.

სალამოთი ვილაპარაკე მწერალთა შეხვედრაზე ბევრი, ძალიან ბევრი, შეეხებე მრავალ საჭირბოროტო საკითხებს.

24 IX 40

ვიყავი გაფრინდაშვილთან. ავადაა. გულით ავადმყოფობს დიდი ხანია, მაგრამ უკანასკნელ ხანებში — ავადმყოფობამ უმატა. აბრალებს ბევრ მუშაობას და ლუდს, აგრეთვე პაპიროსის წევას: სამივე ამ ჭირისაგან ეხლა თავისუფალია, მაგრამ გვიანააო, ამბობს. მისი პატარა ქალიშვილი მაგიდასთან მეცადინეობს; მან გაიხედა ფანჯრისკენ და დაიძახა: „რა



ვალერიან გაფრინდაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი
ბაქო, 1929 წელი

მშვენიერი თოვლია“. მართლაც, საუცხოოდ ბარდნის თბილისის ქუჩებს დღეს თოვლი. „გალაკტიონს აქვს მშვენიერი ლექსები თოვლზე და ქარზე“, — უპასუხა მამამ. ბავშვმა იკითხა: ლენინზე? ლენინზედაც, სტალინზედაც! ვილაპარაკეთ ბევრი...

— ვინ იყო ის ქალი კომპოზიტორთა კავშირში? როდესაც გოკიელი ვიკითხე, მიპასუხა: კიევში გაემგზავრა, მაგრამ ვინ ჰკითხულობსო. გალაკტიონ ტაბიძე-მეთქი! — აა, — სთქვა მან, Наша гордость! — მართალია, გოკიელი არ არის, მაგრამ სხვები აქ არიან: — ჩხიკვაძე და სხვ. მე მალეობა გადავუხადე.

Гордость-то гордость, მაგრამ საქმე წინ უნდა წავიყვანოთ. რომ შეჰქმნა რაიმე დიადი, ერთი წამითაც არ უნდა გავიწყდებოდეს საქმე!

~~წ. ბაქრაძე~~

— ავტოდან რუსთაველზე დავინახე სანატე როგორაა საქმე-მეთქი, ნიშნებით ვკითხე მან მარჯვენა დიდი თითით მიჩვენა აი ასე ე.ი. შენი პორტრეტი კარგი გამოდისო. ოღეა იურიევნამა სთქვა: სულ ვერე ტრადახი იცისო, თავის თავს დიდ მხატვარს ტიცინს ადარებსო და სხვა. მაგრამ ეს ჩემთვის სულ ერთია: კარგია, თუ პორტრეტი ცოტათი მაინც კარგი დახატა!

— ტატიანამ შემდეგი ამბავი მიამბო: პატარა ნოდარი ქუჩაზე მიდიოდა თურმე და ერთი დიდი კაცი წამოიღო. იმ კაცს ეგონა, ბავში წავაქ-

ციეო. რომ მოხედა, ჰკითხა: რა გვარი ხარო. ტაბიძეო, — უპასუხნია ნოდარს. — გალაკტიონი ხომ არ გაგეონიაო, — გამოგონა კი არა, ბიძა ჩემიო — ამაყად უპასუხნია ნოდარს.

ახლა ამ ვილაცა კაცის პასუხი ნახეთ: — გალაკტიონს მეც ვიცნობდი, ჩემი დიდი მეგობარი არისო, რამდენჯერ ლენინო მასთან ერთად დაგვიღვეიაო და სხვ. საინტერესოა, ვინ ოხერი იყო.

10 აპრილი.

— ჟღენტი ბესარიონ: მაიაკოვსკის საღამოზე მონაწილეობა უნდა მიიღო. რადიანმა შეაჩერა: ბაჟანით, მთელი იმ ისტორიით. ჟღენტი — თანაბრობა შეიძლება, აქ გავლენა არ არისო.

1970
საქართველო

— ბაჟანის ამბავი ასეთი იყო: როდესაც ვეუხისტყაოსანს თარგმნიდა, კაცი მომიგზავნა (ეჭიმის, ზრამელაშვილის ვაჟი). დამიწერეო, რომ ბაჟანის მიერ ნათარგმნი უკრაინულად ვეუხისტყაოსანი ორიგინალს არ ჩამოუვარდება, შედეგია და სხვა. მე ვუპასუხე რომ არასდროს ასეთ სისულელეს არ ჩავიდენ.. 1. უკრაინული ენა არ ვიცი და როგორ უნდა ვთქვა რამე? 2. არ ვიცი, როგორი მთარგმნელია ბაჟანი და სხვა. საზოგადოდ გავოცდი, როგორ შეიძლება ასეთი წინადადებით

მიმართონ პოეტს. ალბად ეწყინა ეს ჰაჟანს, გულში დაიხვია და ეხლა გადამიხადა თორემ რასა ჰგავს, ბაჟანი ბედავს სთქვას ჩემს შესახებ ის, რაც არავის არ უთქვამს (თითქო ჩემზე მაიაკოვსკი ახდენდა გავლენას).

— საბლიტგამის წიგნზე უნდა გაკეთდეს ლირა (როგორც ბაირონის წიგნზეა). ეს უკეთესი იქნება! (საჭიროა კოლექცია ლირების!) ამიერიდან რა წიგნიც არ უნდა გამოვიდეს ჩემი — სულ ლირებით იქნება ყდები — ასე აჯობებს!

1940
16 აპრილი

— სიმონ ჩიქოვანს ყოველთვის ენა ემბება, როდესაც ჩემთან ჩემს შესახებვე უნდა რაიმეს თქმა, მაგრამ ამის წინაღობა გარკვეულადვე სთქვა: აკაკი წერეთლის დღეებში — აკაკის პოეზიაზე მოხსენებამ უნდა გააკეთო, შენ „საეციალისტი“ ხარ ლირიკაში. თუ არა შენ, სხვას არავის შეეფერებაო და სხვა.

1941
15 აპრილი

ფილარმონიაში შესდგა მაიაკოვსკის საღამო. საზოგადოება იკრიბებოდა ძალიან ნელა.

— ეს გალაკტიონია, — გამაცნეს თავაძე

— მე ვიცნობ, მხოლოდ თვითონ ვერა მცნობსო, ღიმილით ამბობს იღ. თავაძე

დარბაზია ნახევრად ცარიელი. სულიერი განწყობილება — საპანაშვილი. პატარა სურათი მაიაკოვსკის, დიდი სურათები ლენინის, სტალინის. ლექციით კითხულობს რაღაცას მაშაშვილი. მას არავინ ყურს არ უგდებს.


ბ. ჟენტი: პუშკინიდან, ლერმონტოვიდან მოდისო. ახვლედიანი (პროფესორი): არავინ წინაპარი არა ჰყავსო... უფერული საღამო. ვერავინ კარგად ვერ კითხულობდა...

არ უყვარს არც ეხლა საზოგადოებას მაიაკოვსკი! აი, რა არის უბედურება!

1941 6
1 მარტი

მუსიკის შესახებ. სწორედ ოცი წლის წინადა (1921 წ.) ჩემი ლექსის: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ სიტყვებზე ღიმიტრი არაყიშვილმა დასწერა სიმღერა გუნდისთვის მშენიერი სიმღერა გამოვიდა. იგი შესრულებულ იქნა გუნდის მიერ მწერალთა სასახლეში — ტრადიციულ „პოეზიის დღის“ საღამოზე. აგრეთვე ჩემს საიუბილეო საღამოზე რუსთაველის თეატრში — 15 წლის აღსანიშნავად. მე მხოლოდ არ მომწონდა ის გარემოება, რომ სიმღერაში მახვილი ეცემოდა ანბანის ი-ს (პოეზია უპირველეს ყოვლისა). მაგრამ ეს ადვილი გასასწორებელია — თუ ოთხმარცვლოვანი სიტყვის (პო-ე-ზი-ა), ერთი სიტყვის ნაცვლად იქნება ორი სიტყვა — ორ-ორ მარცვლოვანი მაგალითად, — „ჟღერ-

დეს ჩანგი“. ძლიერ კარგი იქნება თუ საზოგადოდ, მუსიკალური მახვილი შეთანაბრებული იქნება ქართული გამოთქმის მახვილიან. ქართულ ენაში — ორმარცვლოვან სიტყვაში (ჩა-ნგი) მახვილი ეცემა — პირველ მარცვალს, ოთხმარცვლოვან სიტყვაში კი (პო-ზია) მეორე მარცვალს — და ეს ქმნის დისსონანსს უკეთესია, რა თქმა უნდა, ჩანგი. საზოგადოდ, თუ არ ვცდები, ამ მუსიკალურ ნაწარმოებში არის სხვა სიტყვებიც, რომლებზედაც არეულია მახვილი, მაგალითად; სიტყვა „მეგობრებო“ — მუსიკალური მახვილი ეცემა მესამე მარცვალს — რე უნდა



ეცემოდეს — მე-გო საერთოდ ახლად უნდა დაიწეროს ლექსი — რომ შეთანაბროს მუსიკას.

ყ მახვილი

მივიღე რაკლი აბაშიძის ლექსების წიგნი ასეთი წარწერით: „საქართველოს სახალხო პოეტს, საყვარელ გალ-აკტიონს, ძვირფას და მარად და-უვიწყარ წიგნების შემოქმედს, უუბ-

ღნი ამ ჩემს პატარა ნაშრომს ღრმა პატივისცემით — რაკლი აბაშიძე 4.IV. ტფილისი“.

„Заря Востока“-ში მოთავსებულია ფოტო აკაკის საფლავზე. კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

ერევნის „სტალინელში“ არის წერილი „Сталинское племя“ — საქ კომკავშირის მდივნის ა. მირცხულავასი, არის ასეთი ადგილი: „Комсомол Грузии свои успехи имеет и на культурном фронте. Из рядов комсомола выросло немало замечательных мастеров культуры, среди них любимый поэт молодежи и всех трудящихся Грузии, дважды орденносец Алио Машавили“.

ჩვენი მწერალთა კავშირი რას იტყვის ამის შესახებ. რატომ არ დაფასა მან „ახალგაზრდობის საყვარელი პოეტი“, როდესაც ერთხმად გაამა-ვა ყრილობაზე? ან შეიძლება მწერალთა კავშირი არ ჩაითვალოს „საქართველოს ყველა მშრომელთა“ წევრად? კმ! საქართველოს ყველა მშრომელთა საყვარელი პოეტი! „პოეტი“, რომელსაც ხეირიანი ქართული ენით ერთი ლექსიც კი არა აქვს დაწერილი, რომელსაც მწერლები იცნობენ როგორც ინტრიგანს და ჭირივით ეზიზღებათ იგი. პოეტი, რომელიც ტიპური გამომსახველია ყოყორა ადამიანის, რომელიც თვითარკლამის მეტს არაფერს აკეთებს, რომელიც იპარავს სხვის განწყობილებებს ლექსებში, რომელიც თავის გარშემო იკრებს ხალხს მხოლოდ იმიტომ, რომ ვისმეს რაიმედ მოაჩვენოს თავი. რომელსაც უნდა

ყოველთვის სათავეებში იდგეს (მაგ. „მნათობში“) და გამოიყენოს თავისი მდგომარეობა პირადი განდიდებისათვის (გამოსცეს წიგნები თავისი, აწერინოს წერილები მის შესახებ). მან მაგალითად დაიბარა მწერალთა კავშირში კ. კაპანელი და ეუბნება: „უმაღლეს ორგანოთა დადგენილებით თქვენ უნდა დასწეროთ ჩემს შესახებ წერილი. იგი წერილი დაიბეჭდება წიგნად და გადათარგმნილი იქნება ყველა ენაზე, თქვენ კი მოგეცემათ გაძლიერებული ჰონორარი“. — „მე ვუთხარიო, — მიამბო კაპანელმა, — თუ ქართველ პოეტზე დაესწერ, დაესწერ ნამდვილ პოეტზე — და ისეთზე, რომელზედაც ღირს წერა“. როდესაც აქ ფაფევეი ჩამოვიდა და მოხსენება გააკეთა, მან მამაშვილზე სთქვა: „ЭДИНОЛИЧНОЕ УПРАВЛЕНИЕ“. „ნიანგშიაც“ კი არ დაინდეს მისი ყოყორება, უკანასკნელ ყრილობაზეც ირაკლი აბაშიძემ ცუდი შეფასება მისცა მის ზოგ ლექსებს (რატომლაც ამ სახით არ დაიბეჭდა იგი გაზეთებში). და ამნაირი კაცი გამოჰყავთ „ყველა მშრომელების საყვარელ პოეტად“. მოდი და ნუ გაგეცინება. გათიშვა საზოგადოებრივ აზრსა და ზოგიერთ კლემონის აზრს შორის ამაზე შორს ვერ წავა. მამაშვილი არის ტიპიური ცინიკი! ერთხელ ერთ კომკავშირიელს მან დააწერინა რუსულ გაზეთში: „Я был счастлив, я был в стране Руставели и Машашвили“. მის მიერ შედგენილ „ქართულ ანტოლოგიის“ (რუსულ ენაზე) გამო რამდენი თავის მტყრევა სჭირდება ეხლა ცეკას, რომ როგორმე საქმე გამოაკეთოს. (ტყუილია,

თითქო მასზე მხოლოდ გოლცევი მუშაობდა). ყოველივე ეს დღესათვის ნათელია, მაგრამ ვილას სურს დააბნელოს, ქვეყანა ჩალით დახურული ჰგონია. მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიძალბა. სიმართლე თავის გზას არ დაჰკარგავს. იმის მაგიერ, რომ სთქვან: „В стране Руставели и Сталина“, ამბობენ: „В стране Руставели и Машашвили“.

19. პარტი.


ეს არის ოლგა იურეენამ ტელეფონით დაუძახა რევაზიშვილს და შეატყობინა: 1) რომ იგი ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაშია — და ეტებს საბუშაოს (ის დაპირდა); 2) რომ იგი მალე ცალკე იცხოვრებს; 3) რომ მალე ჩამოვა ლანე და იგი მასთან იცხოვრებს; 4) რომ ლანე ბაცილარულია და მასთან იცხოვრებს. ერთის სიტყვით, აგრძობინა, რომ ცალკე იცხოვრებს, რომ ჩემთან მიდის (მეუ ჩამცივებო, რომ ჩემთან მიდის და მთხოვს ფულს). ორი წლის განმავლობაში, რაც ჰონორარი მივიღე სულ მაგათზე დიხარჯა, მოლანად რამდენიმე ათი ათასი მანეთი, და ეხლა, კრიზისის მოახლოება რომ იგრძნო, გარბის ტერორის ქვეშ მაყენებს მაშინებს, რომ რასაც ჰონორარს ვიღებ, სულ მაგას ეკუთვნის. მაშინებს, რომ გაიქცევა. ცხადია, ეს არაა მისი პატიოსანი გზა. საბრალო ქალი. მე თავდადებით ვუშაბურები, ეხლაც მზად ვარ დავეხმარო. მაგრამ არ გრძნობს არაფერს, იმდენად უსინდისოა თან ორაზროვნად მეუბნება, რომ ცალკე იცხოვრებს. მიაქვს პლასტინკები.

მატერიალურად სრულიად გაძარცული ვარ. „სბერკასაში“ რაღაც 400 მანეთი გდია. 300 მანეთი პენსია. ჯიბეზეც 300 მანეთამდე, აი სულ — ჩემი აულადილება. ამ თანხით პირდაპირ უგონობაა რაიმე საქმის წამოწყება, თუნდაც საღამოს მოწყობა ლანეს. 3000 მანეთი უნდა. აქ ფლგა იურევენა მჭამს თან ზაფხულიც მოახლოვებულია. მერეება რაღაც ორიოდე გროში კიდევ „სამშობლო“-დან და „მნათობი“-დან. შეიძლება „ოკტომბრელი“-დანაც. ჩემი ურემი მთლად გადაბრუნებულია, მაგრამ გზაც რომ არა სჩანს? მთლად რაც არ უნდა აკოწიწო, 2000 მანეთი არ გამოდის. ესლა თავის რჩენა არ გინდა ბინის ქრა გადაუხდელია აგრეთვე ელექტრონის.

ფიქრობ წიგნზე „Ars Poétique“ — ამ წიგნში მინდა შევიტანო ყველა ლექსები, რაც კი დაძინებია პოეზიის ხელოვნების შესახებ. წამყვან ძარღვად მინდა გადავაქციო პირველი წიგნის პირველი სტრიქონები: „ვის უნახავს შავი წიგნი, წიგნი წითელ ასოებით, დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით?“

შემდეგ მიყვება ლექსები 1914 წლის წიგნიდან: 1. ბრძოლაში ვეძებ თავდავიწყებას. 2. პოეზია. 3. მუსიკა არის და სილამაზე. 4. იმ შორ გაზაფხულს. 5. პარალელი. 6. მთაწმინდის მთვარე. 7. და გავალ ქარში, როგორც მოცარტი. 8. ტ. გოტიეს. 9. დროშები ჩქარა. 10. წიგნიდან „პაციფიზმი“. 11. 1927 წ. წიგნიდან. 12. წიგნიდან „ეპოქა“. 12ა. წიგნიდან „რევ. საქართველო“. 14. წიგნიდან I.II.III. ტომი. 15. წიგნიდან „აკაკი წერეთელი“. 16. წიგნიდან

„კავკასიონის ქარი“. კარგი იქნება, თუ დაიბეჭდება წიგნების ყლები. — ექნება ჩემი მოკლე წინასიტყვაობა იდეა: არა ხელოვნება ხელოვნებისათვის, არამედ — ხელოვნება ხალხისათვის. მაგრამ ხელოვნება ნამდვილი, განცდილი, „დაწერილი სისხლის წვეთით“ — აი, მთავარი იდეა. — „პოეტი არის მებრძოლი, ახალი ქვეყნის მჭედელი, წინა დგას ცხარე ბრძოლაში, როგორც ქვითკირის კედელი“..



ეს ქალი უკანასკნელი ორი კვირაა, რაღაც მხეცს დაემსგავსა მან განაცხადა, რომ გადარჩენის მიზნით არ მომშორდება ერთი წამითაც კი და მართლაც არ შშორდება. და ეს მაშინ, როცა უამრავი საქმეები მაქვს, ბევრ ადგილას უნდა ვიყო: მისი მიზანი სხვაა (ეს მე ძალიან კარგად ვიცი). დღესაც: გამომიყვანა მოთმინებიდან! (ცდილობს გამომიყვანოს მოთმინებიდან, ვინაიდან უკვე ჩემში ძალას არ ხედავს). მთელი კვირაა, გავალ თუ არა სახლიდან, — ისიც თან მომდევს. აუტანელია! თან მეჩხუბება. მეოიება. რაზე? თითონაც არ იცის! ესლა გამოვა და დაიწყებს დაახლოებით ერთ საუბარს. — მე მი-

ვლივარ (ატირდება), არ მაფასებთ (ატირდება), მოძეკით ეხლავე ფული (კიდევ ატირდება), არ მაფასებთ (ატირდება), მე თქვენთვის ბევრი რამ გავაკეთე მაგრამ ყველაზე საზიზღრობა რაცაა, ეს მისი ჩემს მტრებთან კავშირია, აშკარა, ჩემთან გულახდილი. იგი პროვოკაციებს მიწყობს, იგი მათ ეუბნება, თითქო მე ღვინოსა ვსომდე (სულით და გულით უნდათ, რომ მე ღვინის სმა დავიწყო). უნდათ უთხრან ხალხს, რომ ღვინის სმა დავიწყე? უნდათ ქვეყანას დღესვე აცნობონ ეს ამბავი? უნდათ! უნდათ! და აი, ებებენ შხოლოდ მიზეზს, და სად ნახავენ უკეთეს მიზეზს, როდესაც საკუთარ სახლიდან უუბნებან (ო.ი.) — მე გარანტიას არ ვიძლევი, რომ შემდეგ იგი ღვინოს არ დალევს! — მაშინ — უპასუხებენ — გახსოვს ჩვენი საგურამოში საუბარიო? როგორც კი გალაკტიონი ღვინის სმას დაიწყებს — იმ წამშივე ცეკა მას საექიმოდ გაგზავნისო? ასეთი ამბავი ერთი. მეორე ის, რომ არ მასვენებს... მე კიდევ დამრჩენია ერთი გზა!!!! და არა მარტო ერთი გზა!!!!

მე მეტი აღარ შემიძლია. უკან ასკნელ ჩემს ძალ-ღონეს (ვერძნობ, რომ ყველაფერი მან ამოსწოვა...) მას ვერ შევსწირავ. მე მისთვის საწველი ფური ვარ... ეს ფიქრი არ მაძლევს მოსვენებას.

მაგრად წავიჩხუბეთ...

15 მარტი.

„სალიტერატურო გაზეთში“ მოთავსებულია აბაშელზე ისეთი წერილი,

როგორც ეკუთვნის არც გინება, არც ქება უწოდებენ ცივ პოეტს „აზრი“-ს პოეტს. მაგრამ ეს სულელი რადიანი — რას მახსენებს გრომშვილის გვერდით, ვერ გამოვიგია. მას უნდა წავაჩხუბოხ...

23 მარტი.

იაკობ ნიკოლაძემ მითხრა — რომ იგი ჩემს ბიუსტს აკეთებს მარმარილოსაგან. „მე თვითონ ვიწყებო“, მართალია არ მაფასებთო. 25 თებერვალს რომ გემახობდი, რატომ ოპერის თეატრში ჩემს გვერდით არ დაჯექიო ჩემს გვერდით სერგეი მიხალკოვი იჯდა და შენზე ამბობდა: „რა შესანიშნავი ადამიანია და როგორი ღიღი პოეტი, ამასთანავე როგორი ჭკვიანიო!“

26 მარტი.

ტატანა და აბესალომი ჩვენთან არიან. დილით აბესალომი მეუბნება მოუწყობლობის შესახებ, რომ არ იქნა და ვერ მოეწყო ვერსად: არის ერთ ოთახში ცოლით, შვილებით როცა ვაგონებ, რომ 38 წ. მას შეეძლო მოწყობილიყო თბილისში, მისთვის ადგილი ნამოვნი იყო და სხვა — იგი ყველაფერს მე მადრალეხს მე ვხედავდი, რომ შენ ილუკებოდი და ამის გულგრილად ცქერა მე არ შემეძლოო. „ჭკუა სადა გქონდა-მეთქი“ — ჭკუა აქ არაფერ შუაშიაო, აქ მთელი რიგი ფსიქოლოგიური მომენტებისა სჭრიდა საკითხსო. ერთი სიტყვით, იგი ხედავდა, რომ ვილუკებოდი და ხელის გა-

მოწოდებას გაცლა არჩია: ღვე რაც მოუვა, მოუვიდესო. როდესაც დაინახა, რომ არ დავიღუპე და რაღაცა — გზების მსგავსი — კიდევ აღმოჩნდა, ისევ ჩემსკენ გამოემურა — და მეუბნება: აბა, ეხლა მე უნდა მომეშველოო. სახლი გაპყიდა და თანხები უყაირათოდ გაანიავა, იმის მაგიერ რომ მაგიერი სახლი შეეძინა. ეხლა რა? რა ფულით უნდა გამოაკეთოს საჭე? და კიდევ იხორებს „ჭკუა აქ არაფერ შუაშიაო“. თან სოფელსაც არ უნდა მოშორდეს და მე მეუბნება ვიშუამდგომლო მთავრობასთან, რათა საეზოო ადგილი, ჩენი ძველი ეზო დაგვიტოვონ. ტატიანა ამბობს: ცოტა ხნით მოგვკენ, იმ დიდ ცაცხვს მოვჭრი, 500 მანეთი ღირს და მერე თუ უნდათ... და სხვა. ის დიდი ცაცხვი! ის დიდი ცაცხვი უნდა მოსჭრამ ის ღელაჩემის მიერ დარგული ცაცხვი! ამას წინადასაუადმყოფოში ვეკითხები პატარა ვასიკოს:

— არის თუ არა ისევ ღელაჩემის საფლავეზე დარგული თუთის ხე?

— ის დარგული არ ყოფილა, თავისით ამოვიდა.


— მერე?

— ძალიან დიდი გაიზარდა. სულ გარშემო ჩრდილი ჰქონდა. ვერ იზრდებოდა სწორად. მოვჭკვრით.

სჭრიდა აბესალომი ხეებს. ამაში იყო დიდი ბრძოლა ჩემსა და მის შორის. ნუ სჭრი მეთქი ამ უზარმაზარ ხეებს, ძველ ხეებს. „სულ ერთია, — სხვა მოჭრისო!“ ღელაჩემთან სულ ამაზე ჰქონდა აბესალომს ომი. აიღებდა ნაჯახს და მიდიოდა ხის მოსაჭრელად, დაედევნებოდა ღელაჩემი, ნუ სჭრიო. გაცოფებული აბესალომი ნაჯახს

ულერებდა, მაგრამ ღელაჩემს არ ეშინოდა. ბოლოს იმარჯვებდა ღელაჩემი. მაგრამ აბესალომი ჩუმჩუმად მაინც სჭრიდა ხეებს: რაღაც ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი ხეების ჭრა, რაღაც უდიდეს სიამოვნებას გრძნობდა ჩვენთვის უსიამოვნების მოყენებით.

სანამ ღელა ცოცხალი იყო, ვერაფერს ხდებოდა, გარდაიცვალა თუ არა ღელაჩემი, აბესალომი პირველადვე იმ ხეებს მივარდა და სულ აკაფა: მუხა, წაბლი, თუთის ხეები, კაკლის ხეები, ვაშლები, ატმები, ბა-კოპიტა, რცხილა,



ასე წარმოიდგინეთ — თხილის და ტირიფის ხეებიც კი — რაში იყენებდა? სწვავედა. მხოლოდ ეხლა ერთადერთი ცაცხვი-დარჩა და ეზო გადატრიალბულა. რად უნდა ეს ცარიელი ეზო, არ ვიცი. სახლი მიაყიდა. მერე მისწვდა ჩემს პატარა ქობს და მიატრიალა — ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. თითქო ამით ბევრი რამ შეიცვალა: წინანდელი, ბავშვობისას რომ მახსოვს, ის სახე კი შეუცვალა სახლს. ღელაჩემი ტყვილა არ ეძახოდა მას „ლელენტერა“-ს. რა საჭმეც არ უნდა წამოეწყო ბოლოს ვერ მოაძაბდა სახლის დაგვა რომ დაეწყო, ცოცხს შუა სახლში მიატოვებდა: ნახევარ სახლს დაგვიდა. ხის მოსაჭრელად რომ წავიდოდა, ხეს

ნახევრამდე მოსჭირდა და ისე მიატო-
ვებდა. ყველაფერს უკუღმა აკეთებდა
და ტიციანიც მას „დეზესენტს“ უწო-
ლებდა გიუისმანისს გმირს. ასეცაა:
არაფერი ამ კაცის ცხოვრებაში დამთა-
ვრებული არ არის, არაფერს დასრუ-
ლებული სახე არა აქვს. ყველაფერი
თითქო დაწყებულია და მერე მიტო-
ვებული. და აი, სიბერეც შორს არაა,
მოუწყობელი სიბერე. ვისი იმედი აქვს?
ჩემი? პატროსანი კაცია, წყნარი კაცია,
მაგრამ მთლად უუნარო. აი, შეხედეთ
ლეონიძეს, მასზე ლექსიც გამოუთქე-
ამთ:

ათასად გეარი დაფასდა,
ათი ათასად რომანი -
ნახევრად ლეონიძისა
გაძრომა-გამოძრომანი!

ან ქიაჩელზე:

— რა პრემიის ღირსი იყო იგი?
ვინ წაიკითხავს მის რომანს? მხოლოდ
იმით გაიმარჯვა, რომ მეგრულია; პაჭკ-
ორია, შალვა დადიანი, ქიაჩელი.

ეხლა მწერალთა სასახლეში ვიყა-
ვი ირაკლისთან: სელენსკიმ გადაძრაო.
როდესაც პასტერნაკს არაფერს
უბეჭდევდენ, მან ასეთი ბერხი იხმარა.
დაიწყო ქართველი პოეტების თარ-
გმნა — და სულ თავისი საუკეთესო
ლექსები, რისი დაბეჭდვაც ვერ მოახე-
რხა, შეიტანა ქართველი პოეტების
თარგმანში და გამოვიდა დიდებული.
ქართველ პოეტებს ეს ძალიან გაუ-
ხარდათ და თავს იწონებდენ. შეხედეთ
როგორი პოეტები ვართო. პასტერნაკი
კი ჩუმ-ჩუმად იცინოდა: ამ ხერხით მან
დაამტკიცა თავისი ოსტატობა, მაგრ-

ამ თარგმანი საზოგადოთ კარგი გამოდ-
ის, თუ ორიგინალთან — ორიგინალი
შორსაა თარგმანისაგანო. ასეთი ამბავი
სთქვა ილია სელენსკიმ.

27 მაისი.

„Красная Новь“-ში მიხ. ზენკე-
ვიჩი — ჩემი „მთაწმინდის მთვარის“
შესახებ სწერს: „В некоторых сти-
хах этого периода предчувствие
грядущих потрясении, близкой
грозы: „Мтацминдская луна“, о
которой поэт раньше писал, что
она „Плавучая льдина“, что так-
ая тихая луна еще не рожда-
лась, вызывает в нем дрожь гряд-
дущих потрясении:

„И свет, что так хорош,
К вам льется на колени,
В том лунном свете дрожь
Грядущих потрясении“.

(Пер. Н. Тихонова)

Это чувство все растет по
мере развертывания революци-
онных событияи...”

მაგრამ აქ საინტერესოა: თვით
„მთაწმინდის მთვარეში“ არ იგრძნობა
ეს მომავალი? „რომ ამ გზაზე ზღაპ-
არია მგოსნანთ სითამამე“ — მაგრამ არა-
ეს ხომ იქიდანაა. „სიკვდილის გზა
არ-რა არის ვარდისფერ გზის გა-
რდა“. შეხედეთ, როგორი შეუსა-
ბამობაა: „ცისფერი ლანდები“. აქ აკ-
აკი წერეთელი უფრო სხვაა. მეტეხიც
სხვაა, მტკვარიც სხვაა. მაგრამ ისინი
ერთდებიან. აზრი „მთაწმინდის მთვა-

არჩვიცდან

რისა“ არის აზრი — პოეზიის არსებობის, მისი სიღაღის, აზრი „მემკვიდრეობისა“. აზრი — უშიშროებისა სიკვდილის წინაშე. აქ გადახლართულია დიდი, საკაცობრიო აზრი არსებობის კულტურასთან (ამ შემთხვევაში პოეზიასთან) — ძველთან და ახალთან: (მეტეხი, მტკვარი), ეროვნულთან (მეტეხი, მტკვარი), რომანტიზმთან (მთეარე, ცისფერი, ლანდები, სიჩუმე, სინაზე, ზამბახები), პოეტურ ეულოთან, შესამოსელოთან (მსუბუქი ქნარი). „მსუბუქი ქნარის“ პრობლემა დასმულია. „მდუმარებით შემოსილი შუღამების ქნარი, ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს“. (ყდა ჩემი პირველი წიგნის. ნიცშეს წერილები „ვაგნერიანობის საკითხზე“

— სადაც ირჩევა კარმენის აეტორის — ბიზეს სიმსუბუქე). ქნარისა და ჩანგის პრობლემა. როგორ გადაღის „ქნარი“ ჩანგში?

2 აქტიონი

წიგნების შესახებ ჯერ კიდევ პასუხი არ არის არსაიდან. დღეს განვაგრძობდი პოემის „საუბარი ვარდების შესახებ“ წერას. ჯერჯერობით შესანიშნავად გამოდის. საინტერესოა სოლ. ყუბანეიშვილის წიგნი „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატთან“. ამგვართვე სურს მას დაამუშავოს წიგნი ჩემს შესახებ და ეს ძალიან კარგი იქნება...

პუბლიკაცია მოამზადა
თეა თვალავაძემ



სხოვსება, ჰოვოსე ფიქსი

ემზარ კვიტაიშვილი

დედაშვილობის მაღლი

გალაკტიონ ტაბიძის ფასდაუდებელი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლასა და სათანადოდ წარმოჩენას წლები შესწირა პოეტის ძმისწულმა ნოდარ ტაბიძემ. მის მრავალმხროვ საყურადღებო მონოგრაფიაში ვიხუალური სიცხადითაა დახატული გალაკტიონის პოეზიის მასაზრდოებელი მშობლიური ჯვევის გარემო - რიონისპირა პეიზაჟები, ხეხილით გადაბურული ეზოები, ორაპირის ჭანჭრობები, ოზშიარაუარდნილი, „სილანარევი ნიადაგი“, „მეფის ჭალის“ განუმეორებელი მომხიბლაობა...

უთუოდ სარწმუნოა მკვლევარის თვალსაზრისი, რომ გალაკტიონის ერთერთი უძლიერესი, შემოდგომური მელანქოლიითა და შემაკრთობელი ხილვებით მოპირთაებული ლექსი „მოდის ჭალების სული მცურავი“ დედის მიერ „ფიქრიდან განუმორებული შვილისადმი“ გაგზავნილი ბარათებით არის შთაგონებული. აქ თითქოს ჯერ ტბორდება და მერე იძვრის, ჯიქურ მოიწვევს დამანგრეველი სტიქია, რომ ოდა-სახლებს შემოადგეს, სოფელს თავს უბედურება დაატეხოს. თვალის შესწრება გიჭირს, ისეთი სისწრაფით მოძრაობენ ერთმანეთზე გადასრიალებული, წარღვნის მიმანიშნებელი სურათები. ამ ლექსისა და მასში მბორავი, გავეშებული წყლის ძალა რომ უფრო საგრძნობი, თვალთ სახილველი გახდეს, ორი სულმოუთქმელად გადაბმული სტროფის ამოწერა მოგვიწვევს:

დაფარულია მთელი მინდორი,
თანდათან მღვრიე რიონი მოდის,
მოაქვს ხაბო და ნასიმინდარი,
მოაქვს ამინდი წვიმის და შფოთის,
მოაქვს ხეები, მოაქვს მორები,
მოაქვს ჭალების სული მცურავი,
მოუახლოვდა სახლებს მორევი,
მდინარის რისხვა და სამღურავი.

შთაბეჭდილება იქმნება - ეს ხუთჯერ განმეორებული „მოაქვს“ ყოველი მხრიდან შემოტევის მასწვებელია, წალეკვით ემუქრება მრავალჭირგადანახალი მიწის დახაფრულ მკვიდრებს. შემოდგომის დღეთა ნესტიითა და ბურუსით გაყიებული ასეთი სულისშემძრავი სტრიქონების მოტანა კიდევ ბევრისა შეიძლებოდა, ხოლო დედასთან გალაკტიონის უფაქიზეს, უიშვიათეს დამოკიდებულებებზე კი შევეცდებით, ზოგი რამ

ცხოვრება, ლოგოსი და ქსედი

აქვე ვთქვათ.

როგორ უნდა შთაენთქა გალაკტიონის არსება შემოქმედებასა (აქ სეზანის ამგვაროვან ფანატიზმის გახსენებაც შეიძლებოდა) და მტვრიან ქალაქთან მიმჯაჭვავ ცხოვრებისეულ წერილმანებს, რამდენად უნდა დაეიწყნოდა თავი და ყველაფერი მის გარშემო, რომ თბილისში მყოფს, წლების მანძილზე, არ მოენახულებინა სალოცავი დედა, ვინც გამუდმებით ეცხადებოდა მისსავე ცხოვრებასაგით დაულაგებელ, აწეწილ სიზმრებში.

„დაუსრულებელ კენესად“, გაბმულ მოთქმად გაისმის ერთი ლექსი, მის იმჟამინდელ განწყობილებას რომ გვისურათხატებს, დამეულ, შუქდაფენილ კედელზე ამოძრავებული ლანდებივით ატრიალებს პოეტის თვალით დანახულს და გასაოცარი სიცხადით აღბეჭდილს. ადვილი წარმოსადგენია, დედის წლობით უნახაობა რა მოუნელებელ ვარამს, რა გაუთავებელ საწუნარს აშლიდა გალაკტიონ ტაბიძის ზემგრძნობიარე გულში. ამ ლექსის ამომთქმელი ძილში შფოთავს, თითქოს ორპირის უფემური შეპყრია და სიცხისგან გათანგულ შუბლზე დედის გრილი, მაცოცხლებელი თითების შეხებას გრძნობს. დედის ღვთაებრივ სახესთან ერთად აქ მოხმობილია დიდი „თანამდევი სული“ - ილიას წმინდა აჩრდილი; ლექსის ბოლოს იელვებს მისი „განგმირული შუბლი“, რომელსაც სიკვდილი არ უწერია. მანამდე ნახსენები მუხაც სიმბოლოდ მოაზრებული ილიას (იგივე საქართველოს) მეტაფორული სახეა, უკედევების ნიშნად აღმოცენებული ფესვმაგარი, მძლავრი ხე, გარს დახვეული მუშლი რომ ვერას აკლებს. პირველი სამი სტროფი მოხაზავს ლექსის მთლიან აღნაგობას და სამშობლოსთან დაკავშირებულ არაერთ საფიქრალს აღძრავს:

ილია მღერის - ვაჰმე!
ანდა რას ნიშნავს ნეტა:
ისე არ გაუა დამე,
არ დამენახვოს დედა.

შუბლზე მქებდა ხელით
და ვგრძნობ, ცოცხალი ტილო:
„შვილო, შუბლი გაქვს ცხელი,
რა გემართება, შვილო!“

იმ სამუდამო მხარეს
აღბათ შენ ჩემზე სწუნარ,
დარდს ნუ ეძლევი, მწარეს,
არ წაქცეულა მუხა...

ილიას მისადაგებული „მღერის“ და ზედ დართული, მიდევნებული „ვაჰმე!“, ცხადია, სიმღერა კი არა, უფრო „ტანჯვით ამოძახილი“ მოთქმამა („ქართველის გულშია კენესა ისმოდა“) და არც ის გახლავთ შემთხვევითი, რომ ილიას სახელთან გადაჯაჭვულია თვით დედა - „მწუნარე საქართველო“.



მშობლიური სახლი ქყვიშში

გალაკტიონ ტაბიძე მთელი არსებით, გულისყურით მშობლიურ კუთხეშია, დედის ხელით დათესილ და აბიბინებულ ყანას, კარ-მიდამოს უშზერს („თვალი წაიღო სევდამ, როგორ აფრქოვლებს ყანას?“), იქაურობა სამუდამოდ შერჩენია მის გაუხუნარ მესსიერებას („მახსოვს ზაფხული ტობანიერის, ჩვენი მდინარე და მეფის-ჭალა...“), ფიქრში წამითაც არ ეთიშება მამაკაპეულ კერას; გვეგონება, იღუმალ ძალას მოუნუსხავს, ადგილიდან ვერ იძერის, რომ სანამ გამქრალა, მოინახულოს „ის ჭალები... ის სანაე...“

დედის ნაღვლიანი, კდემამოსილებით გასხვოსნებული სახე გალაკტიონ ტაბიძის მრავალ ლექსშია გამოკვეთილი, მაგრამ ერთგან უიმედობა ზღვარს სცილდება, გაუხარელი არსებობის ტრაგიზმი იმდენად საგრძნობია და პოეტი აქაც მრავალჯერ ნაცად შეიდმარცვლიან საზომს (2/3/2) და მისთვის ესოდენ საყვარელ კითხვით ინტონაციას იყენებს (ამ ეფექტურ ხერხზე შემდგომ საგანგებოდ მოგვიწვევს შეჩერება). ჩვენს სათქმელს რომ სადინარი მიეცეს, პირველი სტროფის მოტანაც კმარა:

თვალით ვედარას ვხედავ,
გული მოელის დანას.
რისთვის გამზარდა დედამ,
რისთვის მეტყოლა ნანას?

ბოლო ორ სტრიქონს ფესვები ჩვენს უმდიდრეს ფოლკლორში, კერძოდ, ნამსხვრევებად შემორჩენილ ამირანის ეპოსში ეძებნება. გვახსენდება ის ეპიზოდი, სადაც ღრუბელთ ბატონის ქალი ყამარი (აქ უნებურად ლეგენდარული კოლხეთის მეფის აიეტის ასული მედეაც შეიძლება მოგვაგონდეს) თავის საბედოს, ამირანს, მამამისის წინააღმდეგ საომარ მოქმედებას უწუნებს, მარჯვე ხერხს ასწავლის („მადლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა...“). ამის გამგონე ღრუბელთ ბატონი გაცეცხლდება და თავის ასულს შერისხავს, დედ-მამის ამაგის არად ჩამგდებს საშინლად ლანძღავს, სათრეველად იმეტებს:

უყურეთ ბოზას ქალასა,
ქმარი ირჩია მამასა,
ქმარი ხეს ასხვე ფოთლადა,
მამას ვინ მისცემს საწვალსა?
რისთვის გაგზარდა დედამა,
რისთვის გეტყოდა ნანასა?

მამის ყვედრებას ყამარი მყისვე იგერიებს და მშობლებს იქეთ სდებს ბრალს, გაგულისებული პასუხობს, რომ ჩვილობიდან უყურადღებოდ იყო მიგდებული, დედობრივ ზრუნვას, აღერსს დანატრებული:

- არც რა გაშზარდა დედამა,
არც რას მეტყოდა ნანასა,
მიმაგდის სახლის კუთხეში
თავების ანაბარასა...

გალაკტიონმა ღრუბელთ ბატონის პირით ნათქვამი მრისხანე საყვედური თავისებურად შეაბრუნა, საკუთარი პიროვნებისკენ მიმართა, რვა მარცვლიანი დაბალი შაირი შეიდმარცვლედით შეცვალა, ხელმწიფისეული შეუვალა, მკვახე ტონი თვითგვემის კილოთი შეარბილა, ყვედრებას სინანულის ელფერი მისცა და მისმა ლექსმა, რალა თქმა უნდა, სხვაგვარი ჟღერადობა, სხვა აზრი შეიძინა.

ვფიქრობ, ზედმეტი არც იმის აღნიშვნა იქნებოდა, რომ ამირანის ეპოსის ამ ადგილს თავის ერთ-ერთ უძლიერეს პატრიოტულ ლექსში - „მხედართა ძველი სიმღერა“ - მანამდე ვაჟა-ფშაველა შეეხმინა, მაგრამ მან შაირი უცვლელად დატოვა, თითქოსდა საუკუნეთა მიღმა დასმულ ყვედრებიან კითხვას უპასუხა, ოღონდ თავის სათქმელს სულ სხვა გეზი მისცა, რათა გალაჩრებულ თანამემამულეთათვის ოდინდელი მეომრული სული ჩაედგა, როგორმე გაემხნევიან ისინი:

მიტომ გაგვზარდა დედამა,
 მისთვის გვეტყოდა ნანასა,
 ტანზე აბჯარი ავისხათ,
 მუდამ ვლესავდეთ დანასა,
 რომ შიშს ვუგდებდეთ გულშია
 მეზობელს მეტიჩარასა,
 არ ვაქელინოთ საშშობლო
 მეტოქეს ათასგვარასა.

ალბათ არ დაგვეჭირდება საგანგებოდ იმის ხაზგასმა, თუ როგორ გან-
 გამის ზარად, წმინდა ფიცოვით ეღერს, განსაკუთრებით ამჟამად, ეს ცეცხ-
 ლოვანი სტრიქონები და მთლიანად ვაჟას აღნიშნული ლექსი, რომელიც
 გულისფიტარზე უნდა ჰქონდეს ამოჭრილი ყოველ ჭეშმარიტ ქართველს.

ზემოთ უკვე ვთქვით - დედის სახეს მთელი სიცოცხლე ხატავდა და
 ეფერებოდა გალაკტიონ ტაბიძე და, ლექსების გარდა, ეს თაყვანისცემა
 დღიურებსა და სხვა ინტიმურ ჩანაწერებშიც კარგად ჩანს. მიუხედავად
 წლობით დაშორებისა, ძნელი წარმოსადგენია მშობელისა და შობილის
 იმაზე ფაქიზი, გადაჯაჭვული ურთიერთდამოკიდებულება, ვიდრე გალაკ-
 ტიონსა და დედამისს ჰქონდათ. მამას იგი თვალითაც არ უნახავს. იცო-
 და მხოლოდ, რომ ბავშვი უნდა დაბადებულიყო და მისი ამქვეყნად მოუ-
 ლინების დღე, გარდაცვალებამდე, ჭიქა ღვინით წინასწარ დალოცა.
 მოგვიანებით მისი ბედი გაიზიარა გიორგი ლეონიძემ, რომელიც მამამ
 სრულიად ჩვილი დატოვა. „ნატურის ხის“ ავტორიც მუდამ ეთაყვანებო-
 და დაქვრივებული მშობლის წმინდა მანდილს. დღეს მთელმა საქართვე-
 ლომ ზეპირად იცის მისი ულამაზესი და უღრმესი ნათქვამი: „დედის
 დაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდის!“ ბევრ რამეზე უნდა დაგვაფიქროს
 იმან, რომ გასული საუკუნის ჩვენი ორი დიდი პოეტი უმამოდ გაიზარდა.
 კიდევ ამიტომ იყო მათი მშობელი დედების იერი უსაზღვროდ საყვარე-
 ლი, „საესე ქართული პატიოსნებით“.

რამდენჯერაც არ უნდა წაეიკითხო, ჩემზე ყოველთვის გამაოგნებელ
 შთაბეჭდილებას ახდენს გალაკტიონ ტაბიძის მცირე, წარმოსახვითი
 მოგონება, იშვიათი ზემოქმედების მინიატურა - „დედაჩემი“, რომელიც
 პოეტს 1950 წლის 8 ოქტომბერს ჩაუწერია სოხუმში. ეს არის ჭეშმარი-
 ტად ღმერთის ბავეთაგან მოწყვეტილი, ციდან მოსმენილი ხმა. იგი აკაკ-
 ისა (გავიხსენოთ „გოგია მეჩონგურე“) და, ნაწილობრივ, ნიკო ლორთ-
 ქიფანიძის („ცხოვრება სალომიკასი“) მინიშნებებით გაწყობილი პროზის
 თავისებურ ნაზავადაც მესახება.

საგანგებო შედარებას არ შევუდგები, მაგრამ, ვფიქრობ, უბრალო გადაკ-
 ითხვითაც კარგად ჩანს, რომ აკაკის „გოგია მეჩონგურე“ უფრო ღიბი პროზა-

ული პერიოდებისგან შედგება, ხოლო ვალაკტიონის მინიატურა მოსხლეტილი, რიტმულად დაძაბული ფრაზების ასხმა - სიმების წყვეტილ-წყვეტილ უღერას აყოლილი, მეტადრე მაშინ, როცა თავად ჩონგურის ნაღვლიანი ამოძახილია გადმოცემული; დედის შემფოთებული ხმა მარცვალ-მარცვალ მეორდება, მესხიერებაში გვებუქდება. თითოეული ფრაზა ისეა დაწურული, გამოკვეთილი, ჭვარტლით გამურულ, ხეცმოკიდებულ ყვრიდან კამკამა გუბებში წვეთის წკაპუნით ჩაყარდნას გავს. ამქვეყნიდან წასული უძვირფასესი ადამიანის მომგონებელს განწყობილების შემხადება არც სჭირდება, ყველაფერი თავისთავად ლაგდება, მაგრამ ჯერ პარალელისათვის ნიადაგი უნდა მოუსინჯოთ ზემოთქმული ცაში გამოკიდული რომ არ დარჩეს, აკაკი წერეთლის „გოგია მეჩონგურის“ პროზაული ნაწილის ნაწილობრივი გახსენება მოგვიწვეს. აკაკის მიერ გენიალურად დამუშავებული ლექსი ისე იწყება, რომ ყველაფერი ღამის წყვდიადშია ჩაფლული, ირგვლოვ ისეთი სისუშე დასადგურებულა. უმცირეს ჩქამსაც გაიგონებ:

„ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო; მაგრამ მაგიერად ფეხის ხმა არ გამოეპარებოდა იმ მიწყნარებულ არემარეში.“

ამ დროს, თითქოს ჯადოქარს მოეტანოს, რაღაცამ გაიწკრიალა ჰაერში და თანაც მოისმა ჩონგურის საამური ხმა. ისეთნაირად ქვეითნებდნენ სიმები, თითქოს ქვეყნის ტანჯვა უნდოდათ ნემსის კუნწში გაეძვრინათ და ისე დაედნოთო...“

ჩონგურის სმენის დამატკობებელ წკრიალს, რომელსაც „ქვეყნის ტანჯვის“ დასამცრობი, დასადნობი ასეთი დიდებული სახე აბოლოვებს, როგორც გვახსოვს, მოჰყვება გოგია მეჩონგურის უკიდურესად ნაღვლიანი სიმღერა, ოღონდ სამშობლოს ზვარაკად გადაღებული ამ გმირი ვაჟკაცის ვინაობა ჯერჯერობით არ ვიცით.


სიმღერის უკანასკნელი ბგერები მიწყდება თუ არა, ღამის მნათობი ამოცურდება და იქაურობას გადაანათებს. აკაკის თითოეულ ფრაზას შესაშური უბრალოება და მომაჯადოებელი სილამაზე ახლავს; მინიშნებებს ზუსტი მისამართები შეესაბამება, რასაც თხრობის კვალდაკვალ ვიგებთ:

„შესწყდა სიმღერა; მაგიერად იქვე მოისმა ერთიმეორეზე რაღაც ბუტბუტის, ამოხერისა და ხითხითის ხმები.“

მთვარე ამოვიდა და გამოჩნდა შემდეგი სანახავი:


ერთი სახლის წინ იდგა ჩონგურით ხელში, თავდახრილი გოგია მეჩონგურე და შესცქეროდა მოაჯირს, საიდანაც სამი ქალი იყო გადმოდგარი. ერთი მათგანი, მოხუცი, რაღაცას უკმაყოფილოდ ბუტბუტებდა, მეორე, მშვიდობიანი სახის ახალგაზრდა ქალი, ხვნეშოდა და მესამე, კოპწია ყმაწვილი ქალი კი, იცინოდა.

სამივეს სხვადასხვაგვარად გულისთქმისა და სულის მოძრაობის მიზეზი იყო ერთი და იგივე ჩონგურის სიმღერა“.



პროკლე და გალაკტიონი დედასთან — შაკრინე ადვიშვილთან

აკაკის მითოლოგიური ხატებისადმი მიძღვნილ ერთ წერილში („მოლადურის ბუდე“) საგულდაგულოდ მაქვს განხილული წინამდებარე ლეგენდა და ამჯერად ცალკეულ დეტალებს აღარ მოუბრუნდები. ვიტყვი მხოლოდ, რომ აკაკის მიერ აღწერილ კუნაპეტ სიბნელეს, წყვდიადის გამფანტველ მთვარეს, მოაჯირს (იგივე აივანს) და გულშიჩამწვდომ საკრავს (ჩონგურს) გალაკტიონ ტაბიძის მინიატურაშიც ვხედავთ, მაგრამ იქ სურათი გამარტოებულია, ქმარგარდაცვლილი მარტოხელა დედაა გამოყვანილი, წლობით მოშორებული სანატრული შვილის მოძლოდინე, თავ-ბედის დამაწყევარი.



გალაკტიონი აკაკის მწერლური ტრადიციების უშუალო მემკვიდრეა და ბუნებრივია, მოსალოდნელიც იყო, დიდი წინაპრების ნააზრევი, გამოცდილება შესისხლ ხორცეული ჰქონოდა. პარალელებისა და პირველწყაროების დაძებნამ იმდენად გაიტაცა მეცნიერთა ერთი ნაწილი, რომ ამის თაობაზე მთელი თეორიები იქმნება და ასეთ დროს შეუძლებელი ხდება ზღვარის დადგენა, ზომიერების დაცვა. მაგალითად, ერთი ცნობილი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნე წერს: „ყოველი ტექსტი იგება, როგორც ციტატების მოზაიკა, თითოეული ტექსტი არის შთანთქმა სხვა რომელიმე ტექსტისა“. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ზედმეტმა კირკიტმა, ასეთი თვალთახედვის გაბატონებამ შეიძლება ზიანი მოგვიტანოს. ამდენად, არ მინდა, მოღური ტერმინები მოუყენო ორი დიდი შემოქმედის სულიერ ნათესაობას, მათ მიერ დახატული სურათების სიახლოვეს, ზოგიერთი დეტალის დამთხვევას, განწყობილებათა ერთიანობას - ყველაფერი ისედაც ცხადია.

ახლა კი უშუალოდ გალაკტიონ ტაბიძის მინიატურას დავაკვირდეთ იგი ასე იწყება:

„ჩონგურზე უკრავს ქალი. მე გატაცებით ვუგდებ მას ყურს. სოფელს სძინავს. ყოველივე დამის სიბნელეშია გახვეული. ამ ბნელს, მყუდრო, ჩუმ გარემოზე უცბად ამოდის მთვარე და გააშუქებს ჩემს აივანს. ქართულ რიკულებიან აივანს და ქალს, მუხლებზე ჩონგურით. მთვარის ნათელზე შვეიძლიათ გაარჩიოთ ეს ქალი“.

აქ გამოყვანილი ქალი გალაკტიონის დედაა, შუქდაუბინდაე ვარსკვლავად ჩასახული ბიჭის დაბადებამდე დაქვრივებული - სათაყვანებელი, უკაცოდ დარჩენილი ოჯახის საზრუნავზე ნაღველით გასენილი მანდილოსანი. მთვარის მაგიურ შუქზე მწუხარე ანგელოზად გამოჩენილი, იგი ეაღერსება თავის პირმშოს, თავის უსაშველოდ მონატრებულ გატუნიას და უხსნის მუხლებზე გაწვენილი ჩონგურის გრძნეულ ძაღლას

(ერთი სხვა ჩანაწერი ცხადყოფს, თუ როგორ ემარჯვებოდა დედას ჩონგურის ლარების გაბმვა, აწყობა). მის ხელში საკრავი ჩვეულებრივად კი არ ხშიანობს, ლაპარაკობს, იმეორებს იმას, რასაც ქალი ჩასძახის; ბროლივით თითები სიმებს დამარცვლით გამოაცემინებს მარტოდ დარჩენილის უნაპირო საწუხარს: „ჩე-მი ქმა-რი სად წა-ვი-და? - დედა მღერის... ჩამოპკრა სიმს; ერთს, მეორეს, ჩონგური ბგერა-ბგერით იმეორებს იმასვე, რასაც მღერის დედა. სიტყვებში ისმის შეკითხვა, ჩონგურიც იმეორებს ამ შეკითხვას - სად წავიდა?“ ამის მხილველი და გამგონე შვილი ყურებს არ უჯერის; აფართხალებული გულის ძგერასავეთ მკვეთრად ისმის გამწარებული დედის სასოწარკვეთილი ხმა. ბგერათა ცახცახი მატულობს, ასევე აჩქარებულია ჩონგურის თანაზომიერი ექო და დაახლოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა სახე ექნება ასეთი ბიბლიური გამოცხადებისას მთვარის არამქვეყნიურ შუქზე გადაფითრებულ შვილს. ამას იგი თავიდანვე გვაგრძნობინებს: „ძახილის სიტყვები მეორდება, ჩონგურის ეღერაც მეორდება და ეს მომენტი კიდევ უფრო აძლიერებს ჩემს გაოცებას. ჩონგური მღერის, ლაპარაკობს პირდაპირ მას, რასაც დედა ამბობს, წარმოგიდგენიათ? „ჩემი ქმარი სად წავიდა, დაუძახეთ, სად წავიდა“. იძახის ქალი, იძახის ჩონგურიც, მაგრამ ამაოდ: არსად არა სჩანს ეს ქმარი და აი, გამძაფრებული შეტევა, წყველა-კრულვა, ქოქოლა: „სად მის ქვესკნელში, სად ჯანდაბაში წასულა, წასულა, აღარ მოსულა, პოო-ოი...“ უკანასკნელი სიტყვები ერთის ტონით ისმის, თითქო რეჩიტატივია“.

აქ სურათი იცვლება. დედა გვერდზე გადადებს უცნაურ საკრავს. ათასი გადაუდებელი საზრუნავი და საწუხარია უკაცოდ დარჩენილ ოჯახში და ახლა იგი პროზაულად, ყოფით ენაზე მიმართავს ჯერ კიდევ ბურუსში მყოფ, გაბურბუსალეებულ შვილს:

„ - ხვალ ადრე უნდა აუდგეთ, საქონელი გაღმა გაუიყვანოთ, წისქვილზე ვინმე უნდა გაუგზავნოთ

- რა გვეშველება, რა გვეშველება, სიმინდი მოსატეხია, ჩალა ასაჩეხია, დაიძინოთ, დაიძინოთ, ჩემო გატუნია! რა გვემდერება, რა გვეჩონგურება? მეც ვდგები, მაგრამ ისევ მესმის თითქო:

„ჩემი ქმარი სად წავიდა?
დაუძახეთ, სად წავიდა!
სად მის ქვესკნელში წასულა,
სად ჯანდაბაში წასულა,
დედამიწაშიც წასულა... პოოი!“

ჩონგური მღერის, ლაპარაკობს, ძვერა-ძვერით იმეორებს მას, რასაც ამღერის ადამიანი“.

ასეთი ფიქრიც გამჩენია - ვინმე შესაფერისი ოსტატობით, ტონალობის, განწყობილების დაურღვევლად, სრულყოფილად რომ თარგმნიდეს რომელიმე ევროპულ ენაზე ამ მინიატურას, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ - იგი თამამად დაუდგებოდა გვერდით ბოდლერის, რემბოს, მაღარმეს, პოლ ვალერის და სხვათა პროზად დაწერილ საუკეთესო ლექსებს.

პარალელურად მოტანილ ნაწყვეტებში, როგორც ვნახეთ, ღამე და მთვარის შუქი ფიგურირებს. ადამიანებში ძველთაგანვე იყო გამჯდარი რწმენა იმისა, რომ გარდაცვლილებს არ უყვართ დღის სინათლე და, ამდენად, არც ის არის შემთხვევითი, რომ „გოგია მქონგურესა“ და „დედაჩემსაც“ ფონად ბნელი ღამე აკრავთ მერე, ორივეგან, მთვარის უეცარი გამოჩენა ირეალურობის განცდას, ოცნების საუფლოს აძლიერებს, კიდევ უფრო იღუმაღს ხდის ღამეულ ლანდებს. მთვარის ვერცხლში გულებული ღამე რომ მესაიდუმლედ გულებოდა თავად გალაკტიონს, ამას მისივე ლექსის სტრიქონიც ცხადყოფს: „იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თუთრმა ღამემ“. ამიტომაცაა, დედასაც და მის ჩონგურსაც იგი ღამეში ამეტყველებს.

დედისადმი გაგზავნილ პირად წერილებს, სადაც შშობელს უბოდიშებდა სოფელში ჩაუსვლულობის გამო, პოეტი, ჩვეულებრივ, ასე აწერდა: „შენი ერთგული და მუდმივად მოყვარული შვილი გალაკტიონი“ და ასედაც იყო.

აქ უნდა მოვიტანო ვახტანგ ჯავახაძის მშენიერ წიგნში („უცხოები“) შეტანილი, 1929 წლის 1 თებერვლით დათარიღებული ჩანაწერი, იმ დროისა, როცა გალაკტიონი მის განუწყვეტელ სადარდებლად ქცეულ მშობლიურ სოფელში რეალურად იმყოფება (ეს ერთი იშვიათი შემთხვევათაგანია), მთელი ღამე თავისი უსაყვარლესი მწერლის, დიკენსის, რომანი აქვს ნაკითხი და სხვანაირ, ატაცებულ გუნებაზეა დამდგარი:

„არ ვიცი რის გამო, შეიძლება იმიტომ, რომ თითქმის გათუნებამდის გატაცებით ვკითხულობდი დიკენსის „დიდ იმედებს“, გამეღვიძა გვიან. მზე კარგა მანძილზე განშორებოდა ჩენი სახლის აღმოსავლეთით მწყობრად ჩამწკრივებულ მაღალ ალვის ხეებს. მზე მთელი თავისი ახალი და დიადი ელვარებით პირდაპირ ჩემს ფანჯარაზე მომდგარიყო. არასოდეს არ დამავიწყდება მისი იმდღევანდელი შუქი: რაღაც აუწერელმა სიხარულმა ამიტაცა და მთელ სხეულში ჟრუანტელმა დამიარა, და ისიც ასე უმიზნოდ, ასე უეცრად, ასე მოულოდნელად. ანგარიშიუცემლად მოვარდი ფანჯარას, საიდანაც მზის შუქი შემოდის და დაუწყვე კოცნა ფანჯრის მინებს, თითქოს გონებადაკარგული - ვკოცნიდი დიდხანს მზის შუქს.

- შვილო, შვილო, შვილო! - შემომესმა გაოცებული დედის ხმა, გადაირიე, შვილო?

მე შეეკრთი. იმ წუთშივე უდიდესი სიხარული უფრო დიდ დარცხვენის გრძნობით შემეცვალა. ან რატომ ვერ გავიგე, რომ ოთახში დედა შემოსულიყო, კარები ხომ უხმაუროდ არასოდეს არ იღება. და კიდევ ეს გადარევა, შეშლა... ყოველ ნაბიჯზე გადარეული, შეშლილი, - და ყოველთვის, ყოველთვის, ასე.

ვიდექი დედის წინ, როგორც უდიდესი დანაშაულობის ჩადენაზე წასწრებული. დიდხანს თავი მალდა ვერ ამელო. ნელა, ცალი ხელით ნიკაპზე, მეორეთი კეფაზე დადებული ხელით, ვიგრძენი როგორ მიწვედა თავს ზვეით დედაჩემი, სურდა ჩემს თვალებში ჩაეხედა.

- შემომხედე, გატუნია! შეილო, რა მოგოიდა? (ამ შეკითხვის გამოძახილად ისმის ადრე მოხმობილი სტრიქონები: „შეილო, შუბლი გაქვს ცხელი, რა გემართება, შეილო!“) ალერსიანად მეუბნებოდა დედა, მაგრამ მე ხმას არ ვიღებდი. რა უნდა მეთქვა? განა შეიძლებოდა სიტყვებით იმის გამოთქმა, რასაც განვიცდიდი და რისი გამოხატვაც სრულიად არ შემეძლო? ბოლოს ძლივსა ვთქვი:

- „დიდი იმედები“.

- რაო? რას ამბობ, შეილო!

- „დიდი იმედები“, დედა, „დიდი იმედები“.

ხომ თავად ამბობს, რომ განცდილის სიტყვიერად გადმოცემა შეუძლებელი იყო, მაგრამ ის სულის ამფორიაქებული, უუმაღლესი შემოქმედებითი ექსტაზი გალაკტიონ ტაბიძემ, უკიდურესად შეკუმშულად, მაინც გამოხატა.

შეშფოთებულ დედას მძაფრი განცდებისგან გული შეუწუხდება. „ასე ემართებოდა ყოველთვის, როდესაც რაიმეს მძლავრად განიცდიდა“, - იქვე წერს გალაკტიონი და სხვა საფიქრალი, საწუხარი უღრღნის გულს - პოეტის ფანჯარას მიმდგარი მზე, ამასობაში, გადაადგილებულა. მყისვე გუნება ეცვლება: „მზის შუქი ეხლა აღარ მეჩვენა ისე მიმზიდველად. გასცდა ჩვენს ფანჯარას ის მზის შუქიც!

ვინ იცის, დაბრუნდება ისევ თუ არა!“

ის ბედნიერი წამი, ის ამაღლებული განწყობილება, ასეთი ძალით, მერე რომ აღარ დაბრუნებია, ეს აშკარაა; სულ სხვა დრო, სხვა ამბები, ახალი უსასტიკესი წლები იწყებოდა - სოფელი და არა მარტო სოფელი უნდა განადგურებულიყო, კვლავ სისხლის მდინარეებს უნდა წაეღეკა მთელი ქვეყნიერება, მისი სამშობლო - საქართველო...

დასასრულ, წამიერად, კვლავ მინდა მივუბრუნდე უმაღლესი შთაგონებით შექმნილ გალაკტიონის ბრწყინვალე მინიატურას; ჩემს უახლოეს მეგობართან მის სიცოცხლეშივე პირადი საუბრიდანაც ვიცი - სწორედ „დედაჩემის“ წაკითხვამ მისცა ბიძგი ჩვენს დაუეწიყარ, კეთილშობილებით აღსავსე გოფი გვეგუქკორს, ერთ-ერთი უმშვენიერესი ლექსი

ცხოვრება, ლავროს ციქსი

დაქწერა და თავისი უძვირფასესი პოეტის ბავშვობა, ათასი ჭირ-ვარამის მომსწრე დედაშვილური სიყვარული ასე სახიერად გაეცოცხლებინა:

მწუხარე და ნალელიანი
დედა ანდამატურია,
აიუნზე გადმომდგარი,
შვილს ეძახის: „გატუნია!...“

ასეთი თვალსევდიანი, ბოლომდე ჯაფაში დახარჯული, თავდავიწყებამდე გარჯილი დედის ხსოვნის წინ ყველამ უნდა მოიყაროს მუხლი და თავიანი სცეს მის წმინდა, ნაოჭებით დაღარულ სახეს. მისი პირმშოს ბაგეებს არ უნდა დასცდენოდა საკუთარი თავისადმი თუნდაც უწყინარი საყვედური: „რისთვის გამზარდა დედამ, რისთვის შეტყოდა ნანას?“ თუ ვინმეზე ალალი და უსაყვედურო იყო აკვანთან დახრილი მწუხარე დედის ნანა, ყველაზე მეტად - ამ სტრიქონების ამომთქმელზე, ვინც, მართლა რომ, „საქვეყნოდ გამოაბრწყინა“ რიონისპირა სოფლის ეზოში ნიადაგ მოფუსფუსე, გაუხარელი ქალის „ძუძუს ნათელი“, სამუდამო შარაუნდელით შემოსა ქერივობასა და სილატაკეში გალეული მისი ცხოვრება. ყოველგვარი მოიარების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ - ქართველ მწერალთაგან ისე მძაფრად, გულისშემძვრელად და დასამახსოვრებლად თითქმის არავისთან არ არის წარმოჩენილი დედაშვილობის ღვთიური მადლი, როგორც ეს გალაკტიონისა და მისი დედის მსხვერპლად შეწირვამდე მისულ ურთიერთობაში გამოვლინდა.



ჰიხამიდებზე მაღალი...

თეიმურაზ დოიაშვილი

„არტისტული ყვაეილების“ პროლოგი (ერთი ჰიხოთეზის ისტორია)

„არტისტული ყვაეილები“ იდუმალი წიგნია. იდუმალია და ამოუხსნელი არა მარტო ატმოსფერო და მხატვრული აპერცეფციით შექმნილი სამყარო წიგნისა, არამედ არაერთი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხიც.

გაერცელებული აზრია, რომ „არტისტული ყვაეილები“ დასაეღურ კულტურაზეა ორიენტირებული, თუმცა დღემდე არ არის გახსნილი და მთელი სისუსით შეცნობილი ამ ორიენტაციის რეალური შინაარსი. პასუხგაუცემელია ფუნდამენტური კითხვა: თუ „არტისტული ყვაეილები“ ევროპული აზროვნების გარკვეული ტიპის ქართული ვარიანტია, როგორ სცილდება იგი მეორადობის საზღვრებს, რა აქცეს უნიკალურ მოვლენად ქართული პოეზიის ისტორიაში? ხოლო თუ ეს წიგნი ეროვნულ ტრადიციასაც აგრძელებს, რა ხასიათისაა ტრადიციასთან კავშირი, ასე შეფარული და ვუაღირებული ტექსტში?

თავი რომ აუარიდო უსარგებლო საუბარს გავლენებზე, არარსებული ფრანგული ტექსტების ქართულ დუბლიკატებზე, გავეცნოთ გალაკტიონის ორ მოსაზრებას, სადაც გამოკვეთილად ჩანს მისი პოზიცია.

პოეტის თხზულებათა მეთორმეტე ტომში მოთავსებულია ჩანაწერი სათაურით „გაზელა“ (გვ. 160-161). ავტოგრაფში სათაური გადახაზული ყოფილა და სანაცვლოდ აწერია „ფოსტა“, ტექსტი კი ასე იწყება: „რედაქციისადმი წერილში თქვენ გაინტერესებთ გაზელა“. კომენტარი გვაუწყებს: „წერილი დაწერილია შეკითხვის პასუხად, მაგრამ მისი ბედი ჩვენთვის ცნობილი არ არის“ (XII, 670).

წერილი, მართლაც, შეკითხვის, თანაც მისტიფიცირებული შეკითხვის პასუხია, მისი ბედი კი არცთუ ისე გაურკვეველია: ტექსტი დაბეჭდილია „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ პირველ ნომერში, 1922 წელს! გალაკტიონი აქ, სხვათა შორის, წერს:

„გასაოცარია, რომ ჩვენში, სადაც ასეთი გატაცება იყო სპარსული პოეზიით, ოდესმე არ არსებობდა ის გარემოება, რომ შესაძლებელი იყო გადმოღება უცხო ფორმის და იქ ქართული სულის ჩანერგვა. მაგრამ გადმოტანა სულის, ტემპერამენტის და ანგარიშის არ გაწევა ფორმასთან... უმთავრესად ასეთი იყო ძვირფასი ბესიკი...“ (XII, 161).

ღაჯაკირდეთ, რა არის გალაკტიონის განსჯის საგანი — ესაა უცხო

ჭიხაძეებზე მატალი...

(არაქართულ) პოეზიასთან ეროვნული პოეზიის მიმართების პრობლემა. გალაკტიონი გაოცებულია, რომ ჩვენში გადმოჰქონდათ უცხო ფორმა, მაგრამ ეროვნულ სულთან, ტემპერამენტთან მიუსადაგებლად. ხდებოდა უარესიც — ზუსტად გადმოჰქონდათ უცხო სული და არა — ლექსის ფორმა! ასეთად მიიჩნია გალაკტიონის „ქვირფასი ბესიკი“.

ძნელი წარმოსადგენია, უცხო პოეტურ კულტურასთან მიმართების ისტორიულ გამოცდილებაზე საუბარი პოეტს შემთხვევით წამოეწყოს, მით უფრო, მის მიერ მისტიფიცირებული შეკითხვის საპასუხოდ, თანაც „არტისტული ყვაილების“ გამოსვლის ახლო ხანებში. ფაქტიურად, ესაა შეფარული პასუხი იმ „კეთილმოსურნეთა“ მიმართ, რომელნიც ეპოქალურ წიგნს უცხო სულისკვეთებისა და ფორმის მიბაძვად მიიჩნევენ.

ენახოთ კიდევ ერთი, მოგვიანო ხანის (1956 წ.) ჩანაწერი:

„ძიებაში განმეორება სხვათა მიერ შემოტანილი სიახლისა სავსებით დასაშვებია“ (XII, 203).

გალაკტიონის ამ ორი მოსაზრების საფუძველზე რთული არაა პოეტის ზოგადი თვალსაზრისის ჩამოყალიბება:

1. ძიების პროცესში სხვათა სიახლის ათვისება დასაშვებია, ანუ შეიძლება უცხო მზა ფორმის გამოყენება.

2. სიახლეს, უცხო ფორმას უნდა მიესადაგოს ქართული სული და ტემპერამენტი.

3. უცნაურია და მიუღებელი უცხო სულისკვეთების გადმოღება და „ანგარიშის არგაწევა ფორმასთან“.

ის, რაც „არტისტულ ყვაილებში“ უმაღლეს დონეზე განახორციელა გალაკტიონმა, არის ევროპული ახალი პოეზიის ფორმისა და ქართული სულის სინთეზი. ამას ხაზგასმით ვამბობ, რათა ჩამოვიცილო გაუგებრობათა ჭრელი შლეიფი, გავლენა-მიბაძვას რომ ახლავს.

* * *

„არტისტული ყვაილების“ იდუმალ ხილვებში საორიენტაციოდ გალაკტიონმა მკითხველს „ნისლით შემობურვილი“ სხივი გააყოლა, როდესაც წიგნს ოთხი ეპიგრაფი წაუმძღვარა (ფრანგულ ენაზე):


მოულოდნელი მომხიბვლელობა სამკაულისა —
ვარდისფერის და შავის, —

ბოდლერი

ცისფერი ქალწული ნაკადულის გრილ ნაპირებზე, —
თ. გოტიე



შარლ ბოლღერი



„ბოროტების ყვაილები“

ჩამჟვალ შხეთა მელანქოლია, —


პოლ ვერლენი

...და ვარდები მეტად ტანმალალი, —

ა. დე რენიე

გალაკტიონის მიმართება ბოღღერთან მეტნაკლებად არის შესწავლილი. მე საშუალემა მქონდა დეტალურად გაცნობოდი შარლ ბოღღერის პოეზიის რუსულ თარგმანებს XX საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით, ე.ი. „არტისტული ყვაილების“ შექმნამდე. ეს ის თარგმანებია, რომელთა მეშვეობითაც გალაკტიონი, საგარაუდოა, ეცნობოდა ფრანგი პოეტის შემოქმედებას. გასაოცარია, როგორ ფლობს ჭყვიშიდან პროვინციულ ქუთაისში სასწავლებლად ჩამოსული ჭაბუკი ამ ტექსტებს, როგორ აქვს გათავისებული თემები, მოტივები, სახეები, თვით ნიუანსებიც კი. პირდაპირ უნდა ითქვას: „ბოროტების ყვაილებთან“ ინტერტექსტუალური კავშირების გაუთვალისწინებლად „არტისტული ყვაილების“ მეცნიერული კვლევა, უბრალოდ, შეუძლებელია.

ბოღღერის წიგნის ცალკეული რეალიები რომ ასახვას პოულობს „არტისტულ ყვაილებში“, ეს შემჩნეულია. იგულისხმება არა სიღრმისეული კავშირები, არამედ გარეგანი შებვედრები: სათაურთა გადაძახ-



ილი, ლექსთა რომაული ციფრებით დანომრვა და ზოგი რამ სხვა ც. სწორედ „ბოროტების ყვავილებთან“ პარალელებზე ფიქრისას დაიბადა აზრი: ხომ არ უნდა ჰქონოდა „არტიისტულ ყვავილებს“, ბოდლერის წიგნის ანალოგიით, პროლოგი, მით უფრო, რომ ბოდლერთან პროლოგს ღრმა კონცეპტუალური დატვირთვა აქვს.

ცნობილია, რომ „არტიისტულ ყვავილებში“ არაა არც მკითხველისადმი მიმართვა, არც წინათქმა თუ შესავალი. თაიგული ეპიგრაფებისა, კრებულს რომ უძღვის წინ, ძალიან მნიშვნელოვანია კოდის შესარჩევად,

მაგრამ, ცხადია, პროლოგად ვერ ჩაითვლება. რაც შეეხება „არაბოდლერულ“ ლექსს „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, რომლითაც იხსნება წიგნი, მას უზის რომაული ციფრი I, მაშინ როდესაც ბოდლერთან პროლოგს ნომერი არა აქვს — დანომრვა შესავლის შემდეგ იწყება.

ადამიანურ სიჯიუტეს თუ ახირებას თავისი უცნაური ლოგიკა ჰქონია, ამიტომ, მიუხედავად ზემოთქმულისა, მაინც განვაგრძე პროლოგის ძიება „არტიისტული ყვავილების“ ტექსტებში და... ერთ ლექსზე შევჩერდეთ! ესაა „სიბერე“:

მე მილალატეს ძველმა რითმებმა
(ძველ მფობრებსაც ვამჩნევ მე ღალატს),
თუმცა მე მასთან მიფვარდა შებმა —
ქლა რა ვუფო სალინს, უხმო ჯალათს!


ეჰა! მე ვამბობ: სად შემოდლია
ვებრძოლო ქალთა წვევლას, სიბერეს?
წვიმები წვიმებს სიცილით ცვილიან
და შლიან შემკრთალ სურათის ფერებს.

რამ განაპირობა ჩემი არჩევანი? აქ რამდენიმე არგუმენტის ჩამოთვლა შეიძლება:

1. „სიბერეს“ საპროგრამო განაცხადის პათოსი და იერი აქვს, რადგან მეტონიმურად მიგვანიშნებს („მე მილალატეს ძველმა რითმებმა“)

ძველიდან ახლისაკენ მოძრაობაზე, თვისებრივ ცვლილებაზე, ახალი პოეტიკის შემოტანაზე, რისი მაცნეცაა „არტისტული ყვაილები“.

2. ლექსში ნახსენებია სიტყვა „სპლინი“, რომელიც „არტისტული ყვაილების“ სულიერ ატმოსფეროს განსაზღვრავს — ამასთან, თავისი წარმომავლობის პირველწყაროზეც მიგვითითებს: ბაირონიდან მომდინარე „სპლინის“ ცნებას ბოდლერი თავისებურად გაიაზრებს და მის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ დაფუძნებას სწორედ „ბოროტების ყვაილების“ პროლოგში იძლევა. ბოდლერთან კავშირს ცხადყოფს „სპლინის“ გალაკტიონისეული განსაზღვრა: „სპლინი — უხმო ჯალათი“.



მხეცების ალეგორიული სახეებით წარმოდგენილ ცოდვათა შორის ბოდლერისათვის ყველაზე საშინელია „სპლინი“ — მოწყენა, რომელიც „ემაფოტზე მეოცნება“, ე.ი. ჯალათის ბუნება აქვს.

3. ლექსში არის ორი სტრიქონი, რომელიც ბოდლერთან ინტერტექსტუალური გადაძახილის გარეშე, გაუგებარია. იგი ახსნას პოულობს „ბოროტების ყვაილების“ პირველი, უმნიშვნელოვანესი რკალის („სპლინი და იდეალი“) პირველსავე ლექსში „კურთხევა“.

ეს ის ნაწარმოებია, რომელიც ბოდლერიანაში მეორე პროლოგადაა მიჩნეული და რომელსაც შესანიშნავად იცნობდა გალაკტიონი. ერთგან, როდესაც აკაკისა და ბოდლერის განწყობილებათა ნათესაობაზე მიანიშნებს, გალაკტიონი დაწვრილებით ლაპარაკობს ამ ლექსის შინაარსსა და იდეაზე და იმასაც აღნიშნავს, რომ ლექსს „ლოცვა-კურთხევა“ კი ჰქვია, მაგრამ „აქ არის წყველა და მხოლოდ წყველა“ (XII, 61). გაუიხსენოთ ჩვენთვის საინტერესო სტრიქონები:

უპა! მე ვამბობ: საღ შემიძლია

ვებრძოლო ქალთა წყველას, სიბერეს...

წყველის მოტოვი აშკარაა, მაგრამ ვინ არიან „ქალები“? ბოდლერზე ჩანაწერში გალაკტიონი ამასაც აკონკრეტებს — დედა და საყვარელი! მოუესმინოთ:

„ღვიძლი დედისთვის მგოსანი არის საგანი მარტოოდენ გაკვირვე-

ჭიხამიძეზე მატალი...

ბისა და ზიზღისა — დედას რცხვენია საკუთარი შვილის ყოლა...

მგოსანი ხანდახან მსხვერპლი ხდება სისხლისმსმელი დალილასი, რომელიც თავისუფლებას მისცემს იმას იმის შემდეგ, რაც ამოსწოვა მასში უკანასკნელი სისხლი“ (XII, 61). დავიმოწმოთ შესაბამისი ადგილები ბოდლერის ლექსიდან. აი, ერთი ფრაგმენტი დედის წყევლისა:

ო, რატომ არ ვშვი მე შხამიან ასპიტთა ბუდე,
ნაცვლად იმის, რომ ამ სიჩღუნგის ვიყო გამზრდელი!
წყეულიმც იყოს დამე, როცა წუთს ჩაგებუტე
და ჩემს სხეულში ჩაისახა ჩემო სასჯელი!

დედას არც სატრფო უდებს ტოლს:

სრულიად ნორჩი ფრინველის დარ ამ ალისფერ გულს,
აფართხალებულს, ამოფართმვე მე სხეულს მისას
და რათა უინი მოუკლა მხეცს, ჩემში დამალულს,
ამ გულს სისხლიანს წყევლა - კრულვით დაუხლი მიწას!
(თარგმნა დავით აკრიანმა)

უახლოესი ადამიანების დამოკიდებულება ტრაგიკულად აღიქმება პოეტის მიერ, იწვევს ნაადრევ სიბერეს, სპლინს, ინდიფერენტულობას ყველაფრის მიმართ...

ამრიგად, სრულიად აშკარაა „სიბერის“ კავშირი „ბოროტების ყვაილების“ პროლოგთან და ე.წ. მეორე პროლოგთან, ამ ლექსის საპროგრამო პათოსი, შინაგანი პოტენცია — იქცეს „არტისტული ყვაილების“ წინათქმად. თითქოს ყველაფერი რიგზეა, ოღონდ... — ოღონდ ის, რომ „სიბერეს“ პირველის ნაცვლად ორმოცდამერვე (XLVIII) ადგილი უჭირავს კრებულში! ასეთ ვითარებაში, ნუგეშად ისლა გრჩება, რომ იფიქრო: პროლოგად გამიზნული „სიბერე“ გალაკტიონმა რაღაც მიზეზით უარყო, სადღაც წიგნის სიღრმეში დააბინავა...

* * *

იმპულსი ახალი ძიებისათვის კვლავაც ბოდლერმა და გალაკტიონმა მომცეს. „არტისტული ყვაილების“ ეპიგრაფებში ბოდლერის შემდეგ თოფილ გოტიეა დამოწმებული.

ცნობილია, რომ „ბოროტების ყვაილები“ შარლ ბოდლერმა სწორედ თოფილ გოტიეს უძღვნა მისი პოეტური ტალანტისადმი უდიდესი პატივისცემის ნიშნად. აი, ეს მიძღვნა, რითაც იხსნება „ბოროტების ყვაილები“:

Handwritten text at the top left, possibly a title or introductory notes.

Large block of dense handwritten text in the upper middle section, partially overlapping the top of the central figure.



Vertical handwritten text on the left side of the page, continuing the notes or providing commentary on the drawings.

Handwritten text at the bottom of the page, possibly concluding the notes or providing a signature.

უზადო პოეტს
ფრანგული სიტყვიერების ყოვლისშემძლე ჯადოქარს
ჩემს უძვირფასესსა და სათაყვანო
მასწავლებელსა და მგობარს
თოფილ გოტიეს

უმორჩილესად უღრმესი მოკრძალებით
ვუძღვნი ამ სნეულ ყვაილებს
შ.ბ.

ამ ორმა ფაქტმა — გალაკტიონის ეპიგრაფმა და ბოდლერის მიძღვნამ — ამოზიდა ცნობიერების არეში გოტიეს „მინანქრები და კამეები“. ერთ ლექსში გალაკტიონი მას „ძვირფას ლალსა და სადაფებს“ უწოდებს. „მინანქრებმა და კამეებმა“, მსგავსად „ბოროტების ყვაილები-ისა“, უდიდესი როლი შეასრულა ახალი ვეროპული პოეზიის ისტორიაში. გოტიემ ნაყოფიერი ზემოქმედება მოახდინა გალაკტიონზეც, რაც ჯერჯერობით თითქმის შეუსწავლელია.

„მინანქრები და კამეები“ იხსნება შესავლით, ბუკვალურად — წინათქმით (Préface), რომელიც ლიტერატურის ისტორიაში, საზოგადოდ, პროლოგის ეტალონადაა მიჩნეული. ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, მომყავს ტექსტის სიტყვასიტყვითი, პასარედული თარგმანი. ეს არის კლასიკური სონეტის ფორმით დაწერილი თოთხმეტტაეპიანი ლექსი — ორი კატრენით და ორი ტერცეტით:

იმპერიის ომების ეამს

გოეთემ უხეში ზარბაზნების ხმაურში

შექმნა „დასავლური დივანი“,

გრილი ოაზისი, სადაც ხელოვნება სუნთქავს.

ნიზამისთვის მიატოვა რა შექსპირი,

მან იპკურა სანდალი

და აღმოსავლური მეტრით

აღბეჭდა სიმღერა, რომელიც ჰუდუდმა ამოიოხრა.

როგორც გოეთე თავის დივანზე

განერიდებოდა საგნებს

და პაფეზის ვარდებს ფურცლაუდა,

ვურადლებას არ ვაქცევდი რა ქარიშხალს,

რომელიც ჩემს დახურულ ფანჯრებს ებლებოდა,

მე შექმენი „მინანქრები და კამეები“.

აქვე მინდა ამოვიწერო ნიკოლაი გუმბილიოვის რუსული თარგმანი წიგნიდან — Теофиль Готье. Эмали и Камеи. Пер. Н. Гумилева, СПб., 1914 — რომელიც გალაკტიონის პირად ბიბლიოთეკაშია დაცული და ტექსტთან კონტაქტის კვალიც შემოუნახავს:

В часы всеобщей смуты мира
Оставил Гёте ратный стан
И создал "Западный Диван"
Оазис, где рокочет лира.

Для Низами забыв Шекспира,
Он жил мечтой далёких стран
И ритмом звучным, как орган,
Пел о Гудут, живущей сиром.

Как Гёте на свою тахту
В Веймаре убегал от прозы
Гафизовы лелеять розы,

Оставив дождь и темноту
Стучаться в окна мне сильнее,
Я пел "Эмали и Камеи".



თეოფილ გოტიე

THÉOPHILE
GAUTIER

Émaux et Camées



ლწ

1898

„მინანქრები და კამეები“

პიხაბიღებზე მაღალი...

თუ ყურადღებით წავიკითხავთ გოტიეს სონეტის პწკარედს, შემდეგ — გუმილიოვის თარგმანს და ამ ფონზე „არტისტული ყვაილების“ პირველ ლექსს ჩაუკვირდებით, აღმოაჩნენთ, რომ „შემოდგომა ..უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ სრულ აზრობრივ-ესთეტიკურ თანხმიერებაშია გოტიეს „წინათქმასთან“. ოღონდ ერთი რამ უნდა გაკითვალისწინოთ: გალაკტიონის შედევი მინიშნების პოეტიკითაა შექმნილი, ალუზიებს შეიცავს და გამიფვრა-დაკონკრეტებას საჭიროებს. დავიწყოთ შედარება:

სონეტის დასაწყისშივე გოტიე მოიხსენიებს გოეთეს და მის „დასავლურ-აღმოსავლურ დივანს“ (1819). „დივანის“ წერა გოეთემ 1814 წელს დაიწყო, როდესაც ნაპოლეონის ომებით თავგაბეზრებული და შეძრწუნებული, ვაიძარს გაეცალა და პატარა, წყნარ ქალაქში განმარტოვდა. ის ადრევე შემუშავებულ წესს იცავდა: როგორც კი დენთის სუნს იგრძნობდა, რეალურად თუ, განსაკუთრებით, წარმოსახვით „შორს, უბოლოოდ შორს“ გაიჭრებოდა. ამჯერად „გაჭრა“ აღმოსავლეთისკენ მოხდა: პაფეზის „დივანით“ აღფრთოვანებულმა შექმნა საკუთარი „დივანი“, ერთ-ერთი მწვერვალი მსოფლიო პოეზიისა. აღმოსავლეთთან კონტაქტს გოეთე გაიაზრებდა, როგორც მეორედ დაბადებას, აღორძინებას „ახალი ცხოვრებისათვის“. სწორედ ეს კონცეფციაა გადმოცემული „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ — პირველ ლექსში სათაურით „პიჯრა“:

მთელ დასავლეთს, ჩრდილოს, სამხრეთს
ჟამი არევეს, ტახტებს ამსხვრევს,
წადი პიჯრად აღმოსავლეთს,
წეს-ადათთა გზანი წავლე
სიმღერებით, ლხინით, ქალით
წლებს ჩამოგბანს ხოზრის წყალი. .

იქ მართლებთან, იქ წმინდებთან
მინებს შესთვა-შეწინდება,
სათავესთან მინებს შერთვა,
საცა მოკვდავ მოდგმას ღმერთმა
ცათა სიბრძნე მოსცა ზენით
მიწიერი კაცის ენით..

(თარგმნა დავით წერედიანმა)

„პიჯრა“ არაბულად გადასახლებას, გაჭრას, გაქცევას ნიშნავს. ამ ცნებით ისლამურ სამყაროში დიდი ისტორიული ფაქტი აღინიშნება —

მუჰამედის გაქცევა მექადან მედინაში 622 წელს, საიდანაც იწყება მაჰ-
მადიანური წელთაღრიცხვა. ამ ფონზე საუბრობს გოეთე საკუთარ
„ჰიჯრაზე“ დასაულებლადან აღმოსავლეთისაკენ, რაც ნიშანსვეტია ახა-
ლი ცხოვრების, ახალი გზის, ახალი პოეზიისა.

სწორედ გოეთეს „დივანის“ პროლოგი („ჰიჯრა“) აქვს მხედველო-
ბაში თუოფილ გოტიეს თავის „წინათქმაში“ და გარკვეულ პარალელ-
საც აულებს მასთან: ქარიშხლების, ომების, რევოლუციების დროს, როდესაც
სამყაროს „ქაში არყევს, ტახტებს ამსხვრევს“, პოეტი უნდა გან-
ერიდოს ყველაფერს, განმარტოვდეს და პოეზიის გრილი ოაზისი შექმ-
ნას. მეც, - ამბობს გოტიე, - არ ვაქცევ ყურადღებას ქარიშხალს, რომელ-
იც ჩემს ფანჯრებს ეხეთქება (იგულისხმება საფრანგეთის 1848 წლის
რევოლუციური მოვლენები) და — ვით გოეთემ იმპერიის ომების უამს
შექმნა „დასაუღურ-აღმოსავლური დივანი“ — ვქმნი „მინანქრებსა და
კამეებს“.

ახლა გალაკტიონს მივუხმინოთ, მივადევნოთ გულისყური „უმან-
კო ჩასახების“ აზრობრივ განვითარებას.

ლირიკული გმირი ლექსისა ტოვებს სასახლეს და ყვითელი ფოთ-
ლებით მოფენილ ბაღს. მის სულიერ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს
პეიზაჟი და, განსაკუთრებით, რომანი, სადაც ისვენებს „შემლილი სკვიითე-
ლი“. ეს რომანი, მკვლევართა ვარაუდით, „ძმები კარამაზოვებია“, შემ-
ლილი სკვიითელი კი — ივანე კარამაზოვი გამაოგნებელი იდეით, რომ
„ღმერთი მოკვდა“. ლირიკული გმირი სულიერი წონასწორობის შესან-
არჩუნებლად მიაშურებს განდევნილ მამათა საუანეს, ეკლესიას, მაგრამ
ეს უკვე უღმერთოდ დარჩენილი, ყველასაგან მიტოვებული უფლის სახ-
ლია. საკმევლის სუნისა და სანთელთა ციმციმის ნაცვლად ღვთაებრივ
სივრცეში შავი თოვლით ეშვება ჭვარტლი და ბურუსი. კამარას მაცხო-
ვრის თვალებიდა შერჩენია, ხელთქმნილი თვალები, საიდანაც მკაცრი
სასოწარკვეთილება მოჟონავს.

**ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!**

ღმერთი მოკვდა! უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ —
სამრეკლოს ჯვარი ყვავებს გადაუშავებიათ, ქარი, გრიგალი და ზარების
გრგვინვა ანგრევს სამრეკლოს...

სასახლესა და ეკლესიას განრიდებული ლირიკული სუბიექტი „მღუ-
მარე საკანს“ მიაშურებს: მღელვარე საგნებს და უკუნ ღამეს „ცეცხლის
მფარველი გუგუნია“ ენაცვლება. ძნელი არაა, „მღუმარე საკანში“ გო-
ეთესა და გოტიეს „ოთახის“ ანალოგი ამოვიცნოთ, „მფარველი ცეცხ-

ჩიხამიღებზე მაღალი...

ლი“ კი შემოქმედებით ცეცხლად გაეიაზროთ. ამ კონტექსტში „უმანკო ჩასახება“ შემოქმედებით აქტს უკუეშირდება — სულიწმინდის შთაგონებით მაღალი პოეზია იქმნება.

როგორც გოეთე გაერიდა ნაპოლეონის ზარბაზნებს, ხოლო გოტიე — ქუჩიდან შემოჭრილ ქარიშხალს და დარაბებდაგმანულ ოთახში შექმნეს დიადი წიგნები, ასევე გაერიდა გალაკტიონი რევოლუციის გრიგალს და სენაკის მარტოობაში შექმნა გენიალური „არტისტული ყვავილები“!

შემოწერილია გრანდიოზული კონტექსტუალური სივრცე, გაერთიანებული იგივეობრივი მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური მრწამსით.

გარდა იდეურ-კონცეპტუალური თანხვედრისა, „მინანქრებთან და კამეებთან“ სიახლოვე გალაკტიონს ალუზიებითაც აქვს გამოხატული. ლექსის დასაწყისში, ბაღის აღწერისას, უმალ იქცევეს ყურადღებას გამორჩეული სიტყვა:

**დაგხვდება აუზთან სანდალი —
და ძველი ფოთლები ვვითული...**

„სანდალი“ არაბული სიტყვაა და აღნიშნავს მარადმწვანე, სურნელოვან ხეს. ნ. გუმილიოვის რუსულ თარგმანში „სანდალი“ არაა ნახსენები:

**Для Низами забыв Шекспира
Он жил мечтой далеких стран...**

სამაგიეროდ, „სანდალი“ ნახსენებია გოტიესთან, ფრანგულ დედანში:

**Pour Nisami quittant Shakspeare,
Il se parfuma de çantal**

**(ნიზამისთვის მიატოვა რა შექსპირი,
ის იპკურებდა სანდალს...)**

„სანდალის“ ხსენება გალაკტიონის ლექსში ძალზე მნიშვნელოვანია: ერთი, რომ იგი ორიგინალთან კონტაქტის მაცნეა. უფრო არსებითი კი ისაა, რომ განდობილათთვის „სანდალი“ გამჭვირვალე მინიშნებაა „მინანქრებისა და კამეების“ წინათქმავზე და ამ გზით გოეთეზე („ის — გოეთე — იპკურებდა სანდალს“), მის აღმოსავლურ „პიჯრაზე“.

უფრო მნიშვნელოვანი ალუზიაა ლექსის ფინალურ სტროფში:



West-östlicher
DIWAN.

von
Goethe

Stuttgart,
in der Gollaierschen Buchhandlung
(1795)

იოჰან ვოლფგანგ გოეთე „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“

ერთგვარად მიიტანს ამ სახის
ლოცვისთვის ზმანება-მტკივანი:
გაზელებს — მგოსანი სასახლის,
ხელთათმანს — სასახლის მდივანი.

ვინ იგულისხმება, ვინაა ის იღუმალი პერსონა — „მგოსანი სასახლის“, რომელსაც ერთგვარად მიაქვს „გაზელები“ და „ხელთათმანი“?

ესაა ორმაგი მეტონიმიური მინიშნება გოეთეზე: „გაზელები“ (ანუ „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“) ანუ გოეთე-პოეტი; „ხელთათმანი“ — ატრიბუტი არისტოკრატიისა ანუ გოეთე-კარისკაცი, „სასახლის მდივანი“. ალუზია ფონიკის დონეზეც ხორციელდება: ლექსის ბოლო სართომო სიტყვაში „მდივანი“ სრულხმონად გამოისმის სიტყვა „დივანი“.

ცხადია, ალუზია გოეთეზე ხელს არ უშლის, რომ „სასახლის მგოსანს“ განზოგადებული შინაარსი ჰქონდეს — იგი გულისხმობს ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს და მათ შორის გალაკტიონსაც, რომელსაც ქარიშხლების შემდეგ მოაქვს თავისი მარტოობის ღვთაებრივი ნაყოფი — „არტისტული ყვავილები“.

გამოიკვეთება ძალიან საგულისხმო პარალელი: გოეთე-გოტიე-გალაკტიონი, „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“ — „მინანქრები და

კამეები" — „არტისტული ყვაილები"! გოეთეს ჰიჯრა აღმოსავლეთისკენ და გოტიეს საეტაპო წიგნი თვითთვის ეპოქაში ახალ პოეტურ ხანას იწყებდნენ. ასევე ახალ ხანას იწყებს გალაკტიონის ჰიჯრა დასავლეთისკენ. გალაკტიონი, უკალირებულად, ქართულ პოეზიაში (და, ვინ იცის, იქნებ უფრო დიდი რადიუსითაც) იმავე მნიშვნელობას ანიჭებს „არტისტულ ყვაილებს“, რა მნიშვნელობაც ჰქონდა თავის დროზე გოეთესა და გოტიეს წიგნებს ნაციონალურ თუ ზოგად-ევროპულ კონტექსტში. შესაძლოა, გალაკტიონი რაღაც იდუმალ ნიშანს ხედავდა იმაში, რომ „არტისტული ყვაილები“ ზუსტად ასი წლისთავზე დაიბეჭდა გოეთეს „დივანის“ გამოცემიდან.

გალაკტიონი ახალგაზრდობიდანვე იცნობდა გოეთეს და მის „დივანს“. ამის დასტურია მისი ლექსები და თუნდაც უკვე ნახსენები წერილი გაზელაზე, სადაც გალაკტიონი ერთმანეთთან კავშირში ახსენებს ჰაფეზს, გოეთეს და მის „დივანს“:

„ჰაფეზი, მსოფლიოში განთქმული ლირიკოსი, რომელიც გავლენას ახდენდა ევროპის ლიტერატურაზე და რომლის გავლენის ქვეშ დასწერა გოეტემ თავისი „დასავლეთის დივანი“, იყო უდიდესი პატრიოტი გაზელის...“ (XII, 160).

აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი კახუსი — თორმეტტომეულში, ჩემთვის გაუგებარი მიზეზით, ჩანაწერი გაზელაზე არ ასახავს ავტოგრაფისა და პირველნაბეჭდის („გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“) საგულისხმო რეალიას: იქ, სადაც გალაკტიონი გოეთეს „დასავლურ დივანს“ ახსენებს, სქოლიოში წერს: „ამ წიგნს თოფილ გოტიე უწოდებს „ოაზისს, სადაც რეკავდა ქნარი“. ეს არის სტრიქონი „მინანქრებისა და კამეების“ პროლოგიდან, რაც უტყუარი დასტურია იმისა, რომ გალაკტიონი არა მარტო იცნობდა ამ წიგნის წინათქმას, არამედ გაცნობიერებული ჰქონდა კონცეპტუალური შეხმიანება გოტიესა და გოეთეს შორის.

სქოლიო ადრე გამოთქმულ ვარაუდსაც განამტკიცებს, რომ გაზელაზე საუბარი გალაკტიონს შემთხვევით არ წამოუწყია — გარეგნულად ეს ერთი საღექსო ფორმის დახასიათება და ისტორიაა, შეფარულად კი დაცვა საკუთარი შემოქმედებითი პოზიციისა.

ამრიგად, „არტისტული ყვაილების“ პირველი ლექსის — „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სუანეში“ — აზრობრივ-კონცეფციური, სიახლოვე გოტიეს „მინანქრებისა და კამეების“ წინათქმასთან და ამის მეშვეობით გოეთეს „დივანის“ პროლოგთან „ჰიჯრა“, აგრეთვე რიგი კონკრეტული რეალიებისა იმის უფლებას იძლევა, რომ გალაკტიონის ეს ლირიკული შედგირი „არტისტული ყვაილების“ პრილოგად მივიჩნიოთ.

გალაკტიონის პოეზიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თეოფილ გოტიესადმი სერიოზული ინტერესი 10-იანი წლების ბოლოს გამოიკვეთა. პირველხარისხოვანი როლი აქ, ალბათ, გუმილიოვისეულმა სრულმა თარგმანმა შეასრულა. 1920 წელს დაიწერა მრავალი ასპექტით საინტერესო ლექსი „გოტიეს“, 1922 წლის შედეგებში — „ეფემერათა“ ციკლში შესამჩნევია რემინისცენციები გოტიუდან; ერთგან კი იგი პირდაპირაა დასახელებული: „გოტიე! აი, შენი ტომები“. გოტიე მოიხსენიება „კოსმიურ ორკესტრშიც“ (1926):

**იგი ვერლენია, იგი ბოდლერია,
რუმბოს ლექსებია ანდა გოტიესი.**

მოგვიანებით გალაკტიონი კიდევ ერთხელ გაიხსენებს გოტიეს, როგორც ოდესღაც პოპულარული რომანის „მადლენ დე მოპენის“ ავტორს — იწერება ლექსი „გოტიეს რომანიდან“ (1940).

ეს ჩამონათვალი, ცხადია, მხოლოდ მიახლოებაა თემასთან — „გოტიე და გალაკტიონი“. მე ბოლოსთვის შემოვინახე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. 1927 წლის კრებულში, ე.წ. ზარნიშთან წიგნში გალაკტიონმა შეიტანა ლექსი „სული უსახლო“, რომელშიც აშკარად იგრძნობა „მინანქრებისა და კამეების“ პროლოგის კვალი:

**რომ გაიღმოს შემოდგომის შხემ,
მოასკდეს ნაპირს მძიმე ქაფები,
ამნაირ დროში შექმნა გოტიემ
უკვდავი ლალი და სადაფები.**

**მიეჭროვარ აქვე, ტფილისის ახლო,
მე ვიცი ჩემი მიმღები ჭერი,
რომ მიისვენოს სული უსახლო
ჯოჯოხეთშიაც არ-ბედნიერი.**

მე არ შევუდგები ამ ლექსის დეტალურ ანალიზს, სადაც პირდაპირაა დასახელებული გოტიე და მისი „უკვდავი ლალი და სადაფები“, სადაც ქალაქიდან გარბიან მყუდრო ბინაში, რათა სულმა განისვენოს... ერთი რამ აშკარაა — გოტიეს წიგნი და მისი პროლოგი კვლავაც ახსოვს გალაკტიონს, კვლავაც შემოქმედებისთვის შთააგონებს.



ნიკოლაი გუმბილიოვი

კვანთა V კ. ს. ს. ს.
გეორგი გოთა 29.

ЭМАЛИ И КАМЕИ

— K. GUMBILOVA

პიპოთუზა, რომლის გადმოცემას ზემოთ შევეცადე, უკვე ჩამოყალიბებული, არგუმენტირებული ვერსიის სახით არსებობდა, როდესაც ვახტანგ ჯავახაძის „უცნობში“, სადაც მართლაც ბევრი რამ უცნობი გამოშხეურდა, გამოგნებული ფაქტი ამოვიკითხე — გალაკტიონს ჰქონია ჩანაწერი, სადაც ის საგანგებოდ მსჯელობს „მინანქრებისა და კამეების“ წინათქმასზე! ბატონი ვახტანგი ტექსტს კუპიურებით იმოწმებს, ამიტომ დედანი მოვიძიე. ეს იყო უჩვეულო, ჩუმი ნეტარების წუთები...

„მე არ მინახავს უკეთესი წინასიტყვაობა“, — წერს გალაკტიონი და შედარებისთვის აქვე ასახელებს ბრიუსოვის, ბალმონტის, ბლოკის, ვოიანოვის წინასიტყვაობებს, აღნიშნავს ამგვარი ტრადიციის არსებობას ფრანგ პოეტებთან. საამისოდ რუსი პოეტები პროზას მიმართავენ, ფრანგები — ლექსო. როგორც უკეთესი ნიმუში, გალაკტიონს გოტიეს პროლოგი მოჰყავს, რომელიც წინათქმას „მოკვეთილი, მშვენიერი სონეტით“ წერს.

შემდეგ მსჯელობის საგანი ხდება „მინანქრებისა და კამეების“ პროლოგის აზრობრივ-იდუური მხარე, გოტიეს პოზიცია. გალაკტიონი კითხულობს:

„რა უნდოდა ეთქვა გოტიეს ამ წინასიტყვაობით.
მან მიაღწია თუ არა მიზანს?“

გალაკტიონის აზრით, გოტიემ საუკეთესოდ გააკეთა ის, რისთვისაც იწერება წინასიტყვაობა: მრგვცა „კონცენტრაცია მთელი წიგნის შინაარსისა, ახსნა მისი მხარეებისა...“

შემდგომი მსჯელობისათვის გალაკტიონი თავიდან ბოლომდე იმ-ოწმებს გოტიეს „წინათქმის“ პროზაულ თარგმანს, ხელნაწერში ზოგი ადგილი გაუხაზავს:

„მსოფლიოს საერთო აღრევის ხანაში, დასტოვა გოტიემ მეომარ-
და ბანაკი, და შექმნა „დასაუღეთის ღივანი“ — წიგნი-ოაზისი, სადაც
მფეთქარებს ქნარი.

„ნიზამისათვის მან დაიფიწა რა შექსპირი, ცხოვრობდა შორეულ ქვეყანათა ოცნებით, და ხმოვანი რიტმით, როგორც ორგანი, მღეროდა ობლად მცხოვრები გუდუტის შესახებ.

„ისე როგორც გოტიემ მიაშურა ვეიმარის ტახტს ცხოვრების პროზისაგან, რათა შეეყვარებია ჰაფეზის ვარდები...“

„მეც მოვეცი რა ნება წვიმასა და სიბნელეს უფრო ძლიერ ემღერათ ჩემს ფანჯარასთან — ვმღეროდი მე ჩემს „Змали и камен“-ს.

გალაკტიონის პროზაული ტექსტი დიდი ერთგულებითაა გადმოღებული გუმბელიოვის რუსული თარგმანიდან. პოეტს ზუსტად აქვს შემწინეული გოტიეს „წინათქმის“ ღირსება: კონცეპტუალურობა, ზოგადი კონტექსტის მოხაზვა ცალკეული ტექსტების შესაცნობად. საგულისხმოა ხაზგასმებიც: „მსოფლიო საერთო აღრევის ხანაში“, „მეომართა ბანაკი“, „ღივანი — წიგნი-ოაზისი“.

ახლა ამოვიწეროთ ის ადგილები, სადაც გალაკტიონი სრულ სოლიდარობას უცხადებს თავის კერპს და მთლიანად იზიარებს მის ესთეტიკურ პოზიციას:

„ეს წიგნი — მთლიანად აღებული — თეთრი, მაღალი, ნამდვილი თლილი სტილითაა აშენებული... რამდენი ცოდნა სილამაზისა არის შიგ, ამას გაიგებს მხოლოდ მასაფით ელასტიკური შემოქმედების მქონე პოეტი. რამდენი სულიერი ენერგია უნდა ჰქონოდა ადამიანს, რევოლუციისა და ნგრევის ხანაში ამნაირად ემღერა.

ეს არისტოკრატიზმია. იმას, ვისაც უცვებ წააქცევს რევოლუციის ტალღები და მიყვება ამ ქაფიან მორევს, ვერასდროს ვერ იმღერებს ისე, როგორც გოტიე მღეროდა. ეს პოეტი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რამდენად გამორკვეული სახის მქონე პოეტი რევოლუციის დროსაც კი რჩება დიდ პოეტად. პირიქით, ეს საშუალებას აძლევს მას უფრო მაგრად ჩაიკეტოს კარები, რომ უფრო მძლავრად მიეცეს თავის საყვარელ პოეზიას...

პიკამიდებზე მალაღობა...

გოტიეს ეს წიგნი შექმნილია განდევნილობაში.

გიოტეს „დასაუღეთის დივანი“ შექმნილია აშნაირსავე ხანაში.

საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ისეთი ბოზოქარი ომებისა და მოუსვენრობის ხანა, როგორც თამარის მეფობის დრო იყო და მეორე მეტე საუკუნეში მოახერხეს შექმნა „ვეფხისტყაოსნის“.

ჩვენს პოეტებს სიზმრადაც არ მოეღანდებათ დავით გურამიშვილის ეპოქა.

და საფრანგეთის ნამდვილი ხელოვნება წარმოიშვა სწორედ ასეთ ხანაში: გოტიე, ბოდლერი, ვერლენი, რემბო, ლაფორგი.

მაგრამ ისინი უფრო ირონიულად უყურებდნენ პროლეტარულ კულტურას, ამიტომ დარჩნენ მხოლოდ პოეტებად...“

ამ ამონაწერს, არა მგონია, ვრცელი კომენტარი სჭირდებოდეს. დაეკვირდეთ ისეთ გამოთქმებსა და სიტყვებს, როგორცაა — „რევოლუციისა და ნგრევის ხანაში სიმღერა“, „არისტოკრატიზმი“, „უფრო მაგრად ჩაიკეტოს კარები, რომ უფრო მძლავრად მიეცეს პოეზიას“, „განდევნილობა“, გოტიესა და გოეთეს ერთ კონტექსტში მოიხსენიება, ვეროპული და ეროვნული მთლიანი კულტურული სივრცის შექმნა — და ნათელი ხდება, როგორ ჰქონდა გათავისებული გალაკტიონს ის კონცეფცია, რომელიც „არტისტული ყვავილების“ პროლოგში ლირიკული დისკურსით გადმოსცა.

გალაკტიონის მსჯელობა ოდნავადაც არაა განყენებული, აბსტრაქტული. იგი პირადაპირი რეაქციაა 20-იანი წლების დასაწყისის სიტუაციაზე, როდესაც მიზანმიმართულად ცდილობდნენ ხელოვნების პოლიტიზაციას.

გალაკტიონის ჩანაწერი, ვფიქრობ, ეჭვს აღარ ტოვებს, რომ „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სჯანეში“ ლირიკული მანიფესტია, აზრობრივად ღრმა და პოეტურად ელვარე წინათქმაა ეპოქალური წიგნისა „არტისტული ყვავილები“.

* * *

ბოლოს, მინდა მცირე ხნით დაუბრუნდე ლექსს „სიბერე“, რომელიც, ჩემი ვარაუდით, გალაკტიონს „არტისტული ყვავილების“ პროლოგად ჰქონდა ჩაფიქრებული. რამ განაპირობა თავდაპირველი განზრახვის უარყოფა?

გალაკტიონის ლექსების პირველი კრებული 1914 წლის ზაფხულში გამოვიდა. დაახლოებით ორი წლის შემდეგ პოეტმა მეორე წიგნის გამოცემაზე დაიწყო ფიქრი. 1917 წლის 27 თებერვალს გალაკტიონი ქუთაისიდან სწერს მოსკოვში მყოფ ოლია ოკუჯავას: „შეიძლება მალე

წიგნი გამოცემა აქ, მე მაშინ შემოგითვლი და ხელნაწერები გამომიგზავნე“ (ოლია ოკუჯაგას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, თბ, 1987, გვ. 193).

ერთ გვიანდელ მოგონებაშიც, თბერველის რევოლუციის ამბებს რომ ეტება, პოეტი იხსენებს: „ეს მოხდა 1917 წელს... განვადგინებდი დიდი ხნის წინათ დაწვებული წიგნის „ქართული ორნამენტის“ წერას... ვწერდი დღით და ღამით, ძალიან გულმოდგინეთ“... (XII, 189).

როგორც ჩანს, 1917 წლის დასაწყისში გალაკტიონი მიიჩნევდა, რომ მეორე წიგნის გამოსაცემად შზად იყო. ცხადია, ამ წიგნში 1915-1916 წლებში დაწერილი ლექსები შევიდოდა, სადაც ძლიერია „ბოდლერული“ მოტივები და რუმინისციენციები... წიგნის სტრუქტურულ-კომპოზიციური გააზრებისას გალაკტიონს რომ „ბოროტების ყვაილები“ ჰქონდა ნიშნად, ეჭვს არ იწვევს. ამიტომ ლოგიკური ჩანს ვარაუდი, რომ მეორე წიგნისათვის პოეტს პროლოგის დაწერაზე ეფიქრა და საამისოდ ბოდლერის პროლოგთან შინაგანად დაკავშირებული ტექსტი შეეკმნა. სწორედ ასეთია ლექსი „სიბერე“.

1917 წლიდან მოულოდნელი სხვაგვარად დატრიალდა — დაიძრა „რევოლუციის ტალღები და ქაფიანი მორები“. წიგნის გამოცემა გადაიდო და არა მხოლოდ მატერიალური მიზეზის გამო. ახალ რეალობაში აუცილებელი გახდა საკუთარი პოზიციის განსაზღვრა. აქ გალაკტიონმა მოკავშირე ნახა გოტიეს სახით: გოტიე ხომ რევოლუციის დროსაც დარჩა პოეტად და მხოლოდ პოეტად!

მამასადამე, „სიბერისათვის“ პროლოგის ფუნქციის ჩამოშორება დიდმა გარდატეხამ, ეპოქის სულმა განაპირობა.

საინტერესოა ერთი დეტალი. როდესაც „შემოდგომა“ „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ პირველად დაიბეჭდა (ე. „თოლაბულისის სარტყელი“, 1919 N1), ერთ-ერთმა რეცენზენტმა ეჭვი გამოთქვა ლექსის დათარიღების გამო: „ლექსის დატა აღნიშნულია 1917 წლით, რაც ჩვენ საფუძვლიანად გვაეჭვებს: ლექსი უფრო ორიოდ თვისაა, ვიდრე ორიოდ წლისა“ (II, 305). ახლა ძნელი დასადგენია, რა საფუძველი ჰქონდა რეცენზენტს საამისოდ (იქნებ, უახლეს მოულოდნელად გამოძახილი იგრძნო?), ჩემთვის კი ისაა ძნელი წარმოსადგენი, რომ 1917 წელს დაწერილი შედეგური გალაკტიონმა ორი წლის შემდეგ გამოაქვეყნა.

თუ „შემოდგომა“ „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ 1919 წლის დასაწყისში დაიწერა, ეს ნიშნავს, რომ პირველი ლექსი კრებულისა გალაკტიონმა მაშინ შეკმნა, როდესაც „არტისტული ყვაილები“ უკვე შზად ჰქონდა! ასეთ სიტუაციაში ძნელი ასახსნელი არაა, ერთი მხრივ, პროლოგად გამიზნული ერთი ლექსის შეცვლა მეორეთი და, რაც მთა-

B. P. P. P.

Pendant les guerres de l'ambition
Goethe, au son bruyant du canon brutal,
Fit le Deiman occidental,
Traicte oars ou l'art respice.

Pour Nisami quittant Shakespeare,
Il se pavise de gontal,
Et sur un motte oriental.
Nota se chan- zu' Hudhud soupire

Comme Goethe sur son Ivan
A Weimar wroteit des choses
Et d'Alafis offeulit des robes,

Sans prendre gard a l'ouroyer,
Su' l'ouretlait mes vres fetmees,
Moi, j'ai fait Emaux et Camées.

„მინანქრებისა და კამეების“ წინათქმა, გადანერილი გალაკტიონის მიერ

ვარია, ის, რომ „შემოდგომა „უძანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ სა-
განგებოდ შეიქმნა როგორც პროლოგი „არტისტული ყვავილებისა“.

P.S. წერილი დამთავრებული მქონდა, როდესაც გალაკტიონის არ-
ქივში პოეტის ხელით გადაწერილი „მინანქრებისა და კამეების“ პრო-
ლოგის ფრანგული ტექსტი აღმოჩნდა. ამით პრაქტიკულად დადასტურ-
და, რომ გალაკტიონთან „სანდალი“ ორიგინალის რეალიაა და ნამდ-
ვილად ორმაგი დატვირთვის მქონე ალუზიური სახეა.

პოეტის ერთმა უბის წიგნაკმა (N72) ასეთი ფრაზაც შემოგვინახა:

„გოტიეს წინასიტყვაობა. იდუმალი ნათესაობა“.

„იდუმალი ნათესაობა“ სათაურია გოტიეს ცნობილი ლექსისა, რომელიც „მინანქრებსა და კამეებში“ წინათქმას მოსდევს. და მაინც, რაოდენ მრავლისმეტყველია ეს ფრაზა ჩვენი გამოკვლევის კონტექსტში:

ფრანკო ენრიკო კოლინი

მართლაც, არა არს-საიდუმლო, რომელი არა გაცხადდეს!

P.P.S. გოტიეს „წინათქმაზე“ მსჯელობისას გალაკტიონი ერთ საყურადღებო აზრს გამოთქვამს, რომელიც მე საგანგებოდ შემოვიწახე ბოლოსთვის:

„უნდა ითქვას, რომ როგორც წინასიტყვაობით, იგი (გოტიე — თ.დ.) არ კმაყოფილდება მარტო ამ ლექსით და მშვენიერი ლექსით ათავენს მთელ წიგნს („ხელოვნება“). ამნაირად: მთელი წიგნი „Յմալի և Կამեի“ ჩასმულია საუკეთესო ლექსის მშვენიერ ხელოვნურ ყდაში“ (ხაზგასმა გალაკტიონისაა — თ.დ.). უკანასკნელი ლექსი ამთავრებს პირველს, პირველი დაწყებაა უკანასკნელისა“.

„არტიტული ყვაეილებიც“ ორი საუკეთესო ლექსის ყდაშია ჩასმული: „შემოდგომა „უმანკო ჩასახებას“ მამათა სუანეში“ იწყებს უკანასკნელ ლექსს, ხოლო უკანასკნელი ლექსი როგორ ამთავრებს პირველს და მთელს წიგნსაც, უნდა გაირკვეს. გაცხადებას ელის ერთი საიდუმლოც: „არტიტული ყვაეილების“ ეპილოგი.

1996-2003

THEOPHILE GAUTHIER
Enseas et Carmes.
Paris
1875

გურია კვარაცხელია

იდუმალება, სიცრუე-თამაში თუ უფრო
ღრმა ჭეშმარიტება .

Words alone are certain good

*W. B. Yeats**

როგორ მალეღვებს მე ვოველთვის იგი სიჩუმე...

მასში იდუმალ ძალით სძინავს ახალ ქაოსებს.

იგი დღეუა დაფარული უჩინარ ცეცხლის.

(„თითქო არა აქ“)

გალაკტიონის ამ სტრიქონებში გასაოცარი სიცხადითა და ლაკონიზმით არის წარმოდგენილი იდუმალების ონტოლოგია, ფსიქოლოგია და ესთეტიკა. თითქოს პოეტი ლექსიკოგრაფის მონდომებით ცდილა ცნებაც განემარტა. ილუსტრაციაც მოეცა ისე, რომ სიტყვის მნიშვნელობის ყველა ელფერი ეჩვენებინა („იდუმალი — ფარული; უჩინარი; ჩუმი“ — ქეგლი), ამასთანავე, აღსანიშნის გენეზისი აუხსნა და ის ემოციაც გამოუბატა, რასაც ეს აღსანიშნი იწვევს, ეთქვა — რატომაც იწვევს. ამგვარ ინფორმაციებს არც ერთი ლექსიკონი არ შეიცავს.

ყველაფერი დაფარული, დამალული, უხილავი, უჩინარი, ჩუმი — იდუმალია. იდუმალია სიბნელე, ჩრდილი, ბინდი, ბურუსი, სიშორე, სიღრმე... იდუმალ დენოტატებს აღნიშნავენ სიტყვები: „საღლაც“, „ოდესღაც“, „ვიღაც“, „სხვა“, „უცხო“:

და დედამიწა ბნელდებოდა, იძირებოდა

თითქო არა აქ, არამედ შორს, სხვა ქაოსებში.

(„თითქო არა აქ“)

იდუმალი, შორეული სატრფო ჩემი აღარ მოვა.

(„სასიკვდილო მწუხარება“)

და დათრობაში ამ ღამის ღამით

უხილავ გზებით შთავა ვოველი.

(„გობელენი“)

და ხმა ესმით უხილავის სურნელოვან ალენდრებს.

(„უხილავი“)

იდუმალია სიზმარი, უაზრო, აბდაუბდა, მოულოდნელი, რომელსაც

* ინგლ. მხოლოდ სიტყვებია ნამდვილად საიმედო. უ. ბ. იეიტსი

შ.ბოდღერი „იეროგლიფურს“ უწოდებს. იგი სიცოცხლის ზებუნებრივ მხარეზე მიგვანიშნებს როგორც იდუმალი ენაო, — ვკითხულობთ „ბელონურ სამოთხეში“. იდუმალების კონტექსტებს ქმნიან გალაკტიონთან „სიზმარი“, „სიზმარეული“, „ზმანება“, „სიზმარეთი“ (აკაკისთანაც გვხვდება):

მე ვდგეარ როგორც ტყვე უცხოეთში,
როგორც სიზმარში უცხო სიზმარი.

(„მთვარე მთას ამოეფარა“)

შელამდა. მე წაუღ იქ, სადაც სიზმრები
წიგნებში დარდობენ დახუჭულ თვალებით

(„სიზმრები“)

უჩვეულო იდუმალების განცდას იწვევს შეშლილობის აბსურდულობაც, სადაც ერთმანეთშია არეული ბნელი, ქვეცნობიერი, ალოგიკური და საბოლოო ჯამში — ყველაფერი ირაციონალური და გონებისთვის მიუწევდომელი. ვინაიდან შეშლილობა სულის ისეთ მდგომარეობას მიუთითებს, რომელიც ზემთავონებითა და შემოქმედებით აგზნებას შეიძლება ჰგავდეს, გამორიცხული არ არის შეშლილობის შეგნებული სიმულაციაც:

მე შეიძლება შეშლილი ვარ

და აუადმყოფი

(„ფარდების შრიალი“)

„მოგონების შეშლილი ბოდვა“, „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეები“ და სხვა მრავალ მხატვრულ სახეში შეშლილობის კონცეპტი შეიძლება მეტაფორიზაციის კომპონენტი იყოს, მაგრამ ამავე დროს აღიქმებოდეს როგორც შემოქმედის პოეზიასთან ზიარების ექსტაზური, კონტემპლაციური გზა.

იდუმალია „უცნაური“ და „უსახელო“:

ვიღაც სიკვდილის დამმართებელი

დგას უცნაური და უსახელო.

(„ყვავილებს თეთრებს“)

ეს „ვიღაც“ მით უფრო იდუმალი ხდება, თუ იგი „სიკვდილის დამმართებელიცაა“, რომელიც უხილავად გვახლავს ყველგან. განგების ეს მისტიკური თანხლება მუდმივად იგრძნობა რუსთაველთან, თუმცა, უნდა ითქვას, უფრო ლექსიკურ დონეზე და აღქმულიც ის უფრო ზოგად-ირაციონალურადაა, ვიდრე, მაგალითად, შექსპირთან, სადაც ბედისწერის ტრაგედიის ანტიკური ტრადიციისდაგვარად ადამიანები უძლური არიან განგების იდუმალი ძალების წინაშე.

ყოველივე იდუმალი მისტიკური მოლოდინის თრთოლას აღძრავს.

ჭიხაძეებზე მაღალი...

თვალი ვერ ისვენებს, სანამ დაფარულს არ დაინახავს, შორეულს არ მისწვდება, გონება ვერ წყნარდება, ვიდრე გაურკვეველს არ გაარკვევს, არ დაარქმევს სახელს, შეუცნობელს არ შეიცნობს. ამაშია იდუმალის მიმზიდველობა, რასაც ამბაფრებს ის ვითარება, რომ „იქ“, დამალულსა და გაურკვეველში, რაღაც გეცნობა, მაგრამ მხოლოდ გეცნობა, შეცნობილი კი ჯერ არა გაქვს. იმ რაღაცას უნდა ჩაეჭიდო და გამოიცნო დანარჩენიც. ინფორმაციის თეორიის მიხედვით, სრულიად ახალი ინფორმაცია, რომელიც არაფერს შეიცავს ნაცნობს, აღუქმელი რჩება. ცნობის წადილს აღძრავს „უცხო მოყმე ვინმე“, რომლის ნახვით მოსვენებადაკარგული როსტვეან მეფე თინათინს ეუბნება:

უცხოსა და საკვირველსა ვმასა რასმე გარდვეკიდე...

აჟ ესე მიკვირს, რა იყო, ანუ რა ვნახე და რული!..

კაცად ხორცისად ვით ითქმის ისრე თვალთაგან ფარული?!..

გაგზავნე კაცი ყოველგან მისთა ამბავთა მცნობელი...

ფაქტობრივად როსტვეანის „გაკვირვებიდან“ იწყება ძებნა-პოვნაზე აგებული თხრობა პოემაში, სადაც ფაბულურ ინტრიგას ეხლართება იდეურ-შინაარსობრივ და ამ ორი, გარეგანი და შინაგანი, ინტრიგის მონაწილეობით იქმნება გასაოცარი ინტელიგიბელური ერთიანობა.

გამოცნობა-შეცნობა და მისი ონტოლოგია, რასაც უ. ეკო „დეტექტივის მეტაფიზიკას“ უწოდებს, არის, ერთი მხრივ, ინტერესის აღმძვრელი, ხოლო, მეორე მხრივ, მიმზიდველობის ზედაპირული და სიღრმისეული არსის წვდომის გზა. ამგვარად, ის, რაც მისტიკურია, მიმზიდველია (მაგრამ არა ყოველთვის მშვენიერი, საშინელიც იზიდავს), ხოლო რაც მიმზიდველია, ამავე დროს მისტიკურიც არის. ეს გამოცდილება, რაც შექმნილია სულისა და ბუნების სამყაროს გარეგანი და, უფრო მეტად, შინაგანი წვდომით, ობიექტური ხასიათისაა, რადგან „საკუთარი თავიდან გამოსვლას, სულიერ შებენას ან შებვედრას გულისხმობს — სწორედ ეს სემანტიკური სპეციფიკა განსაზღვრავს მისტიკის გარდატეხას ლიტერატურაში“ (ს. ნ. ბულგაკოვი).

თუ იდუმალების განცდის რეალობა ეჭვს არ იწვევს (რეალურია ჩვენი მიმართებები, იმისდა მიუხედავად, თუ რას მიემართებიან ისინი), სუბიექტის მიერ განცდილი იდუმალების წყარო შეიძლება იყოს რეალურიცა და ირეალურიც. იმგვარი ირეალური, რომელიც მხოლოდ ფორმის მიხედვითაა მისტიკური, ვერ ქმნის იმ განსაკუთრებულ ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობას, ვერ იწვევს იმ განსაკუთრებული გვარის გრძნობებს, რომლებიც

ყოფიერების ზეგრძნობითი შემეცნება ან შემეცნების შედეგია, ანუ ვერ
ქმნის იდუმალებას. იგი, ჩვეულებრივ, საფუძვლად უდევს ფანტასტიკურ
ლიტერატურას, რომელიც მიზანმიმართული და აშკარა გამონაგონია.
ვერც გალაკტიონთან ქმნის იდუმალებას, მაგალითად, ხ.ბორხესის ფრაზეო-
ლოგია რომ ვიხმაროთ, „ფანტასტიკური ზოოლოგიის ქმნილებები“:



ცაცხვები ღვანან შენს საფლაუთან, ვით ცენტურები,
მათ სიბნელეში, ნისლიანი და უეცარი,
გამოჩნდებიან პოეზიის თანამგზავრები...
(„მგლოვიარე სერაფიმები“)

და მიგვაფრენდა, ლოცვათ მაგიერ,
ფრთიან ქიმერათ გვიან. ჯარი.

(„ცხრაას თვრამეტი“)

ქიმერების, კენტაურების, სფინქსების, სირინოზების სამ თუ ორფორ-
მოვანი პეტეროგენურობა იღუმალებსაგან დაცლილია არა მარტო მათი
მითვისური გენეზისისა და გენეალოგიის გამო, არამედ იმიტომაც, რომ
მათ გამოყენებას ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიცია აქვს. ცხა-
დია, რომ არა ცენტაურის მისტიკურობა, არამედ სრულიად სხვა რამ
არის შემომოყვანილ კონტექსტში იღუმალებზე მიმანიშნებელი, ისევე
როგორც ქვემოთ ციტირებულ სტრიქონებში ქიმერა და მასზე ჩვენი წარ-
მოდგენა როგორც ლომისთავიან, თხისტანიან და გველისკუდიან ურჩხ-
ულზე, ტექსტის აღქმისას არ მონაწილეობს:

ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს.

(„ლურჯა ცხენები“)

საგანთა მიღებული წესრიგის დარღვევა, სიტყვათა შორის უჩვეულო
სემანტიკური მიმართებებით რომ ვლინდება, სხვა, არაემპირიულ სი-
ნამდვილესთან შეხვედრის მოლოდინს აჩენს. იღუმალებაც აქედან მო-
დის.

მისტიკურისა და ფანტასტიკურის ურთიერთშერევა და ხშირად აღ-
რევაც იმით არის გამოწვეული, რომ მათ მოტივირებათა თავ-თავიანთ
საცაგებში ზოგი საერთო ხერხი მოეპოვებათ (იღუმალი ხმები, მოჩვენებე-
ბი, სიზმარი, ჰალუცინაციები, შეშლილობა...) და თითოეული ცალ-ცალკე
ოპოზიციებს ქმნის რეალობასთან დაპირისპირებით ამასთანავე, იღუმალე-
ბაცა და ფანტასტიკაც, რადგან ოროვე ირეალურთან არის დაკავშირებუ-
ლი, ავტორისა და მკითხველის (ისინი მხოლოდ ფუნქციურად განსხ-
ვადებიან) წარმოსახვის უნარს მოითხოვს. ეს წარმოსახვა, შესაძლოა
სამყაროს გაორების უნივერსალური ინტუიციის გამო, რეალობად აღიქმე-
ბა, როგორც უცნაურიც უნდა იყოს ამ რეალობის ფორმები. მისტიკური
განცდა არ ახლავს იმ უჩვეულო-უცნაურ ამბებს, როცა ადამიანის სხე-
ულს სცილდება ნაწილი და მთელისაგან დამოუკიდებელ ცხოვრებასა თუ
აზროვნებას იწყებს, იქნება ეს პეტერბურგში (ნ. გოგოლის „ცხვირი“),
თუ, ვთქვათ, ბუენოს-აირესში (ხ. კორტასარის „ხელის მდებარეობა“).
საქართველოშიც მომხდარა „ისტორიაში ჩაწერის ღირსი ამბავი“,

* „ფრთიანი (?) ქიმერა“ შეიძლება პოეტის მიერ საგანგებოდ შექმნილი სახე
იყოს და არა შეცდომა.

როგორც გაქა გვაუწყებს: „მუცელა ოთხ ნაწილად გაიყო: ერთი — თვით მუცელა, მეორე — მუცელი, მესამე — ჭკუა და მეოთხე — სული. ეს ოთხი ნაწილი დაეტაკნენ ერთმანეთს და შეექნათ სამინელი ბრძოლა“. ეს სიურეალისტური პასაჟი ზღაპრიდანაა, რასაც ავტორიც სათაურთან მიუთითებს. სხვაგვარადაა საქმე გოგოლთან, რომელიც მოთხრობას ასე ამთავრებს: "Но что страннее, что непонятнее всего, это то, как авторы могут брать подобные сюжеты. Признаюсь, это уже совсем непостижимо... Во-первых, пользы отечеству решительно никакой; во-вторых... но и во-вторых тоже нет пользы... Кто что ни говори, а подобные происшествия бывают на свете: редко, но бывают". კორტასარიასთვის კი ამგვარი ამბები თურმე ჩვეულებრივი ყოფილა: „ჩემთვის ფანტასტიკური მხოლოდ იმაზე მითითებაა, რომ სადღაც... ჩენი რაციონალური აზროვნების სიფხიზლის მიღმა, არსებობს გამართულად მოქმედი მექანიზმი, რომელიც ლოგიკურ გააზრებას არ ემორჩილება, მაგრამ ზოგჯერ, როცა ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრება, თავს გვაგრძობინებს“. საყურადღებოა შემდეგი განცხადებაც: „ლიტერატურა ჩემთვის ყოველთვის იყო თამაშის სფერო. მე ის ყველაზე სერიოზულ თამაშად მიმაჩნია“. ეს სიტყვები გამოდგებოდა გოგოლის ბურლესკურ-რიტორიკული კითხვის პასუხად — უცნაურია, როგორ შეუძლია ავტორს მსგავსი სიუჟეტები გამოიყენოსო. როგორც ჩანს, შეუძლია, თუ ის თამაშობს და ამ თამაშით ეთიშება ერთგვაროვან, გამოზომილსა და მოსაწყენ ყოველდღიურობას.

**დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქერით გართული,
იყოს შზეთა ორგია და მაგია მთვარისა,
ვიყო ამ ღრიანცელში მარად ზელაღმართული,
ლანდი — არაქვევნიურ დარდით გადამწვარისა.
(„ეფემერა“)**

ეს ძველი თამაშია. შესაძლოა ლიტერატურაზე უფრო ხანდაზმულიც. არაქვევნიური, მიღმური, იდუმალი სამყარო საიმედო თავშესაფარია. ამ სამყაროში ქმნის პოეტი საკუთარ, უკვე მესამე, სამყაროს, სადაც პირველი ორიც (რეალურიცა და ირეალურიც) ახსოვს. მაგრამ ახსოვს, როგორც მეტოქენი, რომელთა ურთიერთბრძოლის პოლიგონად თვითონ ქცეულა. მან იცის, რომ მხოლოდ სიზმარშია უბედურება მირაჟი, ხოლო ბედნიერება — სინამდვილე, თორემ ცხადში — „ბედნიერება არის მირაჟი, უბედურება კი რეალობა“ („ჰეინეს სტრიქონის გამო“). რეალურისა და ირეალურის ამ ოპოზიციაში სული თავს ბედნიერად ირეალურში გრძობს:

ჭიხამიღებზე მატალი...

წიგნის გვერდები ჩამოშლილი და არეული
ინახავს ამ დღეს ჩუმი, ცბიერი,
მასში მარხია მოჩვენება სიზმარეული,
სული შეშლილი და ბედნიერი.

(„შეტები იღვა რუხი, პიტალო“)

მაგრამ ირეალური სამყაროს იღუმალემა ადვილად განქარდება, თუ
მას მიუახლოვდი, ფხიზელი თვალით შეხედე:

სანამ შორს იყავ... და როდესაც ახლო შეგ ხედე,
სულ არ აღმოჩნდა შენში იგი მიშხიდველობა,
აღარ არსებობს ეს ოცნება უკანასკნელი,
არსებობს მხოლოდ სინამდვილით მოკლული გრძობა.

(„სანამ შორს იყავ“)

თურმე სისორე ქმნიდა „იღუმალ სახეს“, რომელიც „ხელუხლებელი“
იყო როგორც „შხის სხივი“ და „მიუწევდომელი — როგორც ედემი“
(„რაც უფრო შორს ხარ“). მიშხიდველობა, რასაც სიახლოვემ ფარდა
ახადა, „მწარე შეცდომა“ გამოდგა.

ფერნანდო პესოა „დემოგორგონში“ ამბობს:


Tudo menos saber o que é o Misterio!
Superfície do Universo, ó Pálpebras Descidas*,
Não vos ergais nunca!
O olhar da Verdade Final não deve poder suportar-se!
(რაც შეიძლება ნაკლებ ვიცოდე, რა არის იღუმალემა!
სოფლის ზედაპირი — ო, დაშვებულო ქუთუთოები,
ნურასოდეს ნუ აიხდებით!
საბოლოო სიმართლის შხერა აუტანელია!)

ამიტომ: სიმართლე, დამივიწყე! (Ó Verdade, esquece-te de mim!), ამ
სიტყვებით მთავრდება ლექსი.

პესოას ეს სტრიქონები აშკარა აღუზიდა ედგარ, პოს ლექსზე Dream-
Land („სიზმარეთი“), სადაც სწორედ „ქუთუთოების აწევახეა“ ლაპარაკი:

O! it is an Eldorado!
But the traveller, travelling through it,
May not – dare not openly view it;

* პორტ. Pálpebras Descidas, სიტყვასიტყვით: ქუთუთოები დაშვებული
(დახრილი).



იგი ვერსადღენია,
 იგი ბოდღღერნიც,
 რემბოს ღვექსებია
 ანდა გოტიქსი

Never its mysteries are exposed
 To the weak human eye unclosed;
 So wills its King, who hath forbid
 The uplifting of the fringed lid*.
 And thus the sad Soul that here passes
 Beholds it but through darkened glasses.

მრავალტანჯული სულისათვის არსებობს ჯადოსნური მხარე, სადაც იგი შვებას გრძნობს, მაგრამ ამ მხარეში (ასეთია მისი მეუფის ნება) არ შეიძლება ახელილი თვალით სიარული. მის იღუმალებას ჯერ ვერაფერ ჩასწვდომია, აკრძალულია ქუთუთოს აწევა. მწუხარე სულმა, რომელიც აქ დაეხეტება, დაბურული მინით (სათვალით) უნდა ჰკრიტოს იგი. ამ აზრმა, ბოდღღერზე „გავლით“, პერიფრაზირება განიცადა ვერლენთან, როცა მან პოეზიის არსის განსაზღვრისას პირბადით დაბურული თვალები ახსენა: C'est des beaux yeux derrière des voiles და ყველაზე ღირებულად

* ინგლ. the fringed lid სიტყვასიტყვით: მარშიებული ქუთუთო. როგორც ჩანს, ამიტომ „წამწამებად“ უთარგმნიათ (მაგ., კ. ბალმონტს); გამოთქმას „ნახევრად დახრილი წამწამის ქვეშიდან ყურება ან ჰკრეტა“ ხმარობს უკუა. ყველა შემთხვევაში მნიშვნელობა ერთია: რაიმეს დანახვა ბინდში, ბურუსში, რაც მკაფიო და ფხიზელ ხედვას უპირისპირდება.

ჭიხაშიდებზე მაღალი...

გამოაცხადა la chançon grise où l'Indécis au Précise se joint ანუ „ბურუსიანი სიმღერა, სადაც გაურკვეველი ცხადს ერევა“. თვითონ ფრანგ. grise, რომელიც ამავე დროს რუხსაც ნიშნავს, რაც არც თეთრია და არც შავი, ანუ სინათლისა და სიბნელის შერევითაა მიღებული (აქრომატულ „უფერო ფერებს“ არა სხვიის დაშლა, არამედ სინათლის ინტენსიობა განსაზღვრავს), ასევე არაფხიზელს, მთვრალსაც აღნიშნავს. სიტყვის სამივე მნიშვნელობა (ბურუსიანი, რუხი, მთვრალი) გამჭვირვალეობას მოკლებულ, შემღვრეულ აღქმას გულისხმობს, მაგრამ თითოეული ცალ-ცალკე იდუმალების სამ ასპექტზეც მიუთითებს ამასთანავე. ესენია: გაურკვეველობა, ნათლისა და ბნელის შერევა (იდუმალებაში არის ორივე — ღმერთიცა და დემონიც) და არაცნობიერობა. ფაქტობრივად ეს არის იმ მეტაფიზიკის არამატერიალური სამი საყრდენი წერტილი, რომელიც თავისთვის შეიქმნა ედგარ პო. ამ მეტაფიზიკის ნაწილია სიზმარეთი ("Dream-Land"), სიზმარი სიზმარში ("A Dream within a Dream"), ოცნების მსგავსი სიზმარი, რომელიც უღიმღამო რეალობას სჯობია: 'Twere better than the dull reality; ცხოვრება — სიზმარი: my young life were a lasting dream! ("Dreams"), აჩრდილისებრი ბურუსი მთაზე, ბინდი-აჩრდილი — the mist... shadowy (შდრ. „აჩრდილი ბინდის“ — „მშვიდობის წიგნი“); გაურღვეველი ბურუსი — the mist... yet unbroken (შდრ. „იყო ბურუსი გაურღვეველი“ — „იყო“) რომელიც იდუმალებათა იდუმალების სიმბოლო და ნიშანია:

Is a symbol and a token — ...

A mystery of mysteries.

(*"Spirits of the Dead"* „მკვდართა სულელებს“)

ამ მეტაფიზიკის ნაწილია მწუხარე სული — the sad Soul, დემონები, სერაფიმები (And seraphs sob „და ტირიან სერაფიმები“; შდრ. „და სტიროდნენ სერაფიმები“ — „მგლოვიარე სერაფიმები“), აჩრდილები, ლანდები, მოჩვენებები, ჯადოსნური კოშკები, ღამე, რომელიც იდუმალ ქვეყანას სამართლით მართავს:

Where an Eidolon, name NIGHT,

On a black throne reigns upright

(*"Dream-Land"*)

ედგარ პოს მეტაფიზიკა, მისტიკურ ღირებულებათა სისტემითურთ, მეტ-ნაკლებად გაიზიარა მრავალმა წეროპელმა პოეტმა, ნაწილობრივ გაიზიარა გალაკტიონმაც. საყურადღებო ისაა, რომ აქ მისტიკისა და

ფანტასტიკის შერწყმა მოგვაგონებს პირველყოფილ სინკრეტულ მსოფ-
ლგაგებას, როცა იღუმალება სამყაროს აღქმისა და ესთეტიკის ერთად-
ერთ საფუძველს წარმოადგენდა, ოღონდ პოს შემთხვევაში საქმე გვაქვს
არა სინკრეტიზმთან, არამედ რთულ სინთეზთან, ახალ ინტელექტუალურ
სამყაროსთან, რომლის შექმნაშიც მონაწილეობს „გამჭრიახობის დემო-
ნი, ანალიზის გენია, ლოგიკისა და წარმოსახვის, მისტიკურისა და ზუს-
ტი გამოთვლის უმაცდურეს შერწყმათა გამომგონებელი, გამონაკლისო-
ბათა ფსიქოლოგი, ლიტერატურის ინჟინერი, ხელოვნების ყველა შესა-
ძლებლობის გამაღრმავებელი და გამომყენებელი“ (პ. ვალერი). შემთხ-
ვევით არ არის, რომ ედგარ პოს, პოეზიის სხვადასხვა მიმდინარეობების
გარდა, თანამედროვე სამეცნიერო ფანტასტიკისა და დეტექტიური
პროზის მამამთურადაც მიიჩნევენ. აღსანიშნავია, რომ პოს მეტაფიზიკა
აზრებსა და იდეებს აჩენს ისე, რომ ამ აზრებისა და იდეების შემადგენ-
ლობაში თვითონ არ შედის. ამ მხრივ ედგარ პო უნდა ჩაითვალოს კაფ-
კას, როგორც „სულთა თავგადასავლებისა“ და უცნაურობათა „დიდი
ექსპერტის“ წინამორბედად, რომელიც მისტიკის ურთულეს ტექნოლო-
გიებს ფლობდა. ყველაზე იღუმალად ის ადამიანს თვლიდა, მის ღრმად
დამალულ ქვეცნობიერს, რის ამოცნობასა და მანიფესტაციას მხატვრუ-
ლი, ე. ი. რთული, სახეებით ეწეოდა. სამწერლო შემოქმედების უწინარეს
პირობად კაფკას მიაჩნდა არა სიფხიზლე, არამედ „ბნელ ძალებთან ძირს
ჩასვლა, სულების განთავისუფლება... და სხვა ამგვარი, რაც ფსკერშია
დალექილი და რაც ზემოთ, მზის შუქზე შენი ამბების წერისას უკვე აღარ
იცი. შეიძლება არსებობს სხვაგვარი შემოქმედება... მე მხოლოდ ასეთი
ვიცი და მასში დემონურს ძალიან ცხადად ვხედავ“, — წერდა იგი.

**ზღვას, უდაბნოს და დემონებს ჩემი ბედისწერა
შეჩვევია და სიმღერა მხოლოდ მათთან მჯერა.
(„ბედისწერა“)**

რა თქმა უნდა, არც კაფკასთან და არც გალაკტიონთან დემონი და
დემონური მანინცადამანინც თეოლოგიური აზრით არ უნდა გავიგოთ ეს
რალაც თვითნებური, გონების კანონების დაუმორჩილებელი რამაა:

**მე სული ვარ შემომქმედი შეუზღუდველ სულთა თანა,
სამუდამო, — როგორც ღმერთო, დაუძლევი, ვით სატანა.
(„უხილავი“)**

ამგვარი შეუზღუდველობა, „მეს“ უკიდევანო თავისუფლება მხოლოდ
ირეალურში — სიზმარშია შესაძლებელი:

ჭიხაძეებზე მაღალი...

განახლდებოდი იდუმალ და ნაზ სიზმრების მხარეში,
მათთან, რომელთაც კვლავ უყვართ ლალ არწფივით თარეში.
(„ფანტაზია“)

მხოლოდ სიზმრისა და ოცნების სტიქიაში იმსხვერვეა ბორკილები,
რითაც ყოფიერება გვბოჭავს, ვთავისუფლდებით „რაციონალობის ხუნ-
დებისაგან“ (ა. ბრეტონი):

Когда на бессонное ложе	Откинув докучную маску,
Рассыплются бреда цветы,	Не чувствуя уз бытия,
Какая отвага, о боже,	В какую волшебную сказку
Какие победы мечты!	Вольется свободное я!


(И. Анненский, "Который")

„წინ! იმ უსაზღვრობაში მწუხარებას აიტან“, — ამბობს გალაკტიონ-
ნი, ვისთვისაც ქრება „უკანასკნელ ძებნათა სვედიანი საზღვარი“ და ვის
სულსაც ეფემერული საზღვარი სწყურია, როგორც უსაზღვროებას.
თავისუფალი შემოქმედების დაუსაზღვრავსა და იდუმალ სივრცეში გადა-
ნაცვლება მარტო ემპირიული ყოფიდან გაქცევა და სოფლის ამაოებისა-
გან თავის დაღწევა როდია, როგორც ამას ერთგან გალაკტიონი ამბობს:

ქვეყნიურ ამოებისგან დამიფარაუდა ცის კალთა,
ალერსი ანგელოსების და მღუმარება მწვერვალთა.
(„ფანტაზია“)

ის არსებულის ალტერნატიულსა და არსებულზე უკეთეს ქვეყანაში
დამკვიდრებაცაა. ამგვარ ქვეყანას ედგარ პო ელდორადოს უწოდებს,
რომელსაც ადამიანის მაღალ ძიებათა და მისწრაფებათა სიმბოლოდ
აქცევს. ლექსში „ელდორადო“ მოთხრობილია, თუ როგორ დადის და
ყველგან ეძებს ელდორადოს მხიარული მხედარი, დრო გადის, მას ასაკი
ემატება, ნაღველი ეპარება, მაინც ეძებს, მაგრამ ვერსად პოულობს საოც-
ნებო ქვეყანას. როგორც ჩანს, გალაკტიონი ედგარ პოს მხედარზე მიგ-
ვანიშნებს, როცა წერს:

ამ დროს მომესმა სვედიანი სიმღერა გზაზე,
გზაზე მხედარი ოცნებობდა სხვა ქვეყანაზე,
გადაიარა ჩემთა თვალწინ და მიიძალა,
სამარადისოდ გაურღვევი აღმიძრა ძალა.
მე მივდიოდი მარტოდმარტო სვედიან გზაზე,
მე ისევ ისე ჟოცნებობდი იმ ქვეყანაზე.
(„თვალუწვედენელი, დაუსაბამო“)



იგუე ალუზია სხვა ლექსშიც:

და მუდამ გულში გავზრდი იმ იმედს,
რომ სადღაც არის ისეთი მხარე,
სადაც ედემი ჰეპუვის შვიანი,
სადაც არ არის სული მწუნარე.

(„მე ამ ყვავილებს“)

ელდორადო რომ იდუმალებათა ქვეყანაა, „სიზმართში“ გარკვევით ჩანს, ხოლო ლექსში „ელდორადო“ ამაზე აჩრდილის სიტყვები მიუთითებს, რითაც იგი მხედრის შეკითხვას, თუ სად არის ელდორადო, უპასუხებს:

"Over the Mountains
of the Moon,
Down the Valley of the Shadow", — მთვარის მთებს ზე-

მოთ, აჩრდილთა ველს ქვემოთ.

განცალკევებულად და სადმე სხვაგან არ გგულება იდუმალება ოსკარ უაილდს, რომელიც თავის აღსარებაში De Profundis წერს: „გოტიეს მსგავსად, მეც ერთი იმათგანი ვიყავი pour qui le monde visible existe (ფრანგ. ვისთვისაც არსებობს ხილული სამყარო), მაგრამ ახლა ვიცი, რომ მთელი ამ სილამაზის მიღმა როგორ სიხარულსაც არ უნდა გვანიჭებდეს იგი, იმალება რაღაცა სული, რომელიც ვლინდება ფერებსა და სხვადასხვა ფორმაში. დავიღალე ჩემი გარემოცვის კონკრეტულობით მისტიკური ხელოვნებაში, მისტიკური ცხოვრებაში, მისტიკური ბუნებაში — აი ის, რასაც მე ვეძებ და მგონია, რომ ვიპოვი იმას, რასაც ვეძებ დიდ სიმფონიათა თანახმიანობაში, მარადიული სვედის იდუმალებაში, ზღვის ბნელ სიღრმეთა ფსკერზე, სულერთია, სად იქნება, აუცილებლად უნდა მოვებნო“. სხვათა შორის, მისტიკა, როგორც თხრობის თავისებური კონტექსტი, უფრო ადრე უაილდმა „დორიან გრეის პორტრეტში“ გამოიყენა, რითაც რეალურ სახეებს სიმბოლური ხასიათი მიანიჭა.


ამგვარად, არის იდუმალება, რომელიც რეალური საგნების უკან დგას, ანუ ამ საგნების იდუმალი სახე (გაორება) და გამოგონილ-ირეალურის იდუმალება. არსებობს აგრეთვე იდუმალების ხელოვნურად შექმნის ტექნოლოგიები. ერთ-ერთ მათგანს აღწერს ძიუნითარი ტანიძაკი შესანიშნავ ესეში ჩრდილის შესახებ, სადაც იგი ცდილობს მკითხველი აზიაროს იმ მომხიბლავ იდუმალებას, რომელსაც იაპონელები შუქ-ჩრდილთა განაწილების მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ოსტატობით აღწევენ. იგი წერს: „ვფიქრობ, „აღმოსავლეთის იდუმალება“, რაზეც ევროპელებს ასე უყვართ ლაპარაკი, მათ წარმოდგენაში წყვედიადისათვის ნიშანდობლოდ შემადრწუნებელ სიჩუმეს ემყარება. აუხსნელი შიში განგვიცდია ბავშვობაში, როცა

ნიშის სიღრმეში შეგვიხედავს. ამ იდუმალების გასაღები ჩრდილის-მაგიურ ძალაშია. იგი რომ ნიშის ყველა კუნტულიდან გამოგვედევნა, ნიშა ცარიელ ადგილად იქცეოდა. გენიამ შთააგონა ჩვენს წინაპრებს, ცარიელი სივრცე ისე შემოესაზღვრათ, რომ იქ ჩრდილის საუფლო დამკვიდრებელიყო. ჩრდილმა შექმნა იდუმალება. თითქოს უბრალო ფოკუსია, მაგრამ სინამდვილეში ყველას არ ძალუძს მისი გაკეთება“. იაპონური „ნოს“ თეატრის ძირითადი ელემენტიც სიბნელეა, რომელიც თავისებურ სიღამაზესა და რაღაც განსაკუთრებულ, იდუმალებით მოსილ ჩრდილის სამყაროს ქმნის.

ტექსტში, სადაც ხილული მხოლოდ ასოებია, სხვა არც რაიმე ჩანს და არც რაიმე ისმის, ოპტიკურ-აკუსტიკური ილუზიები, ფსიქოლოგიაში ცნობილი შარპანტიეს ეფექტი და სხვა ამგვარი ფოკუსები გამორიცხულია. მაგრამ არსებობს სიტყვათა მიმართებებით შექმნილი იდუმალება და ეს იდუმალება შეიძლება ნამდვილი იდუმალებაც იყოს და ცრუც, ჩვენ კი ყოველთვის ვერ განესაზღვროთ, როდის უნდა ვთქვათ წმინდა ავგუსტინესაგან non est mendacium sed mysterium — ლათ. არა არს სიცრუე, არამედ იდუმალება.

მუსიკაში, კინემატოგრაფიაში, თეატრსა და ხელოვნების ისეთ სივრცით სახეობებში, როგორცაა მხატვრობა და ხუროთმოძღვრება, იდუმალების შექმნის სხვა ხერხები არსებობს. იდუმალების განცდასაც აქ თვისებრივად სხვა ხასიათი აქვს. აღმქმელი ამ შემთხვევაში უშუალოდ, საკუთარი გრძობათა ორგანოებით მონაწილეობს, ცხადია, არ ვგულისხმობთ მხოლოდ ჩვენს მემკვიდრეობით ანატომიას, იგულისხმება შეგრძნებებსა და სახეებს შორის, ანუ, იუმის ტერმინოლოგიით, შთაბეჭდილებებსა და იდეებს შორის მიმართებებიც. სიტყვათა საშუალებით კი შეიძლება გავიგოთ ისიც, რაც აღარ აღიქმება, რისიც მხოლოდ გახსენება ხდება, გახსენება ენობრივ ცოდნაზე დაყრდნობით. ამ ცოდნის სფერო სულ უფრო და უფრო ფართოვდება და როგორც ბ. რასელი ამბობდა, ბოლოს შესაძლებელია ადვილად იქნეს დავიწყებული ის, რომ სიტყვიერ ცოდნას რაღაც მიმართება აქვს გრძობით გამოცდილებასთან. ეს რომ არ იქნეს დავიწყებული, შეიძლება ამიტომაც არსებობს პოეზია.

თ. ელიოტი ერთ-ერთ ესეში წერდა: „მხატვრული ფორმით ემოციის გამოხატვის ერთადერთი საშუალება „ობიექტური ჯორელატის“ არსებობაა, ანუ — არსებობა მთელი რიგი საგნების, სიტუაციების, მოვლენათა ჯაჭვების, რომლებიც ამ ემოციის ფორმულა შეიძლება გახდეს“. ყურადღება მინდა მიაქციოთ იმას, რომ აქ ემოციის გამოხატვაზეა ლაპარაკი და არა მკითხველში ამ ემოციის იდენტური ემოციის აღძვრაზე. ხშირად ეს ერთი და იგივე პოინთია, თორემ მაშინ რა აზრი ექნებოდა მხატვრულ-ფორმასო, გოგოლისა არ იყოს, пользы отечеству решительно никакой. ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ „იდუმალების ფორმულები“, „იდუმალების სიგნალები“ ყოველივე იმას (ბურუსს, ბინდს, სიზმარს, შორეულს, უსაზღვროს და ა. შ.), რაზეც ზემოთ გვქონდა



საუბარი. ფორმულაცა და სიგნალიც გამოცნობას მოითხოვს, მაგრამ გამოცნობა მხოლოდ მსგავსებას მოიცავს და არა იგივეობას. გამოცნობის საფუძველი მეტსიერებაშია, სადაც ჩვენი გამოცდილება ილექება. თუ გამოცდილება არ გვექონია, დანაღვეიც არ გვექნება. იღუმალების შესახებ ცოდნა ჩვენთვის წმინდა ვერბალური იქნება მანამდე, ვიდრე არ „ვიხილათ“, არ ვიგრძნობთ მას. იღუმალების შეგრძნება (შთაბეჭდილება) იღუმალების სახის (იდეის) პროტოტიპია, მათ მსგავსებას კი ის ფაქტი ამაგრებს,

რომ ორივე ერთი და იმავე სიტყვებით გამოიხატება. იდეის გაქრობა ქმნის ჩვევას, მიუხედავად იმისა, რომ შთაბეჭდილება მერე არასოდეს მეორდება. არსებითი მანაც ის არის, რომ ენის საშუალებით ერთი ადამიანის გამოცდილება სხვა ადამიანთა გამოცდილებად იქცევა. სხვათა დამოწმებით გვიხდება ვირწმუნოთ ის, რისი მაგალითიც ჩვენს გამოცდილებაში არ მოიძიება. ენა იმთავითვე ემსახურება მეტ-ნაკლებად მუდმივი ობიექტების რწმენის გარეგან გამოხატვას, ანუ მის გამოტანას გამოხატულების პლანზე.

გაურკვევლობა და ბუნდოვანება იღუმალებას თავისი ბუნებიდან გამომდინარე ახასიათებს, რაც განსაზღვრავს მისი ვერბალური ფორმულების იმი-სდა მიხედვით შერჩევას, თუ რას გამოხატავენ და არა აღნიშნავენ სიტყვები.

მე ლაუვარდიდან ვპოვე ზეცები,

მაგია ბინდის, მაგია მთვარის.

(ვარიანტი)

რა მაგია შეიძლება ჰქონდეს ბინდს, რისი მოპოვებაც, დაუფლებაც პოეტს შეუძლო? ან რისთვის სჭირდებოდა ეს ჯადოქრობა? ნებსით თუ უნებლიეთ შემოქმედმა გათქვა იღუმალების ფორმულის საიდუმლო.

ო, რა თქმა უნდა, ბრძოლა
დაუნდობელი მოდის,
მოაქვს ახალი ქროლა
სამოქალაქო მოტივს,
გამოურკვევლად მიდის
მოსაგონებლად მწარე
გამოურკვეველ ბინდის
და მისტიციზმის მხარე.

(„წარწერა წიგნზე“)

ბოლო სტროფში პოეტი იმ წუთამდე შექმნილ თავის პოეზიას ახასიათებს, რომელსაც გაურკვეველი ბინდისა და მისტიციზმის მხარესთან აიგივებს. „ახალი ქროლა“ გაფანტავს ბინდს, რადგან ის მოდის, ხოლო მისი მოსვლის გამო მიდის იდუმალება. „სამოქალაქო მოტოვი“ არ შეიძლება იყოს ბუნდოვანი, იქ ყველაფერი გარკვეულია, გამოთქმული და გამოაშკარავებული. მოვიშველიებთ ზ. კიკნაძის სიტყვებს წერილიდან „გალაკტიონის ცეცხლი და ბურუსი“: „გამოთქმის პლანში პოეტურად ღირებული მხო-



ლოდ ის არის, რაც არსებითად გამოუთქმელ-გამოაშკარავებელი რჩება“. სწორედ ეს იგრძნობა იმპლიციტურად პოეტის ტექსტში, დისკურსის დონეზე კი — სინანულიც. მკვლევრის მიერ ერთი უსათაურო ლექსის („სანამ წვიმა გადავლიდეს“) ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული დასკვნა გალაკტიონის პოეტიკის შესახებ უტყუარი აღმოჩნდება მთელი შემოქმედებით მისი ვერიფიკაციისას. ოღონდ გვინდა მოკრძალებით შევნიშნოთ ავტორს, რომ დაზუსტებას მოითხოვს ჩვენ მიერ მოყვანილი ციტატის მომდევნოდ გამოთქმული აზრი: „ფრანგული ლექსის (იგულისხმება ვერლენის Art poétique — გ. კ.) vague და soluble სწორედ ამაზე მიუთითებს: ყოველი თვალისმომჭრელი არაპოეტურია“. უფრო ზემოთ ავტორი წერს: „ფრანგულ ლექსში შვევიძლია ამოვიკითხოთ რამდენიმე ფრაზა და სიტყვა, რომელიც თავის შესატყვისს პოულობს ქართველი პოეტის ლექსში. ეს არის vague, soluble...“ ვერლენის ლექსში სიტყვები vague (ბუნდოვანი, გაურკვეველი, განუსაზღვრელი) და soluble (ხსნადი, განზავებადი), როგორც ზედსართავი სახელები, მიემართება სიტყვა "l'Impair"-ს („კენტი“), რომელიც გასუბსტანტივებულია, თანაც დაწერილია დიდი ლიტერით. საქმე ისაა, რომ ასე უწოდებდა ვერლენი კენტმარცვლიან (სამ, ხუთ, თერთმეტ ან ცამეტმარცვლიან) საზომს, რომელსაც ხშირად იყენებდა თორმეტმარცვლიანი (წყვილმარცვლიანი — paire) კლასიკური ალექსანდრიული ლექსის პარამონიის საპირისპიროდ. ამდენად, ლექსის პირველ სტროფში, რომელიც იწყება სიტყვებით De la musique avant toute chose (ფრანგ. „მუსიკა უწინარეს ყოვლისა“) და რომელშიც აღნიშნული ზედსართავები გვხვდება, ლაპარაკია მხოლოდ მეტრიკაზე, კერძოდ, კენტმარცვლიანი ლექსის, როგორც უფრო განუსაზღვრელისა და ჰაერში უფრო განზავებადის, ანუ ჰაერით მსუბუქის, უპირატესობაზე:

ჭიხამიღებზე მაღალი...

Et pour cela préfère l'Impair
Plus vague et plus soluble dans l'air.

თუ გაეხსენებთ ვერლენის ფორმულასაც: "une poésie soluble dans l'air", ცხადი გახდება, რომ ლექსის აღნიშნულ მონაკვეთში გამოთქმულია პოეზიისადმი მისი ერთ-ერთი მოთხოვნა: ჰაეროვნება ("aérien") და მუსიკალურობა, რასაც, ცხადია, ასევე ესწრაფვოდა გალაკტიონიც, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა.

„გამოუთქმელ-გამოუაშკარაებელია“ სვედაც. სწორედ სვედა და არა წუხილი, რომელიც მოუსვენრობასაც გულისხმობს. სვედა სიმძიმელია. თუ ედგარ პოს დავუჯერებთ, იგი „პოეტურ განწყობათაგან ყველაზე კანონიერია“. „მარადიული სვედის იდუმალებაში“ ეძებდა ოსკარ უაილდი მისტიციზმს. იდუმალია სვედა და სვედიანია იდუმალება გალაკტიონთან:

ვითარცა სვედა
რამ იდუმალი...
(„მშვიდობის წიგნი“).

იგი ვერ სწედება იდუმალობის
სვედიან სახეს, ბინდში დაკარგულს.
(„მწყემსი“)

ამასთან, ისევე როგორც იდუმალება, სვედაც უკავშირდება ბინდს, ნისლს, ბურუსს, აჩრდილს, ღამეს, სიზმარს, ზღაპარს და ა. შ.

ტკბილი ოცნება გამიტაცებს ვით სიზმარ-ცხადი,
მკრთალი სინათლით სვედის ნისლი მიდის და ჰქრება
და რაღაც წმინდა, შორეული, უცხო ქვეყანა
მე მესიზმრება.

(„მე მესიზმრება“)

სხვა მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მათ შორის იდუმალების ისეთი ფორმულებისაც, რომლებიც კოსმოგონიურ მისტიკურობას გამოხატავენ: უსაზღვროება, უნაპირობა, დაუსაბამობა, ქაოსი იდუმალების შემცველია თავისთავად. შევხებით ქაოსის თემას და მხოლოდ ერთი ასპექტით კერძოდ, რა თვლემს მთვლემარე ქაოსში, რომელიც სიჩუმეში ჩაძირულა. პასუხი მოცემულია იმ სამი სტრიქონით, რომლითაც წერილი დაეიწყეთ:

როგორ მალეღვებს მე ყოველთვის იგი სიჩუმე...
მასში იდუმალ ძალით სძინაუს ახალ ქაოსებს.
იგი დელეგაა დაფარული უჩინარ ცეცხლის.

ქაოსი იფარაუს ახლის გაჩენის შესაძლებლობას, ის ისეთი კრეაციული ველია, სადაც ინოვაციის ნაპერწკლები წარმოიშვება. ამიტომ მშვენიერია ქაოსი, როგორც პოტენციითა ერთიანობა, როგორც რაღაც სივრცე, რომელშიც ფარულად, ლატენტურად უკვე არსებობს ყოველგვარი აზრის, მათ შორის, პოეტური აზრის მოძრაობის ყველა შესაძლო ფორმა. სინერგეტიკული თვალსაზრისით, მიმზიდველობა, მომხიბლობა განიხილება, როგორც ერთგვარი შუალედური მოვლენა ქაოსსა და წესრიგს შორის, ხოლო სილამაზე არის არა სრული სიმეტრია, არამედ სიმეტრიის ერთგვარი დარღვევა (წყვილმარცვლიანი ლექსის კენტმარცვლიანით შეცვლის ფარული მოტივი ვერლენისთვისაც ეს იქნებოდა). ქაოსი რომ გალაკტიონისთვის სწორედ ის შემოქმედებითი სივრცეა, სადაც იგი სწორხაზოვნად და მკაცრად კი არ მიჰყვება მისთვის განსაზღვრულ გზებს, არამედ „ხეტილობს“. შესაძლებლის ველზე, ასევე მოგვაგონებს „განვითარების გზათა ველზე ხეტიალის“ სინერგეტიკულ მოდეულს.

სული გაქანდა ზღვაში მოტივედ,
თითქოს ქაოსის ნისლში შევედი.

(„საახალწლო ეფემერა“)

„სული ძალზე ჰაეროვანი სტიქიაა, რომელიც თავისსავე ლაბირინთში იკარგება, თავისსავე უსასრულო შესაძლებლობებში“ — ორტეგა ი გასეტის ეს გამონათქვამი ყველაზე ზუსტად შემოქმედებით სულს ესადაგება.

უთხარ თავის თავს ყოველ წაშში
ათჯერ, ათასჯერ,
რომ გზა გაქსნას
ქაოსს ნაგუბარს,
შენ თვით შენში ხარ სამუდამოდ
დატყვევებული...

(„იყავ გულწრფელი, გაიგონე ხმა ანთებული“)

სულში ნისლის ტბებია
და ქაოსის მხატვარი.

(„დგება თუთრი დღეები“)



მხატვრის სული არა მარტო ხეტიანობს ქაოსურ სივრცეში, მარტო ჩათრეულია გაუთავებელ თამაშში, სადაც არაფერია განსაზღვრული, გარდა თამაშის უზოგადესი წესებისა, ის იკარგება კიდევ ამ იმარსალსა და მოულოდნელობებით აღსავსე ქაოსში:

**ჩემთვის ვველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.
ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება.
(„ეფემერა“)**

მაგრამ ამ ქაოსს აქვს სასაზღვრო ზონები, სწორედ აქ, ქაოსის ნაპირზე ("at the edge of chaos") არსებობს რაღაც, რაც ჯერ გაუსიტყვებელია.

**ის ოცნებაც ქაოსის
ნაპირამდე მივიდა.
(„ლამე, რა მოგფიდა?“)**

და თუ — „ჩემში აღმოჩნდა ბედის მკვეთელი / ჩემში აღმოჩნდა ამფეთქებელი“ (ვარიანტი: „თვალი ქაოსის ამფეთქებელი“),

საკმარისია ქაოსის შერხვა —
იფეთქებს ერთხელვე.
რა პოეზია იქცა ერთ ელვად*.

(„პოემა ვეფხვისა“)

ესე იგი, „გზათა ველზე მოხეტიალე“ სულმა, რომელსაც ბედმაც გაუღიმა, იპოვა გასასვლელი ქაოსიდან (ლაბირინთიდან) რაღაც უფრო გარკვეულისა და ახლისაკენ:

ვინ გააცოფა ლურჯა ცხენები,
ვინ ქაოსებზე გადააჭვნა.

(„გეძებდი ყველგან“, ვარიანტი)

ქაოსი დაიძლია, მაგრამ არ აილაგმა, ის შემოქმედებით ველად დარჩა პოეტისათვის.

გასაოცარია, რომ გალაკტიონის პოეზიაში შევხვდა ყველა იმ აქცენტის ილუსტრაცია, რომლითაც სინერგეტიკა შემოქმედებითი პიროვნების კრეაციულ ლანდშაფტს იკვლევს. პოეტმა ნათულმხილველის ინტუიციით იგრძნო და მზატერული ფორმებით ჩვენც გვაგრძნობინა, რომ სწორედ მთვლემარე და იღუმალი ქაოსი წარმოდგენს კონსტრუქციულ მექანიზმს ისეთი რთული სისტემის თვითორგანიზაციისათვის, როგორცაა, ერთი მხრივ, პოეტი და მეორე მხრივ, მიხი პოეზია. ამასთანავე, პირველის თვითგანახლება (ავტოპოეზისი) მეორის თხზვისას ხდება.

გაკვრით შეფუჭებით ტექსტური იღუმალების შექმნის უფრო რთულ ტექნიკასაც, რომელიც გრამატიკული ფორმების, სინტაქსური სტრუქტურებისა და სტილისტიკური ხერხების სათანადო შერჩევასა და გამოყენებას გულისხმობს. გალაკტიონის პოეზია უსათუოდ საჭიროებს ამ მიმართულებით სპეციალურ კვლევას, რასაც ჯერ პრეცედენტი არა აქვს ჩვენში. ცნობილია უ. ეკოს დახვეწილი ანალიზი ნერვალის „სილვიასი“, სადაც ავტორი უჩვეულო ნარატიული სტრატეგიითა და გრამატიკული ტექტიკით რეტროსპექტიულ და პერსპექტიულ პლანთა გადახლართვით მაგიურ ირეალობას ქმნის. ალბათ სწორედ ამის გამო უწოდა პრუსტმა ამ „სიზმრის კანონებით“ დაწერილ ნოველას „სიზმრის სიზმარი“ („le rêve d'un rêve“). აბსოლუტურად მიუწვდომელის ძიებისას ნერვალი ენობრივი ქსოვილის იმგვარ ბურუსიანსა და „უთარგმნელ“ იღუმალებას ქმნის „სონეტებში („ქიმერები“), რომ მათ შესახებ ალექსანდრე დიუმას თვითონვე სწერდა: „ისინი სულაც არ არიან ჰეველის მეტაფიზიკაზე ან სვედენბორგის


*ტაეპი გადასმულია ჩვენ მიერ

პიხაშიდებზე მაღალი...

„ღირსსახსოვარზე“ უფრო ბნელი და მათი ახსნა, თუკი ეს შესაძლებელია, დააკარგვინებდა მათ თავიანთ ხიბლს... უკანასკნელი სიგიჟე, რომელიც დამრჩა, როგორც ჩანს, იმის რწმენაა, რომ პოეტის ვარ — დე, კრიტიკამ განმკურნოს“. „ზოგიერთ პოეტს აქვს უფლება, აუხსნელი იყოსო“, — ამბობს ამის შესახებ აპოლინერი. პოეზიის აუხსნელობის გამოც წამოვიდა ანტიკური ხანიდან აზრი, რომ პოეტები ბევრს ცრუობენ. სოკრატეც მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ პოეტები ჭეშმარიტებისათვის ცოდნას კი არ მიმართავენ, არამედ რაღაცა სხვა წყაროსო. ჭეშმარიტების მასწავლებელს მხოლოდ ცხად ლოგიკაზე დამყარებული ცოდნისა და ჭეშმარიტების სწამდა. „სიცრუე“, რომლის ახსნაც ჭირს, არც ბუნებრივ ენაშია ნაკლები, ვიდრე პოეზიაში, სწორედ აქედან გადმოჰყვება მას ალოგიკურობა, ორაზროვნება, ირაციონალიზმი. ასეთია ბუნებრივი ენის ბუნება, მაგრამ მას ამისა არ უნდა რცხვენოდესო, ამბობს პ. ვაინრიხი, რადგან „იმაზე ნაკლები ჭეშმარიტება არ არის მასში, რამდენიცაა ლოგიკის ან მათემატიკის ენაში. ამას მაშინვე შევამჩნევთ, თუ ენას მისი საკუთარი და არა მეცნიერებიდან ნასესხები სპეციალური ენის საზომით გაეზომავთ“.

აზროვნებისთვის ყველაზე გაურკვეველიც კი აღიქმება როგორც აზრი, თუ ის გრძნობებითაა გამსჭვალული (კირკვორი, კაფკა, ლ. შესტოვი...). გრძნობებისა კი აუხსნელადაც სჯერათ პოეზიით არ ტყუედებიან. პოეზიით იხიბლებიან. ზოგჯერ კი უფრო ღრმა ჭეშმარიტებასაც სწვდებიან, გალაკტიონის მსგავსად, როცა მან მხატვრის ნათელმხილველობით მეცნიერებას გაუსწრო და სინერგეტიკის წარმოშობამდე გახსნა და გამოხატა შემოქმედი სულის საიდუმლო. თუმცა ამ საიდუმლოში, გალაკტიონსავე რომ დაეესესხოთ,

**რაღაც ამაზე ღრმა, უფრო მეტი
გაუშუქებლად დარჩება მარად.**



ზურაბ კიკნაძე

წმიდა გიორგი და ძველი წისქვილი

გალაკტიონის ლექსების მეორე, 1919 წლის კრებულში, რომელსაც ფრანგული სათაური აქვს — CRANE AUX FLEURS ARTISTIQUES (1914-1919) MCMXIX ტფილისი ანუ „თავის ქალა ხელოვნების (და არა „არტისტული“, როგორც მიღებულია) ყვაილებით“, 102-ე გვერდზე 76-ე ნომრით დაბეჭდილია ოცსტრიქონიანი ლექსი:


LXXVI

წმ.გიორგი

უცნაურ ბინდში გუთნეული მიეყება ჭალას,
ქარი არ არხევს ოქროსფერი მინდვრების ჩალას.
ამოდის მთვარე, საღღაც ქოზში იელვებს კვარი,
იქ, საღაც არაგვს უერთდება მდინარე მტკვარი,
საღაც ცვარი სვამს ზამბახების საგსე ფიალას —
შეგვიანებულ გზით გაფლის ხვესური მწვემსი
და მისი სული ვარსკვლავების სულზე უვრცესი
ოცნებობს მთვარის სითუთრუში, ვით ქანდაკება,
მას თან მიეყება უბრალოთა შშვიდი განგება.
ლურჯ ზღაპარით ხაუსი ფარავს დაწწილ წისქვილს,
წვალი იმტვრევა გადაკეცილ ბროლის რკალებად
და სინათლეში სილამაზით საგსე ალები
ჯოჭამდე თმებით შადრევანზე აირევიან —
არის კოილი, მღელვარება, ცეკვა, სიცილი
ასიათასი და მრავალი ათასი ალის.
ამოდ შიშით შეიშლება გვიანი სული.
აღფრთოვანება-გაგიჟების ხმა არ შეწყდება —
სანამდე რაშით არ წამოვა წმინდა გიორგი!
ხმობა ნელდება, ცა ფითრდება და შზე ამოდის,
წელში მოხრილი ზვირთვით დგას ძველი წისქვილი.

ლექსის სათაური

თავდაპირველ სათაურს, რომლითაც ლექსმა პირველად იხილა დღის ნათელი, მომდევნო გამოცემებში ახალი შეენაცვლა — “ძველი წისქვილი” (ძველი სათაური აკადემიურ გამოცემაშიც არ დაბრუნებულა, ასე გამოატარა ლექსმა საბჭოური ხანა). და ამავე ორი სიტყვით — ძველი წისქვილი — მთავრდება ლექსი. უკანასკნელი აკორდი, თითქოს დასკვნა მასში გადმოცემული ამბისა, ახალ სათაურად არის გატანილი. ვისი ხელითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული ეს ცვლილება — ავტორისა თუ გამომცემლის (რაც შეიძლება ცენზურას, შინაგანს თუ გარეგანს, დაეაბრალოთ), — იგი სიღრმისეულ დონეს ააშკარაუებს: ძველი წისქვილი წმიდა გიორგისთან ერთად ლექსის მთავარი პერსონაჟია, მეტიც — იგი იმ ხილვის “გენერატორია”, რომელიც ლექსის ძირითად შინაარსს შეადგენს. ამჟამად, რომ წისქვილი და წმიდანი ამ ლექსის მდინარეებაში ერთმანეთს უპირისპირდებიან, როგორც სხვადასხვა, საწინააღმდეგო, იქნებ შეურიგებელი კულტურების წარმომადგენლები.



ლიტერატურის მუზეუმში ინახება პერგამენტის ქაღალდზე იისფერი შეღწილი სუფთად გადაწერილი უთარილო ტექსტი ამ ლექსისა სათაურით "ძველი წისქვილი". ორთოგრაფიულ თუ პუნქტუაციურ თვისებებზეა გარდა მნიშვნელოვანია გადაწერის ეპოქისთვის ნიშანდობლივი შენაცვლება: გადაწყვეტ მე-18 სტრიქონში წმინდანის სახელი ანონიმურ ძალად არის ქცეული: "სანამღე რაშით არ წაძოვა სინათლის ალი" (არა ნათელი, არამედ მაინცდამაინც მიწიერი სინათლე!). როგორც ჩანს, ავტორს ლექსი ამ სახით მრავალტომეული გამოცემისთვის გადაუწერია, მაგრამ ავტორის ნება განუხორციელებელი დარჩა: ამ ვარიანტმა ვერსად იხილა დღის სინათლე.

იმპეე მიზეზით ანალოგიური შენაცვლება განიცადა სტრიქონმა "შთა თუთრი, როგორც გიორგის რაში" ლექსში "ალკები თუღლში", წმინდანის სახელი ამოუარდა ლექსიდან: "შთა თუთრი, როგორც მალაღი რაში".

ლექსის სტრუქტურა

გარიტმვის წესი ლექსს ორ ნაწილად ჰყოფს — გარიტმულ და გაურიტმულ პერიოდებად, რაც მის შინაარსობრივ მხარეს ასახავს. პირველი ცხრა სტრიქონი, სადაც გადმოცემულია რეალური პლანი — ლანდ-შაფტი, წყვილ-წყვილად არის გარიტმული: *ჭკლას-ჩაღას, კვარი-მტკვარი, მწყეში-უერცესი, ქანდაკება-განგება*. ხოლო ეულად, უწყვილოდ (თითქოს არაშემთხვევით) არის დარჩენილი მეხუთე სტრიქონი "სადაც ცვარი სვამს ზამბახების საუსე ფიალას", რომელიც ლექსის პირველი პერიოდის ცენტრალური სტრიქონია. მეორე პერიოდი, სადაც ირეალური პლანი — ხილვაა აღწერილი (თითქოს ესეც არაშემთხვევით), გაურიტმავია. უნებლიე რითმა: *რკალეებად-ალეები "ხელოვნების ყვაილებების"* რითმის ფონზე უფრო ბგერითი, ეფფონიური მოვლენაა, ვიდრე რითმა.

ლექსი ნარატიულია, აქვს მარტოეი სიუჟეტი: გუთნეული ბრუნდება შინ, ამ დროს კი მწყემსი ჩამოდის მდინარეთა შესართავთან, სადაც ის საშიში ხილვის მხილველი ხდება. გამოჩნდება ძღვეამოსილი მხედარი წმიდა გიორგი და გაფანტავს ხილვას.

დრო და ადგილი

რაზე მიუთითებს საწყისი სტრიქონი — „*უცნაურ ბინდში გუთნეული მიყვება ჭკლას*“ — დროზე თუ ადგილზე? დროზეც და ადგილზეც. სტრიქონი ნამდვილად ქრონოტოპულია. თუ, ერთი მხრივ, ბინდი დროის განზომილებაა, როგორც დღესა და ღამეს შორის გარდამავალი მონაკვეთი და, როგორც ყოველი შუალედური ჟამი, ის უცნაურია თავისთავად, მეორე მხრივ, ბინდი, როგორც სინათლის კლების შედეგი, ვიზუალურია, მას სიერცულ განზომილებაში გადაუყვართ. ამრიგად, ამ გუთნეულის

მოდრობას ჩვენ ვხედავთ სივრცეში და განვიცდით დროშიც. მთვარის ამოსვლა და ქოხში მბჟუტავი კვარი მიანიშნებს დაგვიანებულ მხენელზე; რომელსაც ელოდებიან იმ ქოხში. გაიბმის იღუმალის კაჟშირი მთვარის ნათელსა და კვარის გაელვებას შორის. დრო გვიანია გუთნეულისთვის, მაგრამ *გვიანობის* თემა აქ არ მთავრდება — ის გრძელდება *შვეკვიანებულ გზით* მავალი მწყემსის — *გვიანი სულის* გამოჩენით. ეს *უცნაური ბინდი* სიმშვიდისა და გარინდების ჟამია (“*ქარი არ არხვეს...*”) და, ამიტომაც, მოლოდინით არის საესე. მაგრამ თუ განიცდის ამ მოლოდინს მხენელი? *უცნაურია* ისიც, რომ ლექსში ერთდროულად ჩანს რეალურ სინამდვილეში თანუხვედრელი ორი რამ: ხვნის პროცესი და მისი შედეგი — მომწიფებული ყანა (“*იქროსფერი მინდვრების ჩალა*”). ჩანს, სოფლური სურათი აქ განზოგადებულია, რაც მიგვანიშნებს პოეტის სურვილზე, სოფლური მკვიდრი სამიწათმოქმედო კულტურის წრიულობა ერთჟამობაში წარმოადგინოს.

მართალია, ლექსის ლანდშაფტი განზოგადებულია, მაგრამ ადგილი, სადაც ამბავი ხდება, უაღრესად კონკრეტულია — ის ერთადერთია ამქვეყნად: ინდივიდუალური და განუმეორებელი. ეს არის ორი მდინარის — მტკვრისა და არაგვის შესართავი. იშვიათია ადგილი საქართველოში, რომელიც ასეთი სიამკარავით გამოხატავდეს იმ საზრისს, რაც ისტორიულმა მოვლენამ ჩადო მასში. ის ერთხელ და სამუდამოდ მოცემულია, მაგრამ ყოველ დღით თითქოს ზამბახივით იმლება თავიდან, ორი მდინარის ყოველი ზვირთის ერთმანეთთან შეხლა-შერთვისას. და მაინც, თითქოს აკრძალვა ედოს, ამ ადგილის ხსენებას გაურბის ძველი ქართული მწერლობა. პირველად და, როგორც ჩანს, ერთადერთხელ — თუ არ ჩავთვლით „ქართლის მოქცევის“ ფუძემდებლურ პასაჟებს — ეს ადგილი ნახსენებია XII საუკუნის ტექსტში. (უახლესი ქართული ლიტერატურიდან აქ შეიძლება გავიხსენოთ კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, რუსული ლიტერატურიდან - ლერმონტოვის “მწერი”). ამ ტექსტში ნიკოლოზ გულაბერისძის (კათოლიკოსი 1176-1190 წლებში) მიერ მოთხრობილია იმ სასწაულისა და განსაცდელის შესახებ, რომელიც მას შეემთხვა სიჭაბუკეში ერთ მთვარიან(!) ღამით, როცა თანამგზავართან ერთად აღიდებულ არაგვზე გადადიოდა. მომყავს ეს მონაკვეთი, რომელიც უბრალო ყურადღების ღირსიც არ გამხდარა, თუმცა ამკარად ბევრს იმსახურებს:

“ვითარცა მოვიწინით სოფელსა მას მახლობელსა არაგვისასა, წინამურს, შემწურებულ იყო ესრეთ, რომელ ყოვლად არღარა ჩნდა, ხოლო ვითარცა პირსა მდინარისასა მოვიწინით, მივხედე კაცსა მას და მოუარისა მიერ ვიხილე, რამეთუ თვალნი დაეწუხნეს ყოვლად და ვითარცა ეკითხე მიზეზი, მომიგო ესრეთ, ვითარმედ: რაჟამს მდინარესა წყალსა ვიხილავ, მყის დაბრუებული ცხენისაგან გარდამოვიჭრები, უს-


ასო ქმნილი ცხოვრებისაგანო. ხოლო მე ვითარცა მესმა ესე, ფრიალ შემინებულ ვიქმენ, რამეთუ მდინარე იგი, ვითარცა ზღვა უფროს ზომისა გარდაცემულ და განმდიდრებულ იყო და მდიდროდა საკვირველად, გარნა ვინადგან სადაჲე ყოვლითურთ დგომისაგან უღონო ვიყუე, მოემართე სასოებითა სვეტისა ცხოველისათა... ხოლო უფროსდა სასოებითა განმტკიცებულმან სვეტისა ცხოველისათა, მოემართე და ზე გარდასრულმან ცხენისაგან მხარნი მოვიდრიკენ და ცრემლით შეუკრდი სვეტსა ცხოველსა და ჯეარსა პატიოსანსა და წყალთა ზედა განეხედენ ნათელსა მოიჟარისასა და სადაცა უკვე რეცა ერთპირად შეიყრებოდა წყალი, ცხენი უკვე დაჟუღლენ ურთიერთას და შთამოუხედ... ხოლო ვინათგან ჭეშმარიტისაჲე ჯერ არს ოქმად, ეთქვა მიზეზიცა უღმობელად წიაღმეყანებელისა ჩემისა: რამეთუ ვიდრემდის წყალსა იმერით ვიყუე, ნათელსა მთეარისასა ესედედი ეკლესიასა ზედა მდგომარესა საკვირველითა რათმე და უცხოთა ბრწყინვალეობითა აელკარებულსა ცეცხლის სახითა სხივითა. ვიდრემდის წყლისა მის მდინარესა შინა ემოგზაურობდით, ესრეთ იხილევბოდა. ხოლო ვითარცა გამოვედით, იგივე ჩეულებსიაებრი ნათელი მოიჟარისა იხილევბოდა. ხოლო გულისხმა ეყუე ძალი ჩვენებისა უცხოთა ამის ნათლისა მის..." (ნიკოლოზ გულაბერისძე, "საკითხავი სვეტისა ცხოველისა..." — საბინინი, "საქართველოს სამოთხე", გვ. 109-110).

"ძალი ჩვენებისა უცხოთა ამის ნათლისა" — ავტორი ლაპარაკობს ამ უცხო ნათლის ხილვის ძალზე — სასწაულზე. შიშისგან სასწარკვეთილ ჭაბუკ გულაბერისძეს მხსნელი "ცეცხლის სახით" გამოეცხადა, ლექსის გვიან სულს ანუ მწვემს კი — თავად მხედარი წმინდა გიორგი. თუმცა ზემოთ ნახსენებმა შენაცვლებამ (*სინათლის ალი*) პარადოქსულად დაუახლოვა ერთმანეთს XX საუკუნის პოეტის წარმოსახვა და XII საუკუნის ბერის სულიერი გამოცდილება. "სანამდე რაშით არ წამოვა სინათლის ალი" — ვკითხულობთ ავტორისავე ხელით გადაწერილ ფეხემპლარში. მაგრამ საკითხავია, როგორ წარმოედგინა პოეტს რაშზე ამხედრებული *სინათლის ალი*? რა ტრადიცია დაუჭერდა მხარს ამგვარ იმაგინაციას? თუმცა ფსალმუნში "რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი — აღად ცეცხლისა" (103:4) ეს ცეცხლის ალი უფლის ანგელოზის გამოვლინების მეტაფორაა. „ხელოვნების ყვაილები“ იცნობს მის ანალოგიურ, თუმცა სეკულარიზებულ სახეს: "გამომადვიდა ღამის ალმა, ნელმა და ქურდმა" (თუ აქ ალი ნამდვილად ცეცხლისეულია და არა წყლისა თუ ხმელეთის მაცდური არსება, "ძველი წისქვილის" ორგინალური სანახაობის მოქმედი პირი).

მეოთხე სტრიქონში "იქ, სადაც არაგვს უერთდება მდინარე მტკვარი" — რას მიგვანიშნებს არაგვი და რას — მტკვარი? აქ ორი განსხვავებული სამყაროა, ორი ნაკადით წარმოდგენილი, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან მოედინებიან, მოაქვთ სხვადასხვა სული და კულტურა, რათა აქ, ამ ადგილას, თითქოს ახალი სინთეზისთვის შეეყარონ ერთმანეთს. მაგრამ სინთეზის ყოველი მცდელობა ეფემერულია.

ერთია ის-სამყარო, რომელშიც მოძრაობს ანონიმური გუთნეული სამიწათმოქმედო სოფლური მკვიდრობის ატრიბუტებით — ყანით, მინდ-

ერებით, ჩალით, ქოხით და კვარითურთ მისი ანთების წამს — თუმცა მასში უცხო, სიმბოლური სამყაროდან იჭრება უცნაური ზოლი: სადაც ცვარი სვამს ზამბახების სვეს ფილას — ეს ხილვას, მაგრამ არა მხვნე-ლის, არც მწყემსის, რომელიც მალე გამოჩნდება მთვარის ნათელზე, არამედ თავად პოეტის, რომელსაც სურს ამგვარად ჭვრეტდეს სამყაროს და, შესაძლოა, საკუთარ თავს ამ სამყაროში. ზამბახი მის მიერვე შექმ-ნილ სინამდვილეში მისი მყოფობის ნიშანია. პოეტი, რომელიც შეჭრილია მწყემსსა და მიწისმუშაკს შორის, ამ ხილვით მყოფობს ამ ლანდშაფტ-ში და ამ დროს, როცა ზამბახი არ უნდა ყვოდეს, შეაქვს მასში სიმ-ბოლურ-ირაციონალური მომენტი მეტაფორის დეფორმაციით (როგორ



სვამს ცვარი ზამბახების ფიალას?). ზამბახები თან სდევნ პოეტს, შუა ზღვაში გასულ გემზეც არ სტოვებენ მას (“ბალი ყელამდი ზამბახებით იყო ნაბური”). ზამბახი, რომელიც ირისის სახელით არასიმბოლურ, რეალისტურად ყოფით-ტრაგიკული სახით იჩენს თავს “ხელოვნების ყვავილებში” (“გაყვიდი გაზეთს, გაყვიდი ირისს, ანდა რვეოლვერს დაეცლი გულში”), მეორე ადგილზეა სიხშირის მიხედვით ლურჯის (19) შემდეგ სითუთრესთან (15) ერთად.

აქეთ მტკვარია და მისი ნაპირი. ამ მხარეს — მხვნელი თავისი მიწიერი ფიქრებით, გასაჭირით და სადარღებელით, როგორც გიომ აპოლინერის ერთ ლექსშია, სათაურით “შემოდგომა” (სადაც ბოლოს ნათქვამია, რომ შემოდგომამ მოკლა ზაფხული): “ნისლში მიდიან ფეხებმოჩროთილი გლეხი და მისი ხარი ზანტად შემოდგომის ნისლში” (Dans le brouillard s'en vont un paysan cagneux //Et son boef lentement dans le brouillard d'automne). მეორე მხარეს არაგვია, რომლის ნაპირს მოკვეება “ხვესური მწყემსი” მწყემსური კულტურის მთავარი ატრიბუტით — მთვარით. ის “ოცნებობს მთვარის სითუთრეში“. მთვარის ამოსვლა გუთნეულის შრომის დასრულების, მხვნელის ქოხში დაბრუნების და, იმავედროს, მწყემსის გამოჩენის ნიშანია. მთელი ამბავი, რაც ხდება აქ, არაგვისა და მტკვრის შესართავთან, მთვარისა და მზის ამოსვლას შორის არის მოქცეული და, საბოლოოდ, მზისა, როგორც ცხადისა, და მთვარის, როგორც ჩვენების, დაპირისპირების ამბავს ამხელს (გავიხსენოთ დაპირისპირებულთა ერთიანობის თემა უსათაურო ლექსში “აქ ხილულ ოცნებას თან სდევნ ჯადონი...”, სადაც დამასრულებელი სტროფი ამგვარად არის აგებული: “ომსა ცვლის მშვიდობა და ნგრევას — შენება, სიტლანქეს სულისას ცვლის სულის მშვენება, წყალს — ღვინო, დღეს ღამე, სიცხადეს — ჩვენება...”).

რა ხდება დროის ამ მონაკვეთში, როცა ცვარი ასე უცნაურად სვამს ზამბახების ფიალას? ვისი გამოცდილება და განსაცდელია ეს ხილვა, რომელიც ლექსის ძირითად შინაარსს შეადგენს? ნამდვილად არა მიწათმოქმედისა, რომელიც მალე კვარით განათებულ ქოხს შეეფარება და ძილს მისცემს თავს. მიწათმოქმედი, რომლის გზის ბოლო არის ეს ქოხი, როგორც უკანასკნელი თავშესაფარი, მიბმულია თავის გუთანს და ყანას, საბოლოოდ კი — მიწას, სადაც თავდახრილი აულებს ხნულებს ხთონური სამყაროს წინკარში. მწყემსი კი აპოლონური მიმოხვრით, განწმენდილი ვარსკვლავების სიკამკაშით, ოცნებობს და უკიდევანოა მისი ოცნება. სურდა თუ არა პოეტს ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა მიწად თავდახრილი გლეხი და ვარსკვლავთმჭვრეტელი მწყემსი? შეიძლება ვიფიქროთ, რომ მწყემსი არაგვის ნაპირს ეკუთვნის, მიწათმოქმედი კი — მტკვრისას? ერთი მთაა, მეორე — ბარი? მიწათმოქმედი



ამა, არს ჯოჯოხეთი და არაეინ მოქმელთა იმისთაგანი განმართლდეს, რომელნი იტყვიან არყოფნასა ჯოჯოხეთისასა... ვაი, კაცნო, ჯოჯოხეთი ერთი ბნელი და მყრალი ადგილი არს გულსა შინა ქვეყნისასა... ამა ჯოჯოხეთსა შინა არიან არათუ მძეინეარენი მწეცნი, არამედ საზარელნი ეშმაკნი, მტერნი აღამიანთანი.

სულხან-საბა ორბელიანი



ტაძარს — მფენელის ნათელის მკევეთრის
პქეია სახელი გიორგის თეთრის.

გალაკტიონი

სახლში ბრუნდება, იკეტება კვარის შინაურ შუქზე, მწყემსი კი გარეთ არის, გაშლილია კოსმოსში, მის წინაშეა მთელი სამყარო, ვარსკვლავეთი. მისი ასპარეზი მთვარის სითუთრეა. მის ბუნებას ეს სამი სტრიქონი ამოწურავს:

და მისი სული, ვარსკვლავების სულზე უერცესი,
ოცნებობს მთვარის სითუთრეში ვით ქანდაკება,
მას თან მიეგება უბრალოთა შვეიდი განგება.

რილკე ლაპარაკობს “მწყემსების ხასიათის სულიერ სიხალვათზე” (die seelische geräumigkeit im Gemüte der Hirten) (წერილი ჰერმან პონგსისადმი, 1924). ეს მწყემსი იმ სულიერი სამყაროს პერსონაჟია, რომელზეც მიანიშნა მორის მეტერლინკმა ესეიში “განძი უბრალოთა” (Teseur des humbles), სადაც ის უბრალოებს, კარლაილის სიტყვების დამოწმებით, დუმილის სამყაროს შეილებად მიიჩნევს. მათია “დუმილის სამყარო, ვარსკვლავებზე უფრო მაღალი“. ვარსკვლავთა შორის მანძილი — სიხალვათე მისი სულის სამფლობელოა. მისი სტიქია და თვისება ფართო სივრცეა, ამავე დროს, ის ზემოდან მოდის, სწორედ მთიდან, დუმილის საუფლოდან; მის ამ ზმაურიან ბარად ჩამოსვლაში მარხია საბედისწერო ხიფათი, რასაც ის საკუთარი ძალით ვერ აიცილებს. ექსპოზიციის (“ქარი არ არბევს ოქროსფერი მინდვრების ჩაღას”) მოჩვენებითი იდილიურობა საფრთხეს ინახავს. მწყემსს აქ საფრთხე ეშუქრება. თავისუფალ სივრცეშია გაშლილი მისი აბელური სული, მაგრამ ამავე სივრცეში მას განფანტვა ეშუქრება. მიწისმუშაკი ქოხს არის შეფარებული, მას სძინავს, მაგრამ იღვიძებს მისი კულტურის ბთონური სული (კაენის სული) და იწვევს ხილვებს, სადაც ბობოქრობენ ვნებები. რაოდენ მტკივნეულია მთიდან, თითქოს ვარსკვლავეთიდან ჩამოსული მწყემსის შეხება დაწერილი წისქვილის სულთან, როცა ის ჩაუვლის მას — უკანასკნელ საფეხურს გუთნეულის გზაზე.

წისქვილი, სამიწათმოქმედო კულტურის ბოლო ეტაპი, მისი ფიზიონომია, რაც მის შინაგან არსებას გამოხატავს, მწყემსის თაღში არამქვეყნიურ, ზღაპრულ სახეს იღებს. ის არ იცნობს მას, ვერ ცნობს მის საზრისს, ის მტრული და საშიშია მისთვის. ის დაწერილია. წისქვილი ფეჟავს გუთნეულის მოწვეულ მარცვალს, მაგრამ ის ფეჟავს ამ სინამდვილესაც, რაღაც სხვა რეალობად გარდაქმნის მას. რაღაც დაძინებულს აღვიძებს, ამოაქვს სიღრმიდან ზედაპირზე რაღაც დიდი ხნის წინათ გაუქმებულ-დაიწყებული. წისქვილი თავისი უცხო და მტრული სახით პირველად ქართულ აგიოგრაფიაში გამოჩნდა ასევე ორი მდინარის შესართავთან, როგორც საფრე და დაბრკოლება წმიდა კაცების გზაზე:

“...ხოლო იწყეს სლვად პირსა მის მდინარისასა დასაუღლით კერძო. და ვითარ

ელეს, მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა. ხოლო იყო მუნ წისქვილი, სახლი რაიმე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა სამშო ეწოდებოდა. და ამას შინა იყენეს კაცნი რაიმე უკეთურნი, ყოვლად მკეცებრივნი, ვითარცა ადგილისა უკაცოისა და უცხოისანი. და ვითარცა მიიწინებინით ადგილსა მას, მაშინ ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, გუეტყოდა: “წმიდანო ღმრთისანო, საით გნებავს სლვამ?” ხოლო ჩუენ გგუენება, რამთა გარეშეწერით შემოვლოთ სიმრგულე მათ ადგილთამ... ხოლო გვიხილნეს რამ კაცთა მის დაბა-წისქვილისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა და ვითარცა ცოფნი წინა რბიოდეს...” (ცხოვრებად ...სერაპიონისი, VIII).

ეს ის წისქვილი არ არის, სადაც წმიდაფქვილნათურქვევი მქვისქვილე, დამეული მგზავრის დამპურებელი ტკბილმოუბარი მასპინძელი, უვნებელი ზღაპრების “გულა” საქმიანობს როგორც ტაძარში, საკურთხეველთან.

“კაცნი უკეთურნი, ყოვლად მკეცებრივნი, ვითარცა ადგილისა უკაცოისა და უცხოისანი”, “ვითარცა ცოფნი” — ასე გამოჩნდა გზად მიმავალი წმიდა კაცების თვალში წისქვილის მიდამო და მისი ბინადარნი, არა ხილვაში, როგორც ლექსშია, არამედ ცხადში. ასე მწყემსი იმ მაღალი სფეროებიდან, სადაც *ოცნებობდა* მისი *უბრალო* და *მშვიდი* სული, ემპირიულად (*ემპირიონ* — ეთერული სფერო) — თავისუფლების სამყაროდან ჩამოდის მიწიერ განსაცდელში — ემპირიაში (*ემპირეა* — გამოცდილების სფერო), სადაც დაბრკოლებად და ხიბლად, სულიერ ხაფანგად ხვდება მას წისქვილი. და როგორ გამოიყურება იგი? ეს ხავსი, რომელიც საფარველად დადებია მას, გადაეცლება და გამოჩნდება მისი ნამდვილი სახე — ახლა რისთვის ბრუნავს მისი დოლაბი და რა ხილვა-ჩვენებას წარმოქმნის იგი? იღვიძებს დასაბამიერი სამიწათმოქმედო-პაგანური სტიქია, რაც იმ ქოხში შეფარებულ მიწისმუშაკს უკვე დავიწყებული აქვს, მდინარეებიდან ამოდის *ასი ათასი და მრავალი ათასი ალი*, წყლის მაცდური, მომხიბლავ-დამღუპველი სილამაზის სულები თუ ასულები *კოჭებამდე თმებით...* არის *კვილი*, *მღელვარება*, *ცეკვა*, *სიცილი* — ორგანოსტული გახელების ყველა გრადაციით *აღფრთოვანება-გავიყვებამდე*. ისინი ავსებენ მთელს არემარეს, რომ გზას ააცდინონ *გვიანი ხული* და დაღუპონ როგორც მენადებმა ორფევსი. აქ ყველაფერი იმის საპირისპირო ხდება, რასაც მწყემსის *მშვიდი განგება* ატარებს.

მაგრამ ეს მხოლოდ ხილვაა, რასაც ლექსში *ხმობა* ეწოდება (*ხმობა ნელდება*), ძველი პაგანიზმის ვიზუალურ-აკუსტიკური ნაშთი, მისი ძველი ხავსივით დაწეწილი სხეულის უსუბსტანციო ფრაგმენტები, რომელთაც მხოლოდ ზღაპრულ-ეფემერული არსებობა შერჩენიათ. ამ სოვრცეშია გადატანილი ალთა და კუდიანთა შაბაში, დიონისური სიმშაგის გვიანი გამოძახილი, რომლის ასპარეზი მთიდან ბარად ჩამომავალი მწყემსის სული ხდება. მაგრამ რას ამბობს ლექსი? — “*ამაო შიშით შეიშლება გვიანი სული*”. და მართლაც, ამაო ყოფილა შიში და ეს ყველაფერი,

როგორც სხვა ლექსშია (“არაგვი”), ზმანება ყოფილა: “გარინდდება მდინარე (ეს არაგვი, ზმანება), ყველაფერი უცნაურ მოსვლას დაგვანება”. აღფრთოვანება-გაგიჟების ხმას — პაგანიზმის უკანასკნელ ეფემერულ ძალთა მოკრების კულმინაციას ზღვარს უდებს დღის მნათობი და მასთან ერთად წმიდა გიორგის გამოჩენა — სხვა ხილვა. წმიდა გიორგი ხომ ხეესურის ოცნებაში, მის შეუმღვრეველ ხილვებშია განუყრელად — ჯვარი და ღვთისვილი, მისი მხსნელი — ბატონი და პატრონი.

და კვლავ თავის ძველ, მოჩვენებით სახეს დაბრუნებული წისქვილი „წელში მოხრილი ზვირთივით დგას“, ვიდრე მისი დოლაბი კვლავ ახალ ხილვას არ გამოიხმობს.

დამატებანი:

I. დაფარული სტიქიის აბობოქრების თემას კვლავ უბრუნდება პოეტი სხვა მასალაში და სხვა გამოცდილების სულისშემკერულ და არანაკლებ საშიშ განსაცდელში. რეოლუციური ხანის მასობრივი, როგორც ასიათასი და მრავალი ათასი ალის, მანიფესტაციები ებაურება “ძველ წისქვილში” გადმოცემულ იმაგინაციას. რაც უნდა ეპოქალური იყოს განსხვავება მათ შორის, ერთია მათი ტემპერამენტი, რასაც სხვა მსგავსებთან ერთად, საერთო სიტყვა “აღფრთოვანება, გაგიჟება” ამხელს.

მოვიყვან ნაწევრებს 1924 წლით დათარიღებული ლექსიდან “ქარი ამწევი ფარღის” (ტ. 2, გვ. 133):

მღერიე ქუჩები, ხიდები, / ნისლი, ზარები / ჩემს დაფიქრებას ზმაურობით ფარავენ მარად; / იხტოზაურის გაღვიძებას ესაღარები, / ოდეს ქარები გრიალებენ: / მსოფლიო წყნარად! / თმაგაწეილი ორატორის / მძაფრი ზახილი / მიეშურება აღელვების / ზღვად და სამუშად, / ჯერ არნახული; ჯერ არ თქმული, / ჯერ არ სმენილი / ხმით გუგუნებენ მოედნები / მსოფლიო ჩუმად! / ხმა იყოლიებს ტრიბუნაზე / ამართულ ღანდებს, / უეცრად მასის გაღარევა, / ელვაზე ჩქარი, / შემრავს პეტერბურგს, ასწევს ლეერებს, / მანიფესტანტებს. / აღფრთოვანება, გაგიჟება, / წყველა, მუქარა, / ჩემს თვალწინ მიდის შეღამების / ელიზიუმად...“

ღანდების ამ მანიფესტაციებმა, თმაგაწეილი (დაწეილი წისქვილივით თუ ალის თმებივით?) ორატორების ძახილებმა, აღფრთოვანება-გაგიჟებამ, მასის გაღარევა და ა.შ. ისევე ჩაიარა, როგორც იმ ხილვამ ძველ წისქვილთან, ამაო შიშით რომ ცდილობდა ხეესური მწყემსის შეშლას.

II. იმავე 1924 წლით დათარიღებულ ლექსში “კაეკასიონის მთების ბლადა“, რომელიც მე-2 ტომის შენიშენების ნაწილშია დაბეჭდილი (გვ. 378), გრძელდება სტიქიის აბობოქრების თემა:

„უღაბურ მთაში, უღაბურ ტყეში, / იქ, კოშკში, ენთო ერთი სანთელი, / რა ცივად დაქრის ქარი და თქეში, / რა მწარედ კენესის კორიანტელი!

მგზაურს კიდევზე უსხლტება ფები, / ათასი ალის კოვის წუხილი, / ხეიდან ხეზე ხრიალებს მები, / ხეიდან ხეზე მიდის ქუხილი!

კოშკში კი მყუდრო ანთია კერა, / ნაპერწყლებს ისერის ყვითული ალი... / ყვითლდება ჩალა შესაკონელი / და მეურმეებს ფეხქვეშ ეგება. / მზეც მთაზე ჩადის და საქონელი / ხეესურთიდან მიერეკება“.

აქაც ბუნების ამბობთან ერთად “ათასი ალის კოვის წუხილმ”. აქაც ჩნდება ხე-

სურეთი. აქაც, როგორც “შველ წისქვილში”, უპირისპირდება ერთმანეთს შინაგანი სიმყუდროვე და გარეთ დარჩენილი გვიანი მგზავრის განსაცდელი, ასევე გაყვითლებული ჩაღა (შდრ. “ოქროსფერი მინდვრების ჩაღა”) და ზვესურეთიდან ჩამორეცილი საქონელი, როგორც განსხვავებულ (თუმცა შერიგებულ) კულტურათა ატრიბუტები.

III. მომდევნო, 1925, წელს დაწერილ ლექსში «ქაჯები, ალები, ჭინკები» (ტ. 2, გვ. 164) გალაკტიონი კვლავ უბრუნდება «შველი წისქვილის» დაშვული ზილვის თემას. ალთა და ქაჯთა ასპარეზი ამჯერად მისი შშობლიური მდინარის ნაპირია. პოეტი აღწერს კუდიანთა შაბაშს, როგორც ყოფილს და ერთხელ და სამუდამოდ გარდასულს, გაუქმებულს:

«მგზავრებს არ უცდის სული ვერაგი // მდინარის ახლო», ...//«და არ დაქქიან, როგორც ზღაპრები, // ცოცხები, ბზები და თავსაფრები // ღამეს შთავრიანს»...// «უქმურთ ჭაობში ცვრით დანაშული // აღარ გაისმის ეს ვრიაშული: // გაქქრა შაბაში!»

ლექსი შთავრდება გათენებით

გათუნდა, მორჩა. დაიწყო დილა
სხივების თოჯა.

და გაიფანტა უსაფრცობაში
ჭინკების გროვა...

და ეს გათენებული დილა, პოეტის ჩანაფიქრით, ეპოქალური და საბოლოოა — იგი უნაშთოდ ფანტაჟს კომპარულ ხილვებს, რათა აღარასდროს განმეორდნენ.

IV. იერონიმუს ბოსნიის ნახატზე „წმინდა ანტონის ცდუნება“ მაცდუნებელი წარმოადგენს სამსართულიან შენობას, რომლის პირველ სართულზე, ქოხის ღია კართან ახალგაზრდა შიშველი მუცტი ეატყიება მსხვერპლს. შუა სართული ბებური როსკიპის სახეა, რომელსაც თავზე ქუდად წისქვილი ადვას. წისქვილი ქარისაა, მაგრამ ის წყლის პირას დგას ან თითქოს შუაგულ ტბორში (სადაც კაცი იხრჩობა), თითქოს „შესაკრებელსა მას შუა წყალთასა“, როგორც „სერაპიონის ცხოვრების“ ტექსტშია. წმ. ანტონის ზურგს უკან მოჩანს მონასტერი — ორი ბერი მიემართება შენობისკენ.

(ნაწარმოების ორიგინალი დაკარგულია; არსებობს ორი ასლი — ერთი ამსტერდამის სახელმწიფო მუზეუმში, მეორე მადრიდში, პრადოში).



ირაკლი კენჭოშვილი

„რამდენიმე დღე პეტროგრადში“

“ტექსტების, კოდების, კავშირებისა და ასოციაციების, თავისი ერთობ ხანმოკლე არსებობის მანძილზე დაგროვილი კულტურული მემსიერების მოცულობით პეტერბურგი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს უნიკალურ მოვლენად მსოფლიო ცოვილიზაციაში“.


იური ლოტმანი

წინამდებარე ნარკვევის მიზანია ამ ლექსის არა სრული ან თუნდაც მრავალმხრივი ანალიზი, არამედ ყურადღების გამახვილება მის ცალკეულ სტრუქტურულ და ლირიკული “მე“-ს თავისებურებებზე.

“რამდენიმე დღე პეტროგრადში“ (გამოქვეყნდა 1919 წელს) გაპირობებული უნდა იყოს არა მხოლოდ გალაკტიონის ხანმოკლე ჩასვლით რევოლუციური ისტერიით შეპყრობილ პეტროგრადში, არამედ აგრეთვე ალექსანდრ ბლოკის პოემით “თორმეტი“. ვფიქრობთ, სტრიქონები — “თორმეტი“ — ალექსანდრ ბლოკის, / “რამდენიმე დღე პეტროგრადში“ — ჩემი“ (“ჯონ რიდი“, 1924) არა მხოლოდ მოგვიანებით დანახულ თემატურ ნათესაობას ასახავს, არამედ იმ ფაქტსაც, რომ გალაკტიონი უკვე იცნობდა “თორმეტი“-ს (გამოქვეყნდა 1918 წლის ოგნისში), როდესაც თავის ლექსს წერდა.

უმთავრესად ბლოკის პოემის თავისებური “ციტირებით“ უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ გალაკტიონი პეტერბურგს ზაფხულში ჩწვია, ხოლო მისი ლექსი, ბლოკის თემის დიამეტრულად განსხვავებული გააზრების მიუხედავად, “თორმეტი“-ს ქრონოტოპოსს იმეორებს: პეტროგრადი ნაჩვენებია არა ზაფხულში, არამედ თოვლიან და ქარიან თვეში (ერთ-ერთი ტაეპის თანახმად, ეს თვე ნოემბერია: “მე, ნოემბერი და პეტროგრადი“). გარდა ამისა, ლექსის ექსპოზიცია პეიზაჟის მოტივებით (თოვლი, ქარი) ჰგავს ბლოკის პოემას, რომელიც იწყება სიტყვებით: “Черный вечер. / Белый снег. / Ветер, ветер!“

რომც გაირკვეს, რომ გალაკტიონის ლექსს არაფითარი გენეტიკური კავშირი არა აქვს ბლოკის ნაწარმოებთან, მათი შედარება მაინც საგულისხმო და მიზანშეწონილია, თუნდაც იმიტომ, რომ ტიციან ტაბიძის “პეტერბურგის“ მსგავსად, გარკვეულ ინტერტექსტობრივ ურთიერთობა-



იური ანენკოვი. ილუსტრაცია „თორმეტისათვის“

ში იმყოფება “პეტერბურგის მითთან” და ამ ინვარიანტის ისეთ შემადგენელ ნაწილთან, როგორცაა ბლოკის ლირიკა.

„თორმეტნი“-ს ლაიტმოტივად გასდევს სიმბოლური ქარისა და ქარბუქის (вьюга) მოტივი. ლექსში “რამდენიმე დღე პეტროგრადში” თავს იჩენს ერთგვარი რეაქცია “თორმეტნი“-სა და ე.წ. “რევოლუციურ-დემოკრატიულ” პოეზიაში ქარის, ქარბუქისა და ციკლონის ექსპრესივებზე (რაც ოდნავ მოგვიანებით ახალი კონოტაციებით აღბეჭდა მემარცხენე ექსპრესიონისტების ლირიკამ). გვიხსენოთ ბლოკის “გასულიერებული” ქარი: “Ветер веселый и зол и рад”, “Гуляет ветер”, “Разыгралась что-то вьюга, Ой, вьюга, ой, вьюга!”, “Это - ветер с красным флагом разыгрался впереди”, “Только вьюга долгим смехом заливаётся в снегах”. ამგვარი ექსპრესივის კონტექსტი უნდა იგულისხმებოდეს გალაკტიონის ლექსის ირონიულ სტრიქონებში:

რა სულიერიც არის ეს ქარი,
ვიცი, მოგვწვინდა ბაიათები!
გარეთ ატლასთა არტვია ჯარი,
შიგნით შაუი აქვს გულისნადები.

გალაკტიონის ლექსში ჩანს ერთგვარი დაპირისპირება ისტორიის “ქარისადმი”, რომელიც “თორმეტნი“-ში რევოლუციის ხედვის პეროიზებასა და პედალიზებას იწვევს. სურდა თუ არა ეს გალაკტიონს,



Петр Петрович
Парфёв (в. Носкин)
1917
Январь 17.

“თორმეტნი“-სა და მსგავს ტექსტებში ქარის “სულიერების“ უარყოფით მისი ლექსი არის ერთგვარი “ანტითორმეტნი“, ანუ იმ ისტორიული მომენტის ერთნიშნა პოზიტიური გააზრების უარყოფა, რომელიც ბლოკს ისტორიულ კალენდართან მიმბმული აქვს დეტალით — “На канате плакат: Вся власть учредительному собранию!“, ხოლო გალაკტიონს ბოლშევიკების ცნობილი ოპონენტების ხსენებით — “მაინც სად გაქრა ეს წერეთელი, / ჩხვიძეც გაქრა, როგორც ასეთი!”

ორივე ნაწარმოებს შორის საერთოა ძალადობისა და განუკითხაობის თარემის ჩვენება. ამ მხრივ ბლოკის პოემაში ყველაზე შთამბეჭდავია კატკას მკვლევლობა, ხოლო გალაკტიონის ლექსში — თითქოსდა სალვადორ დალის სიურრეალისტური სურათიდან მოხმობილი დეტალი: “და როგორც ყორანს დააქვს ბრჭყალებით / პაერში ნაზი ხელები ქალის...“.

ფორმის თვალსაზრისით ბლოკის პოემაში გრავიურული სიმკაცრეა და ზოგჯერ რუსული შაირების (ჩასტუმეების) “უხემობა“ და ნაღველი,

ხოლო გალაკტიონის ლექსში — პოლიქრომია (“დაეშვა თოვლი, ფრინველი ლიბრი...“) და ლირიზმი: “მე, ნოემბერი და პეტროგრადი — / ასეთი კარგი და უდაბური“.

გალაკტიონი პეტერბურგის კულტურულ ინტერტექსტს ყველაზე მეტად ეხმაურება რუსულ ლიტერატურაში ლამის მითოლოგიზებული ნისლის მოტივით (“ამ უცხო ნისლის ბარიკადები / მე მიყვარს, როგორც ჩემი წარსული“; შდრ. ბლოკის — “Мы встречались в вечернем тумане“, “Дыша духами и туманами она садится у окна“, “В туманах, над сверканием рос“ და სხვ.) და “პეტერბურგის მითს“ ისეთი ელემენტებით, როგორცაა ფანტასტიკისა თუ ფანტასმაგორიისა და ყოფითი დეტალების თანაარსებობა: “და როცა ცეცხლში ქანაობს ლაურა, / ბრძების თუნუქებს ტყვენ ლოთები...“

ბოლო სტროფში ჩართული ფრაგმენტი “ეს ბავშვი ტირის!“ თან “პეტერბურგის აგონიის“ (პაოლო იაშვილი) ერთ-ერთი მაილუსტრირებელი და თან გაუბედურებული ბავშვის მოტივზე მიმანიშნებელი ანონიმური ციტატა უპირველესად “პეტერბურგის მითს“ ერთ-ერთ მთავარი შემქმნელთაგანის — დოსტოვესკის “ძმები კარამაზოვები“-დან (ამ მოტივზე გალაკტიონთან იხ.: ზ.შათირიშვილი. “არტისტული ყვაილების“ ერთი ინვარიანტული მოტივი. — გალაკტიონოლოგია. I, 2002, გვ. 159).

ერთ-ერთი არსებითი სხვაობა ამ ორ პოეტურ ტექსტს შორის შემდეგია: ბლოკის პოემაში პეტერბურგში დატრიალებული ძალადობა და ანარქია ტრაგიკული ასპექტია ჰუმანიზმის დამკვიდრებისა; მისი ფინალის თანახმად (რაც ნიკ. გუმილიოვს “ხელოვნურად მიწვებულად“ მიაჩნდა), თორმეტნი წითელგვარდიელი მოციქულები არიან, რომელთაც წინ იესო მიუძღვით გალაკტიონის ლექსი ალტერნატიული ვარიანტებით ბოლოვდება:

თან ასე ვფიქრობ: ეს ბავშვი ტირის!
მე კი, რადგანაც გამძარცვეს გუშინ,
გაუფიდი გაზეთს, გაუფიდი ირისს,
ანდა რვეოლვერს დავიცლი გულში.

მოწმენი ვართ ისეთი შემთხვევის, როდესაც “გვეძლევა ორი სიუჟეტური ვარიანტი და თანაც მკითხველი გაფრთხილებულია, რომ ავტორს ჯერ კიდევ „არ გადაუწყვეტია“, როგორ დაამთავროს თავისი ლექსი. დაუმთავრებლობა და გაურკვევლობა აუწყებენ მკითხველს, რომ მის წინაშეა არა რეალობა, არამედ ტექსტი, რომლის სხვადასხვაგვარი „შეთხზვა“ შესაძლებელი“ (Динамическая модель семиотической

системы. - Ю. Лотман. Избр. статьи. Таллин, 1992, გვ.97).

ამ სტოფში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რომანტიკულ ტრადიციაში წარმოდგენილი რამ — შეუთავსებელი სტრუქტურების, სტილური და სემანტიკური ალტერნატივების შეთავსება, ბინარული მიკროკონტექსტის შემადგენელი ნაწილების სხვადასხვაგვარი კოდირება: “გაყვიდი გაზეთს, გაყვიდი ირისს” - “ანდა რეჟოლვერს დაეცილი გულში”. გაყვიდა “პროზაული”, ყოფითი, ან როგორც გალაკტიონი იტყოდა, “ღლიური პროზის” სინამდვილიდან და სტილიდანაა, ხოლო თვითმკვლელობა, გულში რეჟოლვერის დაცემა “პოეტური” სემანტიკისა და სტილის კომპენტენციას განეკუთვნება. ამ ბინარმის შეუთავსებელი მხარეები გვაუწყებენ, რომ ჩვენს წინაშეა ლირიკული “მე“-ს არა შინაგანი ყოყმანი, არა ჰამლეტური “ყოფნა-არყოფნის” ვარიანტი, არამედ ტექსტი, რომლის სხვადასხვაგვარი აგებაა შესაძლებელი. “თან ასე ვფიქრობ”, - ამბობს ლირიკული გმირი, მაგრამ გადაწყვეტილების ორ საპირისპირო ვარიანტს გვთავაზობს. შდრ. რომანტიკული მოდელი, რომელშიც ყოველთვის გარკვეულია “მე“-ს გადაწყვეტილება: “გარდამატარე ბედის სამზღვარი”, “მოეც მას სადგური მყუდროებისა” (ბარათაშვილი), “Вон из Москвы” (გრიბოედოვი). განსხვავებით რომანტიკოსი ინდივიდუალისტის “გაქცევის” გზისაგან, რომელშიც გაქცევა ყოველთვის დინამიურია, ხოლო მარშრუტი ტოპოგრაფიულად დაუზუსტებელი, გალაკტიონის ლექსში იმდენად გაქცევა არაა, რამდენადაც პეტერბურგის ლოკუსიდან თანდათანობითი გასვლა და თანაც ზუსტი გეზით “და კალუგისკენ გზებს ველოდები”.

რომანტიკულ ლექსში ინდივიდი ყოველთვის მიდის რაიმე ფილოსოფიური დასკვნისაკენ და ყოველთვის რაიმე გადაწყვეტილებას ღებულობს ანარქიული ამბოხების ან მორჩილების სახით გალაკტიონის ლექსში, მრავალი პოსტიმბოლისტური ტექსტის მსგავსად, არ ხდება ტექსტისმიდმა რეალობის რიტორიკული თუ იდეოლოგიური შეფასება. ლირიკული გმირისათვის უცხო და მიუღებელ გარემო არაა ის ადგილი, სადაც შესაძლებელია რაიმე ზუსტი არჩევანის გაკეთება ან გადაწყვეტილების მიღება. მას მხოლოდ კითხვათა რიგი უჩნდება: “კარგია თოვლი, კარგია წვიმა, / მაგრამ, უცნობო, შენ რა დაგარქვა?“, “ათოჯ გამვლელებს და გულცოვ ბაღებს, / სად უნდა ნახო აქ თავის თავი?”

გალაკტიონის ლექსის ლირიკული გმირი ერთსა და იმავე დროს აქტიურიცაა (“მეც ყაჩაღოთ ვარ გამბედავი”) და თან პასიურიც (“კარ-

გია ძილი რკინაზე მძიმე“); ერთი შეხედვით, მყარი ავტორიტარული შეხედულებებიც აქვს (“რა სულიერიც არის ეს ქარი, / ვიცით, მოგვეწყინდა ბაიათები!“), მაგრამ, ამავე დროს, უარს ამბობს თავისი საბოლოო თვალსაზრისი გამოთქვას ტექსტში მოცემულ სინამდვილაზე.

ტექსტში არაა ლინეარული სვლა საბოლოო სათქმელისაკენ, იდეოლოგიური, პროპაგანდისტული თუ რიტორიკული დასკვნისაკენ, რაც ეგზომ გამოკვეთილია ბლოკის პოემის ეპილოგში.

“რამდენიმე დღე პეტროგრადში“ არ მიჰყვება რომანტიკული გაბმული მონოლოგის პრინციპს, ვინაიდან ამ ლექსში სინამდვილის ამსახველი ელემენტები ხშირად არ ექვემდებარებიან მწყობრ და ცალსახა ლოგიკურ ახსნას: “მაგრამ, უცნობო, შენ რა დაგარქვა?“, “სიმები სწქენ შეუწყალებით / ამ გაგიუებას, ვედრებას, ხალისს“, “წყებათ დალქილ ზარების დარდი, / დაღლილ ცხენების სუნთქვა და შური“ და სხვ. ასეთი სემენტები უარს უცხადებენ თანმიმდევრულ და რაციონალურად აგებულ დისკურსს.

“რამდენიმე დღე პეტროგრადში“ ემოციური სიმძაფრით რომანტიკულ ლირიკას ენათესავენ, მაგრამ მრავალი სხვა პოსტ-სიმბოლისტური ლექსის მსგავსად, თავის ტექსტუალურობაზე ყურადღების გამახვილებით, რომანტიკული მონოლოგიზმის არა აღსრულებით, არამედ გათამაშებით, თავისებური “თეატრალურობით“ და რაიმე “იდეის“ შემოთავაზებაზე უარის თქმით, უფრო ახლოსაა არა რომანტიზმთან, არამედ ბაროკოსთან; ამ უკანასკნელთან იმიტომ, რომ “ბაროკო ჭეშმარიტებას ნიღაბსა და ორნამენტში ეძებს; რომანტიზმი ბრძოლას უცხადებს ყოველგვარ ნიღაბს; ბაროკო ამკობს მას, რასაც რომანტიზმი ამიშვლებს... ბაროკო თავის თავს თეატრის საშუალებით გამოხატავს, ხოლო რომანტიზმი — გულწრფელი საუბრის გზით“ (J.Rousset, წიგნში: И. Смирнов. Худож. смысл и эволюция поэтик. систем. М., . 1977, გვ. 120). გალაკტიონის ლექსში “რამდენიმე დღე პეტროგრადში“ არის ინტერტექსტობრივი კავშირების ის ინტენსიურობა და სხვადასხვა ტექსტებით, კრებით, ციტატებითა და რომანტიკული მონოლოგიზმით ერთგვარი თამაშის მომენტი, რაც პოსტსიმბოლისტური ლირიკის ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურებაა.



თენგიზ მირზაშვილი

გოტიეს ნათელი

„კარგია ეხლა თქვენთან, ჩემო ძვირფასო მეგობრებო! მაგრამ სადა ხართ თქვენ, სად დაიფანტებით, რისთვის აღარ მესმის თქვენი აღფრთოვანებული ხმა, გამხნეების ყიჟინა... ჩვენ ხომ ერთად ვიყავით, ერთად ვებრძოდით ცხოვრების ტალღებს, ჩვენ ხომ უერთმანეთოდ გაძლება არ შეგვეძლო, ჩვენ ხომ ასე უსაზღვროდ გვიყვარდა ერთმანეთი. მაშინ ვერ წარმოგვედგინა, თუ ერთმანეთს ასე დაეკარგავდით, ასე დავიფანტებოდით! ო, ბედნიერზე უბედნიერესო დღეებო, სად (არის — თ.მ.) სიყვარული ერთიმეორისადმი, ის გარემომცველი აღტაცება ყოველი აღმოჩენისა, ის გულწრფელი თაყვანისცემა ხელოვნებისა და ხელოვანთადმი. არ იყო ჩვენს შორის შური“.

გალაკტიონის ამ გვიანდელი, უთარილო ჩანაწერის გაცნობისას მეხსიერებაში ცოცხლდება სტრიქონები 1920 წლის 1 ენკენისთვის, ტფილისში შექმნილი ლექსისა „გოტიეს“. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ საუბარი აქც მეგობარ-თანამოაზრეთაგან დაშორებულის განცდებზეა. აქ არის პასუხიც იმ მტკივნეულ კითხვაზე, რომელიც თითქმის საუკუნეა, მოსვენებას არ აძლევს პოეზიის თაყვანისმცემელთა გონებას: რა მოხდა გალაკტიონსა და „ციხფერყანწელთა“ შორის, რამ გათიშა ისინი? იქნებ სულ ამათა ამაღლებულ სფეროებში მათი დაშორების მიზეზთა ძიება, რადგან გალაკტიონს აქ პირდაპირ აქვს დასახელებული — შური. მაგრამ ეს ცალკე განსჯის საგანია, ამჯერად კი სხვა რამ მესახება საინტერესოდ.

რად გამოიხზო უპირველესი პარნასელის — თეოფილ გოტიეს სული გალაკტიონმა, სწორედ მას რად გაანდო თავისი სევდიანი კონფესია, რას ამბობს და რას გულისხმობს ამ აღსარებაში?

თავდაპირველად ლექსი გავიხსენოთ:

გოტიეს

თქვენს მშობლიურ სავანეს დაარქვით პიმოდანი.
იგი მარად ფერობდა დელაროშის ფერებით.
ჩვენ ნათელი გველოდა არამცირეოდენი,
არამცირეოდენი დაფნით და დაფერებით.
ბედნიერი იგი დრო, ეხლა უფრო ანკარა!
თვითეულში ელავდა ბრიუმელი ან ლოზენი.

ნეტავი სად არიან ყველა ეს უანგარო
 პოეტები, მხატვრები, ქალნი მომიმოზენი?
 ირგვლივ მოგონებების თეთრი ნაკადებია,
 ირგვლივ ნაკადებია მსუბუქი და ფარული.
 მყუდრო ბინა ბრწყინადა, როგორც აკადემია,
 გამოთქმებით ცხოვრება იყო ლეგენდარული.
 ჩვენ ვეძებდით რამე ღრმას, გესურდა რამე ქართული,
 რითმა-ნიუანსები, რიტმიული ლანდები.
 სად არიან ყველა ამ მორევებში ჩართული
 მენადები — გედები და ფრთები — ინფანტები? —
 ესლა კი გზა ეკლებზე უფრო უეკლესია,
 არავისთვის არ არის სული უფრო სათელი. •
 ესლა მარტოდ მარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია,
 და საყვდავად მიღიმის ჩამაყალი ნათელი.

ჩანაწერისა და ლექსის ტექსტებს შორის მსგავსება არა მხოლოდ განწყობის
 არამედ პოეტური მეტყველების დონეზეც მეღაწენდება. გარდა მსგავსი სინტა-
 კსური კონსტრუქციებისა, ორივეგან „სად“ და „ჩვენ“ სიტყვათა სიჭარბისა,
 საყურადღებოა ჩანაწერის სიტყვებიც: „აღფრთოვანებული“, „დაიფანტენით“,
 „დაიფანტებოდით“, „შური“ და „ვებრძოდით“, რომელთაც ლექსის ექო
 გამოჰყოლიათ.

თავისებური ეტიმოლოგია აქვს ქართულ სიტყვა „აღფრთოვანებას“, მის
 გულში ფრთების ცემა იხმის, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა ენაზე თარგმნისას
 ეს „ფრთები“ ასე ლაღად არ შრიალებს. სწორედ ეს აღფრთოვანება ახლავს
 გოტიესსადმი გალაკტიონის დამოკიდებულებას, ასე ფაქიზად რომ არის
 გამოხატული ლექსში.

„დაიფანტენით“, „დაიფანტებოდით“... საგანგებო პოეტური სმენა არც
 არის საჭირო, რომ შეიგრძნო ჟღერადი კავშირი სიტყვასთან — „ინფანტები“,
 ხოლო ჩანაწერის გადასახედიდან პოეტურ სახეში — „ფრთები-ინფანტები“,
 გარდა გოტიესს ღირიკაზე ალუზიისა, შესაძლოა, ბგერადი ასოციაციით,
 „ინფანტილური აღფრთოვანებაც“ ამოვიკითხოთ.

თუკი წინა ორი სიტყვა („დაიფანტენით“, „ინფანტები“) ბგერითი მსგავსებით
 არის დაკავშირებული, სიტყვა „შური“ — შინაარსობრივად ზუსტი ანალო-
 გი (სინონიმი) ლექსში ირონიულად ნახმარი სიტყვისა „უანგარონი“ —
 ფსიქოლოგიურ-სიუჟეტურ დონეზე ანტითეზურად მიემართება ამავე სიტყვას
 — „უანგარონი“. ეს ჩანასახია ღირიკული კოლიზიისა.

ასევე საგანგებო დაკვირვებას ითხოვს სიტყვები „ყველა“ („ყველა ეს
 უანგარო“, „ყველა ამ მორევებში ჩართული“) და „მარტო“ („ესლა მარტოდ
 მარტო ვარ“), როგორც ამ კოლიზიის წარმართველი კონტრასტული წყვილი.
 გავიხსენოთ აგრეთვე ანალოგიური დაპირისპირება ლექსიდან „არ ღირს (იმ)

ერთ ცრემლად": „მთელი ღრიანცელი ყველა პოეტების“ — „და ღრმა მოგონებამ მე რომ დამათია“.

რაც შეეხება სიტყვას — „ვებრძოდით“, მკითხველი, ალბათ, გაკვირვებით შენიშნავს, რომ ბრძოლა საერთოდ არ არის ნახსენები ლექსში და მართალი იქნება; მაგრამ ერთადერთ შემორჩენილ ხელნაწერში, სტრიქონში „ჩვენ ნათელი გველოდა არამციროდენი“, „ნათელის“ ნაცვლად „ბრძოლები“ იკითხება. პოეტმა მხატვარ დელაროშის ხსენებით უკვე შექმნა წარმოდგენა ბრძოლებზე დელაროში ფართო საზოგადოებისათვის, გრავიურების გარდა, ცნობილი იყო ბატალური კომპოზიციებითაც.

რაკი დელაროში ვახსენებ აქვე დავახუსტებ, რომ გოტიე თავის ნაწერებში არაერთხელ იხსენებს მას და, როგორც წესი, ირონიულ ან კრიტიკულ კონტექსტში, თუმცა მხატვრის სიკვდილის შემდეგ პოეტმა აღიარა, რომ ზედმეტად მკაცრი იყო მის მიმართ.

მაგრამ მივყვით ისევ ლექსის მდინარებას. პირველი ორი სტრიქონი -

თქვენს მშობლიურ სავანეს დაარქვით პიმოდანი.

იგი მარად ფერობდა დელაროშის ფერებით -

მხოლოდ გალაკტიონის წარმოსახვის ნაყოფია პიმოდანის ანუ ლოზანის სასახლე, რომელიც დღესაც დგას პარიზში სენ ლუის კუნძულზე და 1682-1684 წლებში ავო პერცოვმა ლოზანმა, მრავალი პატრონი გამოიცვალა. 1776 წელს იგი შეიძინა მარკიზ დე პიმოდანმა და ამ დროიდან პიმოდანის სასახლედ იწოდებოდა თითქმის სამოცდაათი წლის შემდეგ მისმა მამინდილმა მფლობელმა ვერომ პიმონმა ბოლდერს მაქირავა ერთი ბინა ამ სასახლისა მოგვიანებით სასახლის სხვა ბინაში შესახლად თოფილ გოტიე ხოლო იქ მცხოვრებმა მხატვარმა ფერან ბუასარმა სასახლეში დააარსა „მოპომიშეთა კლუბი“, სადაც კლუბის წევრები საღამოობით იკრიბებოდნენ და მიირთმევდნენ ინდური ჰამონის (კანაფის), თაფლისა და მიწის თხილისგან დაშადებულ ნაზავს ამ მთაბუკიდოლებზე დაყრდნობით გოტიეს დაწერილი აქვს მოთხრობა „ჰამონის მწვეველთა კლუბი“. სასტუმრო პიმოდანზე იგი „ბოროტების ყვაილებისათვის“ დართულ წინასიტყვაობაშიც საუბრობს და აღნიშნავს, რომ ბოლდერი იქ გაიცნო 1849 წელს.

ასე რომ, „პიმოდანი“, რომელიც გალაკტიონის წარმოსახვით ახალი ხელოვნებისათვის მეტბოლთა გაერთიანების ციტადელია, მათ მიერვე სახელდებული („სავანეს დაარქვით პიმოდანი“), სინამდვილეში სულ სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა. რა თქმა უნდა, იქ არაერთი გამორჩეული ხელოვანი პოულობდა დროებით სავანეს, მაგრამ „პიმოდანში“ თავშეყრილებს აერთიანებდათ არა ლოზუნგი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, არამედ უცნაურ წარმოსახვათა და სიაშოვნებათა, ჰალუციინაციათა სამყაროში მულწვივის წადილი („მიღმა სამყარო არსებობს!“ — გოტიე).



გოტიესავე გადმოცემით, სასახლის ჭერი მითოლოგიური სიუჟეტებით ყოფილა მოხატული, კედლებს კი ამშვენებდა არა დელაროშის, არამედ ძველ ესპანელ და იტალიელ ოსტატთა ფრესკების ასლები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სასტუმროზე საუბრისას იგი ერთხელ მართლაც ახსენებს დელაროშს: „კიბზე შემორჩენილიყო ლამაზმანების აჩრდილები, ოდესღაც ლოზანი რომ ეტრფოდა. აქ იყო არაჩვეულებრივი მარიქი. იგი სრულიად ახალგაზრდა მოდელი იყო პოლ დელაროშის სურათებისათვის...“

შესაძლებელია, „ბოროტების ყვავილები“ წინასიტყვაობის სწორედ ამ ადგილმა მისცა ბიძგი გალაკტიონის პოეტურ წარმოსახვას, როდესაც დაწერა: „იგი მუდამ ფერობდა დელაროშის ფერებით“.

შემდეგი ორი სტრიქონი ლექსისა -

ჩვენ ნათელი გველოდა არამცირეოდენი,
 არამცირეოდენი დაფნით და დაფერებით -

ნაცვალსახელთა ოპოზიციის გამოყენებით უკავშირდება ლექსის დასაწყისს (თქვენ/ჩვენ). იქმნება სემანტიკური პარალელი და ჩვენ ვიგებთ, რომ ფრან-

გაფრინდამედიცინის მეცნიერული გოგონა

გული გარემოს შესაგესად, საქართველოშიც არსებობდა თანამოაზრეთა ერთობა, რომელიც იმედით შესცქეროდა მომავალს, ფრანგებზე არანაკლებ მოულოდა დაფნა-დიდებას.

ის ბედნიერი დრო, რომელიც უკვე ჩავლილია, ახლა უფრო „ანკარად“ და ცხადად მოჩანს („ო, ბედნიერზე უბედნიერესო დღეებო, სად (არის) სიყვარული ერთიბერიისადმი“, — კიდეც ერთი ექო გალაკტიონის ჩანაწერში).

ერთობის თითოეულ წევრში ელავდა ბრიუმელი — ინგლისელი დენდი, რომელიც დახვეწილობისა და სკანდალურობის, გონიერებისა და თავქარიანობის სიმბოლოდ იქცა, ანდა ლოზენი (სწორი ფორმაა ლოზანი), პიმოდანის სასახლის ყოფილი მეპატრონე — არისტოკრატი, რომელიც პედონიზმისა და საკუთარი პიროვნების კულტს ამკვიდრებდა.

„ბრიუმელის და ლოზენის“ სახელებს მიღმა 10-იანი წლების საქართველოს კონკრეტული, პრეტურ-არტიისტული სინამდვილის კონტურები მოჩანს. გაეხსენოთ პაოლო იაშვილი:

უკანასკნელად გაჩნდა ბრომელი,
მწვანე ცილინდრით, თვალნისლიანი,
შეეხედით სამება დაუდგრომელი -
ალი, პაოლო და ტიციანი.

(„ალი არსენიშვილს“, 1918)

ვ. გაფრინდამედიცი ხომ მეგობარ „ცისფერყანწელებს“ და თავად გალაკტიონსაც (!) „ბოგემის ლეგენდის“ შემქნელებად მიიჩნევდა (ესეი „ბოგემა“, 1920).

ტიციანიც წერდა:

აზიურ ხალათში, ვით ფაშა ეფენდი,
ვოცნებობ ბაღდათზე მოღლილი დენდი

(„ავტოპორტრეტი“, 1916)

ალარაფერს ვამბობ იმაზე, რომ „ინფანტა“, „მენადები“ და „გედები“ „ცისფერყანწელთა“ საყვარელი სახე-სიტყვებია: „თმა-თეთრი ინფანტა“, „შეციენებული ინფანტა“, „მარადი ინფანტა“, „რითმა-მენადები“, „მაისის გედი“ და ა.შ.

სწორედ ამ კონტექსტში ჩანს ლოგიკური კითხვა, რომელსაც გალაკტიონი სვამს:

სად არიან ყველა ამ მორევებში ჩართული
მენადები — გედები და ფრები — ინფანტები?

ამ სტრიქონების ერთგვარი ირონიული ვარიაციაა ლექსის ის პასაჟი, რომელიც ისევე როგორც ზედა ორი სტრიქონი, ქართულ სინამდვილეზეა ორიენტირებული:

ნეტაეი სად არიან ყველა ეს უანგარო
პოეტები, მხატვრები, ქალნი მომიმოზენი? -

ამ კითხვაში, მართალია, ისმის პერიფრაზი გოტიეს სიტყვებისა, ისევე „ბოროტების ყვაილები“ წინასიტყვაობიდან: „პოეტები, მხატვრები და დეკამერონის ლამაზმანები“, მაგრამ იგი ლექსის დაუსახელებელ ქართველ პერსონაჟებსაც მიემართება.

კითხვაში „ნეტაეი სად არიან“ ერთდროულად იგრძნობა დაპირისპირება და სევდა თანამოაზრეებთან განშორების გამო, ჯგუფის არეალიდან (ჩვენ) სრული მარტოობისაკენ (მე) გასვლა.

„დეკამერონის ლამაზმანების“ შეცვლა სიტყვებით „ქალნი მომიმოზენი“ ის ალკიმიური აქტია, რომლის შედეგად გაჩენილი მეტაფორაც, სხვა მნიშვნელობებთან ერთად (ლამაზმანები, მომიზეზენი...), ერთ მინიშნებასაც შეიცავს: სიტყვაში — „მომიმოზენი“ კრთის ლანდი გოტიეს პერსონაჟისა — მადმუაზელ მადლენ დე მოპენისა, „რომელის წკრიალა და უდარდელ ხმას რომანტიული ჟღერა მიმოფენს“ (გალაკტიონი).

მოგონებათა თეთრი, მსუბუქი და ფარული ნაკადები, რომელიც გარს ახვევია პოეტს — კვამლია, წვის შედეგად რომ ჩნდება. და სულერთია, რა დაიფერფლა — თუთუნი, ჰაშიში თუ თანამოაზრეთა ერთობა — ყოველგვარი წვის შემდეგ რჩება რაღაც ფარული და ამოუხსნელი.

სტრიქონი — „მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია“ კვლავ ლექსის პირველ სტრიქონს მიემართება. პიბოდანის სასახლე, რომელიც სავანდ მოიხსენიება, და ქართული მყუდრო ბინა ერთმანეთს ემსგავსება და იმავდროულად შეპირისპირებულია კიდევ, როგორც დიად მოდელთან პატარა თარგი. იგი თუმცა მცირეა, მაინც ბრწყინავს როგორც აკადემია. გაეიზსენოთ, როგორ პიეტეტს ავლენს ზოლმე აკადემიისადმი გალაკტიონი. მან ზომ სათარგმნელად ბლოკის სწორედ ის ლექსი აირჩია, სადაც პუშკინის სახლი ასევე ბრწყინავს და სარიტმო წყვილიც — „აკადემია-ნაკადებია“ გაიმეორა:

სახელწოდება პუშკინის სახლის,
იქ, სადაც ბრწყინავს აკადემია.
ეს ცნობა, ეს ხმა და მოწოდება
გულისთვის განცდის ნაკადებია.

„მყუდრო ბინაში“ ლევენდარული ცხოვრება ჩქეფდა, ცხოვრება, სავსე გამოთქმებით, ძიებებით: აქ ეძიებდნენ რამე ღრმას, ქართულს, მაგრამ ფრანგი წინამორბედების დარად, უნდოდათ შეექმნათ „რიტმა-ნიუანსები, რიტმიული ლანდები“.

ყოველივე გაქრა! გოტიესავე ქმნილებათა პერსონაჟების — მენაღების, გედებისა და ინფანტების გახსენებით გამძაფრებული ბოლო კითხვა: „სად არიან?“ — თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ალუზიის ხერხით კონკრეტულ რეალიებზე მიგვანიშნებენ — ლექსის უმაღლესი რეგისტრაცია და მეყსეული ვარდნის წერტილიც. წარსულს ენაცვლება აწმყო („ახლა“). პოეტი მარტოდმარტო მიუყვება ეკლებზე უეკლეს გზას. „არაფრისთვის არ არის სული უფრო სათელი“ — აღმოხდება მას. დაუეკვირდეთ: „სათელი“ და არა განათელი ან ნათელი, მომავალი და არა წარსული დროის მიმღეობა, წინათგრძნობა იმისა, რომ გადასატანი ჯერ კიდევ წინაა. (სხვა შემთხვევაში პოეტი უთუოდ გამოიყენებდა ომონიმური რითმის შესაძლებლობას. იმ პერიოდში (1919) ომონიმებით გატაცების შედეგად „უცანური სასახლეც“ ხომ შექმნა: „ამნაირი დარებით, კიდით-კიდე დარებით, ფერის ფერთან დარებით“).

მთის ეკლესიასავით სიმაღლეზე მარტოდმარტო მდგომს, ალბათ, ამიტომაც უღიბის საკვდავად ჩამავალი ნათელი.

საყურადღებოა, რომ ხელნაწერში ბოლო სტრიქონი ლექსისა ასე იკითხება: „და საკვდავად მიღიბის, გოტიე, შენი ნათელი“.

„გოტიეს ნათელი“ გალაკტიონისათვის ის საკრალური სიმაღლე და სინათლეა, რომლის ხილვა ერთეულთა ხვედრია.

გალაკტიონი ლექსში უზადოდ ავითარებს ნათელის „განაწილების“ ფარულ სიუჟეტს. დასაწყისში „ბრძოლების“ შეცვლა „ნათელით“, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი, პოეტმა, ალბათ, სხვა მოსაზრებებთან ერთად იმიტომაც გადაწყვიტა, რომ ლექსი წრიული კომპოზიციით შეეკრა. ის „ფერებით ფერობა“ ანუ სინათლე, გაციისკროვნება, რომელსაც ასხივებდა გოტიეს „მშობლიური სავანე“, თითქმის მთელ თაობას ეფინებოდა, „თვითეულში ელავდა“, მაგრამ მისი რეალური მიმრქმელი მხოლოდ ეკლიანი გზით მიმავალი პოეტი აღმოჩნდა. ექსპოზიციის „მარად ფერობდა“ აზრობრივ და კომპოზიციურ დასრულებულობას პოულობს ფინალურ მონასმში — „ჩამავალი ნათელი“.

მარტოსული პოეტის ხმაში, როგორც ქართულ მრავალხმოვანებაში, კიდევ ორი სევდიანი ხმის გარჩევა შეიძლება. ერთია დავით გურამიშვილი:

მესწრაფა სვედის ლახვარი, საკედავად გულსა მეცა და
აწ ამას ელონობ, არ ვიცი, ქვესენად წავალ თუ შე ცადა.

მეორე — ბარათაშვილი:

დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი—
და დაეალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი.



ისევე როგორც ლექსში „გოტიეს“, გალაკტიონისა და „ცისფერყანწელთა“ მთელ შემოქმედებაში მრავალი ფრანგულენოვანი სიტყვა თუ გამოთქმა გვხვდება. გვხვდება რუმინისცნეციები, ალუზიები ფრანგული (და ნაწილობრივ — რუსული) სიმბოლიზმამდელი და სიმბოლისტური პოეზიიდან, რომელთა პირველწყაროების დასახელებაც ძნელი არ არის. აქ დიდია საცდური, მარტივად მიუდგე საკითხს და ეპიგონობად ჩათვალო ის, რასაც, ჩემი აზრით, უფრო სხვაგვარი ახსნა ესაჭიროება.

ფრანგულენოვანი სიტყვები, უბრალოდ, გალიციზმებადაც შეიძლება და მიგვეჩნა, რომ არა ერთი გარემოება. თითქმის ყველა მათგანი მომდინარეობს არა ზოგადად ფრანგული ენიდან, არამედ კერძოდ ფრანგული პოეტური მეტყველებიდან. ეს მაფიქრებინებს, რომ სათაურები, სახელები და სახეები, რომელიც მათ თან მოჰყვება, ერთ რამეს ემსახურება: ქართულ გარემოში სიმბოლისტური სივრცის შექმნას, შუა სახე-სიმბოლოების შემოტანით საკუთარი, კერძო სიმბოლოების აღმოსაგებელი ნიადაგის მომზადებას.

„ყანწელები ხშირად ახსენებენ ფრანგი პოეტების სახელებს ლექსებში, რადგან ჰქმნიან ახალ მითოლოგიას. ფრანგი პოეტები აქ მეორე დაბადებას და მეორე ყოფნას განიცდიან“, — წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი.

ინტელექტუალიზაცია

გალაკტიონის სიტყვებით: „ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას“ არა რეალურს, არამედ უკვე მითოლოგიზებულ ვერლენს გულისხმობს, გადმოცემებით შემონახულს. მის დაბადებამდე დაღუპული მამის ხსოვნაც ხომ ასე, გადმოცემით შემოდის პოეტში.

ქართველ სიმბოლისტთათვის ფრანგული სიმბოლიზმის ისტორია წინააპართა პეროიკული პირველამბავია, არქეტაიპი, რომლის მოდელზეც ქმნიან ახალ მითოსს. ამიტომაც არის, რომ ფრანგული პოეტური გარემოს რეალიები არა პირდაპირ, არამედ მითოლოგიზებული სახით შემოდის ჩვენს პოეზიაში, ანუ ისე, როგორ ლექსის „გოტიეს“ მაგალითზე შეიძლება დავინახოთ.

„გოტიეს“ არ არის უბრალო ლექსი-მიმართვა. ეს არის ქართველი პოეტის წარმოსახული შეხმიანება ევროპული პოეზიის მეტრთან, რომელზეც ბალზაკმა თქვა: ფრანგული ენა მხოლოდ სამმა ვიცი — გოტიემ, ჰიუგომ და მეო. გოტიე გალაკტიონისათვის ყოელისშემძლე, უზენაესი ავტორიტეტია, ამიტომ კანონზომიერია, რომ მისდამი მიძღვნილი ლექსი დახვეწილი რიტმული, ეეფონიური, სახეობრივი და კომპოზიციური ორგანიზაციით, ნიუანსირებული „ლირიკული დრამატურგიით“ გამოირჩევა. ტექსტის ამ წახნაგების წარმოჩენა სპეციალურ საუბარს მოითხოვს.

P.S. ავტორი მადლობას უხდის ლალი ლალიაშვილს და ზეზვა არჩემაშვილს ფრანგული მასალის მოძიებისა და თარგმნისათვის



გურამ ბენაშვილი

არაბესკები გალაკტიონის თემაზე

სამყაროსა და საკუთარი ქვეყნის ურთულესი კატაკლიზმებით აღბეჭდილი დრო-ჟამი, ბუნებრივია, გალაკტიონსაც „შეეხო“. ამ შემადრწუნებელი რეალობებისგანაა მისი, როგორც სუბიექტის დარღვეული წონასწორობა, სულიერ ძალთა ერთიანობისა და მოქალაქეობრივი რესპექტაბელურობის თვალმისაცემი „ლაფსუსები“, მის ირგვლივ შექმნილი ოდიოზური ლეგენდები თუ „მარგინალიები“. ამიტომაა, თითქმის ყოველთვის, მისი რეფლექსიური დისკურსი, ცხადად თუ შეფარვით, გაბატონებული დისკურსის ოპოზიცია თუ არა, დისონანსი მაინც—

არის კიდევ ერთი პროვიდენციალური პარადიგმა, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება, თუ გვინდა წარმოვიდგინოთ გალაკტიონი მისთვის არაორგანული ომებისა თუ რევოლუციების კონტექსტში, რომელთაც არაერთ ლექსს მისცეს იმპულსი, ყოფილიყო მეტყველი ანარეკლი მღელვარე დროის „სულისკვეთებისა“. ვფიქრობ, ამ განსაკუთრებულ შემთხვევებში პრევალირებდა პოეტის ჭარბი რომანტიკული აღქმა ახალი, მისი გონებისათვის ჯერ სრულიად მოუხელთებელი დროისა და მოვლენებისა, სრულიად წარმოდგენლის გულუბრყვილო მოლოდინისა და აქედან მომდინარე სულიერი განგამისა...

კიდევ უფრო არსებითი მისთვის, ალბათ, ის იყო, რომ ინგრეოდა და ქრებოდა ძველი, მის წინაშე არსებული სამყარო და მასთან ერთად უჩინარდებოდნენ ეროვნული თუ სოციალურ-კულტურული იდეალები.

მსხვრევა პოზიტიური უნივერსალიებისა — აი, რეპრეზენტაცია თუ ობიექტივაცია იმ გამჭოლი ფენომენისა, რომლითაც აღიბეჭდა გალაკტიონის მთელი ადამიანური ცნობიერება და რომელმაც განსაზღვრა მისი პოეზიის განწყობილებათა სისტემა...

ამგვარ სასიცოცხლო სივრცეში ცდილობს პოეტი გაიცნობიეროს და აღნიშნოს საკუთარი პოზიცია და ამით წინ აღუდგეს ნეგატივს, როგორც საერთო ფსიქოზისა და სოციალური ქაოსის მანიფესტაციას...

შინაგანი, რაღაც მაგიური გამოცდილების ღრმა განცდით იგი ერწყმის პოზიტიურს, როგორც ერთადერთ პანაცეას, რომელსაც „ხელეწიფებოდა“ გადაერჩინა იგი არა მხოლოდ როგორც სუბიექტი, არამედ როგორც პოეტიცა და მოაზროვნეც. ამ შინაგანი ბრძოლებითა და ტანჯვით შექმნა მან თავისში იმ რანგის შემოქმედი, რომლის აღქმა-აღმოჩენაც საუკუნეთა ბედნიერ თავსატეხად აქცია უფალმა...

ბოლოს და ბოლოს, რა უნდა აუწყოს შემოქმედმა საზოგადოებას — უღრმეს სულიერ კრიზისში მყოფს, შეშინებულსა და დაკნინებულს, იდეოლოგიური მარწუხებით შეწუხებულს? ალბათ, სრულიად ლოგიკურია, თუ იმავე უსახური საზოგადოების წერი — იგი ვერ იკისრებს უსასტიკესი სახელმწიფოს წინააღმდეგ აშკარად მებრძოლის როლს, ირგვლივ გამეფებულ ბიროტებათა მხილებასა და თავისუფლების პროპაგანდას. საოცარი ის არის, რომ მას არც რომანტიკული „სიმღერების“ ჟამი უდგას, რადგან რომანტიკა — უარყოფის უიშვლო სიმღერაა მხოლოდ — ამ სისხლიანი დროისათვის იგი უქმცა და ფრიად საზიფათოც.

და სწორედ აქ დგება უალტერნატივო გამოსავალი — მან (პოეტმა) უნდა შექმნას, ანუ „მოიგონოს“ სრულიად ახალ სააზროვნო ნიშანთა სისტემა, პოეტური ენის განსაკუთრებული ხელოვნება, რომელიც თავისში აირეკლავს რეალობის სიმბოლურ-ირონიზებულ ზედაპირს.



ამ შემთხვევაში გალაკტიონის მსოფლგანცდა და ესთეტიკა ასოცირდება კლასიცისტურ სააზროვნო დისკურსთან, პასუხობს რა საკუთარი ისტორიული სინამდვილის საჭირობოროტო კითხვებს მომავლის ხმით, რომელიც ექსტრემალურ ვითარებათა გამო იძენს რომანტიკული წარსულის იერსახეს. იძულებითი „ინტეგრირება“ დისტანცირებულთან გალაკტიონის პირობითად მეორე პერიოდისთვისაა დამახასიათებელიც და თითქოს ორგანულიც...

აი, შემოქმედი სულის მოძრაობის ის ერთი ტრაექტორია, რომელიც

სამყაროს არაერთი გენიალური პოეტის ბედისწერად იქცა — ბედისწერად, რომელმაც მაინც ვერა და ვერ დაამცრო და დაშრიტა გრანდიოზული პოეტური ენერჯის ძალა და ჯადოსნური მშვენიერება...

ლიტერატურა, თითქმის ყოველთვის „ეტრფოდა“ შემთხვევითობას... ასე იგი უკეთ გრძნობდა საკუთარ საზღვრებს, იცნობიერებდა წარუმატებლობას... შემთხვევითობათა კონტექსტში მოიაზრებთან თვით ისეთი უნივერსალური მიმდინარეობანიც კი, როგორიცაა ბაროკო, კლასიციზმი და სიმბოლიზმი... იქნებ სწორედ ამ მაგიური შემთხვევითობის სასწაულია თვით გალაკტიონიც... საჭირო იქნება კიდევ უამრავზე უამრავი წიგნი, რათა ოდნავ მაინც გაუშინაურდეს მოკრძალებული მღელვარების გარეშე განვლო მისი უცაბედად, რაღაც უცნაური მშვენიერებით გასხვივონებული სივრცეების უსაზღვროება. ისინი კვლავ და კვლავ ჯიუტად გვიდასტურებენ თითქოს ბოლომდე მარად ამოუცნობი პოეტური „ცივილიზაციების“ არსებობას...

გალაკტიონი დიდებული მაგალითია ცხოვრებისა და შემოქმედების, პიროვნებისა და სიტყვის ერთარსებობისა... უნიკალური, მთლიანი და გამაოგნებელი შერწყმისა... გალაკტიონი — ეს მისი პოეზიაა, რაიმე სხვისთვის იგი, უბრალოდ, აღარ არსებობდა, აღარ ვარგოდა, აღარ რჩებოდა... ის, რა თქმა უნდა, უკვე დრო-სივრცის დისტანციიდან აღქმული შემოქმედია, თუმცა ნაწილობრივ მაინც ხსნის იმ სრულიად განსაკუთრებულ გავლენას, რომელიც მან მოახდინა თანამედროვე ფიქრსა და აზროვნებაზე და ალბათ იმასაც რატომ იქცა იგი ლეგენდად, მითად და ამდენად, გენიალურ შემთხვევად...

ესეში „პოეტი და დრო“ მარინა ცვეტაევა წერდა: „ყოველ თანამედროვეობას ორი კუდი აქვს: კუდი რესტავრატორული და კუდი ნოვატორული, და ერთი უარესია მეორეზე“ — ზოგჯერ იმასაც კი ფიქრობ, რომ გალაკტიონი ანტი-მოდერნისტიც კია... რადგან მის სულში განფენილი თანამედროვეობა — ამოუწურავი, უსაზღვრო და ზედაპირულია... მისი პოეტური ქმნილებები, მიუხედავად ზოგჯერ უნატიფესი „ანაქრონიზმებისა“, მიმართულია მხოლოდ მარადისობისაკენ... იმგვარი ჭეშმარიტი მარადისობისაკენ, რომლის საკრალური ხატის წინაშეც ყოველი ეპოქა თანამედროვეა, ხოლო ისტორიული პიროვნებანი — თანამედროვენი... რადგან არსებითად მხოლოდ დროა ისტორიის რეალური შინაარსი, აღქმული, როგორც ერთიანი სინქრონული აქტი... და პირიქით, სწორედ შინაარსია ერთბაში ფლობა დროისა — მის თანამედრობართა, მაძიებელთა თუ თანა-აღმოჩენთაგან (ოსია მანდელშტამი)...

„არტისტული ყვაილებიდან“ ფეხადგმული მისი პოეტური ხატი გაცილებით მუსიკალურია, ვიდრე პლასტიკური... როგორც მუსიკაში, გალაკტიონის რეფლექსიის ტალღა-მინიშნებანი, ასრულებენ რა თავის „სამუშაოს“, ქრებიან და

ადგილს უთმობენ ახალსა და „უცნობს“. აქედან იღებს სათავეს იმპულსური ვნება მუსიკალური, საოცრად მკლერი მეტაფორებისა. ამიტომ მოიაზრება იგი XX საუკუნის ქართული პოეზიის ღირიფორად, სრულიად ქართული ხელოვნების ჭეშმარიტ მაესტროდ. ყოველივე ეს მის სიცოცხლეშივე მოხდა!

გალაკტიონის ლექსი ცოცხალია თავისი შინაგანი ხატით, ფორმის იმ ხმოვანი ტვიფრით, რომელიც ერთადერთი მაცნეა პოეტური ქმნილების ჭეშმარიტებისა უნიკალურია, ალბათ, ამგვარ შედეგრთა ქმნადობის პროცესი: შესაძლოა ჯერ არც კია „მინაგნები“ არც ერთი კონკრეტული სიტყვა, ლექსი კი ხელოვანის წინაშე უკვე ჟღერს და საამოდ „იმშუშნება“ – ეს ხმოვანება და მოძრაობა ფარული, შინაგანი ხატის თრთოლვება, მისი სიცოცხლის დასაწყისია. სწორედ მას შეივრძობს ფიზიკურად თუ მეტაფიზიკურად პოეტი. სიმპტომურია, რომ ჯერაც ბუნდოვან ხატებაში სინკრეტულად ჩადებულა ცხადი და სრულყოფილი საბოლოო ფორმა, მომავალი ქმნილების შინაარსი. პოეტურად ცოცხალი სიტყვა გალაკტიონისა საზოგადოების, ადამიანისა და საგნის ფარულ თუ ცხად კონფიგურაციათა გამომხატველიცაა და მათი ხსოვნის საიმედო თავშესაფარიც, ისინი მათი ხელთუქმნელი ქანდაკებებია, მათივე არყოფნის ჟამისათვის განკუთვნილი.

სიტყვა, როგორც „სული“ საგნისა, ცნობიერების კულტურისა („სიტყვა-ფსიქეა“) – სიტყვაში ისინი ცოცხლობენ მეორე, სიკვდილისშემდგომი სიცოცხლით, თუმც იმავე დროს დამოუკიდებელნიც რჩებიან, ეზიარებიან რა პოეტი-შემოქმედის სრულიად ახალ სამყაროს, მისი მხატვრული დროისა და სიერცის მშვენიერებას..

„არტისტული ყვაილების“ ბრწყინვალე ქმნილებებში ცხადად წარმოჩინდება ავტორის ჩანაფიქრის ამგვარი ქვეტექსტი: ღირიკული გმირი, სულიერი გამოცდილებიდან გამომდინარე, მიდის იმ დასკვნამდე, რომ გონების ნათულსა და ბნელს შორის არსებობს ერთობ მრავალგვარი ურთიერთობანი... ზოგჯერ ფრიად საგანგაშონიცა და ტრაგიკულიც... თუმც, არსებითად, თანახმიფრნი და მეკავშირენი ებრძვიან და მტრობენ ერთმანეთს. ასე, რომ ნებისმიერი გამარჯვება უცაბედ დამარცხებად გარდაისახება.

და მიუხედავად ამ „აპოკალიფსისა“, იგივე ტრაგიკული სილუეტებით მეტყველი პოეტური ქმნილებები გვიდასტურებენ იმას, რომ ამ ბუნდოვან და უიმედო სიერცებში გალაკტიონი აგრძელებს ბნელთან და ბოროტებასთან შეუპოვარ ბრძოლას და, მიუხედავად მოჯარებული ცდუნებებისა, არ მიდის მათთან საბოლოო „შეთანხმებაზე“ – გაეიცნობიერებთ რა ამას, ადვილად მივალთ იმ აღმოჩენამდე, რომ გალაკტიონის აზროვნების უნიკალური ძალმოსილება „არტისტული ყვაილებით“ გვაზიარებს პოეტურ რეალობათა.

იმ სურნელებას, სულის იმ უფსკრულთა უნატიფეს სუნთქვას, რომელთაგანაც ძალუმაღ გამოკრთის არამიწიერი და ამიტომაც „უმიზნო“ ვნებანი და გადარეულ ინსტიქტთა ქარიშხალი... პოეზიის ღვთაებრივი ნათელი „არტიისტული ყვაილების“ თითქოს ყოველ კუთხე-კუნჭულს სწვდება და აცისკროვნებს, იგია თითქოს მისი სუსტანცია და მამოძრავებელი ზამბარაც... და, იქნებ, სწორედ ამიტომაც, იგივე ნათელი, თითქოს უზუნაესის ნებით, უძლურია ბოლომდე დაისაკუთროს ეს დიდ იღუმალებად შობილი წიგნი... თავისი ფარული აზრით ამ ამბივალენტურ სივრცეში სინათლის სხივი ნიადაგ იტანჯება, ძლიერდება, სუსტდება, მერე კვლავ აელვარდება, რათა ბოლოსა და ბოლოს შეურიგდეს სიბნელესთან თანაარსებობას...

საერთოდ კი, ცნებათა და მნიშვნელობათა ამგვარი „მარგინალიები“ არც თუ უცნაურია, რადგან თუნდაც ისეთი სიტყვები, როგორცაა „სინათლე“, „ცნობიერება“ თუ „გონება“, არ არიან ერთმნიშვნელოვანნი... „სინათლე“ ერთდროულად შეიძლება იყოს და არც იყოს მხატვრულ ტექსტში ის დროადრო ქრება ჩვენი თვალთახედვიდან, თუმც მინც აგრძელებს მუდმივი „მზვერავის“ ფუნქციას... და შემკრთალი თუ დაბნეული, ნიღბიდან გამომზირალი, უმოქმედობის ღროსაც კი მოქმედებს.

მრავალი წლის განმავლობაში თვით ისეთი კრიტიკოსებიც კი, რომელთაც მშვენიერად ესმოდათ, რა იყო შემოქმედების სინათლე, თვლიდნენ, რომ გალაკტიონის სიმბოლისტური პოეტური ოპუსები სრულიად მოკლებული არიან ელემენტარულ ნათელსა და ინტერპრეტაციის „ფუფუნებას“. დღეს კრიტიკოსების სხვა, ახალი პოპულაცია აღფრთოვანებულია გალაკტიონის „არტიისტული ყვაილების“ ნათელხილვებითა და ფილოსოფიური ჭკრეტის ხატოვანებით... ანუ იმ უნიკალური ძალთახმევით პოეტისა, რომელმაც არა მხოლოდ იცის, რას ამბობს, არამედ განსჯა-ანალიზის კონტექსტში მოაზრებს საკუთარ პოეტურ მედიტაციებს... არიან ლიტერატორები, რომელნიც, მართალია, იზიარებენ ამ უკანასკნელთა აღფრთოვანებას, მაგრამ გალაკტიონის სიმბოლისტურ ქმნილებებს სხვაგვარ ახსნას უძებნიან, კრძოდ, შედეგრთა ამ წიგნში ხელავენ ირაციონალის ტრიუმფს და წმინდა ესთეტიზმის აპოგეას...

განსაკვიფრებელია პოეზია, რომელმაც პროფესიონალ ლიტერატორთა გონება თუ ინტუიცია ერთბაშად აღმაჩენს სინათლის, რაციოს არა მხოლოდ სამწუხარო, არამედ აღფრთოვანებულ არყოფნას პოეტური ტექსტის არამხოლოდ დამატკობელ შეცნობადობას, არამედ ასევე დამატკობელ შეუცნობლობას...

სიტყვის გენიალური ხელოვნების ამგვარი სასწაულები საოცრად ორგანული იყო გალაკტიონისათვის XX საუკუნის — ამ ლაბირინთებით აღბეჭდილი ჯოჯოხეთის — მკვიდრსა და უმანკო მსხვერპლს სხვაგვარი აზროვნება, ალბათ, წარმოუდგენლადაც კი მაჩნდა ორსახოვნება, ნიღბი, სიტყვასთან ერთად უკვლავებასა და თავის გადარჩენაზე ფიქრი — ასეთი იყო მისი სიცოცხლის წლები...

გალაკტიონის ლოგიკის მიხედვით, ხელოვნება განუყოფელია ცხოვრებისაგან, იგი შეიწოვს და შეიმეცნებს მას, თუმც, ამასთანავე, თავისი სრულქმნილების ფაზაში აღწევს და ასახიერებს სრულიად განსაკუთრებულ, შინაგანად ფერწერულსა და სუვერენულ სამყაროს... ხელოვანისაგან ნაძერწი სამყაროს სუბსტანცია ფილოსოფიური, ემოციური და ესთეტიკური რეალობაა, რომელიც თავისი საერთო განზომილებებით შეესაბამება ფიზიკურ რეალობას, თუმც მას მხოლოდ თავისი კანონები და თავისი ენა გააჩნია... რადგან ხელოვნების ბუნება თავისი არსით სიმბოლურ-მეტაფორულია...

საგულისხმოა, რომ გალაკტიონის არაერთი ლექსი „საგნობრივია“, თავისი საგნობრიობით კი საოცრად ზუსტი... ძალზედ ხშირად მისი პოეტური სახე იქმნება რეალურ შეგრძნებათა განცდიდან, ვიზუალური თუ აკუსტიკური აღქმითი აქცენტებიდან... საოცარი კიდევ ის არის, რომ მას არა მხოლოდ მახვილი ხედვა, არამედ ფანტასტიკური სმენა აქვს... ძალიან რთულია ააყვე მას, მაგრამ სამაგიეროდ ეს „ტანჯვა“ კომპენსირდება უდიდესი ესთეტიკური თუ სულიერი ნეტარებით...

ისიც საგულისხმოა, რომ გვიანი გალაკტიონის ლექსები თითქოს ხაზგასმით არამეტაფორულია... ხატი პირდაპირ იმეორებს რეალობას, თუმც კონკრეტულის მიღმა მაინც ილანდება სიმბოლური და განზოგადებული... მოვლენები და დეტალები თითქოს შიშვლდებიან, იმარცვებიან წარსულის ურთულესი ასოციაციებისაგან.

საოცარია სისადავე გვიანი გალაკტიონისა... ღრმად განჭვრეტილი და შეცნობილი უბრალოებაა თითქოს მისი უკანასკნელი ნავსაყუდელი... მისი სტილური „რელიეფი“ ხაზს უსვამს საერთო ესთეტიკური იდეის მიმართულებასა და ხასიათს — ცხოვრების შემეცნებას მის უსასრულო ელემენტთა კონცეპტუალურ ერთიანობაში... და ეს ყოველივე იქმნება XX საუკუნის პოეზიაში დამკვიდრებული ნაივურობისა თუ ინფანტილიზმის იგნორირებით... ხაზგასმული, სრული სერიოზულობის განცდით.

გალაკტიონს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი აქცენტი, აქვს უჩვეულოდ მაღალი სულიერი იდეა, რომლის ონტოლოგიურ სივრცეებსაც სიმბოლისტური პოეტიკის მშვენიერება აჩენს და ასახიერებს. უმაღლეს კარმონიად წარმოდგენილი ფილოსოფიური ფიქრი და პოეტური ხატი სიმბოლისტურ-იმპრესიონისტულ შედევრებად აღიქმება.

ისიც საგულისხმოა, რომ გალაკტიონი თითქმის არ წერდა ლექსებს, რომელთაც უყოყმანოდ „პეიზაჟურს“ უწოდებ... ამ ტიპის ლირიკასთან მახლოვებულ ქმნილებებში ბუნება სიყვარულისა და ფილოსოფიური განსჯის ტალღებზე „ნებიერობს“, ანუ ჩნდება და უჩინარდება...



მის პოეზიაში ბუნება ტრადიციულად სიწმინდისა და სათნოების, სულიერი და ზნეობრივი სისავსის ეტალონია. მიუხედავად იმისა, რომ პეიზაჟი იშვიათადაა ლექსის ჩანაფიქრის განმსაზღვრელი და საერთო თემატიკური მოზაიკის მხოლოდ ერთ-ერთ სვემენტად მოიზარება ხოლმე, როგორც ერთ პოეტურ ხატავანი, ბუნება სინონიმია მარადიული სიცოცხლისა და როგორც სიცოცხლე, როგორც ცხოვრება — განტოტილი და მრავალსახოვანი მეტაფორის ფერწერულ მშვენიერებას აირეკლავს იგი, ნებით თუ უნებლიედ, მონაწილეობს მისი პოეზიის სტრუქტურულსა თუ ლირიკულ კონცეფციასთა სისტემის ჩამოყალიბებაში.

საერთოდ კი პეიზაჟური ლირიკისათვის ორგანულ ვიზუალურ ხატებს და მათგან არეკლილ ემოციებს გალაკტიონის პოეზიაში მოკრძალებული ადგილი ეთმობა რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, აქცენტები უფრო საკუთარი სულის „პეიზაჟებისკენა“ გადატანილი. აქ არის იგი საოცრად ბედნიერი თავისი ტანჯული მარტოობითაც და ამ მარტოობით აღმოჩენილი უმდიდრესი სულიერი ლანდშაფტებითაც.

გალაკტიონის პოეზია ფილოსოფიურ პარადიგმათა ველია. მასში პრევალირებს არა მშვიდი, ანალიტიკური ჭკრეტა, არა თანმიმდევრული ფიქრი ყოფიერებაზე არამედ რაღაც სტიქიურ ცხოვრებისეულ ძალთა და ვნებათა უმისამართო ნაყარდი, თავაწყვეტა, მხოლოდ მისთვის აღმოჩენილი, ფარული თავისუფლების ნეტარებით თრობა. როგორც აღვნიშნეთ, მისი ფილოსოფიური დისკურსი არ არის მწყობრ რეფლექსიებად წარმოდგენილი. იგი ძალიან შორი სიღრმეებიდან მოდის და ლექსის ბუნებრივ იდუმალებაშივე იკარგება, ჩვენს ცნობიერებაში კი აცოცხლებს და ტოვებს სიმბოლურ ჰლანს, რომელშიც პოეტის მძაფრი სულის სიღრმეებიდან მომდინარე ტრაგიკული ტანჯვისა და მწუხარების ჰანგი თრთის და რომანტიკული ლამების სვედას გვაზიარებს.

გალაკტიონის ფილოსოფიური „ოპტიმიზმი“ არ გამოირიცხავს და გულისხმობს ადამიანური ყოფიერების ტრაგიკულ დისკურსთა ანალიტიკურ „ცოდნას“ — თუმც იგი, როგორც ყოველი გენიალური შემოქმედი, ტრაგიკული ცოდნისაკენ კი არ მიილტვის, მასთან განდობას კი არ ლამობს, არამედ გამოდის, მომდინარეობს, თავისუფლდება მისგან... იგი აფასებს და თავყვანს სცემს მის განმწმენდელსა და ზნეობრივად ამაძალლებელ ძალას, ანუ კათარზისს, როგორც ძველი ბერძნები ამბობდნენ.

პიროვნების რომანტიკული თვითდამკვიდრება, მისი „ნატურფილოსოფიური“ უფსკრულებით დაინტერესება გალაკტიონის მსოფლგანცდის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. მისი, როგორც შემოქმედისა და მოაზროვნის არჩევანი — რეალური ცხოვრებისადმი ნდობა და გულწრფელი სიყვარული იყო — სწორედ ამ მაგიური ნდობით დაიძლევა მისთვის ადამიანის კოსმიური მარტოობა და სიკვდილის შიში, ზეადამიანურობის პრეტენზიათა აგრესია... ის, რომ სამყარო „ყოველთვის ასეთია“, გალაკტიონის რწმენის სათავეა,

ანალიტიკური ნებით აღმოჩენილიცა და დადასტურებულიც— სამყარო, ვითარცა „გამოცხადებული იდუმალება“ — საყოველთაო ნათელი და იმედროს, განსაკვიფრებლად ამოუცნობი და უძიროდ ღრმა... ეს ყოველივე წარმოადგენს იმ რომანტიკული მსოფლგანცდის ერთგვარ პროლოგომენტებს, რომელთა გააზრებითა თუ გადააზრებით იქმნებოდა გალაკტიონის უნიკალური მსოფლხატი...

და კიდევ, იგი ქმნის პოეტის სრულიად განსაკუთრებულ, რომანტიზირებულ ხატს, მოსავს რა მას სულიერი „მოციქულის“ აბსოლუტური უფლებამოვალეობებით, ზეიმური, თუმც საბედისწერო ყოფიერების ტრაგიკული შუქჩრდილებით.

იდეა გამორჩეულობისა და ტალანტისათვის ტრაგიკული საზღაურისა — გალაკტიონის თვითშემეცნების იდეა-ფიქსია. საგულისხმოა, რომ პოეტის სატრფიალო მოტივს სწორედ ეს ანიჭებს აუცილებელი ტრაგიკული დასასრულის, უფრო ვრცლად კი, შეყვარებულთა საბედისწერო შეუთავსებლობის იერსახეს... იქნებ, მისი უსიხარულო ცხოვრებაა მისივე შემოქმედებისათვის გაღებული ღიღისულოვანი საზღაური...



გალაკტიონის ლექსი უმაღლესი პარმონიაა მის მიმპლსირებელ ენებათა უნატიფესი ინტონაციები პიკანტური მაცდუნებლობით იყრიბენ ჩვენს სულს, თუმც როგორც აუცილებლობა, „თუჯალაწირო“ ინტონაციის მიღმა „თრთის და კანკალებს“ ფარული, სიღრმისეული ინტონაცია — ფიქრთა მუსიკალური გვევიკალენტები.

„არტისტული ყვაილების“ ავტორი ცხოვრებას ვერასოდეს გააზრებდა ცეცხლით გადაბუვულ უდაბნოდ, ფერფლიდან ნიადაგ ასაღორძინებულ ჯოჯოხეთად... იგი, ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანი, უსათნოესი სიყვარულითაა აღსავსე ყველასა და ყველაფრის მიმართ, ამიტომაც მჭევენება მისი რომანტიკული „მრისხანებანი“ მისივე სულის ფერადოვანი ვარაიციების გამოვლენად, ერთ-ერთ იმ არტისტულ ნიღბად, რომელსაც ღიღი პოეზიისათვის

Essai


არაერთი შედეგი შეუქმნია და განუცვიფრებია სამყარო...

მისი მრავალი ლექსი ესთეტიზირებული, უმდიდრეს „სამოსელში“ წარმოდგენილი ზნეობრივი პროგრამაა, უფლებრივი დეკლარაციაა საკუთარი თავისადმი მიმართული. იყოს ისეთივე როგორც ყველა — ასეთი იყო მისი ხედრი, მისი ბედისწერა და სასჯელი. პოეზია კი ითხოვდა მხოლოდ მთელს ადამიანს — აწყვეტას, ფრენას, თავდავიწყებას, ზღვარდაუღებელ მარგინალებს — თუმც, ბოლოსა და ბოლოს, მაინც მიწას — მასზე გართხმასა და დაკვდომას.

ციურ სივრცეებში ფრენა გალაკტიონისა — გულშეწუხებული და მონანიე უკანმხედის ფრენაა, უკანმხედისა იქითკენ, რაც თითქოს სამუდამოდ დატოვა, რასაც მოსწყდა და რისგანაც გათავისუფლდა. ეს მელანქოლიური მოტივი (ხატი სინანულით უკანდაბრუნებისა) გალაკტიონის არაერთი ბრწყინვალე ლექსის რეფლექსიის წყარო და საფუძველია...

კიდევ ერთხელ გავიმეორებ გალაკტიონზე ჩემს ადრე ნათქვამს და ამით დაეუსვამ წერტილს ფიქრებს გენიალურ პოეტზე: „იგი ის იყო, ვინც თავისი განუმეორებელი ხმით შეაესო თითქოს სივრცეთა შემზარავი სიცარიელე, ვინც პროვიდენციალური აზრი მიანიჭა დრო-ჟამს, ამორფულსა და მწუხარე არყოფნას. მისი ლექსი, როგორც ქაოსის მაორგანიზებელი მეტაფიზიკური ფორმა როგორც სულიერი უდაბნოს სემანტიკური და ჰარმონიული ალტერნატივა, როგორც ნეტარი მარტოობის გენიალური მეტაფორა...“

ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ უცნობი „პლანეტა“... მისი ათვისება, ვფიქრობ, უკვე დაიწყო — ჯერ არც თუ ბოლომდე ცნობიერი, ნელი... მაგრამ დაიწყო!



ასეთი მასსოვს...

ის მწკაველ განიცდიდა ცხოვრების დაუშოშმინებელი ქარების ქროლვას, საძყაროს ჰარმონიასა და მსოფლიოს ნერვიულ სუნთქვას. მძაფრად აღიქვამდა სიცოცხლეს, ბალახის ფოთლებისა და უსიური ტყეების ფშვინვას. შთაგონებით უსმენდა შორეულ ვარსკვლავთა სხივების შრიალს. თავდავიწყებით უმღეროდა მშვენიერებას, კეთილშობილი სულის სილამაზეს. ზუსტად იცოდა ზენაარის მისამართი, მისკენ მიმავალი გზა არასოდეს შეშლია...

პოეზიის წმინდა ბილიკებზე ჯერ არნახულ უცხო ყვაეილებს კრეფდა, რათა სურნელოვანი ლექსებითა და ეაზის ლერწებით მარად დაუმტკნარი გვირგვინი დაეწნა...

* * *

წაკითხული მქონდა მისი ლირიკული შედეგები, წაკითხული მქონდა მის ჟურნალში დაბეჭდილი მისდამი მიძღვნილი ლექსი:

მოჩანს შორიდან შენი პროფილი,
საქართველოზე დამდნარი სახე,
თმა წაბლისფერი, გადაყოფილი,
როგორც ფოთოლი, მზე მოცახცახე.

მიყეები ლანდებს აჩქარებული,
გაგიარს მგზაერი, მოგაჩერდება,
პოეტის ნახვით გახარებული
გრძნობით დათერება და გაშტერდება.

სწყურიათ, გრძნობით გიცნობდეს ყველა,
მორცხვად გიცქერენ ნაზი ქალები,
„გალაკტიონი“ — ამბობენ ნელა,
სასაფლაოა მისი თვალები.

ნანახი მქონდა მისი სურათი, სწორედ შუაზე თმაგადაყოფილი, ხელებგადაჭობილი, მოწყვნილი თვალებით რომ გამოიყურება და მოუთმენლად მწყუროდა მენახა და როცა რუსთაველის პროსპექტზე ცაცხეების და თელების ხეივანში დამანახეს, მომერენა, მიწაზე ჩამოსული ღმერთი ვიხილე! ალვასავით მოირხეოდა ნელა, თითქოს ვერავის ხედავდა ჩაფიქრებული იყო, ვინ იცის, რაზე ფიქრობდა, რომელ ლირიკულ შედეგს ქმნიდა... ის ხომ ყოველთვის წერდა!

* * *

მუდამ დაძვლებული იყო მისი ერთობ ფაქიზი სული ვერ ეტეოდა ჩვეულებრივი ცხოვრების ჩარჩოებში. უსაზღვრო იყო მისი ასპარეზი, ცხოველი ფანტაზია. ადვილად ამჩნევდა, რასაც სხვა ვერ ხედავდა. საოცარი სმენა ჰქონდა, მის ყურს და თვალს არაფერი გამოეპარებოდა. უჩვეულო იყო მისი სიზმრისეული ხილვები: „მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს“.

ნაკლებად ზრუნავდა პირადი ბედნიერი ცხოვრებისთვის. შურსა და სიზარბეს გარიდებული — პოეზიის ვარდისფერ ღრუბლებში ფრინავდა, მაცხოვრის მდღს ნაზიარები.

* * *

ჭეშმარიტად მიწიერი, პრაგმატული წერილმანი საკითხებისთვის არ ეცალა, დიადისა და ამაღლებულის ხილვა ეწადა შორს იცქირებოდა, იდუმალი, შორეული ხმები არ ასვენებდა. პოეზიის შესაშურ ნიმუშებს ქმნიდა: „ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა“...

გაძნობდა, ბრბოს არ ესმოდა მისი, მაგრამ როცა „არტიტული ყვაილები“ გამოვიდა, ყველამ დაინახა — დიდ ქართულ პოეზიას დიდი ახალი სინათლე შეემატა. გალაკტიონი პოეზიის მოყვარულთა სალოცავ ხატად გადაიქცა, პოეტების მეფედ აღიარეს!

* * *

სხვაზე უკეთ უწყობდა წუთისოფლის უწყალო უღმობლობა და ყველა ებრალებოდა, ენანებოდა — ქარში დაცვენილი ყვითელი ფოთლებიც კი წუხნდა

წარმავლობაზე, შშობელი ხალხის არ-ასაკადრის, უვერულ ყოფაზე ზანდაზან ღვინით თვრებოდა, წუთით ზომ მაინც უნდა დაევიწყებინა ამქვეყნიური ამოება.

პირად სევდასა და ნაღველს არ-ავის ახვევდა, ყველას ღიმილით, „ძამიკოთი“ მიმართავდა ალერსიანად.

მახსოვს, საჯარო ბიბლიოთეკაში მიმავალი სტუდენტები ოპერის ბალთან შევხვდით, სუროს ფოთლებით დაბურულ აკაკის ქანდაკებას შესცქეროდა. გაგვიხარდა, გარს შემოგვეხვიეთ, მოგვიბრუნდა და



გვითხრა: „იცით, მე აკაკისთან ერთად წამიკითხავს სცენაზე ჩემი ლექსები. მოვწონდი, მაფასებდა. მისი ჰაეროვანი ქმნილებები მულამ დაამშვენებენ საქართველოს:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკედები,
შენზედვე მგლოვიარეო!-

ამნაირი ლექსი ცოტაა საქართველოში, ალბათ სხვაგანაც“.

ისე თბილად, უშუალოდ გველაპარაკებოდა, ყველანი ერთ წუთში გაეუშინაურდით. ბაღში დაბრძანება ეთხოვეთ სკამზე, არ გაგვაწბილა. ათასნაირ უცნაურ შეკითხვას გვაძლევდა, გახალისდა. მე მკითხა, ლექსებს ხომ არ წერო, გავწითლდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა. წერსო, სხვებმა უპასუხეს წაიკითხე ნუ გრცხვენიაო, - მითხრა. მაგრამ ჩემს უძწიფარ ლექსებს როგორ წაუუკითხავდი. მისი ლექსი წაუუკითხე:

დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია,
თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეჰფერი,
და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,
მე ტფილისი ავირჩიე ბებერი...

შევატყვე, ესიამონა და გავთამამდი, კიდე წაუუკითხე:


ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია,
იგი ელვარებს, საბოლოოდ დაშრება ვიდრე--

დიდებულია, დიდებულიაო, მითხრა და მოგროვილ ხალხს გადახედა--

* * *

სარაჯიშვილისეული სახლის სარკეებიან დარბაზში ბესო ჟღენტი მიმდინარე ლიტერატურის შესახებ მოხსენებას კითხულობდა, რასაკვირველია, ზეპირად. მწერლებს საყვედურობდა, ნაყოფიერად არ მუშაობთ, პოეზია ჩამორჩება, არც პროზის სფეროშია დიდი წარმატებაო. კონსტანტინე გამსახურდიამ ადგილიდან შენიშნა, არის, მაგრამ დანახვა უნდაო--

გალაკტიონი ადგა, ტრიბუნის წინ გაიარ-გამოიარა, გადახედა ხალხს, მუყაოზე დახატული თავისი ერთტომეულის ყდა აჩვენა. ნახეთ, როგორ მუშაობს თქვენი გალაკტიონიო, თქვა და წავიდა...



სარაჯიშვილის სახლის დერეფანში რომ ეუბნებოდა ერთმანეთს, გალაკტიონს ნუ წავიყვანთ, დათვრება და შეგვარცხვენსო. ვითომ გალაკტიონი შეგვარცხვენდა და ისინი გვასახელებდნენ?..

ძმა რომ გარდაეცვალა, მწარედ განიცდიდა, წვერი მოუშვა, საოცრად დაშვენდა. ესეც კი შეშურდათ, გაკილეს, აკაკის ბაძავსო...

კათედრაზე მშვიდად ლაპარაკი უჭირდა, მოზღვავებული გრძნობა ახრჩობდა, ფოთოლივით თრთოდა, ლექსებს რაღაცნაირი უცნაური ინტონაციით, აჩქარებულად კითხულობდა, ემოციურად. ოვაციით ხედებოდნენ, დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებდა. საოცრად უყვარდა საღამოების გამართვა, ხალხთან შეხვედრა.

მახსოვს, სახელმწიფო გამომცემლობაში მოუწყვეს შეხვედრა. მოიტანა უამრავი ძველი ჟურნალ-გაზეთი, სადაც მისი ლექსები იყო დაბეჭდილი, უამრავი ძველი აფიშა, რომელზედაც დიდი ასოებით ეწერა მისი სახელი და გვარი. თავისი ხელით აკრავდა კვლავზე რა თქმა უნდა, სხვებიც ეხმარებოდნენ. შეხვედრა ხალისიანად ჩაატარა და ნასიამოვნები დარჩა...

* * *

ფაშილარობას ვერ იტანდა. უბრალო სასაუბრეში ვისხედით ახალგაზრდა პოეტები, ხანში შესული არნო ონელიც გვახლდა. გალაკტიონი შემოვიდა, გაგვიხარდა, მოვიწვიეთ. კარგ ხასიათზე იყო, ხუმრობდა კიდეც.

არნომ სიყვარულით გადახვია ხელი მხრებზე, შინაურულად რაღაცის თქმას უპირებდა: „გახსოვს, გალაკტიონ?...“. „არაფერიც არ მახსოვსო“, - იფეთქა უცებ გალაკტიონმა, ადგა და წავიდა...

ყველანი სახტად დავრჩით. არნო გაფითრდა. დავიშალეთ...

* * *

უცნაური იყო ხანდახან: რუსი მწერლები იყვნენ ჩამოსული. მწერალთა კავშირის შესასვლელში მაღალი სარკის წინ მდგომ ტიხონოვს ჰკითხა: „თქვენ ლექსებს სწერთ?“ ანტოკოლსკის კი შეეკითხა, მოსკოვში ისევ თოვსო?..

ელბაქიდის აღმართზე ადიოდნენ ის და კონსტანტინე გამსახურდია. სერიოზულად საუბრობდნენ. მეც იქვე შორიახლო მივდიოდი. „ზემელზე“, საათის ქვეშ გამომშვიდობებისას გალაკტიონმა უცნაურად დაიხია უკან, სამჯერ მოიხარა წელში, მოწინებით ჩამოართვა ხელი. ვერ გავიგე, დასცინა თუ გულწრფელად მოეფერა ძველ მეგობარს...

- * * *

მწერალთა კავშირის სასაუბრეში მცირე სუფრას ვუსხედით. ალექო შენგელამ დიასახლისის სთხოვა, ერთი ბოთლი კონიაკი გაგვიჩინეო. ორს მოგართმევით,


ოღონდ უფროსებთან არ გამამზილოთ, ჩქარა დალიეთ, არავინ შემოვისწროთო ნუ გეშინია, პრეზიდიუმი აქეთ, ჩვენთვის არა სცალიათო, ~~და~~ უასსუხა ალკომ.

გალაკტიონი შემოვიდა, ფეხზე წამოვდექით, მივიწ-მოვიწიეთ. ჩემს წინ დაჯდა. კონიაკი მივართვით. პატარა ჭიქით დაგვლოცა და არ დალია, აღარ ვსვამ, ლაპარაკი მინდაო.

* * *

გამეგონა, გალაკტიონს სხვა არაფერად მიაჩნია, არაეის აფასებს, საკუთარი თავის მეტი არავინ ახსოვსო. დრო ვიხელთე და მორიდებით შევაპარე: ბატონო გალაკტიონ, პაოლო იაშვილი როგორი კაცი იყო-მეთქი. ჩემი პაოლო, ჩაილ-

აპარაკა და თვალები ცრემლებით ავესო, ცხვირსახოცით მოიწმინდა და აღტაცებით შესძახა: „მინდა ავეარდე მამადავითზე, იქ აირჩიე სულს, ბინა შენ!“ შეიძლება ასეთი ლექსი კაცს არ მოსწონდეს? ანდა „გვეჩვენებოდა ეს იმერეთი არაბულ ზღაპრის დაბოლოებად!“ დიდებული კაცი იყო, ძამიკო, უკეთესი პოეტი. ოღონდ ლექსს დაუდევრად ეკიდებოდა, მეგობრებზე იყო გადაყოლილი მივიღოდა რუდაქციაში, ილაპარაკებდა, იხუმრებდა, ლექსს არც აჩვენებდა რუდაქტორს, მაგიდაზე დარჩებოდა და წავიდოდა-



ტიციანზეც გვითხარით რამე და მეტს აღარ შეგაწუხებთ-მეთქი. ჩემი ტიტე მართალი, პოეზიაზე თავშეწირული რია-რია ბიჭი იყო, „მე ძალიან ვუყვარდი, ჩემზე მშვენიერი წერილი აქვს დაწერილი, მარტოობის ორდენის კავალერი მან მიწოდა პირველად. მშვენიერი ლექსიც მომიძღვნა“. გაიხსენა ტიციანის ლექსი: „ჩემი სამშობლო საქართველო სხვა თეატრია“-

პაოლო და ტიციანი, ორთავე ბოროტმა, შურიანმა ხალხმა დაღუპა. მე მაშინ გადაურჩი საზიზღარ მოჩმახულ ჭორებსა და ცილისწამებას, მაგრამ არ ვიცი, აწი რა მელის- მაგრამ ვიცი: „ მე მოკვდები, როგორც პოეტს შეჰყვრის“.

* * *

სამიოდე წელმა განვლო ამ საუბრის შემდეგ. უმადურთა გულგრილობითა და უყურადღებობით გულდაძმძიმებული, საავადმყოფოში ვითომდა სამკურნ-

Essai

ალოდ მივიდა, მაგრამ მეოთხე სართულიდან გადმოფრინდა და მიწას დაენარცხა. საქართველო შეიძრა, თბილისი მწუხარებაში მოიქცა. ასისინდნენ ბოროტი ენები, ეს რა ქნა, ხალხი არ მოვა დასაფლავებაზეო. მაგრამ როგორც კი მწერალთა კავშირში დაასვენეს ძვირფასი ცხედარი, ხალხის ნაკადი არ შეწყვეტილა. დაკრძალვის დღეს კი არათუ მწერალთა სასახლე, მაჩაბლის ქუჩა ველარ იტყვედა მოზღვავებულ ხალხს, ყველას უნდოდა დიდი ადამიანისა და პოეტისათვის უკანასკნელი პატივი ეცა.

საპატიო ყარაულში ვიდექი შემოვიდა კოლაუ ნადირაძე, დაიჩოქა ცხედრის წინ, პირველარი გადაიწერა და მოკრძალებით ეამბორა შუბლზე, გულზე დაკრეფილ ხელებზე-

ბევრი მგზნებარე სიტყვები უთხრეს, მათაც, ვინც სიცოცხლეში არცთუ იშვიათად კენწლავდნენ-

დამთავრდა მწერალთა კავშირის სამგლოვიარო მიტინგი, პროცესია მთაწმინდისაკენ დაიძრა. გალაკტიონს ყვავილების ზღვაში მიაცურებდნენ, ერთმანეთს ეცილებოდნენ, ყველას უნდოდა წმინდა კუბოსთვის შეედეგა მხარი.

ქუჩები ხალხით იყო გაჭვდილი, ძლივს ავალწიეთ ეკლესიამდე სამგლოვიარო მიტინგი გაგრძელდა. იქაც ბევრი მგზნებარე სიტყვა უთხრეს ხალხს ეკლესიის ეზო რომ ვერ იტყვედა, მთაწმინდის კალთებზე შუფენილ ხეებზე აცოცებულიყვნენ და ისე უცქეროდნენ ლეგენდად ქცეული დიდი პოეტის დასაფლავებას. გიორგი ლეონიძემ თავისი სიტყვა გალაკტიონის სტრიქონებით დაიწყო:

ტოტებს ქარისას გადააყვა მარტი,
თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები
და წაველ ქარში როგორც მოცარტი,
გულში სიმღერის მსუბუქ ზეირთებით.

დამთავრდა სიტყვები. ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო დაშლა. ბარათაშვილის საფლავთან ახლოს გათხრილ სამარეში ფრთხილად ჩაუშვეს გალაკტიონის ცხედარი. გამახსენდა:

ღამენათევი და ნამთვრალევი
ჩემს სამარეში ჩავესვენები!..

და ავტირდი..

ტიროდა საქართველოს ცაც..

ტყეშელაშვილი (ა.)

გალაკტიონი.

გაიხსენეთ, უშუალოდ გალაკტიონის წინამორბედ და მის თანამედროვე მსოფლიო პოეზიაში, თუნდაც ფრანგულ პოეზიაში, წარმომადგენელთა რა მრავალფეროვნებაა, ფორმათა ნაირგვარობა. საკვირველია, გავლენებზე რომაა ხოლმე საუბარი, რას არ ახსენებენ — ეეროპის სიმბოლიზმიო, რუსეთის სიმბოლიზმიო და სხვადასხვა; ეებენ შემოქმედის თავისებურებებში იქაურ მიმდინარეობათა კვალს. ავიწყლებათ, რომ გალაკტიონისნაირი დიდი ტალანტის შემთხვევაში შემოქმედი თავისი დარგის განვითარების კანონზომიერებებს ორგანულად განსჭერტეს; ის სულიერი „მდგომარეობა“, რაც „დედამიწაზე დგას“, ბუნებრივად მისიკაა — ასეთ პიროვნებას არ სჭირდება ასე მექანიკურად გაგებული „სწავლა-გადმოტანა“ რაიმესი — ჭეშმარიტი ტალანტის წყალობით იგი თავად არის მატარებელი მსოფლიო ხელოვნების ამ ეტაპზე შესაძლებელი განვითარების გზებისა. ცხადია, ურთიერთგამდირება და ერთმანეთის შემოქმედებით მონიჭებული აღმზნები ბიძგი თავისთავად იგულისხმება და ბუნებრივია.

გალაკტიონმა ქართული თანამედროვე პოეზიისთვის გააკეთა რამდენიმე პიროვნების გასაკეთებელ-მოსასწრები. გააკეთა ის, რასაც სხვა ქვეყანაში რამდენიმე პოეტი ქმნიდა

და ამ ერთობლიობით ყალიბდებოდა მათი პოეზიის სახე, ეყრებოდა საძირკველი მომავალს; გალაკტიონმა მოასწრო სხვადასხვა არხის მიშეება, მოასწრო არ დაერჩენილიყავით ახალი



Essai

პოეზიის რამე ელფერ-დაკლებულნი. დიდი წინაპრების შემდეგ ჩვენი ენის ახალი ცხრაკლიტული გახსნა, დაგვიტოვა უხე-დაუმაღლებლად მისი სიმდიდრე, მასში შესაძლებელ მოძრაობათა სითავისუფლე შეგვაგრძობინა. უშურველად დაღვარა ოფლი წინა დარბაზთა გახსნაზე და მეცხრესთან დაგვაპირისპირა. გალაკტიონის წყალობით ჩვენ გვაქვს საშუალება ვინებივროთ, ისე აღარ გავწვალდეთ ქართული ენის ზმნის თავისებურებათა ბიებაში - ჩვენ ვიცით გალაკტიონის მაგალითზე, როგორ, რა შეტრიალება-მოძრაობით შეიძლება გამოანათოს მან. გალაკტიონმა ქართულის სიღრმეებში თავისი შვილობრივ-დარწმუნებული მოძრაობით დაგვიტოვა ჩვენგან ასე

უბრალოდ მიღებული ჯაჭვახსნილი პოეტური აზროვნების ჩვევა. მართალია და მაინც ღიმილის მომგერელი, რომ იტყვიან ხოლმე დინჯ-ავტორიტეტულად: გალაკტიონის ყველა ლექსი ერთნაირი ხარისხის არ არის, სუსტებიც ბლომად აქვსო გალაკტიონი უხვია; მას, ისე როგორც არავის, შეეძლო ყოფილიყო ერთმიმართული, უზედმეტო, მოსაზღვრული პოეტი, თავის ერთ-მიმართებაში „მიზეზის“ არმომცემი, მაგრამ მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა ასეთი ელფერდაუკლებელი საძირკველი, რომელიც, თუკი თვალხილული და სმენადაუხშველი ხარ, გიჩვენებს შესაძლებელი განვითარების გზებს, მის მომავალ ჩანასახებს, გიბიძგებს ქმედებისაკენ.



დაჭრილი ლომი

დაჭრილი ლომი. სხვა რამ მეტ-აფორა მისი პოეტური შინაგნობის ასახსნელად თითქოს არც ივარგებს. ვიტყვი ასე: თავისი მომავლის ამოცნობა წინასწარმეტყველთაც არ ძალუბთ — ისინი მხოლოდ სხვათა ბედისწერის მჩხიბავები არიან — გალაკტიონი ამბობს: „ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი, ეხლა რომ ოხერით შამბში ვარდება, სხვა ისტორიის წინაშე მდგომი აქ სხვანაირად აღიმართება“. გუმანის შეუმცდარობა. წინასწარცნობის სიზუსტე საოცარი. დაჭრილი ლომი ამოანთხვეს სისხლშერეულ სიტყვებს. ტკივილებით შეიძენს გამოცდილებას.

„სხვა ისტორიის“ სამანები სადღა? სად ვეძებოთ? წარმოსახვის შორეთში. უწიერ მარადისობაში. ათასწლეულების გაღმა.

დაჭრილი ლომი სამყაროს გზებზე, სადაც თანამდგომნი ძალზე ცოტანი არიან, თუმცა ვილაც მაინც სიბრალულით დახედავს მის გულს, მის ჭრილობებს შეუხორცებლებს. აი, ერთერთი — ჩვეულებრივი რუსი ქალი, მგობარი ცვეტაევასი, ბელკინა: „Поэт — редкий гость на земле. Поэту всегда трудно, так помогите ж ему, когда он нуждается в этом! А посмертная слава придет к нему и без вас...“

აქ პოეზია უკვე „სისხლის შხეფადაა“ ქცეული, მზეზე რომ ამოსტყორცნა გაქვავებული სულის კივილმა.

კენესა საყოველთაო სიტყვა: ყველასათვის ნათელი და გასაგები, უქვეტექისტო, პირდაპირი. ეს სიტყვა მწარე რეფრენად გასდევს გალაკტიონის პოეზიას; ის თითქოს არ ისმის: ის უნდა იგრძნო.

ენის საზარელი წიაღის გააღამიანურება: ესეც მისი უმთავრესი მიზანი იყო.

მარადიული ლტოლვილი.

ოცდაათიანი წლების საბჭოეთი. მწერლების გაუგონარი ფლტვა. ესეც ცხადია: ყველა არ მოუკლათ. ვილაც გადარჩა და გადარჩენილებმა პირში წყალი ჩაიგუბეს. ვინ გამოესარჩლა, ვინ დაემო ეს შემზარავი მკვლევლობები, უბიწოთა ეს სისხლისღერა? არაეინ, არაეინ. აკაკი ბაქრაძეს მიაჩნდა, რომ ეს იყო „მწერლობის მოთვინიერება“ — ვფიქრობ: ლმობიერი შეფასებაა ეს იყო მწერლობის კასტრაცია. მწერალი, ვისაც საყვარელი ცოლი ყოველად უმიზეზოდ გაუციმბირეს და მოუკლეს, ხმას ვერ იღებდა, რომ თავისი სიცოცხლე მაინც გადაეჩინა! გკითხები: ღირს რამედ ამგვარი სიცოცხლე?

* ნაწყვეტები წიგნიდან „ფურცლები“

აი, ღირებულებების აღრევა: გრაფომანი კვარცხლბეკზე დგას თავაწეული— ხოლო პოეტი ძირს ავლია ლაფში და ფურთხში!

აჰა, ის, ვინც ენის სიღრმე გაზომა, ვინც სიტყვა მისხალ-მისხალ აწონა, ვინც სინტაქსის ხვეულები შეიგრძნო, როგორც უღმობელი ბედისწერა...

გალაკტიონის შოფერი, ფეიქრიშვილის გვარისა, მიამბობს: —დავაწვებოდი წყნეთიდან, დავშეგებოდი, გამოვივლიდი ვაკეს; გალაკტიონი დილაობით ხმაამოუღებელი იყო: იჯდა გასუსული, ნაღვლიანი— ვერაზე ერთი „ზაკუსონი“ იყო, ეხლა რომ ფილარმონიაა, იმის ახლოს. იქ გამაჩერებინებდა, შევიდოდა— სხვანაირი გამოდოდა იქიდანა: შუბლგახსნილი, დიმილმოფენილი— ბევრს სვამდა? არა, არა, ტყვილია; ბევრს არა სვამდა: ერთ ჭიქას გადაჰკრამდა და სულ ეგ იყო!

ყველაფერი, რასაც დედამიწა აღმოაცენებს, თანდათან, ნება-ნება ამოდის, თითქოს შეუმჩნეველად იკავებს თავის კუთვნილ, ერთადერთ ადგილს— ის კი უცებ გაილანდა: მოულოდნელად გაკრთა, გამოისახა, როგორც მზის შხეფი, ცის ნატეხი — ასტეროიდი—

მან თვითონ გამოძერწა და გააცოცხლა თავისთავის ლეგენდა: მისი ცხოვრების ყოველი დღე ამ ლეგენდის სრულყოფაში გადიოდა; ლეგენდას ახალ-ახალი ნიუანსები ავსებდა და თანდათან უახლოვდებოდა იდეალურს, სწორედ ისეთს, როგორც თვითონ წარმოედგინა... ამ ლეგენდის

გმირი აღზარდა თავისთავში... და, ხანდახან, როცა რეალურ ცხოვრებაში დაბრუნება მოსწყურდებოდა, ის დაუსხლტებოდა ლეგენდის ბურუსს და კაცთა შორის დადიოდა სხვადასხვა-სახოვანი: ხან სალოსი ბერის სახით, ხან ლიტერატურული მტრების მიერ შეღონებული პოეტის სახით, ხან ხელჩაქეული ლოთის სახით, ხან კონიუნქტურის მედროშის სახით, ხან უმეგობრო პილიგრიმის სახით, ხან— ეს იყო ნიღბები, ეს იყო როლები, ეს იყო ბედისწერული თამაში—

თითქოს რეალურ ადამიანს აღარ ჰკავს, ის რომელიღაც მითის პერსონაჟად გადაქცეულა: ფრთები ასხია ფასკუნჯისა და მაღალ ღრუბლებში დაფრინავს, თანაც, ძალა რომ არ გამოეღოს, თავისივე ხორცის ნაფლეთებს ჭამს, მაგრამ, სამყაროს დარდით დამძიმებულს, ძალა მაინც ეცლება და: აჰა, საცაა დაენარცხება იმ მიწას, სადაც ვერ გაუგეს, სადაც ვერ იგრძნეს, სადაც დასცინოდნენ...

გალაკტიონის დიდი მტრები: კონიუნქტურა და მისი თანამდევი პათეტიკა— ჰყავს პატარა მტრებიც—

მისი პოეტური იდეალი: რეამარცვლიანი ლექსი, ე.წ. შაირი: „ნამღვილი ქართული წყობა“—

ხშირად ახსენებს „კლასობრივ მტრებს“, ხოლო თავის რეპრესირებულ, „კლასობრივ მტრებთან“ ერთად დახერხებულ ცოლზე იტყვის: „ის აღმერთებდა ლენინს“—

მას არ უყვარს ქალები. მას უყვარდა ერთი ქალი: ისიც ლანდური, არარ-



სებულად ამ მხრივ ის ძველი პოეტების — რომანტიკოსების სისხლით ნათესავია.

მახსენდება ზოგ-ზოგი ნარედაქტორალის ნათქვამი, სიამაყით და დამადლებით. გალაკტიონს ლექსებს ვუსწორებდით: როგორც ჩანს, ეს სიმართლეა, რადგან თვით გალაკტიონიც საკმაოდ ღრმა გულისტკივილით წერს: „ჩემი შეიღიათასი ლექსი დაიბეჭდა, მაგრამ არცერთი ისეთი, რომელშიც რედაქტორს ან კორექტორს ან სხვას შესწორება არ შეეტანოს“ — ვინ იგულისხმება ამ „სხვაში“? ალბათ, პარტიული ზედამხედველი, მთაველიტი — ვინ წაშლის ახლა იმ ამაზრუნეი შესწორებების კვალს?

მისი სულის ტრაგედია თანდათან გამიშვლდა: თითქოს ერთ მორჩენულ ჭრილობად გარდაიხსნა შემოქმედებითი და ცხოვრებისეული ტკივილები, შეუთავსებლობა, სხვადასხვა კოლიზიები — „აი, ჩემი ნაწერები, რომლებიც ასე უყვარდა ხალხს. დამრჩა კი ვინმე, რომელიც მთელის სულით და გულით

ენაფებოდა ჩემს ლექსებს? ნაწილს ვუყვარდი. ნაწილს ვეგავრებოდი და მეომებოდა. მეორე ნაწილმა ხალხისამ სძლია პირველს, მას, რომელსაც ვუყვარდი. ეხლა მათთვისაც არაა გავხდი, რაკი იგრძნეს, რომ უბღური ვარ ბედის წინაშე — ო, რა საშინელი ღამე იყო წუხანდელი ღამე — ჩემს კაბინეტში ეძინა სხვას, რომელსაც არაფერი არ აკავშირებს ჩემს ხელნაწერებთან. ეს იყო კოშმარი — ფანჯარა გაავადე. სახლის პირდაპირ დადგა ორი ახალგაზრდა ხულიგანი და ხმამაღლა დაცივნით იძახდა: გალაკტიონ! გალაკტიონ! გალაკტიონ! ეს იყო კოშმარი მე დამცინოდნენ — მე დამცინიან პირველად ჩემს სიცოცხლეში ალბათ აღარა ვარ კაცი — დამცინიან ჩემივე სახლის წინ? ჩემს სახლში — ღმერთო — ღმერთო — ღმერთო — როდემდე გაგრძელდება ეს? — შეიძლება თქვან, ესეც პოეტის წარმოსახვა იყო ამგვარი რამ ზდება შეიძლება სხვა ვარაუდიც: პოეტმა რეალურად აღიქვა სალოსი მწირის ნიღაბი, რასაც ის ფამიფამ მოირგებდა ხოლმე — ამგვარი რამ შესაძლოა, რომ მოხდა — შეიძლება ვივარაუდოთ ასევე

Essai

შეუძლებელი რამ: მას მართლაც დასცინოდნენ, მასხარად იგდებდნენ მაშინდელი პარტიულ-კომკავშირული ნაძირალებისაგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო! სხვა დროს ის თავისთავს თვითონვე უშელავათო და უღმობელ განაჩენს გამოუტანს: „იარე, კაცი შენ აღარ გქვია“.

სასწაულის წამიერობა! მაგრამ სასწაული, პოეზიით რომ მიიღწევა, წარუვალი და მარადიულია.

ის იყურება თავისთავში, თავის სიშორეში, თავის კოსმოსში: იქ თავის შინაწყლულებს ჩასტირის.

ესეც მომხდარა: მოქილიკე ბროში დაუტრიალებია მუშტი. გინება კი ძალზე „დელიკატური“ იცოდა თურმე.


აი, ზოგიერთი გალაკტიონისეული ენიგმა: შემორჩენილია მისი „რითმების რეკულები“ (ნუთუ, ლექსებს „აკეთებდა“?); იგონებენ, რომ მას ხანდახან ეცვლებოდა არამართო ხმა, არამედ გარეგნობაც (პოეტი თუ არტისტი?); საყვარელი ცოლის დახვერტას ის

დუმლით შეხვდა, მხოლოდ ერთხელ ამოიგმინა: „ასეც არ შეიძლება, ამხანაგო სტალინო!“ (ნუთუ ლაჩარი იყო?); ქართველი პოეტების „ნაცად“ გზას ვერ ასცდა: ისინი ზომ პოეზიას თავისთავის რეკლამისთვის იყენებენ (პოეტი თუ ნარცისი?)..

შხერა წინასწარმხედისა: 1926 წელს იტყვის: „მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით!“

ამბობენ: დაეძლიოთ გალაკტიონი! ალბათ, გალაკტიონის გავლენას თუ გულისხმობენ: ზოგი თანამედროვე და მომდევნო თაობის პოეტებიც ზომ უნუგეშო პლაგიატორებად აქცია! მაშინ დიდ კლასიკოსებზეც იგივე უნდა ეთქვათ: ჩვენს პოეზიაზე მათი გავლენა განაუფრო დიდი და აღმატებული არ არის?! ვიტყვი: გალაკტიონის გავლენას კი არ უნდა ვებრძოლოთ (ეს შეუძლებელია), არამედ უნდა შევანელოთ გალაკტიონის გამო აღძრული ღრიანცელი, რადგან ეს ღრიანცელი შეიძლება სულაც სიძულვილად, ანდა რაღაც სხვა მანიკერებად გადაიქცეს, რაც საბოლოოდ პოეზიის უსულო და თვალშეუცვლები ბომონის საძირკვლად გარდაისახება.

•••



ორი კონტური

I სიტყვა შეუდგენელ რჩეულზე

გალაკტიონის რჩეულის შედგენა ურთულესი საქმეა. შემდგენლისათვის მთავარია, საკუთარ, სუბიექტურ დამოკიდებულებას უერთგულოს და ანგარიში არ გაუწიოს ე.წ. „ობიექტურ საზომს“, ანუ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც, არცთუ იშვიათად, სნობური გემოვნების მსხვერპლია. ასეთი შედგენა საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ შემდგენლის „პოზიცია“. მის მიერ გადანაწილებული მახვილები — ამა თუ იმ ლექსის რჩეულში შეტანა-არშეტანის პრინციპი — გარკვეულწილად გაათვალსაზიანებს შემდგენლის გემოვნებას. ამგვარი რჩეულის არსებობა და სხვა შედგენებთან შედარება შექმნის საანალიზო სივრცეს, რომელიც გალაკტიონის პოეზიასთან ერთად წინა პლანზე წამოსწევს შემდგენელთა დამოკიდებულების ხარისხს მეტად რთულ და მრავალფეროვან სამყაროსთან, რომელსაც გალაკტიონის ფენომენი პქეია.

ერთხანს ვფიქრობდი, გალაკტიონის რჩეული შემდგენა, მაგრამ გადავიფიქრე, არა იმდენად იმ-

ის შიშით, რომ საკუთარი „გემოვნების“ გამჟღავნებას მოვერიდე, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ყოველდღიურად ვგრძნობდი, როგორ უფერულდებოდა ჩემთვის ესა თუ ის კრიტერიუმი, რითაც უნდა მეხელმძღვანელა შედგენისას და ამის მიზეზი გამუდმებული ორჭოფობა იყო, რადგან „ტექსტები“ შეფასებისას თვალსა და ხელს შუა იცვლიდნენ ფერსა და მნიშვნელობას, არცთუ ისე იშვიათად უბრალო ლირიკული ლექსი დიდ მნიშვნელობას იძენდა ანდა პირიქით, საყოველთაოდ აღიარებული ლექსი კარგადაა პირვანდელ სიძლიერეს. ალბათ, ამ ორჭოფობის მიზეზი ის ჩამოყალიბებული, მარადცვალებადი ესთეტიკური სივრცეა, რამაც დროის ფაქტორი, დროის სულისკვეთება წინა პლანზე წამოსწია და რაც ერთგვარ ხელისშემშლელ მოვლენად იქცა.

თავდაპირველი არჩევანი ასეთი იყო: რჩეულს დაეიწეებდი ლექსით „გემი „დაღანდი“ — იმის გათვალისწინებით, რომ იგი საპროგრამოა („მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მოუგაგენ“ და ა.შ.) და ბოლო ლექსად, ამავე მიზეზით, შერჩეული მქონდა ერთი უსათაურო,

რომლის მნიშვნელობა ჩემთვის განუზომლად დიდია: „სინამდვილეს არ ექმდური, არ ყოფილა თითქმის“.

მაღვე დაძაქვა ასეთმა მიდგომამ, რადგან ძალაუნებურად ყურადღებას ვაძახვილებდი გალაკტიონის პოეზიის სემანტიკაზე, მის საპროგრამო ნაწილზე, ერთგვარად ანგაყირებულ თემატიკაზე და როგორღაც მეორე პლანზე გადაქმონდა უმთავრესი — „წმინდა ლირიკა“, ანუ ის, რაც უმთავრესია გალაკტიონის შემოქმედებაში.

ასე რომ, გალაკტიონის რჩეულის შედგენას თავი ვანებ და სამომავლოდ გადავდე, ხოლო მომავალი შეტად საეჭვო, მოუხელთებელი და ბუნდოვანი დროა, თუნდაც იმიტომ, რომ ვერაუთნ იტყვის, რის გაკყუებას შეძლებ მომავალში, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არც კი იცი, მოგეცემა თუ არა იგი, იქცევა თუ არა შენთვის მომავალი აწმყოდ, ანუ რეალურ დროდ?!

2. თავდახსნა გალაკტიონის ტყვეობიდან

მეოთხედი საუკუნის წინათ „ცისკარში“ გამოუქვეყნე წერილი, რომლის სათაური ასე უღერდა: „გალაკტიონის ტყვეობაში“. იმ ოპუსში გამოთქვამდი ვარაუდს, რომ მეოცე საუკუნის ქართული პოეზია მნიშვნელოვანწილად დაუაღებელია გალაკტიონის პოეზიისაგან და რომ იმ ტაძრის (ვგულისხმობ გალაკტიონის შემოქმედებას) ფრესკები, მოზაიკა, ჩუქურთმა, არქიტექტურული ფრაგმენტები და

ა.შ. გადანაწილდა, გადასხვაფერდა, განვითარდა მრავალი პოეტის შემოქმედებაში. გალაკტიონის თემები, ინტონაციათა მრავალფეროვანი სპექტრი, ცალკეული ხატები, სალექსო საზომთა და ტროპულ ნაირსახეობათა პოლიფონია, თვით ირონიულ-პაროდიული ტონალობაც კი დაიშალა, დაქუცმაცდა და ახალი ლიტერატურული დინებების წარმოქმნის პროცესს დიდად შეუწყო ხელი. ტაძარი (გალაკტიონი) დარჩა ხელუხლებელი, მაგრამ მის ირგვლივ აღმოცენებულმა ნაგებობებმა ერთგვარი პაროდიების სახე მიიღო, თუმცა მათი ავტორები სულაც არ ფიქრობენ ასე, ხოლო მრავალი აღმოჩენის სერიულმა წარმოებამ გასაქანი მისცა სტერეოტიპულ აზროვნებას, რაც სავსებით ბუნებრივია, მანამ, ვიდრე სიმულაციურმა ტექსტებმა სხვა საზრდო არ იპოვა. ახლა, როცა მეოთხედი საუკუნის შემდეგ თვალი გადავაყუდე საკუთარ მოსახზრებას, თითქოს ეჭვი შემეპარა მის სიმართლეში და შეფასება არაობიექტური და გადაჭარბებული მეჩვენა, თუმცა იმ პიპერბოლურობაში არის რაღაც სიმართლის ნატამალი, რომელიც თანაბრად ეხება ზოგიერთი პოეტის მთელ ანდა ადრინდელ შემოქმედებას.

ირონიულ-პაროდიული ლირიკა (ტ. ჭანტურია, ვ. ჯავახიძე) გალაკტიონის შემოქმედებიდან, იქნება ა. წერეთლიდან იღებს სათავეს, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ირონიულ-პაროდიული ესთეტიკა, რაც ტარიელ ჭანტურიასთვის ამოუწურავ, ერთ-ერთ ლიტერატურ-



1928 წელი



ულ მეთოდად იქცა და მრავალი ნო-
ვაცია დაამკვიდრა ქართულ პოე-
ზიაში, გალაკტიონისთვის არ არის
მთავარი. აქვე უნდა აღინიშნოს
ისიც, რომ ირონიულ-პაროდიული
ლირიკა (ტ. ჭანტურია), დიდი ხა-
ნია, მთლიანად გავიდა „გალაკტი-
ონის ტყვეობიდან“ და ახალი პო-
ეტური ტექსტი განვითარების იმ
ხარისხში აიყვანა (ვერსიფიკაცი-
ულად, ინტონაციურად, ცნებებისა
და ორაზროვანი რითმების, ე.წ.
„ჭკვიანი რითმების“ დამკვიდრ-
ებით), რომ საყოველთაოდ აღაპა-
რაკდნენ კონვენციური ლექსის შეს-
აძლებლობების ამოწურვაზე, რაც,
როგორც დრომ გვიჩვენა, სიმარ-
თლეს არ შეესაბამება. კონვენცი-
ური ლექსის სტრუქტურულიდან „მა-
სობრთვი გაქცევა“ ვერლიბრისკენ
სწორედ იმ შიშმა განაპირობა, რა-
საც კულუარებში ასე გამოხატედ-

ნენ: „ამაზე შორს წასვლა კონვენ-
ციურ ლექსში შეუძლებელია!“

პირობითი ზღვარი — კონვენცი-
ურ ლექსში რომ აღმოაჩინეს და
ტრადიციული ლექსთწყობის გან-
ვითარების შეუძლებლობაზე აღა-
პარაკდნენ — მართლაც, პირობი-
თი იყო, რასაც, ალბათ, მომავალი
კვლევა დაგვიდასტურებს.

გალაკტიონის პოეტური სამყა-
როს გაგრძელებად მოიაზრება ანა
კალანდაძის, მურმან ლებანიძის,
სხვათა შემოქმედება და იმ მცდე-
ლობად, რითაც ანა კალანდაძემ
შემლო გალაკტიონის სამყაროდან
გასვლა „ფშაური“ და „რელიგიური
ციკლით“.

მეტად მნიშვნელოვანია მუხრან
მაჭავარიანის ხმაურიანი დებიუტი
და იმ პირველი შთაბეჭდილების
სიმძაფრე, თავის კვალი რომ დაამ-
ჩნია მიმდინარე პროცესს.

70-80-იანი წლები (თაობებს არ
ვგულისხმობ) გალაკტიონის ესთე-
ტიკის დაძლევის პერიოდი, ცდაა
იმისა, ახალი სურცეები გადიშა-
ლოს პოეზიის მოყვარულთა თვალ-
წინ, თუმცა გალაკტიონის თანა-
მონაწილეობა ცალკეულ ტექსტებ-
ში მაინც საგრძნობია.

გაუღენის სფერო, რაც უნდა სა-
კვირველი იყოს, ცხადია, მხოლოდ
გალაკტიონს არ ეკუთვნის და ჩვენ-
თვის ამჟამად იმ ტენდენციების
აღმოჩენა, სიმონ ჩიქოვანზე, როგ-
ორც ლიტერატურულ სათავეზე
რომ მიგვანიშნებს. თუმცა მიმდევ-
რები (თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილა-
ძე) თითქმის თანაბრად საზრდო-
ობდნენ (უნებლიე პროცესს ვგუ-
ლისხმობ, რა თქმა უნდა) როგორც

გალაკტიონის, ასევე სიმონ ჩიქო-
ვანის პოეტური მიღწევებით, ითვი-
სებდნენ, ამდიდრებდნენ ცალკეულ
ტენდენციებს, რამაც საბოლოოდ
თავის შედეგი გამოიღო. სამოციან
წლებში თავისი კრებულებით ოთარ
ჭილაძე თვითონ გახდა ახალი პო-
ეტური სკოლის წყარო, რაც შეუმ-
ჩინეველი არ დარჩენია ლიტერატუ-
რულ კრიტიკას. იმთავითვე უნდა
გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ოთარ
ჭილაძის გზა და ირონიულ-პარ-
ოდიული ლირიკის (ტ. ჭანტურია,
ვ. ჯავახაძე) სრულიად განსხვავე-
ბული ესთეტიკა. ცალკე კვლევის
საგანია მეტად საინტერესო პოე-
ტის - გივი გეგეჭკორის მრავალ-
მხრივი შემოქმედება, სრულიად
მარტო რომ დგას და ზოგადპოე-
ტური გამოცდილების მეტად ორი-
გინალურ სინთეზს წარმოადგენს.

სამოცდაათიან წლებში აღნიშ-
ნული პროცესებისა და პარალე-
ლურად საესტრადო, სახოტბო პო-
ეზიის აღზევების ფონზე გამოი-
კვეთა ახალი გზები, ერთი მხრივ,
კონვენციურ ლექსში, ხოლო, მეორე
მხრივ, გაქვევებული გემოვნების
ადეპტთა გამაღიზიანებელი ვერ-
ლიბრის მოძალებაში (ბესიკ ხარა-
ნაული, ლია სტურუა, ჯ.ფხოველი,
მ. წიკლაური, თ. ბექიშვილი, გ.პეტ-
რიაშვილი და სხვა). მაგრამ აქვე
უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის
ესთეტიკა, როგორც ზოგადი მიღ-
წევა გარკვეულწილად მაინც მონა-
წილეობდა შემოქმედებით პრო-
ცესში, ვერლიბრშიც კი (ლ. სტუ-
რუა) ცალკეული სურვილის სახ-
ით, თუმცა აშკარა იყო გალაკტიონ-
ის ესთეტიკიდან არა მხოლოდ

გალაკტიონ
ჭილაძე



1949/11 - 7

გაღწევის მცდელობა, არამედ ახა-
ლი გზების ძიების პროცესი.

ცალკე კვლევის საგანია კამე-
რული, ნიუანსური, განწყობილება-
თა მკრთალი მახვილები, ასევე გა-
ლაკტიონის ესთეტიკის ნაწილი —
იზა ორჯონიკიძის პოეზია.

ჩემს შეხედულებას, რომელიც
უფრო კონტურია და არა დასაბუ-
თებული ლიტმცოდნეობითი ოპუსი,
აღბათ, გააჩნია არსებობის უფლ-
ება, თუნდაც მეტად ვიწრო წრის-
თვის, ახალი ქართული პოეზიის
პრობლემემატიკით რომ არის დაინ-
ტერესებული.

P.S. აღბათ, საინტერესო იქნე-
ბოდა, შედგენილიყო თანამედროვე
ქართული პოეზიის ანთოლოგია,
რომელშიც შევიდოდა მხოლოდ ის
საუკეთესო ლექსები, გალაკტიონ-
ის ესთეტიკით რომ არის ნასა-


ზრდობები. სიმართლე გითხრათ, ძლიერ მაინტერესებს, როგორი ანთოლოგია შეგვრჩება ხელთ ერთის თქმა კი წინასწარ შეიძლება: ამგვარი ანთოლოგია ნათელს მოჰფენს იმ ლიტერატურულ პროცესს, რასაც გალაკტიონის დაძლევის მცდელობა ჰქვია და რომელშიც აშკარად გამოიკვეთება თვით გალაკტიონის ესთეტიკის თანამონაწილეობა, ანუ ახალი სივრცის პოვნის სურვილი.

ასეთი ანთოლოგიის შედგენა დღევანდელ პირობებში დიდი ფუფუნებაა და, ალბათ, განხორციელება არ უწერია, მაგრამ იდეის დონეზე მის არსებობას მაინც აქვს თავისი მნიშვნელობა; თუნდაც ის, რომ ახალი თვალით, ახალი ნიშ-

ნით შეგვიძლია წავიკითხოთ ესა თუ ის ლექსი.

ახლებური წაკითხვისკენ გვიბიძგებს ღირებულებათა გადაფასების ის პროცესი, ელვის სისწრაფით რომ ვითარდება ჩვენში, რაც ახალი დროის, საბჭოურობიდან გამოსვლის ლოგიკური შედეგია.

ჩემს ჩანაწერებს მხოლოდ იმ იმედით ვაქევენებ, იქნებ ვინმეს, ვინც გალაკტიონის შემდგომდროინდელი პოეზიის „დალაგება-დადგენას“ გადაწყვეტს, რამეში გამოადგეს. ცხადია, არ გამაჩნია სკრუპულოზური კვლევის პრეტენზია. არც იმას გამოურიცხავ, რომ ვინმე ან რაიმე გამომჩრა. შევეცადე, ჩემი ხანგრძლივი ნააზრვეის კონტურული რუქა შემეთავაზებინა მკითხველისთვის.



გალაკტიონის შემდეგ

მეოთხედი საუკუნის წინ, 1977 წელს მიხეილ კეცელაეამ თავის გახმაურებულ წიგნში „პოეტური ინტეგრალი“ ერთი კითხვით მიმართა ცნობილ ქართველ პოეტებს: „რა გზით მიდის ქართული პოეზია გალაკტიონის შემდეგ?“ ჩვენ შევხვებოდით ბატონებს: ტარიელ ჭანტურიას, ოთარ ჭილაძეს და ვახტანგ უჯაყასაძეს და დაეაზუსტეთ, რაიმე ცვლილებას ხომ არ შეიტანდნენ პასუხებში ოცდახუთწლოვანი დისტანციიდან. მათ ტექსტის უცვლელად დაბეჭდვა ისურვეს გთავაზობთ ესეისტურ-კრიტიკული პროზის ამ მშვენიერ ნიმუშებს, ღღესაც რომ ინარჩუნებენ სიცოცხლეს და აქტუალობას.

ტარიელ ჭანტურია

ალქიმიკოსიც, ოქროს მაძიებელიც

საყოველთაო სიყვარულის უცნაური გამხელაა აკაკის ერთი ლექსი:

ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს,
იგიც მიყვარს, ვინაც რომ მძულს!

პოეტი სხვა მისიით მოდის ამ ქვეყანაზე. მას არა აქვს სიძულვილის უფლება. იგი შურს ვერ იძიებს, იგი თანაღმობისა და სინანულისთვის გაუჩენია განგებას.

გიყვარდეს იგი, ვინც გიყვართ, მაგრამ შეიყვარეთ იგიც, ვინც გძულთ! ამის თქმას მხოლოდ აკაკი გაბედავდა! ასე საბედისწეროდ გათიშულ ქვეყნიერებას მარტო აკაკი თუ გაუბედავდა ამის თქმას! ეს არაა სახარებისეული სენტენციის პერიფრაზი. ეს — აკაკი!

რაც უფრო მეტს კვითხულობ აკაკის, მით უფრო ნათელი ხდება ჩემთვის იმ კეთილი შურის მიზეზი, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე განიცდიდა აკაკის მიმართ გალაკტიონი. მან გამწარებული ცხოვრებით

იცხოვრა და მის დღიურებში ჩანს მისი წამიერი გაბოროტების კვალი, მაგრამ იქ, სადაც მისი მარადიული ცხოვრებაა მოქცეული — მის პოეზიაში — მასაც მისი დიდი მოძღვარის დარად, უყვარს ყველა: იგიც, ვინც უყვარს, და იგიც, ვინაც სძულს.

მან ეს აკაკისაგან ისწავლა: გალაკტიონი აკაკის მძლავრ მხრებს დაეყრდნო და ისე აიწია მაღლა, რათა უფრო შორს გადაეხედა! ხოლო რა დაინახა მან ისეთი, რაც აკაკის ყოვლისმხილველ მზერასაც გამორჩენოდა — ეს საგანგებო კვლევის საგანია.

ზოგიერთებს — „ჩამავალი მზის“ უცნაური შუქით დაბრმავებულებს — არ ესმით, რომ გალაკტიონის ოპონენტობა უნაყოფო საქმეა. შეუძლებელია, ლოგიკურით ახსნა ღეთაებრივი, ცნებების მეოხებით მისწვდევ ტრანსცენდენტურს ისიც უნუგვეშოდ წაგებული საქმეა, „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“ და „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ ერთმანეთს დაატოლო ან კიდევ „ბოროტების ყვავილების“ ხსენებაზე



უსათუოდ „არტისტული ყვავილები“ მოიგონო: ვისაც ქართული ჩუქურთმა ვერ გაუგია, იგი გალაკტიონის პოეზიას ვერ გაიგებს! ქართული ჩუქურთმის შესწავლისას კი ფრანგული სიმბოლოზში გზამკვლევად ვერ გამოდგება.

გალაკტიონი პატარა კი არაა იმის გამო, რომ მის ლექსებში შეგიძლია თვალი გააყოლო სხვის სტრიქონებს, არამედ დიდი იმის გამო, რომ ყველა ამ სტრიქონს აზის მისი სულის მრგვალი ბეჭედი წარწერით — „გალაკტიონი“:

ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი,
საკუთარი შტამპით...

პოეზიის აურაცხელი ოქროა ახლა ამ შტამპით ბრუნვაში და მაშინვე, როგორც კი გალაკტიონის ოქროს სხვის ჯიბეში მოკრავენ თვალს, მაე-

ანი და მავანი იწყებენ მტიციებას, რომ არ არსებობს სხვა ფული! მაგრამ ამ აზრს უმთავრესად ხელმოცარული ადამიანები აერცელებენ ხელმოცარული კაცი მოკლებულია უნარს, აღიაროს მეორე ადამიანი მაგრამ თუკი ეს აუცილებელი გახდა, მაშინ მას ათის აღიარებას ისევ ერთის აღიარება ურჩევნია: ბატონი ბრძანდებით, გვყავს გალაკტიონი! მაგრამ მხოლოდ იგი გვყავს და სხვა არავინ! — აი, მისი საყვარელი ფრაზა! აღიარო მხოლოდ გალაკტიონი — ეს ნიშნავს, დაამცირო თავად გალაკტიონი და დააკნინო მისი მნიშვნელობა. მარტო ერთი ნონა გაფრინდაშვილის არსებობამ ათობით საჭადრაკო ტალანტის მოსვლას შეუწყო ხელი, ათობით მაღალნიჭიერი ოსტატი შესძინა საქართველოს. ნუთუ მართლა ფიქრობს ვინმე, რომ გალაკტიონის არსებობის ფაქტს ნაკლები ზეგავლენის მოხდენა შეეძლო პოეზიაზე.

გალაკტიონის პოეტური გენია სრულ თანაფარდობაშია მისი ცხოვრების ლეგენდასთან. იგი ხან ოქროსმადიებელია, ხანაც ალქიმეოსი. მისი კოლბებითა და რეტორტებით საქართველოში დღესაც ბევრი სარგებლობს, ხოლო ბრწყინვალე რუს პოეტს ანდრეი ვოზნესენსკის, ავტორს განთქმული „იზობისა“ — „ლუნა კანულა“, რომელიც მარცხნიდან და მარჯვნიდან ერთნაირად იკითხება, სხვებთან ერთად — დერეკონთან, ხლენიკოვთან, კირსანოვთან, აპოლინერთან ერთად — ზოგჯერ იქნებ გალაკტიონიც უწევდეს მეგზურობას პოეზიის იდუმალ სამყაროში. მოიგონეთ: „აი, რა მზის სიზმარია...“.

ღიას, ეს ასეა, მაგრამ ამან ნიკ-

ილიზმის საფუძველი არ უნდა შექმნას, რადგან არსებობს სხვა ფულიც, მოჭრილი სხვადასხვა შტამპით! — არსებობენ სხვა პოეტები და მათი არსებობა გალაკტიონის დამსახურებაა!

უფრო შორს რომ გადავხედა, ჩემი თაობა გალაკტიონის ღონიერ მხრებს დაეყრდნო და ისე აიწია მაღლა. ხოლო რა დაინახა მან ისეთი, რაც თვით გალაკტიონის ყოვლისმზილველ თვალსაც კი შეუმჩნეველი დარჩენოდა — ეს საგანგებო კვლევის საგანია და ექსპრომტად ამის გამო საუბარი გამართლებული არ იქნებოდა.

გალაკტიონს აქვს ერთი გასაოცარი ფრაზა:

რუსთაველი მასხოვს ბავშვი...

ურუნტელი დაგიღის, როგორც კი 9 წლის რუსთაველს წარმოიღებენ მას მართლა ახსოვდა რუსთაველი, რადგან იგი იყო ყოველთვის — რუსთაველამდე და მის მერეც! ისევე როგორც რუსთაველი იყო ყოველთვის, როგორც თანამდევნი სული ქართველის ქართველობისა! როგორც აკაკი იყო ყოველთვის —

რუსთაველი! აკაკი! გალაკტიონი! — აი, ქართული პოეტური სულის შეუცვლელი ტრიადა!

წინ კუშკინისაკენ! — ასე უღერდა ნიჭიერი რუსი კრიტიკოსის სტანისლავ რასადინის მოწოდება ამ ათი-ოდე წლის წინათ.

წინ, რუსთაველისაკენ!

წინ, აკაკისაკენ!

წინ, გალაკტიონისაკენ! — ასეთი იქნება ამ პოეტური ღოზუნგის ქართული თარგმანი (თუ პწკარედი).

ერთია ოღონდ: ეს წინსვლა ყველას სხვადასხვანაირად გვესმის.

გალაკტიონის მთელი ცხოვრება ამ წინსვლისთვის ფიქრი იყო.

„ფრთები, ფრთები გინდა!“

გვიყვარს ამ სტრიქონების გახსენება!

ფრენა გალაკტიონის საბედისწერო უინი იყო. მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე ფრთებზე ოცნებაში გაატარა.

გალაკტიონის ფრენა 1959 წლის იმ საბედისწერო დღეს არ დამთავრებულა.

იგი სამარადისოდ გაგრძელდება, როგორც თავად საქართველო!



ოთარ ჭილაძე

ღმერთის სიკვდილი

მე მჭონდა შესაძლებლობა, პირადად გავცნობოდი გალაკტიონს მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში ვიყავი და ისე მოხდა, რომ რამდენიმე ბავშვი გალაკტიონთან გაგვეზაუნეს სკოლიდან, მაგრამ ბოლო წუთს მაინც ვერ გავბედე მის ბინაში შესვლა და გარეთ დავრჩი, შემეშინდა, ისეთი რამე არ ვეითხა ჩემთვის, რაზედაც ვერ ვუპასუხებდი, არ მეცოდინებოდა, ანდა ისე ვერ ვუპასუხებდი, როგორ პასუხსაც იგი ელოდებოდა, ალბათ, იმისგან, ვინც მის სამეულობელოში შეჭრას გაბედავდა.

გალაკტიონი სულ იყო ის წარსულიდან კი არ ამოიზარდა ჩვენთვის სხვა ტიტანებივით, არამედ ჩვენს გვერდით ცხოვრობდა, ჩვენთან ერთად და, შეიძლება ამის გამოც, მისი ზემოქმედება შეუძნეველი რჩებოდა დიდი ხნის მანძილზე. ის ისე შემოდიოდა ჩვენს არსებაში, როგორც ჰაერი, რომელსაც ვერ ამჩნევ, ვერც გრძნობ, მაგრამ ურობლისოდაც სიცოცხლე არ შეიძლება.

გალაკტიონს რომ ჩვენამდე ეცხოვრა, შეიძლება, თავიდანვე მეტი პატივისცემა გექონოდა არა მარტო მისი პოეზიის, არამედ მისი პიროვნების მიმართაც. ღმერთი რომ ხილული იყოს, რელიგია არ იარსებებდა. გალაკტიონს კი იმდენად შეეჩვია თბილისი, აღარავის უკვირდა მისი გამოჩენა. ყველანი ცნობდნენ, ყველამ იცოდა მისი სახელი, რაც, ძალაუნებურად, არღვევდა საზღვრებს ჩვეულებრივსა და არაჩვეულებრივს, ყოველდღიურსა და მარადიულს შორის. პირადად მეც ბევრ



ჯერ მინახავს იგი, ხვეისბერივით გორიზი და ახოვანი, ბავშვის წამალზე გამოსული კაცივით აფორიაქებული, ანდა უბილეთო მგზავრივით ტროლეიბუსის უკანა ბაქანზე გაჩერებული და ამ ქალაქში პირველად მოხვედრილივით სვედიანი ყურადღებით გამოიზიარალი ტროლეიბუსის კარის ვიწრო მინაში ჩვენ არ განგვიცდია მისი წარმოდგენის ტანჯვა და სიამე, მაგრამ ჩემს თაობას, ეტყობა, ბედად ეწერა უფრო დიდი შთაბეჭდილების განცდა, ვიდრე ღმერთის წარმოდგენაა. მან ღმერთის სიკვდილი იხილა.

ის დღეები, როცა გალაკტიონი მწერალთა კავშირში ესვენა, საზიგო უფრო იყო, ვიდრე სამელოვიარო. მწერალთა კავშირი იმ დღეებში მართლაც ვადა ტაძარს, სადაც ყველა მორწმუნეს შეუძლია შესვლა უფლის სახილველად. ის კი, უფალი, მშვიდად, მედი-

დურად, მომხიბვლელადაც კი, იწვა მაღალ კუბოში, ყვავილებში ჩაფლული და ჩვენ, პოეტები კი არა, პოეზიის თაყვანისმცემლები, მორწმუნეთა ალტკინებით, ტანჯევანარევი სიაშით, სითამამით, უფლებამოსილებით ვირეოდით ნახევრად ბნელ დარბაზში, სადაც კუბო იდგა, რადგან ჩვენს ალტკინებას, სითამამესა და უფლებამოსილებას პოეზიის — ამ უძველესი და უმშვენიერესი რელიგიის — საიდუმლოებათა ღრმა ცოდნა კი არ ბადებდა, არამედ განუსაზღვრელი ნდობა, შეურყვევლი რწმენა მისდამი სადაც ღმერთი ასვენია, გინდაც მკვდარი, იქ ურწმუნობასა და უნდობლობაზე ლაპარაკი თავისთავად გამორიცხულია.

გალაკტიონმა, უპირველეს ყოვლისა, პოეზიის სიღიადის, პოეზიის მარადიულობისა და, რაც მთავარია, პოეზიის აუცილებლობის რწმენა განგვიმტკიცა ჩვენ. მწერლები ერთმანეთს ასწავლიან, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, ვინ ვის ასწავლის, მთავარია, ვინ რა იცის, ვისგან რისი სწავლა შეიძლება. გალაკტიონმა სიტყვის პატივისცემა გვასწავლა ჩვენ, რაც თავისთავად საერთოდ ადამიანის პატივისცემას ნიშნავს მე არ მეგულება ჩვენს თანამედროვეობაში მეტნაკლები შესაძლებლობის, განათლებისა და გაქანების პოეტი (რა თქმა უნდა, ჩემი ჩათვლით), გალაკტიონის გავლენა რომ არ განეცადოს გავლენა, კარგი გავებით, კეთილშობილური აუცილებლობა, გან-

ვითარებასა და წინ წასვლას გულისხმობს, რადგან სულში ტოვებს კვალს და არა სახეზე სახეზე მიმბაძველობა ტოვებს კვალს, როგორც გრიმი, ხოლო მიმბაძველობისკენ ადამიანს, ამ შემთხვევაში პოეტს, ადამიანის სულის სიღრმეთა წედომის სურვილი კი არ უბიძგებს, არამედ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივების ჟინი გალაკტიონს მიმბაძველიც ბევრი გამოუჩნდა და ამით მან ისიც გვასწავლა, როგორი უნდა იყოს პოეტი.

გალაკტიონის ცხოვრება მშვენიერისადმი განუწყვეტელი ლტოლვა იყო, განუწყვეტელი და ამიტომაც გამანდგურებელი სურვილი მშვენიერის შექმნისა, რასაც თანამგზავრად კატორღული შრომა, უძილობა, უმეგობრობა, აუტანელი ტკივილი, სულისშემხუთავი ეჭვი, გამოაგნებელი სინანული და იშვიათი, წამიერი ბედნიერების შეგრძნება ახლავს მხოლოდ. შეიძლება ამის ბრალიცაა, რომ გალაკტიონის სურათიდან (რომელ ასაკშიც არ უნდა იყოს იგი გადაღებული) გაოცებული სისუფთავისა და ჩვენთვის უცხო სისადავის გრძნობა გვეუფლება ხოლმე, რაც ამ ბედნიერი ტანჯულის სულიერი დახვეწილობის, სულიერი წრთობისა და სულიერი სიღიადის გამონაშუქია, თვალისთვის მიუღწეველი ვარსკვლავის შუქით რომ აღწევს ჩვენამდე და მერე დიდხანს გვაფორიაქებს, როგორც ბოლომდე გაურკვეველი, მაგრამ ბედნიერების მაუწყებელი სიზმარი.

გალაკტიონი

ვანტანგ ჯავახაძე

გალაქტიონის გზით

გალაქტიონის შემდეგ ქართული პოეზია წავიდა და მიდის გალაქტიონის გზით. თითქოს გალაქტიონმა მაქსიმალურად ამოწურა თანამედროვე პოეტური სიტყვის შესაძლებლობანი — თავისუფალი და თეთრი ლექსიდან — ვიდრე ვირტუოზულად მუსიკალურ

და ქართული კლასიკის გამოცდილებაც, ხალხური პოეზიის სურნელიც და ზეპირი მეტყველების მადლიც, უახლესი ლექსიკაც და დროული არქაიზმებიც, ურბანიზმიც და სოფლის იდილიაც,



სტიქიონამდე, თვით ინვერსიულ ლექსამდე (პალინდრომი: „აი რა მზის სიზმარია“). მაგრამ აქ იგულისხმება არა მარტო ფორმა და არა მარტო განუსაზღვრელად მრავალხმიანი რიტმი:

ღრმა ქვეტექსტიც და დიდი სინათლაც

ვაუკაცური ომახიც და ლირიკული სინაზიც,

ამაღლებული ტონიც და ზომიერი იუმორიც,

მსოფლიო ლირიკის გამოძახილიც

პირადი განცდებიც და საკაცობრიო იდეალებიც—

გალაქტიონის შემდეგ ქართულ პოეზიაში თვისობრივი სიახლეების შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება. არ შეიძლება ლაპარაკი ისეთ დიდ სიახლეზე, როგორც მოიტანა ვაჟა-ფშაველამ აკაკი წერეთლის შემდეგ ან თვით გალაქტიონმა აკაკისა და ვაჟას შემდეგ. ჩვენი საუკუნის ყოველი კარგი პოეტი გალაქტიონის მრავალწახნაგოვანი პოეზიის ამა თუ იმ მხარეს აგრძელებს და ავითარებს თავისე-

ბურად. ეს მხარეები თვით გალაკტიონის მდიდარ ლირიკაში ისე გამოკვეთილად არც ჩანს. სხვათაშორის, ეს პოეტები შესაძინევად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და სამართლიანად ითვლებიან ორიგინალურ პოეტებად, იმდენად ორიგინალურებად, რომ მათ მიმდევრებიცა კყავთ, მაგრამ ეს მიმდევრები უკვე ეპიგონები არიან—

გალაკტიონის შემდეგ თანდათან იზრდება მანძილი გალაკტიონსა და „დანარჩენებს“ შორის. საერთოდ, ცოცხალი ხელოვანის შეფასებისას ყოველთვის აჭარბებენ. ცოცხალი გენიოსის შეფასებისას კი პირიქით „აჭარბებენ“. ამიტომ სიცოცხლეში გენიოსსა და „დანარჩენებს“ შორის განსხვავება არც ისე შესაძინევიია. მაგრამ დრო და სიკვდილი ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს: შესაძინევიად იზრდება მანძილი გალაკტიონსა და „დანარჩენებს“ შორის. ამადლებული გალაკტიონის ჩრდილში ბევრი რამ გაუფერულდა და გადაფასდა. გალაკტიონის პოეზიამ თანდათან მოიპოვა მეტრის უფლება და ახლა უკვე მასთან სიახლოვე განსაზღვრავს ამა თუ იმ პოეტის ღირსებას. შეიძლება პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ვისაც გალაკტიონთან არაფერი აქვს საერთო, სუსტი პოეტია ან არ არის პოეტი. ალბათ, დადგება დრო, როცა გალაკტიონისგან განსხვავება იქნება პოეტის ღირსების საზო-

ბი. შეიძლება მსგავსი მოვლენა შეინიშნებოდეს კიდევ უკანასკნელი ათწლეულის ქართულ ლირიკაში, განსაკუთრებით ერთი შედარებით ახალგაზრდა პოეტის პირველ წიგნებში. მაგრამ ნუ ავჩქარდებით, დაეცადოთ კიდევ ერთი ათწლეული მაინც—

გალაკტიონის შემდეგ ქართულ მწერლობას დარჩა გალაკტიონის მკაცრი გაკვეთილი: პოეზია უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს. ჭეშმარიტმა პოეტმა უნდა დაივიწყოს თავისი ხორციელი ინტერესები, არასოდეს არ უნდა გამოეთიშოს შთაგონების წამებს და უარი თქვას პირად ბედნიერებაზე. ვინც გალაკტიონს პირადად იცნობდა, დამუთანხმება: ამ თვალსაზრისით, გალაკტიონი ყველაზე მეტად „შეწირული“ ლირიკოსია მთელს ქართულ პოეზიაში.

გალაკტიონის შემდეგ, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც დაიწყო და დღემდე გრძელდება გალაკტიონის აღიარების პროცესი. კემინგუეის ეყო გამბედრობა და თქვა: მთელი ახალი ამერიკული პროზა მარკ ტვენის „ქეკლბერი ფინიდან“ გამოვიდაო. „მოვა დრო, როცა კაცობრიობა გალაკტიონ ტაბიძეს გენიალურ პოეტად აღიარებს“ (გ. ასათიანი). ალბათ, მაშინ აღარავის ეთაკილება, აღიაროს, რომ მთელი მეოცე საუკუნის ქართული პოეზია გალაკტიონის ლირიკიდან გამოვიდა.



სანდრო ბარამიძე

ყოფიერება და დრო გალაკტიონის პოეზიაში

ბერისთვის ალბათ საეჭვო არაა ის ფაქტი, რომ გალაკტიონის შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი 1915-1927 წლებია. როგორც ბგერით-სახეობრივი, ისე იდეურ-კონცეპტუალური თვალსაზრისით მისი საუკეთესო ლექსები, რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, სწორედ ამ პერიოდში დაიწერა. ხოლო აფეთქება გალაკტიონის პოეტური გენიისა 1915-1918 წლებში მოხდა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ისეთი შედევრები, როგორებიცაა „ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „თოული“, „ჭიანურები“, „ვეულები“ „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა საყანეში“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ და ა.შ. ოღნაჟ მოგვიანებით, 1922 წელს დაიწერა მისი პოეზიის, ასე ვთქვათ, შემაჯამებელი ლექსი „ეფემერა“.

განცვიფრებას იწვევს, როგორ სწრაფად, მოულოდნელად, პრაქტიკულად, მოსაშხადებელი პერიოდის გარეშე მოხდა გალაკტიონის გადასვლა ლამაზი, თუმცა გულშრევილო, უმთავრესად თხრობითი და აღწერილობითი ხასიათის ლექსებიდან („მესაფლავე“, „თვალწუნდენელი, დაუსაბამო“, „გურიის მთები“, „წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა“, „სანთლები“ საუკეთესოა ასეთ ლექსებს შორის) ღრმად ფილოსოფიურ, ტრაგიკულ, ბგერით-მუსიკალური თვალსაზრისით ურთულეს პოეზიაზე. ასეთი გადასვლა ძალზე მკაფიოდ იგრძნობა ლექსში „მთაწმინდის მთვარე“, რომლის დასაწყისი (სიტყვებამდე – „ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული“) სწორედ ამგვარი თხრობითი ხასიათის ლექსების უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს, ხოლო ბოლო ნაწილი კი (სიტყვებიდან – „და მეც მოუკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად“) – მისი პოეზიის ზენიტისკენ აღმასვლის დასაწყისს.

ასევე ტრაგიკულად მოულოდნელი და დასანანია ხედავ იმისა, როგორ მალე, შეუბრალებლად მალე იწყებს კვდომას მისი მუზა, როგორ სწრაფად ქრება მისი გენიალური პოეზიის სანთელი. პრაქტიკულად, „ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი“ (1925) გენიოსის უკანასკნელი ამოსუნთქვაა, რომლის შემდეგაც გალაკტიონი უკვე ის გალაკტიონი აღარ არის – არის ლექსის წერის პროფესიული უნარი და გამოცდილება, მაგრამ აღარ არის

აღარც განსაცვიფრებელი „შემლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეები“, „ოფლისისფერი ყინვის თასები“, „უდაბნო ლურჯად ნახაერდები“, „სილასი ვარდი“ და სხვა ფენომენალური სახეები და, რაც მთავარია, აღარც ის ტრაგიკული განცდა სამყაროსი, რომლის წყალობითაც დაიშვილდა პოეტმა ადგილი მარადისობაში. ამ თვალსაზრისით, როდესაც ვსაუბრობთ ყოფიერებისა და დროის ფილოსოფიური აღქმის საკითხებზე, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ მისი პოეტური სიმწიფის პერიოდის ლექსები, რომლებიც მით უფრო მეტ განცვიფრებას იწვევს მათი იდეურ-მუსიკალური სრულყოფილებით, რომ ჯერაც სრულიად ახალგაზრდა კაცის მიერ დაიწერა.

* * *

ლექსი „მესაფლავე“ გალაკტიონმა 21 წლის ასაკში დაწერა. აქ არის გადმოცემული პოეტის ჯერაც გულუბრყვილო შეხედულებები ადამიანის სიცოცხლის სასრულობის შესახებ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სპირიტუალური თვალსაზრისით ადამიანი ქრება ხორციითაც და სულითაც და, რაც ყველაზე მეტად სავალალოა, იგი ქრება ადამიანთა მუხსიერებიდანაც. ანუ ის ქრება საერთოდ:

მესაფლავე, ქლა კი გაქვს ნება, რაც გსურს, კვლავ იგი თქვა...
სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა.

.....

განისვენეთ, განისვენეთ დაიწვებულ არსთა ძელებო...
თქვენს ფონაში არ ერევა ცოცხალთ ფიქრი საარსებო...
განისვენეთ, ძლიერი და უკვდავია თქვენი ძილი...
რაღად უნდათ, რად სჭირიათ თქვენს საფლავეებს ვარდ-ვვაილი?


მიუხედავად გარკვეული გულუბრყვილობისა, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა, არსებითად ეს პოზიცია ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპია გალაკტიონის მსოფლმხედველობის შემდგომი განვითარების გზაზე. მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გალაკტიონისათვის უკვე ცხადია, რომ ყოფიერება ჩემი, ადამიანის არსებობით შემოიფარგლება. სამყარო, ანუ ყველა სხვა არსებულის ერთობლიობა არსებობს იმდენად, რამდენადაც ვარსებობ მე. ყოფიერება შემოფარგლულია იმ პერიოდით, რომელიც ჩემს დაბადებასა და სიკვდილს შორის არსებობს. მანამდე და მერე არის მხოლოდ არარა. მე მოვედი არარადან და წაველ არარაში. აი, ასეთი პოზიცია იკვეთება „მესაფლავის“ ხანის ჭაბუკის ცნობიერებაში.

ლექსი „ლურჯა ცხენები“ და საერთოდ ლურჯა ცხენების პოეტური სახე გალაკტიონის პოეზიის ერთ-ერთ ძირითად ღერძს წარმოადგენს. ამ ღერძის გარშემო არის აგებული გალაკტიონის მთელი პოეტური მითოლოგია, მისი ხედვა და განცდა სამყაროსი. ლურჯა ცხენი გალაკტიონისთვის სივრცე-დროის, მარადიული ქრონოსის სიმბოლოა. იგი მედიუმია აქაურობასა და იქაურობას, არსებობასა და არარსებობას, სასრულობასა და უსასრულობას შორის. ამიტომაც არის ამ სიმბოლოს სიუხვე მის ლექსებში. საინტერესოა, რომ პოეტის ინდივიდუალური მითოლოგია საოცარი სიზუსტით ეხმიანება ხალხთა კოლექტიურ მითოლოგიას. ცხენი, რაში ხომ იქაც მედიუმის როლს ასრულებს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ინდივიდუალურ ცნობიერებაში კოლექტიური არაცნობიერი ილვიძებს (იუნგი), როდესაც ფსიქიკურ ონტოგენეზში ფსიქიკური ფილოგენეზი მეორდება (ფროიდი).

პრინციპში „ლურჯა ცხენებიც“ შეიძლება აღწერილობითი ხასიათის ლექსად იქნეს მიჩნეული, მაგრამ პოეტის ადრეული ლექსებისაგან განსხვავებით აქ სულ სხვა სამყაროს, რაღაც თითქოს არარსებული, არაემპირიული გარემოს აღწერა ხდება. ამ გარემოს გალაკტიონი „სამუდამო მხარეს“ არქმევს:

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ შხით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცოვ და მიუსაფარი მღუმარების გარეშე.
მღუმარების გარეშე და სიცოცხლის თარეშში,
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წვეხარ ცოვ სამარეში,
წვეხარ ცოვ სამარეში და არც სულს უხარია.

რა სამყაროა ეს, სადაც არაფერია მღუმარების, სიცოცხლისა და სიმწუხარის გარდა? არის ვითომ ეს უცნაური ზმანება ოდენ ხილვა მიღმა სამყაროსი, საიქიოსი, გარდაცვლილ სულთა საუფლოსი? შეიძლება თუ არა საერთოდ ამ სურათის განხილვა მითოსისა და რელიგიის, სულის უკედევებისა და მიღმა სამყაროს კონტექსტში, თუ საამისოდ რაღაც სხვა კონტექსტის მოშველიებაა საჭირო? ციტირებული პირველი ორი სტროფი თითქოს პირველი არჩევანის წინაშე გვაყენებს, რადგან სიტყვები „სამუდამო მხარე“, „ცივი სამარე“ და ა.შ. სწორედ ამგვარ წარმოდგენებს გვიქმნის. მაგრამ შემდეგი ორი სტროფიდან ეს წარმოდგენები რაღაც საპირისპიროთი იცვლება:



შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
სოხმარიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ვველანი აქ არიან!
იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება:
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბაღიში;
გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.

მართლაც, სიტყვები „უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან“ და „იჩქარიან წამები“ უკვე აქარწყლებს ტრადიციულ წარმოდგენას იმის თაობაზე, რომ ამ ლექსში პოეტი „მარადიულ არყოფნაზე“ საუბრობს. დღეები და წამები, ანუ ის, რასაც ჩვენ დროს ვუწოდებთ, არყოფნის განმსაზღვრელი არ არის, პირიქით - იგი ყოფნის, ყოფიერების, არსებულის განმსაზღვრელია. „ჩვენ ვასახელებთ დროს, როდესაც ვამბობთ ყოველ საგანს თავისი დრო აქვს. ამით იგულისხმება: ყველაფერი, რაც ოდესმე არის, ანუ ყოველი არსებული მოდის და მიდის თავის დროზე და განაგრძობს აქყოფნას გარკვეული დროით, მისთვის განკუთვნილი დროის განმავლობაში. თითოეულ საგანს თავისი დრო აქვს“, - ამბობს ჰაიდეგერი.

მაშასადამე, მე ვხედავ სამარეში მწოლიარე ჩემს თავს, რომელსაც გამიქრა ყოველგვარი სინანულის გრძნობა, ყოველგვარი ვნება-წამება, ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები და შეგრძნებები. მე თითქოს გარ-

დავიცვალე და აღარ ვარსებობ. მაგრამ ეს მხოლოდ მეჩვენება. სინამდვილეში მე არ გარდაეცვლილვარ, რადგან ვგრძნობ; თუ როგორ მიიჩქარის დრო, ვხედავ, როგორ ქრიან ჩქარი გრგვინვა-გრიალით ლურჯა ცხენები, თუმცა ეს დრო ჩემგან დამოუკიდებლად არსებობს. იგი მიდის, მე კი გაუნძრევლად ვარ. მე ვარ, მაგრამ ეს ყოფნა სიკვდილის ტოლფასია, რადგან მე ისე გავნაპირებულვარ სამყაროსგან, რომ იგი უცხო, მეორე ნაპირად მეჩვენება, რადგან ჩემს ირგვლივ მხოლოდ შემოღობილი სახეების ჩონჩხიან ტყეებსა და გამოუცნობ ქიმერებს ვხედავ. მე სამყაროსთვის სრულიად უცხო სხეული ვარ. აი, ასეთი აზრი იკვეთება ციტირებულ სტროფებში.

დაახლოებით ასეთსავე რასმე აღწერს ერთი ფსიქიატრი თავის პაციენტთან დაკავშირებით: ახალგაზრდა ქალს ეზმანება, რომ იგი ციხის საკანშია დამწყვდეული (სამარე და საკანი ერთი და იგივეა იმ თვალსაზრისით, რომ ორივე ბნელ, ჩაკეტილ სივრცეს წარმოადგენს), სადაც მრავალი საათია. მოდის ქურდი და ამსხვრევს მათ, მაგრამ საათები განგრძობდნენ წიკწიკს. „მათი წიკწიკი მეუბნება მე, რომ წამი წამს მისდევს, რეალური დრო კი გაჩერებულია.“ გარეთ კი დრო – „მსოფლიო დრო“ -- თავისი გზით მიდის, რადგან პაციენტი თავის სახეზე ნაოჭებს ხედავს. ფსიქიატრის დასკვნა ასეთია: ადგილი აქვს წინააღმდეგობას აუადმოფოფის ეგზისტენციის უმოძრაობასა და სამყაროს ცვალებადობას შორის.

ორივე შემთხვევაში, პოეტისა და პაციენტის ხილვა ეგზისტენციალურია. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ პოეტი ამას შემოქმედებით პროცესში ხედავს, ხოლო პაციენტი კი – აუადმოფოფობის პროცესში. ორივე შემთხვევაში მდგომარეობა განსხვავებულია „ნორმალურისაგან“. ორივე შემთხვევაში ადამიანის სულიერი მდგომარეობა რაღაც საზღვარზე იმყოფება. რა საზღვარზეა საუბარი? ჩვეულებრივ მდგომარეობაში ადამიანი საკუთარ თავს მის გარშემო არსებულ საგნებს შორის შეიგრძნობს. ასეთ „ჩვეულებრივ“ მდგომარეობაში იგი ვერასდროს ვერ მისწვდება ყოველივე არსებულს მის ერთობლიობაში. მას შეუძლია შეიგრძნოს ცალკეული საგნები, თუმცა არა მათი ერთობლიობა. მაგრამ არსებობს გარკვეული მდგომარეობა, როდესაც ადამიანს გულზე ღრმა სევდა შემოაწვება, სევდა, რომელიც ადამიანის მთელ არსებას მოიცავს, რომელიც მის გულს ნისლივით დააწვება, რომელიც ირგვლივ მყოფ საგნებს, ადამიანებს და თვითონ მასვე ერთ ამორფულ მასად აქცევს. ასეთ დროს არსებული მის ერთობლიობაში ადამიანის წინაშე იხსნება (მ.ჰაიდგერი).

არსებობს კიდევ ერთი მდგომარეობა, რომელსაც ვუწოდებთ თავზარს, გამოწვეულს რაღაც ირაციონალური შიშით, შიშით არა რაღაც კონკრე-

ტული საფრთხის მიმართ, არამედ შიშით საერთოდ. ასეთ დროს ადამიანის წინაშე იხსნება არარა, სიცარილე, ანუ ის, რასაც პირდაპირ ამბობს გალაკტიონი: „ვერ ვნახე ვერაფერი, ცოვ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.“ მაგრამ თავზარი არარას წინაშე სრულებითაც არ იწყვეს მგზნებარე ემოციებს. პირიქით, „თავზარს გაქვევებული სიმშვიდე ახასიათებს“, - ამბობს ჰაიდეგერი, რითაც სრულებით ადასტურებს იმავეს, რასაც აღწერს პოეტი:


იჩქარიან წაშები, მე კი არ მენანება:
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბაღში;
გაქრა ვნება-წაშება, როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმზურვალეში.

საინტერესოა, რომ უამრავია კლინიკური შემთხვევები, როდესაც ეგზისტენციალური შიშით შეპყრობილი აუადმყოფები თავს გაქვევებულებად, რაღაც მყარ, უმოძრაო საგნებად, ან რობოტებად წარმოიდგენენ ხოლმე. პიროვნება მათში თითქოს კვდება. დეპერსონალიზაცია ისეთ მასშტაბებს აღწევს, რომ თავიანთი თავის მისამართით ისინი სარგებლობენ არა ნაცვალსახელით „ვინ“, არამედ ნაცვალსახელით „რა“.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ძალზე მნიშვნელოვნად მეჩვენება „მესაფლავეში“ გამოხატული პოზიცია გალაკტიონის შემდგომი მსოფლმხედველობის განვითარებისათვის, თუმცა არ მითქვამს, თუ რატომ ვფიქრობ ასე. საქმე ისაა, რომ „ლურჯა ცხენებში“ გადმოცემული ხელვა ყოფიერებისა, ადამიანის არსებობისა „მესაფლავის“ ფილოსოფიზება აკებული. ხილვა სამარეში ჩადებული საკუთარი „მე“-სი, ჩემი უმოძრაობისა ლურჯა ცხენების ჩემგან დამოუკიდებელი მოძრაობის ფონზე იმით არის განპირობებული, რომ მე სიკვდილის, არარას წინაშე ვდგავარ, მარტოდმარტო და დაუცველი. ასეთი ხილვა სამყაროსი, ანუ ყოფიერებისა, მხოლოდ იმ ცნობიერების წინაშე გადაიშლება, რომელმაც იცის, რომ სიკვდილი გარდაუვალია, ფიზიკურადაც და სპირიტუალურადაც. ეს „ცოდნა“ კი პოეტმა ჯერ კიდევ მაშინ შეიძინა, როდესაც „მესაფლავე“ დაწერა. „მესაფლავემ“ მოამზადა „ლურჯა ცხენები“. „ლურჯა ცხენების“ ლირიკული გმირი „მესაფლავის“ მიერ გათხრილ სამარეში წევს.

ერთი შეხედვით უცნაურად მოჩანს, რომ სწორედ ასეთი სასოწარკვეთილების ფონზე, სიბნელისა და მწუხარების, უმოძრაობისა და გაქვევების, შეშლილი სახეებისა და გამოუცნობი ქიმერების სამყაროში გალაკტიონი რაღაც ნათულზე იწყებს საუბარს:

მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
შშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულ დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.



მაგრამ უცნაური ამ შემთხვევაშიც არაფერია. დაახლოებით ასეთ მოულოდნელ გამობრწყინებას სინათლისას აღწერენ ეგზისტენციალისტებიც. მათი წინამორბედისა და შთამაგონებლის, სიორენ კირკეგორის მთელი ფილოსოფია იმ დებულებაზეა აგებული, რომ ღმერთის რწმენა ადამიანში უკიდურესი სასოწარკვეთილებისა და თავზარის პირობებში იღვიძებს. ასეთივე აზრი გამოსჭვივის ეგზისტენციალიზმის ერთი ინტერპრეტატორის შემდეგ სიტყვებში: „ეგზისტენციალური კრიზისის სიტუაციებში ხშირად ადამიანი იხსნება ღმერთისა და სხვა ადამიანების წინაშე და გრძნობს თავის მზადყოფნას, დიალოგური ტიპის არსებობაზე გადავიდეს. ეს ის მომენტია, როდესაც უეცრად არსებობა და რელიგია აუთენტური ხდება და ექსპერიმენტული თვალ-

საზრისით უშუალო მნიშვნელობას იძენს. რაღაც „შინაგანი თვალების“ წყალობით, ღმერთი პირდაპირი ფენომენოლოგიურ-ემპირიული რეალობის სახით აღიქმება. როგორც მაისტერ ეკპარტმა განაცხადა: „მე ღმერთს იმავე თვალეებით ვხედავ, რომლითაც იგი მხედავს მე.“

კარლ იასპერსი, სწორედ იმ მომენტში, როდესაც საბოლოოდ კარგავს ცდის სიღრმეებში შეღწევის, ანუ ტრანსცენდენციის იმედს, როდესაც თითქოს საბოლოოდ რწმუნდება თავის უუნარობაში, შეიცნოს სამყარო, მოულოდნელად აცხადებს: „ყოველგვარი ახსნისა და შესაძლებელი ინტერპრეტაციის მიღმა არის არა არაა, არამედ ტრანსცენდენციის ყოფიერება“. ხოლო მარტინ ჰაიდეგერი, რომელსაც იასპერსი ზემოთ ციტირებული ფრაზით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ეკამათება, ამბობს, რომ ტრანსცენდენცია სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი შეღწევა არარაში.

მაშასადამე, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შუქთა კამარა, რომელზედაც საუბრობს გალაკტიონი, ის სინათლეა, ის შუქთა კამარაა, რომელსაც აღწერენ ფზისტენციალისტები ჯერ კიდევ კირკეორის დროიდან მოყოლებული. ეს არის უეცარი გამობრწყინება ყოფიერებისა, ეს არის „ნახტომი“, რომელიც ადამიანს მოულოდნელ გამოსავალს უძებნის. არჩევანი ასეთ შემთხვევაში ორგვარია. ადამიანი ან ღმერთამდე, სულის გადარჩენის იმედამდე მიდის, ანდა პირიქით, სამუდამოდ რწმუნდება არსებობის აბსურდულობაში, რაც სიკვდილს ან არარსებობას ადამიანს უკვე ერთადერთ გამოსავლად აღაქმევენებს. სწორედ ამგვარი შუქთა კამარის გამო მიდის ემაფოტზე გაბრწყინებული სახით კამიუს მერსო.

* * *

მაგრამ რომელ გზას ირჩევს გალაკტიონი? ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, როგორი ყოფიერება იშლება მის თვალწინ – ღვთაებრივად ჰარმონიული, როდესაც მხოლოდ ერთი აქტის, რწმენის საშუალებით უეცრად არსებობა ტრანსცენდენტურ აზრს იძენს (იასპერსი), თუ აბსურდული, რომელსაც ადამიანი სძლევს ზუსტად იმით, რომ საბოლოოდ კარგავს იმედებს და სიკვდილს ეგუება (კამიუ)? როგორც მისი ლექსებიდან ირკვევა, იგი ცდილობს აირჩიოს პირველი გზა:

დაჰქრიან უდაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!

ანდა:

დედაო ღვთისაჲ, შხეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჲვარდე.

მაგრამ ამოდ: როგორც ჭუმარიტი „მარტოობის ორდენის კაჲლერი“ იგი ბოლომდე მარტოდმარტო დარჩა. სიკვდილის გარდაუვალობაში და საშველის უქონლობაში იგი ვერც ლოცვა-ვედრებამ გადაარწმუნა. ადამიანი მარტოა არა იმიტომ, რომ „იგი მარტოა ღმერთის წინაშე“, არამედ იმიტომ, რომ „იგი მარტოა არარას წინაშე“. - აი, დაახლოებით ასეთია მისი მრწამსი. მაგრამ მისი პროტესტი მანიფესტურია, მისი შერიგება სიკვდილთან — ამაყი და გმირული:

და როცა ბედით დაწვევლილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოჲა შენი ხსენება!

დაუიკრუფ ხელებს და გრიგალივით
გამაქანებენ სწრაფი ცხენები!
- ღამენათვეი და ნამთვრალვეი
ჩემს სამარეში ჩავესვენები.

* * *

როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან იკვეთება, სიკვდილის გარდაუვალობა და საშველის უქონლობა („გვარს ეცვი თუ გინდა! საშველი არ არის, არ არის, არ არის!“) გალაკტიონის სასოწარკვეთილების არსებითი მიზეზია. მაგრამ სასოწარკვეთილების ექსტაზში პროტესტი ამ ტრაგიკული გარდაუვალობის მიმართ იკლებს და სიკვდილი სიამონებადაც კი იქცევა -- „სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა“, - ამბობს პოეტი და იქვე უმატებს: „რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები“. იგი ურიგდება სიკვდილს, როგორც ამას თვითონვე აცხადებს და იქვე შერიგების საფუძველსაც უთითებს:

ამაღლდი, სულო, თუთრ აკლდამაზე
მშვენიერების ლექსით მქებელი:

**დღეს ვველგან შხეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი!**

მაშასადამე, შხე, მშვენიერება, სილამაზე და პოეზია უნდა იყოს
ის „შუქთა კამარა“, რომელიც მოულოდნელად გამოანათებს და სამარეში
მწოლიარეს გზას უჩვენებს. აკი ამბობს კიდეც იგი:

**მარმარილოს ქვეშ (მწუხარება უამრავ დროთა!
მე პოეზიამ დავიწვების ცელს ამარიდა);
საუკუნეთა სათვალავი შეკარგებოდა;
ერთხელ ზმანებით მე ამოველ ბნელ სამარიდან.**

მაგრამ დიდი ხელოვნება არა უბრალოდ სიკვდილთან შერიგების,
არამედ მარადისობაში დამკვიდრების საშუალებაა. სიკვდილი დიდი
ხელოანისთვის უკვე აღარ წარმოადგენს საშიშროებას. მისთვის პორ-
იზონტალური ღერძი ჩვენი არსებობისა, ვერტიკალურით იცვლება: მა-
რადისობაში გარდასული ხელოანისთვის აღარ არსებობს აწყო, წარ-
სული და მომავალი. დროის – ლურჯა ცხენების – სადაუეები ახლა უკვე
თავად მას უპყრია ხელთ. სწორედ ამ აზრის დეკლარაციას წარმოადგენს
ლექსი „ეფემერა“, რომელიც, ფზისტენციალისტური მეტაფორა რომ
ვიხმართ, არის „ნახტომი“ მარადისობაში. „ლურჯა ცხენების“ დაწ-
ერიდან შვიდი წლის შემდეგ გალაკტიონი ასე აჯამებს თავის პოეტურ
მოღვაწეობას:

**ცხნთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
ქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით,
ივენენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები
გაფრენილი პირველი წვების ნიაგარებით.
ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები,
ბუდი – ქროლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ვველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.
ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება
ძახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება.
სადაც ეხლა ჯვარია და გვიანი მტკვნები,
იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება.**

შთანთქმა არარაში გალაკტიონს იმ გამოსავალს უძებნის, რაზეც ჰაიდ-
ეგერი საუბრობს. არარა თავისი გამოცხადებით საშუალებას აძლევს

პოეტს დაძლიოს არსებული რეალობა, გადააბიჯოს საერთოდ არსებულის ზღვარს:

აჰა! შორით მოისმის ქვეყნიური გუგუნი.
ელვა ელვას გაეკრა, დაელეკა ცას ღვარი,
გაქრა, როგორც ღუმელი, ცოდვით გადაბუგული,
უკანასკნელ ძებნათა სვედიანი საზღვარი.
კიდები შეშლილი, ღამეები ველური
დაიტვირთონ წამებით, ღამე მთვარეს მოებას.
სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული,
სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას.

გალაკტიონის შემოქმედებითი გზა არის გზა „ლურჯა ცხენებიდან“ „ეფემერამდე“, სიკვდილიდან – უკვდავებამდე, აქყოფნიდან (რაც თითქმის იგივეა, რაც არყოფნა) – მარადიულ, აბსოლუტურ ყოფნამდე. ეს გზა ქრონოლოგიურად ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან გალაკტიონმა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გასცა პასუხი ძირითად კითხვებს. მისი პოეზიის დაღმასვლის ერთ-ერთ მიზეზს პირადად მე ამასიცი ვხედავ, რადგან აღარ არის ყოფიერებისა და დროის ეგზისტენციალური განცდა, რადგან აღარ არის ტრაგიზმი, გამოწვეული არსებობის აბსურდულობისა და არარაობის გამო, აღარ არის ის ლირიკული გმირიც, რომელიც სამარეში მწოლიარე უყურებს მსოფლიოს. ასაკში შესულ პოეტში ასეთი გმირი მხოლოდ მყისიერად და სპორადულად იღვიძებს ხოლმე, მაგრამ როცა იღვიძებს, ჩვენს წინაშე იგოფე გალაკტიონია, უწინდებურად ღრმა და ეგზისტენციალურად ტრაგიკული:

შენ არ გინახავს კაცის ღიმილი,
შურმა და მტრობამ ისე მიგინდო,
შენი ცხოვრება და სიმძიმე
არის ეს ქუჩა და სამიკიტნო.
შენი ცხოვრება არის ეს ძაღლი,
რომელიც კვდება ცოფი, ბებერი,
მისთვის ამ ქვეყნად არ არის სახლი,
არც კარებია შესაღებელი.
შენი ცხოვრება არის ეს ბუჩქი,
ჩამოფლეთილი ყოფნის კარამდის,
სადაც სიკვდილი და სადაც ჭუჭყი
განუყოფელად მიდის მარადის.



გალაკტიონზე ბევრი რამ დაწერილა და ბუნებრივია, მრავალი მცდელობა ყოფილა იმისა, რომ მისთვის სხვადასხვა ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი („სიმბოლისტი“, „ნეორომანტიკოსი“ და სხვ.) იარლიყები მიწებებინათ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამ სტატიით შეახალი იარლიყის, კერძოდ, „ფზისტენციალისტის“ მიწებებას ვცდილობდე. საბედნიეროდ, გალაკტიონს გააჩნია უტყუარი ალიბი, რომელიც მას ამგვარი იარლიყისაგან დაიცავს: ფზისტენციალიზმის მანიფესტი – მარტინ ჰაიდგერის „ყოფიერება და დრო“ 1927 წელს გამოვიდა, როდესაც გალაკტიონს თავისი შედეგები დიდი ხნის დაწერილი ჰქონდა. ამდენად, იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ მიმდინარეობის გავლენის ქვეშ. მისი გენიოსობის საფუძველი ის არის, რომ სამყაროსთან ერთი ერთზე დარჩენილი იგი უშუალოდ ჭვრეტდა ყოფიერებას, რადგან პოეტი იყო, პოეტი კი, ჰაიდგერისავე თქმით, ფილოსოფოსის მსგავსად, „ღმერთებსა და ადამიანებს შორის დგას“, რადგან მისი ხელობა ენის, ანუ იმ უკიდევანო სიმდიდრის დაუფლებაა, რომელიც ყოფიერების სახლს წარმოადგენს.

დასასრულს, მინდა წარმოვადგინო ანტითეზა იმ თეზისა, რომლის განვითარების მცდელობაც ეს სტატიაა: ყველაზე მთავარი, რაც გალაკტიონს დიდ

„ფზისტენციალიზმის მანიფესტი“ ერთობ პირობითი მეტაფორაა იმ ფილოსოფოსის ნაშრომის მიმართ, რომელიც თავს ფზისტენციალისტად არ თვლიდა. მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ ნაშრომმა იქონია ყველაზე ძლიერად მოსილი გულენა იმ მოაზროვნეების ფილოსოფიაზე, რომლებიც თავს ფზისტენციალისტებად თვლიდნენ.

პოეტად აქცევს, არის არა იმდენად მისი ლექსის იდეურ-შინაარსობრივი ას-პექტი, რაც თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია, არამედ უნარი, შექმნას ბგერათა გასაოცარი ჰარმონია, საესე მრავალფეროვანი რითმებით, ალიტერაციებით, ასონანსებითა და ჯონსონანსებით აი, რას წერს ამის თაობაზე დონალდ რუფილდი: „უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურა იქნება არა იდეებით, არამედ სიტყვებით უფრო სწორად ბგერებით – ენის მატერიალური საფუძველით, მისი ლექსიკური შესაძლებლობებით, მეტყველების რიტმებით, ბგერული მახასიათებლებით“ სხვათა შორის, ამ მხრივაც „ლურჯა ცხენები“ გალაკტიონის ყველაზე უფრო სრულყოფილ ლექსად შეიძლება ჩაითვალოს:

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ შხით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მზარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცოც და მიუსაფარი მღუმარების გარეშე.

ალიტერაციები – ნისლის ნამქერი, ვერ ვნახე ვერაფერი, ასონანსები – ნამქერი, ნაფერი, „ერ“ კომპლექსის მსუბუქი დისონანსური გადასვლა „ირ“ და „არ“ (ნაფერი-ნაპირი-მიუსაფარი) კომპლექსში, რითმის უნიკალური სტრუქტურა (ა-ა-ა-ბ/ა-ა-ა-ა-ბ) – ეს ყველაფერი ლექსს მართლაც სიტყვათა მუსიკად აქცევს:

მეორე მხრივ, ბგერათა ალიტერაციული, ასონანსური და ჯონსონანსური კომპლექსები გალაკტიონის უცნაური პოეტური სახეების განმპირობებელ ფაქტორსაც წარმოადგენს. მაგალითად, „ოვლისისფერი ყინვის თასები“ ლოგიკური თვალსაზრისით აბსურდია, მაგრამ „ვ“ და „ს“ ბგერების პარალელიზმში აბსურდს ესთეტიკურ შინაარსს სძენს და საკუთრად აბსურდულობასაც უკარგავს. იგივე შეიძლება ითქვას ფრაზებზე „უდაბნო ლურჯად ნახაერდები“ - „უ“ ბგერის ასონანსი და „რ“ ბგერის ალიტერაცია, „ნისლის ნამქერი“ - „ნ“ ბგერის ალიტერაცია, „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეები“ - „ხ“ ბგერის ალიტერაცია, იგივე „ხ“ ბგერის მსგავსება „ყ“ ბგერასთან და „ეები“ კომპლექსის რითმული გამეორება და ა.შ. ლექსში „ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი“ ციფრი „შვიდი“ სიტყვა „ბავშვთან“ „შვ“ კომპლექსის პარალელიზმით არის შთაგონებული, ხოლო „ალუჩის“ ერთი შეხედვით გაუგებარი სიმბოლიკა „უჩ“ კომპლექსის იმავე „შვ“ კომპლექსთან ფონეტიკური სიახლოვის გამო უცნაურად აღარ გვეჩვენება.


დასაწყისში აღინიშნა, რომ თავისი პოეტური უმწიფრობის (ანუ „შვე-ირდობის“) პერიოდში გალაკტიონი, როგორც წესი, თხრობით-აღწერილობითი ხასიათის ლექსებს წერდა. მისი გრძნობები და შვერძნებები წმინდა ემპირიულ ხასიათს ატარებდა. „ლურჯა ცხენებით“ მოხდა მისი გადასვლა ტრანსცენდენციაში, ანუ ფიზიკა მეტაფიზიკით შეიცვალა, რამაც წერტილი

დაუსვა შვეიციის პერიოდს. თხრობით-აღწერილობითი სტილი, რომელიც მიზეზ-შედეგობრივ და სუბიექტ-პრედიკატულ კავშირებზე, ანუ ფიზიკისა და ლოგიკის კანონებზეა აგებული, მოისპო. ამის შემდეგ გალაკტიონისთვის უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა რაიმე ხილული თუ „უხილავი“ კავშირი ცალკეულ საგნებს შორის, მიესადაგება თუ არა ესა თუ ის ფერი ამა თუ იმ ფორმას. ზოგჯერ მისთვის სიტყვები საერთოდ კარგავენ მნიშვნელობას და ერთმანეთის გვერდით თავს მხოლოდ იმით გრძნობენ იდეალურ პარამონიაში, რომ ულამაზეს და უნატიფეს მუსიკას ქმნიან:

ვგავილები უზვად არის
დენდის... მეფე მონის.
ქარში ათრობს არემარეს
ოზვრა ტრიაანონის.
და ლანდებად თუთარ სარკუზე
ჩნდება სახე მკრთალო

შუაზელი, ესტრაგეზი
და თვით დედოფალი.
ზრდილი, ნაზი და მეფური,
ჩემი ძველისძველი
ლექსი არის უნებური
სიზმრით შემოსველი.

რა კავშირშია ეს სიტყვები ერთმანეთთან? მაგრამ „ლურჯა ცხენების“ შემდეგ გალაკტიონისთვის აღარ არსებობს სამყაროს ცალკეული საგნები. მისთვის არსებობს მხოლოდ სამყარო თავის ერთობლიობაში, რასაც ჰაიდვეერი, საკუთროვ, ყოფიერებას უწოდებს, განსხვავებით არსებულისაგან (ამ კონტექსტში თითქოს ცხადი ხდება პოეტის უცნაური სიტყვები: „ლექსთა შეჯიბრებაზე – მხოლოდ ინტეგრალები“, რადგან „ინტეგრ“ ლათინურად მთელს ნიშნავს). ყოფიერების წვედომა კი ენის მეშვეობით ხდება, რადგან იგი სახლია ყოფიერებისა, ხოლო პოეტი ამ სახლის მეპატრონე. გალაკტიონის პოეზია დიდი ფილოსოფოსის ამ აზრთა მანიფესტაციას წარმოადგენს.



გაგა ლომიძე

მელანქოლიური დისკურსი და უხილავი სუბიექტი

დაახლოებით 25 საუკუნის წინ ჩინელ ფილოსოფოს ჩუან ძის ესიზმრა, თითქოს ფუტკარი იყო და არაფერი უწყოდა ჩუან ძის შესახებ. როცა გაიღვიძა, არ იცოდა, კაცი იყო, რომელსაც ესიზმრა, რომ ფუტკრად იქცა თუ ფუტკარი იყო, რომელსაც ესიზმრა, რომ კაცად იქცა.

რეალობისა და სიზმრის მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა გალაკტიონის ლექსი “თოვლი“, სადაც ცისა და მიწის ურთიერთმიმართების თუ გალაკტიონის ინტერტექსტში თოვლის კონოტაციური ველის ფონზე, ენობრივი ფაქტურის ანალიზის შედეგად, შეიძლება განვიხილოთ ინდოიდის ფსიქოფიზიკური ფორმირების და თვითიდენტიფიკაციის საკითხი. მას შემდეგ, რაც მეტი თვალსაჩინოებისთვის ლექსს პირობითად ოთხტაქედებად (კატრენებად) დაუყოფთ, თვალშისაცემი გახდება ორ-ორი სტროფი, რომლებიც ოდნავი სახეცვლილებით მეორდება ლექსში და ამდენად, განსაკუთრებული ფუნქცია უნდა ჰქონდეს. პირველი წყვილია:

მე ძლიერ მივევარს იისფერ თოვლის
ქაღალღებზეთ ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ცუდი სისოვლის
და სივარულის ასე მოთმენა.

მე ძლიერ მივევარს იისფერ თოვლის
ჩენი მდინარის ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის
და ზამბახების წვებად დაწვენა.

მეორეა:

თოვსი ასეთი დღის ზარებამ ლურჯი
და დაღალული სიზმრით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადაუურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!



თაუს! ასეთი დღის ზარბამ ლურჯი
და დაღალული ფიფქით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადაურჩა!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

მიყვავთ თანმიმდევრობით და შევეცადოთ აღვადგინოთ დანაწევრებული სურათი. პირველ ორ ტაეპში თოვლის ფენა ზედა რაკურსიდან, თითქოს ციდან არის დანახული (“მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის/ქალწულებივით ხიდიდან ფენა”); შემდგომ ორ ტაეპში კი (“მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის/ და სიყვარულის ასე მოთმენა”) უკვე სუბიექტი თითქოს მიწას მიუახლოვდა, ან თვითონ იქცა მიწად, რომელიც თოვლის “სისოვლეს” შეიგრძნობს. აქ თოვლის, როგორც ხიდის, ტრანსგრესია ციურიდან მიწიერი სფეროსკენ და თოვლის “ღისსემინაცია” შეიძლება, სიწმინდის პარალელურად, ლატენტურად ცოდვაზეც მიგვანიშნებს. ამ სტროფში შეიძლება გამოიყვანოთ თოვლის ორი ასპექტი:

მატერიალური

(უარყოფითი)

მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის

არამატერიალური

(სიწმინდე)

ქალწულებივით ხიდიდან ფენა

ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით, მატერიალური და არამატერიალური შეიძლება შემდგენიარად შევცვალოთ: “ის” და “ზე-მე”. იმისთვის, რომ მათი მორიგება მოხდეს, ადამიანმა საკუთარი თავი უნდა გააცნობიეროს როგორც სუბიექტმა და ჩაერთოს სიმბოლურ რიგში, რითაც კულტურას ეზიარება, საზოგადოების წევრი გახდება და აინახლაურებს დედის სხეულთან მთლიანობის რღვევით გამოწვეულ დანაკლისს.

შემდგომ სტროფებში ჩნდება ის, ვისაც პოეტი მიმართავს სიტყვებით “შენ”, “ძვირფასო”. მაგრამ ეს მეორე პირი ლექსში ჩნდება დანაწევრებული სახით, წარმოგვიდგება არა მთლიანი პერსონა, არამედ ნაწილები (“ვხედუ შენს ხელებს”, “მიყვარდა მაშინ... მინდერის ფოთლები შენს დაშლილ თმაში”). და კიდევ, ვიცით, რომ ეს “შენ” არის მანდილით მოსილი (“იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს/ შენი მანდილი ამ უდაბნოში”). თუ ზემოაღნიშნული მოდელის ლოგიკას მივყევით, აღმოჩნდება, რომ ის, ვისაც “ძვირფასო”-თი მიმართავს პოეტი, არის მისივე ალტერ ეგო, რომელიც, თუ ლაკანს მოვიშველიებთ, რეალობის ფაზაში დედის სხეულისგან განუყოფელი იყო. რეალობის ფაზაა ის, სადაც ადგილი არ აქვს არაუითარ ნაკლს და ყველა მოთხოვნილება კმაყოფილდება. და ვინაიდან აქ არ არსებობს ნაკლოვანება, არ არსებობს ენა ან კომუნიკაციის აუცილებლობა. სვიფტის “გულივერის მოგზაურობაში” წარმოდგენილია ქვეყანა, სადაც ადამიანები ზურგიით ატარებენ ყველაფერს, რაც სჭირდებათ და სადაც არ არსებობს ენა. ტოტალურობის შეგრძნების რღვევა იწვევს ნაკლოვანების შეგრძნებას (“მომწყურდი ჯლა, ისე მომწყურდი/ ვით უბინაოს — ყოფნა ბინაში”). ბავშვი ხვდება, რომ დედასა და მას შორის განსხვავებაა. “სარკის სტადიაში” ბავშვი დედის სხეულს ფრაგმენტულად, მხოლოდ სხეულის ცალკეული ნაწილების სახით აღიქვამს. ლაკანი წერს: “Innenwelt-სა და Umwelt-ს შორის განხეთქილება “გვოს” ინვენტარიზაციის დაუძლეველ კვადრატურას ბადებს. დანაწევრებული სხეული... რეგულარულად ეცხადება სიზმარში (შდრ. “იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს/ შენი მანდილი ამ უდაბნოში”), როცა ერთმანეთს თანხვედება ანალიტიკური იმპულსი და ინდოიდის ერთგვარი აგრესიული დეზინტეგრაცია”. არაცნობიერის სტრუქტურა ენის მსგავსია. ყოველი გეშტალტი არაცნობიერში აღმნიშვნელად გარდაიქმნება. აქედან, ნათელია გალაკტიონის ლექსში მეორე პირის ფუნქცია, რომელიც სინეკდოქეს საშუალებითაა გამოხატული (ხელები, თმები); ერთი სიტყვით, ის, ვისაც პოეტი “ძვირფასო”-ს სახელით მიმართავს, ქმნის ასოციაციურ კომპლექსს — დედა, რეალობის ფაზაში საჭურჭარი თაში, იდეალი, სამოთხე, მემორა “მე”. მეორე “მე”-ს მიყვარათ სხვა ლექსამდე, რასაც შეუძლია უფრო სრული სურათის აღდგენა: “რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები!/ მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი”, რომელიც ავლენს საკუთარი წარმოსახვის პროექციას გარე სამყაროზე და არის “მიწვედომელი — როგორც ედემი”. ის, ვისზეც ამბობს, რომ უყვარს და რაც მოუხელთებელია — არის მეორე “მე”, ბავშვობა, სამყაროს მთლიანობის შეგრძნება, რაც უკვე ლექსში “თოვლი” პარონომაზიული პარალელიზმებით (თოვლის, სისოულის, მიმოულის; დამთოვა, მიმატოვა; ფენა, მოთმენა, დაწვეწვა), ნეორომანტიკული მელანქოლიითაა გამოგლოვილი.

გალაკტიონთან “საშობლო” (“ჩემს საშობლოში მე მოველე მხოლოდ/ უდაბნო ლურჯად ნახაერდები”) ბავშვობასთან, რეალობის ფაზასთან ასოცირდება, რასაც ლექსში “საშობლო” ვხვდებით: “ოპ, დამიბრუნე ჩემი საშობლო, / ჩემი სპეტაკი ახალგაზრდობა!”, “სადაც არ ვგრძნობდი, თუ რას ნიშნავდა: / ფიქრი სირცხვილის, ფიქრი მონობის”. გალაკტიონის ინტერტექსტში ბავშვობის ტოპოსია ტყე (“...ტყე, სადაც ვხეტილობდი, / მთის ნიაფივით თავისუფალი... / სადაც ყმაწვილურ აღტაცებაში/ ხარობდა გული, ხარობდა თვალი!” (“საშობლო”), რაც „თოვლშიც“ მეორდება: “თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი”.

პირველი სტროფის სტრიქონები: “სიყვარულის ასე მოთმენა” ასკეტურობაზე მინიშნებაა, რაც დანაშაულის შვერძნებიდან მომდინარეობს. დანაშაულის შვერძნება, ერთი მხრით, ასოცირდება ბავშვთან, რომელმაც მამა და დედა ერთმანეთს დააშორა, რაც ვლინდება კოსმოგონიურ მითებშიც, როცა ადამიანი ცა და მიწა ერთმანეთისგან გათიშა. ამ შემთხვევაში თოვლი შემაკავშირებელია მათ შორის. მეორე მხრით, ეს უკავშირდება პირველცოდვას და უფრო ნათლად ჩანს გალაკტიონის “ელეგიაში”: “მარქვი, ოპ, გველო, რად დაგჭირდა, / რომ მოგქაშადა / ყვავილოვანი სიყმაწვილე / და ჩემი ქნარი?”; ან “ოპ, რად მომექცა ასე უღვთოდ / მე ჩემი ბედი / რად დამიმსხვრია სიყმაწვილის / წრფელი სიამე... / სადაა ჩემი ყვაილები, / სადაა რწმენა?”; ხოლო ლექსში “მართო არა ხარ” ქალი უარყოფით კონტექსტშია მოქცეული: “ნუ ერწმუნები, ნუ ერწმუნები / ქალის ნაზ ღიმილს და თვალთა ცქერას, / იგი წაგართმევს სულის სინრფელეს, / იგი მოშხამავს ციურ სიმღერას, / როდესაც იგრძნო, რომ ის გშორდება”, სადაც “ის” მდედრობითობა, მდედროული სემიოტიკური მძლია, საიდანაც მოედგართ და რასაც ადამიანი უნდა გამოეყოს, რომ კულტურის სოცრეში, პატრიარქალურ წესრიგში შეაბიჯოს. ეს დაშორება ხდება ქალისადმი ამბივალენტური დამოკიდებულების მიზეზი, რაც, ერთი მხრით, მდედრობითობის წიაღისკენ, დედის სხეულთან მთლიანობისკენ სწრაფვაში (“მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი, / ვით უბინაოს — ყოფნა ბინაში”) და, მეორე მხრით, ამ დეზინტეგრაციის გამო, ქალისადმი უარყოფით დამოკიდებულებაში ვლინდება.

მეხუთე სტროფში, სადაც ოდნავი გარეგანი სახეცვლილებით მეორდება პირველი სტროფის ტაქები, სამყაროს ვერტიკალური აღქმა (ცის და მიწის კავშირი — “ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის / ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა”) გარდაიქმნება ჰორიზონტალურად (“მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის”), სადაც ქროლა, მიმოვლა დროის დინებადობასა და ჩაკეტილ სოცრეში მოძრაობაზე მიუთითებს; ხოლო “ჩვენი” უკვე თავისთავად გულისხმობს ჰორიზონტალურ სიბრტყეს. ტაქები — “და ზამბახების წყებად დაწვენა” — გვაგზავნის ლექსთან “მე და ზამ-



ბახი: “შხეს ნუ ელით... დღე დიღია, სიზმარს უნდა ყურის გღება, / ხანმოკლეა ეგ სიზმარი, გაკოცებს და გაფრინდება“, სადაც ზამბახთან იდენტიფიკაცია ყოფიერების წარმავლობაზე მიგვანიშნებს. ყვავილები სხვა შემთხვევაშიც ინტერიორიზებული ბავშვობა, ახალგაზრდობა, ბედნიერი დღეებია და ხშირად პოეტური მეტყველების საშუალებით ერთი მოვლენა ჩანაცვლებულია მეორეთი. ამას ცხადყოფს ერთ-ერთი ლექსის სათაურიც “ყვაილები - წუთები“, საიდანაც ერთ ფრაგმენტს მოვი-

ტანთ: “ნეტარ წუთებით მთვრალ სიყმაწვილის / ბედნიერ დღეებს ავსებულს უინით / ვუფრთხილდებოდი ჩემს გაზაფხულზე / ვმოსავდი ნატურის ფარჩა-გვირგვინით“.

ამრიგად, პირველიდან მეხუთე სტროფის (და ასევე, ნაწილობრივ, ზოგიერთი შემდგომი ტაქის) ჩათვლით, სუბიექტის დეზინტეგრაციასთან ერთად დარღვეულია სამყაროს მთლიანობაც, რომლის აღდგენა შესაძლებელია მატერიალურისა და არამატერიალურის, id („ის“) -ისა და superego („ზე-მე“) -ს მორიგების საშუალებით, საკუთარი თავის სუბიექტად აღქმის გზით. თუმცა დროგამოშვებით ჩნდება მთლიანობის და მისი რღვევის პროცესის მოგონება („მიყვარდა მაშინ, მათობდა მაშინ / შშვიდი დღეების თეთრი ბროლები“), დეზინტეგრირებული სხეულის ხშირი წარმოდგენის ჩათვლით ერთი მხრივ, დეზინტეგრაცია უკუშირდება დედის წიაღიდან დაშორებას, ხოლო მეორე მხრივ — სამოთხიდან განდევნას; პირველცოდვას, რასაც თან ახლავს წარმავლობის, ყოფიერების არამდგრადობის აღქმა („დღეები რბიან და მე ვბერდები!“; “ზამბახების წყებად დაწვენა“).

პირველ ხუთ სტროფში სუბიექტია „მე“, ანუ ავტორი, ხოლო ობიექტი — ის, ვისაც ავტორი სიტყვებით - „შენ“, „ძვირფასო“ მიმართავს, ანუ მეორე „მე“, იღმალე, რეალობის შაჟა, სამოთხე, დედა. მაგრამ თუ მომდევნო ხუთ სტროფს დეაკვირდებით, გაჩნდება კითხვა, თუ რა სიზმარზეა საუბარი, რა არის თამაში, ან რა ფუნქცია ეკისრება თოვლს. თუ ლექსის „თმიდან“ „რუმაზე“ გადავალთ, აღმოჩნდება, რომ სინამდვილეში “მე” ისეთივე ობიექტია, როგორც “შენ“, ხოლო რეალური სუბიექტი, რომელიც ლექსში მეტაფორული სუბიექტის სახით იმპლიციტურად ვლინდება — არის სიკვდილი, რასაც თოვლის, ზამთრის საშუალებით

ვეცნობით. სიკვდილი არის ცენტრი, პანოპტიკური თვალი, სხვა, რომლის გარშემოც კონცენტრირდება დისკურსი. აღმოჩნდება, რომ სტრიქონი „როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი“ იგივეა, რაც „როგორმე სიკვდილს თუ გადავურჩი“. სიკვდილის ფუნქციით ზამთარს ვხედებით გალაკტიონის სხვა ლექსშიც: „ვეცხოვრობდი ზამთარის ყინვა-ქარბუქში.../ და ნელა-ნელა მიჭკნობდა დღეებს/ სიცოცხლის, სიცოცხლე გულის“ („მე დავიბადე განთიადისას“). როგორ შეიძლება, რომ ზამთარს გადავურჩე? — თამა-



შის გზით („არის გზა, არის ნელი თამაში“), რაც პატრიარქალური წესრიგისადმი მორჩილება, სიმბოლურ ფაზაში შესვლაა, მისი წესებით თამაში და ენობრივი სისტემის შემთხვევითი (პირობითი) ბუნების კანონების მიღებაა. ზემოთქმულის ნათელსაყოფად ენობრივ მხარესაც შევებოთ ლექსი აგებულია ბგერა „მ“-ს ალიტერაციაზე და თავიდან ბოლომდე ამკარად სუბიექტურის სიჭარბე იგრძნობა. თუ დაუაკვირდებით ლექსში გამოყენებულ ზმნებს: *მიყვარს, მახსოვს, მათრობდა* — აღმოჩნდება, რომ ამ ზმნებში პირველი პირის სუბიექტს ობიექტური პირის ნიშანი „მ“ აქვს; ხოლო ერთადერთი სტრიქონის — „იანვარს მოძმედ არ ვეძნელები“ ზმნაში მე — ობიექტია, ხოლო სუბიექტი — იანვარია, რაც ასოციაციურ რიგს ქმნის ზამთართან, თოვლთან და, როგორც აღვნიშნეთ, სიკვდილთან. ირკვევა, რომ „მე“ არის წარმოსახვა, სიზმარი, ილუზია, რომელიც წამით მაინც სიხარულის მომგვრელია და სრულყოფილების შეგრძნებას იწვევს; თოვლი კი სულაც არ არის „ქალწულებით“ წმინდა, როგორც ეს პირველ ხუთ სტროფში ჩანდა, არამედ ბუნების კვდომის, ან, ზოგადად, სიკვდილის გამოვლინებაა. და კიდევ: შეგვიძლია გავიხსენოთ გალაკტიონის პოეტური კრებულის სახელწოდება „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ (*Crâne aux fleurs artistiques*), სადაც სიკვდილს ისევ ყოვლისგანმსაზღვრელი ფუნქცია აქვს. ამგვარად, ზმნების ინერსიული ფორმები ნათელს ჰფენს პარანოიულ დისკურსს და არკვევს რეალურ სუბიექტს. „მე“ სინამდვილეში სხვაა, რომელიც შეცდომით აღვიქვით საკუთარ „მე“-დ და „კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე“. ეს მოჩვენება მეორდება სხვაგანაც: „მსურს არ დამდევდეს იღუმალი *სახე მხილების* და ვიყო ერთი, ყველგან, მუდამ მსურს ვიყო ერთი“ („იღუმალი მეორე სახე“), სადაც „სახე მხილების“ მეორე „მე“,

ქაიჭავჭავი დისკუსია

„სხპპა“, რომელსაც მცდარად აღვიქვამთ, როგორც საკუთარ თავს. მთლიანობის წარმოსახვა თავდაპირველი მთლიანობის რღვევის კომპენსაციაა. რმალოზის შაზაში დაბრუნების შეუძლებლობის შედეგად იქმნება მთლიანობის მისაღწევი სხვა გზა — ენა, სემიოტიკური სისტემა. იულია კრისტევა წერდა: „ხელოვნება ნაკლულობის აღდგენის საშუალებაა; იგი დეპრესიულ პიროვნებებს ეხმარება დაკარგულს მიუახლოვდნენ, სახელი დაარქვან, აღნიშნონ იგი“. ისევ გალაკტიონის ლექსს მოვმართოთ: „ნუ დაღონდები... არსებობს მხარე/ სად თანაგრძნობაც არსებობს შენთვის,/ იქ დაუდგვარ, მეოცნებე სულს —/ ბინა ექნება მუდამ, ყოველთვის./ იქ მალღებოდა პეტრარკას სული,/ იქ მუსიკობდა თვით დანტეს ქნარი.../ შენ კი, მძლეველო, მარტო არა ხარ,/ და თვით წამებაც შენვე ღმერთად გქმნის“ („მარტო არა ხარ“). მაგრამ პოეტური ენა პოლოვალენტურია და გალაკტიონი, როგორც პოეტი, უპირისპირდება ჩვეულებრივ ენას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას (აქედან მოდის მისი გაბუნდოვანების ესთეტიკა). გამთლიანების მცდელობის შედეგად წარმოქმნილი ენა ცდილობს გამოუთქმელის გამოთქმას და ამით მთლიანობის რღვევით გამოწვეული ხარვეზის შევსებას. გალაკტიონის შემთხვევაში პოეზიას სუბლიმაციური დანიშნულება აქვს, რაც მელანქოლიისგან ათავისუფლებს სუბიექტს. ლექსში „თოვლი“ წარმოსახული მთლიანობა, სიზმრის სახით, ჩნდება ამ მთლიანობის რღვევის შედეგად, ხოლო სიზმარი, ან ცხორება გალაკტიონისთვის არის პოეზია, ან „შორეული ცის სილაქვარდე“.

იმის იმედი, რომ მკითხველს მივაწოდებ გარკვეული ინფორმაცია და ამა თუ იმ პიროვნებასთან შედგა ჩემი კომუნიკაცია, მიუთითებს, რომ მე საკუთარ თავს „აბსოლუტურ სუბიექტად“ მოვიარებ. მაგრამ მაინც არ მასვენებს ეჭვი, რომ ენა საკუთარი მელანქოლიისა და „რეპრესირებული“ ფანტაზიებისგან გაათავისუფლებისთვის გამოვიყენე, ან როგორც გალაკტიონი იტყვოდა: „და მე ვიყავი — როგორც სიზმარი.../ და მე ვარ ისე, როგორც სიზმარი“.



ინესა მერაბიშვილი

ბაირონიდან გალაკტიონამდე ანუ ვინ იყო გალაკტიონის მერი

*რომ შექმნა რაიმე დიდი, დიდი არტისტული,
მუსიკალური ბუნება და კიდევ რაძღენი რამაა
საჭირო...*

გალაკტიონი

თითქმის საუკუნეა, რაც გალაკტიონის ლექსს „მერი“ და მერისადმი მიძღვნილ სხვა ლექსებს მერი შერვაშიძის სახელს უკავშირებენ. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ გიგუშა ერისთავმა და მერი შერვაშიძემ ჯვარი თამარობას, 1918 წლის 1 მაისს დაიწერეს, „მერი“ კი ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ 1915 წელს დაიბეჭდა. სწორედ ამ უტყუარი ფაქტების შეუსაბამობა იწვევდა პირველ ეჭვებს თავად იმ მკვლევართა წრეებში, ვინც გალაკტიონის მერის მიღმა მერი შერვაშიძე იგულისხმა.

გალაკტიონი წერს:

„სახელი მერი მე არ გამომიგონებია, თუმცა ლექსის ობიექტად პირველი ეს ლექსია საქართველოში. მერი ხშირი სახელია ბაირონის ლირიკაში, მერი ასულდგმულებს შელოის, მერის ალტაცებაში მოჰყავს პუშკინი, მერი ერთი უკეთესი ტიპია ლერმონტოვისა და ათასი ინგლისური და ფრანგული სიმღერების გმირი ქალია მერი. ჩამოთვლილი პოეტების არც ერთი მერი ერთმანეთს არ ჰკავს. ასე, ალექსანდრე ბლოკის მერი სიმბოლური სახებაა; ჩემი მერი რომანტიულია, მაგრამ რეალური და ცხადი. კრიტიკოსებს კი სურთ გააბან არარსებული კავშირი ჩემსა და ბლოკს შორის. ეს ლექსი დამოუკიდებელი ლექსია“ - (2, 453-3, 357).

მიუხედავად თავად გალაკტიონის მინიშნებისა ბაირონზე, შელლიზე, პუშკინსა თუ ლერმონტოზე, პარალელები გალაკტიონისეული მერისა ამ სახელის მქონე ევროპულ ლიტერატურულ სახეებთან არ ყოფილა სათანადოდ აღწერილი და შესწავლილი. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გალაკტიონის შემოქმედება ევროპულ ლიტერატურასთან მიმართებაში სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა - (1).

როგორც თავად გალაკტიონი ბრძანებს, ეს ლექსი, მართლაც, არ ჰკავს და არ იმეორებს არც ერთ ლექსს სხვა რომელიმე პოეტისა, იქნე-

ბა ეს მერისადმი მიძღვნილი თუ არა. მაგრამ გალაკტიონი, რომლის შემოქმედება ფართოდ ასახავს კულტურასა და ლიტერატურას, რადგან „მის სულში მთელი მსოფლიოა გარდატეხილი“ (სოლომონ ხუციშვილი), ამ ლექსით ავლენს უაღრესად საინტერესო კავშირს ევროპულ ლიტერატურულ სახეებთან, კერძოდ, ბაირონის პოეზიასთან და მის მერი ჩავორსთან.

ბაირონის მერი ჩავორსი, როგორც პოეტის ყმაწვილკაცობის ტრაგიკული სიყვარულიდან ამოზრდილი სახე, მის შემოქმედებაში „საოცნებო სამყაროს დედოფლად“ გადაიქცა და გასაოცარი შარავანდით გააცისკროვნა ბაირონის პოეზია. ბაირონთან მიეცა დასაბამი მერის, როგორც ლირიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე რომანტიკულ სახეს, რომელმაც შემდგომში თავისებური გამოხატულება ჰპოვა პუშკინის, ლერმონტოვისა თუ ბლოკის შემოქმედებაში.

ჭეშმარიტი პოეზიის გავლენა გალაკტიონის შემთხვევაში, უდავოა, გულისხმობს განცდის შედეგად დაჩნეულ ცნობიერ თუ ქვეცნობიერ კვალს, რადგან პოეზიაში მისთვის ისეთივე სასიცოცხლო ენერგია იყო მოქცეული, როგორც ჰაერში, წყალსა თუ მზეში – „ჯერ ლექსი მწვავედა, მერე მზე“, რადგან მუდმივ თაუშესაფარს პოეტი მხოლოდ დიდ მგოსნებში ხედავდა – იქ, სადაც „მადლდებოდა პეტრარკას სული“ და „დანტეს ქნარი“, იქ, სადაც „რუსთაველის... შემოქმედების დიდი ნადიმი“ თუ „ბარათაშვილის მწუხარე სული“ ეგულებოდა, სადაც „დეღამ შელლისა და ბაირონის ჰპოვა ნავსაყუდარი“. პოეტური გენიისათვის დამახასიათებელი არტისტიზმი კი მას საშუალებას აძლევდა თავისებურად განეცადა ყოველი, რათა შემდეგ ამ განცდათაგან ახალი სახეები და ხატები – „არტისტული ყვაილები“ შეექმნა.

გალაკტიონ ტაბიძე კარგად იცნობს ლორდ ბაირონის ცხოვრებასა და შემოქმედებას და არაერთგზის მიმართავს კიდევ მის დიად სამყაროს. მისთვის აგრეთვე კარგად იყო ცნობილი ბაირონის მარადიული, მაგრამ უიღბლო ტრფობის ამბავი მერი ჩავორსისადმი.

იმ დროისათვის, როდესაც გალაკტიონი მსოფლიო პოეზიის შედეგებსა და საკუთრივ ლორდ ბაირონის შემოქმედებას ეწაფებოდა, რუსულ ენაზე უკვე არსებობდა ბაირონის სამტომეული – პოეტის თხზულებათა სრული გამოცემა ვრცელი კომენტარებით, სტატიებითა და ილუსტრაციებით, რომელიც ბროკჰაუზ-ეფრონმა 1904-1905 წლებში დასტამბა სანკტ-პეტერბურგში (5). გალაკტიონი ბაირონს რუსულ თარგმანში ეცნობოდა, რადგან მას არ შეეძლო ბაირონის დედანში წაკითხვა, ხოლო ქართულად ბაირონი არამცთუ მაშინ, დღესაც არაა საკმარისად თარგმნილი და გამოცემული.




ჯორჯ გორდონ ბაირონი

იქმნა დღევანდელი
 მეტროპოლიტის სკოლა.
 იქმნეს სკოლები
 თვითონდნებეს ქვეყნში
 და ბაირონი.
 ახალგაზრდა
 მსოფლიო იქმნო
 წავისსეუდარი

გალაკტიონის თხზულებათა თორმეტტომეულის მეშვიდე ტომში შეტანილი თარგმანებიდან საგულისხმოა „ნაპოლეონ“, რომელიც ბაირონის ცნობილი ნაწარმოების „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტესადმი“ პირველი ორი სტროფის თარგმანს წარმოადგენს. საკმარისია გალაკტიონის ტექსტი შევადაროთ დედანსა და რუსულენოვან ბრიუსოვისეულ თარგმანს, აშკარა ხდება, რომ გალაკტიონს იგი ბრიუსოვიდან გადმოუღია.

ასევე ბაირონის ურითმო ლექსის „წყვილიაღის“ პირველი ოთხი სტრიქონის მხატვრულ ინტერპრეტაციად გვევლინება გალაკტიონის პატარა უსათაურო ლექსი „მე დამესიზმრა მწარე სიზმარი“, რომელიც ტურგენევის რუსული თარგმანის მიხედვითაა შესრულებული (ამ ფაქტზე აგრეთვე მიანიშნებს ვახტანგ ჯაფარიძე წიგნში „უცნობი“). ბაირონთან შებმიანების მაგალითი მრავლადაა გალაკტიონის პოეზიაში, მაგრამ ამჟამად ჩვენი მიზანი არაა ორი გენიოსი პოეტის საერთო მოტივებისა და განწყობილებების აღწერა.

სერგი ჭილაიამ წერილში „ლევენდად დარჩეს“ (4) გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ გალაკტიონის „მერი“ პოეტის წარმოსახვის შედეგია და რომ პოეტმა იწანასწარმეტყველა მერი შერვაშიძისადმი ტროფობის უიღბლო დასასრული, რადგან იცოდა, მერის მას არაუინ



ბაირონის უკანასკნელი
 შენისნიციონრე
 და ცენტრალურმა
 მისტერიალს მცდლი.

მერი ჩავორსი

მიათხოვებდა. დღევანდელი გადასახედიდან ვრწმუნდებით, რომ მეცნიერულმა ალღომ საშუალება მისცა მკვლევარს, არ დაბნეულიყო ლეგენდებისა და ფაქტების ლაბირინთში და არსებითად მართებული დასკვნა გაეკეთებინა.

„მერი“, მართლაც, პოეტის არტისტული წარმოსახვისა და განცდის შედეგია, მისი ნაყოფი, მაგრამ გაცილებით მრავალმხრივი. ეს არის პოეტის სვედა მერი შერვაშიძისადმი ტრფობის გამო (იოსებ ლორთქიფანიძე), რომელიც გაიგოებულია საერთოდ ქალის სიყვარულის ნიჭთან (მიზეილ კვესელაჟა). ეს არის ქალის სიყვარულის განზოგადებული სახე, რომელიც აერთიანებს მერი შერვაშიძეს, ოლია ოკუჯავას, რაისა ჩიხლაძეს (აკაკი ვასაძე).

დაბოლოს, ეს არის არტისტული განცდა იმ მარადიული ტრფობისა, რომელსაც ბაირონის პოეზია ადგა გვირგვინად და რომელიც მის შემკვიდრეთა შემოქმედებაში ახშიანდა, ანუ როგორც ალექსანდრე ბლოკი იტყოდა „Мы о Мери твердим наизусть золотыми стихами“.

ეს თვალსაზრისი შევეიძლია განვამტკიცოთ გალაკტიონის ლექსით „მერის თვლებით“, რომელიც გალაკტიონის მერისთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, ჩვენი კონცეფციის ქვაკუთხედს წარმოადგენს:

ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე
 არე-მიღამოს შხამავს ღრმა მწუხარების შხამი.

**ჩამოიბუროს ზეცა, მისც ალარა მეჯერა –
შერის თვალებით იგი ვერ გაბრწყინდება, ვერა!**

გალაკტიონის გარდაცვალების შემდეგ, 1966 წელს გამოცემულ თხზულებათა თორმეტტომეულის პირველ ტომში დაბეჭდილი ლექსი „შერის თვალებით“ პოეტის მიერ დათარიღებულია 1916 წლით, პირველად კი 1937 წელს გამოქვეყნდა. თორმეტტომეულის რედაქციამ ის მიიჩნია პარიზული ციკლის ნაწარმოებად. ნუთუ მართლა მოჰკრა თვალი გალაკტიონმა შერი შერვაშიძეს პარიზში? ნუთუ ეს ლექსი მართლაც პარიზული შთაბეჭდილებებით დაიწერა? მაშ რატომ დაათარიღა ის პოეტმა 1916 წლით, რაც ძალიან გვაახლოებს „შერის“ შექმნის დროსთან. პასუხი ამაზე დაგვარწმუნებს, თუ რაოდენ დიდი გულებნა მოუხდენია ლორდ ბაირონს გალაკტიონის „შერიზე“.

ვარაუდი იმის შესახებ, რომ პოეტმა პარიზში იხილა შერი შერვაშიძე, შეიძლება უკუვაგდოთ ისევე გალაკტიონის სხვა ლექსით, რომელიც ნამდვილად პარიზულ დღიურებშია შესული:

შენ მაინც ვერსად გიპოვე, შერი!
ო, გული მტკიოა, გული სხვა გრძნობის,
არსად არ გნიშნავს ჩემს წინ ცბიერო
რელიეფური რუკა ვეროპის!
სადა ხარ, სადა? რომელი მიწა
შენ აირჩიე ჩვენის მაგიერ? –
ბადენ-ბადენი, ლონდონი, ნიცცა,
თუ (მოგონებაჲ გვერდს ვერ აგაიარ).

ეს ლექსი მიგვანიშნებს არა მარტო იმაზე, რომ იგი ეძღვნება შერი შერვაშიძეს – ქალს, რომელმაც სხვა მიწა აირჩია „ჩვენის მაგიერ“, არამედ იმაზეც, რომ პოეტმა ვერსად პოვა იგი.

გამორიცხული არაა, რომ ლექსი „შერის თვალებით“, მართლაც, ადრეულ პერიოდშია შექმნილი, მით უმეტეს, რომ თავდაპირველად პოეტის ხელნაწერში იგი 1914 წლითაა დათარიღებული, ე. ი. მაშინ, როცა შეიქმნა „შერი“, „შენს ცისფერ თვალებს“, „უსიყვარულოდ“ და სხვა.

ისმის კითხვა: რა განცდა უდევს საფუძვლად ლექსს „შერის თვალებით“, უიღბლო სიყვარული შერი შერვაშიძისადმი თუ კიდევ სხვა რამ?

პირველი ლექსი, რომელიც ბაირონმა მიუძღვნა შერი ჩაუორსს მისი ჯვრისწერის შემდეგ, გახლავთ „ნაწყვეტი, დაწერილი ძალიან მალე მის ჩაუორსის ქორწინების შემდეგ“:

Fragment Written shortly after the marriage of
miss Chaworth

Hills of Annesley, bleak and barren,
Where my thoughtless childhood stray'd,
How the northern tempests, warring,
Howl above thy tufted shade!
Now no more, the hours beguiling,
Former favourite haunts I see;
Now no more my Mary smiling
Makes you seem a Heaven to me.

გთავაზობთ ლექსის ჩვენეულ თარგმანს:


ენსლის სერებო, დგახართ ცენი, მიუკარებნი,
აქ გაიქროლა უზრუნველმა ჩემმა ბავშვობამ,
გოდებენ ღამით ჩრდილოეთის მძაფრი ქარები
და არვის ძალუმს ამ მწუხარე მოთქმის ჩახშობა.
იმ ნეტარ დღეებს რად ქვერათ გადაშენება,
როს ბედნიერი არ ვითვლიდი წუთებს აროდეს,
მერის ღიმილი, ცისიერი მისი მშვენება
ველარასოდეს მომაჩვენებს თქვენს თავს სამოთხედ.

ლექსი მთლიანად მიმართვა ენსლის სერებისადმი, ინგლისის იმ ერთი პატარა კუთხისადმი, სადაც სახლობდა ჩავორსების ოჯახი. გამოვყოთ ლექსის ბოლო ორი სტრიქონი: "Now no more my Mary smiling Makes you seem a Heaven to me", რაც სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: „ამ-იერიდან ჩემი მერის ღიმილი ვერ მომაჩვენებს თქვენს თავს სამოთხედ“.

„სამოთხე“ დედანში შეესატყვისება ლექსემას "Heaven", რომელიც ინგლისურ ენაში პოლისემანტიური სიტყვაა და დატვირთულია შემდეგი შინაარსით: „ცა, ზეცა, ცის თაღი, ცათა საუფლო, ღმერთებისა და ანგელოზების სამყოფელი, სამოთხე, როგორც მშვიდი და ნეტარი ცხოვრებისათვის განკუთვნილი სამყარო“.

სამოთხის ცნებას მიმართავს პოეტი მერი ჩავორსისადმი მიძღვნილ უფრო გვიანდელ ლექსშიც, სადაც სამშობლოდან გამგზავრების მიზეზად მერის ასახვლებს – „მიჭირს ვუშხერდე ჩემს სამოთხეს და არ ვინდობო იქ დავრჩე მარად“.

აღსანიშნავია, რომ აქ სამოთხის ცნება აღინიშნება არა სიტყვით "Heaven", არამედ სიტყვით "Paradise", რომლისთვისაც ეს მნიშვნელობაა წამყვანი.



617-6187

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაირონის შემოქმედებას გალაკტიონი ეცნობოდა რუსულ თარგმანში. ლექსის თარგმანი ეკუთვნის ალექსანდრე ბლოკს:

Отрывок, написанный вскоре после
замужества мисс Чаворт

Бесплодные места, где был я сердцем молод,
Анслейские холмы!
Бушуй, вас одел косматой тенью холод
Бунтующей зимы.
Нет прежних светлых мест, где сердце так любило
Часами отдыхать.
Вам небом для меня в улыбке Мэри милой
Уже не заблестать.

ბლოკი სიტყვა “Heaven”-ს თარგმნის სიტყვით “небо”, რაც წარმოდგენს კიდევ აღნიშნული ინგლისური სიტყვის რუსულ შესატყვისს. მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსული “небо” თავისი ენობრივი პოტენციით სრულად ვერ ფარავს “Heaven”-ის ლექსიკურ პოტენციას, კერძოდ, მასში არაა ჩადებული „სამოთხის, როგორც ნეტარი ცხოვრებისათვის განკუთვნილი სამყაროს“ მნიშვნელობა, რომლის აქცენტირებაც ხდება ბაირონის ტექსტში. გარდა ამისა, ბლოკს შემოაქვს ტექსტში ახალი ცნება – “заблестать”, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სიტყვა “небо”-ს მნიშვნელობას, როგორც ცისა და ზეცისას. მთავაკციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ იქ, სადაც ბაირონი იტყვის „ვერ მომაჩვენებს“, ბლოკი ამბობს „ვერ გაბრწყინდებით“ – “не заблестать”.

გალაკტიონი ბლოკის პრიზმაში აღიქვამს ლექსში წარმოდგენილ სამყაროს და იზიარებს კიდევ მის წამყვან მომენტებს, რომელიც საყვარულ ადამიანთან განშორებითაა გამოწვეული, აგრეთვე იმასაც, რომ ეს განცდა მას ახლახან დაეუფლა. შეეადაროთ, – „ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე“, და – “Отрывок, написанный вскоре после замужества мисс Чаворт”.

ასევე ბლოკის გზით შემოდის გალაკტიონში ცის გაბრწყინების ხატი:

ჩამოიბუროს ზეცა, მისიც აღარა მჯერა –
შერის თვალებით იგი ვერ გაბრწყინდება, ვერა!

Вам небом для меня в улыбке Мэри милой
Уже не заблестать.

მაგრამ გალაკტიონის გენიალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ მოქცეულა ბლოკის ინტერპრეტაციის ტყვეობაში და საკუთარი ხედვით განჭვრიტა ბაირონის სამყარო, რათა შემდგომ ინდივიდუალური განცდის გადასახედიდან წარმოეჩინა იგი. ამიტომაცაა, რომ მერის სახლს, თუ იმ ადგილს, სადაც სახლი იდგა, გალაკტიონი ცას არ შეადარებს. თუ ბლოკის ტექსტში ენსლის სერები მერის დაკარგვით „ცაღაღარ გაბრწყინდებიან“, გალაკტიონის ტექსტის პარტიტურაში ცა დამოუკიდებელ პარტიად გვევლინება, რომელიც გაბრწყინდება არა მერის ღიმილით, არამედ უკვე მერის თვალებით.

სატრფოს სახლზე კი გალაკტიონი სხვა შემთხვევაში ასე იტყვის: „წინათ სასახლე მეგონა, ეხლა უბრალო სახლია...“

ჭეშმარიტად ასე იყო ბაირონის ცნობიერებაშიც. საყურადღებოა ის მომენტიც, რომ თუ ბაირონი მერის „ამომავალ ვარსკვლავს“ უწოდებდა, გალაკტიონისათვის მერი „ამომავალი ცისკარია“, ხოლო პოეტის ვარსკვლავი მისი ღიმილის შუქია: „ჩემი ვარსკვლავი, სატრფოო, ცის თაღზე შუქად რომ ადის, შენი ღიმილის შუქია“.

ის, რომ გალაკტიონის ლექსში მოქცეული სევდა გარკვეულწილად ბაირონის სევდას ეხმიანება, იმიტაც მტკიცდება, რომ ლექსის ხელნაწ-



ღია ბარათი, რომლის მეორე მხარეს მოთავსებულია ავტოგრაფი ლექსისა „ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს“

ერში სტრიქონს „არე-მიდამოს შხამავს ღრმა მწუხარების შხამი“ შეესატყვისება სტრიქონი „მთელს მსოფლიოში შეფობს ღრმა მწუხარების შხამი“. ამით გალაკტიონი პატოს მიაგებს ლორდ ბაირონს – მსოფლიო მწუხარების რაინდს (და არა მარტო ამ ლექსით), თორემ გალაკტიონისეული მწუხარება ხომ არანაკლებ მძაფრია თავისთავად:

მაწმინდის იქით ჩასისხლულმა შხემ ბინა კპოვა.

არ არის შველა...

თვითონ მსოფლიოს მწუხარება აქ შედარებით

მხოლოდ ლანდი და მხოლოდ ჩრდილია.

რაც შეეხება იმას, რომ გალაკტიონი წერს – „მერი ჩავორტი“ („ბაირონს უსმენს მერი ჩავორტი და ფერადებში მისცურავს შელლი“) და არა „მერი ჩავორსი“, ან „მერი ჩავორთი“, როგორც ამას ინგლისური წარმოთქმა გეთავაზობს, მეტყველებს იმაზე, რომ ეს გვარი მის ცნობიერებაში მხოლოდ რუსული ენის გზით შემოვიდა.

ბაირონისეული მერის გაულენაზე მიგვანიშნებს ის ფაქტიც, რომ „მერის“ ხელნაწერში ლექსის სათაური გამოყვანილია ლათინური ასოებით – „Meri“ – (2, 452). აქვე ლექსის შექმნის თავდაპირველ თარიღად აუტოგრაფში მითითებულია 1914 წელი, რაც სრულიად ბუნებრივად გამოიყურება ლექსისათვის, რომელიც 1915 წელს გამოქვეყნდა. 1914 წელი, როგორც „მერის“ დაწერის პერიოდი, ემთხვევა, ვიმეორებთ, ისეთი ლექსების შექმნის დროს, როგორიცაა „მერის თვალებით“, „შენს ცისფერ თვალებს“, „უსიყვარულოდ“, „სიშორით შენით“, „ის ჩამოშორდა, როგორც სიზმარი“, რომელთაც ჩვენ მერისადმი მიძღვნილ ლექსებად განვიხილავთ.

როგორც ითქვა, „მერი“ 1915 წელს გამოქვეყნდა. საგულისხმოა, რომ ლექსის თავდაპირველი ვარიანტი, ანუ ის, რომელიც გამოქვეყნდა „თუ-ატრსა და ცხოვრებაში“, განსხვავდება იმ საბოლოო ვარიანტისაგან, დღეს რომ ყველამ ზეპირად ვიცით იგი პოეტმა შეიტანა 1919 წლის კრებულში „არტისტული ყვავილები თავის ქალაში“.

ბაირონისეული მერის გაულენაზე მეტყველებს აგრეთვე ისიც, რომ „მერის“ პირველ ვარიანტში ვკითხულობთ შემდეგ სტრიქონებს:


შენ ვვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!

იმ ღამეს შენი სიცოცხლის ბედი

გათავდა... ჩაქრა შუქთა ჩანჩქერი...



მერი შერვაშიძე



შემდეგ ამ სტრიქონებს გალაკტიონი აღარ შეიტანს ლექსის ბოლო ვარიანტში, რათა, როგორც ჩანს, სიცხადე და რეალობა არ მოაკლოს მერის სახეს. ლექსი ხომ ისეა შესრულებული, რომ პოეტი თითქოს ჯერისწერის მომენტში განიცდის ყოველივეს და არა დროის გარკვეული მანძილის შემდეგ, როდესაც შეიძლება შორიდან შეხედო ადამიანის უკუღმა დატრიალებულ ბედს.

ისმის კითხვა: რატომ გაჩნდა ამგვარი სტრიქონები? მერი შერვაშიძის შემდგომი ცხოვრება არ იძლევა იმის საბაბს, რომ ეს სტრიქონები გალაკტიონის პოეტურ წინასწარმეტყველებად ჩავთვალოთ. ასეც რომ იყოს, გაიმეტებდა კი გალაკტიონი მერი შერვაშიძეს ასეთი ავბედითი წინასწარმეტყველებისათვის?! ვის, თუ არა დიდ პოეტს ყოველთვის ჩინებულად მოეხსენება სიტყვის ძალა და პოეზიის მაგიური ზეგავლენა. როგორც ბოდლერი იტყვის, პოეზია ხომ იგივე მაგიაა!

ამის უფლებას იძლეოდა ისევე მერი ჩაუორისის ცხოვრების ფატალიზმი...

და აი, ყოველივე ამის ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მსოფლიო პოეზიაში ასახული მრავალი მერისაგან განსხვავებით, იქნება ეს შელლის, პუშკინის, ლერმონტოვისა თუ ბლოკის მერი, გალაკტიონთან მერი ღვთისმშობლის კატეგორიაშია აყვანილი:

აქ მრავალია ცისფერი ფერი!
ეს ფერი მარად თვალს ევარება,
როგორც ქალწულის სახელი – მერი
არის ცისფერი და მწუხარება.

ამ შემთხვევაში გვახსენდება ბეატრიჩეს სახე დანტე ალიგიერის “ღვთაებრივი კომედიიდან”, სადაც იგი, როგორც პოეტის მარადიული მეგზური, მეცხრე ცაზე ღვთისმშობლის ხატებად გამოგვეცხადება.

ვფიქრობთ, ამგვარ ხედვას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ინგლისურ ენაში, რომელზეც იშვიათ ხატება ბაირონისეული მერისა, “Mary” – მარიამი – ღვთისმშობლის სახელია. ამიტომაცაა, ალბათ, გალაკტიონის ღვთისმშობელი ასეთი მიწიერი და ახლობელი. ამიტომაც შებედავს და ეტყვის მას პოეტი:

დასტკბი! ასეა ვველა მგოსნები?
შენს მოლოდინში ასეა ვველა?
სული, ვედრებით განაოცები,
შენს ფერხთ ქვეშ კვდება როგორც პეპელა.

ამ ლექსის პირველი სტრიქონი, მისი პირველი აკორდი მკითხველს ლოცვად ჩაესმის:

ღეღაო ღვთისაჲ, შზეო მარიამ...

ლოცვას აღსარება ენაცვლება, თუმცა ეს აღსარება უჩვეულო და მოულოდნელია, რამეთუ აქვე გაისმის მარიამ ღვთისმშობელთან დაპირისპირებაც, რომელიც კულმინაციას შემდეგ სტრიქონებში აღწევს:

და როცა ბედით დაწვევილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოუა შენი ხსენება.

რა არის ეს? ნუთუ მხოლოდ საყვედური ღვთისმშობლისადმი, რომელმაც უკეთესი ბედი არ არგუნა მოკვდავ პოეტს?

გალაკტიონი თავად მიიჩნევს საკუთარ თავს იმ ცოდვილ შვილად, რომელთანაც სიკვდილის უამს ზიარებაზე ალბათ არ მოუა ღვთისმშობლის ხსენება. პოეტმა იცის, რომ სამყარო და ეპოქა, რომელშიც ის

ცხოვრობს, უღმერთო და უღვთისმშობლოა (“ჩემი მეეტლე“, “მწუხარება“, “სამშობლო შავი ლიუციფერის“, “არ გეგონა“, “თუ ბრძოლა არ არის“, “ცხრაას თერამეტი“). პოეტი, რომელიც მერის ღვთისმშობელთან აიგივებს, ისევე ემშვიდობება ღვთისმშობელს, ვითარცა სანატრულ ქალს და მასთან ერთად გაფრენილ ოცნებას.

მეორე მხრივ, პოეტი არის იქ, სადაც ქრისტიანთა, სადაც ღვთისმშობელია, რადგან ისიც ისეთივე მსხვერპლია კაცობრიობისა:

ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!

მართალია, პოეტთან არ მიდის ღვთისმშობელი, მაგრამ პოეტი ხომ თავად მიდის მასთან. თითქოსდა წაშლილა მანძილი ციურ უსასრულობაში მსუფთვე ღვთისმშობელსა და მიწიერ პოეტს შორის: “აჰა! მოვედი გედი დაჭრილი ოცნების ბალით!”

მარიამი, იგივე მერი, მზეა მისთვის. მერი მზეა პუშკინისთვისაც – “Будь же счастлива Мери, солнце жизни моей” (განშორების შემდეგ ბაირონიც ხომ ყოველთვის ბედნიერებას უსურვებდა მერის). ბაირონის მერი ახლა უკვე პუშკინის გზითაც შემოდის გალაკტიონში, ისევე როგორც ბაირონის ღემონი ლერმონტოვის პოეზიით უფრო შემოაღწევს მასში¹.

Будь же счастлива, Мери,
Солнце жизни моей,
Ни тоски, ни потери,
Ни ненастных дней
Пусть не ведает Мери.

თუ პუშკინი მერის მზეს ადარებს და სთხოვს განგებას, დაიფაროს იგი ავისაგან, გალაკტიონი პოეტურ განცდათა ახალ მწვერვალს იპყრობს, როდესაც ზენიტში მყოფ თიბათვის მზეს შესთხოვს თავისი სიყვარულის მფარველობას ლექსით „მზეო თიბათვისა“.

თუმცა მერის პოეტური სახე გალაკტიონში საკუთრივ ბაირონისა და ვეროპული პოეზიის მერის შთაგონებით წარმოიქმნა, გალაკტიონის თუშაუ-

¹ საყურადღებოა, რომ თავად ა. პუშკინი აღნიშნულ ლექსს ქმნის, როგორც შეზღუდვებს ინგლისელ პოეტ ბარი კორნუოლთან (Barry Cornwall – 1787-1874), და მისი ლექსის ერთ-ერთი სტრიქონი “Here’s health to thee, Mary”, რაც ინგლისურად ნიშნავს „ესეამ შენს სადღეგრძელოს, მერი“, გადმოაქვს საკუთარი ლექსის საწყისად. შტრ: გალაკტიონის „შენი სადღეგრძელო“ და პუშკინის “Пью за здравие Мери”.

ზაზა შათირიშვილი

გალაკტიონის „მშობლიური“ და „უცხო“ ინტერტექსტები

1. „მამული“ და ბარათაშვილის „მერანი“

მამული

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გუიარუ — რაა მამული?!
წინაპართაგან წავიდა ვველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაბული.

გაშალა ველი ნელმა ნიაუმა
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლაუით ხელში დადის ვენახში.

აქ თითო ლერწი და თითო ვლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება!
ისევ ამწვანდა მდელი და კორდი!..
დედიფარ... ვწუხვარ და მენანება!

„მამულში“ გადაღახულია ისეთი მნიშვნელოვანი ოპოზიციები, როგორებიცაა მამული, მშობლიური ლანდშაფტი/სხვა, უცხო ლანდშაფტი; წინაპარები/უცხო ხალხი. ეს ოპოზიციები კი განსაკუთრებით რელევანტურია ბარათაშვილის „მერნისათვის“, რომელიც „მამულის“ ერთ-ერთი ინტერტექსტია¹ და სადაც მშობლიურს (საკუთარს) და უცხოს (სხვას) ერთიმეორისაგან გამოყოფს „ბედის სამძღვარი“ — განსხვავება დამარხვის რიტუალებს შორის:

ნუ დავიმარხო ჩემს მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტაროს სატრფომ გული სა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის!
შუი ფორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის მინდვრის
და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა ზართთ, ღრიალით მიწას მომაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ მკედარსა, ოხერსა დაბეცებთან ციურნი ცვარნი, ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მოვალელებს სუენი მყოარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.

თუკი ბარათაშვილის ტექსტში „ბედის სამძღვარი“ განასხვავებს მამულის ლანდშაფტს „ტიალი“ ლანდშაფტისაგან, გალაკტიონის შემთხვევაში *მამულში* „საკუთარი“ თავიდანვე დაპყრობილია „სხვის“ მიერ. ეს „სხვა“ შეიძლება იყოს როგორც ცვარი, ისე „სხვა ხალხი“. ბარათაშვილის ტექსტში აქტუალიზებულია ორი სერიული მწკრივი. „საკუთარი“: ჩემი მამული — წინაპართა საფლავები — სატრფოს მწუხარე ცრემლი — ნათესავთა გლოვა — „სწორნი და მეგობარნი“... და „უცხო, სხვა“: უცხო სამარე — ტიალი მინდორი — შავი ყორანი — ქარიშხალი — „მყოარნი სუენი“ — ციური ცვარი. გალაკტიონის *„მამულში“* ხდება ამ ორი სერიული მწკრივის გადაჭდობა და „შერევა“ — ბარათაშვილის ორივე ლანდშაფტი („მამული“ და „ტიალი მინდორი“) თავიდანვე უქმდება.

მამულის ლანდშაფტი ბარათაშვილთან გულისხმობს გლოვისა და დამარხვის „გაცვლით“ ეკონომიკას. წინაპართა საფლავებს შორის დამარხვა მოითხოვს ნათესავთა გლოვასა და სატრფოს ცრემლს. მაშინ, როდესაც „ტიალ მინდორში“ მამულის ლანდშაფტის გარეთ დამარხვა გულისხმობს არა „გაცვლით“ ეკონომიკას, არამედ „პოტლაჩს“ („კარგვას“, მიძღვნას, ხარჯვას), მოშორება — (გა)დაკარგვა ახდენს „კარგვით“ ეკონომიკის ინიციირებას. ეკონომიკის ეს ტიპი სხვა არაფერია, თუ არა უანგარიშო ხარჯვა, „პოტლაჩი“ — ციური ცვარი, რომელიც უანგარიშოდ, გათვლის გარეშე იხარჯება. რომანტიკულ დისკურსში თავიდანვე არსებობს განსხვავება „საკუთარსა“ და „უცხოს“, მამულსა და „სხვა“ ლანდშაფტს შორის. სწორედ ამიტომაა შესაძლებელი ტრანსგრესიული აქტი — „ბედის სამძღვრის“ გადაღახვა, როცა საშობლო ხდება ის, სადაც გითენდება და გიღამდება, როცა „საკუთარი“ ხდება „სხვა“, ხოლო საკუთრება — ის, რასაც „გაცვლით“ კი არა, ხარჯვის შედეგად იღებ, რასაც გიძღვნიან (თუკი „გაცვლით“ ეკონომიკა ეფუძნება პროდუქტს, პოტლაჩის „ხარჯვით“ ეკონომიკა გულისხმობს ძღვენს, რასაც შემოგწირავენ):

მოკვდები, ვერ ვნახავ
ცრემლსა მე შობლიურს,

მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!


სამარეს ჩემსა როს
გარს ნისლი მოეცვას, —
იგიცა შესწიროს
ციაგმან ლურჯსა ცას!

“ბედის სამძღვარი“ სხვა არაფერია, თუ არა საზღვარი „საკუთარსა“ და „სხვას“ შორის, ე. ი. ის, რაც გამოყოფს და განასხვავებს მშობლიურ ლანდშაფტსა და ცრემლს „უცხო“ ლანდშაფტისა და ციური ცვარისაგან — „ბედის სამძღვარი“ წარმოადგენს განსხვავებას „საკუთარს“ — „საკუთრებით“ ეკონომიკასა და „კარგვით“ ეკონომიკას შორის. ის, ვინც გადალახავს ამ საზღვარს, ხდება (და)კარგვითი ეკონომიკის „მსხვერპლი“ — ამიტომაც გავრცელდა „კარგვითი“ ეკონომიკა ბარათშვილის ბიოგრაფიულ „ტექსტზე“ — დაწყებული რეალური „გადაკარგვით“ განჯაში, უცხო ტოპოსში სიკვდილითა და არქივის უმეტესი ნაწილის დაკარგვით დამთავრებული. „კარგვითი“ მექანიზმი გაგრძელდა, „კარგვითი ეკონომიკა“ დაგვირგვინდა ბარათშვილის დაგეოტიკული გამოსახულების საბოლოო დაკარგვით.

2. ედგარი და ყორანი

საუბრის მოტივი გარდა ლექსისა „საუბარი ედგარზე“ გვხვდება ტექსტში, რომელიც ასევე ედგარ პოსთან (ყოველ შემთხვევაში მის სახელთან მაინც) არის დაკავშირებული: „და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი: / საცაა მოვა სიკვდილის წამი!“ — „ედგარი მესამედ“. ამ კუთხით აღსანიშნავია „ყორნების საუბარი“ ლექსიდან „ათოჯდა ზამთრის ბაღებს“. რამდენად მიუთითებს ყოველივე ეს ედგარ პოს „ყორნის“ ინტერტექსტუალურ კვალზე 1919 წლის კრებულში?

იმისათვის, რათა პასუხი გაეცეს ამ კითხვას, საჭიროა თვალი გადავავლოთ ყველა იმ შემთხვევას „არტიტულ ყავილებში“; სადაც, ამა თუ იმ სახით, ექსპლიციტურებულა ყორნის ხატი. აი ეს შემთხვევები: „ძვირფასო, ძვირფასო, ბედი კლავს ჩემს სხეულს, / თვალებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები. / ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს წაქცეულს / ვილაც ფრთებს მიკვეცავს... ეჰა, ვიტანჯები!“ — „მე მოვალ“, „ქუჩა სიავის გრძობამ შეფიფქა, / თან მეფიცება ძმობას და დობას / და ყორანოვით უცნობის სკრაპა / ჩემს მხართან ტირის უამინდობას. ... // და როგორც



ყორანს დააქვეს ბრჭყალებით / პაერში ნაზი ხელები ქალის, — / სიმები სწენენ შეუწყალებით / ამ გაგიჟებას, ვედრებას, ხალისს.“ — „*რამდენიმე დღე პეტროგრაღში*“; „ყოველთვის მგონია: გადიფრენს ყორანი / და სანთლებს ჩააქრობს თვალების ალვაში; / თვალები, ეს ლოცვით დამწვარი ქალ-ვაჟი, / წვალებით მოკვდება (ოხერა, პასტორალი).“ — „*ყორანი*“; „...რაა ყორნის ხმა? / რას ნიშნავს ვაზა გატყეილი?“ — „*შიში*“.

მოხმობილი მაგალითებიდან, როგორც ჩანს, მხოლოდ „*შიში*“ და „*ყორანი*“ („ათოფდა ზამთრის ბაღებთან“ ერთად) ამჟღავნებს გარკვეულ სიახლოვეს „ედგარის დილოგიასთან“ („*საუბარი ედგარზე*“ და „*ედგარი მესამედ*“) და, სავარაუდოდ, ედგარ პოს „*ყორანთან*“. რაც შეეხება სხვა მაგალითებს, „*მე მოვალ*“ ცალსახადაა დაკავშირებული ბართაშვილის (და არა პოს) *ყორანთან* და აკაკისა და ვაჟას *ამირანთან* და *ყვეყორნებთან*: „...ბედი კლავს ჩემს სხეულს, / თვალებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები...“ — მოცემული პასაჟი, ერთი მხრივ, ბართაშვილისეულ „თვალებედიოს“ ანაწევრებს, ხოლო, მეორე მხრივ, *ყორნების* მრავლობითი რიცხვითა და შემდეგი ტაეპის *ამირანით* ააშკარავენს მეორე ინტერტექსტუალურ ხაზს (აკაკის *სიმღერა „თორნიკე ერითაიდან*“ და ვაჟას „*ამირანი*“). მიუხედავად იმისა, რომ „*მე მოვალ*“ არ მიეკუთვნება ე.წ. „ედგარის ციკლს“ („*საუბარი ედგარზე*“, „*ედგარი მესამედ*“, „*შიში*“, „*ყორანი*“ და, გარკვეულწილად, „*ათოფდა ზამთრის ბაღებს*“), მაინც არის

ერთი გადაბხილი ამ ტექსტსა და გალაკტიონის „ყორანს“ შორის, კერძოდ, ყორნისა და თვალების კორელაცია (“თვალეებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები” — „მე მოვალ“, ...გადიფრენს ყორანი / და სანთლებს ჩააქრობს თვალების ალვაში; / თვალები, ეს ლოცვით დამწვარი ქალვაჟი, / წვალეებით მოკვდება..” — „ყორანი“), თანაც ზიანის კუთხით.

თვითონ „ედგარის ციკლის“ ლექსებს შორის ძალიან საყურადღებო პარალელებია: სანთლების (სანთლის) ჩაქრობა-განელება („საუბარი ედგარზე“ და „ყორანი“), „ოხვრა, პასტორალი“ („საუბარი ედგარზე“) — „ოხვრა.. შეყვარება“ („ყორანი“); „...ჩემს სახელს ნაცნობი / აჩრდილი თან დასდევს..“ („ყორანი“) — „აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი / დასდევს..“ („საუბარი ედგარზე“); უკვე აღნიშნული საუბრის მოტივი („საუბარი ედგარზე“, „ყორნების საუბარი“ — „ათოუდა ზამთრის ბაღებს“, „ყრუ საუბარი“ — „ედგარი მესამედ“); რამდენადმე, „ყორნების საუბარი“ („ათოუდა ზამთრის ბაღებს“) და „ყორნის ხმა“ „შიშიდან“; სამგლოვიარო სელა/პროცესია („ედგარი მესამედ“ და „ათოუდა ზამთრის ბაღებს“).²

მაგრამ რამდენად მართებულია, საზოგადოდ, „ედგარის ციკლის“ გამოყოფა? თუ ამოსავალი პრინციპი ედგარ პოს მოხსენიებაა, მაშინ

„V“
ქუთის ღობის ქაჯი ნეკა.

ლოტიონს ქუთის ქაჯი ნეკა



რატომ არ განვიხილეთ „არტიტული ყვაილების“ მესამე ტექსტი, სადაც ასევე დასახელებულია ეს პოეტი: „კითხულობდა პოეტებს ედგარს, პანრი რენიეს / და ლანდები ჩქარობდნენ ოცნებების კიდზე..“ („მწოლარე“)? მაგრამ, საქმე ისაა, რომ ეს უკანასკნელი არანაირად არ ეხმიანება სხვა ხუთ ტექსტს ჩვენთვის მნიშვნელოვანი თემატურ-მოტივური კუთხით (თუ არ ჩავთვლით „ლანდებს“).

სამაგიეროდ, „ედგარის ციკლთან“ საკმაოდ დიდ სიახლოვეს ამეღაუნებს ტექსტი, რომელშიც არც ედგარ პოა ნახსენები და არც ყორანი გვხვდება. ესაა „ახალი მოსახლეობა“: „ვიდაცა მახინჯი მხიარულ სიცილით / შემოგვხვდა..“ — „...მაგრამ უეცრად ვიდაც

მესამე, / ვილაც მაზინჯი ჩაღდა ჩვენს შორის.“ („ედგარი მესამედ“); „ჩვენ ერთად ვუცდიდით ღამეში თუთრ სანთელს, / ჩვენ ერთად მიჟრკალეთ ლოდინი და რიცხვი...“ („ახალი მოსახლეობა“) — „... („მე შენ გელოდები!“) / მოვა შუალამის ბნელი სტუმაროვით. / სანთლებს გაანელებს...“ („საუბარი ედგარზე“); „დავბრუნდით ბინაში და დაგვხვდა ცხედარი!“ („ახალი მოსახლეობა“) — „როდესაც ბნელ ღამით ბინაში ვბრუნდებით...“ („ყორანი“).

3. „პარიზის დაგმობა“ და თეოფილ გოტიეს *ობელისკების ნოსტალგია*

ობელისკი

ობელისკს თუთრი მხრიდან მოტანილს
ჩვენ შევცქეროდით ძახილით დაკვამთ!
ეჩვენებოდათ ქვის თლილი ტანი
ფველასთვის უცხო და ბნელ ქარაგმათ.

წყალი შავია, როგორც მელანი,
შავ წყალზე ყალფზე შედგა მერანი
და სასაფლაოს მხარიდან ძერა
თავს დასტრიალებს, ვით ბედისწერა.

მოცემული ტექსტი მკვეთრი ოპოზიციებითაა აგებული. უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს უპირისპირდება პირველი, „სტატიკური“ და მეორე — „დინამიური“ სტროფი. პირველი სტროფის „თუთრ მხარეს“ უპირისპირდება მეორე სტროფის „სასაფლაოს მხარე“. ამასთანავე, პირველი სტროფი ხაზგასმულად „თუთრია“ („თუთრი მხარე“), მეორე — „შავი“ („შავი წყალი“). მაგრამ პირველსავე სტროფში, მეტონიმიურად „თუთრი“ ობელისკი ბნელ ქარაგმად ეჩვენებათ. ასეთივე დაპირისპირებაა ინტერტექსტუალური თვალსაზრისითაც: მეორე სტროფი ბარათაშვილთან გვაგზავნის (და რამდენადმე, რუსთაველთანაც — „მერანი რამე შავია“), ხოლო პირველი — თეოფილ გოტიეს „ობელისკების ნოსტალგიასთან“ მისი ლექსების სახელგანთქმული კრებულიდან „მინანქრები და კამეები“, რომელიც პირველად 1852 წელს გამოიცა პარიზში.

გოტიეს „ობელისკების ნოსტალგია“ დილოგიაა. იგი ეძღვნება ეგვიპტის თებეს ლუქსორის ტაძრის ორ ობელისკს, რომელთაგან ერთ-

ერთი საფრანგეთის მეფე ლუი-ფილიპეს 1831 წელს მე-კმედ-ალიმ აჩუქა. დილოგიის I ნაწილი — პირველ პირში ნარააციით გამოხატავს ჩამოტანილი ობელისკის სევდას ეგვიპტისა და თავისი ლუქსორში დარჩენილი ძმის მიმართ, ხოლო II ნაწილი — ესაა ლუქსორის ობელისკი, რომელიც, პირიქით, ლუქსორის ობელისკის სევდას გამოხატავს პარიზის სისხლსავსე ცხოვრების მისამართით, ასევე პირველ პირში ნარააციით. გალაკტიონი „მინანქრებსა და კამეებს“, როგორც ჩანს, ძირითადად, ნ. გუმბლიოვის თარგამანში იცნობდა, ამიტომ ჩვენც სწორედ გოტიეს კრებულის რუსულ ენაზე ამ პირველ სრულ თარგმანს მივმართავთ:

„Разрозненному обелиску /
 На площади что за тоска... /
 ...Я вижу горожан, за плату /
 / Волнующихся полчаса... //
 Страна святых иероглифов,
 / где некогда и я стоял...(I),
 ... Дитя плакающего ока /
 белых отсветов песка... (II)“.

აქედან ცხადი ხდება, რომ გალაკტიონის ლექსის „თეთრი მხარე“ არის ეგვიპტე, ხოლო ობელისკის თლილი ტანი „ბნელ ქარაგმად“ იეროგლიფების გამო ეჩვენებათ მაგრამ, შესაძლოა, გოტიეს ინტერტექსტის ზემოქმედება მეორე სტროფზეც ვრცელდებოდეს: არ არის გამორიცხული, რომ ბარათაშვილისეული ყორნის ძერით ჩანაცვლება „ობელისკების ნოსტალგიის“ შემდეგმა პასაჟმა გამოიწვია: „Голодный коршун, запятая / В лазури, плачет, как дитя.“ მნიშვნელოვანია, რომ, განსხვავებით რუსული თარგმანის „коршун“-ისაგან, ორიგინა-



ლისეული l'épervier ქართულად ნიშნავს “შიშინოს” და არა “ქერას”.

საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გოტიე 1927 წლის კრებულის ერთ-ერთი თანამდევნი სახელია, მას ეძღვნება ლექსი — „გოტიეს“ („თქვენს შობლიურ საყანეს დაარქვით ჰიმოდანი...“). აღსანიშნავია კიდევ რამდენიმე შემთხვევა: „გოტიე! აი შენი ტომები“ („ვეფერა“ — „შეხედე! მშვიდი შენი ღობილი..“), „რემბოს ლექსებია ანდა გოტიესი..“ („კოსმიური ორკესტრი“), „რომ გაიღიმოს შემოდგომის მხემ, / მოასკდეს ნაპირს მძიმე ქაფები, / ამნაირ ღროში შეჰქმნა გოტიემ / უკვდავი ლალი და სადაფები“. („სული უსაბლო“), სადაც „ლალი და სადაფები“ სხვა არაფერია, თუ არა „მინანქრებისა და კამეების“ („Émaux et cummés“) არაზუსტი თარგმანი.

დაბოლოს, „დაგმობის“ მოტივი 1919 წლის კრებულთან გვაბრუნებს: „ხშირად ვიგონებ პარიზს, / ნახე იგი და დაგმე...“, საიდანაც შეიძლება დაეასკვნათ, რომ გალაკტიონისეული „დაგმობა“ როგორც 1919 წლის, ისე 1927 წლის კრებულებში პარიზის ქრონოტოპოსს მიეწერება, პირველ შემთხვევაში — უშუალოდ, ხოლო მეორეჯერ — მეტონიმურად (პარიზის ობელისკს).

4. გალაკტიონი და ბლოკი

დავიწყებთ ერთი კურიოზული ფაქტივ: გალაკტიონის თორმეტ-ტომეულის მე-7 ტომში „დაუმთავრებელი ლექსების“ რუბრიკით (ტაბიძე გ. 1966-75, ტ. 7 გვ. 151-152) დაბეჭდილია შემდეგი ტექსტი:

სახელწოდება პუშკინის სახლის
იქ, სადაც ბრწყინავს აკადემია,
ეს ცნობა, ეს ხმა და მოწოდება
გულისთვის განცდის ნაკადებია.

იგი რეჟაა ვინულთა დენის —
ღღესასწაულის მსგავს მდინარეზე,
გახმაურება, როს შორეულ გემს
ეძახის გემი უწინარესი.

ეს ძველის სფინქსის³ თვალი და ფიქრი,
იმღერევა ზვირთთა იღუმალ დენით,
ეს მხედარია, რომელიც მიჰქრის
და მიჰქრის მარად უძრავი ცხენით.

ეს ჩვენი მწარე არის ვნებები
იდუმალ ნაღის სწეულ ვნებაში,
ოდეს წყვედიად დღეს ვგებებოდით
ღამეთა თუთრთა ელგარებაში... და ა.შ.

ეს ტექსტი სხვა არაფერია, თუ არა ალექსანდრ ბლოკის ქრესტომა-
თიული ლექსის "Пушкинскому дому"-ს დაუმუშავებელი თარგმანი.
თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს ბლოკის შედევრის პირველი ხუთი
სტროფი:

Пушкинскому дому

Имя Пушкинского Дома
В Академии Наук!
Звук понятный и знакомый,
Не пустой для сердца звук!

Это - звоны ледохода
На торжественной реке,
Переключка парохода
С парходом вдалеке.

Это - древний Сфинкс, глядящий
Вслед медлительной волне,
Всадник бронзовый, летящий
На недвижимом скакуне.


Наши страстные печали
Над таинственной Невой,
Как мы черный день встречали
Белой ночью огневой.

Что за пламенные дали
Открывала нам река!
Но не эти дни мы звали,
А грядущие века.

ბლოკის მოცემულ ლექსსა და მის ამ თარგმანს ეხმაურება გალაკ-
ტიონის ერთი გვიანდელი ლექსი:



ალექსანდრ ბლოკი. ნახატი ტ. გიპიუსის



ლენინგრადში

ეს რამდენიმე დღეა
და რამდენიმე ღამე,
რაც გაოცებულ თვალებს
არ ეკარება რული,
ნჯა შუქების ტყეა,
სფინქსი — ცოცხალი რამე,
თუთრთა ღამეთა რკალებს
დღე ედარება სრული.

ვოველ ნაბიჯზე ვხვდები
აღფრთოვანებულ პუშკინს,
ის ნაპირებზე მიდის,
ახალ სახეებს ხედავს,
სუნთქვა მოიკის ტბების,
სუნთქვა ვოველი ბუნქის,
ატორტმანება ზიდის
სცდება ბრინჯაოს მხედარს.

იქ, იმ ბრინჯაოს გვერდით,
აკადემიის გულში,
ჩემი სადამო ჰქუხდა,
როგორც მღელავარე ჩანგი.
აკადემია მკერდით
ჩემს ჩანგს იცავდა გუშინ,
აღფრთოვანების დულდა
დაუვიწყარი ჰანგი.

მე დარდი მქონდა ერთის:
ჩვენთან არ იყო ერთი,
ის სნეულებათ ტყვეა,
რა არ უშხამავს წამებს!
შუე მოლანდებას ებრძვის
მუხის მფარავი მკერდი,
ეს რამდენიმე დღეა
და რამდენიმე ღამე.¹

ცხადია, რომ მოცემული ლექსის ინტერტექსტი არის *"Пушкинскому дому"*. საგულისხმოა, რომ ბლოკისეული გამოშვებობება პუშკინის სახლთან (ე.ი. ფაქტიურად კულტურასა და შემოქმედებასთან) „*ლენინგრადში*“ გარდაქმნილია გალაკტიონის შემოქმედებით სადამოდ „აკადემიის გულში“, რაც სხვა არაფერია, თუ არა პოეტის ტრიუმფის (დიდების) სოცრეალისტური ვარიანტი. „*ლენინგრადი*“-ს უკანასკნელი სტროფი („მე დარდი მქონდა ერთს...“ და ა.შ.), როგორც ამას ცხადყოფს ლექსის ავტოგრაფი, გულისხმობს ნიკო მარს („ჩვენთან არ იყო მარრი...“), რომელიც 1934 წელს გარდაიცვალა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „პოეტის დიდების“ ინვარიანტი ამგვარ სახეს იღებს: ძალაუფლების ლოკუსი სასახლე — მეცნიერებათა აკადემია ხდება, ხოლო „აღმოსავლურ“ ფონს პეტერბურგი (ნევა — მოიკა — სფინქსი — „ბრინჯაოს მხედარი“, ეს უკანასკნელი ძალაუფლების დისკურსსაც მიეკუთვნება) ენაცვლება. ნიკო მარი ახალი დროის „არისტოკრატიულ სახლად“ შეიძლება გავიაზროთ, ხოლო რუსთაველის როლს, რასაკვირველია, პუშკინი ასრულებს.

გალაკტიონის გვიანდელ პოეზიაში, სავარაუდოდ, კიდევ ერთი ინტერტექსტუალური რელაცია უნდა იყოს ბლოკთან: „მოკლე, შორი ხმა / ლოკომოტივის / გაიჭრა ღამის / სიწყვდიადემი. / შორს იწია — რა, / სოვრცეში ჩოვის / უცებ მომწყვდევს / უცნობ ბადემი.“ („*შორი ხმა ლოკომოტივის*“) — „Словно мы - в пространстве новом, / Словно - в новых временах. // ...Издали локомотива / Поступь тяжкая слышна...“ - „Милый брат завечерело...“

1927 წლის კრებულში ბლოკი რამოდენიმეჯერაა დასახელებული: „იმ მრისხანე წელს პოეტი-მეფე — / გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი..“ („*პროლოგი ასი ლექსის*“), „თოვლიანი ამიდები. / ქიმერები ნევასთან. / უდაბური პეტერბურგი; / სმოლნი. / „თორმეტნი“ — ალექსანდრ ბლოკის, / „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ — ჩემი..“ („*ჯონ რიდი*“). ამავე კრებულში ბლოკის გარდაცვალებას ეძღვნება „*აღარ არის მენესტრელი*“, რომელსაც თავდაპირველად „*ალექსანდრ ბლოკი*“ ეწოდებოდა. თავი რომ დაეანებოთ „უნაზეს დამასა“ და „მენესტრელს“ („*აღარ არის მენესტრელი / უნაზესი დამისა*“), რომლებიც, შესაბამისად, გულისხმობს ბლოკის პირველ კრებულს — *"Стихи о прекрасной даме"* (1905წ.) და დრამატულ ნაწარმოებს *"Роза и крест"* (1913წ.) — ამ ლექსის ფინალური ორი ტაეპი („ყოველივე იგი ისევ / ისე განმეორდება“) გვაგზავნის ბლოკის მინიმუმ ორ ქრესტომათიულ ლექსთან: „Умрешь - начнешь опять сначала / И повторится все как встарь...“ - Ночь, улица, фонарь, аптека...“ და „...Так нам заранее известно, / Что все мы рабски повторим. - "Кольцо существований тесно“.

1927 წლის კრებულში ბლოკს კიდევ ერთი ლექსი ეძღვნება (ოღონდ დასახელების გარეშე) — „*რუს პოეტს*“. ამ ლექსშიც საკვებით ნათლად იკითხება ბლოკის პოეზიის ინტერტექსტუალური კვალი: “ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი“ გვაგზავნის ბლოკის „*კლეოპატრასთან*“: „...будем оба / В веках равны перед судьбой?“. ბლოკის იგივე ლექსი გალაკტიონის კიდევ ერთ ტექსტში აისახა: “ორხიდეები ეცემა ნილოსს,... / ის იყო მეფე. ახლაა მტკვერი, რომ საუკუნეთ რიგი გარიყოს,...” („*სასაფლაონი*“) — “Кадите мне. Цветы рассыпьте. / Я в незапамятных веках / была царицею в Египте. Теперь - я воск. Я тлен. Я прах.” „*კლეოპატრა*“ იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ აქ აქტუალიზებულია *მეფისა* და *პოეტის* ხატი, რომლის რელევანტურობაზე გალაკტიონის პოეზიასთან მიმართებაში, ჩვენი აზრით, ზედმეტია ლაპარაკი: “А ныне суждено судьбою / Мне быть поэтом и царем”.

კიდევ რამდენიმე მაგალითი 1927 წლის კრებულიდან: “და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია, / მე ტფილისი ავირჩიე ბებერი” („*დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია...*“) — “Да. Ты - родная Галилея / Мне - невоскрешему Христу” - “Ты отошла, и я в пустыне”, “მაგრამ ის მიდის დამშვიდებული, / როგორც პოეტი და გეომეტრი.” („*ეს იყო ძველი, ნაცნობი აზრი*“) — “Нет, с постоянством геометра / я число...” — “На островах”. საყურადღებოა ისიც, რომ *ინტეგრალი* — გალაკტიონის ერთ-ერთი ცენტრალური “საფირმო” კონცეპტუალური ხატი — ასევე ბლოკთან გვაგზავნის: “...где дышит интеграл / монгольской дикою ордою” - (“*Скифы*”).

5. გალაკტიონი და ბრიუსოვი

კიდევ ერთი ამავე ტიპის კურიოზი გვხვდება გალაკტიონის I ტომში (გვ. 483-484), სადაც ლექსის სათაურით „*ახსნა*“ D ვარიანტი (სახელწოდებით „*შენს მარტოობას ვერვინ გაიგებს*“) სინამდვილეში ვაღერი ბრიუსოვის ქრესტომათიული ლექსის „*Демон самоубийства*“-ს დაუმთავრებელ თარგმანს წარმოადგენს:

შენს მარტოობას ვერვინ გაიგებს


ღიმილით ნაზით და უცნაურით
შავი თვალების ღრმა სიბნელეთი,
მან ახალგაზრდამ, ხშირად ტრაურით,
დაიმორჩილა მთელი ხმელეთი.

ღამის კაფეში, სადაც შუქია
ელექტრონების და საფელოთა,
ქაჯის ლოლიკით მას შეუქია
სიკვდილი, ვისაც ვველა ელოდა.

მარტოობის ჟამს, თქვენ გაიხსენეთ —
მწარე სიზმრებსა და ოთახს იქით,
ვისი ღემონი, ვერ აგიხსნიათ,
საწამლავს გაწვდის ელვარე ტიქით

ვრუ საათს, როგორც ათასი ბზიკი,
ფიქრნი შეცდომებს იგრძნობენ ნანას.
მაშინ შეცდომებს გიმტკიცებს იგი
და ხელში გაძლევს სისხლიან დანას.

იგი ხიღბეა, სადაც წვედიადებს
წყალნი შთაინთქავს მგებსლი გველები,
ფიქრებს აღვივებს და აზვიადებს
სვედის და შუქის საბერველებით.



ვალერი ბრიუსოვი. ნახატი მ. ვრუბელის

ტყეში სადაც ჩვენ გვახარებს ნამი
და ქარი არხვეს ბალახს და სვიას
ის, რეკოლვერში, აწეობს ექვს ტყვიას,
რადგან სამისო დაუდგა წამი.

მან მგობრობა რა არის იცის,
და მონოლოგი დანიის პრინცის.

ახლა მოგვყავს თავად ბრიუსოვის ლექსი, რომელსაც წინ უძღვის
ეპიგრაფი ტიუტჩევის ქრესტომათიული ლექსიდან:

Демон самоубийства

*И кто, в избытке ощущений,
Когда кипит и стынет кровь,
Не ведал ваших искушений,
Сомоубийство и любовь!*

*Своей улыбкой, странно-длительной,
Глубокой тенью черных глаз
Он часто, юноша пленительный,
Обворожает, скорбных, нас.*

Он на мосту, где воды сонные
Бьют утомленно о быки,
Вздувает мысли потаенные
Мегами злобы и тоски.

*В ночном кафе, где электрический
Свет обличает и томит,
Он речью, дьявольски-логической,
Вскрывает в жизни нашей стыд.*

В лесу, когда мы пьяны шорохом
Листвы и запахом полян,
Шесть тонких гильз с бездымным порохом
Кладет он, молча, в барабан

*Он вечер одинокий - вспомните, -
Когда глухие сны томят,
Как врач искусный в нашей комнате,
Нам подает в стакане яд.*

Он верный друг, он - принца датского
Твердит бессмертный монолог,
С упорностью участия братского,
Спокойно-нежен, тих и строг.

*Он в темный час, когда, как оводы,
Жужжат мечты про боль и ложь,
Нам шепчет роковые доводы
И в руку всовывает нож.*

В его улыбке, странно-длительной,
В глубокой тени черных глаз
Есть омут тайны соблазнительной,
Властительно влекущей нас...

1927 წლის კრებულში ორი ლექსია, რომლითაც გალაკტიონი ბრიუსოვის გარდაცვალებას გამოეხმაურა: „შავი სვეტები“ და „უკანასკნელი დეკემბერი“. ამჟამად კრებულშია მოთავსებული ლექსი „ვილანელი“, რომელიც როგორც თემატურ-მოტივურად, ისე სათაურით და სტრო-

კონტრაქტი

ფიკით აშკარა ინტერტექსტუალურ კავშირშია ბრიუსოვის ამავე სახელწოდების ლექსთან.

შენიშვნები:

¹ „ლურჯა ცხენების“ ერთ-ერთ ძირითად ინტერტექსტსაც, როგორც ცნობილია, სწორედ ძირბის, მიმაფრენს („მერანი“) წარმოადგენს. მაგრამ „ლურჯა ცხენებში“ თავიდანვე „წაშლილია“ განსხვავება წინაპართა საფლავებსა და უცხო სამარეს შორის. „ბელის სამძღვრის“ ერთჯერადი გადაღახვა — ტრანს-გრესიული აქტი — შეცვლილია ლურჯა ცხენების უსასრულო და განმეორებადი ტრიალით, ხოლო უნიკალური მერანი — მრავლობითი ცხენებით.

² აქვე გეინდა აღვნიშნოთ, რომ ყორნის გადაფრენა გრძელდება 1927 წლის კრებულის ქრესტომათიულ ლექსში „თეორი კელიკანი“ („გადაფრენას ეს ყორანი / მადათოუზე აპირებს..“).

³ ჩვენი გასწორებაა: მე-7 ტომის გამომცემლებს „სფინქსის“ ნაცვლად აქვთ „მიპქრის“ [ტაბიძე გ. 1966-75, ტ.7, გვ.151].

⁴ არც ბლოკის გალაკტიონისეული თარგმანი და არც „ლენინგრადში“ ავტორის სიცოცხლეში არ გამოცემულა. თორმეტტომეულის გამომცემელთა მიერ „ლენინგრადის“ დათარიღება 1934 წლით ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ ეს ლექსი პროსოდიით, რითმებითა და ხატწერითაც კი იმეორებს 1927 წლის კრებულის ერთ-ერთ ლექსს „მერის თეალებით“.



ლევან ბრეგაძე

პოსტსკრიპტუმი წერილისათვის „გალაკტიონის პოსტმოდერნი“

„გალაკტიონოლოგიის“ პირველ წიგნში დაბეჭდილ სტატიაში „გალაკტიონის პოსტმოდერნი“ საუბარი გექონდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე „სადაც კი...“, რომელიც უცნაური მანერით არის შესრულებული: პოეტს თავიდან ბოლომდე უთარგმნია („გადაუწერია“) იოჰან ვოლფგანგ გოეთეს კარგად ცნობილი „მინიონი“, დაურთავს მისთვის ერთსტროფიანი შესავალი, სადაც აცხადებს: „თუ მომეძალა მწუხარება - გიოტეს გავშლი, იქ მშვენიერი ერთი ლექსი ასე იწყება“, მიუცია მისთვის ახალი სათაური და თავისი ორიგინალური ლექსების კრებულში შეუტანია. ისიც აღვნიშნეთ, რომ სხვისი ტექსტის ციტირების იმ დროისათვის ესოდენ უცნაური ხერხი („როგორც კი...“ 1935 წელს დაიწერა და 1948 წელს გამოქვეყნდა) ჩვენს დროში საკმაოდ ხშირად გამოიყენება პოსტმოდერნისტული მანერით მომუშავე მწერლების მიერ.

ყოველივე ამის გამო სტატიის შესავალში ეწერდით: „გალაკტიონის შემოქმედებაში, თქვენ წარმოიდგინეთ, მინიმუმ ერთი ნამდვილი პოსტმოდერნისტული ტექსტის აღმოჩენაც შეიძლება“.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზუსტად ამ მანერით შესრულებული ლექსი გალაკტიონს სხვაც კქონდა, ოღონდ ის მხოლოდ პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა თორმეტტომეულის მე-7 ტომში - ამ ლექსით მთავრდება ტომის ის განყოფილება, რომლის სახელწოდებაც „პოეტის არქივიდან“.

აქ უკვე ვიქტორ პოუგოს ლექსი „გადაუწერია“ გალაკტიონს, რის შესახებაც იგი მცირე ესეისტურ ექსპოზიციამივე მოგვახსენებს:

ის პიუგო, რომელიც პარიზს გულით ატარებს,
ასე ამბობს, როდესაც სულს ჭაობებს ადარებს:

„სული მრავალ ჩვენგანის ტბაა მთაში ჩასმული,

გამჭვირვალე სარკეა შუქით შემორაზული.

იგი ოღნაე ქანაობს იმ შემთხვევით, ქართია,

უსულგულო ცხოვრების ღელევას რომ აგვარიდა.



კონტრასტი

მასში ტყე ჩამარხულა, მშვენიერი ჩრდილებით,
ზეცა ფერად-ფერადი ღრუბლის აყვავილებით;
სიღრმეში კი არც მზეა, არც ღრუბელი მავალი,
იქ ირეუა ათასი შავი ქვეწარმავალი“.

დაწერის თარიღად ამ ლექსსაც 1935 წელი უზის.

ეს უსათაურო ლექსი ვიქტორ ჰიუგოს 1835 წელს შეუქმნია და შეუტანია 1840 წელს გამოცემულ წიგნში „სინათლის სხივები და ჩრდილები“ („Les Rayons et les Ombres“). მისი პწყარდული თარგმანი ასეთი გახლავთ:

„როგორც ტყეებქვეშ ჩაძინებულ ტბებში,
(ისე) ზოგიერთ სულში ორ რამეს ვხედავთ ერთდროულად:
ზეცას, რომელიც ოდნავ მთრთოლავ წყალს აფერადებს
ყველა თავისი სხივით და ყველა თავისი ღრუბლით,
და შლამს, - პირქუშ ფსკერს, საშინელს, ბნელსა და მთვლემარეს,
სადაც შავი ქვეწარმავლები ფუთფუთებენ ბუნდოვნად“.

დედანი ექვსი სტრიქონისგან შედგება, გალაკტიონის თარგმანი ორი სტრიქონით მეტია.

როგორც უკვე ვთქვით, ორივე ეს ლექსი 1935 წლითაა დათარიღებული; ერთი მათგანი პოეტის სიცოცხლეში გამოქვეყნდა, მეორე პოეტის არქივს შემორჩა, თითქოსდა იმის დასტურად, რომ დიდი ნოვატორის მიერ ლექსის შექმნის ამ ტექნიკური ხერხის - იმ დროისათვის მეტად უცნაურისა და მოულოდნელის - გამოყენება შემთხვევითობა არ ყოფილა.

P.P.S. მასალა ამ პოსტსკრიპტუმისთვისაც თეიმურაზ დოიაშვილმა მომწოდა.



კონსტანტინე კაპანელის სახელი კარგადაა ცნობილი ქართული ლიტერატურის შექმნევეართათვის. მან განვლო სწავლისა და შრომის საინტერესო გზა ფოთის გიმნაზიდან ნანსისა და გრენობლის უნივერსიტეტამდე.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგა იგი აქტიურ მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო სკოლის დირექტორი და მასწავლებელი, კითხულობდა ლექციებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში - უნივერსიტეტში, კონსერვატორიასა და სამხატვრო აკადემიაში.

კ. კაპანელი 1910 წლიდან თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. 1917 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი „ტანჯვა და შემოქმედება“. 1923 წელს - „სული და იდეა“, 1924 წელს - „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“, 1925 წელს - „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“, 1928 წელს - „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“.

40-50-იან წლებში შექმნა ორი დიდი და სერიოზული ნაშრომი: „სახეები და იდეები უცხოურ ლიტერატურაში“ და „ესთეტიკური გრძნობის გენეზისი“. დარჩა კიდევ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი, აწ მივიწყებული ლექსების პატარა კრებული, სიმანწვილეში დაწერილი და დაბეჭდილი.

კონსტანტინე კაპანელი აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელ ლიტერატურულ ბრძოლებში, იყო გაერთიანება „არიფიონის“ წევრი და ერთ-ერთი ლიდერი. „არიფიონში“ გაერთიანებული იყვნენ: მიხეილ ჯაეახიშვილი, ლეო ქიაიელი, შალვა დადიანი, გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე კაპანელი, გალაკტიონ ტაბიძე, ილო მოსაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, დავით სულიაშვილი, ეასო გორგაძე, ლევან მეტრეველი, პეტრე ჭავთარაძე, იოსებ ტატიშვილი. ამ ჯგუფის ფაქტიური შემქმნელი იყო მიხეილ ჯაეახიშვილი.

გალაკტიონ ტაბიძე აკვირდებოდა „არიფიონის“ შიგნით მიმდინარე პროცესებს. თავის ჩანაწერებში იგი არწევს ჯაეახიშვილის, ქიქოძისა და კაპანელის პოზიციას. „ფაქტიურად ჯაეახიშვილის შექმნილია არიფიონი, - წერს გალაკტიონი, - მაგრამ არასდროს არ გამოდის, როგორც ლიდერი. იგი ეფარება ჯგუფს და ამით თავს იცავს თავდასხმებისგან“.

„არის რაღაც იდეალური ბრძოლა ქიქოძესა და კაპანელს შორის. ერთი წარმომადგენელია სკესისის, მეორე ორგანოტროპიზმის, მაგრამ აქ უნდა იყოს აგრეთვე ბრძოლა პირველი იდეოლოგიის ადგილის მოპოვებისათვის“. შემდეგ, ანალიზებს რა ქიქოძის ღვაწლს „არიფიონში“, გადადის კაპანელის დახასიათებაზე.

„ორგანოტროპიზმი მისი დასაყრდენია. ამ იარაღით სურს მას დაიპყროს „არიფიონის“ ლიდერის პოსტი. ასე გამოდის იგი წიგნებითა და მწერალთა კავშირის კრებებზე. მას სკონია, რომ ეს ორგანოტროპიზმი ორიგინალურზე უორიგინალესი თეორიაა. უნდა „არიფიონში“ გაამეფოს ორგანოტროპიზმის იდეა და შესაძლებელია წინააღმდეგე ქიქოძის სკესისიზისა, „არიფიონი“ დაადგეს უმთავრესად სწორედ ამ გზას და მიუმატოს ქიქოძის სკესისიზი, როგორც შემადგენელი ნაწილი ორგანოტროპიზმისა“.

გალაკტიონის მე-12 ტომში დაბეჭდილია პოეტის წერილი მწერალთა კავშირ-

ის მაშინდელი პირველი მდივნის სერგი ჭილაიასადმი:

„ამხანაგო სერგი!“

ჩემი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის 45 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე თქვენთან მოჰქონდათ სხვადასხვა ლიტერატურული მასალები. თქვენ გადმოგეცათ აგრეთვე მონოგრაფია განსვენებული კონსტანტინე კაპანელისა ჩემს შესახებ. სად არის ეს მონოგრაფია?“

მინდა ახლა აღსრულდეს ამ ორი შემოქმედის სურვილი და მკითხველებს მივაწოდო კონსტანტინე კაპანელის გალაკტიონზე დაწერილი მონოგრაფიის შემოკლებული ვარიანტი.

აპოლონ ჟორდანია

კონსტანტინე კაპანელი

ქართული თანამედროვე ლიტერატურის მაგისტრალი გალაკტიონ ტაბიძის პოეზია

მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა შეიცავს: რევოლუციამდელ და საბჭოთა პერიოდს, რომელსაც წინა პერიოდისაგან განსხვავებული თავისი ისტორიული რადიუსი აქვს. ქართული მწერლობა ამ ორ პერიოდში ძალიან სხვადასხვაობს, ხშირად თვით ერსი და იმავე მწერლის შემოქმედებაშიც, რადგან ორივე პერიოდს აქვს სხვადასხვა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურულ-იდეოლოგიური გარემოცვა.

ტაბიძეს ერთი წუთითაც არ უფიქრია არეის მიბაძვა და პოეტური ხერხებისა და თქმების გადმოღება. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი გზა არის დამოუკიდებელი, ორიგინალური. იგი გაგრძელებას ქართული კლასიკური ლიტერატურის მაგისტრალის.

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა მოძრაობის და დინამიკის პოეზიაა: „მე ვდგევარ მთაზე, მე ვდგევარ მარტო,

დამთვრალი ახალ სანახავითა, რითი გაგართო, როგორ გაგართო: ჩემო იარაღი, ის ღრო წავიდა!“

რაკი იცვლება ქვეყანა, იცვლება ადამიანიც. პოეტურ წარმოსახვაში აზოგადებს რა კაცობრიობის ისტორიას, თავისი ეპოქის და გარემოცვის პირობებში, გალაკტიონ ტაბიძე იძლევა ქართულ დაუეიწყარ მხატვრულ გაფორმებას კაცობრიობის ისტორიისა და თავისი ხალხის — ქართველი ერის სინამდვილისა, რომლის ზედაპირზე ელვარებენ მომავლის პოეტური იდეალები. ტაბიძის „ლურჯა ცხენები“ სიმბოლური პოეტური წარმოსახვაა, უაღრესად ორიგინალური, მხატვრული თქმებით მოელვარე, მდიდარ მუსიკალურ ამპლიტუდებში ჩასმული სახეებითა და თქმებით. პოეტის თვალები ზედავენ და სული გრძნობს, რომ „უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!“ კმაყოფილი, გვესაუბრება იმედითა და ხალისით: „ინქარიან წამები,



მარჯენიდან მეორე — კონსტანტინე კაპანელი

მე კი არ მენანება, ცრემლით არ ინამება სამუდამო ბაღში“.

ღრო გადის, წამები იჩქარიან, ყველაფერი იცვლება. პოეტი ხშირად იგონებს ქარს, მას უყვარს ქარის სიჩქარე, მოძრაობა, ძალა, ქარი არხვეს იტალიანურ შობის ხეს ტრიპოლისში; ქარი ამწევია ფარდის, ამამოძრავებელი დემონების — რღვევის ძალების, რომელთაც მიმართავს მწერალი, რომ დახურონ „ყველა წიგნები“, სადაც ხსენდება ნანგრევების, წარსულის და ასწიონ ფარდა მზის დამფარავი. აქ ისე, როგორც ლექსში „მთაწმინდის მთვარე“, ტაბიძე იძლევა პოეტური განცდების ინტერპრეტაციას; ჩვენ გვესმის შეკუმშულ მხატვრულ თქმაში მოცემული სიტყვების ისტორიული მნიშვნელობა „ლურჯა ცხენებიდან“: „უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება. მხოლოდ ნისლის თარეში, სამუდამო მხარეში, ზევით თუ

სამარეში, წყველით შენაჩვენები, როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბუდის ტრიალი, ჩქარი გრგვინვა-გრაილით ქრიან ლურჯა ცხენები!“

გალაკტიონ ტაბიძის ზოგიერთ ლექსში განსაკუთრებით ძლიერია მელოდიური საწყისი. იგი მელოდიის გრძნეული ხელოვანია; ვერლენისებური მუსიკით ფლერს მისი მრავალი შედევრი. პოეტურ მელოდიას ბევრი რამ აქვს საერთო მუსიკალურ მელოდიასთან; მელოდია, როგორც საწყისი და ელემენტი მუსიკისა და პოეზიის, ყოველთვის სასიმღერო-ემოციურ სინაზითაა გამოსახული.

გალაკტიონის ლექსი „მთაწმინდის მთვარე“ გაგრძელებაა კლასიკოსების მელოდიური საწყისებისა. მას აქვს მჩქეფარე, სულიერა აღუღებების, ატალღების რიტმიკა. ძვერა, ორატორული პათოსით თქმული განწყობილება „ლურჯა ცხენებში“. სულ სხვა

პოეტური განწყობილება და მხატვრული თქმა მოცემული „მთაწმინდის მთვარეში“. როგორც ვნებათ, ისეთი მიმართულება და სტილი გამოიყვანეთ ამ ლექსიდან — რომანტიკული, რეალისტური, თქვენი ნებაა, მაგრამ ვისაც პოეზია უყვარს, ვისაც მოთხოვნილება აქვს გამოსახოს მისი სულის სედა და ჩუმი ქეითინი ქვეყნად გაუნადღებელი სურვილებისა, ის გალაკტიონ ტაბიძის სულის სინაზში ამ ლექსის სახით იგრძნობს ნუგეშს და პატივისცემით მოიგონებს მის ავტორს. გალაკტიონი ჭეშმარიტად მომხიბლავია თავის მელოდორინტონაციური გულწრფელობით და სინაზით, რომელიც როგორც ყველა დიდი მწერალი, რომელმაც ჩაიხედა რა ადამიანის სულის სიღრმეში, ხედავს საკაცობრიო განცდების იდეალებს. რაც უნდა სევდიანი იყოს ტაბიძის ლექსები, მათში იმდენი პოტენციაა, რომ გვერად ქვეყნად ადამიანის სულის ძალა და გამარჯვება.

ასეთივე პოეტური კონცეპცია გვაქვს, როდესაც მწერალი აცხადებს: „ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა, თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქანები“, — აქ სიტყვა — „იალქანები“ ისეთივე მნიშვნელობით არის ნათქვამი, როგორც „ლურჯა ცხენები“. იალქანები და ცხენები პოეტური მეტაფორებია ოცნებაში გადაწოლილი სულისა. სინამდვილეს არ შეუძლია დააკმაყოფილოს პოეტური სულის მოთხოვნილება, რადგან იგი ალქატია და ღარიბი.


ტაბიძემ გამოსახა თავისი სულიერი ღრამა და უკმაყოფილება, თქვა

რაც სათქმელი იყო, რაც აწუხებდა. პოეტი ფიქრობს სინამდვილიდან გაქცევას, ისე, როგორც მისი წინაპარი — ნიკო ბარათაშვილი, რათა მღელვარე და აჯანყებული სული ოცნებაში დაიმშვიდოს. როდესაც ადამიანის სული ცხოვრებით უკმაყოფილოა, როდესაც გარემოცვა სულის შემხუთველია, როდესაც სინამდვილეს არ შეუძლია სურვილების განაღდება, ერთადერთი საშუალებაა დაუკმაყოფილებელი სურვილების ოცნებაში გადასვლა. სინამდვილით უკმაყოფილება ყველა ეპოქაში ნიშნავს სინამდვილის ღრმად ცოდნასა და განცდას. პოეტი ვერ ეგუება მატერიალურ და მორალურ დაცემას, ადამიანების ღირსების დაკარგვას, იდეალების უქონლობას და სულიერ სიღატაკეს. გალაკტიონ ტაბიძე, როგორც მაგარი ფესვიანი მუხა სდგას რუსთაველის, ნიკო ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა ფშაველას მდიდარ მხატვრულ-ისტორიულ ტრადიციაზე, და, როდესაც მის გარშემო ისმის შრიალი დეკადანტური, ის ღრმად აკვირდება მშობლიურ მხარეს, მის სოციალურ და ეროვნულ ტკივილებს, არც ერთი მომენტი ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებისა ტაბიძეს არ გამოპარვია.

ხშირად უთქვამთ — გალაკტიონ ტაბიძის პოეზია სევდიანი მოტივების შემცველიაო, მაგრამ განა ეს ნაკლად ჩაეთვლება გალაკტიონს? — როდესაც ქვეყანა განიცდის მძიმე ტკივილებს, ვინც ადამიანია და ვისაც ვაჟაკობა ერჩის, ასეთ მომენტებში ბრაზით, წყრომით და სევდით აღივსება. პოეტმა არ მიიღო მექრთამე ჩინოვნიკების,

ჯაშუშების და ადამიანის ღირსების
დამცირების ქვეყანა. მისი სულიერი
ღრამა, მწუხარება და სევდა ღირსეული
და პატიოსანი კაცის პასუხი იყო.
როდესაც ისტორიამ გადალიანდაგება

ისტორიის ხვეულებს, ისტორიისა და
ქვეყნის მშენებლობის რიტმი ისმის
გალაკტიონ ტაბიძის პოემაში „ეპოქა“.
ტაბიძის პოეზიაში პოლიფონიურად
ჟღერს საქართველოს ყველა კუთხე.



დაიწყო, გამოცოცხლდა გალაკტიონ
ტაბიძის პოეტური მუზა. პოეტმა
იგრძნო, რომ საჭიროა არა სინამდე-
ვილიდან გაქცევა, არამედ თვით სინამ-
დვილეში მოქცევა. პოეტი მიჰყვება

გალაკტიონ ტაბიძეს სხვა მოწინ-
ავე პოეტებთან ერთად ქართული ლი-
რიკის მაგისტრალი მიჰყავს ისტორი-
ული სიმართლით. მომავალ თაობათა
გაგებასა და განცდაში ადვილად გა-

დავა გალაკტიონ ტაბიძის მხატვრული თქმები, სახეები, აზრები და განცდები. გალაკტიონ ტაბიძე საუკეთესო მთქმელი და გამომსახველია ქართველი ხალხის სულიერ-მორალურ განწყობილების.

მის პოეზიაში უღერს ქართული სულის თავისებურება; ქართველი ხალხი ოპტიმიზმით და იმედებით სავსეა ყოველთვის, მრავალმა ისტორიულმა უბედურებამ ზიანი ვერ მიაყენა ქართველის სულს. მიუხედავად ზოგიერთი სევდიანი ადგილისა, რუსთაველის პოემა უაღრესად ოპტიმიზტურია. იშვიათად შეგხვდებათ მსოფლიო ლიტერატურაში პოეტური ქმნილება ისეთი მხიარული დასასრულით, როგორც „ვეფხისტყაოსანი“.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მესაფლავე“ ჭეშმარიტად მთელი პოემაა, ასეთი ხასიათის ნაწარმოებს ფრანგები პოემას ეძახიან. აქ ფარულად არის სიუჟეტიც, გმირებიც, მასსაც — ყველაფერი, რაც ესაჭიროება ცნებას — „პოემა“; დასაწყისში ლაპარაკია ავტორსა და მესაფლავეს შორის. როდესაც ადამიანი კვდება, მას მაშინათვე იციწყებენ, — ამბობს მესაფლავე რომელსაც ვერ წარმოუდგენია ქვეყნად გლოვა და ხანგრძლივი მწუხარება. ავტორი ამ აზრის წინააღმდეგია: მისი აზრით, ნათესაეები და მახლობლები დიდხანს არიან გლოვასა და მწუხარებაში, მიცვალებულის გასვენების შემდეგ — სასაფლაოზე დადის ვიღაც ქერი იგი და ცხარე ცრემლებით სტირის. იქვე მესაფლავე აღებს გალაკტის კარებს, ახალგაზრდა ეაჭო ასაფლავეებს თავის სატრფოს. თან კუბოს არ შორდება: დიდი მწუხარება და გლოვაა ქვეყნად, — ფიქრობს ავტორი, მაგრ-

ამ სინამდვილე სხვას ამბობს: ქერი იგი ქალი და ეაჭო ერთმანეთს ეცნობიან და უახლოვდებიან — ყველაფერი თავდება ერთმანეთის შეყვარებით; სიცოცხლის წყურვილი უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილი და მწუხარება; პოეტი იღებს ცხოვრებას მისი მწარე და ტკბილი წუთებით. პოეტი ოცნებათა სამყაროდან ეშვება სინამდვილეში, სადაც შრომის დაორგანიზებული არმიები ჰქმნიან ცხოვრებას — მის ლამაზ სოფლებსა და ქალაქებს. სული ივიწყებს ამაოებასა და სევდას. აქ სილაამაზე და სიცოცხლეა, გამარჯვება და იმედებია.

გალაკტიონმა საქართველოში პირველმა შესცვალა ლირიკის საგანი და შინაარსი. გალაკტიონის ლირიკაში შემოიჭრა ადამიანები, რომელნიც მართავენ მანქანებს და ებრძვიან ბუნებას. ტაბიძემ იცის ნაზი გრძნობის მელოდია, სიყვარულით და ქლით გატაცების ტკბილი წუთები, ღამისა და ქარის პოეტური სურათები, მთვარის სხივების მკრთალი გამოხედვა. გალაკტიონი მუდამ ფხიზელი და ყურადღებიანია ისტორიული მოვლენებისადმი. მან არ იცის ჩუმი განაპირება და განდგომა: სინამდვილიდან მის რომანტიკულ გაქცევაში იმდენივე რეალიზმია, რამდენიც მის სინამდვილისაკენ მობრუნებაში.

ძირითადი და წამყვანი იდეური ძაფი ტაბიძის პოეზიაში ცხოვრების მიღება-არმილების საკითხია. პოეტი დგას ისტორიის გაშლილ გზაზე. იგი მოწმეა ისტორიული ეტაპებისა და ხვეულების, რომელსაც განიცდის როგორც პოეტი და მოქალაქე.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსის მე-

ლოდიკა მთელი თავისი შინაგანი წყობით ადასტურებს, რომ ლექსის მელოდიკა შედეგია ისტორიულ-სიტუაციური თავისებურების, რომლის გარემოცვაში ორგანიზებულია პოეტის განწყობილება, მისი მხატვრული განცდა.

გალაკტიონის ლექსთა წყობის მელოდიკა გამოწვეულია ეპოქის ისტორიული თავისებურებით, რომელსაც მან ისე ღრმა განცდებით უპასუხა, როგორც პასუხობდა თავის ღროს ყველა დიდი პოეტი. მხატვრულ და მეცნიერულ-ფილოსოფიურ შემოქმედებაში იდეათა და სახეთა უკან ყოველთვის დგას სინამდვილის განცდა, სადაც პოეტურ თქმასა და განსახებას კარნახობს საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელშიაც ტრიალებს პოეტის სული და რომლის ზედაპირზეც ხდება პოეტური სულის კადანსირება, იშლება სულიერი მოდულაციები, რასაც ლიტერატურათმცოდნეები მელოდიას ეძახიან. საინტერესოა გალაკტიონის თქმა: „მე ქარში ვიყავ, როცა პოეტებს, თქვენთვის საყვარელ ბულბულ-მდელოში ტკბილად გეძინათ საქართველოში“.

„უცებ მაღალი ცეცხლი ავარდა და ბნელი ცისკენ გაინაწარდა. ცეცხლი ძლიერი დიდხანს ვინახე, როს იმედები

სხვა დავინახე“.

პოეტი განიცდის ისტორიის ქარიშხლიან ცვლილებებს; იგი თავს გრძობს „მოქმედებათა ქარიშხალში, არსებობის ტალღებში“. ბუნებრივია, რომ ტაბიძის სულის ღელვაში ცეცხლის ალები, მათი შეგრძნობები მწვავე და მტკივნეული განცდების მოდულაციებით თავდება, მით უფრო, რომ გალაკტიონი თავისი შეგნებით და განწყობილებით სდგას რუსთაველისა და ბარათაშვილის ლიტერატურული მაგისტრალის ტრადიციაზე და მის პოეტურ შეგრძნობაში ისმის ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი ღელვა. ქართული ლირიკის მელოდიურ მომენტებს აქვს ღრმად გადგმული ფესვები ქართველი ერის სოციალურ ფსიქოლოგიაში, კულტურის ვითარებაში, საქართველოს ისტორიული გზების ჩაწევასა და ამოწევაში.

მელოდიური მოდულაციების ორიგინალური თავისებურება ახასიათებს დიდ ქართველ პოეტებს. ეს თავისებურება იგრძნობოდა, როდესაც ქართული ლიტერატურის მაგისტრალზე იდგნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და მელოდიური მოდულაციების ეს თავისებურებანი გვესმის დღესაც, როცა ლირიკის მაგისტრალზე დგას გალაკტიონი.



მუსიკა, კრიტიკა და სივრცე

ზიძინა კვერნაძე

„ქარი ღაცხრა სიბობოქრის“

Handwritten notes above the score:

„... (სა...) ...“ *კრიტიკა*

Handwritten signature/initials

Andante

უკვირდები გალაკტიონის თითოეულ ლექსს და რაც უფრო გულის-
 ყურით ვუსმენ. მეტი გაცემა მიპყრობს: ნუთუ სიტყვიერ ხელოვნებას
 მართლა შეუძლია, გადაურჩინოს მუსიკას ამდენი მელოდია, ამდენი ინტონა-
 ცია...

მეტიც — აღმოაჩინოს სრულიად ახალი მიმობერანი, მუსიკალური
 ნაწარმოებების შესაქმნელად რომ შთაგავიწვიოს.

Receptio

პინც ფენრიხი

გალაკტიონ ტაბიძე

ახალი ცხოვრების სულიერი ფორმირების საქმეში ქართულ ლიტერატურას იმთავითვე დიდი წვლილი მიუძღვოდა. ლირიკა არა მხოლოდ ახალ გზებს კვალავდა, არამედ რევოლუციური იდეალებისა და საზოგადოებრივი ძვრების საუკეთესო ანარეკლსაც წარმოადგენს. გალაკტიონ ტაბიძის ლირიკულ ნაწარმოებებში აისახება როგორც ქართველი ერის ბობოქარი განვითარების გზა კოლონიური ჩაგვრიდან მოკიდებული ნოე ჟორდანიას რესპუბლიკის გაფლეთ სოციალისტური საზოგადოების დაფუძნებამდე, აგრეთვე პოეტური ხელოვნების მაღალი საფეხური, რომელზედაც ქართული ლიტერატურა ავიდა. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ქართულმა ლირიკამ თავისი განვითარების მწვერვალს მიადგინა. ამ მწვერვალზე ასვლა რომ ამგვარი ეპოქალური ცვლილებების პერიოდში მოხდა, წარმოაჩენს იმ შესაძლებლობებს, რასაც დღევანდელი ქართული ლიტერატურა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისკენ მიმავალ ახალ გზათა გახსნის წყალობით ფლობს. რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას დარად გ.ტაბიძემ სიტყვას ახალი მხატვრული გამომსახველობა შესძინა. მისი პოეზია ახალი. შემოქმედებითად გადამუშავებული, მნიშვნელოვანწილად აბსტრაქციონული და ამჟღავნებელი ინდივიდუალური შინაარსობრივი და

ფორმალური ფასეულობებით გამოირჩევა. მისი ლირიკა დღევანდელ ქართულ ლიტერატურას გიგანტურ მთასავე დააყურებს, რომელსაც თანამედროვე პოეტები ასცქერიან, რათა მას დაეტოლონ და მასთან ერთად გაიზარდონ.


გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც 1891 წლის 17 ნოემბერს დაიბადა ჭყვიშში, წარმოშობით ინტელიგენტური ოჯახიდანაა. იგი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიასა და თბილისის სასულიერო სემინარიაში. მისი ლექსების პირველმა კრებულმა, რომელიც 1914 წელს გამოიცა, მაშინათვე დიდი ყურადღება მიიქცია და ავტორს ერთბაშად გაუთქვა სახელი. 1915-16 წლებში მოსკოვში გაიცნო რუსი სიმბოლისტები, რომლებმაც ძლიერი ზეგავლენა მოახდინეს მის ადრეულ ნაწარმოებებზე. 1917 წლის თებერვლის რევოლუციას პოეტი პეტერბურგში შეესწრო; ამ მოვლენამ ხანგრძლივი ზემოქმედება მოახდინა მის შემოქმედებაზე და ლექსში „დროშები ჩქარა!“ ჩინებული ასახვა პოვა. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ იგი რედაქტორად მუშაობდა და 1924 წელს ლიტერატურული ჟურნალის „მნათობის“ დაარსებაში მიიღო მონაწილეობა. გ.ტაბიძის ლირიკა მსოფლიო ლიტერატურული რანგისაა. მისი შემოქმედების პირველი პერიოდის შეუდარებელი ლექსები განსაკუთრებით გვხიბლავენ აზრის სიღრმითა და

* წყნად: Heinz Fähnrich, Georgische Literatur, Verlag Shaker, Aachen, 1993, გვ. 130-131.

მრავალფეროვნებით გრძნობათა ცოცხალი სამყაროთი, მდიდარი და ორიგინალური რიტმიკითა და უბადლო სარიტმოდ ხელოვნებით. იღებდა რა სათავეს კლასიკური ქართული ლირიკიდან, მან გააფართოვა და განავითარა ქართული პოეტური ხელოვნება და უმაღლეს დონეზე აიყვანა იგი.

მისი ადრეული ლირიკა გვიჩვენებს პოეტის კონფლიქტს საზოგადოებრივ ვითარებასთან და იმ ღრმა წინააღმდეგობრიობებს, რომლებიც მის სულს ფლეთდა. იგი სასოწარკვეთილებასა და საბრძოლო აღტკინებას შორის მერყეობს. მისი შემოქმედების პირველი პერიოდის ლექსებში აშკარად იგრძნობა ევროპული სიმბოლიზმის გავლენა, თუმცა ეს არამც და არამც არ უნდა გუაიგოვოთ სიმბოლისტური ფურნალის „ცისფერი ყანწების“ მიზანდასახულობასთან, რადგან ქართული ლირიკის ტრადიცია ბევრად უფრო ძლიერად ზემოქმედებდა მასზე, ვიდრე ეს მოდერნისტული მიმდინარეობა. თვითონაც ხომ საკუთარი თავი ნ. ბარათაშვილისა და ა. წერეთლის მემკვიდრედ მიაჩნია. ეს აზრი მან გამოხატა ლექსში „მთაწმინდის მთვარე“ (1915), რომელიც მის საუკეთესო ლირიკულ ქმნილებებს მიეკუთვნება.

მის შემოქმედებაში გამოჩნეულ ადგილს იკავებს პატრიტული ლექსები, რომლებშიც იგი სამშობლოს, შრომელ ხალხს, საქართველოს საამაყო წარსულსა და ეროვნულ ღირსებას უძღერის. მრავალი ლექსი უძღვნა მან სიყვარულს, რომლის თემატური გადაწყვეტა მას უშუალოდ აკუშირებს დიდ ქართველ კლასიკოსებთან. აღწერს რა ბუნებას, იგი ქმნის დახვეწილი სინაზის მქონე სურათებს. სიყვარულის გრძნობისა და ბუნების გამო-



Receptio

სახე ხანდახან მჭიდროდა გადაწული ერთიპორეში, როგორც, მაგალითად, ლექსში „თოლი“.


გ.ტაბიძის მრავალმხრივი თემატიკა მისი თანადროული საქართველოს თითქმის ყველა მხარეს შეეხო და ქართული ლირიკა ახალი გამომსახველობითი ხერხებით გაამდიდრა. მისი ლექსების მუსიკალობა მიუწვდომელია, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ენის აკუსტიკურ მხარეს და შექმნა რიტმზე დაფუძნებული, წარმტაცი გამომსახველობითობა.

გ.ტაბიძის ლექსები აცოცხლებენ ქართველი ხალხის გმირულ წარსულს, ისინი სუნთქავენ პოეტის ტკივილით მისი ხალხის ტანჯვისა და მისი ერის მწარე ბედის გამო. მათგან სვედა გამოსჭვივის, როგორც, მაგალითად, ლექსში „მამული“ (1915). მაგრამ ამავე

დროს საცნაურია მტკიცე რწმენაც მისი სამშობლოს ეროვნული აღორძინებისა, რაც მან გამოხატა ლექსში „თხუთმეტი საუკუნე“ (1916).

თავისი შემოქმედების შინაარსის მიხედვით გ.ტაბიძე არის ქართველი ერის ჭეშმარიტი პოეტი, თავისი აზრების მხატვრული სრულყოფილების მიხედვით კი საქართველოს ერთი უდიდესი პოეტთაგანი. მისი შემოქმედება აგვირგვინებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, რომლის შექმნაში მას უდიდესი და უშუალო წვლილი მიუძღვის. მისმა აზრთა სამყარომ კვალი დააჩნია პოეტთა მთელი თაობის შეხედულებებს და მჭიდროდ დაუკავშირდა თანამედროვეობის აზროვნებას. როდესაც მგოსანი 1959 წლის 17 მარტს თბილისში სიცოცხლეს გამოეთხოვა, მთელი ერი გლოვობდა პოეტს, რომელმაც უკედავი შემოქმედება დატოვა.

გერმანულიდან თარგმნა
რუსულადან ბრეგვაძემ



ხვედრი პოეტად ყოფნისა

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში უბადლოა ერთსულოვნება, რომლითაც საზოგადოებრივი აზრი და ლიტერატურული კრიტიკა გალაკტიონ ტაბიძეს (1891-1959) მეოცე საუკუნის უდიდეს და ერთ-ერთ ყველაზე მომხიბლავ პოეტად აღიარებს.

გალაკტიონ ტაბიძემ, ორიგინალურმა და ნაყოფიერმა ხელოვანმა, დაგვიტოვა მდიდარი შემოქმედება, უმთავრესად ლირიკული პოეზია, სხვადასხვა დროს დაწერილი სტატიები, რაც ერთად ქართული გამოცემის 12 მოზრდილ ტომს შეადგენს.

განუწყვეტლივ მატულობს მისდამი მიძღვნილ კრიტიკულ ნაშრომთა და ინტერპრეტაციათა რაოდენობა.

გალაკტიონს ერგო ხვედრი ყველა დროის გამორჩეულ პოეტად ყოფნისა. მისი პოეზია მარად უჭკნობია.

ქართველი პოეტის შედარება ვერლენთან, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი შედარება, უემარისობის გრძნობას ბადებს, მაგრამ ამით ნათელი ეფინება მისი პოეზიის ერთ-ერთ მთავარ თვისებას — მუსიკალობას, ნასაზრდოებს ქართული ენის გენიის უშრეტი წყაროებით.

გალაკტიონ ტაბიძის ქმნილებათა კითხვისას მზერასა და სმენას იპყრობს იდუმალი კავშირი ქართული ხასიათის მრავალფეროვნებასა და ქართულ პოლიფონიურ სიმღერებს შორის. თარგმანების გაცნობა (ვიმედოვნებთ) გამოავლენს მისი ლირიკის უნივერსალურობას.

კრებული „მე და ღამე“ მკითხველს სთავაზობს გალაკტიონ ტაბიძის მთელი შემოქმედებიდან შერჩეულ და ქაონოლოგიურად დალაგებულ ლექსებს. ფრანგულად დასათარგმნელი მერე კრებულიდანვე — „Crâne aux fleurs artistiques“ (ბოდლერისეული ჟღერადობით!) პოეტი პოულობს ინტიმურ აქცენტებს, რომელთაც შემდგომ, წლების განმავლობაში აორკესტრებს და ამრიგად ქმნის მრავალ სიტყვიერ მარგალიტს.

ლექსს „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ გადავყავართ უკაცრიელ სანახებსა და მსუბუქად მოხაზულ ფანტასტიურ გარემოში. ჩვენ ვეზიარებით სევდას მარტოსულისა, რომელიც იმედს უფალთან ეძიებს. აქ პირველივე სტრიქონებიდან საგრძნობია ღრმა სულიერი ნათესაობა რომ-

წინასიტყვაობა ფრანგულ ენაზე გამოცემული გალაკტიონის კრებულისა „მე და ღამე“

ქროლვით. ყოველივეს თან ახლავს ავადმყოფური პასაჟები, ბუნდოვანი კონტურები, ქიმერები და ორგზის — „შემოღლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეები“.

„ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ — თავისი ქრისტიანული აღტიკინებისა და რელიგიური შთაგონების უწყვეტი ფონით — მოგვაგონებს ფრესკულ მხატვრობას (ჟამთაქროლვის დიდებულ მოწმეს ეკლესიებსა და მონასტრებში, რომლითაც მოფენილია მთელი საქართველო) და აჟღერებს ექსტაზში შესული სულის მიმნდობ სიმს.

პოს აჩრდილი (მეტადრე მისი „ყორანისა“, ოღონდ პერიფრაზირებულად) ბატონობს მთელს კრებულში. ამერიკელი პოეტის შემოქმედება სახელდება, როგორც განწირულთა შავი პოეზია.

„თოვლის“ პირველ ორ ტაეპში მეტაფორათა ნაკადი ავლენს პოეტი-მოდერნისტის გაბედულებას. აქ გადმოცემულია არა მხოლოდ თოვლის ქალწულებრივობა, რაც შეიძლება XIX საუკუნის ან უფრო ადრეულ სხვა პოეტსაც გამოეთქვა, არამედ თოვლის ფანტელთა მომაჯადოებელი გარდაქმნა ქალწულებად. დავიმახსოვროთ ეს შინაგანი ერთობა უბიწოებასა და სითეთრეს, უბიწოებასა და თოვლს შორის, რომელიც მალარმესთან მთავარ სტრუქტურას ქმნის. გ. ტაბიძესთან ეს ერთობა, თუნდაც ეპიზოდური, სხვა დეტალებთან ერთად, ადასტურებს ქართველი პოეტის სწრაფვის შინაგან კავშირს XX საუკუნის ევროპული პოეზიის განახლების ინციპიტორთა დემარშთან.

ფერისცვალება, რომელსაც ასე უყოყმანოდ განიცდის თოვლი, ამ პროცესს, უფრო ზუსტად, სამყაროს ამგვარ აღქმას მხატვარ-იმპრესიონისტთა ხედვასთან ანათესავებს.

„უდაბნო ლურჯად ნახავერდები“ — აი, კიდევ ერთი ტაეპი, შუალედური იმპრესიონისტულ მონასმსა და სიმბოლისტურ ტეიფრს შორის. იგი ძალზე ძნელი გადმოსაცემია ფრანგულად, ზმნის საფუძველზე შექმნილი ნეოლოგიზმის გამო (ზმნა ქართულ ენაში არაჩვეულებრივად მოქნილი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა).

პოეტი ხატავს შეყვარებულის ხელებს, „ულონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში“.

დაფნისა და თოვლის უჩვეულო დაწყვილება!

ჩნდება და ფართოდ იშლება ასოციაციათა წყება. კითხვისას თანდათან ძლიერდება აღქმის პოლივალენტურობა. შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპირდეს სიცოცხლის (მარადმწვანე დაფნა) და სიკვდილის (თოვლის) ცნებები: თოვლის წარმავალი სუბსტანცია და დაფნის გაუმჭვირეალი, საზეიმო სიმწვანე, ან კიდევ მისი მარადგამძლეობა და თოვლის სასიკვდილო ავადმყოფურობა. ცხადია, იკეთება ტრადიციული დაფნის გვირგვინიც (რომელი პოეტი არ ბაძავს პეტრარკას სულის სიღრმეში?). მაგრამ იმ ჯადოქრობასთან ერთად, თოვლის დაფნის გვირგვინი თითებს შორის რომ

Receptio

დნება, ისიც აღსანიშნავია, რომ მწვერვალთა მარადიული თოვლი და მარადმწვანე დაფნა ერთად იხილვის პოეტის მშობლიურ პეიზაჟში — შავი ზღვის სანაპიროზე.

სიმბოლურად თოვლი (წყლის ერთ-ერთი მდგომარეობა) მთელ ლექსში, ვით ზოგიერთ მითში, ქალურ ელემენტს განასახიერებს, ხოლო ქარი, რომელიც მოსალოდნელია აქ, სხვაგან კი მეღვარ წინააღმდეგობას ქმნის, მამაკაცურ ელემენტს შეესაბამება.

იმ დროს, როდესაც ლექსი განუწყვეტლივ მიედინება, პოეტი ეძლევა ნეტარებას თოვლის სინაზეში, ქალწულებისა და თეთრი ზამბახების გარემოცვაში.

მაღარმესეული ხერხის გამოყენება (თუმცა ფრანგი პოეტის გავლენის აღბათობა იმდენად მინიმალურია, რომ ძნელად სარწმუნო ჩანს ფაქტების უქონლობის გამო) ნათელყოფს გალაკტიონის ამ ლექსის სიახლოვეს მალარმეს პოეზიასთან. კერძოდ, საოცარია ამგვარი მსგავსება (სადაც, წარმოსახვითის, სულიერ სფეროში) აყვავებული თოვლისა, სადაც ვხედავთ „სურნელოვანი ვარსკვლავების თეთრი თაიგულების თოვას“.

გარკვეული დროის შემდგომაც კი პოეტი თავის ადრინდელ ქმნილებათა ერთგულია. შემთხვევით როდი დასცქერის იგი ძველ ხელნაწერს, ხელნაწერს XII საუკუნისა, რომელიც ქართული კულტურისა და მწერლობის ოქროს ხანაა. იგი თავის მცდელობას იმდროინდელი გადამწერის რუდუნებას ადრის (უსახელო გადამწერი ლექსში „უნაზესი ხელნაწერი“).

ლექსში „შერიგება“ კვლავ გამოჩნდება გალაკტიონის პოეტიკის პულსაციის მთავარი კომპონენტი — ქარი. ქარის განსაზღვრებისას პოეტი სწირად მიმართავს მოულოდნელ სიტყვათშეთანხმებებსა და სიტყვათა ინტერვერსიას. ქარს აქვს ტოტები, როგორც ხეს და ტალღები, როგორც ზღვას. გალაკტიონ ტაბიძისთვის, ისე როგორც წინა საუკუნის დიდი პოეტებისთვის, მისი წინამორბედებისთვის, მაღარმედან მოყოლებული, პოეზიის შექმნა „ენის შექმნის“ ტოლფასია.

ქარის მხატვრულ სახეთა შორის საყურადღებოა ის მაგალითები, სადაც მამაკაცური საწყისი ხედება ქალურობის გამოვლინებას. აქ, ისევე როგორც დაფნასა და თოვლს შორის, ვლინდება სიმწვანისა და სითეთრის უზვეულო კავშირი:

**დაათრობს მთვარე თოვლიან ალევებს
ივლისისფერი ყინვის თასებიო...**

აქ, ისევე როგორც აპოლინერთან და მრავალ თანამედროვე პოეტთან, ჩანს, ასე ვთქვათ, ნულოვანი ფერის გამის ბატონობა (ამგვარია აპოლინერთან „დროის ფერი“), მაგრამ კონკრეტულ ტონებს შორის გალაკტიონს



Receptio

განსაკუთრებით თეთრი ფერი იზიდავს, თეთრი ფერის გამაში კი -

მთა თეთრი, როგორც მალალი რაში...

პოეტისათვის ადვილია სიტყვის წიაღშივე დაუნჯებულ სახეთა გაცოცხლება. ამის ნიმუშია სიტყვა — „სილაჟეარდე“, რომლის ქართული ჟღერადობაც შეიცავს ორ სიტყვას: სილა და ვარდი. ასე მოიძებნა სათაური სახელგანთქმული ლექსისა — „სილაჟეარდე ანუ ვარდი სილაში“, ასე განათდა უტყუარი ასოციაციები. ეიფორიის გარდა, რომელიც თავისთავად ესთეტიკური ელემენტია, სწორედ ამაშია პოეზიის შემეცნებითი ღირებულება (როგორც ვერლენთან).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ლექსი ერთი სიტყვის მხატვრული სახიდან იშვა, როგორც ჩაიში ჩაღბობილი ბისკვიტიდან — კომბრე და მარსულის ბეშობა, იმ განსხვავებით, რომ პრუსტთან მენსიერებაში შემონახულ პირად გამოცდილებას ეხება საქმე, გალაკტიონთან კი ეროვნული გამოცდილებიდან მომდინარე გრძნობას, რომელიც კოლექტიურმა მენსიერებამ — ენამ შემოინახა.

ესეც ეპოქის ხსოვნაა.

ამ გამოცემისთვის გალაკტიონის ერთ-ერთი ლექსის სათაური ავირჩიეთ, რადგან ნიშანდობლივი გეჟქვენა პოეტის სწრაფვა, ეძიოს ნათელი ღამის წიაღში. პოეტის, ისევე როგორც ნებისმიერი შემოქმედის, იღუმალი ღრამის დაყვანა ღროის სიბნელესა და სისასტიკესთან მისი ღირიზმის დაპირისპირებამდე გაზვიადება იქნებოდა, მაგრამ განა ეს ღირიზმი არ ნიშნავს ადმიანურობის დამკვიდრებას არაადამიანურობის წილ, სიყვარულისა — სიძულვილის, ანდა დღისა — ღამის სანაცვლოდ?

ფრანგულიდან თარგმნა
რუსულიდან თურნავამ



ოთარ ჩხვიძე

ცვრიან ბალახზე

გარეთ ალბათ მთვარე ჩახჩახებს ან მიცურავს თხელ, სიფრიფანა ღრუბლებში. ალბათ, ქარი ჰქრის, სუსტი ქარი, სიოდ სისინებს და ჩურჩულებს ფოთოლი, ბუტბუტებს, შრიალებს. წყდება ის შრიალი, ალბათ წყდება, ჰქრება, იკარგება, უმახვილესი სმენა თუ დაიჭერს, მხოლოდ უმახვილესი, უწმინდესი, რადგან შხუის მდინარე, გრიალებს, მიჰქუხს, აწყვეტილა ვიწროებიდან, გასაკეკებლად მიექანება. ფოთოლს საითღა მიეჩქარება? გაზაფხულია, მუქად ხასხასებს, ბზინავს, კრიალებს.

და შრიალებდა ტოტი ვერხვისა, რაზე — ვინ იცის!

აქ შხუილიც არ ისმის მდინარისა, ტოტების შრიალს ვინ გაიგონებს, აქ, შიგნით სხვა ხმაურია, სხვა გუგუნია, — არის სიმღერა, არის ცეკვა, მომეტებულად მჭევრმეტყველება, საზეიმო მჭევრმეტყველება, ქება და ხოტბა, გუნდრუკის კმევა, არის სიცხე და რაღაც ნისლი; თამბაქოს ბოლი ნისლად გაშლილა, ჭალს მოსდებია, ნათურები ჩაუბინდია, ფანჯრებსაც მისწოლია, გადაუღობავს ღია ფანჯრები, სიგრილის ნატამალს ვერ შემოულწევია, დარბაზში ცხელა. ხმაურობს დარბაზი. გარეთ შრიალებს ტოტი ვერხვისა, ალბათ შრიალებს, ვინ იცის, რაზე?!

ჰა?!

„რა ბრძანეთ?“

„უკაცრავად!..“

„რაღაცა ბრძანეთ..“

„მე- არაფერი..“

„ბრძანეთ, თქვენ ბრძანეთ.. მე- მეამბება..“

და ილიძის, ლიმილში მიღის, ღიმილს სდგამს ლობედ, ღიმილს იფარებს, ეგებ გაექცეს, მისწვდეს შრიალსა, — რაზე შრიალებს?! არა ისმის რა. და ხელისგულს შემოვივლებს ჭადარაწვერზე, რხევით ჩაჰყვება, დელვით ჩაჰყვება, თითთა თამამით შემოეკლება. ღიმილს უმატებს, ჩაიცინებს, მაგრამ თითქოს ჩაახველაო. ეს იმიტომ, რომ არ ეშვებიან, ჩქროლვით ეტყვიან, ზრუნვით ეტყვიან, — ნუ მოიწყენთო, რას ისურვებთო, — სთავაზობენ, ეფერებიან, ღვინოს უქებენ. ისევე ახველებს, თითქოს ახველებს, თითქოს იცინის, ძნელა მიხვდე, მაგრამ უარს როდი უნდა დიდი მიხვედრა, ღვინოს უარობს, ღიმიონათის ბოთლს მიეტანება სხვანი მიასწრებენ, სხვათა ხელებში ათამაშდება ღიმიონათის ბოთლი, გადაღ-გადამოდის, ვის დარჩება, ჰა, ვინ იმარჯვებს? — ერთ-ერთს დარჩება, როგორც ყველგან, როგორც ყოველთვის, — ძარღვი თამაშობს, ძარღვი დახტის ბოთლიან ხელზე ღიმიონათს უსხამს, ღვინოს უქებს, ქებაც არ უნდა, ასე არ ასხდა ძარღვები წელან — ის კვლავ ახველებს, თითქოს იცინის, მადლობას ამბობს, რამდენჯერმე ამბობს, ვინც დაუსხა,

იმისთვის ამბობს, ვინც დასხმას ცდილობდა — იმათთვისაც, ვინც შესცქერიან, იმათაც თავს უკრავს, და უნდა კიდევ ვილატას დაუკრავს თავი, კიდევ ვილატას უთხრას მადლობა.

მაგიდის ბოლოს აიჭრება ერთი მგზნებარე, კიდევ დავლიით გალაკტიონის სადღერძელო, დაიძახებს და აკყვებიან. მკლავებზე ჯიხვებს გადაიხვევენ, გადაიხვევენ და დაეწაფებიან, სვაშენ, თითქოს წყურვილი ქლავეთო; მანამდის აქებენ, სადიდებელს იტყვიან, მეტის თქმა უნდათ, ენა აღარ ემორჩილებათ, სიტყვა ვლევათ, ნაქარგი სიტყვა, რაღაც სხვა უნდათ, სხვისთვის რომ არ უთქვამთ, მაგრამ ყველა შემოხარჯვით, დაკლევით სიტყვის საუნჯე, ჯიხვებს იმიტომაც ეწაფებიან, აღმოდებულ ენას იგრილებენ და სასიმღეროდ იღობენ ყელსა. იმას უფრო მდიდარ საუნჯემდის მიუწვდება ხელი, იქამდის ბევრი ციკაზოა ასასულელი. იმ ციკაზობებზე მარჯვედ უვლია, სხვებისთვისაც გადუგდია საბელი, აუზიდნია, აუყვანია, კიდევაც აიყვანს, ოღონდ ამათ, როგორც ენებოთ, დე ჯიხვში ჩაქლან სიტყვის მშვენება, იმას აქ მხოლოდ მადლობა ეთქმის და ამბობს, ბრუნავს მადლობის ეშში; ფეხზე დგას, ცმუკავს, წელზე უდევს მარცხენა ხელი, ფართო მხრებს არხევს, წაიხრება, კვლავ გასწორდება, ბაგე გააჩხნია, შუბლზე შუქი გადაჰყენია, ის შუქი არა, დანისლული ჭალიდან რომ სცემს, რაღაც სხვა შუქი, თვალებშიაც ის ჩააჩხნევია, ის შუქი ამბობს სამადლობელსა, ბაგე არა, მხოლოდ გააჩხნია, ოღნავ, ოღნავ, თითქოს ღიღინი უნდა დაიწყოსო, ან უკვე ღიღინებს, მხრების ქნევა თუ თავის ძიგძიგი იმ ღიღინს ასდევს,

იმ შინაგან ხმას შეუკურია და როდის ესმის სხვათა ნათქვამი.

სიმღერა ირჩიეს, სადღერძელო დააგვირგვინეს, ტბილი სიმღერა დააგეს ჯიღად: ომახინი სიმღერებიც სთქვეს, მაგრამ ვერ იქნა, კვლავი განს მინც ვერ გაიტანა ვერცა სიტყვობა, ვერცა ომახმა, სიცხე უფრო ავიწროებდა, ჭერიც დაბლა ჩამოდიოდა, ჩამოდიოდა, ეპაა, ლამის წახრილიყო მხრები და გარეთ ალბათ შრილებენ რტონი, რაზე — ვინ იცის?! მთვარე მისცურავს, „მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით და, მის შუქში გახვეული მსუბუქი სიზმარივით, მოსჩანს.“ რა მოსჩანს?! იქ „მტკვარი და მეტეხი თეთრად მოუღვარე.“ აქ?! მოიწვიეს და პირდაპირ დაბრაზში უკრეს თავი „მთვარე თითქოს ზამბახია.“ ნეტავი აქაც, ნეტავი ახლაც?! თუ ის მაშინ იყო, მხოლოდ მაშინ, მხოლოდ მთაწმინდამ იცის ის მთვარე?! აქ ისევ მღერიან, ვილაც ჭირვეულობს, მე არ მითქვამს სადღერძელო, ალბათ იმასაც ათქმევინებენ, ისიც გამოსცლის ღარიბს სლაროს აგერ ფანჯარა, სჯობს იქით მიდგეს, დაინახავს, ვით მისცურავს მთვარე ღრუბლებში, გაიგონებს შრიალს ვერხვისა შრიალს აკყვება ეს სიმღერა, ამეტყველებს ხეთა რტოებსა, ააუღერებს და ააღაღადებს ოღნავ გაიწვეს, ვერ შენიშნავენ, ეამება, ჩაიღიმილებს. მსწრაფლ შებრუნდება, მხრების მტერვეით მივა ფანჯარასთან, მაგრამ მიჰყვებიან, მყისვე მიჰყვებიან, — რატომ?! რა მოხდა, რას ისურვებთო — „არაფერს!.. არაფერს!“

სხვას რას მიუგებს, ხომ ვერ ეტყვის, აქ არ მინდაო, ხომ ვერ ეტყვის, გაქცევა მსურსო? იქ მთვარე მისცუ-



შოვი, 1947 წელი

რავს, ალბათ მისცურავს, და შრიალეებს ტოტი ვერხვისა, აქ ცხელა, ცხელა, სიმღერა თავდება და უფრო ცხება. ეს მხურვალეობა მზეს არ დარჩენია, სულ სხვაგვარია, უფრო ჩუმი, მქისი და მძიმე, ღიბრი ფერიც აქვს. ბრუნავს, ტრიალებს, ბოლქვებად აღის, იწეწება, კბურავს სახეთა — ერთიმეორეს დამგვანებთან.

„არაფერს!.. არაფერს!“

ისევ მაგიდას მიუბრუნდება, მოსხეპით ჩაჯდება, ჭიქას მისწვდება, რამდენიმე ხელი ღიმონათის ბოთლს დაეძგერება, ის არ დააციდის, ჭიქის ძირში კიდევ ჩარჩენილა, მოსვამს, დაილობს ტუჩს გაფიცებულს, მალე ისევ გაუფიცხდება, ისევ დაილობს ჭიქას არა სდგამს, ტუჩთან ახლოს გაუჩერებია. აღის და აღის ეშხი სუფრისა, კიდევ ავიდეს, ავიდეს სულ მაღლა, აიტაცოს გალაღებულნი, ისე მაღლა, ისე, რომ კედარ დაინახონ,

ყურადღება ვერ მიადევნონ, ზრუნვა დაკხსნან, ჩამოსცილდნენ, ჩამოეცალდნენ, თვალნი აებათ. წაუვიდეს, გადაეუაროს ეგებ, ეგების! თითქოს ფოთოლმა ჩაიშრიალა. თუ მოეჩვენა. ეგებ ამ ხმაურს ამოართვა მახვილმა სმენამ? ქა? ამოართვა, გამოარჩია რაზე შრიალეებს?! რასა შრიალეებს?! შეირხა. სკამმა გაიჭრიალა. გაქეავდა ისევ ოხ, ეს სკამი! შესევინა, რას ინებებთო, რა მოგართვათო, გვიბრძანე და მზად გახლავართო. თითქოს ამბობენ, მაგრამ არ უთქვამთ, არც არაფერი შეუქმნევიათ. მამ ენახოთ კიდევ, სკამს აჭრიალებს, ახრჭიალებს, ცალ ფეხზე აბრუნებს. არავინ ამჩნევს, მამ დადგა წუთი! ნელა ადგება, აიშართება მხრების მტკრევითა.

„თქმა უნდა!“

შესძახებს ერით.

„გვითხარით!“

„ბრძანეთ!“

„სმენად ვქცეულვართ!“

რამდენიმე ახმინანდება.

„სსსსსს...“

მოსჭრიან დანარჩენები, მიაჩერდებიან მღუმარებითა, მიინაბვიან... მიინაბვიან და გაისმის შრიალი ფოთოლთა. ჰა?! შრიალი ფოთოლთა! ვერხვისა როდი! ეს თელა იყო. იცოდა, როგორ შრიალებდა ვერხვი, თელა როგორა, როგორ შრიალებდა ცაცხვი, კაკალი როგორა, როგორ შრიალებს მუხა, შურყანი როგორა, როგორ შრიალებდა წაბლი, არყი როგორა, როგორ ბუბუნებდა ფოთლნარი, წიწვნარი როგორ ან ვით დუდუნებდა შერეული ტყე. სულ სხვანაირად, სულ სხვანაირად, მხოლოდ ფოთოლთა შრიალს გამოარჩევდა, თან მიჰყვებოდა, მიესწრაფოდა, ჩაილეოდა უკანასკნელ ბგერასთან ერთად, ჩადნებოდა, ჩაიფურფლებოდა და მაშინვე გატოცხლდებოდა, ამოჰყვებოდა ახალ ტალღებს, ბგერათა ტალღებს, ჩაჰყვებოდა, ამოჰყვებოდა ზედშესკვნილი, შენივთებული — და წაჰყვებოდა თელის შრიალსაც, მაგრამ მშუილმა ჩასწყვიტა მალე, ჩაიხვია, თან წარიტაცა. კიდევ მისწვდა მახვილი სმენა, მშუილმა კიდევ ჩაიხიბითხითა, ტინს შეასკდა მდინარის ტალღა, ნაფშხვენებად გადმოეფინა, შრიალიც დაფშხვნა, თელის შრიალი. მერე დაიწყო მშუილის მტრეკვა, ნამტრეკეთა შორის შრიალ-შრიალი. რაღაცას იწვევდა, ვიღაცას იწვევდა, რაღაც უნდა ასდევნებოდა! სიტყვას იწვევდა. აქაც სიტყვას დალოდებოდნენ, გარეულთაც სიტყვა უნდოდათ, იმის სიტყვისთვის თუ შეეთხზათ ეს სიმფონია, იმის სიტყვისთვის! და ელოდა შესაფერის წამს. დადგა ის წაბი. მიმტყნარდა მშუილი,

ბაგე გაიპო, ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაეიარე — რაა მაშული?! შრიალი ავიდა, ავარდა მშუილი, რაღაცა მოსკდა, გრიალ-გრიალით წამოვიდა, დაეცა წყალსა, დაიდგაფუნა. სიტყვაც მოსწვდა, დაიგუგუნა, — წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაბული. — დაიგუგუნა და ჩურჩულს გაჰყვა. თელის რტოებიც შესწურჩულებდა, — გაშალა ველი ნელმა ნიავმა, და მელანდება მე მის წიაღში მოზუცი მამა, მოზუცი მამა სასხლავით ხელში დადის ვენახში. აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი მასზე ოცნებას დაემგვანება, ისევ ამწვანდა მდელი და კორდი!.. დაედივარ... ვწუხვარ და მენანება! — ჩურჩული დნება, შრიალიც დნება, ეს მხოლოდ ერთი წამით, კვლავ მოსკდებოდა ის სიმფონია, მოსკდებოდა და გაგრძელდებოდა.

არ დააცადეს. ტაში შემოჰკრეს აღტაცებისა, სიტყვაც ისროლეს აღტაცებისა. შეაჟრიალა, თვალები დახუჭა, თავი შეარხია აღტაცების შემოსაბერტყად; ვერ შემოიბერტყა, ხელებიც მისწვდა, ვიღაც მიეტანა საკოცნელადა. იქ წამოცვიდნენ, იქით აიშალნენ, გარს შემოერტყნენ, შემოევილნენ. შემოეხვივნენ. ჰაერი დაიხშო, სუნთქვა გაჭირდა, აიტანს თუ ვერა?! აი აჰა, ბოლო სუნთქვაა, ბოლო და ძლიერი, მოუკრძალებელი, გააპოხს იმ წრეს, კარებს გაჰგლიჯავს, რიკულეებზე გადაექანება. იქ სულს მოითქვამს, ოფლს შეიშრობს, გაინაბება... მიჰქუხს მდინარე, შრიალებს ფოთოლი, ცა უღრუბლოა, მთვარე არ მისცურავს, აივანზე გადმოკიდულა, შუქით აღუვისა აივანი. ახ, რა კარგია! დაავიწყდა ის გასაჭირი, ცოტა ეკმარ-

ვის ადამიანს მოსასვენებლად. თუმცა
ვინ დააცდის, შზრუნველები მოეხვე-
ვიან:

„ახ, დაიღალეთ!“

„გაველას ინებებთ?“

„თუ მოისვენებთ?“

„რატომ არ იტყვით?“

„ცუდადა ხართ?“

„ბატონო ჩემო...“

„გვიბრძანეთ რამე“

„გალაქტიონ, ბატონო ჩემო!“

ნეტავ დამეხსნათ, — მხოლოდ ჩურ-
ჩულებს, თელას თუ ესმის, ხმას აუწ-
ვეს რტოი თელისა. იმათ არ ესმით.
ეხვევიან, ხელს წაატანენ; იმავე ხელმა
გამოსტყორცნა აივანზედა, აივნიდან-
აც იმან უბიძგა, კიბეზე დაუშვა, ხის
კიბეზე ბრაგაბრუგითა დაეშვა და ტყეს
მისცა თავი. ხელები მოკცა, ლამის
მისწვდა, ლამის შეიპყრო, უგანა, ბნე-
ლში შეერია, ხეს მოეფარა, ხიდან ხეს
გაქცა უგზო-უკვლოდ. დაშორდნენ

შზრუნველნი, დაშორდა მდეგარი, „გალ-
აქტიოოოონ!“ სადღაც ისმოდა, შორს
ისმოდა, კელავ შორდებოდა, უზაროდა,
რომ შორდებოდა, კიდევ გაურბოდა,
კიდევ უფრო შორს ცახცახებდა
ფოთოლი, „გალაქტიოოოოონ...“ და
ჰქუხდა მდინარე, მდინარე გრგვინით
ეგებებოდა, იყო გვრგვინისა და იყო
ცახცახისა, „გალაქტიოოონ!“ გაისმოდა
ქვათა ჯახანშიც—

ამაოდ დაშვრნენ შზრუნველნი თუ
მდეგარნი, მოიღალნენ, ქანცი გაუწ-
ყდათ, ჯავრისაგან ლამის დათავდნენ,
მანც იძალა დაქანცულობამ. ძილმა
იძალა— და ვერ დაინახეს, პირველმა
სხივმა როგორ შეჰხსნა კარები ტყისა,
როგორ გამოვიდა გალაქტიონი
მთლად გაწუწული, თავითფეხამდე
ცვარით აღესილი, გულზე მიეკრა
ვეება კონა ბალახებისა, ყვავილებისა,
სახე შიგ ჩაერგო და ციმციმებდა,
ციმციმებდა პირველ სხივებში.



ნუგზარ შატაიძე

ცხელი ღვეზელის სუნი

ვიგონებ დიდი ხნის წინანდელ ამბავს ვარ სუთი ან ექვსი წლისა, მე და მამაჩემი რუსთაველის პროსპექტზე, ოპერის პირდაპირ, წიგნების მაღაზიასთან ვდგავართ. ალბათ ავტობუსს ველიდებით. ცივა. ქრის ნოემბრის ან იქნებ თებერვლის ცივი ქარი. მამა ცდილობს პაპიროსს მოუკიდოს, მაგრამ ქარი ასანთს უქრობს, აწვალვებს.

ქუჩაში კანტიკუნტად მიმოდიან „ემალნები“, „მოსკვირები“, „აობედები“.

კანტიკუნტად მიმოდის ხალხიც.

ომი ახალი დამთავრებულია და ადამიანებს დროის შესაფერისად აცკიათ — გრძელი, ჩაფართხუნებული პალტოები, შინულები, კირხის ჩექმები, ახურავთ ხაკისფერი კეპები, ბერეტები ან, სულაც, ყურებიანი, თბილი ქუდები.

ქალაქის თავზე ჩხავილით, მძიმე-მძიმედ დაფრინავენ ყვავები.

მამა ბოლოსდაბოლოს უკიდებს პაპიროსს და მადიანად აბოლვებს. ქარი თამბაქოს მოლურჯო კვამლს პირიდან აცლის.

— შეხე! — მეუბნება უეცრად და ოპერის შენობისკენ მახედებს.

იქ, ჭადართან ვიღაც შაეწვერა კაცი დგას, ხელში ტყავის ჩანთა უჭირავს.

- ხედავ?
- ვხედავ.
- ეგ გალაკტიონია!
- ვინ?!
- გალაკტიონ ტაბიძე, პოეტი!

მე ჯერ სკოლაშიც არ დავდივარ და ამიტომ ეს სახელი და გვარი არაფერს მეუბნება სამაგიეროდ, სიტყვა „პოეტი“ ნეშთვის ნაცნობია მე უკვე ზეპირად ვიცი შიო მღვიმელისა და იოსებ გრიშინსკილის ლექსები, აგრეთვე, მია სტალინის „დილა“.

— პოეტი?

— კი. კარგად დაუკვირდი და დაიმახსოვრე!

მთელი მონღომებით ვაკვირდები.

ის კაცი, პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ოპერის წინ ერთ დიდ ჭადართან დგას კი არ დგას, ზედ მხრით მიჰყუდებია. აცკია მუქ-ფურის გრძელი ლაბადა, უჭირავს ტყავის დიდი ჩანთა. უქუდოა. ქარი აქანავებს, თმა-წვერს უწეწავს. მეჩვენება, რომ პოეტი იმ ქარს ებრძვის, უძალიანდება, ცდილობს არ წაიქცეს. ჭადრის ხეს ცალი, თავისუფალი ხელით ეხვევა (მეორეში ხომ ის დიდი ჩანთა უჭირავს).

ვდგავარ და ეუყურებ. უყურებს მამაც, თან პაპიროსს ეწევა, ზოგჯერ თავს ჯაერიანად გადააქნევს და ღრმა ნაფახს ურტყამს. ქარი ნაცრისფერ, მოლურჯო კვამლს პირიდან სტაცებს.

— წავედით! — მეუბნება უცებ იგი, ხელს მკიდებს და თითქმის ძალით მივყავარ.

მე თვალები უკან მრჩება, მინდა, იმ კაცს დაუუკვირდე — პოეტს, გალაკტიონ ტაბიძეს, მინდა დავიმახსოვრო, რომ მერე დედას ვუამბო, როგორ ვნახე ქუჩაში პოეტი. მართ-



წყნეთი, 1955 წელი

აღია, ეს არც შიო მღვიმელია, არც იოსებ გრიშაშვილი და, მით უმეტეს, არც ძია სტალინი, მაგრამ პოეტი ხომ არის, ნამღვილი, ცოცხალი პოეტი!

მაგრამ მამას მაგრად უჭირავს ჩემი ხელი, ჩქარი ნაბიჯით მიდის და მეც კისერმორეცილი სირბილით მივლევ უკან.

ასე ვნახე სიცოცხლეში პირველად პოეტი!

გავიდა ხანი — თითქმის ათი წელი. ამასობაში ვისწავლე გალაკტიონ ტაბიძის რამდენიმე ლექსი. მეჩვენებოდა, რომ ეს ლექსები იყო რთული და ცოტა ბუნდოვანი. მათი კითხვისას მუდამ მაგონდებოდა ჭადართან ჩახუტებული მთვრალი პოეტი, ქართან მე-ბრძოლი, თმაწვერაშლილი.

ერთხელ, მე და ჩემი მეგობრები — ლოვა და ჯემალა კინოში წავედით. პლენხანოვზე, კინოთეატრ „კომკავშირელში“, მაშინ დილის სევანსზე ბილეთი ათი კაპიკი ღირდა, გულ-ღვიძლის ღვეზელი კი, რომელიც იქვე, ქუჩის გაღალმა, გასტრონომში იყიდებოდა — ექვსი კაპიკი. აბაზად სამი ცალი ღვეზელი მოგვდიოდა, ხოლო თუ სამი კაპიკიც გექონდა, ვყიდულობდით უგემრიელეს გაზიან წყალ „კრემ-სოდას“.

მივედით, სალაროში ავიღეთ კინოს ბილეთები და გადავირბინეთ მეორე მხარეს. გასტრონომში თბილოდა, იდგა ნავთიანი ნახერხისა და ცხელ-ცხელი ღვეზლების სუნი.

ვიყიდეთ სამ-სამი ღვეზელი (ახლაც ცხვირში მიღტინებს მათი სურნელი!), დავიწყეთ ჭამა...

უეცრად, გალაკტიონი დავინახე! — იქვე, ხელის ერთ გაწვედენაზე, მარმარილოს მაღალ მაგიდასთან იდგა და ღვეზელს მიირთმევდა. ეცვა ისევ

ის შავი ლაბადა, ეჭირა ისევ ის, ათი წლის წინანდელი ტყავის დიდი ჩანთა.

ლუკმა პირში გამიჩერდა. უყურებდი, როგორ ჭამდა გალაკტიონი ღვეზელს. პირს რომ გააღებდა, გრძელი, შავი წვერი დაბლა იწვედა და მკერდზე ეფინებოდა. ვხედავდი, როგორ ეჭირა ქაღალდშემოსხვეული ღვეზელი ორი თითით, როგორ კბეჭდა, როგორ ლეჭავდა თითქმის თავზარდაცემული შეეცქეროდი ამ სურათს. მაგონდებოდა ერთი ლექსი, რომელიც სწორედ იმ ხანებში ვისწავლე:

ატმის რტოო, დაღალულო რტოო,
ატმის რტოო, სიმშვიდეა შორი...

ლოვა და ჯემალა არხეინად ილუქმებოდნენ. თავისები უკვე შეეჭამათ და ახლა თეფშზე დარჩენილ ჩემს ღვეზლებს უყურებდნენ.

— რა მოგივიდა? — თანაგრძნობით მკითხა ჯემალამ.

— არაფერი.

— ვის უყურებ, ტო?! — დაინტერესდა ლოვაც.

— იცით, ის კაცი ვინ არი?

— ვინა?

— გალაკტიონი!

— ჰა?!

— გალაკტიონ ტაბიძე, პოეტი!

გალაკტიონმა, ეტყობა, ყური მოჰკრა საკუთარ გეარსა და სახელს, ჭამა არ შეუწყვეტია, ისე გამოიხედა. ჩვენი თვალები ერთი წამით შეხვდნენ ერთმანეთს და მე მომეჩვენა, რომ გალაკტიონმა გამიღიმა. არ ვიცო, იქნებ არც მომჩვენებია, იქნებ, მართლაც გამიღიმა! თვალს ევლარ ვაცილებდი. უყურებდი, როგორ გემრიელად ილუქმებოდა,

როგორი სიამოვნებით ჭამდა. ზოგჯერ მარმარილოს მაგიდიდან ჭიქას აიღებდა და „კრემ-სოდას“ მოსვამდა. წვერში ღვეზელის ნამცეცები ჩაბნეოდა.

— ეს პერაშკი აღარ გინდა? — მორიდებით მკითხა ჯემალამ.

— არა, ჭამე, — ვუპასუხე და უცრად რაღაც უცნაურმა გრძნობამ დამრია ხელი, არ ვიცი, რა დამემართა, ყელში ხორკლიანი გორგალი გამეჩხინრა, თვალები ამეწვა და ბიჭებს ცრემლი რომ არ შეემჩნიათ, ვიტრინისკენ შევბრუნდი.

გარეთ თოვლი იდო. ციოდა. ნაცრისფრად ჩაბურუსებული ციდან ფარფატით ჩამოდიოდა თეთრი ფიფქები. ქუჩის გადაღმა, კინოთეატრის წინ ხალხი ირეოდა. ადამიანები აქეთა ტროტუარზეც მიმოდიოდნენ. ახლა აღარავის ეკვა სამხედრო შინელები, კირზის ჩექმები, აღარავის ეხურა ხაკისფერი კეპები. ახლა უკვე ვიწრო, „ბუტილკა“ შარვლები და კაუჩუკის სქელლანჩიანი ფეხსაცმელები შემოსულიყო მოღაში.

კარგახანს ვიდექი ვერე, როცა მოვბრუნდი, გალაკტიონი იქ აღარ დამხვდა.

თეფშზე ერთი ცალი ღვეზელიდა დარჩენილიყო, რომელსაც ჩემი მეგობრები ხარბად დასჩერებოდნენ.

— ჭამე, — ეუთხარი ლოვას.

— მერე, შენა?

— მე არ მინდა.

— ავადა ხარ, ტო?! — მკითხა ჯემალამ.

— არა, რა ავად!

ლოვამ ღვეზელი აიღო და მოკრძალებულად შეუღვა ჭამას. მადლიერი და გაკვირებული თვალებით მიყურებდა.

ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე გარდაიცვალა. დაკრძალეს მთაწმინდაზე. პოეტის გასვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო. მაშინდელი გაზეთები წერდნენ, რომ გალაკტიონ ტაბიძე იყო დიდი ქართველი პოეტი, ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელი, ლენინის ორდენოსანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მაგრამ არავის უთქვამს, სიტყვა არავის დასცდენია, რომ გალაკტიონმა თავი მოიკლა!

ახლაც, ამ ორმოცი წლის შემდეგაც, როცა ამ მოგონებას ვწერ, რატომღაც მაგონდება ნავთიანი ნახერხისა და ცხელ-ცხელი ღვეზლების სუნი. მაშინ ისეთი ღვეზლები პლენანოვის გარდა იყიდებოდა რუსთაველზეც — ძველი უნივერსალის შესასვლელში, მარცხენა მხარეს. იქ უფრო გემრიელიც კი იყო, მაგრამ იქაც ზუსტად ექვსი კაპიკი ღირდა.

ახლა ისეთ ღვეზლებს აღარავინ აცხობს.



მიხეილ ჩაჩუა

ჩემი გალაკტიონი

მძინარე ღმერთი

ჩემი ხანგრძლივი და არცთუ დალხინებული ცხოვრების მანძილზე ისეთი ბუნდური წუთები და საათებიც მქონია, რომელთა გახსენება ყოველთვის დიდ სიხარულსა და სიამოვნებას მგერის ხოლმე. ამ წუთებიდან და საათებიდან განსაკუთრებით დიდ გალაკტიონთან, ჩემს გალაკტიონთან შეხვედრებში გატარებულ ძვირფას დროს გამოვარჩევდი.

1951-1952 წლებში სახელწიფო გამომცემლობაში (სახელგამში) მუშაობის უამს მომეცა შესაძლებლობა ისე დაეახლოვებოდი გალაკტიონს, რომ — გინდ დამიჯერეთ, გინდ არა! — ქუჩაში შეხვედრისას არავითარ შემთხვევაში გვერდს არ ამივლიდა. და ეს შეხვედრები იყო საოცრად თბილი — ძალიან მიმსგავსებული მამაშვილურს.

მაინც როგორ დაუუახლოვდი გალაკტიონს?

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ზუსტად ამაზეა ნათქვამი. „ზოგი ჭირი“ კი ის იყო, რომ თქვენს მონა-მორჩილს, უნივერსიტეტდამთავრებულს, რომელსაც სკოლაში მუშაობის მცირე სტაჟიც მქონდა, დიდ თანამდებობაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ ტე-

ქნიკურ რედაქტორად და გამომშვებად მუშაობის არანაირი სურვილი არ გამაჩნდა. არადა, სწორედ ტექნიკურ რედაქტორის თანამდებობა შემომთავაზა ღირექტორმა. თანაც გამომშვების მოვალეობაც უნდა შემესრულებინა. ამას არ დამაჯერა მწერალთა კავშირის ახლანდელი თავმჯდომარის მოგვარემ — ბატონმა ერასტიმ (აცხონოს ღმერთმა) და ზედმეტი დატვირთვაც მომცა.

შემოვიდა ერთ დღეს საწარმოო განყოფილებაში, სადაც მე ერთი პატარა მაგიდა მქონდა მიჩენილი და გამომიცხადა: დღეიდან საავტორო ეგზემპლარებს შენ მიხედავ, ასევე საგამომცემლოსაცო. კი ბატონო-მეთქი, აბა, რა მეთქვა. მარტო „კი ბატონო“ კი არა, დიდი მადლობაც უნდა მეთქვა თურმე მისთვის იმის გამო, რომ მან რედაქტორად კი არა, ტექნიკურ რედაქტორ-გამომშვებად მიმიღო და თანაც ზედმეტი დატვირთვაც მომცა. სწორედ საწარმოო განყოფილებაში მუშაობამ და იმ „ზედმეტმა დატვირთვამ“ დამახლოვა არა მარტო გალაკტიონთან, არამედ ქართულ მწერლებთან საერთოდ. ბევრი ავტოგრაფიანი წიგნი ინახებოდა (ქვეყნის დაქვევამდე) ჩემს პირად

ბიბლიოთეკაში. თუ მწერალი ღმერთგამწყრალი არ იყო, ათი ცალი საავტორო წიგნიდან, რომელსაც ჩემგან ღებულობდა, ერთს ავტოგრაფით მე მიტოვებდა. ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ამ წიგნებიდან გალაკტიონის წიგნი იყო, მაგრამ ამის შესახებ მოგვიანებით მოგახსენებთ.

იმხანად გალაკტიონის მრავალტომეულის მეხუთე წიგნი გამოდიოდა. ვიდრე გამოვიდოდა, გალაკტიონი ყოველდღე შემოდოდა გამომცემლობაში. იქვე, გამომცემლობის პირდაპირ ცხოვრობდა და შორს წასვლა არ სჭირდებოდა. შემოდოდა ეს ღმერთკაცი, მაგრამ — მეჩვენებოდა თუ ასე იყო, — ისე ესალმებოდნენ, თითქოს ჩვენი შიკრიკი შემოსულიყოს და მისთვის ეთქვათ გამარჯობა. ჩვენი შიკრიკი ხელწამოსაკრავი კაცი არ გახლდათ, მაგრამ მინც შიკრიკი იყო, უბრალო მოკვდავი.

ჩვენთან, საწარმოო განყოფილებაში შემოსვლა უყვარდა გალაკტიონს. თუ სადმე ხვდებოდა, აქ ხვდებოდა მას სითბო, ყურადღება, პატივისცემა და ამას გრძობდა ღვთიური მადლით მოსილი დიდი პოეტი და დიდი ბავშვი.

— გამარჯობათ, ძამიკოებო! — არაფერი სჯობდა ამ საოცრად თავისებური ხმით ნათქვამი სიტყვების გაგონებას და მოზღიძარე გალაკტიონის დანახვას, გრძლად მოშვებული წვერი მართლა ღვთიურ იერს რომ აძლევდა.

— გაგიმარჯოთ, ბატონო გალაკტიონ! — რა საქმითაც უნდა ვყოფილიყავით დაკავებული, უცებ თავს

ვანებდით ყველაფერს (ტელეფონით საუბარსაც კი) და საწარმოო განყოფილების უფროსისა და ჩვენი შეუცვლელი თამადის ნოე კაკუშაძის „თამადობით“ გალაკტიონს ფეხზე ამდგარნი ვესალმებოდით.

— დაბრძანდით, დაბრძანდით! — ყასილად გვეტყოდა გალაკტიონი (არადა, საიპოვნებდა, მის პატივსაცემად ფეხზე რომ ვიდექით). იდგა ეს მეფური იერის მუხაკაცი განიერი მხრების რხევითა და ცახცახით და ჩვენ ტანმორჩილი ხეებით ქვემოდან შეეყურებდით.


არასგზით არ დაჯდებოდა, არც დიდხანს დაყოვნდებოდა. გეკითხავოდა, ჩემი წიგნის საქმე როგორ არისო, ერთ-ორ სიტყვასაც მოწყალებასავით გადმოგვიგდებდა და... ჩვენი ფერებით ნასიამოვნები (გადასარევად უყვარდა ქება და ფერება), თავის უცნაური მოძრაობითა და მხრების რხევით გზას გაუყვებოდა. მე, რა თქმა უნდა, უკან გავეყვებოდი და „ჭიშკრამდე“ მივაცილებდი. სადარბაზოდან გასვლისას მოძიბუნდებოდა და რალაცნაირი ეშმაკური ღიმილით მეტყვოდა: „რატომ წუხდები, ძამიკო?“

...ის იყო, გამოვიდა გალაკტიონის წიგნი და საავტორო მივართვი. რატომღაც არ მეგონა, რომ იმ ათი წიგნიდან ერთ ცალს ჩემთვის არ გაიმეტებდა, ცხადია, ავტოგრაფით, თორემ ისე წიგნის პრობლემა არ იყო ჩემთვის. გავიდა რამდენიმე დღე და... გალაკტიონი ისევ მესტუმრა. „წიგნს არ მომცემ, ძამიკო?“ — მისთვის დამახასიათებელი ღიმილითა

კლავტონი — ჰესონაჟი

და წვერზე ხელის ცაცუნით მკითხა გალაკტიონმა და მე, თქვენი მონა-მორჩილი, იმის თქმას როგორ შევბე-დავდი გალაკტიონს, თქვენ ხომ თქვე-ნი წილი მიიღეთ-მეთქი. გამოვალე კარადა და საგამომცემლო ფონდიდან სამი წიგნი მივართვი. სამჯერ გად-

ზიაში შევიძინე და... ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც გალაკ-ტიონი კვლავ მოვიდა წიგნისთვის, ამჯერად ოთხი წიგნი „დავაჯახე“ გალაკტიონს და მოხდა ის, რაზე-დაც ვოცნებობდი: ერთი წიგნი უკანვე დამიბრუნა ავტოგრაფით: „ჩემს ძამი-



ამხადა მადლობა და წავიდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, მე არ მივაც-ილებდი „ჭიშკრამდე“? მეოთხე მად-ლობა იქ მითხრა და მეც წამოვედი კმაყოფილი, თან ვფიქრობდი: გალაკ-ტიონი, შესაძლოა, კვლავ მოვიდეს წიგნისთვის და საჭიროა წინასწარ დავიჭირო თადარიგი-მეთქი. ასეც მოვიქეცი: რამდენიმე წიგნი სტამ-ბიდან დავითრიე, რამდენიმეც მალა-

კო მიხას. გალაკტიონი“
...იმ დილას ადრე მივედი სამ-უშაოზე. ფანჯრიდან გადავიხედე და... გალაკტიონს არ მოეკარი თვალი! იგი მარჯანიშვილის თეატრის წინ იღვა და შესამჩნევად ბარბაცებდა. თქმა არ უნდა, ნასვამი იყო. ნასვამი კი არა, როგორ ვთქვა და, კარგა მაგრა იყო გაბურსალებული. მაინც

სად მოასწრო ასე ადრე? იქნებ წუხელ სახლში არც ყოფილა. იღვანა, ალბათ, ფიქრობდა: შინ წავიდე თუ არაო. იქვე ცხოვრობდა, ორ ნაბიჯზე, გამოშცემლობის პირდაპირ, ოთხსართულიან სახლში. იქნებ არაფერსაც არ ფიქრობდა, უბრალოდ იღვანა და... ნაბიჯის გადადგმა უჭირდა. ასე იყო თუ ისე, თეატრის წინ ნამდვილი გალაკტიონი იღვანა და ირხეოდა. ერთხანს რაღაცამ ისე გამაშეშა და დამაბა ადგილზე, ვერა და ვერ მოვშორდი ფანჯარას, თითქოსდა დიდი სეირის ყურებით ვიყავი გართული.

მე რომ მივედი, გალაკტიონი უკვე აღარ იყო იქ. ირგვლივ მიმოვიხედე, მაგრამ არსად ჩანდა. რამხელა ბედოვლათი ვარ-მეთქი, — ბრაზი მომერია ჩემს თავზე. ვერ იქნა და ვერ გამოვეტიე იქიდან. მაინც რა ეშმაკი შემიჩნდა. ასე შემართება ყოველთვის: მართლა ეშმაკია, თუ რაღაცაა, სწორედ მაშინ გამაშეშებს და დამაბამს ადგილზე, როცა დაყონება არამც და არამც არ შეიძლება. ახლაც ბედოვლათობა გამოვიჩინე, როცა, ვინ იცის, როგორ იყო საჭირო, მიმესწრო გალაკტიონისთვის. თუ შინ შევიდა, ხომ კარგი, თუ არადა, „ლამენათევი და ნამთვრალევი“ კაცი, რა იცი, სად წავა და თავს რას აუტეხს. ღმერთმა ნუ ქნას, რამე ცუდი შეემთხვეს, თორემ მერე როგორ გინდა შენს თავს აპატო ეს ამბავი?

იმით დაიმედებული, რომ გალაკტიონი შინ შევიდა, წამოვედი. იმ სახლს რომ გავუსწორდი, სადაც გალაკტიონი ცხოვრობდა, შევჩერ-

დი. აი, მისი ბინის ფანჯრებიც. ყოველი შემთხვევისათვის ზევით ავიხედე, ვინძლო გალაკტიონს მოეკრა თვალი-მეთქი.

ტროლეიბუსი ჩამოღვა. წავა და მეც გადავალ ქუჩის იქითა მხარეს. სხვა რა გზა მაქვს, უნდა შევიდე გამოშცემლობაში. არადა, სულ არა ვარ ახლა მუშაობის გუნებაზე, გართე ხეტიალი მიჩვენია. ტროლეიბუსი დაიძრა და თვალები გაეყოღე. ის იყო, ხიდზე შესრიალდა, რომ — აი, საოცრება, თუ გინდა! — ხიდის მოაჯირზე იდაყვებდაყრდნობილ გალაკტიონს წავატანე თვალი. ისე გამიხარდა, თითქოს მილიონი მეპოვოს.

მისვლით კი მივედი გალაკტიონთან, მაგრამ შეხშიანება ვერ გაგებდე. ეღგავარ და ვუყურებ, ეღგავარ და ვუცდი, როდის მოაბრუნებს თავს ჩემსკენ. იდექი და უყურე, რამდენიც გინდა, გალაკტიონი ისე ჩაშტერებია მტკვარს და ისეა ახლა თავის ფიქრებში ჩაძირული, ვეჭვობ, გუმანმა ჩემი იქ ყოფნა აგრძობინოს. არადა, ისიც საფიქრებელია, ნასვამ კაცს ძილი ღოერიოს და...

— ბატონო გალაკტიონ! — ჩემღანებურად აღმომხდა და ბავშვივით შეკრთა ამხელა კაცი. ვაითუ ახლა შავი ღღე დამაწიოს-მეთქი, — ვინა ხარ, ვინ გღიხარ, მოღიხარ და მყუღროებას მიფრთხობ! — მაგრამ თურმე ცოდვას ჩადიხარ, როცა ამას ფიქრობ. დამინახა თუ არა — ეს შენ ხარ, ძამიკოო, — თქვა და დაღღილი სახე ღმიღმა გაუნათა. მარჯვენა ხელი ჯერ თავზე გადამისვა,

მერე მხარზე მომხვია და თავისკენ მიმიზიდა. ღვინისა და ოფლის სუნის ნაზავი სხვა შემთხვევაში არ მუამებოდა, მაგრამ ახლა — რას ამბობ! — რალაცნაირად მესიამოვნა კიდევ. დიდი პოეტის მამაშვილურმა სითბომ სიხარული ხომ მომგვარა და მომგვარა, სითამამეც შემმატა და ახლა უკვე გაბედულად მიემართე:

— ბატონო გალაკტიონ, წავიდეთ სახლში.

— რაო, სახლშიო?! მერედა, სადა მაქვს, ძამიკო, სახლი? — თქვა და მისებურად ჩაიქირქილა. — აი, ჩემი სახლი, — დასძინა და ორივე ხელით ჰაერში წრე შემოხაზა. მომეჩვენა, რომ იმ წრეში მთელი თბილისი (ან იქნებ მთელი საქართველო) მოაქცია.

მაისის მიწურული იყო, მაგრამ ისეთი ბუდი იდგა, როგორც ივლისისა და აგვისტოში იცის თბილისში. ღვინოს და სიცხეს თავისი გაეტანა და გალაკტიონს ვატყობდი, არაფრის თავი აღარ ჰქონდა. ეს იყო, თავს ძალას ატანდა. ვგრძნობდი, პიჯაკი ძალიან აწუხებდა, ერთი-ორჯერ მისი გახდაც სცადა.

დიდი ხვეწნა-მუდარა არ დამჭირებია, ბავშვივით მორჩილი და დამყოლი გახდა გალაკტიონი, მხარზე საიმედოდ მომხვია ხელი და გამომყვა. მივიღივართ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ და ვგრძნობ, როგორ მყვრდნობა, უჭირს სიარული და აბა რა ქნას. მე კი, მასთან შედარებით ტანმორჩილსა და არც თუ ისე ნაპატივებ კაცს, მიკვირს, რომ არ

ვგრძნობ არავითარ სიმძიმეს. არადა, ამხელა კაცი ჩემზეა დაყრდნობილი, საკმარისია გამოვეცალო და...

პირიქით, თავს მსუბუქად ვგრძნობ და სიამაყით მავსებს შეგრძნება იმისა, რომ გალაკტიონს მხარში ვუდგავარ. გამვლელ-გამომვლელის ყურადღება ჩვენსკენაა მოაყრობილი, უფრო სწორად — გალაკტიონისაკენ, მაგრამ რაც უნდა იყოს, მეც ხომ მასთან ერთად ვარ ახლა და რალაცას მაინც ხომ ნიშნავს ეს. და მე მინდა, გულით მინდა, გადარევაძღე მინდა, ყველა ჩემი მტერ-მოყვარე მიყურებდეს ახლა; მტრებს გულზე ხეთქავდეთ, მოყვრებს კი ახარებდეთ ამ ღმერთკაცთან ჩემი ასეთი სიახლოვე.

სწორედ ის კაცი შემოგვეფეთა, ვისაც ძალიან მინდოდა დავენახე გალაკტიონთან ერთად — ჩვენი დირექტორი. ერთთავად სახეზოდულს ერთბაშად შეეცვალა სახე და მასზე, დიდ გოცებასთან ერთად, ნაძალადვი ღიმილი გამოეხატა...

— რაო, გაგიკვირდათ? აბა, ერთი კიდევ შემომხედეთ. ჰო, ეს მე გახლავართ, ბატონო დირექტორო, თქვენგან მოძულებული კაცი. არა, თვალეზი არ გატყუებთ (თქვენ ყველაფერს კარგად ხედავთ, გრძნობა გაქვთ და ჩლუნგებული, თორემ სხვა მხრივ არა გიმათ). დიახ, ეს გალაკტიონი მოაბიჯებს ჩემს გვერდით ასე მძაკაცურად. ხომ ხედავთ, ჩემს მხარზე როგორ აქვს ხელი გადახვეული. აბა, თქვენ კი არ გადაგხვევთ ხელს. დიდი ამბავი, თუ ნასვამმა კაცმა ხელი გადაგხვიაო, იქნება ასე



მთანმინდაზე

იფიქროთ. არაფერი შეგეშალოთ. გალაკტიონი სიმთერალეშიც კარგად ცნობს ადამიანებს. თუ დიდი ამბავი არაა, რატომ თქვენ — ამხელა გამომცემლობის დირექტორს — არ გაგიჩერდათ ეს ნასვამი კაცი და დიდის ამბით არ ჩამოგართვათ ხელი? გგონიათ, ვერ დაგინახათ? დაგინახათ კიდევაც და თქვენი „გამარჯობაც“ კარგად გაიგონა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ არც დაუნახებართ და არც არაფერი გაუგონია.

სანაძლეოს ჩამოვალ, რომ თქვენი დანახვა ძალიანაც არ ესამოვნა, ან კი რატომ უნდა სიამოვნებოდა. აბა, ერთი გაიხსენეთ, ეს ღმერთის ტოლა კაცი რამდენჯერ ალოდინეთ მისალებში. ერთი-ორჯერ პირადად მე შევესწარი ამას... გაიარეთ, გაიარეთ, ჯვარი გწერიათ ჩემგან, ოღონდ ღმერთი არ გაგიწყრეთ და ის არ მითხრათ, სამუშაო საათებში გარეთ რას დაეხეტებოდით. თქვენ არ მოერიდებით ამის თქმას, ეიცო თქვენი ამბავი. გალაკტიონთან კი არა, მართლა მამაზეციურთან რომ დაგენახეთ, მაინც არაფერი იქნებოდა ეს თქვენთვის, მაინც არ მომემატებოდა თქვენს თვალში წონა. თქვენთვის არც ღმერთია და არც კაცი და, საერთოდ, გწამთ თუ არა რამე, საკითხავია.

—სვენებ-სვენებით ავლივართ კიბეებზე. ერთ-ორ საფეხურს რომ მივიღე, ცოტას სულს მოვითქვამთ. უჭირს გალაკტიონს და, კაცმა რომ თქვას, არც მე მადგას კარგი დღე, მაგრამ ძალას მმატებს იმის შეგნება, რომ გალაკტიონს ვშველი. იგი უკვე მთელი ძალით მეყრდნობა, მე კი კიბის მოაჯირს ვიშველიებ და ასე ნელ-ნელა მივიწვეთ ზევით. გალაკტიონი ჩუმად არის, არაფერს ამბობს. ზანგამოშვებით რაღაცას წაიჭურჩულებს თავისთვის. იგი ბურანშია ახლა, თუმცა თვალები გახელილი აქვს და ბურანიდან მის გამოყვანას ვერ ვებღაუ. ერთი სული მაქვს, რაღაცა ვუთხრა და მანაც ხმა გაიღოს, სულერთია, რას იტყვის, ოღონდაც თქვას. მიყვარს მისი

ყველასაგან გამორჩეული ლაპარაკი, მისი ხმის მიმოქცევა. რომ ლაპარაკობს, თავს ხან იქით მიაბრუნებს, ხან აქეთ, მხრები კი უცახცახებს და უცახცახებს. ახლა მხრებჩამოყრილია და თავჩაქინდრული. შეიძლება იმდენად მთვრალი არ იყოს, რამდენადაც დაღლილია. რამ დაღალაო, იტყვის მავანი და ვინც ამას იტყვის, იმან რა იცის, ვინ არის გალაკტიონი — ეს უშველებელი მარტოსული. „ატმის რტოო, დაღალულო რტოო...“ — ამ სტრიქონის პოეტური ხიბლიც მიუწვდომელი იქნება იმ მავანისათვის.

„დამთავრდა, ძამიკო, შენი წამება“, — თქვა გალაკტიონმა და ზუსტად თავისი ბინის კართან შეჩერდა. მე ხომ ვთქვი, შეიძლება იმდენად მთვრალი არ იყოს, რამდენადაც დაღლილია-მეთქი. არც ბურანში ყოფილა თურმე. შენი წამება დამთავრდაო, „ჩვენიო“ კი არ უთქვამს (გალაკტიონმა ყველა ვითარებაში, ყველანაირ მდგომარეობაში იცოდა თავის ფასი). უცებ რალაცნაირად გამოცოცხლდა. ჩემი მხრიდან ხელი ჩამოიღო და კარისკენ მიმითითა — „აი, ძამიკო, წაიკითხე“. და მე წავიკითხე კარზე ვილაცის მიერ ფანქრით მიწერილი სამად სამი სიტყვა: „საქართველოს სახალხო პოეტი“.


„რამხელა პოეტია და რა დიდი ბავშვია“, — გავიფიქრე ჩემთვის.

— ბატონო გალაკტიონ, გასაღები?

— ჰო, ჰო, გასაღები! — თქვა და პიჯაკის გარეთა ჯიბეებში დურთა

ხელები, მაგრამ გასაღები იქ არ აღმოჩნდა. შარვლის მარჯვენა ჯიბეში მიაკვლია. ამოიღო, მომაწოდა და — ახლა რას მიბრძანებ, ძამიკოო, — ღიმილით დააყოლა. ანგლობის ხასიათზე იყო მოსული. მე გამეცინა. ჩემი სიცილი გადამღები აღმოჩნდა და გალაკტიონმაც გემრიელად ჩაიხითხითა.

კარი გავაღე თუ არა, ღამენათვევი ჰაერი მეცა ცხვირ-პირში. შევიდა და შევეყვი. დაუხმარებლად, გამართულად გაიარა ტალანი და მოპირდაპირე ოთახში შევიდა. მეც შევედი. ოთახში შესვლისთანავე ტანტზე ჩამოჯდა და რალაცას მიანერდა. იყო ასე ერთხანს (წუთის წინათ გამოცოცხლდა, ახლა კი, ეტყობა, ისევ დაღლილობამ უწია). მერე ადგომა დააპირა და მეც მივედი მასთან. ვიფიქრე, იქნებ რა სჭირდება-მეთქი და... იქითკენ მივანიშნე, მაგრამ უარის ნიშნად თავი გააქნია. მაშინ წამოწეკით-მეთქი, ბატონო გალაკტიონ. დამიჯერა, არც ჩემს დახმარებაზე უთქვამს უარი და წამოწვა, უფრო სწორად, გულაღმა გაიშოტა. მინდოდა ფეხსაცმელები გამეხადა მისთვის, მაგრამ მოპერიდა. ისეთმა რიღმა და კრძალვამ შემიპყრო, არ ვიცოდი, რა მექნა. კაცმა რომ თქვას, ვისი უნდა მომრიდებოდა, გალაკტიონს უკვე ეძინა (წამოწოლა და ჩაძინება ერთი იყო), სხვა კი იქ არავინ იყო. და მანც ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვილაცა მიყურებდა, მითვალთვალებდა, მისმენდა. მართალია, მართო ვიყავი და რა უნდა მეთქვა,



მაგრამ ხომ ეფიქრობდი რაღაცას. პოდა, ის ვიღაც უხილავი ჩემს ფიქრებს უსმენდა. სწორედ იმ უხილავის გამოისობით ვიყავი ახლა ასე შებოჭილი, ერთ ადგილზე მილურსმული და თითქმის სუნთქვაგაკმენდილი. პო, იმისიც კი მერიდებოდა, რომ თავისუფლად, ჩვეულებრივად მესუნთქა. ვერც იქით გამეხედა და ვერც აქეთ. ახლა რომ მკითხვით, რა იდგა იმ ოთახშიო, როგორ გამოიყურებოდაო, ვერ გეტყვით. ისიც კი არ მახსოვს ხეირიანად, მართლა ტახტი იყო ის, რაზედაც გალაკტიონი იწვა, თუ დივანი. ვიდრე და მივჩერებოდი მძინარე გალაკტიონს. ეს მახსოვს და ეს. სხვა არაფერი არსებობდა ჩემთვის იმ წუთებში, ვერც ვერაფერს ვამჩნევდი, თუმცა რას შევამჩნევდი, აკი ვთქვი - ვერც იქით გამეხედა და ვერც აქეთ-მეთქი.

როგორ დაეტოვო მარტო? არა-და, ხომ უნდა წაეიდე? მე, გიყვარ-დეთ, დილაძე ვიდრე ასე, მძინარე გალაკტიონის მიშტერებული, მაგრამ მაქვს ამის უფლება? უხილავის ჩაციებული მზერა იმის ნიშანია, რომ ამდენი უფლება დი-ახაც არ უნდა მიეცე თავს. კი, ბატონო, ახლავე წავალ. აი, უკვე მივდივარ...

მაგრამ არა, მე ისევე ვდგავარ და მივჩერებივარ... მძინარე ღმერთს. ეს უკვე სიზმარია. ყოველ შეშთხვევაში სიზმარს უფრო ჰგავს, ვიდრე ცხადს.

წევს დაღლილი ღმერთი. ახო-ვანი და ლამაზი, წევს და მშვიდად სუნთქავს (ვითომ?), განიერ მკერ-დზე დიდებულად გადმოფენია ჭაღარაგარეული წვერი, ლომის ფაფარივით რომ ირხვევა ყოველ ჩა-სუნთქვა-ამოსუნთქვაზე...

უხილავის ჩაციებულ მზერას უკვე არაფრად ეაგდებ და ახლა მე თვითონ ჩაციებით მივჩერებივარ მძინარე ღმერთის სახის ხან ერთ ნა-კვთს, ხან მეორეს... მინდა სამუდამოდ აღმებეჭდოს გონებაში ეს ნათე-ლი შუბლი, ეს შეფიფქული ხშირი წარბები, მრავალამენათვე და დაღ-ლილ (თუ დაღალულ?) თვალთა ეს ამოღამებული უპეები, ეს ყვრი-მალეებიც, დიდსა და გაფანჩულ ულვაშებში ჩაკარგული ეს ტურქ-პირ-იც, ოდნავ რომ მოუჩანს...

აი, თურმე როგორი ყოფილა ღმერთი. „რა დიდებული ყოფილხ-არ, ღმერთო!“ ვდგავარ და მივჩერე-ბივარ, მივშტერებივარ, მივლენჩები-ვარ. თქვენ კარგად ხვდებით, ეს

რანაირი გაშტერება და გალენჩება. მე ვიცი, რომ ასეთი რამ ერთხელ ესიზმრება ადამიანს (რა შუაშია სიზმარი, როცა ყველაფერი, რასაც ვი-ამბობთ, სინამდვილეში მოხდა). ამიტომ რაც შეიძლება ღიღხანს — ყოველ შემთხვევაში მანამდე, ვიდრე უხილავი ძალა მაიძულებს აქედან წასვლას — უნდა ვიღვე და ვუყურო ამ ღიღებულ სანახაობას.

უცნობ მძინარე ღმერთს მთელ სახეზე მრავლისმეტყველი ღიმილი გადაეფინა და მერე არც მოშორებია... იგი ახლა ღრუბლებს ზემოთ დაფრინავს, მაღლა, სულ მაღლა, თავის საუფლოში და ნეტარებას მისცემია. მაგრამ არა, არც ასეა საქმე. ღმერთს საღ სცალია სანეტაროდ, ღმერთი იმიტომ არის ღმერთი, რომ იგი ადამიანებზე ფიქრობს და წუხს, თვითონ კი მარტოსულია, დიდი მარტოსული და ეს ღიმილიც, ახლა სახეზე რომ გადაჰყენია, სიმწრის უფროა, ვიდრე ნეტარებისა.

...გადმოჰყურებს მალლიდან ცოდვილ ქვეყანას, ადამიანებს — ჭიანჭველებითა პატარებსა და სულ მუდამ რაღაცით აწრიალებულთ — და იწვის მათი საცოდაობით, მათი სიპატარავით, და იტანჯება მათი უთავბოლო წრიალითა და უაზრო ფუსფუსით. და ფიქრობს ღმერთი: „კიდევ კარგი, რომ მე ვარ. რა გეშველებოდათ, თქვე საწყლებო, უწიმოდ?“

სიზმარში ვიყავი და სიზმრიდან გამოვედი. ახლა კი დროა წავიდე.

...და მე არ მახსოვს, როგორ წამოვედი იქიდან.

მთაწმინდაზე აღიოდა
გალაკტიონი

1952 წლის აპრილი იღვა. მწვა-ნელ ბრღვევიალებდა შაშვების გალობით გაღვიძებული თბილისი, სამისო ვარდების კოკრებით რომ უკვე იწონებდა თავს (მზის და ვარდების ქალაქი მაშინ ეთქმოდა თბილისს).

ადრიანად ვღვებოდი. ღრმაღვლე-ში ეცხოვრობდი და იქიდან ჩემს სამუშაო ადგილამდე — „სახელგამამდე“ — კარგა შორი მანძილი იყო. უნდა ვინქარო, თორემ წკიპზე კიდ-ია ჩემი საქმე: ერთხელ კიდევ რომ დაეავციანო (უკვე მესამე დაგვიანება იქნება) და ეს დირექტორმა შეიტყ-ოს, მეტი არ უნდა — მომხსნის და მორჩა! მერე უნდა ვუყარო კაკალი! ამის უფლება კი ნამდვილად არა მაქვს წვრილშვილის პატრონს.

ჰოდა, მეც გაერბივარ...

ჩვევად მექცა: ვიდრე გამომცემლობაში შევღვამდი ფეხს, იმ მოპირ-დაპირე ოთხსართულიანი სახლისკენ მივაპყრობდი მზერას, რომლის მესამე სართულზეც გალაკტიონი ცხოვრობდა. რამდენჯერმე მომიკრავს თვალი ფანჯარასთან მდგომისთვის. ახლაც იქნებ ბედმა გაბილიმოს-მეთქი, მაგრამ არა...

ის იყო, ჩვენს სამუშაო ოთახში შევედი (ე.ი. გამოცეხადი სამუშაოზე), მივესალმე ჩემამდე უკვე მისულ კოლეგებს, რომ, არ ვიცი, რატომ, ისევ უკან გამოვბრუნდი. გამოვედი თუ არა დერეფანში, პირდაპირ დირექტორს შევეფეთე. ცხა-

ღია, მივესალმე, მაგრამ პასუხად არ შეჩერებულა, ისე გამოხრული ძვლებივით მომყარა ეს სიტყვები: „რა, უკვე დაიღალე მუშაობით?“

დილიდანვე რომ ასე დაიგესლები, მერე რა ხიერი უნდა დაგადგეს, ან რა უნდა გააკეთო. მე თქვენ გეტყვით და, დიდ საქმეს ვაკეთებდი, მაგრამ მაინც არც გამიკეთებია იმ დღეს არაფერი. მე რომ იმ დღეს ხიერი ვნახე, ეს ღირდა ერთ რამედ.

ისევე შეებრუნდი ჩვენს ოთახში და პირდაპირ ფანჯარას მივადექი. გავიხედე და რას ვხედავ: გალაკტიონი გამოსულა ბინიდან, თავისი სადარბაზოს წინ დგას და პირდაპირ გამომცემლობისკენ იყურება. იქნებ ჩვენთან შემოვიდეს-მეთქი (ხშირად შემოდიოდა იმ ხანებში — მისი წიგნი გამოდიოდა) — ის იყო გავიფიქრე, რომ პირდაპირ ჩვენსკენ წამოვიდა, მაგრამ, ეტყობა, გადაიფიქრა და უცებ მარჯვნივ გაუხვია.

მყისვე შემოვბრუნდი. ჩემს შეფს, საწარმოო განყოფილების უფროსს ნოე კაკუშაძეს, რომელიც ჩემთან მეგობრულად იყო (მეც დიდ პატივს ეცემდი და ძმასავით მიყვარდა კიდეც), ვუთხარი, სტამბებში მივდივარ-მეთქი და, პასუხს არ დავლოდე-ბივარ, ისე გავემართე კარებისკენ.

— ზედვე გეტყობა, შენ რომ დღეს სტამბებში მიმსვლელი არ ხარ. წადი, მაგრამ ჭკუით იყავი, რამეს არ გადაეყარო, — ეს სიტყვები ლოცვასავით დამადგენა უკან ნოემ. „ჭკუით იყავი“ და „რამეს არ გადაეყარო“ იმას ნიშნავდა, რომ ღმერთი არ გაშწყრომოდა და ვინმესთან ერთად სადმე

დუქანში არ ამომგყო თავი.

დერეფანში რომ სწრაფი ნაბიჯებით გავიარე, კიბეებზე კისრისტეხით დავეშვი.


უნებურად იკითხავს კაცი: მაინც რა გაჩქარებდა ასე, კისერს რომ იტეხილი?

ძალიან მინდოდა (უცებ დამებადა ეს სურვილი), უკან გავდევნებოდი გალაკტიონს ისე, რომ არ შევეჩინიე, თვალი მედევნებინა, გამეგო, სად წავიდოდა ამ დილით. ვიცოდი, არსად არ მუშაობდა და, მით უფრო, მაინტერესებდა, რით, როგორ დაიწყებოდა მისი „სამუშაო დღე“.

გალაკტიონი ხიდის შუამდე მისულიყო, ახლა იქ იდგა და მტკვარს გადაჰყურებდა. მე, ცხადია, ნაბიჯი შევანელე და დაველოდე, როდის დაიბრუნებოდა ადგილიდან. კარგა ხანს იდგა, მერე, დაიძრა კი არა, უცებ მოწყდა ადგილს და ისეთი სისწრაფით გაექანა, ვიფიქრე, ეს რა ამბავია მის თავს-მეთქი.

აღმართი ისე აიარა, ნაბიჯი არ შეუნელებია, ერთიც არ შეუსვენია. არადა, ამ ხნისა და ამხელა კაცი აღმართზე რომ ლამის აირბენს, ეს ხომ რაღაცის მანიშნებელია.

ამო იყო ჩემი ტვინის ჭყლეტა იმაზე, თუ რამ ააჩქარა ასე გალაკტიონი, რა ისეთმა ფიქრმა გაუელვა უცებ თავში, რა გაახსენდა ისეთი, რომ სული არ ამოათქმევინა. ეს ჩემთვის მრავალუცხოებიანი განტოლება იყო, რომლის ამოხსნაზეც ამაოდ დავმუშავებოდი. განტოლების ამოხსნა კი არა, ძლივს ვასწრებდი უკან მიდევნებას ეს ახალგაზრდა კაცი.



აღმართი რომ აათავა, ე, მაშინ შეანელა ტემპი. უკვე აღარსად ეჩქარებოდა და მით უფრო მიკვირდა — ელბაქიმეზე რა მიარბენინებდა. აუჩქარებლად გადავიდა ქუჩის მეორე მხარეს და რუსთაველის მონუმენტს მივახლა.

ერთი თუ ორი წუთი (შესაძლოა მეტი) იდგა და შეპყურებდა საქართველოს უპირველეს პოეტს მეოცე საუკუნის უპირველესი ქართველი ლირიკოსი — „პოეტების მეფე“.

ბევრი გამვლელ-გამომვლელი შეყოვნდა გალაკტიონის დანახვაზე. მეც, სხვებთან ერთად, შორიახლო დაედექი და მივაჩერდი. ვიდექი და ვფიქრობდი — ნეტა რას ფიქრობს ახლა? შევაძინიე (ან იქნებ მომეჩვენა), რომ ბაგეებს ოდნავ ამოდრავებ-

და. ეტყობა, რაღაცას ჩურჩულებდა — რას ჩურჩულებდა?

გალაკტიონი, ცხადია, გრძნობდა ადამიანთა მისკენ მიმართულ მზერას და, ალბათ, სიამოვნებდა კიდეც, თუმცა, ვინ იცის, იქნებ რაღაცნაირ უხერხულობასაც გრძნობდა ამის გამო. ასე იყო თუ ისე, ანაზღად მკვეთრად შემობრუნდა და — ახლა კი წავედითო, თავისთვის ჩაილაპარაკა. წავედითო და წავიდა რუსთაველის პროსპექტის მიმართულებით. რა თქმა უნდა, მეც გავედი...

სად მიდის ნეტავი? — ეს გავიფიქრე და ჭავჭავაძის ქუჩისკენ გაუხვია.

„მე მოვეკდე, თუ მთაწმინდაზე არ მიდის“.

გუმანმა არ მიღალატა. ამაში

საბოლოოდ დაერწმუნდი, როცა მთაწმინდის აღმართს შეუყვია.

ლამის მთელი საათი მოუნდა მთაწმინდაზე ასვლას, ადიოდა ნელა, მძიმედ, სვენებ-სვენებით, გეგონებოდა, მთელი ქვეყნის სიმძიმე წამოეკიდებინა განიერ მხრებზე.

მთაწმინდაზე კაცის ჭაჭანება არ იყო (ეკლესიაც დაღუპებული ჩანდა) და ეს მირთულებდა საქმეს. უჩინმანინის ქუდი უნდა დამეხურა, გალაკტიონს რომ არ შევეწინიე. კარგა ხანს მეგონა, შეეძელი ეს. მაგრამ თურმე ვცდებოდი.

თუ ორიოდე გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, გალაკტიონს არც ერთი საფლავისთვის არ აუვლია გვერდი, ყველა საფლავთან შეყოვნდა, მთაწმინდის ყველა ბინადარს მაგო პატივი. და მაინც გამორჩეულთა შორის გამორჩეულთ მეტი დრო დაუთმო. ბოლოს მოაჯირთან მივიდა და თბილისს დაჰხვდა ზემოდან.

ის იყო „სამალავიდან“ გამოვედი და გადაადგილებას ვაპირებდი, რომ გალაკტიონი უცებ ასოთხმოცი გრადუსით შემობრუნდა და

– შენც აქ ხარ, ძამიკო?

გალაკტიონმა თითქოს დანამაულზე წამასწრო, ისე წამიხდა საქციელი.

– გამარჯობათ, ბატონო გალაკტიონ! – ძლივს ამომარცვლე ეს სამი სიტყვა.

– რა შორიდან მითვალთვალებ, ძამიკო, ახლო მოიწი.

მივიწიე, მაგრამ ვაი იმ მიწევას – ფეხი ძლივს ავითორიე. ძალიან ახლოს მაინც ვერ გავებედე მისვლა.

– გალაკტიონი ყველაფერს ხედავს და აძინებს, ძამიკო, ყველაფერს. – თქვა და ჩაიჭირქლა. მერე დასძინა: – ეგ არაფერი, ეგ არაფერი, ბატონო, ბატონო, ბატონო...

ირონიით იყო „შეკაზმული“ სამი „ბატონო“, ამას არ უნდოდა ღიდი მიხვედრა, მაგრამ მერე რა... გალაკტიონი მაინც ყველა ვითარებაში გალაკტიონი იყო და მე, მის თაყვანისმცემელს, მისგან გადაკრულად თუ ირონიულად ნათქვამიც წყენას როგორ მომგვრიადა.

„მაინც როდის შემაძინია?“

ახლა დროა, წავიდე აქედან, თორემ უხერხულია. გალაკტიონის რომელი მეგობარი მე ვარ, დაედგე და მუსაიფი გაეაბა, თუშცა თაყვად მითხრა, ახლოს მოიწიო.

– ბატონო გალაკტიონ, მე წავალ ახლა, ხელს არ შევიშლით, – ვთქვი და წასასვლელად გავიწიე. გალაკტიონს მაშინვე არაფერი უთქვამს, მაგრამ როგორც კი გადაედგი რამდენიმე ნაბიჯი, ეს სიტყვები დამადგნა:

– აქედან წასვლა ადვილია, ძამიკო, აქ ამოსვლაა ძნელი.

თითქოს ადგილზევე მიველურსმე.

– ვისთვის ძნელია, ბატონო გალაკტიონ, ვისთვის ადვილი, – ეს ვთქვი ჩემდა უნებურად და ის იყო კვლავ წასასვლელად გავემზადე, რომ გალაკტიონმა უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა, ვიდრე ჩემს გასაგონად:

– ღირს ახლა აქედან წასვლა, ძამიკო?

ამ კითხვაზე თითქოს წინასწარ

მქონოდა გამზადებული პასუხი, და უფიქრებლად ეუთხარი:

— თქვენ აქ, კარგა ხანია, განადღებული გაქვთ ადგილი, ბატონო გალაკტიონ, ამიტომ ახლა ნამდვილად ღირს აქედან წასვლა. ჯერ დიდხანს უნდა იცოცხლოთ, საქართველოს სჭირდება თქვენი სიცოცხლე.

ჩემი სიტყვებით ნასიამოვნები „დიდი ბავშვი“ შეიმშუშნა და, თითქოს დაიმორცხვაო, ჩემგან პირი იბრუნა, მერე ისევ მობრუნდა და გაღიმებულმა, მკითხა:

— შენც გჭირდება, ძამიკო, ჩემი სიცოცხლე?

გაღიმებულ გალაკტიონს ღიმილითვე მიუხედავ — რა თქმა უნდა, ბატონო გალაკტიონ! — და იმის შეგნებით, რომ ჩემი იქ ყოფნა უკვე ზედმეტი იყო, გავეცალე იქაურობას.

თავდაღმართზე ისე დავეშვი. უკან არ მომიხედაღს. თუმცა ძალიან მინდოდა მოხედვა.

გალაკტიონის ცრემლი

უდიდესი მარტოსული და ტრაგიკული პიროვნება გახლდათ გალაკტიონი. უფიქრობ, თქმულის თავისებური დასტურია ის შემთხვევა, რომლის შესახებაც ქვემოთ ვიამბობთ.

1958 წლის გაზაფხული იდგა — შუა მაისი. „სახელგამიდან“ მოშხამული მოვიღოდი: გვემამი შეტანილი წიგნის გამოცემაზე უარი მითხრეს — აქაოდა, ხელნაწერი დროზე არ წარმოგიდგენიაო. ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში მინდოდა მოე-

სულიყავი და იქ ორიოდე ლექსი დამეტოვებინა. „მნათობის“ რედაქცია მაშინ 11-სართულიან სახლში იყო მოთავსებული.

ის იყო მივედი 11-სართულიან სახლამდე, რომ...

აგრემლებული გალაკტიონი შემომეფეთა წინ. ეტყობოდა, „მნათობის“ რედაქციიდან იყო გამოსული. ღმერთი, რჯული, გალაკტიონი ტიროდა!

დავიბენი. ისე დავიბენი, რომ ენის მობრუნება გამიჭირდა.

იმწუთას მე ჩემი წიგნიც დამავიწყდა, რომლის გამოცემაზეც უარი მითხრეს. ის ლექსებიც, „მნათობში“ რომ მიმქონდა და თავიც.

არ ვიცოდი, რა მეთქვა. არადა, გალაკტიონმა, რომელიც მე, მაშინ თითქმის ყველასთვის უჩინარს, — წარმოგიდგენიათ? — მცნობდა და გვერდსაც არ მიეღოდა, დამინახა თუ არა, ერთიანად აცახცახებულმა, ბავშვივით შემომჩვილა:

— რას მერჩიან, ძამიკო, ჰა?!

დავიბენი-მეთქი — ეს სიტყვა ვერ გამოხატავს იმას, რაც მე მაშინ განვიცადე.

იდგა გალაკტიონი და — გინდ დამიჯერეთ, გინდ არა — იცრემლებოდა.

იდგა-მეთქი... აგერ, ახლა აქ რომ იდგა, უცებ მოსწყდებოდა ადგილს და ჩქარი ნაბიჯებით წავიღოდა, გადადგამდა 10-15 ნაბიჯს და ისევ უკან ბრუნდებოდა. ასე — მიდიოდა და მიდიოდა ჩქარი ნაბიჯებით და ერთსა და იმავეს იმეორებდა: — რას მერჩიან, ძამიკო, ჰა?!

მინდოდა მეკითხა, რა მოხდა-
 მეთქი. მაგრამ ვერ შევებდე. არადა,
 ძალიან მაინტერესებდა, ვის შეეძ-
 ლო ასე გაენაწიენებინა ეს საფერე-
 ბელი კაცი. აუედი რედაქციაში.
 რედაქტორის კაბინეტის კარის შუღვა
 და მოხურვა ერთი იყო. სიმონ ჩიქო-
 ვანს, არჩილ სულაკაურს და რევაზ
 ჯაფარიძეს მოკვარი თვალი. გალაკ-
 ტიონი ქვეყანას მერჩია და ალბათ
 ამიტომ იყო, რომ სამივე მათგანზე
 მეტ-ნაკლებად მომერია ბრაზი.

იმჟამად სოხუმში ვცხოვრობდი
 და თბილისში რამდენიმე დღით ვი-
 ყავი ჩამოსული. იმ დღესვე გავბრუ-


ნდი უკან.

განვლეს წლებმა, თბილისში
 არამტოუ წიგნის გამოცემა. ჩამოსე-
 ლაც კი არ მიფიქრია კარგა ხანს.

...მე ერთადერთი თუ არა, ერთ-
 ერთი იმათგანი მაინც ვარ, ვინც
 იხილა აცრემლებული გალაკტიონ-
 ნი.

„ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენ-
 ზეო“, ამბობს ჰოეტი ბესიკ ხარანაუ-
 ლი ერთ ლექსში (დიდებულადაა
 ნათქვამი!).

ახლა წარმოვიდგინოთ, რამდენი
 ცრემლით მეტი იყო გალაკტიონი
 ჩვეულებრივ მოკვდავზე.



ზურაბ სარჯველაძე

გალაკტიონის ერთი ლექსის ზოგი ადგილის გაგებისათვის

გალაკტიონ ტაბიძის შესანიშნავ ლექსში „ქებაა ქება ნიკორწმინდას“ კითხულობო:

გზნებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით,
ქარგით დამქარგავი
ნაზი შუქურთმებით...

ნეტა ეინ მოქარგა
და როცა მოქარგა,
შიგ მიქარგ-მოქარგა
გზნება - ნიკორწმინდა!

აქ ყურადღებას იქცევს ფორმები: „დამკარგავი“ და „მიქარგ-მოქარგა“. ერთი შეხედვით, თითქოს მათი მნიშვნელობა ნათელია. „მიქარგ-მოქარგა“ უნდა ნიშნავდეს „მიმოფანტა“, ხოლო „დამკარგავი“ მიძლეობად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც „დაკარგვა“ ზმნისაგან არის ნაწარმოები¹. მაგრამ ამ გამოთქმებს თუ ასე გავიგებთ, მაშინ ნიკორწმინდის ზურთთმობღვრის როლის ერთგვარ გაუბრალოებას მივიღებთ, რასაც გალაკტიონი არ დაუმკვებდა („რა ხელმა ააგო...“).

გალაკტიონ ტაბიძე ძველი ქართული ენის ჩინებული მცოდნე იყო. ეს არაერთხელ გამხდარა სპეციალისტთა ყურადღების საგანი. ეს ამ ლექსიდანაც მშეენიერად ჩანს: „ცით“ ძველი ქართულისათვის კარგად ცნობილი ფორმაა და ნიშნავს „ციდან“. „ქებად“ ძველ ქართულად იქნებოდა „საქებრის, შესაქებად“. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია „ეროვან“ სიტყვის გამოყენება:

შენის სულმნათისად
ასვლა ეროვანი:
ყელი გუმბათისა
მაღალღეროვანი...

საქმე ისაა, რომ ძველ ქართულში გვხვდება „ეროვან“ სიტყვა და იგი „ბრწყინვალე“-ს ნიშნავს: მოსე, რომელმან ილოცა აეროვან იქნა პირი მისი, *სინ. მრავალთ. 114,12* ეწუენეს მათ აეროვნითა ხილვითა, რამეთუ აეროვნითა ხილვითა მით დაუმტკიცოს აღდგომად იგი, *კლარჯ. მრავალთ. 228,31-32* მოკუეთეს ხმ ერთი აეროვანი და დიდად შუენიერი, *იქვე 311,15-16*.

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „დამკარგავი“ იგივეა, რაც „დამკარგველი“ და ახსნილია ასე: „ვინც (და)კარგავს“ (III ტ. სვ. 1425). ამ შემთხვევაში გალაკტიონისეული გაგება არაა გათვალისწინებული.



ნიკორნმინდა. ფასკუნჯები

დასტურდება ამ სიტყვის „პეროვან“ ვარიანტიც: ვითარცა დიდებულ და პეროვან იპოვა პირი შენი წინაშე თუალთა ჩემთა, *I ძეგ. 26, 24 (1)*; რაბამაღლა პეროვან და დიდებულ იყავ რადმე შენ დღეს, რაჟამს განკურთული მოხვლოდე წინაშე მონათა და მჭევალთა შენთა, *II ძეგ. 6, 20 (1)*; შემოვიდა სხუად კაცი, პეროვანი ხილვითა, *Sin.-II 252 r*; შუენიერებითა ბუნებითა მისისადათა არს იგი, ვითარცა თუალი დაბადებულთა შორის პეროვან, ექუს დღეთ. (აბ) *78, 18-19*, ერუენეს მათ პეროვნითა ხატი-

თა, რადთა პეროვნითა მით ხილვითა დაემტკიცოს აღდგომაჲ იგი, *Atli.-II 109r*.

კავშირი გალაკტიონისეულ „ეროვან“-სა და ძველქართულ აეროვან-/პეროვან-ფორმებს შორის ეჭვს არ უნდა იწვევდეს. უნდა აღინიშნოს, რომ „ეროვან“ სიტყვას ბრწყინვალის მნიშვნელობით იყენებდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც: „საგლოოვ ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვანთა“².

ძველი ქართულის უკანასკნელ პერიოდში თავს იჩენს „კარგ“ ძირი და მისგან წარმოქმნილი ფორმები.

² ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (III ტ. სვ. 1425) დამოწმებულია ეს მაგალითი და მიითებულა: ხელოვნურა.

ეს სიტყვა ქართულში ნასესხებია ჩვეულუბრივ იგი გვხვდება რიგის, წესის მნიშვნელობით:

კარგი რიგი ასწავიან თაყუანისცემად და სახელ-სახელი კარგი და სიტყუის-გებად, *ფსლპ. ძლიასთვის 147,26-27*, სამეოცდათორმეტა მათ თარგმანთა შესძინეს „ლოცვისა ჩემისასა“ და განაცოცხლეს კარგი იგი, *ეპიფ. კჰპრ. 16,11-1* გამოეწერტე კარგად-კარგად ყოველთავე სამოციქულოდ წიგნი, *ეფთაღ. 18,17*.

წესიერება ვისწაოთ მისგან სათნოებად და წესი, საქმედ კეთილი და სამართალი სახშ, სიტყუად და კარგი, *სიმ.-97 228rh*.

გვხვდება კომპოზიტი ოთხკარგი, რომელიც ოთხრიგს, ოთხმწკრივს აღნიშნავს: რამეთუ ფერხთა შესასხმელისა სამოსელსა იყო ყოველი სოფელი, და მამათა დიდებანი ოთხკარგთა მათ ანთრაკთა გამოქანდაკებულ, და დიდებად შენი - შარავანდსა თავისა მისისასა, *სიბრძნ. 18,21 O*.

„განკარგვა“ დაწესებას, განწესებას (მოწესრიგებას) აღნიშნავს: განუტევენა მღვდელნი და განკარგა ყოველი წესი ქრისტიანობისა, *მოქ. ქართლ. (შატბ. კრებ.) 220,4*, რომელ-იგი მელანითა არს რიცხუ, რაოდენ არს თავები, მას ხოლო აუწყებს ხოლო რომელი იგი ზანდუკითა არს, აუწყებს თითოეულისა წიგნისა წაშებათა განწესებასა ერთბამად და რაოდენ არს თითოეულსა მას ეპისტოლესა, და განკარგებს კუალად შინაგან ეგრევე თანადწერილსა მას რიცხუსა მათ თუთ სი-

ტყუათა სამოციქულოდსა კარგთა, *ეფთაღ. 18,18*, რომელი იხილვა - კეთილად განგებულებად, განკარგა ქუეყანასა სომხითისასა, *ლიტ. ურთ. 59,18*, მუნვე განკარგა სიტყუად იგი თუსსა ადგილსა ვარსკულავისა მის დასწავლითა, *ეპიფ. კჰპრ. 24,13-14*, რომელი იყო მის თანა განგებისა და განკარგვისათვის საქმეთა ეკლესიისათა, *სცი.-142 105r:17-19*; მოქმენ იყო ჯელოვნისა ვისმე ბრძნისა განკარგუსათვის და განკარგებისა, *აილ.-29 27,24-27h*.

ამ ნასახელარი ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობაა მორთვა, შემკობა: ცადცა ესე ხილული უბრწყინვალეს და უვალრეს გამოაჩინა და მრავალსახშობითა მით ვარსკულავთადთა განკარგა იგი, *აილ.-29 79, 34a-3b*.

სწორედ აქედან მომდინარეობს მიმღეობური ფორმა „განკარგული“, რაც გაწყობილის, მორთულის მნიშვნელობით იხმარება: ზურმუხტითა ჰინდურითა განკარგული, *იოანე ოქროპ ასკეტიკ. 136,4-6a*; ზეზი და ჭიჭნაური პირად-პირადად ჭრელებულ არს თითოსახეთა ოქრომკელთა მიერ და ბრძოლათა და მხეცთა, ანუ თუ მეფეთა სხუათა რათმე ტუშლთა სახეთა მიერ განკარგულ, *აილ.-14 82r: 2-9a*. „განკარგული“ მიმღეობა გვხვდება დაწესებულის მნიშვნელობითაც: ხოლო კპოვო წითლითა მით რიცხუ განკარგებული კუალად შინაგან დაწერილი მათ სიტყუათა მოციქულისა მუჯლთა, *ეფთაღ, 20,6*.

კარგ- ძირისაგან და- ზმნისწინით ნაწარმოებია „დაკარგვა“, რომელიც

მნიშვნელობის თვალსაზრისით ძალზე უახლოვდება „განკარგავ“-ს და დაწესებას, დადგენას ნიშნავს: რადთა არაოდეს დაიკარგოს მონასტერსა შიგნით ბერძენი ხუცესი, ანუ მონაზონი, *ქეტრიწონ. 24,0*, ეგრეთვე ეგუტერსა შინა წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისასა მღვდელი ერთი დაიკარგოს, *იქვე 27,2*

გალაკტიონ ტაბიძისეული „დამკარგავ“-ისათვის სწორედ ამ ზმნის ძველქართულისებური მნიშვნელობა ამოსავალი. „დამკარგავი“ ნიშნავს დამწესებელი, მოძრთველი, შემამკობელი.

დასტურდება „საკარგავ“-ი მიმღეობა, რომლის მნიშვნელობაა: გასაცემი, გადასახადი: საკარგავისა არა მიცემისათვის წინამძღურისაგან ძმათაგანსა, *ქეტრიწონ. 0,38*, ვითარმცა აღმოსავალეთისა ანუ დასავალეთისა მონასტერთა წესისაებრ წინამძღუარმან საკარგავი მისცა ვის ძმათაგანსა, *იქვე 32,1* უკუეთუ ნაკლულეკუნებდენ, საკარგავები მათი აღრიცხვით განმგეთა განეჩინებოდედ, *დიდი სჯ. 159,1*

„საკარგავ“ მიმღეობისაგან არის წარმოქმნილი „მოსაკარგავი“-საკარგავის (მფლობელობაში გადაცემული მიწის) მფლობელი: აწ ვინცა ჭანხოთ ბრძანებად და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, აზნაურთა, მემამულეთა და მოსაკარგავთა, *გიორგი*

მეფ. სიგ. 371,7-8.

მეთერთმეტე საუკუნიდან „კარგ“ ძირი იხმარება იმ მნიშვნელობითაც, რაც მას დღევანდელ ქართულშიც აქვს: მე ბერი ვარ და კარგი სათხროლიცა არა მაქუს, *ძარხლ. მრავალთ 642*; *2-41*; უკუეთუ კულა მიხილნენ ჩუენ ბანილად და კარგითა მოსილად, *A-1105 22*; ჰაეი სიტყუად კმთილსაცა ბოროტად გარდაქცევს და კარგი სიტყუად ბოროტსაცა კეთილად შესცვალებს, *იქვე 350*; კეთილი სამე მცეელი დაგიტევე სულსა ჭაბუკისასა და კარგი მწყემსი ქრისტეს ცხოვართაგ შეგქმენ, *მეექუს. ფსალმ. 159,1-41*; ითქუას კარგები დასდებლები, *Jer-21 127*; *9-10*. ამდენად, დასაზუსტებელია კ. დანელიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ სიტყვამ ახალი მნიშვნელობა „სამუალო ქართულში მიიღო“.

ძველ ქართულში ამ მნიშვნელობას კეთილი გადმოსცემდა, რომელიც კთვზმნის მიმღეობას წარმოადგენს: ანუ ყავთ ხმ იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი კეთილ, *მ. 12,33 (ხანძ)*, მარიამ კეთილი ნაყოფი გამოირჩია, რომელი არასადა მიხელოს მისგან, *ლ. 10, 12 (ხანძ)*, კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი, *მ. 12,35 დ სხვ.*

მის ანტონიმს „უკუეთური“ წარმოადგენდა, რომელიც აგრეთვე კუთვზმნური ძირისაგან არის წარმოქმ-

³ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში ძალზე იშვიათია პირველადი ზღვსართავი სახელები, მათი უმრავლესობა მიმღეობებისაგან მომდინარეობს (კეთ-ილ-ი, წულ-ილ-ი, სხუ-ილ-ი, ვრც-ელ-ი, გრძ-ელა...), ან ნასესხებია (საეტაკ-ი, შავ-ი, ბოროტ-ი, ავ-ი...).

მშენიარის ძვირია ენა

ილი: ვერ წელ-გეწიფების კეთილის სიტყვად, რამეთუ თქვენ უკეთურნი ხართ, *მ 12,31 (ხანძ.)* უკეთუ თქვენ, უკეთურთა, ხიცით ნიჭისა კეთილისა მიცემად შეილთა მათ თქვენთა, *მ 7,11 (ხანძ.)* უკეთუ თქვენ, უკეთურთა, ხიცით საცემელი კეთილი მიცემად შეილთა თქვენთა, *ლ. 11,3 (ხანძ.);* უკეთური ერჩინ ენასა ურჩულთასა, *იგავნი 17,10* და *სხვ.*

აეი/ჰავი ქართულში ნასესხებია: ანუ ჰავს იზმნიდეს ჰავითა ზმნითა, ანუ წამლებდეს წამლითა, *II შკ:ულ. 18, 10 (მცხეთ.)*; ნუ დაიძინებ სენაკსა შინა მონაზონისა, რომლისა სახელი ჰავი განსრულ იყოს, *A-1105 26v*; დია ამასა ჟამსა და შლილობისასა და-ვწერე, *Q-1062 (ანდერძი)*.

რაც შეეხება ცულ- სიტყვას, მას ძველ ქართულში სრულიად განსხვავებული მნიშვნელობები ჰქონდა: ფუჭი, ამაო, ცარიელი; იგიცა გუემეს და

წარავლინეს ცული, *ლ. 20,11 (ხანძ.)* დაუძიძლინ საქმე კაცთა მათ და ზრუნვიდენ და ნუ ზრუნვენ სიტყუასა ცულსა, *გამოსლვათა 5,9 0*; არა მიხედნა მან ცულსა, არცა უცნებასა ტყუილისასა, *ფსალმ 39,3* გნებავს ცნობად, ზ, კაცო ვინმე ცულო, რამეთუ სარწმუნობად თვნიერ საქმეთასა ცულ არს, *აკოშ 2,20*, მდიდარნი განაბნინა ცულნი, *ლ. 1,53* და *სხვ.*

XII საუკუნიდან „დაკარგვა“, როგორც ჩანს, უკვე იხმარებოდა მისი დღევანდელი მნიშვნელობით, რასაც მოწმობს შემდეგი ნიმუში: კარაულისათვის შენისა დაკარგულისა, დღეს მესამე დღეა; ნუ იგონებ გულსა შინა მისთუს, რამეთუ გეპოოს, *I მეფ. 9,20 (გელ)*.

უნდა ვიფიქროთ, რომ გალაკტიონის ლექსში „მიჰკარგ-მოჰკარგა“ ნიშნავს არა „მიმოფანტას“, არამედ მისი მნიშვნელობა: დააღაგა, დაამწყკრივა.



ჯული გაბოძე

„სახსოვართა ოქროს ფონდი“

„დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს ეს წელიწადი, დრო და საათი“, — წერდა გალაკტიონი, — მაგრამ „პრაქტიკაში ამ თეზისის დამცველი არ ყოფილა... შეიძლება მისთვის მართლაც მთავარი იყო ლექსი, როგორც ხელოვნების ნიმუში და გარკვეული თვალსაზრისით დროზე მაღლა მდგომი. შეიძლება სხვა მოტივიც ამოძრავებდა. ფაქტი ისაა, რომ ამგვარი აღრევები ბევრზე ბევრია“ (6. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ., 2002, გვ. 381).

1938 წლის 22 დეკემბერს გაზეთში „მუშა“ გამოქვეყნდა ლექსი „ჩემი სიმღერა“*, რომელიც გალაკტიონს მეორე დღეს „მწერლების კლუბშიც“ წაუკითხავს „საქართველოს სახალხო პოეტის, ორდენოსან გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მუშაობის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე“.

პოეტის სიცოცხლეში ეს ლექსი 6-ჯერ დაიბეჭდა. უმეტესად ამ ლექსით იხსენებოდა მისი კრებულები. ერთ გამოცემას (თხზ., ტ. III, 1940 წ.) ეს რუბრიკა იწყებს — „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“.

ლიტერატურის მუზეუმში შემორჩენილია ამ ლექსის II ავტოგრაფი და რამდენიმე ავტორიზებული ნაბეჭდი. ერთი უცნობი ავტოგრაფი იაკობ ნიკოლაძის არქივიდან ახლახან გადმოგვცა თენგიზ მირზაშვილმა. დათარიღებულია მხოლოდ ერთი ავტოგრაფი 7730 (C)** 1941 წლით და ერთიც — ნაბეჭდი წყარო („რჩეული“, 1959, გვ. 219) — 1934 წლით. როგორც კრებულის შემდგენელი ვახტანგ ჯავახაძე იხსენებს, ამ „რჩეულში“ ლექსთა თარიღები გალაკტიონს ეკუთვნის, ამიტომ „ჩემი სიმღერა“ ყველა შემდგომ გამოცემაში დათარიღებულია 1934 წლით! ლექსის ყველა ხელნაწერისა და ნაბეჭდი წყაროს შესწავლამ გაგვიჩინა ეჭვი, რომ იგი ამ დროს არ უნდა იყოს დაწერილი!

B(3424) ავტოგრაფი, რომელიც ლექსის ერთ-ერთი (შესაძლოა, პირველი) შავი ხელნაწერია, შესრულებულია ფანქრით სანოტო რვეულის ფურცელზე. ჯერ ჩამოწერილია რითმები, შემდეგ კი პოეტს ლექსის თხზვა დაუწყია. ავტოგრაფში ერთობ მდიდარი მასალა არა მხოლოდ ლექსის შექმნის

* წერილში ლექსის ვარიანტები მითითებულია გალაკტიონის თხზულებათა თორმეტტომეულის მიხედვით. ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია პირველი ნაბეჭდი წყაროს მხოლოდ წელი - „მუშა“ 1938. (ტ. VI, გვ. 268).

** ახალი ნომრით: სლმ 452, №5.

პროცესზე, არამედ იმ რეაქციებზეც, პოეტის „სახსოვართა ოქროს ფონდს“ რომ შემოუნახავს.

გალაკტიონს რამდენიმე სათაური მოუსინჯავს: ჯერ დაუწერია „Romans“, მერე — „ოქროს ქნარი“, შემდეგ „სახსოვართა ოქროს ფონდი“, ბოლოს კი „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“.

ხელნაწერებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ავტოგრაფები და უკვე მზა ლექსიც, აშკარად თუ ფარულად, ინახავენ ოლია ოკუჯავას ხსოვნას!

გალაკტიონი მაშინაც მარტო იყო, როცა მუშაობდა ცოცხალი ჰყავდა. მათ სიყვარულს იმთავითვე ცალ-ცალკე ყოფნა დაეებდა. ისინი წერილებით და იოხებდნენ გრძნობებს, ოლია — ჭიათურაში, გალაკტიონი — ქუთაისში. რუსეთში მყოფ ოლიას და საქართველოში დარჩენილ გალაკტიონს ისევ სიყვარულის ბარათები შუამავლობენ. მერე ოლიას პირველი გადასახლება 1929 წელს შუა აზიაში, შემდეგ მეორე გადასახლება 1936 წელს. მათი თანაცხოვრების წლები თითებზე დაითვლება. 1941 წელს ბედმა ისინი საბოლოოდ გაყარა. ოლია ოკუჯავა დახვრიტეს. რა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში გალაკტიონს წარმოსახვებითა და მოგონებებით ეცხოვრა და სახსოვართა ოქროს ფონდი „შექქმნა“. წლების მანძილზე გალაკტიონის „სახსოვართა ოქროს ფონდი“ ოლიას „სისხლის ცრემლნატოვარი“ ბარათებით, „ცრემლნატოვარი ვარდის“ ფურცლებით, „გადარჩენილი მოგონებებით“ და ერთად ყოფნის აუხდენელი ოცნებებით ივსებოდა. ამ ფონდში მრავლადაა „წარსულ დღეებზე მგლოვარი“ სურათები. აქვეა ოლიას ლალისთვლიანი „ბეჭედი ძვირფას ალთა მთოვარი“ და მისივე „საფერფლე დარდთა დანატოვარი“.

„უიშედობითა და გაურკვევლობით დაბეჭავებული“ და „დარდისგან განადგურებული“ (მისი სიტყვებია) პოეტი საგანგებოდ უფრთხილდება ამ ძვირფას რელიკვიებს და ქმნის შედევრებს, რომელთაგან, ვინ იცის, რომელი ვის მოგონებას და ხსოვნას ინახავს, რა ასოციაციათა პირმშოა.

სხვათა შორის, ლექსის ერთი სტროფი ოლია ოკუჯავას დღიურსაც შემოუნახავს (G— 142, დღ. გვ. 11). ჩანაწერით, რომელიც 1936 წლის 22 მარტით თარიღდება. ირკვევა, რომ იმხანად დიდ წიგნს ადგენენ. წლის ბოლოს ოლია გადასახლეს გალაკტიონს რვეული შემოუბრუნებია და მეორე მხრიდან დაუწვია წერა.

ერთ გვერდზე რითმებია ჩამოწერილი, მეორეზე კი ასე იწყებს ლექსს:

როცა — ყველას რაიმე აქვს სახსოვარი
ზოგს — ჩაის ვარდი წიგნში შთენილი,
ზოგს — სურათები, ზოგს — ნაქსოვარი,
ზოგს — მოგონება გადარჩენილი
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

Handwritten notes in the left column, including phrases like "Handwritten notes" and "Handwritten notes".

Handwritten notes in the top right section, including phrases like "Handwritten notes" and "Handwritten notes".

Handwritten notes in the middle right section, including phrases like "Handwritten notes" and "Handwritten notes".

Handwritten notes in the lower left section, including phrases like "Handwritten notes" and "Handwritten notes".

Handwritten notes in the lower right section, including phrases like "Handwritten notes" and "Handwritten notes".

Handwritten notes in the middle left section, including phrases like "Handwritten notes" and "Handwritten notes".

Handwritten notes in the bottom left section, including phrases like "Handwritten notes" and "Handwritten notes".

Handwritten notes in the bottom right section, including phrases like "Handwritten notes" and "Handwritten notes".

აქვე სტროფები ლექსებისა: „ჩელუსკინელების ხიდი“ და „კონსტიტუცია“ (ჩელუსკინელების ხიდი გაიხსნა 1935 წლის 5 აგვისტოს, კონსტიტუცია მიიღეს 1936 წ. 5 დეკემბერს). ეს ლექსები დასრულებული არაა, ისინი მოგვიანებით უკვე შეცვლილი სახით გამოაქვეყნა პოეტმა: პირველი უსათაუროდ (თხზულებანი, IV, 1940 წ., გვ. 149). მეორე ამ სათაურით — „ტყეში დღეა თუ ბნელა“ (თხზ., ტ. VII, 1950, გვ. 22).

როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით საინტერესოა ლექსის B ვარიანტი, რომელიც უფრო თანმიმდევრულად ასახავს შემოქმედებით პროცესს. პირველი სტროფი ჯერ ასე იკითხებოდა:

ზოგს წიგნში ვარდი ცრემლნათოვარი
ზოგს ოქრომკედის მინაქსოვარი,
სურათი წარსულ დღეთა მგლოვარი
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

შემდგომში სიტყვა „წიგნში“ ასე შეცვალა: „ჩაის“. ეს სტრიქონი სხვადასხვა ვარიანტში სხვადასხვაგვარად იკითხება: „ჩაის ვარდი წიგნში შთენილი“, „ვარდი — წიგნში ჩანატოვარი“, „ვარდი ცრემლნათოვარი“. ვარდის ეპითეტი სიგან „ცრემლნათოვარი“, რომელსაც ღრმა აზრობრივი დატვირთვა აქვს, საბოლოოდ, პოეტმა, როგორც ჩანს, სწორედ აზრობრივი გამჭვირვალეების გამო შეიკავა თავი და მარტივი მსაზღვრელ-საზღვრულით დაკმაყოფილდა. თუმცა „ჩაის ვარდიც“ საკმარისია იმისთვის, რომ გალაკტიონს გაახსენდეს ოლიაც და მისი დანატოვარი ვარდის გამხმარი ფურცლებიც, რომლითაც სავსეა მისი არქივი. ამ ორი სიტყვით („ჩაის ვარდი“) პოეტი, ალბათ, იმ ყვავილთა სურნელებასაც შეიგრძნობს, რომელთაც ოლია ბარათებით უგზავნიდა:

„მიიღე ჩემგან ხავერდოვანი ვარდების თაიგული“, „გალ, ყვავილების თაიგული იყიდე და შენ საწერ მაგიდაზე ლარნაკში ჩადე ჩემი ხსოვნისთვის“, — სწერს ოლია 1939 წლის 3 სექტემბერს. „მიიღე ჩემგან ეს მინდვრის ყვავილები, ისინი ნორჩებია და უტყვი, მაგრამ თავდავიწყებით მოისწრაფიან შენსკენ“ — 1941 წლის 14 მარტი.

ამგვარმა შეკვეცამ (შშვენიერ მეტაფორულ ეპითეტს — ცრემლნათოვარს-შეელია!) პოეტს საშუალება მისცა, „ჩაის ვარდის“ გვერდით „კინოვარი“ შემოეღებინა. ამ სიტყვას, ვფიქრობთ, თავისი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

მესამე სტრიქონი „სურათი წარსულ დღეთა მგლოვარი“ სხვა ვარიანტებში ასე შეუცვლია პოეტს: „სურათი რამე კარგზე მგლოვარი“. ცხადია, „კარგზე მგლოვარი“ უფრო შთაბეჭდავი სახეა! მიძლეობა „მგლოვარი“ „წარსულ დღეთა“ გვერდით საწყის ვარიანტში გამჭვირვალე ქვეტექსტს კი ქმნიდა,

მაგრამ აზრობრივი ტავტოლოგიაც იყო — სურათი თავისთავად გულისხმობს წარსულის (ტკბილის თუ მწარის) ხსოვნას. კონტრასტული სიტყვათშეთანხმება „სურათი რამე კარგზე მგლოვარი“ კი უფრო შეფარული შინაარსისაა და მეტი აზრობრივი სიღრმე აქვს.

გალაკტიონის მდიდარ ფოტოარქივში ოლიასთან ერთად გადაღებული სურათი, მგონი, მხოლოდ ორია. ერთი 1913 წლით თარიღდება. ორივე ახალგაზრდები არიან: „აღმოვაჩინე აგრეთვე ჩემი უსაყვარლესი სურათი, რომელზედაც მე და შენ ვართ გადაღებული. ერთადერთი ფოტოა ჩვენი“, — სწერს ოლია.

„გალაკტიონოლოგიაში“ (I, 2002, გვ. 237) მოთავსებულია მეორე სურათი, რომელიც წაღვერშია გადაღებული 1933 წელს. ოლია აქ ბევრად უფრო ასაკოვანი მოჩანს. იგი ჯობზეა დაყრდნობილი. გალაკტიონი საოცარი მზრუნველობითა და სითბოთი დასცქერის მას. იქნებ რომელიმე მათგანის ხილვამ (ან სულაც სხვა სურათმა) აღუძრა პოეტს ტკბილ-მწარე მოგონებანი.

საკმაოდ ნასწორებია ლექსის მეორე სტროფი, რომელიც თავდაპირველად ასე იკითხებოდა:

ხმალი ომებში სახელოვანი / ძველთაგან დანატოვარი,
ბეჭედი ძვირფას ალთა მთოვარი.
თმა ძვირფასისა, იდუმალი გზით ნაშოვარი,
როგორაც განძი ძნელსაშოვარი
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ამ სტროფის გვერდით ახალი ვარიანტია შექმნილი:

ბარათი გულში ცრემლნათოვარი / სისხლის ცრემლნატოვარი

მესამე სტრიქონი კი საბოლოოდ ასე გამართა პოეტმა:

თმა, როგორც განძი, ძნელსაშოვარი.

ეს ცვლილება, შესაძლოა, სტროფის მეტრულმა სტრუქტურამ განაპირობა (პირველ ვარიანტში ხუთი სტრიქონია და აქედან ერთი — 14 მარცვლიანი საზომითაა გაწყობილი, მაშინ როცა ლექსი ათმარცვლიანი კატრენითაა დაწყებული). ისიც შესაძლებელია, რომ სწორება საიდუმლოს შენახვის სურვილით მოხდა — შეინიღბა, ვის ეკუთვნოდა „თმა — იდუმალი გზით ნაშოვარი“. თმა, ეტყობა, იმდენად ძვირფასი რელიკვია გალაკტიონისათვის, რომ „ძველთაგან დანატოვარსა და ომებში სწორუპოვარ ხმალს“ შეეღობა, თმას კი — ვერა (გავიხსენოთ ლექსი „უძილო ღამეები“: „მე შენი თმები გულთან ჩავიწყე“).

უფრო მეტიც, არსებობს ერთი ავტოგრაფი, უფრო სწორად ფრაგმენტი, სადაც წერია:

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი
თმა, სურათები ან ყვავილები (L №135)

უბის წიგნაკში ჩაწერილი ეს სტრიქონები მოქცეულია ორ ლექსს შორის: „სპინოზა“ (1937 წ.) და „ათანასეს უხარია“, რომელსაც უზის თარიღი: 1938 წ. 14. II.

მივუბრუნდეთ ისევ B ავტოგრაფს, რომელშიც, მრავალი სწორების მიუხედავად, პოეტს უცვლელად დაუტოვებია შემდეგი რელიკვიაც: „ბეჭედი ძვირფასი ალთა მთოვარი“. ოლიას წერილიდან ირკვევა, რომ იგი, მართლაც, ძვირფასი სახსოვარია: „გალ, არ დაკარგო ჩემი ლალისთვლიანი ბეჭედი, შენ რომ მიყიდე“, — სწერს იგი 1938 წლის 20 ნოემბერს.

ცვლილებების შემდეგ სტროფმა ასეთი სახე მიიღო:

თმა, როგორც განძი ძნელსაშოვარი
წიგნი რამ — ომით მონაპოვარი
საფერფლე — დარდთა დანატოვარი
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

სხვა ვარიანტებში საფერფლის „პატრონი“ ხან მამაა (მამის დანატოვარი), ხან — დედა (დედის დანატოვარი — ი. ნიკოლაძის არქივი).

აზრობრივად უფრო ღრმა და ტევადი B ხელნაწერის სტრიქონი ჩანს: „საფერფლე — დარდთა დანატოვარი“.

ვინ იცის, ვის ან რას ახსენებს ეს საფერფლე გალაკტიონს, მაგრამ აშკარაა, რომ იგი „დარდთა დანატოვარი“ და „ფიქრთ ამშლელია“.

„გალ, რა ეშმაკი ხარ, პაპიროსის ფული რომ არ დამიტოვე, იცი, ვინერვიულებდი და პაპიროსი მომინდებოდა, მაგრამ არა უშავს, ვინმეს გამოვართმევ“, — წერია ოლიას დღიურში.

ბევრი ვარიანტი მოუსინჯავს გალაკტიონს ლექსის ბოლო სტროფის შესაქმნელად. ჭირს კიდევ მათში საბოლოო ტექსტის ამოკითხვა; მიმართვა ბევრნაირად იცვლება: „მეც, მეგობრებო“, „პოი, სამშობლოვ“, „ო, საქართველოვ“, „ო, სამშობლო“ და სხვ. მაგრამ აქ ვკითხულობთ ერთ საგულისხმო ფრაზასაც:

ძვირფასო, ამის ვარ მსასოვარი
მიიღე (სახსოვრად) ჩანგი სწორუპოვარი.

კითხულობ ამ ვარიანტებს და გიჩნდება აზრი: რადგან ყველას რაიმე აქვს სახსოვარი და თავად პოეტს სახსოვართა მთელი ფონდი დარჩა, სურდა, „ძვირფასისთვის“ ეძღვნა თავისი „ჩანგი სწორუპოვარი“! მაგრამ სიფრთხილე და გონიერება არც ამ ემოციური აღმაფრენის დროს ტოვებს და ლექსის საბოლოო ტექსტში ჩანგსა და გულს სამშობლოს სთავაზობს.

როგორც გალაკტიონის შემოქმედების მკვლევარნი მიუთითებენ, იგი, საზოგადოდ, „მიძღვნის“ პოეტი არ არის (ა.კ. ხინთიბიძე), მაგრამ მისთვის ნიშანდობლივია, რომ ლექსის წერას კონკრეტული პიროვნების შესახებ იწყებს, ბოლოს კი, გარკვეული მოსაზრებით, მამულის ან ბელადის სახელით ამთავრებს (ვ. ჯავახიძე). ვფიქრობთ, ესეც შენიღბვის მისეული ხერხია, დროითა და გარემოებებით განპირობებული.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რა სახით გამოქვეყნდა პირველად ეს ლექსი გაზეთში „მუშა“ 1938 წელს. გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს გალაკტიონს. ჯერ დაბეჭდილია მისი დიდი სურათი, შემდეგ ერთი სტროფი ცნობილი ლექსისა:

სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი
მზის მხურვალეობა გარს რომ ავლია,
აი, პირველი, აი, პირველი,
რის სიყვარულიც მე მისწავლია.

ამას მოსდევს ჩენი ლექსის მხოლოდ სამი სტროფი, აწყობილი მომცრო შრიფტით! (გამოტოვებულია მე-2 სტროფი). აი ასე, პატრიოტული პროლეტ-ეპილოგით შემოსილი მხოლოდ ორი სტროფის გამოქვეყნება გაბედა პოეტმა. თანაც სათაურიც შეუცვალა და „სახსოვართა ოქროს ფონდის“ ნაცვლად, უბრალოდ, „ჩემი სიმღერა“ უწოდა. ლექსს ამ სათაურით მხოლოდ ნაბეჭდი წყაროები „იციანობენ“. ხელნაწერებში ან მხოლოდ „ჩაი“ ჰქვია, ან „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ თუ „პროლოგი“, ან სულაც არაფერი. ასე უსახელოდ და უსათაუროდაც ძვირფასია იგი მისთვის. და არა მხოლოდ მისთვის. ერთ ხელნაწერზე მიუწერია: „ეს ლექსი სახელად „ჩემი სიმღერა“ ძლიერ პოპულარულია“ (ავტ. F-№114-ა).

პირველმა პუბლიკაციამ გაამართლა ძლიან მოეწონათ როგორც ვთქვით, მეორე დღესაც წაიკითხა თავის საღამოზე, ოღონდ არ ვიცით — სრულად თუ შემოკლებული სახით. გაზეთში ხომ მეორე სტროფის გამოქვეყნება ვერ გარისკა. არადა, ეს სტროფი შავ ვარიანტში (B) უკვე ჩამოყალიბებულია:

ბრათი სისხლის ცრემლნატბოვარი,
ბეჭედი ძვირფას ალთა მთოვარი,
საყურე ტკბილის ჩრდილის მთხოვარი,
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ქიქოძე



გავიხსენოთ — 1938 წელი! ქვეყანაში ანტიტროცკისტული სულისკეთებაა ოლია ტროცკისტად შერაცხეს და გადაასახლეს, იქიდან კი გალაკტიონის სახსოვართა ოქროს ფონდში მოდის და მოდის „სისხლის ცრემლნატბოვარი ბარათები“:

„გწერ მერვე წერილს. სახლიდან წერილების პასუხი არ მიმიღია. ველღავ, ვმკითხაობ, ნუთუ უარმყო ძვირფასმა გალმა და დაერჩი მარტოღმარტო. ვფიქრობდი, შენ მაინც გამიგებდი, მეგონა გჯეროდა, რომ არა ვარ ხელისუფლების მტერი. გავგზავნე განცხადება ცენტრში. ძალიან მინდა ვიცოდე რამე შენი ჯანმრთელობის შესახებ. გუშინ გნახე სიზმარში, ტირილით გამოძევიდა“ (1938 წ. 5 მარტი).

„ო, როგორ მინდა განვჭვრიტო მომავალი და გავარკვიო, მიწერია თუ არა კვლავ შენთან შეხვედრა... არაფერი ვიცი შენ შესახებ. როგორი გამოვიდა შენი წიგნი? არ მეწერა მე მისი ნახვა...“ (1938 წ. 20 ნოემბერი).

„სახლში, სახლში მინდა, სახლში მინდა, გესმის, ძვირფასო გალ, მეტის წერა აღარ ძალმიძს“ (1939 წ. 20 იანვარი).

„ჩემო ძვირფასო, ჩემო უგონო სიყვარულო!

ყოველდღე გადავკვებ შენს მოკითხვას ჰაერის ტალღებს, ხომ გესმის? ხო, მე არ ვიღებ შენს წერილებს. ო, მე მიყვარს დუმილი, მაგრამ რარიგ ძნელია, მთელი სიცოცხლე ესაუბრო დუმილს. არ ვსაყვედურობ. არ არის საჭირო, მაინც მოგწერ და მოგწერ ბარათებს, სანამ ცხოვრების ქარიშხალი სამუდამოდ არ დამიხუჭავს თვალებს“ (1941 წლის 14 მარტი)*.

ბოლო წერილი 1941 წლის 30 აგვისტოს მიუღია; 1941 წლის 11 სექტემბერს კი მედევედევოს ტყეში, ქ. ორიოლიდან ათიოდ კილომეტრის დაშორებით, ოლია ოკუჯავა დახვრიტეს.

ამ ბარათებს ვერც კი პასუხობდა გალაკტიონი. ლილია მეგრულიძისთვისაც შეუჩივლია: „ლილია, შენ იცი, რომ ოლია გადამისახლეს! ახლა, ყოველივე სიკეთესთან ერთად, წერილების გავგზავნაც ამიკრძალეს“ („ლიტ. საქართველო“, 1992, 13. XI). დიახ, პასუხს ვერ სცემდა, თუმცა ოლიას ბარათებს, საშიშროების მიუხედავად, სათუთად ინახავდა: „გალაკტიონი ინახავს ოლიას ჩანაწერს, ნივთს, საგანს და თვალის ჩინივით უფრთხილდება. ცარიელი ღია ბარათებიც კი შეუნახავს, რადგან ისინი ოლიას ხელშეწავლები იყო. აქვე იყო კარზე მისაკრავი პატარა სპილენძის ფირფიტა წარწერით „Олға Окуджавა“. ეს ნივთები, რეულები, წიგნები მხოლოდ წარსულს კი არ ახსენებდა გალაკტიონს, არამედ ძალას მატებდა და ზოგჯერ პოეტურ ასოციაციებსაც იწვევდა... (6. ტაბიძე „გალაკტიონი“, გვ. 304-305).

როგორც დღემდე გამოქვეყნებული მასალებით ირკვევა, გალაკტიონს

* ოლია ოკუჯავას წერილებს ეძიწმებთ წიგნიდან „ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან“ (შედგენელები და მთარგმნელები ლ. სანაძე და ლ. მეგრულიძევილი), თბ. 1987 წ.

ოლიასთვის ორი წერილით უპასუხია. პირველი ოღლა დარიუსის (გალაკტიონის მეორე ცოლის) ხელითაა დაწერილი. აქ გალაკტიონი თავშეკავებულია, თავს იმართლებს და უპასუხობას ავადმყოფობით ხსნის. შიგადაშიგ ამუნათებს კიდევ ოლიას საყვედურისათვის. ვფიქრობთ, სხვისი ხელით დაწერილი და ასე უემოციო წერილით გალაკტიონმა ერთგვარად ნიადაგი მოსინჯა, დაელოდა, რა რეაქცია მოჰყვებოდა მის „პასუხს“ ხელისუფალთაგან. სხვათა შორის, ოლია ამ წერილს არც ახსენებს. იქნებ ნაწყენია, ან არც მიუღია?! იგი პასუხობს მეორე წერილს, რომელიც უკვე გალაკტიონის ხელითაა ნაწერი და, მიუხედავად ნაძალადევი თავშეკავებისა, ამკარად გამოხატავს თანაგრძობას და წუხილს, ტკივილსა და მზრუნველობას:

„მე ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ძლიერ სუსტად ვიყავი. თავს სრულიად უიმედოდ და გამოუვალ მდგომარეობაში ვგრძობდი (ო, შენ გაიგებ, რატომ არ ვპასუხობდი შენს წერილებზე). აღარ ვიცოდი, რა მექნა— განადგურებული ვიყავი დარდისაგან, ამანაც გაიარა. დამბეჭავებელმა უიმედობამ, გაურკვეველობამ — რას იზამ? — ყველაფერმა, ყველაფერმა გაიარა. შენს წერილებზე ყოველთვის გიპასუხებ... ოლია, შენ უნდა იმკურნალო. ო, როგორ მინდა შეგიძსუბუქო შენი ახლანდელი მდგომარეობა“ — 1940.23.VI (გვ. 209-210).

ის, რისი ზიდაცა წერილებმა ვერ შეძლეს, ლექსმა იტვირთა.

როგორც აღვნიშნეთ, გალაკტიონი თითქმის ყველა კრებულს „ჩემი სიმღერით“ ხსნის და არცთუ შემთხვევით. ნ. ტაბიძე წერს: „გალაკტიონს ძალზე საგულისხმოდ მოსაზრებები აქვს გამოთქმული ნაწარმოებთა დალაგების პრინციპების და საერთოდ, წიგნის სტრუქტურის შესახებ. მარიამ ბარათაშვილის ლექსთა კრებულის (1948 წ.) ფორზაცზე მიუწერია:

1 რა ამოძრავებდა, რამ აიძულა ავტორი, რომ ამ ლექსით გაეხსნა თავისი ლექსთა კრებული?

ა) შეიძლება თავის უკეთეს ლექსად თვლიდა მას?

ბ) შეიძლება იგი უყვარს მას რაიმე მოგონებათა გამო?“ (ნ. ტაბიძე, „გალაკტიონოლოგია“, თბ. 2002, გვ. 70).

გალაკტიონსაც, უდავოა, განსაკუთრებით უყვარდა „ჩემი სიმღერა“, ამიტომაც იწყებდა ამ ლექსით კრებულებს, ამიტომაც უწოდა თავდაპირველად „სახსოვართა ოქროს ფონდი“.

თუ ზემოთ წარმოდგენილი ჩვენი მსჯელობა სარწმუნოა, მაშინ ლექსი 1934 წელს არ უნდა იყოს დაწერილი (სხვათა შორის, ეს იმ იშვიათ წელთაგანია, როცა გალაკტიონი და ოლია ერთად იყვნენ). პოეტმა ან ამ წლის სახსოვრად, ან სიღრმისეული შინაარსის მისაჩქაღლად მიუთითა ეს თარიღი, რითაც ლექსის შექმნა ოლიას რეპრესირებამდე რამდენიმე წლით ადრე დააფიქსირა. ჩვენს მიერ მითითებული ფაქტები რეალურ საფუძველს გვაძლევს ლექსი 1936-1938 წლით დათარიღდეს და იგი კონკრეტულ ადრესატს

— ოლია ოკუჯავას და მის ხსოვნას დაუკავშირდეს!

გალაკტიონის ჩანაწერები მოწმობს, რომ პოეტი ხშირად ფიქრობდა ამ ლექსზე, მნიშვნელოვან, სახლის შემცველ ნაწარმოებად მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, 1951 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ მოუხდა ტექსტის შეცვლა, კერძოდ, პირველი სტროფის ახალი ვარიანტი შექმნა:

ზოგს ოქრომკედით მონაქსოვარი,
სურათი რამე კარგზე მგლოვარი,,
ზოგს ვარდი წიგნში ჩანატოვარი -
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

რამდენჯერმე შეცვალა პოეტმა ბოლო სტროფში სიტყვა „მგზოვარიც“: „თანამგზოვარი“ („ჩრეული“, 1953, გვ. 3), „თანამგზოვარი“ (ი. ნიკოლაძის არქ.) სხვათა შორის, ადრეულ ვარიანტში გვხვდება: „მგზოვარიც“.

მაინც, რატომ შეიტანა პოეტმა ბოლო ცვლილებები ლექსში? იყო ეს მისი ნების გამოხატულება?

1951 წლის დასაწყისში კანდიდ ჩარკვიანის კრიტიკულ გამოხვლას ვაჟა-ფშაველასა და ქართული სალიტერატურო ენის შესახებ ერთხმად აუბეს მხარი კრიტიკოსებმა. სხვა თანამედროვე პოეტებთან ერთად (გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი...) ამ ქარცეხლს ვერც გალაკტიონი გადაურჩა. „ბუნდოვან ადგილებს ეხვდებით გ. ტაბიძის ლექსებში“, — წერდა ბ. ჟღენტი.

აკაკი ხინთიბიძე იგონებს: „გ. ლეონიძისა და ს. ჩიქოვანის კრიტიკისას, როგორც ჩანს, საჭიროდ ჩათვალეს მათთვის გალაკტიონიც მიემატებიან და დაასახელეს სიტყვა „მგზოვარი“. თუმცა გალაკტიონის სტილიდან გამომდინარე, სიტყვა „მგზოვარი“ ამ კონტექსტში შესწორებას არ საჭიროებდა, შემდეგ პოეტმა იგი მაინც შეცვალა და ლექსის ახალი ვარიანტი შექმნა“ („საქ. რესპუბლიკა“, 2002, №188, გვ. 5). როგორც ჩანს, გალაკტიონმა გვერდი ვერ აუარა მოძალებულ პირდაპირ თუ არაპირდაპირ კრიტიკას და სიტყვა „მგზოვარი“ — „თანამგზოვართ“ შეცვალა.


ასევე ამოიღო ლექსიდან არქაული სიტყვა „კინოვარი“. ვ. ჯავახაძე წერს: „ოჯახში ჰქონდა ძველი ხელნაწერი „სწავლანი სულიერნი ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე აღმსარებლისა“, რომელშიც უპოვია სიტყვა კინოვარი“ („უცნობა“, თბ. 1991, გვ. 351). ჩანს, პოეტს ხშირად ეკითხებოდნენ ამ სიტყვის შესახებ, ამიტომაც ჩაუწერია: „პირველი კინოვარი. რა არის კინოვარი? რისთვის კინოვართ? კინოვართ დაყოფილია თავები. სულ არის 44 თავი. სათაურები ყველა კინოვართაა“*.

გალაკტიონმა მშვენივრად იცოდა, „რა არის კინოვარი“ და რომ იგი სინგურს, წითელ ფერს აღნიშნავდა. არის თუ არა ეს სიტყვა რაიმეზე მინიშნება, უკავშირდება თუ არა იგი ოლიას სისხლის ცრემლნატოვარ

ქიქსოლოგია

ცხოვრებას, თუ მხოლოდ რითმისთვის „გაიხსენა“ ავტორმა? ჩვენ მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიტანთ: C ავტოგრაფს, რომელიც ლექსის უკვე შეცვლილ ვარიანტს შეიცავს (ახალი ვარიანტი 1951 წლის შემდეგ შეიქმნა), დაბლა, მარცხნივ, გალაკტიონის ხელით მიწერილი აქვს — 1941 წელი! ეს არც ლექსის დაწერის თარიღია და არც გადაკეთებისა — ლექსი 1938 წელს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა, ეს ვარიანტი კი 1951 წლის შემდეგ შექმნა. მაშ, რას მანიშნებს ეს თარიღი? 1941 წელს ოლია ოკუჯავა დახვრიტეს! გამორიცხული არაა, რომ გადაკეთების პროცესში გალაკტიონმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ლექსის რეალური ადრესატი — ოლია ოკუჯავა და მისი სიკვდილით განცდილი ტკივილი, რაც, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ამ თარიღის მიწერით აღინიშნა.

ამრიგად, ლექსი „ჩემი სიმღერა“ („ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“) ოლია ოკუჯავას ტრაგიკულ ბედთან არის დაკავშირებული და დაწერილია არა 1934 წელს, არამედ 1936-1938 წლებში. ნაწარმოების ტექსტში შეტანილი ბოლო ცვლილებანი (1951 წლის შემდეგ) არ გამოხატავს პოეტის ნებას — გალაკტიონმა თავისი ნება ლექსის მეორე პუბლიკაციისას, 1940 წელს გამოაუღინა, ამიტომ მომავალ აკადემიურ გამოცემაში ძირითად წყაროდ ეს პუბლიკაცია უნდა მივიჩნიოთ.



წერილები იოსებ გრიშაშვილს

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის XII ტომის კომენტარებში, 731-ე გვერდზე, დაბეჭდილია იოსებ გრიშაშვილის მოგონება გალაკტიონზე. აქვე აღნიშნული, რომ ეს მოგონება გრიშაშვილს გალაკტიონის გარდაცვალების წლისთავზე გამოსასვლელად მოუშზადებია. ამაზე შემდეგი ჩანაწერი მიანიშნებს:

„რომ ესიტკა, გალაკტიონი ჩემი ძველი მეგობარი იყო-მეთქი, შეიძლება არაინ დამიჯეროს, „შეიძლებას“ იმიტომ ვამბობ, რომ გალაკტიონს მეგობარი არ ჰყოლია... ჩემს ქაღალდებში ვიპოვე ერთი წერილი, რომელიც დათარიღებულია 1912 წლით, ე.ი. როცა ის 20 წლისა იყო და მე 23-ში. ის უჩივის თავის მარტობას:

„იცი, საყვარელო სოსო, ამ ბოლო დროს რაღაც უჩინარი სენი მჰპარება. საშინელი სენი მარტოობისა, ესეც ხომ თავისებური ავადმყოფობაა! და, ვით სიკვდილით დასჯილი საზრჩობელას წინ, თვალით ვეძებ მონათესავე სულს, საშინელება!

ამჟამად ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტობას...

მე დღეს შესაძლებელია ორასი ადამიანი ვნახო და დაველაპარაკო, შეიძლება გული გადაუხსნა კიდეც წუთის გაველენის ქვეშ... და მაინც მარტო ვარ.

ამისხენი, მეგობარო, ეს მდგომარეობა!

ო, ჩემი მოხეტიალე სული სიყვარულს თუ წააწყდება სადმე, თორემ ერთ დადინჯებულ ფიქრ-სიყვარულს ვერ შე-ქმნის... მაინც მე ვერაფერი გამიგია ამ ჩემთვის უცნობი გრძნობის.

ჩემი სიყვარული შორეულის ტრფილი არ არის და ვერც ახლოს სწვდება მას

და მგონია, არც კი მიყვარს კინმე-მარტო ვარ, მარტო...

რა გაეწყობა

მარტო ვარ... მარტო“.

რა მომხიბლავია თავისი ღრმა კაეშნით ამ წერილში, იგი აგოდებს თავისი სიცოცხლის დამღრღნელ მარტობაზე.

ბარათაშვილის ობლობა, ეს კაეშანი სულ თან წაიღო სამარეში ჩემმა ძვირფასმა გალაკტიონმა, მეოცე საუკუნის საქართველოს პირველმა პოეტმა“.

ამ მოგონების საფუძველზე გალაკტიონის ეს პოეტური ეპისტოლე აკადემიურ გამოცემაში 1912 წლით დათარიღდა. საერთოდ, XII ტომში დაბეჭდილია გალაკტიონის სამი წერილი გრიშაშვილისადმი.

2000 წელს გამოვიდა ნოვარ ტაბიძის წიგნი „გალაკტიონი“ (მეორე, შვესებული გამოცემა), სადაც დაბეჭდა გალაკტიონის გამოუქვეყნებელი ადრეული ლექსები, წერილები, მოგონებები, ცნობილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წერილები გალაკტიონისადმი. ამჟერად მკითხველის

ქიქსოვლობა

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ იოსებ გრიშაშვილის ერთ წერილზე.

„ჩემო გალაკტიონ! შენი წერილი (მეორე წერილი) დღეს გადმოშვებს და აი, როგორც ხედავ, გიპასუხებ. განზრახვა შენი დიდებულია; და ზომ იცი, რომ სულით და გულით მინდა გამოვიდეს ლექსები შენი. რაშია ცესურს, ყველაფერში მზადა ვარ დაგეხმარო. მიხ. გაჩეჩილაძე* ეხლა პატარა ცეშშია და წამოვა მალე. მგონი ყველაფერი მოხერხდება— ჩამოდი და მოვილაპარაკოთ— არ ვიცი, შენ ჩამოსვლა გინდა, თუ ისე უნდა გამოგზავნო ლექსები დასაბეჭდათ. სტამბას მოგიხერხებ და ქალაქის შესახებ კი ვერ დაგაიმედებ— მაშ ასე— პირველ წერილში ძალიან გულჩახვეულობა გეტყობა — რა ამბავია? მშვენიერი წერილია, პოეტური. პატარა „მინიატურები“ მაქვს და ისე მომეწონა შენი კილო მარტოობისა და თვით წერილიც, რომ მოვითავსებ „წერილი მეგობართან“ ამ სათაურით. გისურვებ კოცნის მუსიკაზე ცეკვას.

ი. გრიშაშვილი.“

წერილი უთარილოდა გამოქვეყნებული, მაგრამ მკვლევარი მას 1911 წლის 18 აგვისტოს გალაკტიონის მიერ გაგზავნილი წერილის პასუხად თვლის. გათავაზობთ გალაკტიონის ამ წერილის სრულ ტექსტს:

საფოსტო ბეჭდის თარიღი: 18-9-11

„В гор. Тифлис

Редакция газ. „Сахалхо Газети“

Почт. ящ. 190.

გთხოვთ გადასცეთ მოსანს გრიშაშვილს რაც შეიძლება დაჩქარებით.

* მიხეილ გაჩეჩილაძე (1877-1958) - წიგნის გამომცემელი და სტამბის მეპატრონე

გამარჯვება იოსებ!

მე მეორე წერილს გიგზავნი— აღარ ვუცდი წინად გამოგზავნილი წერილის პასუხს— რომ იციოდე, როგორ მინდა, რომ ეს წერილი მალე მიიღო და იმ დღესვე სამაგიერო წერილი გამოგიგზავნო. მე უნდა ვისარგებლო ეხლა შენის მეგობრული რჩევით ნაწერების ცალკე გამოცემაზე. ქუთაისში კიდევ გაემართე ამხანაგების საშეაღებით ხელის მოწერა და გროვდება ფული. მოგროვდება იმდენი, რომ მეყოს ცოტა ხანზე თბილისში ჩამოსვლისას— შეიძლება მეტიც მოგროვდეს, რადგან მოსწავლეების იმედი მაქვს, რომლებიც, წარმოიდგინე, აქ საკმარისად მიცნობენ— მე კარგად არ ვიცი და შენგან ველი დარიგებას საქმეზე— შენ მითხარი: შეიძლება ქალაქი და სტამბა ნდობით დავივალოთო— ძალიან კარგი იქნება, ჩემო იოსებ! თუ ეს შესაძლებელია? დამავალე და გამიგე, თუ შეიძლება ცოტას დამჯერდნენ ვერ. შენ ზომ კარგად იცნობ მ. გაჩეჩილაძეს? მგონია დაახლოვებულიც ხარ—


მაშ ნუ დაიზარებ, ჩემო კარგო!

სამაგიერო პატივისცემას გადაგიხდო—

მე ეხლა ქუთაისში ვარ და მოვიცილი სანამ შენს წერილს არ მივიღებ. ველი პასუხს. ნუ დაივიწყებ, წიგნი პატარა იქნება ორშაურიანი.. ამ ორ დღეში ველი პასუხს. თუ ძმა ხარ, დიდხანს ნუ მაცდევინებ—

ჩემი ადრესი: Кутаись. Балаханская улица д. 37, Константину Мусеридзе для Галактиона Табидзе...

შენი გალაკტიონი



იოსებ გრიშაშვილი და გალაკტიონი, 1942

P.S. წავიკითხე „ჩამომეხსენი“. ისე მომეწონა, რომ ზეპირად დავისწავლე. საუცხოვო ლექსია.

1911 წ. 18 აგვ. გტ“

თავის წერილში გრიშაშვილი გალაკტიონის პირველ წერილს ახსენებს, მის მარტოობის კილოს, პოეტურობას ეფიქრობთ, ეს სწორედ ის წერია, რომელიც გრიშაშვილმა თავის მოგონებაში გამოიყენა 1960 წელს და 1912 წლით დაათარიღა. ეს წერილი, უსათუოდ, 1911 წლის 28 აგვისტომდეა დაწერილი. სწორედ ეს წერილი მოეწონა გრიშაშვილს თავის „პატარა მინიატურებში“ მოსათავსებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წერილი, რომელიც XII ტომში პირობითად 1911 წლით თარიღდება, არქივში ინახება კონვერტში, რომლის საფ-

ოსტო ბეჭედზე არის თარიღი 28-7-11 (ე.ი. 1911 წლის 28 ივლისი) და მისამართი ვრცელი მინაწერით:

“Г. Тифлис

Редакция газ. "Сахалхо Газети" Почт. ящ. 190.

უძორწილესად გიხზოვთ გადასცეთ ან შეუნახოთ მგოსანს გრიშაშვილს, როცა კი შემოვიდეს რედაქციაში“.

ეს არ არის პოეტური წერილი და მასში არც მარტოობაა ნახსენები. შეუძლებელია, რომ კონვერტი ამ წერილს ეკუთვნოდეს, რადგან გალაკტიონი გრიშაშვილს „ადრესს“ - ანუ მისამართს სთხოვს, რომ წერალები გამოუგზავნოს:

„გამარჯვება იოსებ!“

როგორც ერთხელ გითხარი, შენ აღარ ხუმრობ... ქუთაისში მართლა

მართავ სალიტერატურო საღამოს?.. როდის? უთუოდ მეც მივიღებ მონაწილეობას. მაპატივე, თუ ძმა ხარ, რომ ღია ბარათს გიგზავნი. თუ შენც ისურვებ და ადრესს გამომიგზავნი **СУД-ЕМ ПЕРЕПИСЫВАТЬСЯ** - სხვა რა მოგწერო - ისე ჩქარა ვსწერ - ისე ჩქარა... ველი, მოუთმენლად ველი პასუხს შენი ნიჭის თაყვანისმცემელი და მგოსანი* გალაკტიონ ტაბიძე".

ჩანს, ეს წერილი ზემოთ მოყვანილ წერილებზე ადრეა გაგზავნილი, ხოლო 1911 წლის 28 ივლისის საფოსტო ბეჭდიანი კონვერტი გალაკტიონის უფრო გვიანდელი, ე. წ. „პოეტურ“ წერილს ეკუთვნის, რომელიც ამ საფოსტო ბეჭდის მიხედვით უნდა დათარიღდეს.

ახლა რაც შეეხება წერილს, სადაც გალაკტიონი გრიშაშვილს მისამართს სთხოვს. ტაბიძეების საგვარეულო არქივში ინახება ბარათი, რომელიც იოსებ გრიშაშვილმა გალაკტიონს ამ წერილის პასუხად მისწერა:

„მართლა, შენი ლექსი ხომ შშენიერი რამ იყო - „ერთხელ ჩემს გულშიც ჩამოიხედე“. დათიკო მესხისაგან** წერილი მივიღე. ხალხი გასულია ქუთაისიდან. ცხელა და ამიტომ უმჯობესს იზამ, გადასდო საღამო. ეგ დათიკოზეა დამოკიდებული, როდის შედგება. რასაკვირველია, გალაკტიონი მიიღებს მონაწილეობას. უნდა გამომეცხადებინე კიდევ, მაგრამ შემეშინდა: დაუკითხავად ვერ გამოგაცხადე - არც ადრესი ვიცოდი. იქნებ ცოტა ფული დამრჩეს. ზოგი აქა მაქვს შეიძლება სტუდენტობა გავ-

იკრა. სად წავალ, ვერ არ ვიცი... როდესაც ჩამოხვალ თბილისში, სხვაგან არ გაჩერდე თუ ჩამოხვალ, ჩემთან მოდი“ (ნ. ტაბიძე გალაკტიონი, გვ. 349).

წერილი უთარილოდაა დაბეჭდილი. ლექსი „ერთხელ ჩემს გულშიც ჩამოიხედე“ პირველად გამოქვეყნდა გაზ. „კოლხიდაში“ (№86) 1911 წ. 13 ივლისის უსათაუროდ.

ეს პუბლიკაცია საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გალაკტიონის გრიშაშვილისადმი მიწერილი ბარათი, სადაც გალაკტიონი მას მისამართს სთხოვს, დაიწერა 1911 წლის ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში.

1913 წელს თბილისში დაიბეჭდა ი. გრიშაშვილის ურითმო ლექსების პატარა კრებული: „ბროლის ღიმილი“. ამ კრებულის გამოსვლას გამოეხმაურა პაოლო იაშვილი წერილით, რომელიც ჟურნალ „ოქროს ვერძში“ (1913 წ. №2) დაიბეჭდა ხელმოწერით - ზ. (ნ. გრიგორაშვილი, პ. იაშვილის უცნობი ფსევდონიმები და ნაწერები, ფ. „სკოლა და ცხოვრება“, 1989, №12). იგი ახალგაზრდა პოეტს მომავალს ულოცავს და მის დიდ პოეტურ ნიჭს აღიარებს, თუმცა იქვე აღნიშნავს: „დროგამოშვებით ახალგაზრდა პოეტი სწერს პატარა მინიატურებს, ურითმო ლექსებს, როგორც თვით ავტორი უწოდებს მათ. ამ ურითმო ლექსებში ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი ნიჭი გაცილებით ნაკლებად მოსჩანს, ვიდრე მის ლირიკულ პიესებში. იმ შეიდ მინიატურაში, რომელიც ავტორს პატარა წიგნაკ „ბროლის ღი-

* სიტყვა „მგოსანი“ დედანში წაშლილია და ახლავს გრიშაშვილის მინაწერი: „წაშლილია გალაკტიონის მიერ“.

** დავით მესხი (1860-1940) - სერგეი მესხის ძმა, ჟურნალისტი.

მიღში“ მოუთავსებია, ჩვენ ვერც ერთს ვერ ამოვარჩევთ იმგვარს, რომ გრიშაშვილის ლექსების შთაბეჭდილება მოახდინოს. მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში თუ გაგვიტაცებს მინიატურების ავტორი, მხოლოდ სტრიქონებს შუა თუ დაგვანახებს თავის სიახლეს და მიშხიდველობას. რა მშვენიერია მაგალითად ეს ადგილი: „... მე დღეს, შესაძლებელია, ორასი ადამიანი ენახო, შეიძლება გული გაუხსნა კიდევ წუთის გაკლენის ქვეშ... და მაინც... მარტო ვარ... მარტო“.

მაგრამ რამდენიც უნდა ამოვწეროთ კარგი ადგილები, შთაბეჭდილება ძველი რჩება...“

როგორც ამ კრიტიკული წერილიდან ვხედავთ, ი. გრიშაშვილს მართლაც გამოუყენებია ფრაგმენტი გალაკტიონის წერილიდან და თავის მინიატურაში ჩაურთავს. „ბროლის ღიმილში“ სულ შვიდი მინიატურა დაიბეჭდა. მათ შორის „მაისის ღამე“, სადაც ჩვენთვის საინტერესო წერილის ფრაგმენტია ჩართული:

„...ღამეა... ღამე!

ვზივარ ჩემს სარკმელთან და ვკითხულობ ჩემი მეგობრის წერილს.

ოჰ, რა მომხიბლავია თავის ღრმა კაქშით ეს წერილი.

მიყვარს, რადგან სულია ჩემი სულისა, ჩემი სულის ნაწყვეტია...

აი, ის სტრიქონები, სადაც თავის სიცოცხლის დამღრღნელ მარტოობაზე მწერს, დაუგდეთ ყური:

„...იცი, ამ ბოლო დროს რაღაც უჩინარი სენი მეპარება, საშინელი სენი მარტოობისა, ესეც ხომ თავისებური ავადმყოფობაა! და, ვით სიკვდილით დასასჯელი სახრჩობელას წინ, თვალთ ვეცებ მონათესავე სულს... საშინ-

ელება!

აშკარადა ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტოობას, ჩემს არარაობას...

მე დღეს, შესაძლებელია, ორასი ადამიანი ენახო და დაველაპარაკო, შეიძლება გული გადავუხსნა კიდევ წუთის გაკლენის ქვეშ... და მაინც... მარტო ვარ, მარტო...

ამისხენი, მეგობარო, ეს მდგომარეობა...

ოჰ, ჩემი მოხეტიალე სული სიყვარულს თუ წააწყდება სადმე, თორემ ერთ დაღინჯებულ ფიქრ-ქვეშ სიყვარულს ვერ შექქნის...

...მაინც მე ვერაფერი გამიგია, ამ ჩემთვის უცნაურ გრძნობის

ჩემი სიყვარული შარეულის ტრფილი არ არის და ვერც ახლოსა სწყდება მას...

და, მგონია, არც კი მიყვარს ვინმე... მარტო ვარ, მარტო...

რა გაეწყობა?..

მარტო ვარ... მარტო...“

„ბროლის ღიმილსა“ და გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში დაბეჭდილი ტექსტები ერთგვარად განსხვავდება ერთმანეთისაგან. როგორც ჩანს, გრიშაშვილს წერილის ეს ფრაგმენტი თავის მოგონებაში სწორედ ამ წიგნიდან გადმოუწერია მცირეოდენი ცვლილებებით.

1911 წელს მიწერილ არც ერთ წერილში გალაკტიონი არ მიმართავს გრიშაშვილს „საყვარელო სოსო“. მიმართვის ასეთი ფორმა მის უფრო გვიანდელ წერილებში ფიქსირდება. ვფიქრობთ, რომ ახალ აკადემიურ გამოცემაში ეს წერილი მისი პირველი პუბლიკაციის მიხედვით („ბროლის ღიმილი“) უნდა დაიბეჭდოს, სათ-

ანალო კომენტარი

გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულია გალაკტიონის კიდევ ერთი წერილი, რომელიც აკადემიური გამოცემის XII ტომში არ დაბეჭდილა. იგი საფოსტო ბეჭდის მიხედვით 1917 წლის 27 თებერვლით თარიღდება:

საფოსტო ბეჭდის თარიღი: 27.2.17.

„Тифлис. Ред. газеты: „Сахалхо Пурцели“ Почт. ящ. 190.

ი. გრიშაშვილს.

ბიერფასო სოსო!

მე შენს საღამოში მონაწილეობას ვერ მივიღებ საქმეები აქ ძლიერ ცუდათ მაქვს. შეეხედებით და გეპყვით ყველაფერს.

გალაკტიონი“.

საყურადღებოა, რომ ანალოგიური შინაარსის წერილი იმავე დღეს გალაკტიონმა ოღია ოკუჯავასაც გაუგზავნა „მე ვერჯერობათ მოსკოვში ვერ ჩამოვდივარ, საქმეები აქ ძლიერ ცუდათ მაქვს. შეეხედებით და გეპყვით ყველაფერს“.

აკადემიური გამოცემის XII ტომში გამოქვეყნდა „წერილი სოსოსადმი“, პირობითად დათარიღებული 1914-1915 წლებით, რომელიც ანალოგიური მიმართებით იწყება: „ბიერფასო სოსო“. ასევე მიმართავენ გრიშაშვილს თავის წერილებში „ცისფერფანწელი“ პოეტები (ნ. გრიგორაშვილი, დასახ. წერილი). საყურადღებოა, რომ ამ წერილის ადრესატი იოსებ გრიშაშვილია.

ფურცელი გადაკეცილი არ არის, რაც ვაფიქსურებინებს, რომ წერილი ადრესატთან არ გაგზავნილა. სხვა წერილებსაგან განსხვავებით, იგი

დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში, გალაკტიონ ტაბიძის არქივში. წერილი სუფთად არის ნაწერი შავი მკლნით, ცალსახიანი რვეულის ფურცელზე, რომელზეც აღბეჭდილია ჭვირნიშანი: „Добрушенская фабрика“. წერილი დაიწერა ჭიათურაში, „ერთი ამხანაგის ბინაზე“.

საყურადღებოა ცნობა, რომელსაც ნოდარ ტაბიძე გვაწვდის: „მარტის მსწერულს გალაკტიონი გაუჩინარდა, უფრო ზუსტად ქუთაისიდან გაქრა. ძამ რამდენჯერმე მიაკითხა, მაგრამ მის ასაკულ-დასაკაღს ვერ მიაკვლია. პროკლე შემოლოცებულა და ნაცნობ-მახლობლებს სთხოვს დასმარებას. და აი, 7 მაისს მარია ხანატუროვას წერილის იღებს: „გალაკტიონი ქუთაისში არ ჩამოსულა და მეც ძალიან მიკვირდა მისი ამბავი, მაგრამ ესლა ვაფიქვ, რომ ჭიათურაში ყოფილა. იქ ჩემი დაა და იმან შემოძითვალა, რომ აგერ ერთი თვეა აქ არისო. იმისთვის ნუ გავჩიობთ, კარგად არისო“. გალაკტიონი ოღიასთანაა“ (ნ. ტაბიძე, გალაკტიონი, გვ. 414).

მართალია, აქ 1915 წლის მოვლენებია ასახული, მაგრამ აქედან ნათლად ჩანს, რომ გალაკტიონი დიდი ხნით რჩებოდა ხილზე ოღიასთან.

ოღია ოკუჯავას არქივში აღმოჩნდა რვეული (გვ. 74-114) იმავე ჭვირნიშნებით. რვეული 1916 წლით თარიღდება. ამის საფუძველზე ეს წერილიც 1916 წ. 23 აგვისტომდე შეიძლება დათარიღდეს. 1916 წ. 24 აგვისტოს ოღია ოკუჯავა და გალაკტიონი მოსკოვს მიემგზავრებიან. შემდეგი ჩანაწერები უკვე მოსკოვშია გაკეთ-

ბული. მოგვეყვას წერილის სრული ტექსტი:

„ძვირფასო ხოსო!

მე შენთან დიდი სარცხველი დამეჭრა, მაგრამ უბედურ გარემოებას რომ არა, შეიძლება მე მეორე საღამოსვე ქუთაისიდან წამოვედი ჭიათურაში, გზაზე მძიმე ავადმყოფი შეეკაქრა და მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისში მეორე დღესვე უნდა დაებრუნებულყავი, ჭიათურაში ერთი ამხანაგის ბინაზე ვწვევარ ავადმყოფი, ეს ორი კვირაა. წარმოიდგინე, ორი კვირა! აღაძიანს აღარა ვეკვარ! ეხლა ცოტა უკეთესად ვარ და დღეს ან ხვალ საწოლსაც მივატოვებ და ჩამოვალ ქუთაისში. შენ იმისი ნუ გეშინია! უსათუოდ ვეცდები და მოვასურებ რაბეს.

მარადის შენი გ. ტბობე“
იხსებ გრიშაშვილი ხშირად მარ-

თავდა ქუთაისში საღამოებს, ამას მასი მიმოწერა და იმ პერიოდის პრესაც მიწმობს. რა თქმა უნდა, მას სურველი ექნებოდა, რომ გალაკტიონის მის საღამოებში მიეღო მონაწილეობა.

ამრიგად, ჩვენ ხელთა გვაქვს გალაკტიონის სხვადასხვა დროის ხუთი წერილი იხსებ გრიშაშვილისადმი:
1. — 1911 წლის ივნისის ბიულოს ან ივლისის დასაწყისში გაგზავნილი წერილი, რომელშიაც გალაკტიონი გრიშაშვილს მისამართის სისხოცს,
2. 1911 წლის 28 ივლისს გაგზავნილი ბარათის ფრაგმენტი, რომელიც ჩართულია ი. გრიშაშვილის „ბროლის დიმილიში“,
3. 1911 წლის 28 აგვისტოს გაგზავნილი წერილი,
4. ბარათი დაწერილი 1916 წლის 23 აგვისტომდე,
5. 1917 წლის 27 თებერვლით დათარიღებული წერილი.



რეკლამის ხელის
მხარეზე

ბიბლიოთეკის
სამაგისტრო
სამსახურის
სამსახურის
სამსახურის
სამსახურის

ახლობეჭები და მეგობრები

კორნელი სანაძე

დღიურის ფურცლები

მე მგონია, ადამიანის დახატვა შეუძლებელია, თუ იგი არ შეიწყარე, თუ მას დროის ყოველ მონაკვეთში არ დააკვირდი. ადამიანის სახე ძალიან იცვლის ელფერს სხვადასხვა მდგომარეობაში ყოფნისას. შეიძლება, უცებ იგი მოგჩქვენოს სვედიანად, ან გახარებულად. მოციმციმე სახით დახატო და არ იყოს მისი სული გამოხატული. ამისთვის ვერ კარგად, დიდხანს უნდა დააკვირდე, მიხვდე მის შინაგან არსს და მერე დახატო მისი ფართო, მეტყველი სახე და შემდეგში — წვერ-ულვაშით დაფარული, ვაჟაკური შემართების სახე, ნაზი ხაზებით, ლირიკულ ფერთა სხივით მოცული კანი, ღიმი, წინ წამოწეული შუბლი, ქართველ წმინდანთა ფრესკას რომ მოგაგონებს რამდენჯერ მეგონა ურბნისის, ყინწვისის ფრესკიდან გადმოსული, ჩემთან ახლოს მდგომი წმინდანი!

ნერვიულობა ეტყობოდა მის ხელებს, მისი სიძლიერე მძლავრ თითებში იყო გამოხატული. ნაზ კანს ქვეშ პულსაცია მუდმივ მღელვარებას გამოხატავდა. მისი მოციმციმე თვალები, ზღვისფერი თვალები მეტყველებდნენ ღრმა განცდებზე.

გალაკტიონის ვეება, განიერი მხრები, მუხასავით ბრვე ტანი, ძლიერი ხელები, გლეხური ბეჭები ირხეოდა, როცა იგი დააბიჯებდა განიერი ნაბიჯით. იგრძნობოდა მთელი მისი დი-

დებულება.

*

გალაკტიონი თითქმის ოცჯერ დაეხატე: ზეთის ფერებით, ნახშირით, ფაჩქრით. თითქმის 200 სეანსი მაინც იჯდა ჩემთან სახელოსნოში. ხატვის დროს იშვიათად ჩერდებოდა ერთ ადგილას, დადიოდა, ლექსებს კითხულობდა. რამდენჯერმე გადმომალენინა კლასიკოსთა წიგნები და მითხრა, შენ სტრიქონებს მისდიე, მე კი ზეპირად ვიტყვი, აბა, თუ შემეშლებო.

„ჩაილდ ქაროლდი“ მთლიანად ზეპირად წამკითხა. განცვიფრებული დაერჩი მისი გენიალური მენსიერებით. ასე იცოდა შექსპირი, ტიუტჩევი, ზლოკი, რემბო, ვერჰარნი, ბარათაშვილი, აკაკი, ილია და სხვანი მრავალნი.

ორმოცი წელი ვიცნობდი და ყოველი შეხვედრა, განსაკუთრებით სახელოსნოში, როცა მას ვხატავდი — ეს იყო ღიმი ცხოვრების სკოლა—

*

ხატვის ერთ-ერთ სეანსზე ვუთხარი:

— გალაკტიონ, მოდი, ნუ დალევ და ისე მოდი ხატვის სეანსზე. როცა მთვრალი ხარ, ერთ ადგილას ვერ ჩერდები და ასე ხატვა, განსაკუთრებით პორტრეტისა, ძნელია.

— რას ამბობ, კორნელი, თუ ასეა, მაშინ არ მოვალ, — იწყინა უცებ, —

მე უღეინოდ ცხოვრება არაარაობად მიმაჩნია. შენ გგონია, რომ ღეინოდ მხოლოდ მათრობს? არა. ღეინოდ ბოღმას ეათრობ. ჩემი ცხოვრების სატანა, მოქცეული ჭიქაში, შემოქმედებით აღმურში მახვევს და ეს არის, რომ მაცოცხლებს, თორემ აქამდე თავს მოვიკლავდი ამ ცხოვრების ყველა მხარეს ქიმიკოსივით კუბიებ ნახულს, შეგრინებულს სპირტში მოვაშწყედე და ყველაფერს ისე ეხედავ, როგორც მინდა და როგორიც მინდა დაეუტოვო მიმაველს.

გალაკტიონი გაურბის ყველას და ყველაფერს და შემდეგ კალმის წვერზე წამოაგებს და ფურცლებში ახვევს. წერს არა მელნით, დამთურალი სისხლით, რომლის ფერიც გამჭვირკალეა, ზეკაცურია, ზებუნებრივია.



გალაკტიონი, გ. ბუხნიკაშვილი, კ. სანაძე

რამდენჯერ მტკვრის პირად ერთად ვმსხდარეარო! ღამის წყვილიაღში გულს იქარვებდა. მეუბნებოდა: ჩემო კორნელი, მთვრალი ვარ და არ გგონოს, ჭკუაზე არ ვიყო, მტკვრის ტალღების ბუტბუტი გულს მიღრღნის და მამაღლებს კიდევაც. ზომ წაგიკოთხავს — „ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული“.

ვინც ღღისით ხედავდა გალაკტიონს, ის იცნობდა მისი ცხოვრების ერთ მხარეს — სულიერს, ინტელექტუალურს, ევროპიულს და ვინც ღღამით ნახულობდა, გრძნობდა, რომ ის იყო მიწის, ცისა და ბუნების ნამდვილი გოლიათი.

ერთხელ გალაკტიონმა მითხრა, წამოდი ერთ ადგილას, კარგ ღროს გავატარებთო. მივედი თ ახლანდელ

ბესიკის ქუჩაზე 'ხეიო. იქ ცხოვრობდა მოლექსე ობოლაშვილი. ფეხსაცმელების სახელოსნოც იქვე ჰქონდა. ობოლაშვილთან ზშირად იყრიდნენ თავს გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ფედია ჩუდეციკი, გიორგი ქუჩიშვილი, ნიკოლო ჩერნიავესკი, გენო ქელბაქიანი, ვანლურ დაისელი, გობრონ აგარული და სხვანი იმართებოდა ღექსების კითხვა, კამათი. ღღამდე ისხდნენ და ღვინოს შეექცეოდნენ. მე ღვინოს არ ვსვამდი და ობოლაშვილს ჩემთვის კაკაო ან ყავა მოქონდა გალაკტიონმა ამაზე ასეთი ექსპრომტიც კი დაწერა და ობოლაშვილს მისცა:

ჩვენ ღვინოს გვასმევ,
მხატვარს — კაკაოს,
მე და გიორგი
რამ დაგვაკაოს.

მერე უფრო განაგრძო:

ჩვენ ღვინოს გვასმევ,
მხატვარს — კაკოს.

ქე, მასპინძელო,
რაღა ქმნი ქაოსს.

მე და გიორგი
რამ დაგვაკაოს.

*

გალაკტიონი ხანდახან ჩემთან სახ-
ლშიც მოდიოდა. მაშინ შშობლებთან
ერთად საბჭოს ქუჩაზე ვცხოვრობდი
იქ ტერენტი გრანელი, გერო ქელ-
ბაქიანი და სხვებიც იკრებიოდნენ.

ღვინა გურული მყავდა და ძალზე
უყვარდა სტუმრები. თვითონაც ღვინ-
სებს წერდა. საუბედუროდ, მისი ღვინ-
სების რეცეპულები დაიკარგა. რომ გა-
იგებდა, პოეტები მოვიდნენო, დაფაცუ-
რდებოდა ხოლმე იყო კამათი, ღვინ-
სების კითხვა.

ტერენტი გრანელი ძალზე ფიცხი
კაცი იყო და ხანდახან კამათს სკან-
დალში გადაიყვანდა ხოლმე. ერთხელ
გალაკტიონის თხოვნით ღვინს წავი-
კითხე:

...სიცოცხლე მომზეზრდა,
სიკვდილიც არ მსურს
და მწვავს აგონია!

ჩამოკარდა სიწვემე ტერენტი გაბ-
რაზდა, წამოვარდა, სკამი წააქცია,
კარებისკენ წავიდა. ქელბაქიანი მივა-
რდა ტერენტისთან, დააშოშმინა. ტე-
რენტი მომიბრუნდა:

— ეს რა საშინელება დაგიწვრია!
ასეთი ღვინი შენ არ შეგფერის. —
მითხრა ხმაბაღლა, — ყყოფა საქართ-
ველოს ჩემი გოდება, ტირილი და

გვეძა. გინდა, ჩემსავით გადაიწეხო სა-
შინელების მორეკვი? შენ რომ „აგო-
ნიაში“ დამხატე, ისე ხომ არ გინდა
შენი თავი გამოხატო? არა, არ გირ-
ჩვე ჩემი ბედის კვალზე სიარულს, არ
მომყვე! მე თუ თავის მოკვლა ვერ
მოკახერსე, ვერ გავბედე, ნამდვილად
ჭკუიდან შევიშლები.

ამბავში გალაკტიონი ჩაერია. ჩემს
მაგიერ პირობა დალო, რომ ასეთ
ღვინს მეტს აღარ დაწერდი, გამაძ-
ხნევა, შემაქო. ტერენტი დაწყნარდა,
მაგიდასთან მოვიდა, სკამზე ჩამოჯდა.
გერო ქელბაქიანი მივარდა და აკოცა.
ვახშამი თითქმის შუაღამემდე გაგ-
რიქლდა.

ერთხელ ასეთი ღვინი დაწყნე

ვინა ვარ? — უფრთებო არწივი,
უფრთებო და მაინც გაეწივი...

ვინა ვარ? ფერი და ღადარი
ცხოვრების მონა და მხატვარი.
წავაკითხე თუ არა გალაკტიონის,
ბოლო სტრიქონზე შემომედავა:

— „ცხოვრების მონა და მხატვარი“
— არა! შენ მონა არა ხარ. არა. შენ
შენი ცხოვრების მეუფე ხარ. უპირვე-
ლესად ყოვლისა, მხატვარი ხარ და
მონა არ შეიძლება იყო.

შევეკამათე:

— ცხოვრების მონა ვარ — ესე
იგი მისი შესწავლისას მუდამ მონა
ვარ, განსაკუთრებით, როცა კომპოზ-
იციას ვაგებ, პროპორციებს ვაზუსტებ.
ნიუთონის განლაგებას, დამსგავსებას
რომ მოვრჩები, სურათში მერე იწყება
შემოქმედებითი პროცესი, შენი არ-
სისა და მრწამსის მოქმედება, ინტუი-
ციის მაღლის მოქმედება. ჩემო გალ-
აკტიონ, ამ გაგებით მაქვს ნათქვამი

ლექსში.

— პოო, ასე ჩვენცა ვართ. ჯერ სიტყვებს ვეძებთ, მერე მათ განლაგებას და ყოველივე ამის შემდეგ — აღმ-აფურენას. სიტყვები ხალხში უნდა ამოკრიფო, ჩაიწერო და რომელიც შენ აზრს, იღვას მოუხდება, გამოიყენო. შენ ხომ პოეტიცა ხარ, ჩემო ძამიკო. მაშ, მართალი ხარ. რაც მართალია, მართალია.

*

მეტყოდა ხოლმე, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და სასიამოვნო ლექსის საბოლოო გაშალაშინება, „შლიფოვ-კა“, გაჩარხებააო. ლექსი ჯერ უბრალო ხის ნაჭურია, კაკლის ხისა და თუ ჭკვიანად გაიღო, შეიძლება სალოც-ავ ხატად, ღმერთად აქციო, თუ უჭკუ-ოდ გარანდე — ნაფოტებად და არარა-ობადღო.

*

გალაკტიონი მრავალი წლის განმ-ავლობაში იშენებდა პატარა აგარაკს

წყნეთში. რაოდენი ეწვალა, რაოდენი აწვალეს და რაღაც წისქვილისმაგე-არი ძლივს მოახლაფოროთა. წამიყვანა თათისი დანჯღრეული აეტომანქანით. მთელი დღე დადიოდა ჩემთან ერთად ტყეში, პატარა კორტოხებზე, დაძვრე-ბოდა ეკალბაჯღებში, ჩერჯებოდა ყვა-ვილებთან, ასკილის ბუჩქებთან. ყვაე-ილს კი არ მოწვევტდა, ხელს გადა-უსვამდა, მოეფრებოდა, ჩაუჯდებოდა, ებუტბუტებოდა. მერე პეპლებს გამო-ეკიდებოდა პატარა ბავშვივით. მითხრა:

— ხომ ლამაზია ჩემი სასაცილო აგარაკი? თუ დავამთავრე, ნახავ, რა ლამაზი იქნება წისქვილივით წყალზე გადამდგარი. რას იზამ, ჩემო კორნე-ლი, სხვებს სასახლეები აქვთ, მე კი ჩემი ლექსების სასახლე. ეი, ილიონდ წვიმა ნუ დაძაწვიმებს და სხვა არ-აფერი არ მინდა. კორნელი, გახედე მთებს, ზედ როგორ გედებოვით შემომ-სხდარან ღრუბლები! დააკვირდი! ერთი მათგანის მოძრაობა სენსანსის მომაკ-ვდავი გეღის ფრთხილსა კგავს. და-



უბერავს ქარი და გაშლის, გაფანტავს. დარჩება ფირუზი ცა, მწვანე კორდები და მე — მზით გარუჯული, წვერებშტრუსული გიყი პოეტი—

მერე ამიყვანა ზევით და იქიდან დამანახა ეფემერული, მირაჟების ბურუსში გახეული ბეთანია.

*

1952 წლის ბოლოს გამოყენაზე შემხვდა. მივედი მასთან. გაუხარდა. ეუთხარა:

— გალაკტიონ, თუ შეგიძლია, იარე სენსებზე. დავამთავროთ დაწყებული პორტრეტი.

— რომელი პორტრეტი? — მკითხა მან.

— აი, ყინწვისში წასვლის წინ რომ დავიწყეთ.

— პო, მოვალ, კარგი პორტრეტი უნდა გამოვიდეს, არა?

— მუშაობას გააჩნია. თუ რამოდენიმეჯერ მოხვალ და წესიერად დადგები, კარგი გამოვა.

მეორე დღეს, მართლაც, მოვიდა. სამი საათი ვიმუშავეთ. ო, როგორ გაუხარდა, უკან, მოლურჯო ფონზე იაკობ ნიკოლაძის ბარელიეფი „შოთა რუსთაველი“ რომ დაკვიდე ადგა და გახარებულმა წამიკითხა „ლურჯა ცხენები“. არასოდეს მინახავს გალაკტიონი ასეთ ექსტაზში. კითხულობდა გარკვევით, დიდი შინაგანი არტისტიზმით.

დეკორაცია, რომელიც მისი პორტრეტის ფონისთვის გავამზადე, საინტერესო, რაღაც ეფემერული იყო. ერთი ფანჯარა ჩავაბნეულე და სინათლე მარტო გალაკტიონის სახეს და იატაკის ნაწილს ანათებდა. იჯდა და ფიქრებული მეფე, იჯდა უსრავად და

რაღაცას ბუტბუტებდა. სრულიად არ ქინდა ღვინო დალეული. მთვრალი გალაკტიონის განერება, ჩვეულებრივ, მეტად ძნელი საქმე იყო.

მე კი სულ ვხატავდი, ვეძებდი დამოკიდებულებას ფონსა და ფიგურას შორის. ის ყოველ ოც წუთში გადმოდიოდა პიედესტალიდან და ხელებში შემომყურებდა. შემომცქეროდა, უყურებდა, როგორ იცვლებოდა ფერები. მე ყოველთვის ასე ვიცი. სურათს ხუთჯერ გადავზომავ, ყოველი ფუნჯის მოსმისას უკან ვიხეხე და შორიდან ვაკვირდები ცვლილებას.

ამ პორტრეტის დასამთავრებლად ათი სენსი იარა. საბოლოოდ ძალიან მოეწონა პორტრეტი: ფონი — მუქი იისყერი ულტრამარინი. იატაკი მუქი წითელი ფერისაა. თვითონ შავი კონტურში აცვია. განათებულია მისი სახე. მარცხენა ხელში ცეცხლმოკიდებული პაპიროსი უჭირავს, მარჯვენა გაშლილ წიგნზე უდევს.

როდის გამოყენო, მკითხა.

სურათი გამოყენილი იყო, თუ არ ვცდები, 1953 წელს ჯერ თბილისში, შემდეგ ამიერკავკასიის მხატვართა გამოყენაზე მოსკოვში და ახლა ჰკიდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში. მხატვარმა ლადო გრიგოლიამ იგი ფერადად დაბეჭდა გალაკტიონის თხზულებათა თორმეტტომეულის პირველ ტომში.

საბოლოოდ, ამ სურათს ოცდაათი სენსი მოვანდომე. თითოეული მათგანი სამ საათს, ზოგჯერ კი მეტხანს გრძელდებოდა. სენსების დროს გალაკტიონი კარგად ვერ იჯდა, მოუსვენარი იყო, დადიოდა. თითქმის ყველა ის ლექსი წამიკითხა. რომელიც უყვა-

რდა, თავისი, სხვისი. კიბულობდა დიდი მღელვარებით, ხელების ქნევით, დამთავრებისას ამოიღებდა პაპიროსს და გააბოლებდა.

ერთ-ერთი სენსის დროს მთხოვა, ჩემი ლექსები წამეკითხა. მე, როგორც ყოველთვის, მეუხერხულეობდა მისთვის ჩემი ჩვეულებრივი ლექსების წაკითხვა.

— ლექსებს თუ წერ, არასოდეს არ თქვა უარი წაკითხვაზე, — მირჩია მან, — მე ხანდახან ბაღში რომ ვარ, სულ უბრალო ხალხს ვუკითხავ ხოლმე. უბრალო ხალხი ხშირად უფრო გაგიგებს და ისეთ შენიშვნას მოგცემს, რომ კარგ კრიტიკოსსაც გაუჭირდება. უშუალონი არიან, უშუალონი.

სამი ლექსი წავეუკითხე. ერთი აიღო, წაკითხა და მითხრა: განსაკუთრებით შესანიშნავია „და თეთრ ბურუსში ფერთა ტრიადი“. შენ საინტერესო პოეტი დადექი და მე უნდა დავეტრიალდე, რააა გამოიცხეს, ხალხმაც წაკითხოს, მით უმეტეს, რომ ორ დარგში ხალასი ხარ, პროფესიონალი ხარ, რაც იშვიათია. აი, ერთი სტრიქონი კი არ მომწონს — „როგორც სიმღერა და ბეთპოვენი“, ამას თუ შეცვლი ასე — „როგორც ოცნება და ბეთპოვენი“, კარგი იქნება.

პირველ წიგნში ასეც შევიტანე მეორე წიგნის გამოცემა მინდოდა 1955 წელს, მაგრამ არ მოხერხდა.

— რისთვის ჯავრობ, ჩემო ძამიკო? — მითხრა გალაკტიონმა, — შენ კარგი მხატვრის სახელი გაქვს დამკვიდრებული და უფრო ამისთვის გელობებია. შენ კი არა და, მე, შენ თვითონაც კარგად იცი, რამდენი ბრძოლა გადავიტანე და ახლაც რამ-

დენს ვიბრძვი ყოველი წიგნის გამოცემისთვის. ერთი რამ იცოდე, ქვეყნის დასაბამიდან ნიჭიერებას ყოველთვის ხელს უშლიან და უნიჭობას ხელს უწყობენ. გული არ გაიტეხო. წერე, რაც შეგიძლია, მეტი დახატე, ხატე და წერა რომ ასე კარგად შეეწყვი შენს შემოქმედებაში, ეს არის დიდი ბედნიერება. ხომ გაგიგონია ხალხური გამოთქმა: მწიფე მსხალს ჯოხს ესერიანო.

— ეკ, ჩემო გალაკტიონ, ნეტავი მხატვრობაში დამაყენებდნენ, ჩემს ადგილს მომანიჭებდნენ და პოეზია არ დაიკარგება. მხატვრობას ძალზე დიდი ფული სჭირია. პოეზია შეიძლება ერთ ნაგლეჯ ფურცელზე დაატყოს და თუ ტალანტი გაქვს, ქვეყანას გააკვირვებ. მხატვარი ერთ მტკაველ სურათსაც ვერ დახატავ, თუ ფული არა გაქვს.

— მართალი ხარ, მართალი, ჩემო ძამიკო. მე რასაც შენს სახელოსნოში ვხედავ, საკმარისია, რომ მივხვდე, რა დღეშია ნაბდელი მხატვარი. ჩემო ძამიკო. ერთ რაბეში უნდა გამოვიტყდე: მე ცოტას, ათასში ერთხელ ვხატავ კიდევაც.

აიღო ნახშირი და ქაღალდზე ჩემი კარიკატურა დახატა. არც ისე ცუდად ხატავდა. შეაკაქე, ესამოვნა.

— მეცა ვარ პოეტი და მხატვარი, — თქვა და გაეცინა.


ის კარიკატურა ძალიან მგავდა. საგანგებოდ შევიანახე, მაგრამ, საუბედუროდ, გალაკტიონის სიკვდილის შემდეგ ბევრი ვეძებე და ვერ ვიპოვე.

*

1955 წელს შემომიჩნდა გალაკტიონი:



კორნელი სანაძე. „მე და ღამე“



— დამხატე სურათი „მე და ღამე“.

— როგორ? წვერებით? — გაუკვირვე მე.

— პო, მერე რა უშავს. ეს ლექსი ჩემი სიცოცხლის თანამგზავრია. დამხატე წვერებში. დაახლოებით იმდგვარ პოზაში, როგორც ადრე დამხატე. დამხატე კლდეზე ჩამომჯდარი, პაპიროსით ხელში, სადმე მტკვრის ნაპირთან, ფონზე — პატარა ტაძრით და, რაც მთავარია, აუცილებელი მთვარე, ღრუბლებში გახვეული.

დაედეგე ტილო. მის იქ ყოფნაში ჯერ პატარა ზომის ესკიზი დაეხატე ძალიან მოეწონა, გადამხევა და წაიდა მივასხე, როდის დაეიწყით დიდი ზომის-მეთქი. მივასხე, სულ მალეო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ლალიძის წყლებთან შეძხვდა. შეეიატივე და პიტნის წვენიტ გაზავებული წყალი დაველიეთ.

მაშინ ერთი სურათი მქონდა ჩაფიქრებული და იმ სურათისთვის სახელმწიფო მუზეუმის სეიფში რაღაც მინდოდა მენახა. ამიტომ ვუთხარი:

— გალაკტიონ, თუ დრო გაქვს, მუზეუმში, ქართულ შედეერთა შედევრების სეიფში შევიდეთ.

— კი, ძამიკო, კი, — მომიგო მან, — სიამოვნებით წამოვალ.

სეიფში შესვლაზე უცხოელ ტურისტთა რიგი იდგა. შალვა ამირანაშვილმა დაგვიანახა თუ არა, გაუხარდა, ხელი მოგვიკიდა და შეგვიყვანა. შიგნით რაღაც საიდუმლო სერობასავით მღუმარება სუფევდა. ყველა ხატთან დიდხანს გაჩერდით. გალაკტიონი იდგა შთაგონებული, ღრმა ფიქრებში წასული. მკლავები მკერდზე შემოეწყო და მარჯვენა ხელის თითებს ტურებზე ათამაშებდა. დიდხანს ეიდექით ბეჭაოზიხარის ნამუშევრების წინაშე. მერე

კუთხარი:

— გალაკტიონ, როცა „მე და ღამეს“ დავამთავრებთ, ერთ-ერთ ოქროს ხატთან. მინდა დავხატო, რას იტყვი?

— ო, ეს, ჩემო ძამიკო.. ძამიკო, ეს რა თქვი! რა ძვირფასი თემა დაგებადა! ო, ო, ო, რა კარგი იქნება — რა კარგი.. — ხელი მომხვია და ოქროსა და ვერცხლის ჩუქურთმებში ჩვენი ფიქრებიც ჩაეხვია.

*

1957 წელს გალაკტიონმა „ლექსომისიის“ საავადმყოფოდან დამირეკა. ასე, იქნებოდა ღამის II საათი:

— ჩემო ძამიკო, ერთი მასწავლე, როგორ უნდა გაირეცხოს, მოსცილდეს ფერები ძველ ნახატ ტილოს!

ვიფიქრე, ვილაც ახალგაზრდა მხატვრისთვის თუ სჭირდება ეს ცნობამეთქი და კუთხარი:

— უნდა აიღო ტილო, გადააბრუნო. უკან მხრიდან დაასხა ცხელი წყალი, შემდეგ ცივი, მერე გადმოაბრუნო და ბლაგვი დანით ჩამოფხვიკო.

— მაღლობელი ვარ, მაღლობელი, — მიპასუხა გალაკტიონმა.

არ გასულა რამოდენიმე დღე და „ლექსომისიის“ საავადმყოფოდან ისევ დამირეკა, — ჩემო ძამიკო, ავად ვარ და გთხოვ, ხვალ იქნებ მნახო.

მეორე დღეს სამ საათზე მივედი, ეესტიბიულში დამხვდა ავადმყოფის პიჟამაში გამოწყობილი. თან ახლდა რამდენიმე კაცი. დამინახა თუ არა, შემომძახა: „აჰა, მოვიდა ჩემი „პრი-დვორნი ხულოჟნიკო““.

დაუუჯექი გვერდით, დიდხანს ვისაუბრეთ, მერე მორიდებით მითხრა:

— პლენანოვის პროსპექტზე, რკინიგზულთა სახლში შეხვედრას მიწყობენ და მინდა გთხოვო, დახატე ჩემი

პორტრეტი სახელდახელოდ! მე აქ სარდაფში აღმოვიჩინე ტილო და გამოვიგზავნი თუ ჩემი ძამიკო ხარ, უარი არ მითხრა!

მეგონა, იმგვარ სურათს მთხოვდა, 1952 წელს რომ დაეხატე და თანხმობა კუთხარი.

მეორე დღეს მეუღლე მირეკავს აკადემიაში: მუშებმა დიდი ტილო მოიტანეს და რა ვქნათო. ვუპასუხე, სახელოსნოში დადგით, მოვალ და მოვეუვლი-მეთქი. რომ მივედი, განეცვიფრდი. გამოეგზავნა სამ მეტრზე მეტი, დანაწერი, ჩამოფხვიკილი ტილო. ზოგან ფერები კიდევ იყო შეჩენილი. მეორე დღით, რვა საათზე საავადმყოფოდან გამოიპარა და ჩემთან მოვიდა.

— დაიწყე ჩემი პორტრეტი! — მითხრა გადაჭრით.

— ჩემო გალაკტიონ, ერთი რომ, ეს ტილო არაფრად არ ვარგა, ფერები კარგად არ ავიფხვია და ზოგან დახეულა კიდევ, და მეორე — ათ დღეში ამოღენა ტილოს დახატვას ვერ მოვასწრებ და საერთოდ, გამიჭირდება კიდევ.

— ჩემო ძამიკო, გთხოვ! სწორედ ამ ტილოზე უნდა დამხატო. ჩამოფხვიაში მეც დიდი მონაწილეობა მივიღე. სულ ფრჩხილებით ვაძრობდი ფერებს. არაფერი გიშავს, დამხატე!

— გალაკტიონ, ათ დღეში დახატული სურათი კარგ ტილოზედაც არ გამოვა რიგიანი. მერე, რად გინდა საღამოზე, საღაც შენ იქნები — ცოცხალი გალაკტიონი, უკან — სამმეტრიანი გალაკტიონი?! არ ივარგებს შენთვის და შენი სახელისთვის ეს შეუფერებელი იქნება. შენ ხომ იცი, ჩემო გალაკტიონ, როგორ მიყვარხარ, ყველაფერს მირჩევინხარ ამ ქვეყანაზე

ახლა ბლოგი და მეგობრები

ამას ეერა და ვერ გავაკეთებ. ჩაიაროს შენმა შეხვედრამ და შემდეგ დაეხატავ „მე და ლამეს“.

გაჯიუტდა, მიბრუნდა, კარები მიიჯახუნა და წავიდა. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ შემდუროდა და დიდხანს არც მოსულა.

1959 წლის 12 მარტია, ისევ დილის 8 საათი. ვილაყ კარზე ზარს რეკავს. გავალე კარი — გალაკტიონი!

ენა დამება, გამიკვირდა, არ მოველოდი. შემოვიდა, გადამკონა, ერთი კონა ია მოუტანა ჩემს მუულეს. სახელოსნოში დაჯდა და კარგა ხნის შემდეგ შეუბნება:

— დასახატავდ მოვედი. სად არის დაწყებული „მე და ლამე“? განკარგოთ! გამიკვირდა. ვიფიქრე, ალბათ მიურალია-მეოქი. მოვიკრიბე ძალა და ვუთხარი:

— ჩემო გალაკტიონ, გერ პატარა პორტრეტს გავაკეთებ. მერე დიდზე ვიმუშაოთ. 10 საათზე მსახიობი ნინო ლაფაჩი უნდა მოვიდეს, მის პორტრეტს ეხატავ. თუ არ გამოიჯარდები, ხვალ სულ შენს განკარგულებაში ვიქნები და რამდენიც გინდა, ვიმუშაოთ.

— არა! თუ მხატავ, დამხატე, თუ არა და მე მეტი არასოდეს არ მოვალ! გავიყვანე ბეორე ოთახში. მუელდემ საუხმე და კონიაკი გამოიტანა. დავაშოშმინე, ლაფაჩის დაეურეკავ, არ მოვიდეს და ცოტა ხანში შენს პორტრეტს დაეხატავ-მეთქი. ვიდრე ლაფაჩთან დავრეკე, გავალე სახელოსნოს კარი და გალაკტიონი უკვე პოხაში დამდგარიყო. დავიწყე პორტრეტის ხატვა ნახშირითა და ტემპერათი. შესვენებისას წამაკითხა ჩემი ლექსი „არ მწამდა ღმერთი“. ისევ დაჯდა სავარძელში, მაპიროსი მოწია. კიდევ ორი

საათი ეხატე ნახშირით და ეტიუდი მზად იყო. ადგა, დახედა, მიუწონა.

წამიკითხა ლექსი „მიდიხარ, ისე მიგაქვს წვალება“. კიდევ დახედა დაწყებულ დიდ პორტრეტს — „მე და ლამეს“, მერე ეტიუდს მიუბრუნდა, კარგად დააკვირდა. მოვიდა ჩემთან, გადამხეხია და წავიდა. წავიდა და აღარ მოსულა.

17 მარტს აკადემიაში მოვარდა ხმა: გალაკტიონი „ლენკომისის“ საავადმყოფოს IV სართულიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა.

დიდხანს ვერ მოვინელე მისი გარდაცვალება. სურათის ხატვა განკარგებე და ერთი წლის შემდეგ, როგორც იქნა, დაეამთავრე გერ დაიბეჭდა ღია ბარათად, რიხელიც გამოიმკვებობა „ხელოვნებაში“ გამოსცა. პირველად გამოვიტანე 1975 წელს ჩემს პერსონალურ გამოვენაზე. ახლა „მე და ლამე“ ჰქონდა საქართველოს წიგნის ძალატაში.

*

მისმა სიკვდილმა დიდი ტრამვა მომაყენა, მაგრამ უფრო ძლიერად შემაყვარა იგი, დამანახუა, თუ ვინ იყო როგორც პოეტი, როგორც ადამიანი, როგორც მეგობარი. ამაში ყველანი დაარწმუნა.

განა ამისთვის სიკვდილი იყო საჭირო?

აკადემიაში წამოვაყენე წინადადება, მისი გასვენებისთვის ვერცხლის გვირგვინი გავეკეთებინა. აპოლონ ქუთათელაძემ წამსვე დაიბარა ჭედური ხელოვნების კათედრა და დაავალა სასწრაფოდ გაკეთება.

რა თრთოლვით მივიტანეთ იგი მწერალთა სასახლეში! ყოველი მხრიდან გზები ჩარაზული იყო. არავის უშვებდნენ. თხუთმეტამდე მხატვარი



1957 წელი

ახლობლები და მეგობრები

— აკადემიის პროფესორები და მასწავლებლები ამაოდ ვცდილობდით გაღწევას ჩვენთან ერთად იყვნენ ელენე ახვლედიანი და ლადო გუდიაშვილი. მილიციის თანამშრომლებმა გზა გადაგვიღობეს, აღარ გვიშვებდნენ. მივარდა ელენე ახვლედიანი და როგორც იცოდა ხოლმე, მილიციის უფროს თანამშრომლებს ჯერ ხელით უბიძგა, შემდეგ ერთი მაგრად, რუსულად დედა შეაგინა, გაარღვია რკალი და გავედით.

სასახლე ხალხით იყო გაჭვდილი, დღისით და ღამით ხალხი არ შორდებოდა ცხედარს. გვირგვინი ყველაზე საპატიო ადგილას დაასვენეს, ჩვენ საპატიო ყარაულში დავედქით. გული მეკუმშებოდა, თვალს ვერ ვაშორებდი გალაკტიონის სახეს. უამრავი სიტყვა ითქვა გენიად აცხადებდნენ ისინიც, ვინც ცხოვრებაში ცდილობდნენ მის დაჩაგვრას და ამწარებდნენ. მე თითქმის წინა რიგებში ვიდექი, მივდედი კუბოს, რომელიც ახალგაზრდობას ცამდე ჰქონდა ატანილი. მთაწმინდამდე გზაში იბადებოდა ჩემში ლექსი გალაკტიონზე:

...მთაწმინდის კალთაჲ, მოეფერე
შენს გალაკტიონს!
შენთან მოვიდა, დიდებული
თავი დახარა.


უამბე დედა საქართველოს
ყოველ ალიონს,
რას ფიქრობს ახლა, როგორ
სძინავს და რა ახარებს!..

*

ერთხელ მითხრა:

— რომ შეიძლებოდა, მოვკვებდობდი, რათა ისევე დაეიბადო და ვიცხოვრო, როგორც დღემდე მიცხოვრია. მე ხომ ამქვეყნად არაფერი დასანანებელი არა მაქვს. არ დამიძმობილა არც სიყვარული, არც ბედნიერება და არც იმედი ბედნიერებისა. ბედნიერებაა ჩემი კალამი, რომელიც არასოდეს მლაღატობს. განა არ შემეძლო, სხვებივით მეცხოვრა, მქონოდა კარგი ბინაც, კარგი მდგომარეობაც, მაგრამ ისიც კმარა, რაცა მაქვს, რადგან საბრძოლველად არა მცალია, შემოქმედებაში ჩამოურჩები და ჩემთვის ყოველი ტაეპი ჩემი ლექსისა უმალღესი ბედნიერებაა. მე მიყვარს ის, რაც ვარ და როგორიც ვარ. მე მიყვარს, რასაც ვწერ და როგორც მინდა დავწერო.

იყავი მეღვარი, ამაყი, გიყვარდეს შენი თავი და შენი ნამოქმედარი და თვითონ დრო გეტყვის, ვინა ხარ შენ, რა გააკეთე და ყველაფერი ეს ან პარნასზე აგიყვანს, ან ეშაფოტზე—



მიხეილ ვაღბოლსკი

შესვენდრები გალაკტიონ ტაბიძესთან

(1942-1959)

პირველად გალაკტიონ ტაბიძეს 1942 წელს შეეხვედი. ეს იყო „სახელგამში“. მაშინ მე ექუშაობდი წიგნზე: „ქართველები რუსეთის არმიის საბრძოლო წარსულში“.

— მე ვნახე თქვენი წიგნი. დიდი და საინტერესო საქმე წაშოგიწყეით. საკვირველია, როგორ ერევი. არაადამიანურ ენერგიას ფლობთ — ეს სიტყვები, რომელიც მე მისგან პირველად გავიგონე, სიტყვა-სიტყვით დამამახსოვრდა, ისევე როგორც მთელი მისი იერი, გარეგნობა: თბილი ღიმილი, ხშირ წარბებს ქვეშ მოჭუტული თვალები, გაპარსული, ოდნავ შემუშებულნი სახე, თეატრალური, პოეტური პოზები და ჟესტები. როდესაც ხელის ჩამორთმევისას მის ხელს შეეხე. ის უხერხულობაშერეული აღტაცება ვიგრძენი, რომელიც თავს მაშინ იჩენს, როდესაც იმ გამოჩენილი ადამიანის ყურადღებას გრძნობ, მისი ნაშრომებით რომ იცნობ და დიდი ხანია გიყვარს. მისდამი სიყვარული ნაცნობებისგან გაგონილი ამბების წყალობით დიდი ხნით ადრე გაშიჩნდა. ბევრი რამ მწერალმა შალვა კაშმაძემ მიაშპო. ჩვენ ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით და ხშირად ვსტუმრობდით ერთმანეთს.

უნდა გამოუტყდე, რომ გალაკტიონი გარეგნობით ისეთი არ აღმოჩნდა, როგორიც მეგონა. მასში არაფერი იყო პოეტური. ის უფრო რომელიმე ძველი, რეოლუციამდელი ოპერეტის თეატრის

არტისტს მგონებდა. მაშინ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუბული წვერი და მრგვალი ჩალის ქული ეხურა. საბჭოთა პერიოდში ასეთ ქულს უკვე აღარაინ იხურავდა. პოეტის გარეგნობა ჩემს გონებაში რაღაცნაირად არ ყთანხებოდა მისი ლექსების ღრმა. საკვირველ ლირიკას. მე განსაკუთრებით სიმბოლიზმით გატაცების ხანაში შექმნილი მისი ლექსები მიყვარდა. ჩემი აზრით. აქ იგი უფრო პოეტური იყო, ვიდრე თავის გვიანდელ. რეალისტურ ლექსებში. ჩვენ იმაზე ვისაუბრეთ, რომ ღროულად მიექცა ყურადღება გარდასულ დროსა ქართულ მებრძოლებს, რომელთაც სისხლი უღვრიათ რუსეთის არმიამი და ვისი ხსოვნაც ჩვენს დროში ღვეიწყებას მიეცა. საუბარმა გადაინაცვლა რუსი და ქართველი ხალხების ტრადიციულ მეგობრობაზე, საერთოდ, ქართული კულტურის სიძველეზე და წარსულის საქართველოზე. როგორც ქრისტინობის ბურჯზე აღმოსაგელეთში. მყისვე გაქრა მისი მანერების, მისი მიმიკის ხელოვნური თეატრალობა — თვალები უფრო ღრმა, უფრო სერიოზული გაუხდა. შუბლზე უფრო გამოეკვეთა ნაოჭები. იგი უკვე საუბრობდა როგორც მეცნიერი, როგორც ისტორიკოსი. ნათლად გამოიკვეთა გულისა და გონების კაჟშირი. გალაკტიონი ისტორიულ მაგალითებს იმოწმებდა, გამოავლინა უდიდესი ერუდიცია, აღმოსავ-

ლეონისა და დასაქვლეთის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა. მაგრამ არაფერი იცოდა იმ ქართულ გმირებზე, რომელნიც. პეტრე დიდის ხანიდან მოყოლებული. მონაწილეობდნენ რუსეთის ომებში. მან მხოლოდ 1812 წლის გმირები დაასახელა: ბაგრატიონი, ძმები ფანსილიძეები და იმავე თაობის კიდევ ორი თუ სამი კაცი. მეფისდროინდელ გმირებზე საუბარი იმ დროში იმდენად უჩვეულო და საშიში იყო, რომ გალაკტიონისგან. სულ მცირე. თაზიანი თაქსეკაეებას ველოდი. ის კი ამკარად ამაყობდა, როდესაც გმირობით სახელგანთქმულ შრავალ ქართულზე ეუბამე. მან გაბედულად დაუჭირა მხარი ასეთი წიგნის გამოცემის საჭიროებას... გამომშვიდობებისას მოთხრა:

— მშვენიერია, რომ საქართველოს ისტორიას მოკიდეთ ხელი. ჩქარა დაბეჭდეთ. ომი დაშთარდება. ისეთი დროც მოვა, როდესაც კიდევ მოგვიწევს უკან მიხედვა...

ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო თანამედროვეობის დიდ პოეტთან, შეხვედრა, რომელიც თანდათან მგობრობაში გადაიზარდა.

მეორედ მას გრიგოლ ოვანეს ძე ზაზიაშვილის, უხუცესი ქართველი მხატვრის. ოჯახში შევხვდი. ეს უკვე 1943 წლის ზაფხული იყო. ზაზიაშვილი მაშინ რიყეზე ცხოვრობდა, ხეტაგუროვის ცხრა ნომერში, ეკლესიის ეზოში, ჩემთან საკმაოდ ახლოს. მე შეიონებები ქუჩის ათ ნომერში ვცხოვრობდი.

1938 წლიდან. მას შემდეგ, რაც აქ დაესახლდი, ამ მხატვრის კეთილ, უბრალო ოჯახს ძლიერ დაუახლოვდი. ეს ცნობისმოყვარე, თითქმის 80 წლის მოხუცი ყმაწვილივით წამოენთებოდა ხოლმე, როდესაც ძველი მხატ-

ვრების ამბებს ისმენდა... მას არ უსწავლია არაფერი აკადემიებში და მხოლოდ თავისი ნიჭით, თავისი მძიმე შრომით მიაღწია ოსტატობის მაღალ დონეს... მისი აწიწილი, ხბელი სილუეტი. ლამაზი, ჭადარაუღელაშინანი სახიო მძიმე ჯოხზე დაყრდნობილი. ხშირად გამოინდებოდა ხოლმე ჩემს ოთახში. ის. დიდი ხანია, კარგად იცნობდა გალაკტიონ ტაბაძეს და ბევრს მიყვებოდა მასზე.

იმ დღეს. რომელზეც მინდა მოგითხროთ, ჩემთან შალვა კაშმაძემ შემოიარა. იგი არ იცნობდა ზაზიაშვილს, მაგრამ ძალიან უნდოდა მისი გაცნობა. მივილაპარაკეთ მხატვართან ერთად მთესულიყავით და დაგვეთვალიერებინა მისი ჩანახატები და ესკიზები სურათისთვის „თამარ მეფის გამობრძანება“. ეს თქმა ზაზიაშვილმა თავის „გედის სიმღერად“ აირჩია. თუ სიკვდილი ხელს არ შემიშლის, ამ ტილოში მთელს ჩემს ოსტატობას ჩაუდებო...

ზაზიაშვილთან გალაკტიონი დაგვეხვდა. ზღურბლიდანვე გაუიგონე მისი გადამდები სიცილი. ის და ზაზიაშვილი პოეტის პორტრეტთან იდგნენ. ეს პორტრეტი ზაზიაშვილს დიდი ხნის დაწყებული ჰქონდა. მაგრამ ვერაფრით დაემთავრებინა. სურათი ერთი მეტრის სიდიდის იყო და ცუდი არ უნდა გამოსულიყო. გალაკტიონი სამი მეოთხედით შებრუნებული, რუხი კოსტიუმით დაეხატა.


პოეტი ხელგაშლილი შემობრუნდა და გულითადად შევება კაშმაძეს, მეც თბილად მომესალმა:

„აი, თურმე არც თქვენ იფიწყებთ ჩვენს გიგოს, შეხედეთ, ჯერ კიდევ რა ყოჩაღად არის. ხატავს და მერე როგორ!.. აი, თუნდაც ეს! ეს მე კი არა,

მერიმეა, ოხ, ოხ, ოხ!" — მან ისევე ავი-
სებურად, ბავშვურად სუფთად, გულუ-
ბრევილოდ გაიციინა.

შევაძინიე, რომ გალაკტიონის(ც და
ბატონი გრიგოლიც ოდნავ ნასკამები
იყვნენ. მაგიდაზე არაყის ბოთლი
იღვა. „პაიოკის“ პური, ლამბაჭზე კი
კიტრები ეწყო. ამ „პეიზაჟით“ გან-
საკუთრებით კმაყოფილი კამშაძე დარ-
ჩა. მან ტუჩები გააწკლაპუნა და

გაგანთავსა



„ღიპზე“ ხელი მოისვა, ამ „ღიპს“
ასეთ მშვიერ დროშიაც კი რაღაც
სასწაულით ინარჩუნებდა. შალვას ბა-
ტონი გრიგოლი გაუცანნი და ისიც
მაშინვე ოჯახის ძველი მეგობრის
როლში შევიდა. მოხუცმა მასპინძლო-
ბა მას დააკისრა, რადგანაც მხატვრის
მეუღლე შეუძლოდ იყო და იქვე, ერ-
თადერთ ოთახში, ლოგინში იწვა.
გალაკტიონს ზაზიაშვილის ფერწერა

უყვარდა და როდესაც თითო ჭიქა გა-
დაუკარიოთ, თქვა:

— ხელაუთ, ყოველგვარი აკადემიე-
ბის გარეშე ძია გიგო ოსტატია. რო-
გორი ძალა აქვს ჩვენს გიგოს ამ ასაკ-
ში, ა? საათობით 'ხის მოლბერტთან,
შეისკუპებს ცხვირზე ორ წყვილ სათუა-
ლეს და აღარაფერი ახსოვს. ალაღად
და უანგაროდ უყვარს ხელოვნება. რე-
პინიც ასე იყო მის ასაკში. როცა ხელი
დაუსუსტდა, ჩამოიცილებდა პალიტრას
კისერზე და ხატაჟდა. ესებდა... აი, რას
ნიშნავს მხატვარი!..

იგი მოხუცს მიუბრუნდა და რა-
ღაც გადაულაპარაკა ქართულად, მოხ-
უცმა ნაღელიანად გაიღიმა, უღვაწზე
ხელი გადაისვა:

— პო, რეპინი... ეჰ, რეპინის გა-
ნაოღება მომცა, ყველაფერი სხვა-
ნაირად იქნებოდა! — ნაღელიანად თქვა
მან და შევაძინიე, როგორ ჩამოუგორდა
ცრემლი და ჭადარა უღვაწზე ჩამოეკი-
და. ეს ცრემლი არც სასმელით იყო
გამოწვეული და არც თვალების დაღ-
ლილობით. იგი გამოიწვია სულიერმა
ტკივილმა, იმან, რომ წარსულის დაბ-
რუნება შეუძლებელია. მხატვარმა
ცხვირსახოცით გაიწმინდა უღვაწები,
წელში გაიმართა:

— მე კი ჯობრზე გაუგარძელებ ხატ-
ვას, ღმერთმა ჯანმრთელობა რომ მო-
მცეს. ისეთ სურათს დაუხატავ. რო...

შემდეგ შემოგვიჩილა, რომ კომ-
პოზიცია უჭირს, ისტორია არ იცის,
ყველაფერი უნდა იკითხოვ. მაღლეგრ-
ძელა, თქვა. რომ ხშირად მიმქონდა
მასთან ჩემ მიერ საქართველოს სხვა-
დასხვა მუზეუმში ოდესღაც გაკეთებუ-
ლი ჩანახატები. კამშაძემ თქვა, რომ
აღბათ, მე გაცილებით უფრო მეტად
ვარ ქართველი, ვიდრე ბევრი ქართვე-
ლად დაბადებული. გალაკტიონმა

აღღერძელა ხალხი. როძქელიც ქარ-
თულ მიწაზე მოსულა და თან ქვეყნისა
და ხალხისაღძი თაღისი სიყვარული
მოუტანია. ილაპარაკა მხატვარ გა-
გარინზე და სიონის ტაძრის მისეულ
ფრესკებზე. შემდეგ „თაძარ მღეღის
გაძობრძანების“ ესკიზები დავათვა-
ლიერეთ ამ სურათის კომპოზიცია უკვე
შშქენორად იყო გამობატული დიქტის
მეტრიან. კირით შყოიერებულ ნატურზე.
უმკაცრესი კრიტიკოსიც ვერ დი-
წუნებდა ამ რთული კომპოზიციის სის-
წორესა და ბუნებრიობას.

თანდთან საუბარი სხვა თქმებს
შეხო. კერძოდ შალიაპინს. ესკიზების
დათვლიერებისას შალუა კაშმაძე გვი-
ამბო, რა გულდასძით მუშაობდა დიდი
არტისტი საკუთარი კოსტიუმების
ორიგინალზე. განსაკუთრებით, მე-
ფისტოფელის კოსტიუმზე. ამ დროს მე,
და ალბათ თითოეულმა ჩვენსაგანმაც,
პირველად მისგან მოვისმინეთ ვერსია,
რომ შალიაპინის ძამა ქართიველი იყო.
გვარად ბახუტაშვილი. ბვერი საინ-
ტერესო გვიამბო შალუამ თაღის შე-
გროვებულ მასალაზე და სურვილიც
გაგვანდო — უნდოდა ეს თემა „თბილი-
სის ოპერის ისტორიაში“ ჩაერთო.

ამ ვერსიაზე გალაკტიონმა რა-
ტომღაც კომერულად გადაინარხარა:

— ხო, ხო, ხო, ეს რაგორ მოუხ-
ვიე! შალიაპინი — ქაროველი! მაგარ-
ია, ფე...ნო...მე...ნა...ლურია!

კაშმაძე მტკიცედ იტყუდა თაღისას
და წყაროებზე მიუთითებდა. ის, ცოტა
არ იყოს, ნაწყენი ჩანდა თაღისი კერპ-
ის ირონიით (გალაკტიონს აღმერობ-
და). იმ დღეს ჩვენ არც ერთი სატყუა
არ დაგვედგინა მძიმე აწმყოზე. გაურ-
კვეველ მომუალზე. თითქოს სრულიად
სხვა დროს შევიკრიბეთ როდესაც ყვე-
ლანი გარეთ გამოედით შალუა კაშმაძე

დაგვემშვიდობა და წაიღია.

— შშქენიერი. კარგი აღამინია, მე
კი, შგონი. ვაწყენინე. — თქვა გალაკ-
ტიონმა. მე მოუყუვევი. როგორ მუშაობს
კაშმაძე გვიან დაძებდე, ქანციის გან-
ყვიტაძდე. ეწვეა ერთი შეორის მიყ-
ოლებით მთელი ოთახი კვაძლში ეხვე-
ვა. ის კი გულს უჩივის. და ასე იღლე-
ბა.

— დიახ, დიახ. ჩემთიღისაც არ არის
ეს უცხო, — თქვა გალაკტიონმა. —
წაძებულნი ვართ — ნიჭის შონები.

ჩვენ მიუუახლოედით ჟორინცოვის
ხიღს. დაღინახეთ — მწყობრი, მძიმე
ნაბიჯებით. საველე აღტურვილობით
მიდიღონენ ჯარისკაცები და მღეროდ-
ნენ. მძიმე ნაბიჯი სციემდა ასფალტს.

— შეხედეთ. რა ძალაა! განა შეი-
ძლება აძათი დამარცხება?! გერც ერთი
პიტლერი ვერაფერს გააწყობს. ნაპო-
ლეონმა ვერ შოახერხა ეს და მით
უმეტეს... — თქვა გალაკტიონმა, ქუღი
მოიხადა და ჯარისკაცებს დაუქნია...

ჩვენ ნელნელა მიუყუვებოდით გზას
აღექანანდრეს ბაღისკენ. ზახიამვილი
ტროსტს ვერდნობოდა ხიარუღისას.
მან ჩემს „პოლიტსატირის ფანჯრებზე“
დაიწყო საუბარი, რომელთაც მე მა-
შინ ოფიცერთა სახლში ყხატაედი.
თურძე გალაკტიონსაც ენახა და მოს-
წონებოდა.

— ძლიერ კორტნით პიტლერს.
რომ დაგიჭიროთ. ცოცხალ ადგიღს
არ დაგიტოვებთ ჩვენს ხალხს კი უყ-
ვარს ბასრი კარიკატურა. ბრბო დგას
და შარიღს გრძნობს. ეს ხელოვნება
დღეს ყოველგვარ ღირიკაზე უფრო
სასარგებლოა.

ბაღში გალაკტიონის წინადადებით
ფოტოსურათი გადავიღეთ. ორი დღის
შემდეგ ჩვენ კიდევ ერთი სურათი გა-
დავიღეთ კარგ ფოტოატელიეში,



გიგო ზაზიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ვაღბოლსკი

სასახლის ქუჩაზე.

ძახსოვს, როდესაც ატელიეიდან გამოვედი, გალაკტიონმა თქვა:

— ნეტავ, ბედი რომელს გვარგუნებს. ამ ფოტოს უკანასკნელი მფლობელი იყოს?

ზაზიაშვილი ხელში პაპიროსს ჭყლეტდა და იღიბებოდა: „შე ვერ გაგზდები, რაღა დამრჩენია, ნეტა სურათის დასრულება მოვასწრო, მაღლობელი ვიქნები. დავსუსტდი, ხელი მიკანკალებს... ეჰ, იყო დრო...“

გალაკტიონი თითქმის სახლამდე მივაცილე. დაშვიდობებისას მან გადაკონა ბატონი გრიგოლი, მე კი ამიხსნა, როგორ უნდა მომეძებნა მისი ბინა:

— გამომიარეთ უსათუოდ გამოიძიარეთ და წიგნის ხელნაწერებიც წამოიღეთ

მე მაშინვე წავიტრაბა ხე, რომ ლე-

ქსებსაც ვწერდი. ეს რალაცნაირად ბავშვურად გამომოვიდა.

— ო, ლექსებიც! თქვენ ნაძღვილი ვუნდერკინდი ბრძანებულხართ! — ახარხარდა იგი და კისერზე მოიქცია.

ამ გასეირნების დროს გალაკტიონს ბეჭერი რამ ვკითხე მისი ცხოვრების, მოძვეალი გვეშების შესახებ. მაგრამ ცალკეად, უგულოდ მასსუხობდა. ზოგი შეკითხვა კი სულაც უპასუხოდ დატოვა. ეს ალბათ, იმიტომ ხდებოდა, რომ მისთვის ვერ კიდევ უცხო ვიყუი. რომლის წინაშეც გულის გადაშლა. უბრალოდ, უჭკუობა იქნებოდა. მოგვიანებით მისი ნაცნობებისგან (მაგალითად, ვანო წულუკიძისგან) გავიგე, რომ გალაკტიონი ყოველთვის გულჩაოხრობილია და თავის „წმიდა-თა წმიდას“ არავის უშხელს.

ერთი თვის შემდეგ გალაკტიონს შემთხვევით გადავწყვიდი საბურთალოს

ბაზარში. იმ დროს იქ სისხამ დილიდან ჭრელი საზოგადოება იყრიდა თავს. ვის არ ნახავდი. ვინ არ ვაჭრობდა! ბაზრის ერთ შორეულ კუნტულში გალაკტიონი დავინახე თავისი წარდგინაძღელი ჩაღის ქუდით. მის გარშემო გამგლეელი მაწანწალების ბრბო შეგროვალყო. ვილაყ ვღალწვერიანი. მებღეაურის საბაგეშო ქუდი რომ ებურა, გალაკტიონს ლექსებს უკითხაედა. ის თან ნაცრისფერი ქაღალღის ნაგლეჯს აფრიალებდა. თანაც სახისთვის მისორული ეღეერის ბიეემას ცდილობდა — ეტყობა. ლექსის შინაარსის შესაბამისად. მბაყურადე. ლექსი არ იყო ცუდი და მაწანწალაც ოსტატურად კითხულობდა. გალაკტიონი მთელ ამ „საზოგადოებას“ ღვინით უმასპინძლებოდა. ღვინიანი ბოცა იეეე ჩაცუცქულ. კახურქუდიან გლეხს ეჭირა. გალაკტიონი ვერ მამწეედა და გაღეყვიეტი, მისთვის შორიდან მეღეენებინა თვალი. როგორც კი მაწანწალამ ლექსის კითხევა დაასრულა. გალაკტიონი ორი თითით წედა ყურში და შესძახა:

— ყველაზე დიდი ჭიქა პოეტს! ყოჩაღ! ლამაზად კვდება შენი მარუსია!

ბრბო ღმიღით აეუგუნდა სხვადასხეა ენაზე. გალაკტიონი კი „პოეტს“ უკეე ჭიქას უჭახუნებდა. გარშემო ტამა იქეხა. ჩანდა, გალაკტიონს ბეერი ცნობდა და ძალზე ეამათ მისი ღემოკრატეულობა, მათდამი გამოჩენილი ყურადღება.

როგორც კი ამ „საზოგადოებას“ ჩამოშორდა. გალაკტიონთან მისეღა დეაპირე. მაგრამ ცოტა ხნით თავი შეეიკაეე; დეინახე, რომ როგორც კი გალაკტიონი მათ ოცდაათიღე ნაბიჯით დასციღდა, ბლოკნოტი მოიმარეეა და რაღაცის წერა დაიწყო.

წარბოუღეეეი იყო. როგორ წერდა ამ ქაოსში. გარშემო ყველაფერი ზუზუნებდა. ღრიალებდა და ყაყანებდა. რამღენიმე წუთში მან ბლოკნოტი ჯიბეში ჩაიციურა, უკან მოიხედა და დაძინახა.

— ო, ვაღბოლსკი, მშეენიერი... დიღებული... ქარიეეელები საბრძოლო წარსულში... აღტაცებული ვარ, რა ყოჩაღი ხარო! — ხმამაღლა დაიძახა და ჩემსკენ გამოიწია, თან ხელებით არღეეედა ბრბოს. გალაკტიონი ოღეეენახამი იყო. სახე გაწითლებული და ოფლიანი კქონდა. ქუდი გეერღეე მოქეეოდა. გზა ერთად განეაგრძეო. გაღეყვიეტი არ მეოქეა, რომ ყველაფერი დეინახე. მაგრამ თეითონეე დაიწყო ლაპარაკი:

— აქ საოცარ შეღეერებს შეიძლება გადააწედე. ამ ხალხს ნამღეელი სული აქეს, ზოგი ნიჭიერიცაა. აი, ახლახან ერთი ეიატეელი მიკითხედა ლექსებს. მშეენიერი ლექსები იყო. თე, რა ოქმა უნდა. საკეთარია. მეეეე რა? გალოთდა, მწერს დაემსგეესა. თეენთვის, როგორც მხატვრისთვის, ეს ალბათ საინტერესო უნდა იყოს. ბრბოში, საერთოდ, საინტერესოა ყოფნა... ღე-ღი-ა, ღე-ღი-აო... — მან მხრები გაშალა და თითები გაატკაცუნა. რა მოულოდნელი გადასეღაა სერიოზულიდან უცნაურ მხიარულებახე. ასეთი მოულოდნელი გადასეელები შემღეეეშიც ხშირად შემიძნეეია...

შეუძლებელია არ გაეიხენო საინტერესო შეხეეღრა ჩელუსკინელების მოეღანზე. შემოგეეხედა ტანდაბალი, სათეულიანი მოხუცი, რომელსაც დაჭმუჭნული შლიაპა ებურა და ყვითული, განაწამები სახე კქონდა. გალაკტიონი მიესალმა მას და მე წარმადგინა, მა-



მანანალა ბავშვებთან

გრამ მოხუცის გვარი არ დაუსახ-
ელებია. მოხუცმა შესწოლა, ნათი ვერ
მიშოიო და სწრაფი, მოკლე ნაბიჯ-
ებით გაგვშორდა. გალაკტიონმა ხელი
გამკრა:

— იცით, ვინ არის? ვერესაეკია,
წარსულში სახელგანთქმული მწერალი.

მე ძალიან გამოკვირდა, რადგან
მოხუცი სულ არ კგაედა იმ ვერესაევს.

ვისი პორტრეტებიც ხშირად ძინახავს
ჟურნალებში და წიგნებში.

— ღიახ. ეს ის ვერესაეკი აღარ
არის, ომმა ისიც ჩვენთან, თბილისში
გადმოსროლა. — და გალაკტიონმა
მიაშბო, რომ ვერესაეკი დროებით შალ-
ვა დადიანთან ცხოვრობდა და ხელით,
მგონი, თერთმეტსართულიანი სახლის
მეორე სართულზე მძიმითთა.

ახლაბლოები და მკობრები

— საინტერესოა, ეხლა თუ წერს რაბქს? — ვკითხე მე. გალაკტიონს ჩაეცინა:

— ნაფის დაეძებს, რა უნდა დაწეროს? დიდი ხანია, ძირი გაყარდა.

— როგორ? — ვერ გაეცემა მე.

— შემიქმედებითო საყრდენი გამპოე(ა)ლა. ყველაფერი დაეძხარა, აერია. დიდი ხანია, სიერციხა და დროის გარეშე დარჩა და რა უნდა დაწეროს? წასულია მაგის საქმე. ჩვენთვის. საბჭოთა მწერლობისთვის ის ცარიელი ადგილია. ყველაფერი კანონზომიერია: ახლა უკვე სხვა ადამიანმა უნდა წეროს. იმ ადამიანმა, რომელიც უბრალო ხალხის წიაღიდან გაიჭიდა და არა ისეთმა, რეჟოლუციამდე რომ გაიზარდა.

შემდეგ გაუჩხუქეთ ზაზიაშვილი და გალაკტიონმა მკითხა. ხომ არ გინახავსო. მე ხშირად ვნახულობ-მეთქი, ვუთხარი, ახლა ძალიან უჭირს. ლიტერი „ნ“ ვერ იხსნის მას შიშოლისგან, დიდი ოჯახი ჰყავს. მოუყვები, ამას წინათ ჩემს ოფალწინ როგორ „გამოაგდეს“ პურის რიგიდან, როგორ წაიქცა და ხელი დაიზიანა. გალაკტიონმა წარბი შეკრა, დადუმდა. შემდეგ აღელვებულმა თქვა: — „მხატვართა კავშირში მისთვის რეალური დახმარების საკითხი უნდა დაისვას. მხოლოდ დახმარების კი არა, ყველაფერი უნდა მიენიჭოს, რაც დაიმსახურა. თანაც მასზე უფროსი არავინ არის. — ა, როგორ ფიქრობ?“ მე. რა თქმა უნდა, დავეთანხმე. რომ ეს ყველაფერი ნაძღვილად საჭიროა, ყველაფერი ეს ეკუთვნის, მაგრამ ვინ იზრუნებს მასზე? ზრუნვა სახელგანთქმულმა ადამიანმა უნდა იკისროს და მე მზანისძე. რომ მას, გალაკტიონს, შეუძლია ამის გაკეთება.

გალაკტიონი ძალიან შეაწუხა „ჩემი გიგოს“ (ასე ეახდა ხოლმე ზაზიაშვილს) ბედმა. იგი მაშინვე დათანხმდა ეზრუნა მასზე. პოეტის, ასე ეთქვათ, აუადამოფურობამდე მგრძობობარე ბურება ყველაფერს რაღაც(ნაირად უცებ) იჭერდა და შეივრძობდა. ასეთი წუთის გაელენით იგი ყველაფერისთვის შხად იყო, შექმლო ყველაფერი. რაც ჯიბეში ჰქონდა. მაიხსჯრის კალთაში ჩაეყარა, შექმლო უკეთილშობილესი რაინდი, გპირი ყოფილიყო. მაგრამ საქმარისი იყო ცეცხლი განელეობდა. იგი კვლავ სვინქსად. გამოცანად. დაკლიტულ კარადად იქცეოდა. ახლაც. მხატვართა კავშირში რომ ვყოფილიყავიო. იგი აუცილებლად იზრუნებდა, იკამათებდა, დაამტკიცებდა. მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, კავშირიდან შორს ვიყავით და მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონი შეშპირდა ამ თუმაზე დღესვე ან ხვალვე მხატვართა კავშირში დალაპარაკებას და დახმარებას. დარწმუნებული ვიყავი. ამას არ გააკეთებდა. ასეც გამოვიდა. ორი-სამი დღის შემდეგ მე და ზაზიაშვილი კავშირში ესკიზების დათვალეიერებაზე ვიყავით მე ვიკითხე, გალაკტიონს ხომ არ შემოუვლია-მეთქი. მაგრამ, როგორც მოკლოდი. იქ არც გამოჩენილა. ჩვენი შეხვედრები დროებით შეწყდა. მე ძალიან დაკავებული ვიყავი: ო. ჯამის რედაქციით გამოძეულ პლაკატებზე — „ხისტიო და კალმით“ — ემუშაობდი. შემთხვევით „ხალტურებს“ ქალაქშიც და პროვინციებშიც ვიღებდი და, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ერთი წამიც არ მქონდა თავისუფალი.

ომის დამთავრებამდე ჩვენ ერთმანეთი აღარ გვინახავს. ორჯერ-სამჯერ თვალი მოეკარი ქუჩაში. იგი ყოვე-

ლთვის მართო იყო და ძალიან შეწუხებული. მასთან სახლში მისვლა მხოლოდ 1956 წელს მომიხდა. ამ წელს მე პლენუმის პიონერთა პარკში მხატვრად და საჭადრაკო სექციის ხელმძღვანელად ვმუშაობდი. იქ დროდადრო იმართებოდა შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან — ხელოვნების მუშაკებთან. წარმოების გმირებთან და ა. შ. დირექციას საქართველოს სახალხო პოეტთან — გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრის მოწყობა შეგოვავხე. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა პარკის დირექტორმა ივანე შოთაშვილმა. მე უფლებამოსილი ვიყავი, მოლაპარაკება გამემართა... აი, ამ მიზეზით გამოვიცხადდი გალაკტიონთან საღამოს შეიქმნა საათზე. ძალიან დიდხანს ვრეკეზარა, სანამ კარს მიღმა ფეხსაცმელების ფრატუნე გაიხმა და იგი თავად გამოჩნდა ზღურბლზე. ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა. წვერი მოეშვა და ძველ, გაპარსულ გალაკტიონთან ყოველგვარი მსგავსება დაეკარგა.

— ო, ო, ო, როგორც იქნა. სად დაიკარგეთ, მოხარული ვარ, ძლიერ მოხარული. მობრძანდით, მობრძანდით! — ხელკაუთი შემიყვანა მარჯვენა კარში, თავის კაბინეტში.

დიდი ხნის უნახვეები ვიყავით და ცელილებები მით უფრო საინო იყო — დაძმობულიყო და წვერიანი „სმოლენშინის გლეხს“ დამსგავსებოდა. წვერზე ხშირ-ხშირად ხელის ჩამოსმას დასჩვეოდა. თვალები კი ძველებურად ხან ბავშვური, კეთილი, სუფთა, ხან ღრმა, ეკლიანი და გამჭოლი დარჩენოდა. იგი ძლიერი და წელმაგარი ადამიანის შთაბეჭდილებას მოახდენდა, ლოყის ხშირი თრთოლა და თითების კანკალი რომ არა. პოეტის საშუალო კაბინეტს თითქოს გრივალმა

გადაუარაო, არაჩვეულებრივი ქაოსი შეფორდა. ყველგან უაპრატი წიგნი. ხელნაწერი. რეკული, პლაკატი იყო მოყვნილი. შავიღები, თაროები, კარაღები რალაც აპარატებითა და მანქანებით იყო გადატენილი. საშუალო მაგიდასთან მისასვლელად მათ შორის ლავირება დამჭირდა.

გალაკტიონი აქ ქმნიდა, აქ ფიქრობდა, საკუთარ წარმოსახვასთან პირისპირ დარჩენილი... იმ სხვა სამყაროში, პოეტურ სამყაროში, რამლის შეუზღუდავი მბრძანებელიც იყო... მე ჩემი მისკლის მიზანი აუხსენი. ჩუმაღ მისძენდა, ხელები მაგიდაზე დაასვენა და თითები აასამაშა. მზის შუქი გვერდითა ფანჯრიდან სცემდა. ახლალა შევამჩნიე, როგორ მოტყობიყო. შვენიშნე განვლილი წლების დაღი. მძიმე ფიქრებისა და საგანგაშო განცდების ნაკვალავი სახეზე აღბეჭდოდა. საუბრისას დროდადრო მას უეცარ დაბნეულობას, თითქოს მორცხვობას ვამჩნევდი. თვალებს აცუცებდა და ლოყა უფრო უთამაშებდა. პარკის ბავშვებს ძალიან უყვარხართ და თქვენთან შეხვედრას მოუთმენლად ელიან. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ უახლოეს დროში თქვენთან შეხვედრა გვინდა.

თითები მაგიდაზე უფრო სწრაფად ამობრუნდნენ, ხშირმა წარბებმა თვალზე მომდგარი ცრემლი ვერ დაფარეს...

— თქვენ ამბობთ რომ მე ბავშვებს ვუყვარვარ... ო, რა სასიამოვნოა, ვუყვარვარ! რა დიადი სიტყვაა! რა თქმა უნდა, მე თანახმა ვარ, აუცილებლად მოჟალ თქვენთან, ეს ძალიან საინტერესოა. ვადბოლსკი, მოამზადეთ საღამო. მე ხშირად ვფიქრობ თქვენზე. რა მდგომარეობაშია თქვენი წიგნი გმირებზე?

მე ვუამბე, რომ წიგნის ბეჭდვა ვი-



პიონერებთან

დაცამ ჩაშალა. მგინი, ბოლო კორექტურაზე. პიონორარი მომცეს. წიგნი კი არ გამოსულა. გალაკტიონმა ხელი ხელს შემოაკრა:

— საოცარია, საოცარნი. საოცრებების საუკუნეა. არ იფიქროთ რომ მე ყველაფერი აწუბობილი მაქვს. ეპ, ვაღბოლსკი, არაჟინ იცის. რა ხდება აქ...

— მან ხელი გულზე დაიდო და ცალყბად ჩაიციხა. თავი დახარა. წვერზე ხელი ჩამოისვა და წარბებშეკრული ჩაფიქრდა. ცოტა ხანში ამოიხელა:

— ბუშკებთან ყოფნა ძალიან საინტერესოა და მნიშვნელოვანი. კარგი ჩანაფიქრია.

მან შემომჩივლა, რომ ყურადღებას არ აქცევენ. რომ დღემდე არხად არ არის მისი მუხეუმი, ლექსების სრული გამოცემაც კი არ არსებობს. მხოლოდ ფუჭი ლაპარაკია. უჩიოდა დაღლილობას, განსაკუთრებით ფიზიკურს:

— გული მტკივა. მაწუხებს.

შევეცადე დამეძმეილებინა. ვუთხარი, რომ შეიციხა გულის დააყადებების სფეროში ძალიან განვითარდა. მან ჩაიციხა.

— თქვენ ოპტიმისტი ხართ. ასე მგინია, არასოდეს დაბერდებით.

გაეხსენეთ უკვე განსვენებული შალვა კაშმაძე და გრიგოლ ზახიაშვილი. დაღლილობა შეეატყვე და გამოეყმევიღობე.

— მოძაღლ შეხედრამდე თქვენთან, პარკში, — მითხრა კარებთან.

შეხედრის მიჩეობა უახლოეს კვირა დღეს გადაეწევიტეთ.

პარკში მოსაშხადებელი საჭეშაობი ჩქეფდა. შხადდებოდა საღამოს საზეიმო განყოფილება, მოხსენება მისი შემოქმედების შესახებ. მისასალმებელი სიტყვები. ბუშკებმა პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები დაწერეს. უსაქმოდ არც მე დაურჩენილვარ

— წილად მხედა არცთუ ისე პატარა

ამოცანა: ტუშით პოეტის დიდი პორტრეტი უნდა დაძვებოდა, რომელიც, შუშთან ჩარჩოში ჩასმული, მისთვის უნდა მიერთობოდა. გარდა ამისა, მოხატულ ფურცელზე შეც დაწერე რაღაც ლექსი. მთელ ბაღში გამოიფინა ფარები გალაკტიონის ლექსებითა და გამოხატულებებით. ერთი სიტყვით, ყველამ, დირექტორით დაწყებული, ბავშვებით დამოაყრებული, თავდაუხსოვრად იშრომა.

შეხვედრის დღეს, დილიდანვე პარკი ყვავილებითა და ღროშებით შორითო. საღამოს ბალი გადაესებული იყო სადღესასწაულოდ გამოწყობილი ბუშვებით. ალმებითა და ყვავილების თაიგულებით. ექვს საათზე ორკესტრმა დასტუქა. ალმები ჭიშკრიდან მთავარი ხეობის გასწვრივ ჩამწყვრივს. ნამცვეა გოგონას იქვე. შემოსასვლელში, პოეტისთვის ვარდების უშველებელი თაიგული უნდა მიერთებოდა. ბავშვი საშინლად ღელავდა. როდესაც უკანასკნელად აჩვენებდნენ. როგორ უნდა გაეკეთებინა ეს. ძალიან მაინტერესებდა, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა გალაკტიონზე ეს ზარზეში. გალაკტიონი ჭიშკართან ზუსტად შვიდ საათზე მოვიდა. მას პარკის დირექტორი და პედაგოგები შეეგებნენ. მხნედ გამოიყურებოდა. ძალიან უხდებოდა ლენინის ორდენით დამშვენებული ღურჯი პიჯაკი და თეთრი შარვალი. როგორც ჩანს, ასეთ საზეიმო შეხვედრას არ მოელოდა, ამკარად დაიბნა და უხერხულად ხან დირექტორისკენ და ხან პედაგოგებისკენ ბრუნდებოდა. ვარდების თაიგული ორივე ხელით მიიღო. ძნელი სათქმელია, ვინ უფრო დაიბნა — პატარა გოგონა. რომელმაც თაიგული მართვა, თუ თვითონ პოეტი. გალაკტიონმა მხრები

გაშალა, წვერზე ხელი ჩამოისვა და წელში გაპართულმა ორკესტრის მუსიკის ხმაზე მთავარ ხეობაში გაიარა.

მეჩვენებოდა, რომ გალაკტიონმა ღრმად განიცადა შეხვედრის საზეიმო ატმოსფერო — და, ჩემი აზრით, შეიფერა კიდეც. ყოველი მხრიდან ბავშვებით გარშემორტყმული, ძელი ბრძენი წინასწარმეტყველებით იღვა. არ ვიცი რატომ, მაგრამ სახარების სიტყვები გამახსენდა: „... ცალკე ყრმათა ამათ მოსვლად ჩემდა. რამეთუ ეგვიპტისათა არს სასუფეველი ცათა:“... უცნაური აზრი. უცნაური ანალოგია!

პოეტს მიუახლოვდი და მიუყვალა. იგი გაბრწყინებული იღვა. ლოყებში შეყვანილი, თათქოს ასაკიც მოაკლდა. გალაკტიონმა მხრებზე ხელი მომხვია და მითხრა:

— მე ვიცი, რამხელა შრომა დაიხარჯა. როგორი სასიხარულო და კარგია ეს ყველაფერი. გმადლობთ!

იგი ბავშვებთან ერთად დასერილობდა ბაღში. ისინი პოეტს ფარებთან აჩერებდნენ და მის სტრიქონებს უკითხავდნენ. ამასობაში მოაძვადეს ესტრადა, გრძელ მაგიდას მწვანე მაუდი გადააფარეს, ლარნაკებში ყვავილები ჩააწყვეს. გალაკტიონი სცენაზე აიყვანეს და პრეზიდენტში დააბრძანეს. მე მაყურებლებთან დაერჩი, რომ მთელი სცენა უკეთ დაშენა.

მოხსენება პოეტის შემოქმედებაზე საკმაოდ მოსაწყენად წაიკითხა ერთ-ერთმა პედაგოგმა. მოხსენების ბოლო დაუშთავრებელი, ბუნდოანი გამოუვიდა. შევნიშნე, რომ გალაკტიონი, რომელიც თავიდან დიდი ინტერესით ისმენდა, დაიღალა და ჩუმქუმად ამოქნარებდა. სამაგიეროდ, ბავშვთათვის შემოქმედებამ დიდი გამოცოცხლება შემოიტანა. რამდენი მშვენიერი

გამოსვლა იყო, რამდენი კარგი. გულწრფელი ლექსი წარმოითქვა. გალაკტიონი უცებ შეიცვალა, სათაულე გაიკეთა და ხან ერთ ყუროანს მიჰქონდა ხელი და ხან მეორესთან (უკეთ რომ გაგონა), მთლად ყურადღებდა გადაიქცა. კარგი ლექსების შემდეგ ის ხმაშაღლა უკრავდა ტაშს. ერთხელ კი სრულიად აქვალა გრძნობები, ადგა და გადაჯიცნა გაშხდარი გოგონა, რომელმაც მშვენიერად წაიკითხა მისი ლექსი. რომელი. ახლა აღარ მახსოვს.

ჩემი ლექსი ერთმა ბიჭუნამ წაიკითხა. მე სცენაზე გამოძიასხეს და როგორც კი ბიჭმა ლექსის კითხვა დაასრულა, მე და გალაკტიონი გადავხევიეთ და ერთმანეთი გადავჯიცუნეთ — ორჩვეს თელზე ცრემლი მოგვადგა. ტაშისცემა და შეძახილები დიდხანს გაგრძელდა. ამის შემდეგ გალაკტიონი გამოვიდა და რამდენიმე თაისი ლექსი წაიკითხა. ამ დროს მე სცენის კუთხეში ვიდექი და მას ვხატავდი.

ბოლოს გაიმართა ფილარმონიის არტისტების კონცერტი, რომელიც საღამოს 11 საათამდე გაგრძელდა. ნადეჟლით — ყვავილებით, ადრესებით, პორტრეტებით — დატვირთული გალაკტიონი მე, ორმა ბიჭმა და სამმა გოგონამ სახლამდე მივააცილეთ. გზაში გალაკტიონმა გვითხრა:

— ასე კარგად თუი არასდროს მიგრძნია. მშვენიერი ბაღია და სასიამოვნო ხალხი. დღევანდელი დღის შემდეგ თქვენი ხშირი სტუმარი გავხდები. რა ყოჩაღი ბავშვები არიან და რა მშვენიერი ლექსები დაწერეს.

ჩვენი მსვლელობა პლუხანოვის პროსპექტზე ხალხის ყურადღებას იზიდავდა და გზა ბნელი შესახვევებით განუგარძეთ, რომ პირდაპირ მის სახლთან გავსულიყავით

— საღამოთი კმაყოფილი დარჩით? — ვკითხე მას სახლთან მისვლისას.

— ეს საღამო არასოდეს დამავიწყდება. იციო გზაში აზრი გამიჩნდა, რომ ბავშვებზე რამე დიდი, კარგი დავწერო. მე აუცილებლად დავწერ. მართლაც რომ, მშვენიერება მარადიული არ არის... ამ მშვენიერება საღამომაც უცებ ჩაიარა. სიცოცხლეც ჩაივლის... ეკ. ვადბოლსკი, თქვენ ამაზე არასდროს გიფიქრიათ?

მე ვუპასუხე, რომ არ ღირს იმაზე ფიქრი, რაც გარდაუვალია და უდავო, რასაც ვერანაირი ტექნიკით ვერ შეცვლი, რომ სიცოცხლეზე ფიქრი სჯობს.

— დიახ, ეს ასეა, მაგრამ შემთხვევითობა მაინც მარცხს. აი, თუნდაც ჩვენი საწყალი შალვა (შალვა კაშმაძეს გულისხმობდა) — წერდა, ქმნიდა, ხარობდა, განიცდიდა და იმედოვნებდა, დილით კი უეცრად სიკვდილი მოვიდა და წაიყვანა.

დამშვიდობებისას გალაკტიონი ისევ გამხიარულდა:

— შალე ისევ გეწვევით პარკში, როდის ხართ ხოლმე იქ?

მე ვუპასუხე, რომ 10-დან 3-ამდე და 6 საათიდან საღამოს 9 საათამდე. როდესაც გალაკტიონი წავიდა, მე კიდევ ცოტა ხანს ვიდექი მის სახლთან. მშვიდი, მთვარიანი საღამო იყო. მთაწმინდის მუქი კალთა ფუნქიკულიორის ნათურებით იყო განათებული. პანოური და გასართობი ადგილი! — თუშცა შეიძლება კი დიადთა პანოური სიკვდილის სამკვიდროდ ჩაითვალოს?!

მეორე დღეს 12 საათზე გალაკტიონი ისევ მოვიდა პარკში. თეთრი, განიერი პერანგი ეცვა და ჩალის ქუდი ეხურა. ხელში მძიმე პორტფული ეჭირა. მე ბავშვებს ჭადრაკის გაკვე-



ქართული მხარე
მ. შერია

ს. ბაგვათაძე
1958 წ.

მიხეილ ვაღბოლსკის ნახატი

ახლობღონი და მეგობრები

თილს ვუტარებდი. იგი სკამის კუთხეში ჩამოჯდა და ყურადღებით მისმენდა.

— გალაკტიონ, თქვენ ჭადრაკს თამაშობთ? — ეკითხე მე. მან გაიღიმა:

— ისე, შინაურულად, ბებერი ქალივით, — და თვითონვე ხმამაღლა გაეცინა. ვთქვი, რომ ტოლსტოისაც, პუშკინსაც და ლერმონტოვსაც უყვართ ჭადრაკი.

— ჩვენთანაც ბევრი თამაშობს ჭადრაკს. მგონი, კარგად თამაშობს ქიაჩელი. გრიგოლ აბაშიძეც... ოსტატურად თამაშობს.

მეცადინეობის შემდეგ ბაღში გავისეირნეთ იმ დღეს გალაკტიონი ოდნუნასუბი იყო, ცოტა დაეღია და თითქმის არ ეტყობოდა.

— რა არის, რა რვეული გიჭირაუთ



ხელში? — მკიობხა მან, როდესაც ჩემს ხელში რვეული დაინახა.

ამ რვეულში ლექსებს ვწერდი. ზუსტად იმ დილას გადაუთუთარე ლექსი „თურგი“, რომელიც ერთი წლით ადრე დავწერე დარიალში ყოფნისას. გალაკტიონმა ლექსის მოსმენა მოისურვა, რაც მე ძალიან მინდოდა. რადგან მისთვის წერილობითი შეფასება მსურდა მეთხოვა, — ამ ლექსის დაბეჭდვას კაპირებდი.

გალაკტიონის თხოვნით ლექსი ორჯერ წავიკითხე. იგი დიდი ყურადღებით მისმენდა. თავით ჩემკენ გადამოიხარა:

— ო, რა კარგია. მშვენიერი ლიოკია. გაქვით კიდევ რამე?

მე კიდევ რამდენიმე ჩემი საუკეთესო ლექსი წავეკითხე. განსაკუთრებით ორი მოწონა — „ძველ ინგუშურ მტრეთთან“ და „ნოქტიურნი“.

— კარგად წერთ ამაღელვებლად. იცით რა, თქვენ ბევრი გაქვით სიმბოლისტური, კერძოდ. სვერიანისს მაგონებთ ეს ლამაზია, მაგრამ ახლა ასე არ უნდა წეროთ ახლა სხვა რამ არის საჭირო — რეალიზმი. ჩვენი ეპოქა. ბევრ ლექსში ძალიან ლამაზი ფორმა გაქვთ. მაგრამ მთლიანობაში ეს ლექსები აბსტრაქტულია. წარსულს მაგონებენ. რევოლუციამდეღეს. ეს კი დღეს აღარაუვის უნდა, თუმცა კარგია. ასე მგონია. ასეთი ლექსები ოდესმე კიდევ იქნება საჭირო. „თურგი“ საუსკებით თანამედროვეა.

მე ვუთხარი, რომ „თურგის“ დაბეჭდვა მინდოდა და წერილობითი გამოხმაურება ეთხოვე. იქვე, იმავე ფურცელზე, სადაც ლექსი წერა.

— მომეცით მომეცით, მე თვითონ წავიკითხავ, სად არის მელანი?

გალაკტიონი პაილიონში წაი-
ყვანე. მაგიდასთან დაესვი, ლექსი და-
ვუტოვე და წამოვიღი. რომ მისი ყურა-
დღება არ გამეფანტა. ნახევარი საათი
გაივიდა, გალაკტიონი კი სათვალის
მოუხსნელად იჯდა მაგიდასთან. მი-
ეუახლოვდი. იგი რალაცნაირი დარტხ-
ვენით აწრიალდა.

— შეგაყურებო, ცოტა გავერთო, კარ-
გი ლექსია, ფორმითაც, შინაარსითაც.
აქ ჩვენი დღეებიც არის. ისტორიაც,
ნახტომი წარსულში და დარიალის
ქესი. საბოლოო დასკვნაც კარგია,
ზუსტად ცივილიზაციის შემოსე-
ვასთან ერთად, ასე ვთქვათ, მთის კულ-
ტურულ ათვისებასთან ერთად გაქრე-
ბიან ველური გადმონაშთები. ეს სრუ-
ლი სიძარითღვა. ინებეთ, მე ჩემი აზრი
დაეწერე.

მან იმავე ფურცელზე წერილი კა-
ლიგრაფიით დაშიწურა რეცენზია. ეს,
აღბათ. მისთვის არ იყო ადვილი ხე-
ლის კანკალის გამო...

ლექსი იმავე წელს „ახალგაზრდა
სტალინელში“ დაიბეჭდა. მაგრამ რე-
დაქციამ ბოლო თვითნებურად შეცვა-
ლა და როდესაც უკვე დაბეჭდილი
ვაჩვენე გალაკტიონს, არც მას მოეწო-
ნა.

მეორე დღეს გალაკტიონმა სახლში
მანქანით გამოძიარა. ქუჩის ორივე
ბოლოდან ბიჭები მოცუოდნენ. რომ
ლენინისორდენიანი. საქმიანი ბიძა
ენახათ ბევრმა მაშინვე იცნო პოეტი.
„ტაბიძე, ტაბიძე“, — გავიგონე ჩოჩო-
ლი, როდესაც მის შესახვედრად ეზო-
ში გამოვედი. „პოეტი ტაბიძე“! —
დაიყვირა რომელიღაც ბიჭმა და სახ-
ლის ფანჯრებიდან ცნობისმოყვარეთა
თაგები გამოჩნდა. გალაკტიონმა ჩემთან
დაახლოებით ნახევარი საათი დაჰყო.
მსუბუქად წვისაუზნებთ და ვილაპარაკო

თანამედროვე ხელოვნების გზებზე. ყბა-
დაღებულ „კონფლიქტურობაზე“ და
„უკონფლიქტურობაზე“. ამ ხელოვნურ
პრობლემაზე გალაკტიონს კინებოდა
და ოქვა, რომ ეს პროგრესის ბორბალ-
ში გახერგილი კიდევ ერთი ჯობია. იმის
მაგიერად, რომ თანამედროვეობის
ტილო მოელ სურცეზე ხატონ, ხალხი
დროს ფუჭ დისკუსიებში კარგავს. მან
სიკალი შეჰელო პატარა ოთახის ყელე-
ბზე გამოფენილ ჩემს ნახატებსა და პორ-
ტრეტებს და ყურადღება შეაქურა მეფე
ერეკლე II-ის პორტრეტზე:

— დიდი გონების ადამიანია, ღირს
იმად. რომ მეოცე საუკუნის ადამიანის
ოთახი დაამშვენოს. ჩემთვის მისი
პირაუენება საშობლოს ცნების ტოლ-
ფასია. ისინი ერთი მთლიანობაა. მეც
მაქვს მასზე ლექსი.

— ერეკლეს მაზეილი? — ვკითხე.
გალაკტიონს ძალიან გაუკვირდა,
რომ ვიცოდი ეს ლექსი.

— თქვენ იცით? ეს ძალიან სასია-
ძონოა, ვინმემ გითარგმნათ?

— დაიხ. სამწუხაროდ დედანში ვერ
კითხულობ, მაგრამ სწორედ ისე გავ-
იგე. როგორც თქვენ ბრძანეთ თქვენ-
თვის მისი სახელი ისმის სიტყვაში
„საშობლო“. ჩვენს გამარჯვებასაც ამ
ბოლო ომში სწორედ მის ხატებასთან
აკავშირებთ.

— სწორედ ასეა, ზუსტად — გამარ-
ჯვებას ამ ბოლო ომში, გამარჯვებას
პიტლერზე... მე ამ ლექსის სხვა ვარიან-
ტიც მქონდა. უფრო ვრცელი... — დაი-
წყო მან. ამ დროს ქუჩიდან მისი მანქა-
ნის საყვირის ხმა გაისმა. იგი აჩქარდა.

— მძლოლი ნერვიულობს. სიამ-
ოვნებით დაურჩებოდი კიდევ. პატარა
ოთახი გაქვთ, მაგრამ თბილი. — ხომ
გესმით? — მის თვალეში ისევ ნაც-
ნობი. ბუშეური, გულითადი ნაპერწყა-

ახლოზღობი და მეტაზღობი

ლი დავიჭირე.

— მე კი გაცილებით უფრო თბილად ვარ, როდესაც აქა ხართ — ვუპასუხე გაგვეცინა. რაღაცნაირად კარგად. გულითადად გამოგვივიდა.

— ხშირად გამოგვიარეო — უთხრა ჩემმა ცოლმა და ქუდი მიაწოდა.

— აჰ, გმადლობთ მე კი მომეჩვენა, რომ უქულოდ ვიყავი. აი, ასე დავტოვე უკვე სადღაც ერთი ქუდი და ვერ ვახსენებ, სად.

ყველას გაგვეცინა. მანქანაში ჩაჯდომისას თქვა:

— ეჰ, სამწუხაროა, რომ ყველაფერი დროებითია...

ვერაფრით მოეხვედოდა, რატომ თქვა ეს. როდესაც შინ შევბრუნდი, ცოლმა მითხრა:

— შეხედე, ეს ერთი პატარა ჭიქაც კი არ დაუღვია. ის სულაც არ არის ისეთი, როგორც მასზე ამბობენ.

რუსულიდან თარგმნა
ნანა კობალაძემ

(დასასრული შემდეგ წიგნში)



ჯენეტო ჭანტურაია

„რაც დავიწყებით არ იბინდება“

გალაკტიონი სულ ახლახან ჩვენ შორის იყო და ეს სიახლოვე ხელს გვიშლიდა, ბოლომდე განგვეცადა მისი სიღიადო, — ასე წერდნენ გალაკტიონის უმცროსი თანამოკალმეები იმ წლებში.

ღიას, ლექსის ეს ჯადოქარი ჩვენი თანამედროვე იყო, ჩვენ შორის დადიოდა, ქუჩაში გვიჩურდებოდა, გვესაუბრებოდა, ჩვენთან პურის გატეხვასაც არ თაკილობდა, ამიტომ ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნდა, მასთან ახლობლობის პრეტენზია გვიქონოდა (მეპატიოს ეს კადნიერება). ამის ილუზიას კი თვით დიდი გალაკტიონის პიროვნება გვიქმნიდა.

ახლა, როცა ვფიქრობ, როდის გამოიღმა ბედმა-მთქი, თვალწინ მიდგება ის შორეული წელი, როცა სრულიად ახალგაზრდამ გამოძეგმლობის კარი შევალე და შემდეგ თითქმის მთელი ცხოვრება მომიწია ტრიალი სახელოვან მწერლებთან, რომელთა დიდი ნაწილი ჩვენ შორის აღარაა. კარგა ხანია, გალაკტიონიც მარადიულ ქვეყანაში გადასახლდა, საკუთარი ნებით, როგორც თვისონ იტყოდა, „სამუდამო მხარეში“ დამკვიდრდა. აგერ, რამდენი წელია, არ ისმის ზოგჯერ ჩაქირქილებით, ზოგჯერ გულითადობით ნათქვამი მისი სახელგანთქმული „ძამიკო“. თბილისის ქუჩებში, სადაც ასე უყვარდა სიარული, ყოველდღიურად ფერმკრთალდება მრავალი ტყი-

ვილისაგან გულმოწყლული მგონის ნაბიჯების კვალი, თანდათან ლეგენდარულ ხასიათს იძენს მისი ცხოვრებისეული სინამდვილე. ამასთანავე, წელნულა მკირდება იმ ადამიანების გუნდი, ვინც გალაკტიონს იცნობდა ან შემთხვევით შეხვედრია და მოსაგონარიც ბევრი აქვს. ამიტომ უნდა ვინჯავართ, ყველაფერი აღვუხსნოთ, რაც ხელს შეუწყობს გალაკტიონის ურთულესი ფენომენის გარკვევას, რადგან ცხოვრების მსახერალ ხელს ვერავენ გადაურჩება. ნათქვამია, მოგონება წარსულთან შეხვედრათ. წარსულთან შეხვედრა კი მტკნოვლად სევდიანია, სევდიანია ეს მოგონებაც.

სამწუხაროდ, დღიურებს არ ვწერდი, რასაც ხშირად ენანიზ ხოლმე სხვა გზა არ არის, ახლაც ისევ საკუთარ მეხსიერებას უნდა ვწოდო და ამ იმედით შევუდგე წერას.

*

გალაკტიონთან ჩემი ნაცნობობა უფრო ადრე შედგა, ვიდრე გამოძეგმლობაში დავიწყებდი მუშაობას მოწაფეობის ჟამს ხატვით ვიყავი გატაცებული და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხატვის კაბინეტში ცნობილ მხატვარ გრიგოლ მესხთან ვმეტყვინებოდი. სხვათა შორის, მასზე მოგვიანებით მონოგრაფია დავწერე და წიგნად გამოვეცი, რასაც მისთვის საქართველოს სახალხო

მხატვრის წოდების მინიჭება მოაკყვა.

ერთხელ, 1952 წლის ზაფხულში, მაშინ სკოლა უკვე დამთავრებული მქონდა, მე და ბატონი გრიგოლი პიონერთა სასახლიდან გამოვედით და რუსთაველის პროსპექტს გავუყევით. მოულოდნელად გალაკტიონი შეგვხვდა. იგი მიეჭრა გრიგოლს, როგორც უახლოესი ადამიანი, თავისი მძლავრი ხელები ტანზე შემოხვია და გადაკოცნა. ცხადი იყო, ორივეს მეტისმეტად გაუხარდა ერთმანეთის ნახვა. ბატონმა გრიგოლმა გალაკტიონს ჩემი თავი გააცნო. მან განსაკუთრებული თავაზიანობით, რაც ჩემი ასაკისთვის ამ დიდი ადამიანისაგან აშკარად გადამეტებული იყო, ხელი გამომიწოდა და, რა გვარი ბრძანდებითო, მკითხა. რომ გაიგო, მეგრული ვიყავი, წამოიძახა: კოლხი! მეგრელებზე ზრდილობიანი ხალხი არ მეგულება, მეგრულზე მუსიკალური ენა არ არსებობს. მერე შუაში ჩაგვიდგა, გრიგოლს მკლავში ხელი გამოსდო და კარგა მანძილზე გამოგვაცილა. აუშვა და აუშვა მოგონებათა აფრები.

— გახსოვს, გრიშა, ქუთაისი, არქიელის გორა, ბლახვანი, უქიმერიონი, — ეუბნებოდა გალაკტიონი. გახსოვს ჩვენი ძმობის წლები... შენი მონაწილეობა ჩემს სადამოებში, შენ მიერ დახატული ჩემი პირველი პორტრეტი, შენ მიერვე გაფორმებული ჩემი პირველი წიგნი.

ამას რომ ამბობდა, მომიბრუნდა და მკითხა:

— ის სურათი არ გინახავს? უნდა ნახო. კარგი ნახატია იქ რომ მოსახსნამი მაქვს მოხურული, გრიგოლისაა. რუსეთიდან ჩამოაკყვა. კოსტიუმი ძველი მეცვა. არ გეკადრებაო და იმიტ-

ომ მომასხა.

გრიგოლი ყურს უგდებდა სიყრმის მეგობარს, კმაყოფილებით იღიმებოდა და ღიმილის დროს თვალები ეჭკუტებოდა. გრიგოლი ბუნებით ჩუმი, ბუნწულა კაცი იყო. უფრო მოსმენა უყვარდა. ახლაც უსმენდა. გალაკტიონი კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, მხნედ, ენერგიულად. ამასობაში ლალიძის წყლებს მიუხახლოვდით. მიუხედავად იმისა, რომ მზე კარგა ხნის გადახრილი იყო, ქალაქს ბული ასდიოდა. მოსიყვარულე თანამოსაუბრეებს ლალიძის წყალი შეეთავაზე. უარი არ უთქვამთ. გალაკტიონმა ღიმილის სიროფი აირჩია. დალევის დროს წყალი განიერ მკერდზე ჩამოიწვეთა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. გაიხსენეს მიტროფანე ლალიძესთან ნაცნობობა ქუთაისში.

— მეტად განათლებული კაცია, სახელოვანი, გაჭირვებულთა ქომაგი. ხელს უწყობდა ნიჭიერ ახალგაზრდებს. დიდი საქმეები გააკეთა, — ამბობდა გალაკტიონი.

კიდევ კარგა ხანს იბობოქრა, მერე დაგვემშვიდობა და წავიდა.

მარტო რომ დავრჩით, გრიგოლს გალაკტიონთან ურთიერთობის ამბავი გამოვკითხე.

— მოსკოვის სამხატვრო სასწავლებლიდან რომ დავბრუნდი, გალაკტიონის, როგორც უნიჭიერესი პოეტის სახელი, მთელს ქუთაისში ქუხდა. მე დიდად მომწონდა მისი ლექსები და ჩვენი მეგობრობაც ამან განაპირობა. 1912 წელს გალაკტიონის ეტიუდი დაეხატე. ფონად ქუთაისის სასაფლაო „შწვანეყვავილა“ ავირჩიე. ვფიქრობდი, რომ სევდის მგოსანს სწორედ ასეთი გარემო შეეფერებოდა. ჩემი

აზრი გალაკტიონს რომ გავაცანი, მაშინვე დამეთანხმა. შევეუდექით საქმეს და კარგადაც დავაგვირგვინეთ, — მითხრა გრიგოლმა.

როგორც გალაკტიონმა ბრძანა, ეს პოეტის პირველი ფერწერული პორტრეტი. სასაფლაოს ნაზ ფონზე მსუბუქი მონასმებით, წითელი ფერებით გამოხატულია დაფიქრებული ჭაბუკი პოეტის ახოვანი ფიგურა. ტილოს რომანტიკული სულისკვეთება ზუსტად შეესატყვისება იმდროინდელი გალაკტიონის სულიერ განწყობილებას.

აქ ერთი გადახვევა მინდა გავაკეთო, რაც პოეტის ბიოგრაფიისათვის საყურადღებო ფაქტია. როცა „ლიტერატურული საქართველოს“ 1973 წლის 2 ნოემბრის №43-44-ში ჩემი წერილი „პოეტის პირველი მხატვარი და ილუსტრატორი“ დაიბეჭდა, მას მოჰყვა წერილი გაზეთ „ქუთაისში“ (სამწუხაროდ, ავტორის გვარი არ მახსოვს), რომელშიც საუბარი იყო ქუთაისის მუზეუმში დაცულ გრიგოლ მესხისეულ გალაკტიონის პორტრეტზე. არ ვიცი, ეს საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში არსებული ეტიუდის ასლია, თუ სხვა პორტრეტი. იგი არ მინახავს და ამჯერად ვერაფერს ვიტყვი. მოგვიანებით გრიგოლ მესხმა თავისი ეტიუდის საფუძველზე შექმნა გალაკტიონის დიდი ფერწერული პორტრეტი, რომლის რეპროდუქცია მონოგრაფიაში დავბეჭდეთ.

ისევე ბატონ გრიგოლს მოვუსმინოთ:

— ჩემ მიერ გალაკტიონის წიგნის გაფორმება, რასაკვირველია, პოეტის სურვილი იყო. მითხრა, პირვე-



გრიგოლ მესხი. გალაკტიონი

ლი წიგნია და, აბა შენ იცი, როგორ დახატავო. იდეაც მომაწოდა: ყდაზე უნდა დამეხატა ქნარზე დამკვრელი ქალი. ეს ის დროა, როცა გალაკტიონი ბევრს ფიქრობს ქალისა და ხელოვნების ურთიერთობაზე. ლექსიც დაწერა: „ქალი და ხელოვნება“. ბევრი ვიფიქრე, გრაფიკული ენით ლაკონიურად და ხატოვნად როგორ გადმომეცა წიგნის დედააზრი, როგორი კომპოზიცია მოუხდებოდა „მე და ლამისა“ და „მესაფლავის“ ავტორს რამდენიმე ესკიზიც გავაკეთებოლოს გადაეწყვიტე, ყვავილებით მოჩითულ თეთრ ფონზე თმაგაშლილი მწუხარე ქალი დამეხატა, როცა უნდა გამოკვეთილიყო წიგნში დაბეჭდილი ლექსების უმთავრესი

იდეა: სიყვარულის ძლევა მოსილება, ბუნების თვითმყოფადობა და ხელოვნების მარადიულობა. ნახატი იმ დროის ტრადიციული მანერით შევასრულე, ასოთა მოხაზულობაც ტრადიციულია. გალაკტიონმა ნახატი მოიწონა, თუმცა იყენენ ისეთებიც, რომლებმაც დაიწუნეს. მაგრამ ხელოვნის ზასიათის სიმტკიცე ის არის, რომ არც მოწონებამ გააყოფა ჩონს და არც დაწუნებამ გაუტეხოს გული.

იმ ხანებში ქალაქის თეატრში თუ სხვა ადგილებში გალაკტიონი ხშირად მართავდა ლიტერატურულ საღამოებს. ასეთ დროს განსაკუთრებით ღელავდა, შიშობდა, საღამო არ ჩამოლოდა ან უფერული არ გამოხვლოდა, ამიტომ მის მომზადებას დიდ ენერჯიას ახმარდა. ახლაც კარგად მახსოვს ის საღამოები. მასში მონაწილეობდნენ პოეტები, დეკლამატორები, მსახიობები, მუსიკოსები. საღამოებში მეც ვიღებდი მონაწილეობას. მეკვლებოდა გამომეფინა იმ დროისთვის მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, შესაფერისი ფერწერული ტილოები. სამწუხაროდ, თბილისში გადმოსვლის დროს ბევრი ტილო დამეკარგა, მათ შორის ის ფერწერული ნახატებიც.

მოკლენებს წინ გადაუესწრებ და გრიგოლ მესხთან დაკავშირებით ერთსაც გავიხსენებ: როცა გალაკტიონის ნეშტი მწერალთა კავშირის დარბაზში ესვენა, გრიგოლი დაინახე იგი ხალხისგან ზურგმუქეკვით კუთხეში მიმდგარიყო და ცხარედ ტირიდა. რა თქმა უნდა, არ შევაწუხე, თავის მწუხარებასთან მარტო დავტოვე.

*

ახლა უნივერსიტეტის წლები უნ-

და მოვიგონო. მე და გალაკტიონის ძმისშვილი, ამჟამად ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, სტუდენტების მოძღვარი ნოდარ ტაბიძე, რომელიც უნივერსიტეტის წლებში და შემდეგშიც გალაკტიონთან ცხოვრობდა, ფილოლოგიის ფაკულტეტის უერნალისტიკის განყოფილებას პირველ ნაკადში ერთად ვსწავლობდით და ჩვენ შორის იმთავითვე ახლო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, რაც დღესაც გრძელდება.

1953 წლის შემოდგომა. საქართველოში გალაკტიონის დაბადების 60 წლისთავს აღნიშნავენ. გადაწყდა, დიდი პოეტი უნივერსიტეტშიც მოგვეწვია. სხვა ღონისძიებებთან ერთად ცალკეულ ფაკულტეტებს გალაკტიონისადმი მიძღვნილი საგანგებო კედლის გაზეთები უნდა გამოგვეყვია. ჩვენი ფაკულტეტის გაზეთის მომზადება მე დამეკალა. როგორც ვთქვი, ხატვა მეხერხებოდა, ამიტომ გადავწყვიტე, ვატმანის ქალაღდზე, შუა ადგილას გალაკტიონის დიდი პორტრეტი დამეხატა. სურათი აკვარელის საღებავებით შევასრულე. მართალია, გალაკტიონი ცოტა გაუდრული გამომივიდა, მაგრამ, ვფიქრობ, მსგავსება ნამდვილად იყო. ნახატის ქვემოთ ცარიული ადგილი დავტოვე და ნოდარს ვუთხარი, ბიძიას სთხოვე, რომელიმე ლექსი ჩაგვიწეროს-მეთქი. ნოდარმა ეჭვი გამოთქვა, ალბათ, არ იზამსო, მაგრამ გაზეთი მაინც წაიღო. ჩვენდა სასიხარულოდ, გალაკტიონს ჩემი ნღვაწი მოსწონებია და გაზეთში ლექსიც ჩაუწერია. ეს „ჩემი სიმღერის“ („ზოგს ოქრომკედლით მონაქსოვარი“) საბოლოო ვარიანტი იყო. გალაკტიონი თვლიდა, რომ ეს ლექ-

გამომცემი ჭ. ზვარცხელიანი.

ქართული საბჭოთაო
წიგნების გამომცემი
საბჭოთა კავშირი



ქუთაისი, სტამბა „მობა“.

სი ხალხში მოაწონებთ სარგებლობდა. ერთ-ერთი ავტორგრაფის არშიაზე მიუწერია კიდეც: „ეს ლექსი, სახელად „ჩემი სიმღერა“ ძლიერ პოპულარულია“. გაზეთები სააქტო დარბაზის კედელზე, სცენასთან ახლოს, მის გასწვრივ გააკარით და პოეტის მოსვლას დაელოდეთ.

ღანიშნულ დღეს, 1 ნოემბერს, საყვარელ მეოხანს უნივერსიტეტის ჭიშკართან შევეგებეთ. სახელოვან ბიძას ნოდარი მოაცილებდა. მანქანიდან რომ გადმოვიდა, ტაში დაეცხეთ. როგორც სჩვეოდა, მდაბლად გვიკრავდა თავს, თავისებურად, გულდასა, მოკრძალებულად და ჩვენდამი პატივისცემას ასე გამოხატავდა. ამგვარი გულთბილი მისაღმების შემდეგ ძვირფასი სტუმარი დარბაზში შევიყვანეთ და მისთვის განკუთვნილ ადგილას დავსვით. დაიწყო მისაღმებები, სიმღერები. უნივერსიტეტის ახალგაზრდა პოეტებმა ლექსები მიუძღვნეს. ყველას განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა, ალტაცებით უკრავდა ტაშს და შუბლზე კოცნიდა. თვითონაც წაიკითხა ლექსი, თავისებურად, თრთოლვით, სუნთქვა შეგუბებულად. დღიურში ერთგან აღნიშნული აქვს: „ლექსი უნდა იკითხებოდეს დინჯად, ყოველგვარი აფეთქების გარეშე“, მაგრამ თავისსავე მოთხოვნის შესრულებას ვერ ახერხებდა. კითხულობდა რაღაცნაირი დაბნული ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, სვენებ-სვენებით. იფიქრებდით, სულს ვეღარ ითქვამს, სადაცაა გული გაუწერდება და ბოლომდე ვეღარ გააღწევსო.

შეხვედრა რომ დამთავრდა, საღამოს მოთავეებს სთხოვა, თუ შეიძლება, ეს გაზეთები შინ გამატანეთო. მაშინ ჩემი თავი წარუდგინეს. ნახატისთვის

მადლობა გადამიხადა და შუბლზე მეც მაკოცა. როგორც შემდეგ ნოდარი მეუბნებოდა, ეს გაზეთები კარგა ხანს პოლში აქონდაო გამოკრული. მაგონდება ნოდარის სიტყვები: „ყოველთვის მოწადინებული იყო, მიძღვნილი კედლის გაზეთი გამოეშვათ, რომელიც ზემის შემდეგ აუცილებლად შინ მიქონდა“ (ნ. ტაბიძე, გალაკტიონი, თბ., 2000, გვ. 471-472).

*

გალაკტიონს გამოძცემლობაში დავუახლოვდი. ეს მისი სიცოცხლის ბოლო ორ წელიწადში მოხდა. 1957 წელს, როცა „სახელგამში“ დაეწეე მუშაობა, გამოსაცემად მზადდებოდა გალაკტიონის რვატომეულის ბოლო წიგნი. აი, ამ დროს მოხდა ის ავადმოსაგონარი ამბავი, რასაც შემდეგ დიდხანს იხსენებდნენ დაზაფრული თანამშრომლები. პოეტს სურდა, მერვე ტომში შეეტანა „მშვიდობის წიგნის“ სრული ტექსტი, მაგრამ ამიჯ, მხოლოდ შეკვეცილად დაბეჭდვას სთავაზობდნენ. გალაკტიონის ჩანაწერები ცხადყოფს, რომ ავტორს ეს პოემა იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაწარმოებად მიაჩნდა, ამიტომ სურდა მთლიანად მისი დაბეჭდვა. როგორც ამბობდნენ, ჯერ „სახელგამის“ ღირეპტორთან მოსინჯა ნიადავი. უარი მიიღო — ამხელა წიგნის გამოცემის საშუალება არ გვაქვსო. მერე ბეჭდვითი სიტყვის სამმართველოს უფროსს მიადგა, რომლის კაბინეტი იმავე შენობის მესამე სართულზე მდებარეობდა. მანაც შორს დაიჭირა. მაშინ უარით განაწყენებულმა, გულამღვრეულმა გალაკტიონმა მოულოდნელად აივანზე გამაე-

ალი კარი გააღო, სწრაფად გავიდა, მაგრამ მაშინვე უკან შემობრუნდა.

— არა, არა, ოღონდ აქ არა, — აღელვებულმა ყრუდ წარმოთქვა, იმ ხელმძღვანელის კაბინეტი ფეხარეულმა ფიცხლად გაიარა, გარეთ გაიჭრა და კიბეზე დაეშვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, გალაკტიონი ისევ გამოჩნდა გამომცემლობაში. იგი თითქოს შეურიგდა წიგნის გამოცემის თავკაცთა უარს. ანდა, რა ექნა, როგორ შეელოდა იმ დაწესებულებებს, რომელთანაც ცხოვრების მიზანი აკავშირებდა, სადაც გამოიცა მისი წიგნების უმეტესობა და მომავალშიც უნდა გამოცემულიყო?!

მერვე ტომის რედაქტირება მხატვრული ლიტერატურის რედაქციის მუშაკს, ნიჭიერ ლიტერატორს და მთარგმნელს რეზო ორჯონიკიძეს დაევალა (სხვათა შორის, მან შეადგინა მოგვიანებით „ნაკადულში“ გამოცემული „ჩვენი საუნჯის“ მე-20 ტომი, რომელშიც გალაკტიონის პოეზიაა წარმოდგენილი).

მართალია, მაშინ სხვა განყოფილებაში ვმუშაობდი, მაგრამ რეზოსთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა და იმ რედაქციის ხშირი სტუმარი ვიყავი „სახელგამში“ მუშაობის დაწყებამდეც. რეზოს სმენა დაქვეითებული კქონდა და მოსაუბრის ნათქვამს ტუნების მოძრაობით ხვდებოდა. გალაკტიონს ტუნებს უღვაშები უფარავდა და რეზოს მასთან საუბარი უჭირდა. ასე რომ, როცა კი რედაქციაში ვიყავი, მათი შუამავალი მე გახლდით.

1957 წლის გაზაფხული იდგა გალაკტიონი მობრძანდა გამომცემლობაში. რეზოს ხელნაწერის რედაქტი-

რება დაემთავრებინა და შენიშვნები აჩვენა. რედაქციული სწორებები ცოტა იყო. ჭარბობდა კორექტურული შეცდომები. ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩასწორება კარგად დამამახსოვრდა. ავტორს ხელნაწერში შეეგტანა 1954 წლის 12 თებერვალს (მიაქციეთ ყურადღება თვეს) დაწერილი ოთხსტროფიანი უსათაურო ლექსი: „ეხლა კი დროა, სოლომონ, რომა...“ რეზოს ოთხივე სტროფში ერთი და იმავე სიტყვისთვის „სოლომონ“ ხაზი გადაესვა და მის ნაცვლად „მშრომელი“ ჩაეწერა. ახლაც თვალწინ მიდგას მინდორზე გამოტანილი ლურჯი მელნით რეზოს მიერ მსხვილი ასოებით ჩაწერილი „მშრომელი“. ცხოვრებაში საოცრად უკომპრომისო გალაკტიონი, როგორც ასეთი შექთხვევაში სჩვეოდა ხოლმე, ამ ჩასწორებას მაშინვე დაეთანხმა (მივიჩინო, როგორ ელეოდა თავის ბრწყინვალე სტრიქონებს). მას შემდეგ ეს ლექსი ყველა გამოცემაში ასე ჩასწორებული იბეჭდებოდა. ასეა ის შეტანილი აკადემიური გამოცემის მე-9 ტომში. მასზე დართულ შენიშვნაში კი მითითებულია, რომ ტომში დაბეჭდილ „მშრომელოს“ ნაცვლად ვარიანტებში (BL)E-ში) იკითხება „სოლომონ“. ცხადია, უნდა აღდგეს პოეტის ნება, უნდა გასწორდეს მითითებული სტრიქონი.

*

მინდა გალაკტიონისა და კონსტანტინე გამსახურდიას ერთი შეხვედრა გაეისხნო. დედანი სტამბაში რომ აიწყო და ანაწყოებმა ფორმებმა დაიწყო მოძრაობა, გალაკტიონმა საწარმოო განყოფილებაში გადმოინაცვლა მაშინ მე ამ განყოფილებაში ვმუშაობდი.

ეროხელ, ჩვენთან რომ იჯდა, ოთახში კონსტანტინე შემობრძანდა. კარგად მახსოვს, იმ დროს მის რჩეულ თხზულებათა რეატიპეულის პირველი ტომის დედანი უნდა გაეგზავნათ. სტამბაში ასაწყობად და იმას მოაკითხა. განყოფილებაში ბევრი ვიყავით. ყველანი მოწინებით მივესალმეთ საყვარელ მწერალს. გალაკტიონი საჩქაროდ წამოდგა, კარებშივე შეეგება მოსულს და თავისებური თავზიანობით გაუწიდა მარჯვენა. კონსტანტინემ ზვიადი გამოშტეტველებით ჩამოართვა ხელი. გალაკტიონმა არ შეიმჩნია ძველი მეგობრის საპასუხო რეაქცია გაიბა მთ შორის საუბარი. უესმენდით თუ არა საუკუნის ორ დიდ მწერალს, ქართული ლიტერატურის ორ კლასიკოსს და გული სიამაყით გვეკვებოდა, რომ მათი საუბრის თანამონაწილენი ვიყავით. უცებ გალაკტიონმა ჰკითხა:

— გახსოვს, კოწია, მე და შენ ქუთაისის ტყეში რომ ვიმალებოდით?

კონსტანტინემ მისი კითხვა უპასუხოდ დატოვა. ვერ გეტყვით, რა შემთხვევა გაახსენა გალაკტიონმა ჭაბუკობისდროინდელ თანამოკალმეს ან რა პერიოდს იგონებდა. ცნობილია, რომ ბატონი კონსტანტინე დიდად აფასებდა გალაკტიონის ნიჭს და საქვეყნოდ აცხადებდა: „უნდა მოგახსენოთ: გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება“. ისიც ცნობილია, რომ ახალგაზრდა კონსტანტინემ ლექსი უძღვნა გალაკტიონს. არც ეს სიტყვებია დასავიწყებელი: გალაკტიონი ხშირად მესიზმრებო. ეს ყოველივე ფაქტია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კონსტანტინე გამსახურდია ვერ



გვეუბოდა სიყრმის მეგობრის ცხოვრების წესს და თავისი უკმაყოფილების უკმეხად გამოხატვას არ ერიდებოდა. გაიხსენოთ გალაკტიონის დალუპების შემდეგ, 1973 წელს, გამსახურდიას ნათქვამი: „აქამდის ვერ მიპატიებია ჩემი თავისთავის ერთი ამბავი: ირაკლი აბაშიძე, სერგი ჭილაია და მე სამკურნალო კომბინატში შევდიოდით შალვა დადიანის გამოსასვენებლად. გალაკტიონი, საესკებით ფხიზელი, ფოიეს ერთ კუთხეში იჯდა. დამინახა თუ არა, წამოდგა და კოცნა მომინდომა. მე მას არ ვაკოცე და ცივად გავეცალე შემეშინდა, დიდხანს არ გამაჩეროს-მეთქი. ეს დამრჩა სანანებლად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, რომ მე არ მეყო შორსმჭვრეტელობა და მასთან არ დავყოფნდი იმ დღეს“ (ქ. გამსახურდია. „დიდი ვირტუოზი ლექსისა“, „მნათობი“, 1973, №10. გვ. 6).

*

მინდა მოვითხროთ იმდროინდელი ერთი თავშესაქცევი ამბავი. გალაკტიონი საწარმოო განყოფილებაში აწეულ ხასიათზე მობრძანდა, თანაშრომლებს აცინებდა თავისი ენაკვიმატი საუბრით, შემაქცევარი ლაპარაკით. ასეთ დროს გალაკტიონი მეტად საყვარელი იყო. სწორედ ამ ხანებში მიუძღვნა პოეტმა საკორექტოროს უფროსს შურა არობელიძეს ექსპრომტი, რომელშიც თავისი მერვე ტომის კორექტურამდე მიყვანას ნატრობდა და რომელიც ვახტანგ ჯავახიძემ „უცნობში“ გაიხსენა. გალაკტიონის ხუმრობას ბოლო არ აქონდა. მერე საწარმოო განყოფილების გამგეს, ჩუმ, მეტად უწყინარ ადამიანს, შოთა ჯიჯავიშვილს მიუბრუნდა და უთხრა:

— ჩემო შოთა, თუ წიგნს დროულად გამომიცემ, წყნეთში ჩემი სახლ-მუზეუმის დირექტორად დაგნიშნავ. ხელწერილს ახლავე მოგართმევ. შემდეგ საწერ-კალამი და ქაღალდი მოითხოვა და, როგორც მახსოვს, ასეთი ტექსტი დაწერა:

— მე საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე წყნეთში ჩემი სახლ-მუზეუმის დირექტორად ვნიშნავ შოთა ჯიჯავიშვილს. — და დიდი ამბით ხელი მოაწერა. იცინოდა გალაკტიონი, ვიცინოდით ჩვენც. ბატონი შოთა ხან გალაკტიონს შეხედავდა, ხან ჩვენ და სახეაწითლებული კრძალვით იღიმოდა.

*

როგორც ვთქვი, მერვე ტომის გამოსვლისას გალაკტიონი სულ ჩვენ-

თან ტრიალებდა. ერთხელ სამხატვრო განყოფილებაში შემოვიდა. შემთხვევით იქ ვიყავი. ხელში გაზეთი ეჭირა. სამწუხაროდ, არ მახსოვს რომელი, მგონი „ლიტერატურული საქართველო“, სადაც მირზა გელოვანის მისდამი მიძღვნილი ლექსი იყო დაბეჭდილი.

— შეხედეთ, ძამიკოებო, — ეუბნებოდა იგი ზეაღმტაცად ახალგაზრდა მხატვრებს, რომლებითაც დაკომპლექტებული იყო განყოფილება, — ჩემზე ლექსია დაბეჭდილი, მირზას ლექსი გაზეთში გამოუქვეყნებიათ. მირზა ოქრობიჭი იყო, ოქროს ქორიანი. „ჩვენს თაობაში“ ლექსებს ბეჭდავდა იქიდან ვიცნობდი. იქაურ პოეტებს ვუყვარდი. მირზასაც. ომში ჩემზე ლექსი დაწერა. ის ლექსი დაუბეჭდავთ გაზეთში. ჩემი ოქრობიჭები ფრონტზეც არ მივიწყებდნენ, — ამბობდა დაუფარავი სიხარულითა და სიამაყით.

*

ახლა ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფას ერთ ამბავზე მინდა შევიჩერდე. ამთავითვე უნდა აღვნიშნო, რომ გალაკტიონი ჩემდამი ყურადღებიანი იყო. იგი გრძობდა მის მიმართ ჩემს უსაზღვრო სიყვარულს და სიყვარულითვე მიასუსებდა. არ მახსოვს, შემხვედროდა და არ ეკოცნა, მზრუნველობით არ მოვევითხე. ამას რომ ვამბობ, ვშიშობ, ზოგიერთმა ჩემი ნათქვამი კადნიერებაში არ ჩამომართვას, მაგრამ მაინც ვაგებდავ და ვიტყვი, განსაკუთრებით იმათ გასაგონად, ვინც გალაკტიონს არ იცნობდა, რადგან მინდა ამ უდიდეს ადამიანზე მათ

სწორი წარმოდგენა ქქონდეთ. გალაკტიონი, რომელსაც მთელი სიგრძე-სიგანით შეგნებული ქქონდა საკუთარი ღირსება და ფასი, ისე ეყვრობოდა ახალგაზრდებს, მათ შორის მეც, როგორც შინაურებს. ამ დროს სახეზე მუდმივად აფარებულ ნიღაბს იხსნიდა და ნამდვილ სახეს აჩენდა. მე ვიცნობდი ისეთი რანგის მწერლებსაც, რომლებსთვისაც გულზვიადობა განუშორებელი, ნიშანდობლივი თვისება იყო. გალაკტიონი სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის ბრძანდებოდა, ხშირად საკმაოდ მოკრძალებულიც, რაც მისი ბუნების თანდაყოლილი თვისება იყო. ამ თვისების გამო ახალგაზრდებს გალაკტიონთან თავი თავისუფლად ეჭირათ, ამჟამად ვერ გრძნობდნენ იმ შებოჭილობას, რაც ასეთ დროს ზოგიერთების მიმართ შეიძინებოდა. გალაკტიონი, ეს ბუბბერაზი ადამიანი, სრულიად სადად, სრულიად უბრალოდ, შინაურულად ქქეოდა მათ და ეს ათამამებდათ. ახალგაზრდებს შორის თვითონ გალაკტიონიც თავს ლაღად გრძნობდა. იცოდა, რომ მათი რჩეული იყო და ახალგაზრდების მიმართ სითბოს ამჟღავნებდა. თუ ზოგიერთ კოლეგას ვერ ეგუებოდა, იმის გამო, რომ მასში მოშურნეს ხედავდა. არც უამისობა იყო — აი, მათ მიმართ კი სუსხიანი თქმა იცოდა. მაგრამ ეს მაშინ, როცა ზედმეტად უსამართლოდ მოექცეოდნენ. ამ წუთებში ნამდვილ იმერულ სიფიცხეს ამჟღავნებდა, მაგრამ ეს იყო და ეს. ამის იქით მისი გაბრაზება არ მიდიოდა. გალაკტიონი, დასმენების იმ საშინელი ეპოქიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლომდე სინდისიერებისა და პატიოსანების რაინდად დარჩა. ერთ ბუნ

ჩრდილსაც კი არ გადაურბენია მისი ცხოვრების გზაზე. მთელი სიცოცხლე იგი ბუბბეით სათნო და სათუთი, გულუბრყვილო და უზაკველი იყო. შესანიშნავად თქვა გიორგი ლეონიძემ გალაკტიონის ახალგაჭრილ საფლავთან: „მიდის ჩვენგან საყვარელი გალაკტიონი — კეთილშობილი, ზრდილი, თავაზიანი, უმწიკვლო, უანგარო ქართველი კაცი“.

აი, ასეთი იყო გალაკტიონი.

ახლა იმის შესახებ, რის თქმასაც ვაპირებდი. ერთხელ ჩემს სამუშაო ოთახში სხვა თანამშრომლებთან ერთად ვარ. უცებ კარი გაიღო და გალაკტიონი შემოვიდა. ხელში 1954 წლის თავისი რჩეული ეჭირა.

— ძამიკო, ჩემ სახსოვრად გქონდეს, — მითხრა, წიგნი გამომიწოდა და მაკოცა. — როცა არ ვიქნები, მომგონე—

მოულოდნელობისაგან ენა ვერ დაეძარი, მთელ ტანში სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა. მისი ბოლო სიტყვები მაშინ ლიტონი ნათქვამი მეგონა. რა ვიცოდი, რომ კართან ედგა „მისი ღემონი“ და თავისკენ უხმობდა. წიგნი მოწიწებით ჩამოვართვი. ფორზაცზე მელნით წაეწერა: „ჯენეტოს, ნიშნად უღრმესი პატივისცემისა. გალაკტიონ ტაბიძე, 1957, 1 მაისი“. ცხადია, საპირველმაისო ნობათი იყო. გალაკტიონმა იმავე წლის შემოდგომაზეც მიძენა ძვირფასი საჩუქარი. ამჯერად, 1927 წელს გამოცემული სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“ მისახსოვრა. გაზეთის მარცხენა, ზედა კუთხეში თავისი განუყრელი „კარანდაშით“ დაწერა: „ჯენეტო ჭანტურაიას, ნიშნად უღრმესი პატივისცემისა. გალაკტიონ ტაბიძე, 1957, 19

სექტემბერი”.

რა თქმა უნდა, ეს წარწერები აქ უდიდესი სიამაყის გრძობით მომაქვს, რითაც მინდა გალაკტიონის ხასიათის გამომხატველი ჩემი ნათქვამი დავადასტურო. ჩემს საოჯახო ბიბლიოთეკას ბევრი მწერლის მიერ მოძღვნილი წიგნი ამშვენებს, მაგრამ, არაეინ მიწყინოს და, გალაკტიონის საჩუქარი ჩემთვის უპირფასესია...


*

მრავალთა შორის გალაკტიონთან ორ შეხვედრაზე მინდა გვაამახვილო მკითხველის ყურადღება.

1957 წლის შემოდგომა იწურებოდა. მეგობრისგან შინ ვბრუნდებოდი. უკვე გვიანი იყო და რუსთაველის პროსპექტზე, სადაც მაშინ ვცხოვრობდი, მგზავრები კანტიკუნტად ჩანდნენ. ორსართულიანი ძველი უნივერსალის წინ, იქ, სადაც ახლა უნივერსალ „თბილისის“ შენობაა, გალაკტიონი შემხვდა მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ციოდა, პალტოს ღილები შეეხსნა და კუბოკრული სვიტრი მოუჩანდა. რალაცნაირად ალტაცებული იყო. რომ დამინახა, გადამკოცნა და მითხრა:

— იცი, ძამიკო, საიდან მოვდივარ? სკოლაში შეხვედრა მომიწყვეს. დიდებული საღამო იყო. მოწაფეებმა შესანიშნავი მოხსენებები წაიკითხეს, ლექსები მიძღვნეს. ერთმა ჩემზე ნათქვამი კოლია ტიხონოვის სიტყვები გაიხსენა. საკვირველია პირდაპირ, სად მოძებნა ბავშვმა ეს ნათქვამი. ერთი კი არ მომეწონა: გალაკტიონ ტაბიძე წმინდა წყლის ლირიკოსიაო. მე კი ბევრი პოემა მაქვს დაწერილი. და კიდევ: გალაკტიონი შემოქმედების

პირველ პერიოდში სევედის პოეტი იყო. სევედის პოეტი ვანო გომართელმა მიწოდა და მას შემდეგ ეს შერქმეული სახელი ვერ ჩამოვიშორე ამის მაგალითად ჩემი „მე და ლამე“



დაასახელეს. აბა, რაა იქ სევედის გამომხატველი? იცი, ეს ლექსი როგორ დავწერე? ქუთაისში, ასევე თბილისში. არალეგალურ ორგანიზაციაში ვიყავი გაერთიანებული. ერთხელ კრებაზე ითქვა, ციხიდან ტუსადის წერილია მოსატანიო. კენჭი ვყარეთ. კენჭი მე მერგო. წავედი. ციხის თავზე თოფიანი გუშაგი მიმოდიოდა. დაველოდე, როცა გუშაგი ჩემგან ზურგით შებრუნდა, ციხეს სწრაფად მიუახლოვდი. ცხადია, მგლოდებოდნენ და სარკმლიდან პურის გუნდა გადმოაგდეს. პურთან მივირბინე თუ არა, საიდანღაც ძალღი გამოვარდა და პურს ეცა აქეთ მე, იქით ძალღი! თან ემისობ, გუშაგი უკან არ მობრუნდეს და ტყვია არ

მესროლოს-მეთქი. როგორც იქნა, ძაღლს პური გამოვსტაცე და გამოვიქეცი. როცა პური გავტეხეთ, შიგ ბარათი იღვა, რომელშიც ეწერა: „შემოვიგზავნეთ იარაღი“. ბარათში ბევრი სხვა საიდუმლოც იყო ჩაწერილი, რომელთა გამჟღავნების უფლება არ მქონდა. ამიტომ სამუდამოდ გულში ჩავიმარხე, მეგობრებისთვისაც არ გამომხელა.

ყოველივე ამას გალაკტიონი საოცარი ალტყინებით მიყვებოდა. მაშინ, რა თქმა უნდა, გალაკტიონის ნაამბობში ეჭვი არ შემპარვია, მაგრამ მას შემდეგ, რაც უკეთ ჩაეწედი პოეტის რთულ ხასიათს, მივხვდი, რომ ეს ამბავი ფანტაზიის ნაყოფი იყო. დიახ, ფანტაზიისა რევოლუციონერი გალაკტიონის თემაზე. რა ექნა: იმედიანად ყოფნის გზებს ეძებდა. იმ საშინელ ეპოქაში, როცა ცოლი გადაუსახლეს, უახლოესი ადამიანები დაუხვრიტეს, თვითონ „ნაციონალისტი მგოსნის“ იარლიყი მიაკრეს, არასაიმედოთა სიაში ჩარიცხეს, გამოსავალი ვერ ეპოვნა და მოსალოდნელი კატასტროფისაგან თავის დაღწევის მიზნით ყველას არწმუნებდა, იმთავითვე რევოლუციის ჯარისკაცი ვიყავიო. ამ მიზეზითვე მოხდა მის მიერ ზოგიერთი ლექსის გადაკეთება და დაწერის თარიღის შეცვლაც.

მერე გავიგე, რომ ზემომოტანილ ვერსიას გალაკტიონი სხვებსაც უამბობდა ამას ეხება აკაკი თოფურია: ეს ამბავი თავის წიგნებში დაფიქსირებული აქვს ფატი ნიშნიანიძეს, რომელიც წარმოება-დაწესებულებებში გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებებს კითხულობდა და საქართველოს რაიონებში მოგზაურ-

ობის დროს თან ახლდა მგოსანს. ეს ის ფატი ნიშნიანიძეა, ცნობილი ლიტერატორი, რომლის შესახებაც 1957 წლის 13 ნოემბერს, სწორედ იმ დროს, როცა გალაკტიონი ლექსებისა და პოემების სრული კრებულის ერთ წიგნად გამოცემას აპირებდა, დღიურში ჩაუწერია: „საღამოზე გამოვა ფატი ნიშნიანიძე – ვათქმევინოთ მას, რომ აუცილებელია ყველა ტომის ერთ წიგნად გამოცემა!“

გალაკტიონი სკოლაში გამართული საღამოს ამბავს რომ მიყვებოდა, ამ დროს ერთი ნასვამი მამაკაცი მოგვიანხლოვდა. მოდიოდა რწევა-რწევიით და გაურკვეველ სიტყვებს ყვიროდა. ეტყობოდა, ახლო მეგობარი იყო ბახუსისა. ჩვენთან რომ მოვიდა, გალაკტიონს დიდი ამბით მიესალმა და ხელი ჩამოართვა. უნდა ვთქვა, რომ მის გამოჩენას გალაკტიონი განსაკუთრებული ალტაცებით არ შეხვედრია. შემატყო, რომ არ ვიცნობდი და მითხრა:

— ჩენი შიოს ვაჟია, დედაბრი-შვილის.

მერე გავიგე, ცნობილი მწერლის შიო არაგვისპირელის შვილი ფერმწერი ყოფილა, პეიზაჟისტი. გალაკტიონი ხმას არ იღებდა, ჩანდა, მის წასვლას ელოდებოდა.

— Пойдем, Галактион, выпьем, — უთხრა უღარესად ხავერდოვანი, მკერდისმიერი ხმით, რამაც სპარტაკ ბალაშვილის ხმა გამახსენა.

— არა, ძამიკო, გვეჩქარება, — უპასუხა გალაკტიონმა, — მკლავში ხელი გამიყარა და ჩემს ახალგაცნობილს მოსცილდა, მან კი უქმყოფილოდ გზა განაგრძო. მიდიოდა და ყვიროდა:

— Галактион Табидзе велича-

ИШИЙ ПОЭТ, НО СКУПОЙ ЧЕЛОВЕК

იქვე ვცხოვრობდი, სადაც ახლა მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი“. გალაკტიონმა სახლამდე მიმაცილა, გამომეშვიდობა და წავიდა.

*

მეორე შეხვედრაც მინდა გაეხსენო. 1958 წლის შემოდგომა იყო. ელბაქისის დაღმართით (ახლანდელი მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა) სამსახურში მივდიოდი. ბერიას ხიდს რომ მივადექი (ახლანდელი გალაკტიონის ხიდი), გალაკტიონი შემხვდა. მიდიოდა თავისებური დაღლილი ნაბიჯებით და განუწყურლ პორტფელოს მძიძვდ მოაქნევდა, ალბათ, მეცნიერებათა აკადემიაში მიდიოდა. ჩეულები სამებრ გადაამკონა, ხიდს მიღმა მყინვარწვერისაკენ გამახვდა და მითხრა:

— აბა, რაა იმის სიცოცხლე, ვისაც ეს მშენიერება არ ააღელვებს? მივხვდი, ალბათ, მეზაერებს აკვირდებოდა, რომლებიც ისე გადადიოდნენ და გადმოდიოდნენ ხიდზე, რომ ამ მთის დარდი სულაც არ ჰქონდათ. მერე ხელი გამოიყარა და უკან გამომაბრუნა. რასაკვირველია, სიხარულით გაცვივი. ცოტაოდენი მანძილი რომ გავიარე, შეჩერდა და დილის ნიავზე მოშრიალე ჭადარს ახვდა. ჭადარს ფოთილები ოდნავ შეყვიითლებოდა. კარგა ხანს უტკირა. გამულელები ჩერდებოდნენ და საყვარელ მგოსანს ღიმილით შეჰყურებდნენ. გალაკტიონი მათ ყურადღებას არ აქცევდა. ეტყობა, ფიქრებმა გაიტაცეს. მერე გამოერკვა, მკლავში ხელი ჩამკიდა და გზა განვაგრძეთ. ერთხანს, ჩუმად მოდიოდა, მერე მომბრუნდა და მკითხა:

— მითხარი, ძამიკო, რით არ სჯობია ეს ჭადარი... და ერთი ცნობილი პოეტის სახელი და გვარი დამისახელა.

ვერაფერი ვუპასუხე, მხოლოდ უხერხულად გავიღიმე.

— ეგ ხალხი მემტკირებოდა. ოციან წლებში თბილისში პოეზიის საღამოებს ვმართავდი. ერთხელ, საღამო ხანს, გერმანელების უბანში ერთი სახლის კედელთან სამ ლანდს მოეკარი თვალი. ეცინენ ჩემს აფიშას და ჩამოხიეს. იქითკენ გავიქეცი. იცი, ვინ იყვნენ? — და სამი მწერლის სახელი და გვარი ახსენა. — მედგრად შეეუტიე იმ უსირცხვილოებს. იცოცხლე, იკადრეს გაქცევა.

აღმართის თავში სკვერი რომ გადავჭერით და პეროვსკიას ქუჩას (ახლანდელი გიორგი ახვლედიანის ქუჩა) მივადექით, გაჩერდა, ერთ-ერთ სახლზე მიმითითა და მითხრა:

— ამ ეკლესიას ხედავ?

გავფაცვიცი.

— სად არის აქ ეკლესია, ბატონო გალაკტიონ?!

— როგორ, აგერ, ეკლესიას ვერ ხედავ?

კარგად რომ დაეუკვირდი, საცხოვრებელ სახლად გადაკეთებული ეკლესია გავარჩიე. ეტყობოდა, გუმბათი ადრევე მოერღვიათ, სარკმელებისთვის ფორმა შეეცვალათ, მაგრამ შენობას მთლიანი კონფიგურაცია შერჩენოდა. ახლა მასზე გაკრული მემორიალური დაფა იუწყება, რომ ამ სახლში ცნობილი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე ცხოვრობდა.

— ერთხელ, დილაადრიან, ამ ეკლესიასთან მომიხდა გაულა, — დაიწყო გალაკტიონმა, — დავინახე ეკლესიაში



ნოდარ ტაბიძე და გალაკტიონი

შეძავალი ქალი მკვ შეუვდი. მქაცო იყო. იმ უბედურებს წესად ქონდათ. სანამ ქალაქი ვაიღვიძებდა, აქ მოსულიყვნენ და უფლის წინაშე ღამის ცოდვები მოქანაქრინათ. ამ შემთხვევამ დაძაწერინა ეს სტრაქონები:

„დედაო ლეოსავ, მზეო მარიამ“.

მერე დაძქმქვილობა და წაყიდა მუკი უკან გამოქბრქნდი ამ ამბავს. ნოდარაც იგონებს: „პოეტი თურძე მთელი გზა ბუტბუტერდა სიტყვებს და შინ მისული მსწრაფელ მიჯღობია ხაწერ მაგიდას“.

*

1960 წლიდან გამოძქვმლობა „ნაკადულიში“ გადავედი სამუქმოდ, ახალგაზრდობის ლიტერატურის რედაქციამში. იმ პერიოდში ეს რედაქცია „ჩვენი საუნჯის“ ოცტომეულის გამოსაცქვმად ემზადებოდა. ამ ხაქმეში მკვ ჩავერთვე რედაქციას ერთი წლის წი-

ნათ თანძქვლოვე ქართული პოეზიის ბიბლიოთეკის მრავალტომეულის გამოძქვმაც ქონდა წამოწქვებული. ამ სერიის ერთ-ერთი ღირსება ის იყო, რომ ლექსები თვითონ ავტორებს ხაკუთარი სურვილისა და ვქმონების მიხედვით უნდა შეერჩინათ და წიგნისთვის აუცილებლად მოკლე ავტობიოგრაფია დაქწერათ. თემატური ვეგმის მიხედვით, თაკდაპირქვლად გალაქტიონისა და გიორგი ლეონიძის წიგნები უნდა გამოსულიყო. მართალია, გალაკტიონმა ბიოგრაფიის დაწერაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ პარობის შესწრულებას აყოვნებდა. არადა, სტამბაში დედნის ჩაბარება გვიანდებოდა. გამოძქვმლობის დირექტორმა, პოეტმა ხუტა ბერულავამ, რომელიც ამ წიგნის რედაქტორი უნდა ყოფილიყო, გალაკტიონს რამდენიმეჯერ შეახსენა თხოვნა.

— რა ვქნა, ძამიკო, არ მეწერება.

— მოუხიდიშა პოეტმა ბოლოს.

ამ საუბრიდან სულ ცოტა ხანში გალაკტიონის ტრაგიკული დაღუპვის ამბავმა მთელ საქართველოს გადაუარა სხვა ვზა არ იყო. წიგნის სასწრაფოდ შედგენა „საკადულის“ თანამშრომელმა, პოეტმა გიორგი კაჭახიძემ იტვირთა, წინასიტყვაობა კი ირაკლი აბაშიძემ დაწერა. მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, როდის წაბარდა და როდის გამოიცა წიგნი გალაკტიონის „ასი ლექსი“ წარმოების 1959 წლის 4 აპრილს გადაეცა (პოეტის ვარდაცვალებიდან 17 დღის შემდეგ), ხოლო დასაბუჟდად იმავე წლის 10 აგვისტოს მოუწერა ხელი

1961 წელს გადაეწვიტეთ ამ წიგნის ხელახლა გამოცემა წიგნის გადასაღისება მე ვიცისრე ჩემი ახრათ, რამდენიმე ტრადიციული მანერით შესრულებული ლექსი შეეცვალე ისეთებით, რომლებშიც განსაკუთრებით თვალნათელია გალაკტიონის ახლებური პოეტური ხელვა და აზროვნება რადგან წიგნს „ასი ლექსი“ ერქვა, პირველ გაკერებზე „პრილოგი ასი ლექსისა“ გადმოვიტანე, რომელსაც, რასაკვირველია, არავითარი თემატური დატვირთვა არ აქისრია. შევცვალე კრებულში უნა ჯაფარიძის მიერ შესრულებული ადრინდელი ნახატი გვიანდელით.

*

ახლა გალაკტიონის მეორე ცოლზე მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენო.

როცა რუსთაველზე მეტროს სადგურ „ლენინის მოედნის“ მშენებლობასთან დაკავშირებით ჩვენი სახლი აიღეს, ვაჟა-ფშაველას პრინციპტზე

მოგვეცეს ბინა სახლში ძველ მუხბლებთან ერთად ახალი მონინადრეებსე შემოასახლეს. ჩემს ვეკრლით სადარბაზოში ერთი მეტად დარბაისელი, ვეკლა დირსებით შემქელი ხანდაზმული ქალი ცხოვრობდა. მე მას დროადარო ვსედებოდი. ვესალმებოდი კიდევაც, მაგრამ მაშის არ ვიცოდი, რომ ეს ქალბატონი დიდი გალაკტიონის მეუღლე, ეროვნებით ესტანელი ოლეგა დარიუსი იყო ნოდარი ერთ-ერთ ინტერვიუში ოლეგა დარიუსს ახასიათებს როგორც გონიერ, ფრთად განათლებულ პიროვნებას. ლიტერატურის საუკეთესო მკოდნეს, ნატყვი გეძოვნების ხელოვანს. „გალაკტიონის მიერე მეუღლე დავაწყებულა. ის კი ნამდვილად არ ომსახურებს ამას“, — ამბობს ნოდარი ამ ინტერვიუში.

მოგვიანებით, როცა ნოდარი თავის წიგნზე — „გალაკტიონზე“ მუშაობდა, ამ ქალბატონის კვალს დაეუწყეთ ძებნა. მაგრამ ვერ მოვაკვლიეთ. მისმა კარის მეზობელმა, მსატკარმა ოილანტა პეტრაკოვსკაიამ გვაიხრა. როგორც ვიცი, კუბიბშევში გადასახლდა. სამწუხაროდ, სხვა ვერაფერი გაუგეთ.

*


ვეკვლამ კირვად ვიცით, როგორ ელტვოდა დიდი პოეტი ლიტერატურათმცოდნეობის ახალი დარგის „გალაკტიონილოგიის“ დაფუძნებას. ნოდარ ტაბიძე ახლახან გამოცემულ წიგნში „გალაკტიონილოგია“ იგონებს, როგორ მთიტანა მისმა სახელოვანმა ბიძამ შან მოგრძო ფურცლებზე დაბეჭდილი „გალაკტიონილოგია“ და როგორ გააკრეს ორი ცალი კაბინეტის

ახლო ბლოგი და მეგობრები

კედელზე. ლექსიც დაწერა:

ჩვენ პოეზია მაღალი
რომ შევისწავლოთ, დრო კია,
მარადის წინ მიგვიძილოდეს
გალაკტიონოლოგია.

იდი პოეტის ამ მარადიულ, განუზოროციელებელ სურვილთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ: ერთი ხანობა მწერალსა კავშირის სარდაფში წიგნის თავისებური მუდმივმოქმედი გამოფენა-გაყიდვა მოაწყვეს.



თაროებზე ბოლო წლებში გამოცემული ლიტერატურა ჩამოამწკრივეს. ერთხელ, იქ რომ ვიყავი, მოულოდნელად დარბაზში ბატონი ბესო ჟღენტი შემოვიდა, დამხედურებს მოგვესალმა და წიგნებს თვალიერება დაუწყო. თუ მეხსიერება არ მაღალატობს, ხელში გალაკტიონის წიგნი აიღო და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად გვითხრა:

— თბილისში, ერთ-ერთ კულტურის სახლში (თუ რომელიღაც დაწესებულების კლუბში — ვ.ჭ.) გალაკტიონის საღამო უნდა გამართულიყო. მომხსენებელი მე ვიყავი. სანამ საზეიმო სხდომა

დაიწყებოდა, გალაკტიონი ჩემთან მოვიდა და საიდუმლო ხმით მითხრა: „შენს სიტყვაში აუცილებლად უნდა იქნა, რომ დროა, შეიქმნას ახალი მეცნიერება — გალაკტიონოლოგია“. ცუდ დღეში ჩავეარდი, არ ვიცოდი, რა მექნა, როგორ დამეპყრინა თავი. დაიწყო საღამო. ვლაპარაკობ, თან ხანგამოშვებით გალაკტიონისკენ გავიხედავ. იგი ყურადღებით მისმენს, ზის და ელოდება. მოხსენება დავამთავრე, გალაკტიონის თხოვნა კი ვერ შევასრულე სასტიკად გამინაწყენდა.

ასე იყო: სიმართლეს თვალს ვერ უსწორებდნენ, განსაკუთრებულ სიფხიზლეს იჩენდნენ, ჭეშმარიტების აღიარებას ერიდებოდნენ, უფრო სწორი იქნება, ვთქვათ: ეშინოდათ.

*

... 1959 წლის 17 მარტს გალაკტიონის დაღუპვამ მთელი საქართველო შეძრა. თავზარდამცემი იყო იგი ყველა ჩვენგანისათვის. როგორც კი ეს საშინელი ამბავი გავიგე, მაშინვე მეთიხე სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკაში ანუ, როგორც ეძახდნენ, სამკურნალო კომბინატში წავედი. გალაკტიონის ცხედარი საავადმყოფოს ეზოს სიღრმეში აგებულ პროზექტურაში გადაესვენებინათ. ნოდარი იქ დამხედა, იყენენ სხვა ნათესავები და ახლობლები. პოეტის ნეშტი სანიტარულ ურიკაზე ესვენა. მარჯვენა წარბთან ჭრილობა ემჩნეოდა, საიდანაც შუბლისკენ ვიწრო ნაჭდევი მიემართებოდა. არავითარი სხვა გარეგნული ნიშანი ტრაგიკული აღსასრულისა. პირიქით, სახე დამშვიდებოდა, დაწყნარებოდა, იწვა უდრტივინველად,

თავის მწარე ხვედრს შეგუებული. ვიდექი გარინდებული და თავში ერთი და იგივე სიტყვები მიტრიალებდა:

„თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს...“

— არ მომეფეროს... გალაკტიონს პატივი არ აკლდა, იყო იმ დროისათვის უპირველესი ორდენის კავალერი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახალხო პოეტი, პოეტების მეფე, ხალხის სიყვარულით გარემოსილი მგოსანი... ეს ყველაფერი იყო. და თუ იყო, მაშ, სხვა რა უნდოდაო, — იტყვის მანანი და მანანი. დიახ, იყო, მაგრამ არ იყო ის, რაც გალაკტიონს ესოდენ სჭირდებოდა: ოჯახური სითბო — მაგრამ არ აღირსეს, კერა აღრე ჩაუქრეს; ხელისუფალთა მხრიდან ყოველდღიური ყურადღება — მაგრამ მისთვის არავის ეცალა; კოლეგებისაგან მეტი გაგება — არც ეს იყო. და კიდევ — არ იყო ის რაღაც, რისთვისაც დღემდე სახელი ვერ დაგვირქმევია, ვერ მოგვინახავს და იმიტომ, ის, რაც გალაკტიონის სულს დღენიადგ აფორიაქებდა გალაკტიონი, როგორც „დიდი ბავშვი“ (მეუღლისა და ძმის სიტყვებია) მუდმივ ალერსს საჭიროებდა, დაყვავებას, ყურისგდებას, გაფრთხილებას. აქ მინდა ჩემი ბავშვობის მეგობრის გივი გეგეჭკორის ლექსი გავიხსენო:

მონუსტი მშვიდი და უცნაური -
ჩვენ თითქოს ერთხელ დაგვაიწყდა,
რომ ბავშვი იყო

და უნებურად ხელი გავეშვით,
იგი დაიბნა და დაიკარგა
მომაბეზრებელ ქუჩის ხმაურში...

გალაკტიონს ბავშვობიდან დაკავა

ასეთი ხასიათი. ის ზომ ყრმობიდან, როგორც დედა წერილებში ამოიკენესებდა ხოლმე, „ფიქრებიდან განუშორებული და სხვადასხვანაირად სადარღებელი შვილი“ იყო. ასეთი დარჩა იგი ხანდაზმულობაშიც. მუხთალი ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე მკაცრ გამოცდას უწყობდა, მახეს უგებდა, არ ინდობდა ამ „სხვადასხვანაირად სადარღებელ შვილს“. ჩვენ გვინდოდა გალაკტიონი გენიოსი ყოფილიყო პოეზიაში, ეწერა გენიალური ლექსები, რასაც შეგვაჩვია, მაგრამ ჩვეულებრივი პრაქტიკოსი — ცხოვრებაში, ეს კი ასე არ ხდება. საუფლოში მონაყარდეს ვთხოვდით აქ, დედამიწაზე, წერილმანებს გამოსდევნებოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ძნელია გენიოსი გალაკტიონის ხასიათის შეცნობა, მისი ბუნების შემუშვადრად გაგება. არადა, იმ საბედისწერო ნაბიჯს, პოეტმა რომ გადადგა, სწორი ახსნა უნდა მოეძებნოს. ამას თანამედროვეებისაგან მოითხოვს შთამომავლობა. რატომ გაუსწორდა გალაკტიონი ასე უღმერთოდ საკუთარ თავს, ყოველდღიურმა დაბრკოლებებმა, ცხოვრებისეულმა სიძნელებებმა აიძულეს? იქნებ ის გალაკტიონისთვის უბრალო წერილმანები იყო იმ უმნიშვნელოვანესთან შედარებით, რაც ყველას მხედველობიდან გამოიჩინა? იქნებ სხვა, უფრო ღრმა და, რაც მთავარია, ანგარიშგასაწევი, მნიშვნელოვნად მისაჩნევი მიზეზები არსებობს?

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ, რომელიც უაღრესად კომპეტენტური საეცალი სტებისგან შედგებოდა, გალაკტიონის დაღუპვის მიზეზად ტრამპული შოკი მიიჩნია, რაც, როგორც დასკვნაში იყო აღნიშნული,

„განვითარდა მრავლობითი მოტყეხილობისა და შინაგანი ორგანიზაციის გაგლეჯის ნიადაგზე“. ცხადია, სამედიცინო ექსპერტიზისაგან სხვანაირ დასკვნას არაეინ ელოდა. მან გარდაცვალების სრულიად უდავო, სრულიად სარწმუნო საბაბი დააფიქსირა. ეს გადმოვარდნის შემდეგდროინდელი ანუ საბოლოო შედეგია, მაგრამ სადაა გადმოვარდნამდელი მიზეზი? რამ გამოიწვია იგი? ექიმებმა ამასაც დაბაჯერებელი ახსნა გამოუნახეს: „ქრონიკული ალკოჰოლიზმი“. და ისევ და ისევ კითხვა: ეს რაღამ გამოიწვია? აქ ცნობილი მწერლის ელიზბარ უბილაკას წერილი მინდა გავიხსენო: „უკანასკნელი დღე გალაკტიონისა“, რომელიც, როგორც ვფიქრობ, ფართო მკითხველისთვის შეუმჩნეველი დარჩა. ეს წერილი „ნაკადულში“ ჩემი და ბატონი ელიზბარის ერთად მუშაობის პერიოდს განეკუთვნება. ასე რომ, მოწმე ვარ, თუ რა პასუხისმგებლობით იწერებოდა იგი. ავტორმა მეტად საყურადღებო რამდენიმე ფაქტი აღწუსა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა ის საქმიანი ქალაქდები, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეში იყო ჩაკერებული. წერილში არის თავისებური ცდა, მიექმბნოს ახსნა ამ ტრაგედიას. მაგრამ ახსნა, როგორც ვთქვი, არც ისე იოლია. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ნოდარ ტაბიძის თვალსაზრისი, რასაც გვერდს ვერ აუეღის გალაკტიონის პიროვნებით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი. რა თქმა უნდა, ასევე უადრესად ანგარიშგასაწევია ვახტანგ ჯავახაძის მოსაზრებები.

19 მარტს, საღამოს 6 საათზე გალაკტიონის ნეშტი მწერალთა კავში-

რში გადაეკვსენ. გვიან საღამომდე არ წყდებოდა სამოქალაქო პანაშენილზე სამძიმრის გამოსახატავად მოსული ხალხის ნაკადი. გაზეთებში გამოჩნდა სამგლოვიარო განცხადებები. ჩვენც, ოჯახის ახლობლებმა — რამდენიმე უახლოესმა ნათესავმა და მეგობარმა — 21 მარტის გაზეთ „თბილისში“ ერთობლივი განცხადება გამოვაქვეყნეთ. ნაშუალაშემდეგ არ ვშორდებოდით ძვირფასი აღამიანის კუბოს.

დაკრძალვის დღეს, 21 მარტს, მწერალთა სახლს უზღვავე ხალხი მოაწყდა. ამდენი ჭირისუფალი ილიასა და აკაკის შემდეგ, ალბათ, არაყის აყოლია. მართლაც, მიუღი საქართველო იყო გალაკტიონის ჭირისუფალი. რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანს წარმოედგინა, რომ გალაკტიონის დაკრძალვა უნდა ყოფილიყო რაღაც საარაკო, არნახული, არგავონილი. ამიტომ გვეცოტაგებოდა ის, რასაც ვხედავდით. დანიშნულ დროს მწერალთა სახლს მოადგა ბორტებგადახსნილი სამტონიანი საბარგო ავტომანქანა, რომლის კაბინის სახურავს ერთადერთი ვიწრო შავი ქსოვილი ქონდა გადაჭიმული. ეს იყო და ეს. (ძამაფლასით მაინც შეემოსათ). არსად ჩანდა გალაკტიონის საყვარელი ლურჯა ცხენები, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ ჭაბუკობისას წერდა:

დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით
გამაქანებენ სწრაფი ცხენები!

16 საათზე გალაკტიონის კუბო შენობიდან გამოასვენეს გამოსვენებისთანავე იგი მანქანის მარჯვ დადგეს. ზედ მაშინვე რამდენიმე ახალგაზრდა მწერალი ავარდა, რისი საჭიროება

გოგონქაა გოგის...

მუხრან მაჭავარიანი

ერთი შეხვედრა

ის გალაკტიონი, რომელსაც მე მოვესწარი, სერიოზულად დალაპარაკების ღირსად არ თვლიდა არავის; ადამიანზე გული ჰქონდა აყრილი და იმიტომ, თუ თავს არავის უყადრებდა, — არ ვიცო! — ეს კია, რომ ყველას აგდებულად ეყრობოდა.

ალბათ, გალაკტიონის ეს საქციელი იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთი ჩვენი მოწინავე პოეტი ჩემთან საუბარში ხშირად ცდილა (თუმცა ამოდ) მისი პოეზიის გაბიაბრუებას. მეტიც: ერთ-ერთმა (ღმერთმა შეუნდოს მას!) აიყოლია ერთი უპრინციპო კრიტიკოსი და პრესაშიც კი გაკენწლა გალაკტიონის რამდენიმე ლექსი.

პირადად მე გალაკტიონს არაერთხელ შევხვედრივარ — ხან სხვებთან ერთად, ხან ცალკე.

თუმცა არც ერთი მასთან ჩემი შეხვედრა რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის არაა, მაგრამ ვინაიდან დღეს მკითხველს ყველაფერი ანტიერესებს, რაც კი ამ დიდი პოეტის სახელთანაა დაკავშირებული, ამიტომაც თავს ნებას მივცემ და გაიმბობთ გალაკტიონთან ჩემი შეხვედრებიდან ერთს:

ვარ 20 წლის.

არა მაქვს დაბეჭდილი არც ერთი სტრიქონი; მწერალთა საზოგადოებრიობა მიცნობს მხოლოდ ზეპირად წაკითხული ორიოდ ლექსით.

იღია ჭავჭავაძის დღეებია.

ვდგავარ მარაბლის ქუჩაზე, — მწერალთა სასახლის წინ. დიდი პორტფელით ხელში, სასახლიდან გამოდის გალაკტიონი.

მე მოწინებით შევცქერი.

იგი მოდის ჩემთან, მკლავზე ხელს მკიდებს და მეუბნება:

— წაეიდეთ, ძამიკო!

მე ვიბნევი, — უარს ვერ ვუბედავ. მიეყვებით ქუჩას. გუმანით ეხვდები: დასალევიად მიყავარ, ჯიბეში კი გახვრეტილი შაურიანიც არ მიჭყავის. ფეხები უკან მრჩება. რატომ? ყური მაქვს მოკრული: — გალაკტიონს ფულის გადახდა არ უყვარსო (თურმე ჭორია — რა ვიცო!).

ბედად გზაში გვხვდებიან რეზო ჯაფარიძე და რეზო ინანიშვილი. ჩემი რჩევით, გალაკტიონს მოჰყავს ისინიც. ახლა უკვე იმდენად აღარ ვლეღავ: — იმათ მანაც ექნებათ ცოტაოდენი ფული!

ეს ის დროა, როცა თბილისში, ველიამინოვის ქუჩაზე (ამჟამად დადიანის) აცხოებენ შესანიშნავ ლეზულებს და ჰყიდიან ძალიან კარგ კახურ ლეინოს

(შემდეგ ამ სარდაფში ზინკლის კეთება დაიწყეს).

ჩაედევართ ამ სარდაფ-ლექანში; გალაკტიონს ღიმილით ეგებება ყველა იქ მყოფი.

შეეყვართ ცალკე ოთახში.

— ლექზელი და ღვინო! — იმახის გალაკტიონი.

ესვაბთ თავგაბეტებით. ვახსენებთ ილიას, მე ვაპბობ გალაკტიონის ლექსს: „წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა ღიდი“.

გალაკტიონი მაჩერებს და მკოცნის.

რეზო და რეზო ხარობენ.

მთხოვენ, — ეთქვა ჩემი ლექსი ილიაზე, —

მე ვუარობ, — გალაკტიონის შერიდება—

— თქვი, ძამიკო, თქვი! — მამხნეებს გალაკტიონი—

ამოიქროლა მთაწმინდაზე ქარმა მსახერალმა, —
ქარის ღლაბუცი საფლავის ხეს ტოტებს უღლიდა—
მატარებელმა მოაკიელა თბილისის საყვარლად:
— იქნებ ილია ჩამობრძანდა პეტერბურდიდამ?

გალაკტიონს თვალები ცრემლებით ევსება (ახლაც არ ვიცი რატომ) და ხელით მანიშნებს, რომ გაეჩერდე—


— დღეიდან მე და შენ მეგობრები უნდა ვიყოთ! — მეუბნება გალაკტიონი,
— შენ თვალები ქუჩიშვილს გიგავს, გიორგი კი ჩემი კარგი მეგობარი იყო—
(დამცინის? არა მგონი!).

მეორე დღეს გალაკტიონს საგურამოში შეეხვდი: ორი ჭალარა მანდილოსანი ახლდა. რომ დამინახა, დიდად გაიხარა. გადამეხვია და უცბად გამცილდა.

გავიდა დრო.

გალაკტიონის სიტყვა სიტყვად დარჩა.

მე და იგი ახლო მეგობრები ვერ გავხდით.



გიორგი გიგაური

იმ დღეთა ექო

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში საავტომობილო გზა ბარისასომდე გაიყვანეს. სოფელში ამუშავდა ფოსტა-ტელეგრაფი, საავადმყოფო, სასტუმრო, საჯაჭრო ორგანიზაციები და, რაც მთავარია, გაიხსნა სკოლა-ინტერნატი. გაიხარეს ხვესურმა ყმაწვილებმა და სწავლას დაეწაფნენ. მეც მათ შორის აღმოვიჩნდი.

მედაგოგიურ კოლექტივში უაღრესად მცოდნე, კეთილმა და გულისხმიერმა ადამიანებმა მოიყარეს თავი, თითქოს საგანგებოდ იყენენ შერჩეული. ბარიდან ჩამოსულები ეგუებოდნენ მთიელსა მკაცრ, მაგრამ საინტერესო ცხოვრებას, მთელ ძალ-ღონეს ახმარდნენ ახალი სიახლის აღზრდას.

სწავლა არ გაგქმნებოდა, ყველა საგანში ვებუჯითობდით, თუმცა განსაკუთრებით ქართული ენა და ლიტერატურა გვიტაცებდა, ქართული მწერლობის მაღლი გვაძინებდა, ლექსის ხიბლი არ გვასვენებდა. კლდეებზე გადმოკიდებულ ჩანჩქერებსა თუ ციხე-ბურჯების ჩანგრევებთან ვიზუალებდით სასიქადულო პოეტთა სტრიქონებს. მთვარიან ღამეში შენობათა სახურავებიდან გაკვიოდით „მთაწმინდის მთვარეს“ და „ლორჯა ცხენებს“, თან ფუტურისტობას ვიჩემებდით, თუმცა კარგად ვერც კი ვერკვეოდით ამ ლიტერატურული მიმართულების არსში.

ასე, მათაა ორწობებში ლექსებით გავიცანი და შევიყვარე დიდი გალაკტიონი. მასზე მასწავლებლები ბევრს გვიყვებოდნენ, უფრო დედაქალაქელები, პოეტს პირადად რომ იცნობდნენ.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს თბილისიდან დაბრუნდა ჩვენი უფროსი აღმზრდელი ნინკა გალაშვილი. გავიხარეთ და გარშემო შემოკვებვიეთ ის ხალისით გვიყვებოდა ქალაქურ ამბებს. ბოლოს დანანებით გვითხრა: „გალაკტიონს ლენინის ორიდენი დაუკარგავსო“.

- როდის? როგორ?
- ახლა რა მოხდება?
- ხომ არ დასჯიან? — ისმოდა ირგვლივ ნალელიანი ხმები.
- ნუ სწუხართ. ამას თურმე პოეტი დიდად არ დარდობს, უთქვამს: „კალინინი კიდევ მომცემს, თუ არ მომცემს, წაიღოს და ძაღლს დაჰკიდოს კუღზე“.

გავოგნდი. უბადლო შემოქმედში სიმამაცე უბადლო შეკიცანი და მისი საკუთარი თვალით ხილვის სურვილი გამიათყეცდა.

ნანატრი დღეც დადგა. 1945 წელს სწავლა სახელმწიფო უნივერსიტეტში განვაგრძე და თბილისში დავმკვიდრდი. სტუდენტობისას ხშირად ვსტუმრობდი თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებს. და აი, პლებანოვის გამზირზე — ფილარმონიაში გალაკტიონის პოეზიის საღამოზეც მოვხვდი.



გალაკტიონი და გიორგი ლეონიძე

ის მგზნებარედ, განუმეორებელი დიქციით კითხულობდა საკუთარ ლექსებს. რაღაც სხვაგვარად შემართულსა და ამბლლებულს, არწივეული გამოხედვა და ლომური იერი უხდებოდა. არ ემონებოდა ტაშსა და შეძახილებს.

კონცერტის დამთავრების შემდეგ მხრებგაშლილი მშვიდად გაუყვა ფართო ქუჩას და ჩემი მშვიერი მზერაც გაიყოლია კარგა ხანს მონუსხულივით მიყვებდი შორიახლოს... უღაბაზე სიზმარს ჰგავდა ის საღამო.

გალაკტიონ ტაბიძესთან დალაპარაკების საშუალება ვახტანგ გურგენიძის კაბინეტთან, მოსაცდელ ოთახში მიძეცა პოეტმა ბჭეები ძღვეს შემოაგტია კარებში და ვახტანგი იკითხა „სტუმარი ჰყავსო“, — მოუბოდიშა მდივანმა. აუდეცი, მივესალმე, სკამი შეეთავაზე.

— თქვენც აღბათ ელოდებით, ცუდი ლოდინი, — ჩაიჩურჩულა და კუთ-

ხეში მადგმულ დივანზე ჩაძოჯდა.

ვახტანგი მაშინ პარტიის თბილისის საილქო კომიტეტში კულტურის სექტორის ხელმძღვანელობდა და მომხსენებელიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ გალაკტიონის სტუმრობამ მაინც გამაკვირვა. მერე ვაკვივე. მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ თურმე და მეგობრული შეხვედრებიც არ აკლდათ.

ვახტანგმა სტუმარი კარებამდე გამოაცილა და გალაკტიონი დაინახა თუ არა, ხელგაშლით მიეახლა.

— მობრძანდით, ძვირფასო გალაკტიონ, მობრძანდით, — მოფერებით მიმართა და თან მდივანს გადაუბღვირა, რაც იმას ნიშნავდა, პოეტის მოსვლა რატომ არ შემატყობინეო.

— ვახტანგ, ვერ ავერ ეს ჭაბუკი მიიღეთ, ჩემზე ადრე არის მოსული, მე მოცდა კიდევ შემიძლია.

— ეს ჭაბუკი ნათესავად მეკუთვნ-

ის, მისი ჩვენთან ყოფნა არაფერს დააშავებს, — თქვა მასპინძელმა და კაბინეტში მიგვიწვია. მათ შორის გულითადი საუბარი გაიმართა. ვახტანგმა პოეტების მეფეს მიმართა:

— გიორგი ხვესურია, სიბუე კი ჩვენია, ბორჯომელების, თავი შეგკაცვარა ლექსითაც და ჯიშ-ჯილაგითაც.

— ლექსებს წერ, ძამიკო? ძალიან კარგი — ხვესურებს პოეზია ხელეწიფებათ. მათი სტრიქონი ხალხურ ლექსებში გამოირჩევა ხოლმე — ახალგაზრდებმა წინაპრები არ შეარცხვინოთ, უმღერეთ და უპატრონეთ ხვესურეთს!

მოკრძალებით შეეცქეროდა ლექსის ჯადოქარს და მახარებდა მისი უბრალოება, სიმშვიდე, გულითადობა, სიტყვის სიღბო. პოეტის სულის ქარიშხლიანობაზე, წარმოიდგინეთ, ქილიკზეც კი ბევრი რამ მქონდა გაგონილი და ერთმანეთთან ვედარ ვათავსებდი სხვათა ნათქვამსა და საკუთარი ყურით მოსმენილს დიდი გალაკტიონის თვალებიდან მხოლოდ სიკეთე ასხივებდა. მას არავინ გაუქირდავს, ძვირი არავისზე უთქვამს. მორარული ხმა — „ყველას დასციინოს“, — გადაჭარბებული მჭვრენტება —

უნივერსიტეტში ჩემთან ერთად სწავლობდა არხოტელი, გოლიათური აგებულების ვაჟკაცი დავით გაბურია. მამაცს, მოუთმენელსა და მოშუღლარ ხვესურს მთელი თავპირი ჭრილობებით მქონდა დასერილი. თბილისის ქუჩებში ხვესურული ტალავრით დადიოდა და ხალხის ყურადღებას სხვაზე მეტად იქცევდა.

ერთ მშვიდ საღამოს რუსთაველის პროსპექტზე მივსერიანობდით, დინჯად, უხმაუროდ. დავინახე, მოპირდაპირე მხრიდან გალაკტიონი მოაბი-

ჯებდა და დარდობანდულად მოაქნევდა თავის განუყრელ ვეება პორტფელს. ნაბიჯი შეკანულე „გალაკტიონ ტაბიძე მოდის“, — გადაუღლაპარაკე მეგობარს... და ისიც ჩვენს წინ უცებ სინათლის სვეტივით აღიმართა, ლომური ტორი დავითს ნაჭრილობეუ შუბლზე გადაუსვა და დაიბუხუნა: „ყვებუ — ლომი იღლეგრძელე ძამიკო!“

გავირინდე გამელელებიც გაირინდენ — დავითის ხარხარმა კი მთელი ქუჩა გააყრუა — როცა განცდები მოვთოკე და თვალი გალაკტიონს გავადევნე, ის რუსთაველის ძეგლს უახლოვდებოდა.

სასიქადულო პოეტს მწერალთა კავშირში თუ სხვაგან შემდეგშიც არაერთხელ შევხვედრივარ, მაგრამ მკითხველის ყურადღებას ერთ ამბავზედა შევაჩერებ.

1956 წელს ჩარგალში ვაჟა-ფშაველას დაბადების 95 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი გაიმართა. ზეიმზე დიდი მოწონება ხედა თიანეთის რაიონის ახალგაზრდობის თავკაცის მარო გონჯილაშვილის მიერ მოწყობილ „ბახტრიონის“ ინსცენირებას. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ქალ-ვაჟებმა ბაჩლის უღელტეხილი გადმოლახეს, ჩარგლის ტყიანი სანახები გამოიარეს და ვაჟას კარმიდამოში იმ დროს მოავდეს გაოფლილი რაშები, ბესო ჟღენტი რომ იდგა ტრიბუნაზე და სიტყვას ამბობდა. მისი ხმა „ვაჟას გმირების“ მიერ წარმოთქმულმა სტრიქონებმა დაფურა... ბესო დაიბნა და აყვირდა: „ვინ არიან, კაცო, ვინ მიშლის ხელს, გაყარეთ აქედან, გაყარეთ ჩქარა!“

იქვე, ხის ჩრდილში მდგარმა გალაკტიონმა ჩაიხითხითა: „გააგებინეთ

ბესოს, რა ხდება, მაგას კი არა, თვითონ ეგ უშლის ხელს ამ მშვენიერი სანახაობის შესვენურთ“.

ინსცენირების ფრაგმენტებმა ტაშის ვრაილში ჩაიარა და ცხენოსნები ტრიბუნას განშორდნენ. მიტინგი გაგრძელდა. გამოდიოდნენ მწერლები, მეცნიერები, სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული სტუმრები.

ჩრდილში მდგარი გალაკტიონი უცებ აბობოქრდა, თავისი წიგნი მოითხოვა. გარშემო შემოხვეული ახალგაზრდები დატრიალდნენ, კრებული მიურბენინეს. პოეტმა გადაშალა, ლექსი შეარჩია, შიგ რაღაცეები ჩაასწორა, ეტყობა, სტრიქონები ზეიმს მიუსადაგა. მერე ტრიბუნაზე ავიდა, ჩაიკითხა... და, როგორც იტყვიან, „ბანკი მოხსნა“.

ახლაც არ მასვენებს იმაზე ფიქრი, გალაკტიონმა მაშინ რომელი ლექსი ჩაასწორა და მიუძღვნა ვაჟას დღეებს, ან სად არის ამჟამად ის კრებული, ვის წიგნის თაროს ამშვენებს!..

ზეიმის ოფიციალური ნაწილი რომ დამთავრდა, სასტუმრო სუფრა არაგვის მარცხენა ნაპირზე, მწვანედ აბიბინებულ ველზე გრძლად გაიშალა. სუფრის ერთ თავში გიორგი ლეონიძე იჯდა, მეორეში გალაკტიონ ტაბიძე. ისინი ცოტა ნამდურავად იყვნენ ერთ-


იმეორესთან და შესაფერი ი დისტიანციაც ამიტომ აირჩიეს. ყოველ შემოხვევაში, მაშინ ასე მეგონა..

სუფრის ყველა წერილმანს ელგუჯა მაღრაძე აგვარებდა და ამის მოკალეც იყო, რადგან პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა. ის ხან გალაკტიონთან მიდიოდა, ხან გოგლასთან და რაღაცას ეწურჩულებოდა, რაღაცას უმტკიცებდა ხან ერთს, ხან მეორეს.

უცებ გოგლა ფეხზე წამოიმართა, ჯიბის ყანწი პირამდე გაავსო და გალაკტიონის სადღეგრძელო შესთავაზა სუფრას თანამეინახენი წამოვიშალეთ. ორი ხელყანწიანი ბუჩქურაში კი ერთ-იმეორისაკენ გაემართა. შეროგება შედგა ვალში არც გალაკტიონი დარჩენილა, თავის სკამს დაუბრუნდა თუ არა, გოგლას დალოცვით გაგვიხარა გული.

იმ დღეს ორი სწორუპოვარი თამადა ჰყავდა ქართულ სუფრას, ორი მთაკაცი. მალე ისიც გამოქვავდნენ, რომ ყველაფერი ეს ელგუჯა მაღრაძის ჩაფიქრებული და „ჩაწყობილი“ იყო..

ძვირფასო მკითხველო, მე მოკლედ მოგიყვით „ჩარგლის კართ“ გამართულ უდიდეს ღვინოზე რომლის ეჭო კვლავაც ძალუმად რეკავს არაგვის ხეობაში და ვფიქრობ, დადუმება არ უწერია.



აკაკი ხინთიბიძე

როგორი მახსოვს იგი

1.

გალაკტიონს არაერთსულ შეხვედრივარ.

1957 წელს ლიტერატურის ინსტიტუტში ჩემი სტატიის — „კონფლიქტის საკითხისათვის ლირიკაში“ ამონაბეჭდი გადაეცემა, სადაც ეს პრობლემა განხილულია ბარათაშვილისა და გალაკტიონის პოეზიის მასალაზე. შემდეგ ეს ამონაბეჭდი ცეცხლის არქივში ენახე. სიტყვა „გალაკტიონის“ ქვეშ ყველგან წითელი ხაზი იყო გასშეული, ხოლო სადაც გიორგი ლეონიძე და ალიო მირცხულაძე იყვნენ ნახსენები — ლურჯი ხაზი.

1958 წლის გაზაფხულსა დილით ადრე მივედი გამოძვედობა „სახელგამში“ ჩემი წიგნის „პოეტური ხელოვნების საკითხების“ შინაარსის გასაცნობად. ოთახში გალაკტიონის დამხვდა (იქვე ახლოს ცხოვრობდა). ვსხდებართ ხსამოუღებლად შემოიტანეს რეკერხა რამბლზაყ განსაკუთრებით კარგად იყო შეფასებული წიგნის ბოლო ნაკვეთი „გალაკტიონის რიომა“, ამიტომ გაუბედე და პოეტს გაუწოდე წასაკითხად. სასწრაფოდ სათვალე ამოიღო და კითხვას შეუდგა ყოველი აბზაცის ჩათაყვების შემდეგ წარმოეგებოდა, ხელს ჩამომარმევედა, ისევე დაეღებოდა და კითხვას განგრძობდა თავს ბუნებრივ ვრძობად (როგორც შემდეგ გავიგე) რეკერხის ავტორი თქნებო გოგოლაძე იყო).

ერთხელ ლიტერატურის ინსტიტუტში მოვიდა. ცოტა ნასკამი იყო. სამნი გაეგებეთ დერეფანში. გვეკითხება:

— თქვენთან ლეონიძე რათ მუშაობს?

— ჩვენი დირექტორია, ბატონო გალაკტიონ, — პასუხობს აკაკი კენჭოშვილი.

— კარგია, დაგეხმარება, დაგეხმარება!

შემდეგ უეტრად ჩემსკენ გადმოვიდა. მხარზე ხელი დამადო და მეუბნება: გურულები ვართ ჩვენ, ძამიკო, გურულები! გავოცდი. საიდან იყო თავად გურული, ან რა იცოდა ჩემი ეინაობა?! შემდეგ პოეტის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ამოვიკითხე, რომ მისი დიდედა (დედის მხრიდან) ყოფილა გურული ქალი ბერიძე (XII ტომი, გვ. 276); გავიგე აგრეთვე, რომ ჩემი წიგნი „იოსებ გრიშაშვილის პოეზია“ (1955 წ.) უყოდა და წაუკითხავს.

ამას თავისი პატარა ისტორია აქვს.

ლიტერატურის მუზეუმიდან დამირეკეს, პოეტის არქივში შენი წიგნი ენახეთ გალაკტიონის მინაწერებითო. ცოტა არ იყოს, „დამტხელა“. ვიცოდი გალაკტიონის დამოკიდებულება თავისი თანამდროვე პოეტებისადმი. ამასთან, „იოსებ გრიშაშვილის პოეზია“ ჩემი პირველი წიგნი იყო და იმჟამად აღარ მაქმყოფილებდა. მაინც შეამა-



ყბოდა, რომ გალაკტიონმა ჩემი წიგნი წაიკითხა და მისი უარყოფითი აზრიც კი ჩემთვის ძვირფასი იყო. ამ ფიქრით გავეწიე მუზეუმისაკენ.

გულდასმით წაეკითხა. თითქმის ყველა გვერდზე სიტყვები თუ წინადადებები ხაზგასმული იყო. ზოგს მინაწერიც ახლდა, ძირითადად გრიშაშვილის პოეზიას შეეხებოდა. კერძოდ, წიგნის 131-ე გვერდზე „საფრთხო-ბელას“ სტრიქონებს — „აიკრიფა მთელი გუნდი, აიბარგა მთელი კრება და მას შემდეგ ჩემს ხეხილებს ჩიტი აღარ ეკარება“ — მიწერილი აქვს „ქრისტე“. ამ ორ ლექსს მსგავსი კომპოზიციური აღნაგობა აქვს. სინტაქსური წყობის მიხედვითაც ზემოთ მოტანილ სტრიქონებს რაღაცნაირად ჰგავს: „შეიბოჭა ჩემი ლტოლუა, განადგურდა ფიქრი ღალი, ძირს დავუშვი სწრაფად ხელი და დაეყარე იარაღი“.

მეორე მაგალითიც საბაკშვო ლექსებიდანაა და იმავე ტიპისაა. გრიშაშვილი: „ეხ, ასეა, როცა დედას არ უგონებს თავის შვილი“ („საახალწლო მსუნაგობა“). გალაკტიონის მინაწერი — „მესაფლავე“. შდრ. „მესაფლავის“ სტრიქონი: „ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძნობა“.

ზოგჯერ გრიშაშვილის სტრიქონებზე გალაკტიონს თავისი სტრიქონები აქვს მიწერილი. გრიშაშვილი: „აუსერულდა მთიარეს ხეყვნა და მთის ჩანჩქერს გადაეწნა“. გალაკტიონი: „აუსერულდა მთიარეს ნატურა, ის ყვაილთა მტკერით დათვრა“. ამ სტრიქონებში ლექსებიდან „სუნთქვა გაზაფხულისა“ (გრიშაშვილი) და „ეჭვი“ (გალაკტიონი) მსგავსება უფრო რეალური ჩანს, რასაც ვერ ვიტყვით მომდევნო მაგალითზე. გრიშაშვილი: „აი, ასე ავამღერო, აი, ასე, აი, ასე“

(„ტყეში“) და გალაკტიონის მანაწერი: „ისე ღელავს, ისე ღელავს“ („გურიის მთები“). აქ, როგორც ვხედავთ, მსგავსება ძალზე შორეულია.

ყველა შემთხვევაში გალაკტიონის ლექსები უფრო ადრინდელია, მაგრამ, ვფიქრობ, პირდაპირ გავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მინაწერების მეორე კატეგორია გრიშაშვილის პოეზიის ჩემუელ დახასიათებას შეეხება.

წიგნის მე-17 გვერდზე ვწერ: „ი. გრიშაშვილის პირველი წიგნები — როგორც შინაარსით, ისე ფორმით ახლო კავშირშია ბესიკისა და საიათნოვას პოეზიასთან“. გალაკტიონის შენიშვნა — „არაა სწორი“. უფრო მართებული იქნებოდა, დამეწერა: ბესიკისა და საიათნოვას სკოლასთან.

მინაწერი „არაა სწორი“ კიდევ ორჯერ გვხვდება გრიშაშვილის ენაზე საუბრის დროს: 1) „ი. გრიშაშვილი ქართული ენის შესანიშნავი მცოდნეა და მისი სიწმინდისა და სიფაქიზის თავგამოდებულ დარაჯად გვევლინება (გვ. 139); 2) „ი. გრიშაშვილი ღირსეული მემკვიდრე და დამცველია ი. ჭავჭავაძისა და, საერთოდ, ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ენობრივ-ლიტერატურული ტრადიციებისა“ (გვ. 140).

როცა ამას ვწერდი, მხედველობაში მქონდა გრიშაშვილის პოლემიკური წერილები ქართული ენის თაობაზე და მისი დადებითი პასუხი „პროლეტარული მწერლობის“ ანკეტაზე: „საჭიროა თუ არა კლასიკოსების მიწოდება მასიურ მკითხველისათვის“.

გალაკტიონის მძაფრი რეაქცია გამოიწვია ციტატამ გრიშაშვილის „ძველ ტფილისის ლიტერატურული

ბოქემიდან“: ზოგი სიტყვა ტფილისში უფრო შენახულია, ვიდრე საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში“. მინაწერი სარკასტულია: „ხა, ხა, ხა“ (გვ. 141).

ამგვარი რეაქცია ზოგჯერ საკუთარი ლექსების მიმართაც ჰქონდა: „ვითომ ესეც ლექსებია, რაღა! ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა (ვახტანგ ჯავახაძე, „უცნობი“).

კიდევ ერთი მინაწერი, რომელიც უშუალოდ მე შემიხება. გრიშაშვილის ენაზე საუბრის დროს ვწერ: ავტორი ლექსებისა „შაშახანისკენ“ და „ტრიოლეტები შუთანბაზარში“ ერთგვარი კოლორიტიზმის იყენებს ყარაჩოღულ მეტყველებას. მომდევნო აბზაცში ნათქვამია, რომ მწერლის ენობრივი პოზიცია დაკავშირებულია მისი შემოქმედების შინაარსთან და მოტანილია მარქსის ციტატა: „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა“. ამ ორი აბზაცის გასაყარზე მიწერილია: „მარქსი და ყარაჩოღული“ (გვ. 143).

ვერაფერს იტყვი: გალაკტიონია! და, როგორც ვთქვი, მისი შენიშვნებიც კი ჩემთვის ძვირფასია.

განსაკუთრებული ყურადღებით წიგნის ბოლო თავი წაუკითხავს: „ი. გრიშაშვილის პოეზიის მხატვრული მხარე“, რომელიც სარჩევში ხაზგასმით გამოუყვია.

ამ თავში ბგერათა კეთილხმოვანებაზე საუბრის დროს ნიშუმად მოტანილია გალაკტიონის პოეზია, მისი რითმები და ალიტერაცია-ასონანსები. დეტალურადაა განხილული „ატმის ყვაკილების“ პირველი სტროფი. სამი სხვადასხვა რითმა, რომლებიც ამ სტროფში მოძრაობს, სამი სხვადასხვა შრიფტითაა აწყობილი. ხაზგასმულ

რითმებზე პოეტს დამატებით კიდევ გაუსვამს ხაზები.

ჩანს, გალაკტიონს განსაკუთრებით პოეტური ხელოვნება აინტერესებდა.

2.


გალაკტიონი ბევრჯერ მინახავს სხვადასხვა თავყრილობაზე და მისი სიტყვაც მომისმენია.

მაშინდელი „იმელის“ დარბაზში რაღაც ღონისძიებაა სიტყვას ამბობს კონსტანტინე გამსახურდია. უცერად ტაშმა იგრიალა. ბატონი კონსტანტინე უხერხულად შეიშმუშნა. ეს ტაში მას არ ეკუთვნოდა. პრეზიდენტში გალაკტიონი შეშვიდა.

მოსხენებაში ვაჟა-ფშაველას ენის შესახებ კანდიდ ჩარკვიანმა გიორგი ლეონიძისა და სიმონ ჩიქოვანის არაბუნებრივი ენობრივი ფორმებიც მოიტანა. როგორც ჩანს, საჭიროდ ჩათვალეს, მათთვის გალაკტიონიც მიემატებინათ და შეცნიერებთა აკადემიის სხდომაზე სერგი ჭილაიამ ახსენა სიტყვა „მეზოვარი“ გალაკტიონის ლექსიდან „ჩემი სიმღერა“: „სამშობლოვ, მარად მსასოვარი, პა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი, პა, ჩემი გულიც, რადგან მეზოვარი ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“.

გალაკტიონი წამოდგა და ამბობს: მე ვარ ავტორი არა ასი ლექსისა, არა ათასი ლექსისა, ათი ათასი ლექსის ავტორი ვარ მე. გამოდის აქ ჭილაია (პაერში თითით მოხაზა) და ერთ რითმაზე დაწერილ ლექსში რითმის ცალს მიწუნებს.

მოიტანა პოეტური ლიცენციის ნიმუშები პუშკინისა და ილია ჭავჭავაძის ლექსებიდან, კერძოდ, ილიას



„ან შენმ გიჟმა რა იცოდა“.

თუმცა გალაკტიონის სტილიდან გამომდინარე, სიტყვა „მეზოვარი“ ამ კონტექსტში შეცვლას არ საჭიროებდა, მაგრამ პოეტმა იგი მაინც შეცვალა და, საერთოდ, ლექსის ახალი ვარიანტი შექმნა.

მწერალთა სასახლეში საუბარი მიმდინარეობს თემაზე: რუსული ლიტერატურული აზროვნების ზეგავლენა ქართულზე (ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი). მეტისმეტი მოუვიდათ, რასაც უარყოფითი რეაქცია მოყვა კარლო კალაძემ ისიც კი თქვა: ცოტა ხანში გვეტყვიან, „მრავალფაშიერს“ თავი დაანებეთ და „ეი უხნებ“ იმღერეთო. მოულოდნელად ტრაპუნაზე გალაკტიონი ავიდა, რაც მისგან უჩვეულო იყო. უბის წიგნაკი ამოიღო,

გოგინძაია გოვს...

ჩახედა და ამბობს: ამას წინათ „იხვეს-ტიაში“ ამოვიკაიხე რომ ერთი რუსი დრამატურგი წერს კომედიას სათაურით „ალაზნის ველი“. — აბა, რა არის, ძამიკო, საკომედო ალაზნის ველზე.

გააგრძელა უკმაყოფილო საუბარი და მოაყოლა გოგოლ-მოგოლი. (მისთვის საღამო უნდა გაემართათ და უარი უთხრეს: გოგოლის იუბილევო). გალაკტიონისგან არავის გაჰკვირვებია, მაგრამ იმავე საღამოს (ალბათ, თვითდაზღვევის მიზნით) ცეკას მდივანთან მისულა მწერალთა კავშირის წარმომადგენელი. სასწრაფოდ დააწერინეს ახსნა-განმარტებანი მწერლებს. ყველამ გალაკტიონს დაადო ხელი, არავის უხსენებია კარლო კლაპის ნათქვამი. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ყველაფერი, რომ ცეკას მდივნისთვის არ ერჩიათ — პირადად გასაუბრებოდა გალაკტიონს და აი, თავის კაბინეტში აკაკი მგელაძე ეუბნება გალაკტიონს: მწერალთა

სხდომაზე თქვენ გითქვამთ „გოგოლ-მოგოლი“.


— არ დაიჯეროთ, ძამიკო. მაგას როგორ ვიტყვი, — ქასუხობს გალაკტიონი, — ეს იგივე იქნებოდა, რომ მეთქვა: აკაკი-ბაკაკი, ანდა, მით უარესი — გალაკტიონი-მალაკტიონი. მგელაძეს თვალები შუბლზე აუვიდა. შეატყო, რომ მის წინაშე ჩვეულებრივი აღამიანი არ იღვა და საუბრის მიმართულება შეცვალა: ხომ არ გჭირდებათ რაიმე, რით დაგეხმართო.

— იუბილე უნდა მომიწონ, ძამიკო, და კოსტუმი არ მაქვს.

კოსტუმის ორდერა გამოუწერეს და პატივით გამოისტუმრეს.

ამ ფაქტის თვითმხილველი არ ვყოფილვარ, მაგრამ ინფორმაცია ზუსტია.

გალაკტიონთან შეხვედრების შედეგად ჩემში მარად აღიბეჭდა დიდი პოეტისა და განუმეორებელი პიროვნების ცოცხალი სახე.



„ჩამავალ მზეს, ჩამავალს...“

კარგად მახსოვს, უემური, ნაგვიანევი გაზაფხული იდგა, უჩვეულოდ გვიან გამოიღო კვირტი. თბილისის ბაღებსა და ახლო-მახლო ეზოებში ერთი ატამიც კი არ ყვარდა. 17 მარტიც ჭინჭყლი და ცრიატი გათენდა. ნაშუადღევს გალაკტიონი სააუადმყოფოს ფანჯრიდან გადაეშვა. ქალაქი გაირინდა, არ მომჩვენებია — მთელი თბილისი ჩურჩულით ლაპარაკობდა.

იმ დღევსვე აღმოვაჩინე, რომ თურმე იგი ყველას თბილისური ყოფის ნაწილად ეგულებოდა, მის უცნაურ არსებობას ისე იყენებ შერეულნი, როგორც ქარის ამოვარდნას და წვიმის მოსვლას, ან მზიანი დილის მშვიდად, აუძღვრეულად დაღამებას. ხშირად ფხიზელიც კი ნასვამი ეგონათ, ხოლო ნასვამს, ნაბიჯარეულსა თუ ხიდის მოაჯირთან გარინდებულს, გვერდს უკლიდნენ, ერიდებოდნენ. ალბათ გრძნობდნენ კიდევ, რომ სხვა იყო და „აქ“ არ იყო!

*

ერთხელ, გაზაფხულზე ჩემი სიყრმის მეგობარმა ზურაბ ცაგარელმა გალაკტიონის 1937 წელს გამოცემული ოთხკუთხა, წითელგარეკანიანი წიგნი მაჩუქა ლექსებს წამსღვარებული კქონდა დროისა და იდეოლოგიის

შესატყვისად გაწყობილი ერთი ცნობილი კრიტიკოსის წინასიტყვაობა — ისეთი წყალწყალა და არაფრისმთქმელი, რომ გული შევიღონდებოდათ. გალაკტიონთან ჩემი მიახლება იმ წიგნით დაიწყო. ამ სახსოვარს დღესაც ჩემს ბიბლიოთეკაში ვინახავ. მაშინ წიგნის თავფურცელზე წამიწერია: „სხვა პოეტისთვის ვერ მიმივნია, ეს წიგნი ერთადერთი წიგნია!“ 1959 წლის მარტის თვეში კი იმავე თავფურცელზე ქინძისთავით მიმიმაგრებია ორი, ერთად გამონასკვეული წერილი ლენტი — წითელი და შავი პრიალა ატლასისა — გალაკტიონის მწერალთა სასახლიდან გამოსვენების წინ რომ დაგვირიგეს ყველას, ვინც გვირგვინებით ხელში უნდა გავყოლოდით მის კუბოს. დღეს ეს სამგლოვიარო ლენტი 44 წლისაა!

*

გალაკტიონის ორჯერ შეეხვედი პირისპირ.

პირველად — მოწაფეობისას, სკოლაში მოვიწვიეთ!

მე-7 კლასელს საღამოს წაყვანა დამავალეს!

ორი ლექსი წაუკვიტებზე: ერთი თავისი, ერთიც (თავხედმა!) ჩემი — მისდამი მიძღვნილი... მთელი საღამო ღიმილი ეფინა სახეზე, ხელები უთრ-

თორა და თავი მაღლა ჰქონდა აღერ-
ილი. შუბლზე რომ მაკოცა, კარგად
მახსოვს, მისი წვერის ლოყაზე მოლა-
მუნებაც, თამბაქოს სურნელიც... არ-
ასოდეს დამავიწყდება!

მეტი ამ საღამოდან არაფერი მაგ-
ონდება. არ ვიცი, მხოლოდ ჩემი მეხ-
სიერება ირჯება ასე, თუ სხვებსაც
იგივე ემართებათ — დიდი
მღელვარების ჩაცხრომის შემდეგ
დეტალები მეკარგება ხოლმე.

მეორე შეხვედრა უფრო მკაფიოდ
დამამახსოვრდა ილია ჭავჭავაძის სა-
ხელობის 23-ე საშუალო სკოლაში
ესწავლობდი. ერთ უბანში მაცხოვ-
რებულ ჩემს კლასელებს ჩვეულება
გექონდა ასეთი — დილით, კიევის
ქუჩის თავში — პურის მაღაზიასთან
ვიკრიბებოდით და ერთად მივიდიო-
დით სკოლაში. იმ დღეს, რატომღაც,
ტრადიცია დაკარგვით და სხვა გზით
წავედი, როგორც ამბობენ, შორი გზა
მოვიარე მარჯანიშვილის მოედანზე
გასულმა მარცხნივ გაეუხეიე და ვი-
დრე პროსპექტს გადავჭრიდი, რიგის
ქუჩით რომ კამოს ქუჩაზე გავსულიყავ,
კუთხეში, აფთაქის შემდეგ რომ მი-
წერალური წლების მაღაზია იყო, იმის
წინ, ადგილზე გაეშემდი — რაღაც
დიდი, ყალყზე შემდგარი ტალღის
მაკვარი ტორტმანებდა, თავისთვის რა-
ღაცას გაურკვეველს ბუბუნებდა, ხე-
ლებს ასავსავებდა, ხანაც შეყვითლე-
ბულ ჭაღარა წვერზე შეივლებდა, ერთ
ადგილას წრიალებდა და დაბნეული
ასფალტს დასწერებოდა. „გალაკტი-
ონი“ — იმწამსვე მითხრა გულმა, მის
შერას გავსდით და ასფალტზე გაბნე-
ული ჰაპიროსის ღერები დავინახე;
„კურორტის“ კოლოფიც იქვე ვგდო,
აღბათ, ხელიდან გაკარგნოდა. იღვა

გალაკტიონი და არ იცოდა, რა ექნა!
მაშინვე მივირბინე, ჩანთა იქვე მიე-
აგდე და ჰაპიროსის ღერების წამო-
კრეფა — კოლოფში ჩალაგება დავიწყე
ამ დროს, სად იყო და სად არა, ერთი
კაცი მოიჭრა და პათეტიკურად დას-
ჭყქა: „ბატონი გალაკტიონი ასფა-
ლტზე ნაყარ ჰაპიროსს როგორ მოწ-
ევს!“ მერე თითქმის სავსე „კურორ-
ტის“ კოლოფი ხელიდან გამომტაცა
და იქვე მდგარ ურნაში ჩაუძახა. ერთი
წამით მოითმინეთ, ბატონო გალაკტი-
ონო, თქვა და გაქრა. გალაკტიონი კი
რაღაც უცნაურად გაღიმებული იდგა;
მერე, ჩემთვის მოულოდნელად, შემო-
ხედა, თავისი დიდი ხელი თავზე და-
მადო და მითხრა: „კარგი გოგო ხარ
შენ! გიყვარს გალაკტიონი?“ ენა ჩამოე-
რდა და ვერაფერი ეუპასუხე. ვერხვის
ფოთოლივით ვთრთოდი და რატომ-
ღაც ფეხსაცმლის ტვინტებს დავცქე-
როდი. ის კი თავზე ხელს მისვამდა
და სადღაც ყველაფრის მიღმა გაიცი-
რებოდა. რამდენიმე წამი ასე გარინ-
დებული ვიდექი მეც და იდგა ისიც!
კვრძნობდი მისი ხელის სითბოს და
ჩემზე ბედნიერი ბავშვი დედამიწის
ზურგზე არსად იყო. ამასობაში ტყვი-
ასვით გავარდნილი კაციც მობრუნდა
და რამდენიმე კოლოფი „კურორტნი“
მოიტანა. გალაკტიონმა მოუხედა, გა-
ულიმა და ჩამოსართმევად ხელი გაუ-
წოდა. როგორც კი „გავთავისუფლ-
დი“, ჩანთას ვეცი და ფრთაშესხმული
სკოლისკენ გაეფრინდი. რაღა თქმა
უნდა, პირველ გაკვეთილზე დამაგვი-
ანდა, მომდევნო, ფიზკულტურის გაკ-
ვეთილი კი ჩავშალე — მთელი კლა-
სის გასაგონად ხომ უნდა მეთქვა, რომ
გალაკტიონი მომეფერა! სიზმარს
ჰგავდა, რაც იმ დილით შეშემთხვა.



სამგლოვიარო მიტინგი მთანშინდაზე. ტრიბუნაზე: გიორგი ლეონიძე, გიორგი ჯიბლაძე, კონსტანტინე გამსახურდია... ქვემოთ, ტრიბუნის კუთხეში — იზა ორჯონიკიძე

შემძლო მეყიდა ია, მიხაკი, ნარცისებიც, მაგრამ მინდოდა რაღაც განსხვავებული მიმერთომია მისთვის! თუნდაც მისი საყვარელი ატმის ყვავილები! ჩუღურეთის ერთ პატარა ჩიხში სახლი მეგულებოდა ეზოიანი და ხეხილით განთქმული. იქ, ყოველ გაზაფხულზე ნუში და ატამი ყვაოდა ხოლმე. ავაღირე თავი და წავედი, თან მეზობელი, ჩემი ტოლი გოგონაც გავიყოლე. ჩემს სიყმაწვილეში ჭიშკრები არ იკეტებოდა. შვეაღე მხოლოდ ნუში ყვავილობდა. იქვე, ეზოში, კედელზე კიბე მიეყუდებინათ. არც ვაციე და

არც ვაცხელე, მივაღვი ეს კიბე აყვავებულ ნუშს და ზედ ავძვეერი. ის იყო პირველი ტოტი შევამტვრიე, რომ სახლის კარი გაიღო და შუახნის კაცი გამოვიდა, ამომხედა და გაცოცხლებამკითხა: „რას შერეები, შვილო? რად ამტვრევ ტოტებს?“ სიკედლილი ვინატრე, ისე შეპრცხევა. ეტყობა, ჩვენს მასპინძელს შეეშინდა, ემანდ შემცბარი ძირს არ ჩამოვარდესო, ორივე ხელით კიბე დამიჭირა და დამიყვავა: „მითხარი, აქ რამ მოგიყვანა, რად გინდა ეგ ტოტები?“ მე უცებ ავტირდი და ძლივს ამოთქვი, რომ გარდაიცვალა გალაკტიონი და... „ჩამოდი შენ ძირს!“

ის კაცი თავად აობობდა კიბეზე, ნუშს ტოტი ტოტზე შეატეხა, უზარმაზარი თაიგულივით შეგვიყრა და გამოვვატანა. თეთრად გაპენტლილი ნუშის ტოტების ის დიდი თაიგული, თუ ვინმეს ასსოვს, თავითთ ედგა მწერალთა სასახლეში დასვენებულ გალაკტიონს.

*

იმხანად თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მორე კურსის სტუდენტი ვიყავი. ჯგუფში ფული ავაგროვეთ და გვირგვინი შევუკვეთეთ, მაგრამ სამგლოვიარო ლენტისთვის ფული აღარ გვეყო. საახალწლოდ მამამ შავი „კრესატინის“ საკაბე მანუქა, ის დაჭერი, სამგლოვიარო ლენტზე მამამ ოქროსფრად წაგვიწერა: „გალაკტიონს — აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტებისაგან“.

*

დაკრძალეს თუ არა შალვა დადანი, მწერალთა სასახლეში მაშინვე დაასვენეს გალაკტიონი. აფეთქებული ნუშის ტოტები რომ მივეუტანე, უცნაურია, მაგრამ დარბაზში იმ წუთას არაფერი იყო. მივეუახლოვდი, თვალში მეცა როგორღაც უხერხულად ერთმანეთს გადაჭდობილი მისი დიდი ხელები. გულით მიწოდდა მივსულიყავ, ხელები დაშეკონცა, მაგრამ ვერ გავბედე. ძალიან ვნანობ, დღესაც ვნანობ, ჩემს მაშინდელ შებოროცილობას, მაგრამ ეს სინანულიც ძვირფასია ჩემთვის...

გალაკტიონის დაკრძალვის დღე ქარიანიც იყო და მზიანიც. ამდენი

ხალხი არავის დაკრძალვაზე მინახავს. გვირგვინები და მისი ორდენები სტუდენტობას მოგვექონდა, ალბათ ამიტომაც იყო, რომ მთაწმინდაზე ასვლა, გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოვახერხეთ. მისი კუბო ახალგაზრდა კაცებმა სამარკმლე ხელით აიტანეს. ახალგაზრდა კრიტიკოსს — ნოდარ ჩხეიძესა და მის მეგობრებს დიდხანს სტკიოდათ ის მხარი, რომელიც გალაკტიონის კუბოს შეუდგეს. ძალიან მძიმე იყო უსულო გალაკტიონიო, — მითხრა ნოდარმა!

ერთი სახსოვარიც მაქვს იმ დღისა — ახალგადახრილი სამარის პირას დასვენებულ მის კუბოსთან გადაღებული სურათი! არ ვიცი, ვინ გადაიღო ეს ფოტო, პირველად გალაკტიონის დაკრძალვის შემდეგ გამოსულ „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდილი ვნახე, მისი დედანი კი მოგვიანებით — 1968 წელს — „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის თანამშრომლებმა მანუქეს.

უსაზღვროდ მადლობელი ვარ მათ!

*

1976 წლის 3 ნოემბერს საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორობა დამეკისრა. საზოგადოებამ იცის, რომ მუზეუმის ძირითადი საქმე მწერალთა არქივების, მათივე მემორიალური ნივთების, ბიბლიოთეკებისა და მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული სხვა მასალების შექმნა, მოვლა და დაცვა გახლავთ. მუზეუმში მისვლის შემდეგ ოციოდე დღეც არ იყო გასული, რომ თამაზ ჩხენკელი მეწვია და მითხრა,

შაქრო გორგაძე კარგახანია გარდაიცვალა, გალაკტიონის ნილაბი მის ოჯახში ინახება და აუცილებელია, ეს ძვირფასი რელიკვია მოვიპოვოთ და საზოგადოების კუთვნილებად ვაქციოთო (სხვათა შორის, ასეც უწერია თავის მოგონებაში „გალაკტიონის ნილაბი“ — თ. ჩხენკელი, „პოეზია სიბრძნის დარგი“, 1978 წ., გვ. 223). რამდენიმე დღის შემდეგ აღშფოთებული ჯუმბერ თითმერიაც მოვიდა, მწერალთა კავშირმა ნილაბის შექმნაზე უარი განაცხადა, იქნებ მუზეუმმა შეიძინოსო. თავად ჯუმბერს მწერლებში ფულის შეგროვებაც კი დაეწყო — მე შეეპირდი, ნულარ გაირჯები, გალაკტიონის ნილაბს აუცილებლად შევიძინებ და მუზეუმში დავაბინავებო მე თქი.

1976 წლის ნოემბრის დასაწყისში მე და თამაზ ჩხენკელი შაქრო გორგაძის ოჯახს ვეწვიეთ, აკადემიის ეზოში — სარდაფის სართულში ცხოვრობდნენ. ზემოთ ითქვა, რომ ბნი შაქრო უკვე გარდაცვლილი იყო. მისმა ვაჟმა ირაკლი გორგაძემ დედანი არ გამოგვატანა, სამი ასლი კი მოგვცა (იმათგან საუკეთესო — ტონირებული პირველი ასლი 800 მანეთად მუზეუმმა შეიძინა იმავე წლის 19 ნოემბერს, ორი დანარჩენი — მე და თამაზს გვისახსიორა). ვიცოდი, მურმან ლუბანიძე გიჟდებოდა, ისე უნდოდა გალაკტიონის ნილაბი. თამაზმა მითხრა — მე არ მინდა, მურმანს აჩუქეო. ასეც მოვიქეცი და ძალიანაც გავახარე მურმანი!

1997 წლის გაზაფხულზე პრესაში და ტელევიზიაშიც გამოჩნდა ცნობა, რომ გალაკტიონის ნილაბი ნაპოვნია (!) და იგი მოქანდაკე თენგიზ კიკალ-

შვილმა უსასყიდლოდ გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გალაკტიონის კაბინეტს. ამ ცნობას 1997 წლის 17-24 თებერვლის „მატენში“ გამოვეხმაურე და ვთქვი, რომ ნილაბი არ დაკარგულა, ბატონ თენგიზს კი შეხვედრა ვისიოვე, მინდოდა გამეგო, ცოცხალია თუ არა ირაკლი გორგაძე და რა ბედი ეწია გალაკტიონის ნილაბის სააკტორო ცალს! ბატონმა თენგიზმა ასლი აჩუქა გალაკტიონის კაბინეტს, თუ ის პირი, რომელსაც 1976 წელს ვერ შევლია ირაკლი გორგაძე? ვიმეორებ, გალაკტიონის ის ნილაბი, რომელიც დღეს ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ინახება, 1959 წლის მარტში გალაკტიონის დაკრძალვის დღეს შაქრო გორგაძის მიერ აღებული ნილაბის პირველი ასლი გახლავთ. სად არის შაქრო გორგაძის თავი ნამუშევარი, უნივერსიტეტში თუ ისევ გორგაძეების ოჯახში?

იქნებ ბატონმა თენგიზმა ამაჯურაღ მაინც არ დაგვტოვოს უპასუხოდ!

*


„გალაკტიონოლოგიის“ პირველ წიგნში მკითხველს ცნობილი ლექსის „ქარი დაცხრა სიბოხოქრის“ პოეტისეული ხელნაწერით დადასტურებული ტექსტი შეეთავაზე. ბატონმა თენგიზ მირზაშვილმა, ანუ „ჩუბჩიკაშ“ ისე დამახვია თავბრუ, იმდენს მეკამათა „ნარვალ“ სჯობს „წარვალს“-ო, რომ ერთი მნიშვნელოვანი ტექსტოლოგიური ლაფსუსის (თუ დედნის ტექსტის ამომკითხველთა კოლუნტარიზმის შედეგად დაკარგებული უზუსტობის) აღნიშვნა სულაც გულის გადამკარდა არადა, ამ უზუსტობის გასწო-

მოგინდათ აოჯი...

რება აუცილებელია! ეროხელ კიდეუ ჩახელოთ გალაკტიონის ამ შედეგრის დედანს. ყურადღებით დავაკვირდეთ მესამე სტროფის პირველ სტრიქონს. გალაკტიონს უწერია:

ლნოც“ ტექსტოლოგების თვითშემოქმედებაა!

ამ ლექსის მესამე სტროფი, დედნის თანახმად, ასე უნდა წაიკითხოთ:




„ო, ფიქრებო, მსვენო ტაძრად“
(დახედეთ დედანს!)

საიდან გაჩნდა „მსვენო“-ს მაგიერად „მსვლელნო“?! შეიძლება მწერალს ერთი ასო გამოორჩეს, ან სიტყვის ბოლოს დააკლდეს, მაგრამ („მსვენო“ — დასვენებულო, დავანებულო) ყოველად წარმოდგენელია, რომ მან დაუდევრად გამოტოვოს ფუძისეული რამდენიმე ასო-ნიშანი! ეს „მსვლე-

ო, ფიქრებო, მსვენო ტაძრად,
ო, ქცეულნო მტერად და ნაცრად,
რად მიყვებით ასე მკაცრად
ჩამაველ მზეს, ჩამაველს.

იმედი მაქვს, გალაკტიონის მომავალი გამომცემელი გაითვალისწინებენ ამ მნიშვნელოვან ცვლილებებს და დედანს უყოყმანოდ უერთგულებენ!



მოგონებები დიდ პოეტზე

გალაკტიონ ტაბიძე — ეს სახელი ჩემთვის სულ ადრინდელი ბავშვობიდან განასახიერებდა ცოცხალ პოეტთა შორის უპირველესს, რაც შთაგონებული იყო მამაჩემის — ბესო ჟღენტის ურყევი დამოკიდებულებით მის მიმართ. ამ დამოკიდებულებას, ვფიქრობ, თვით პოეტიც გრძნობდა, რაც გამოხატა წარწერაში, მისი ლექსების ერთტომეულს რომ ახლავს: „ბესარიონ ჟღენტს — მეზნებარე პატრიოტს ამ წიგნისას — გალაკტიონ ტაბიძე“.

მე-4 კლასის მოსწავლე ვიყავი, პიონერთა სასახლის მხატვრული კითხვის წრეზე დავდიოდი. ჩემი მასწავლებელი იყო შენანიშნავი მსახიობი და პიროვნება ბატონი ნოდარ ჩხეიძე, პოეტ გიორგი ქუჩიშვილის ვაჟი. ჩვენს წრეში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გალაკტიონის პოეზიას, ბავშვებიც გატაცებით ესწავლობდით და კეთილხელობდით მის ლექსებს.

მე-7 კლასში ვიყავი. მაშინდელი პლენაროვის გამზირზე მდებარე არტოს ბაღში უნდა გამართულიყო შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან. ჩენი სკოლიდან (მაშინდელი 1 ქალთა, ამჟამად 47-ე საშ. სკოლა) წარგვადგინეს ორი მოსწავლე — ირმა ჩხეიძე (შემდგომში ჯანსუღ ჩარკვიანის მეუღლე) და მე. პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ირმა სკოლაში გამართული დილა-საღამოების უცვლელი მონაწილე იყო. იმ შეხვედრაზეც

საკუთარი ლექსით მიმართა დიდ პოეტს. მე სიტყვა წარმოეთქვი, რომელშიც ჩაეკასოვე მთელი ჩემი სიყვარული და აღფრთოვანება გალაკტიონის პოეზიით. სიტყვის დამთავრებისთანავე პოეტმა მთხოვა ჩემი გამოხედვის ტექსტი. მე დაჰპირდი, რომ გადათვრებისთანავე მივართმევდი. შემდეგ სულ მეუხერხულებოდა ჩემი ნაწერის პოეტისთვის გადაცემა, ის კი ყოველი შეხვედრისას მსაყვედურობდა, რატომ არ მოგაქვს ჩემთან შენი სიტყვაო.

1953 წლის 14 იანვარი იყო. ამ დღეს ყოველთვის აღინიშნებოდა ჩემი დღეობა — ნინოობა. შეიკრიბნენ სტუმრები — ჩემი ნათლია იოსებ გრინშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ლევან ასათიანი, ანდროა ბალანჩივაძე მეუღლეებით. გაისმა ტელეფონის ზარი, რეკავდა გალაკტიონი...

წინა დღეებში ბესო ჟღენტს გამოუქვეყნებია სტატია, რომელიც დაახლოებით ასეთი ხასიათის უნდა ყოფილიყო — „ელ. მაიაკოვსკი და ქართული საბჭოთა პოეზია“. თანამედროვე ქართველ პოეტებზე მაიაკოვსკის გაელენის შესახებ მსჯელობისას აქ პირველ რიგში, მოხსენიებული იქნებოდა გ. ტაბიძე.

გალაკტიონს, როგორც ჩანს, დიდად არ ესიამოვნა და გადაწყვიტა თავისი გულისწყრომა გამოეთქვა ბესოსთვის ტელეფონით მამას მასთან საუბარი გაუგრძელდა, ამ დროს თამადა იყო და

სტუდენტები აღუდგნენ უთხრეს, ჩვენ რიგ-რიგობით გაავარძელეს შუქის მაგივრად ვალაკტიონთან საუბარს, შენ კი სუფრას დაუბრუნდი. ასეც მოხდა. მახსოვს, სიზინ ჩიქოვანმა უთხრა — „ვინ რიღში“ ხომ გეკონდა მიაკოვსკის გავლენა. ვალაკტიონი ნაბახუსევით იყო და დარწმუნებული იქნებოდა, რომ კვლავაც ბესოს ესაუბრებოდა. ბილოს მივიდა ანდრია ბალანჩიკაძე და დაუსწოლად არა ერთ რუსულად გაიხსენა მათი ვაბუკობისდროინდელი ამბები, რაც ერთად ცხოვრობდნენ მწერალთა სახლის სხვენში, სასაჯლო ეპიზოდები ახსენა და უთხრა — ახლა ბესოსთან კვირფობთ და შუქს შემოგვიკეთებთ. ამით დასრულდა საუბარი ვალაკტიონთან.

ვალაკტიონს ბესო უღენტი გულწრფელად უყვარდა, ალერსით ბესიას უძახდა. ხშირად სთხოვდა, გაკყოლოდა შეხვედრებზე. ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც უთუოდ ახალგაზრდა ლიტერატორებმა მოუწვევეს, პოეტმა ასე მიმართა აუდიტორიას:

— თქვენ ბედნიერი თაობა ხართ. ჩვენს ცხოვრებას დიდი სევდა ახლდა, დიდი გულსტკივილი, ტრაგიკული მოვლენების შუაგულში ვტრიალებდით. თქვენ ეს არ გემუქრებათ. თქვენ არ დაწერთ არც „მე და ლამეს“, არც „მესაფლავეს“, არც „მთავმინდის მთვარეს“ — შემდეგ მოუტრიალდა ბესოს და უთხრა: „ძამბა ბესო, კარგი პოეტები კი იქნებიან, არა? ღმერთი მაგათ უშველის!“

ბერს აღიზიანებდა, რომ პოეტი თავის ლექსებს აწერდა მხოლოდ სახელს — ვალაკტიონი. ერთხელ დაუბარებიათ მწერალთა კავშირში და უთქვამთ, არ მოსწონთ, რომ მხოლოდ სახელს აწერო. „როგორ, ჩემი სახელი

არ მოგწონთ? ასე დაძარქვა დედა და ახლა სახელი გადავიკეთო!“ — უთქვამს პოეტს. ამხე უკასუხებს ეს არ მოსწონთ უფროს ამხანაგებსო (აქ უთუოდ, იგულისხმებდნენ კ. ჩარკიანი, პ. შარია და სხვ.). ვალაკტიონს სიცილ-ხარხარით უთქვამს: „ხა, ხა, ხა, უფროსი ამხანაგები რომ შემხედებოდნენ, ვერ მომესალმებოდნენ — გამარჯობა, ვალაკტიონ! შემდეგ მეტყვოდნენ, ყოჩაღ, ვალაკტიონ, რა მშვენიერი ლექსი დაგიწერია, როგორ გვასიამოვნე არასდროს დაუსწებიათ ჩემი სახელი“.

— ვინ იყვნენ ეს უფროსი ამხანაგები? — ჰკითხეს

— აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა! სხვა უფროსი ამხანაგები მე არ მყოლია და არც მეყოლება, სხვა ყველანი ჩემი უმცროსი ამხანაგები არიან, — იყო პოეტის პასუხი.

ვალაკტიონოლოგიის, როგორც ფილოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დარგის, ჩამოყალიბების იდეა თვით ვალაკტიონს ეკუთვნის. ცხადად მახსოვს, რომ მწერალთა კავშირში სერგი ჭილაიასთან, ბესო ულენტთან საუბარში ვალაკტიონმა თქვა: „უნდა შეიქმნას „ვალაკტიონოლოგია“. კიდევ ჩამოუყალიბებია თავისი გეგმა. როგორ უნდა წარმართულიყო ეს მუშაობა. მან შესანიშნავად იცოდა თავისი ფასი და მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის, საერთოდ, ქართული კულტურისთვის. აკი დაუფარავად აცხადებდა:

როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია ვალაკტიონი.

ან:



სამგლოვიარო პროცესია

ჩემთვის დღესათვის არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.

ერთი ეპიზოდი მინდა გაგიხსენო გალაკტიონთან დაკავშირებით. მარქსიზმ ლენინიზმის ინსტიტუტში (ეწ. „იძქმ“) მოეწყო გრიგოლ აბაშიძის რომანის „ლაშარელას“ განხილვა სიტყვა მისცეს კონსტანტინე გამსახურდიას. დარბაზი მას მქუხარე ტაშით შესკდა. ბ-ნმა კონსტანტინემ დაიწყო თავისი სიტყვა. ამ დროს პრეზიდენტმა შემოვიდა გალაკტიონი. ოცადამ ახალი ძალით იქუხა. ბატონი კონსტანტინე გალაკტიონს ვერ ხედავდა და კვლავ თავს უხრიდა აუდიტორიას. ეს იყო ერთდროულად ორი ტიტანის წარდგომა ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე. ბატონმა კონსტანტინემ გალაკტიონისადმი მიძღვნილ საღამოზე, რომელიც გაიმართა

პოეტის გარდაცვალების შემდეგ, ასეთი რამ გაიხსენა ერთ ღამეს გალაკტიონმა დამირეკა და მოიხრა. ამ საუკუნეს მარტო მე და შენ კვყოფილი-თი.

მახსენდება ჩემი ბილი შემხვედრები ბატონ გალაკტიონთან მოსკოვში, 1958 წელს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში. დიდი სურვილი მქონდა უმუალოდ მეხილა, როგორ მიგვიღებდა მოსკოვი. მაშამ ეს სურვილი ამისრულა და წამიყვანა. მწერლების უმეტესობა სასტუმრო „МОСКВА“-ში ცხოვრობდა. გალაკტიონი და ჩვენ ერთ სართულზე მოუხედით, ამიტომაც ხშირად ვხვდებოდი პოეტს.

არ ვეთანხმები ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს, თითქოს გალაკტიონი დეკადაზე დაჩაგრული იყო. თითქოს გარაყუღად გრძნობდა თავს. პირიქით, ქართული პოეზიის

გოგონებათა გოგონს...

სალამოზე სვეტებიან დარბაზში პირველი გალაკტიონი გამოვიდა, წაიკითხა თავისი ლექსი ქართულად. შემდეგ რუსი პოეტები გამოდიოდნენ ქართული პოეზიის თავიანთი თარგმანებით. გაზეთები მოფენილი იყო გალაკტიონ ტაბიძის ლექსებით, მოსკოვის გამოცემლობები ხელშეკრულებებს უდებდნენ წიგნების გამოცემაზე. სწორედ ასეთი სასიხარულო ამბის გამოხატველია მისი ჩანაწერი დღიურში, სადაც ჩემი სახელიც აღმოჩნდა:


„ალტალებით სავსე ვბრუნდები სასტუმროში, მაშასადამე ერთი კვირა კიდევ, სასტუმროს კარებთან მხედება ბესო ჟღერის ქალიშვილი — ძალზე კულტურული ბავში (ასეა ტექსტში — ნ.კ.), გულითადად მესალმება...“ (ტ. XII, გვ. 468).

დიდად მეამაყება, რომ გენიოსმა პოეტმა ასეთი სიტყვები გაიმეტა ჩემ მიმართ და დამჩნა მასთან გადაღებული ფოტოსურათი მოსკოვის ლიტერატორთა სახლში.

ბოლო იუბილეზე, რომელიც გალაკტიონის სიცოცხლეში ჩატარდა 1958

წელს, მომხსენებელი იყო ბესარიონ ჟღერისტი. მოხდა ისე, რომ სალამოს დამთავრების შემდეგ მას პარტოდ მდგომს წავაწყდით ქუჩაში — მამა, ეთერი გუგუშვილი, ჩემი ძმა და მე. გარს შემოგვხვით დიდ იუბილარს და სახლამდე მივაცილეთ.

ბოლოს, პოეტის ტრაგიკული გარდაცვალება! მახსოვს, შალვა დადიანი ჯერ დაკრძალული არ იყო, რომ მოხდა ეს შემზარავი ტრაგედია. ზედმეტია იმის აღწერა, თუ რა განცდები დაეუფლა ყველას. უსაზღვროდ მომინდა ბოლომდე გამეცილებინა პოეტი. ხალხმრავლობის შიში დამჩემდა, რადგან ნატო ვანძაძის დასაფლავებაზე კინალამ მიმაჭყლიტეს დიდუბის პანთეონის კედელზე. გადაწყვიტე, ხელში დამეჭირა პოეტის ორდენი ამ შემთხვევაში მილიციის თანხლებით ვივლიდით და არაფერი დაგვემუქრებოდა ასეც მოხდა. დიდად ეუმაღლი ცნობილ ჟურნალისტს გივი შევილაქეს, რომელმაც ფოტოზე დააფიქსირა ჩემი მონაწილეობა ამ დიდ პროცესიაში.



მისი პოეზიით მთვრალეები

ეს იყო 1952 წლის ზაფხულში.

მე და ჩემი ბავშვობის მეგობარი სპარტაკ მხეიძე მისაღებ გამოცდებს ვაბარებდით, მე კონსერვატორიაში, ის — უნივერსიტეტში.

პუშკინის ქუჩაზე რესტორან „სიმპათიაში“ შევედით და ღარბაზის ბოლოს ერთ თავისუფალ მაგიდას მივუსხედით. გვერდით მაგიდასთან გალაკტიონი იჯდა კენტ თანამეინახესთან ერთად.

კერძი მოგვიტანეს, მაგრამ ვსხედვართ და შევეცქერით ჩვენგან ორ მეტრში მაგიდასთან მჯდომ გენიოსს. ვერც ვკამთ, ვერც ვსვამთ, ვართ ასე, მონუსხულები.

ეს, რა თქმა უნდა, შენიშნა გალაკტიონმა და მოგვემართა, გადმოდით, ახალგაზრდებო, ჩვენთანო. გადავიტანეთ მათ მაგიდაზე ჩვენი პურ-ღვინო და სუფრაც წელში გაიმართა.

თამადა გალაკტიონია. იტყვის თუ არა სადღეგრძელოს, სპარტაკი შესაფერის ლექსს შეაგებებს მისივე პოეზიიდან. ლექსს ლექსი მოსდევს.

— საიდან იცი, ახალგაზრდავ, ეს ლექსები? — გაიკვირვა გალაკტიონმა, — ესენი მეც აღარ მახსოვს.

სპარტაკმა დაიმორცხვა.

— რა გვარი ხარ, ახალგაზრდავ?

— მხეიძე გახლავართ, ბატონო გალაკტიონ.

— სადაური ხარ?

— ქუთაისელი.

— დავით მხეიძეს თუ იცნობ?

— დავითი მამაა ჩემი.

და აქ მოხდა საოცრება. გალაკტიონი მოიცრემლა, „ჩემი დათიკოს შვილი ხარ შენ?“ და მკერდში ჩაიკრა სპარტაკი. ცრემლების მოსაწმენდად ცხვირსახოცს ეძებს, მაგრამ ამაოდ. ჯიბიდან ეიღებ ჩემს ცხვირსახოცს და მოწინებით ეუწვლი. მოიწმინდა ცრემლი და ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიღო. იმ წუთებში ქვეყნად ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა.

— შენ პატარაობისას ლექსებს წერდი. ვეთხარი რამე? — გალაკტიონის ამ სიტყვებზე სპარტაკი არ დიბნა:

— თავს დასტრიალებს ფარვანა სანთელს,
არ დათმობს, ვიდრე არ დაიწვება,
ასე სჩვევია ოდითგან ქართველს
სამშობლოსადმი თავდავიწყება...

პოეზიისათვის...



იაკობ ბობოხიძე. „ვერხვები“

ლექსი ასე მთავრდებოდა:

მესაფლავენი როდი იშლიან,
ცოდვის მორევში ლაღად ცურავენ,
ლეიბად მიწას რომ გაგიშლიან,
საზნადაც მიწას დაგახურავენ.

ლექსმა მოწონება დაიმსახურა. სუფრა ლამაზად დასრულდა და ლამაზადაც წამოვდექით ფეხზე. რესტორნიდან გამოსულებმა გავაჩერეთ „აბედია“. გალაკტიონი მარჯანიშვილის ოეატრთან ახლოს, სახლში მივიყვანეთ, ბინის კარებამდე ავაცილო, ჩვენ კი დილაზე ვხეტიალობდით თბილისის ქუჩებში, მისი პოეზიით მთვრალები.

სპარტაკ მხეიძის პირადი წერილიდან:

ეს დღე — 52 წლის 8 თებერვალი — არასოდეს დამავიწყდება დავილოცე და დამლოცა ჩვენმა უსაყვალესმა გალაკტიონმა როგორ შევხვდი, რად ავედენე — ეს ყოველივე ისე უშუალო, ბუნებრივია, რომ ვეღარც კი გამოვთქვამ. გალაკტიონმა სიყვარულით მოიგონა მაძაჩები: „ქვირფასი ქართველია, ძამიკო“. შემდეგ, როცა მისი მშობლების, თავად მისი სადღეგრძელო შევსვით მე, იაშაი და გიორგი ლეჟავამ (რედაქციაში მუშაობს, „პოეტია“), - მიძღვნილი ლექსები და ის ადგილები ვუთხარი, რომელშიც გალაკტიონს ვახსენებ. „გალაკტიონის არია“ ძალიან მოეწონა: როგორც კი პირველი ტაეტი ვთქვი, მაშინვე გამაწყვეტინა: „საკმარისია, მეტი არ გინდაო“. სულ ოთხი ლექსი ვუთხარი: „ბედურა“, „გალაკტიონის არია“. „ბუნების განცდა“,



ღივი მუხრანის სიყმაღათი, იშუაობა
ახსენებდნენ გარდასტოვების,
კაცობისა და მსხვერპლ ნაწი - იმ, ა. მ.
მხარეს ზენი აქვით ვადა-სკოლა-
მას. ზენი მსხვერპლს მსხვერპლ
ღივი მუხრანის - დ. ე. მხარეს.

ქვემოთ ქვემოთ
(საქართველოს სსრ-ის მუხრანის რაიონი)


1942 წ. 6
27 იანვარი
სსრ-ის

დავით მხეიძის ფოტო

„სკოლა“ „მეგობარს“ საძვერ გამამკორებინა:

მესაფლავენი როდი იშლიან,
ცოდვის მორევი ლაღად ცურავენ...

„არ ჩაკოვალთ ახლა ეგ კაცი პოეტებში?“ „კაცი თუ გაპოეტდა უტოე
მერე“ — აი, გალაკტიონის სიტყვები აკროსტიხიც მოიგონა მამანების და
ჩემი, „ორი მბა აწერდა ხელსო“ მთელი ორი საათი ვისაუბრეთ. შემდეგ
გალაკტიონი სახლში მივიყვანეთ...



მანანა ახმეტელი

ვით სამრეკლო...

გალაკტიონი! ეს სახელი ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში შემოიჭრა და მკეპთარადაც აღიბეჭდა ჩემს ცნობიერებაში. ამის მიზეზი უბრალოა — მარჯანიშვილის თეატრის უკან, გალაკტიონის შეზობლად ეცხოვრობდით. ჩვენი ეზო უშუალოდ ერთიოდა მწერლების სახლის ეზოს. სწორედ ამ სახლში ბინდრობდა გალაკტიონი. თათქმის ყოველდღიურად ვსარგებლობდით თბილისური ეზოების ამ „ამჟილადით“, რომელიც საგრძნობლად ამოკლებდა ჩვენი სახლიდან მარჯანიშვილის ხიდაძლე გასაუღელ მანძილს. ამიტომაც ხშირად ეხედავდი, ხშირად ეხედებოდი გალაკტიონს. ეს შეხედრები წლების მანძილზე გრძელდებოდა.

პირველად ეს სახელი სულ პატარას დედამ, ქეთევან ჩუბინიშვილმა — კომპოზიტორ გიორგი ჩუბინიშვილის ქალიშვილმა, ჩამწერწულა ყურში: „შეხედე! გალაკტიონ ტაბიძე მოდის!“ გალაკტიონის გამოჩენას ყოველთვის ისე შატყობინებდა, როგორც რაღაც დიდ. არაჩვეულებროვ ამბავს. მის სახელს მუდამ მოწინებოთ. იღუპალი და მრავლისმთქმელი ინტონაციით წარმოთქვამდა.

ესოდენ ამაღლებული და შთაბეჭდავი დამოკიდებულების ზემოქმედებით გალაკტიონის დანახვისთანავე მეც უცნაური შეკრანებები მუყფლებოდა — ძაფორიაქებდა ეს მოულოდნელი

შეხედრები. ჩემს გაუთყუთცნობიერებელ მღელვარებას თუად გალაკტიონის არაორდინარული გარეგნობაც, მისი მონუმენტური და საიცრად პლასტიკური, მხრებგაშლილი და წვერმოშვებული სილუეტიც ამძაყრებდა. მოარულ ქანდაკებას ჰგავდა.

რუს სამოსში ჩაცმული ეს წარმოსადგევი და ბრგე. განდგომილი, მოუგლეღი და ჩაფიქრებელი კაცი სულ მარტოდმარტო დააბიჯებდა. ვერაყის ხედავდა, ვერაყერს ამწწვდა. ნუტა რას გრძნობდა, რას ფიქრობდა, რას განიცდიდა? პასუხი გეიან ამოუკითხე:

„სწუხს ჩემი სული — ვით სამრეკლო ცის უდაბნოში“.


ახლაც თვალწინ მიდგას ელბაქიძის დაღმართზე ჩაშობავალი გალაკტიონი. ვინ იცის, საით იყო მიჰყრობილი მისი მეტყველი მხერა — შორსგარტყორცნილი, შემცბარი. დაშცინაყი, დაძაბული, დაჟინებული... ეს ანოებული თვალეები არასოდეს დამაუწყებდა...

ის მიდიოდა ქუჩაში ერთი,
თან მიჰყვებოდა წვიმა და ქარი,
მისთვის იმ წამში არ იყო
ღმერთი,
მისთვის არ იყო ქრისტე და
ჯვარი.

ასეთთა ჩემო ბავშვობის გალაკტიონი!

რეზო ლალიძესთან პრაქტიკულიანი, მჭიდრო შეგობრობა მაკაეშირებდა. ჩემს ოვალწინ იბადებოდა მისი ქმნი-

ლაზე საყვარელი პოეტის წიგნი ყველაზე საყვარელ ადამიანს — თინას! რეზო. 1955 წელი. 28 ოქტომბერი. ასეთი აღმატებული დამოკიდე-



ლებები, იმთავითვე რომ შევიდნენ ქართული ხალხის სულიერი ცხოვრების საგანძურში.

რეზო კარგად იცნობდა ქართულ პოეზიას. იცოდა ძარღვიანი პოეტური სიტყვის ფასი. ხალხური პოეზიის მოტრფიალაც იყო. ლექსის ძებნის დროს გადაშლილი ჰქონდა აკაკის, ვაჟას, გოგლა ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, შურმან ლებანიძის კრებულები.

გალაკტიონს აღმერთებდა. ქორწინების დღეს თავის მშვენიერ მეუღლეს გალაკტიონის ლექსების კრებული მიართვა ასეთი წარწერით: „ყვე-

ბულების მიუხედავად, კომპოზიტორი თავს არიდებდა ამ ყველაზე საყვარელი პოეტის შემოქმედებას. არა ერთხელ უთქვამს ზაზგასშით — გალაკტიონის ამღერება შეუძლებელია, ხელს ვერ მოეკიდებ, მისი ლექსების მუსიკას ვერ დაუარღვევო.

მეც ვიზიარებ ამ შეხედულებას და ვთვლი, რომ გალაკტიონის ლექსების უძლიდრესი ინტონაციური სამყარო არ ექვემდებარება ვოკალური მეტყველების დიქტატს.

გალაკტიონი თავად აზროვნებს მუსიკალური ხელოვნების მაღალი კატეგორიებით.

მოგონებაა ჩოვილ...

მისი პოეზიის სული. ეფემერული სახეებისა და განწყობილებების იდუმალება, ტემბრული პალიტრის ფერადონება სხვა ხელოვნების ენაზე ვერ ითარგმნება.

გალაკტიონი ვერ იტანს გადააზრებას, ინტერპრეტაციას, ადაქტაციას.

როცა ამას ვაძიებ, მხედველობაში მაქვს მისი შემოქმედების მწვერვალები, შედეგები.

როგორც ჩანს, რეზოც ამას გულისხმობდა. როდესაც გალაკტიონის პოეზიის ხელშეუხებლობაზე ლაპარაკობდა. ასეთ გადაწყვეტილებას ამ უნიჭიერეს კომპოზიტორს უტყუარი შემოქმედებითი ინტუიცია კარნახობდა.

მიუხედავად ამისა, ერთ დღეს, ოპერაზე „ლელა“ მუშაობის დროს, მაინც შევახსენე გალაკტიონის ის შედეგები, რომელიც ამ ლირიკულ-პატრიოტული ოპერის იდეას ეხმებოდა,


მის სულისკვეთებას გამოხატავს — ეს იყო „შხეო თიბათვისა“.

რეზო აღფრთოვანდა. შიგნით თვისი ოპერის ხატს, რამაც ერთბაშად აღაგზნო, აანთო, ააფორიაქა კომპოზიტორი.

გაეიდა რამდენიმე დღე და გამანდო თვისი გადაწყვეტილება — ამ ლექსს შეეიტან ოპერაში, ოღონდ გურამ სალარაძე წაიკითავს, ჩანაწერს გამოვიყენებო. ასეც მოიქცა.

წლების მანძილზე ეს ღვთაებრივი ლოცვა-ვედრება, რეზოს მუსიკის თანხლებით, იკითებოდა თბილისის საოპერო თეატრის სცენიდან.

და მაინც, რეზომ ბოლომდე ვერ დათმო ეს სტრიქონები. ოპერის ფინალური დუეტი სწორედ გალაკტიონის სიტყვებით დაამთურა: „შხეო, შხეო თიბათვისა, ფრთებით დაგვიფარე, გევედრებით!...“



თენგიზ მდივანი

უპიზოდი გალაკტიონის ცხოვრებიდან

„ჩვენი ეზოს“ გადაღება უნდა დაწყებულიყო და რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ ფილმის სასინჯი მასალების საჩვენებლად მოსკოვიდან სცენარის ავტორი მოიწვია. გიორგი მდივანს ახლობლების შეწუხება არ უყვარდა და, ჩვეულებისამებრ, სასტუმრო „თბილისში“ დაბინავდა. ვიხსოვ, „ჩვენებაზე“ მეც წავეყვანე მოვილაპარაკეთ, მეორე დღით, თერთმეტ საათზე სასტუმროში უნდა შევხვედროდი. ზუსტად მივედი.

— მანქანის მოსვლამდე ქვემოთ ჩავიდეთ, ქუჩაში, თვალს წყალი დავაღვინოთო, — მიიხრა.

ჩავედით. ვდგავართ სასტუმროს წინ და ვხედავ, რუსთაველის თეატრს მოკლე, მაგრამ ჩქარი ნაბიჯით, თითქოს ცეკვით, დიდი გალაკტიონი უახლოვდება.

— დავიდოვიჩ, გალაკტიონი მოდის, მგონი მთერალია, — გადაუვლაპარაკე.

— მაგი ახლა კი არა, არც არასოდეს ყოფილა მთერალი, — მკვახვედ მომიჭრა, მერე ხელები გაშალა, — „პოეტთა მეფეს გაუმარჯოსო“, შესძახა და მიეგება.

გადაეხვიენენ, მოეფერნენ, მოიკითხეს ერთმანეთი და, უცებ, პოეტის თქმისა არ იყოს, გალაკტიონს ჭინკებით ავესო თვალები.

— ექ, რა დრო იყო, ჟორჟიკა (გიორგი მდივანს ასე ეძახდნენ შინაურ-

ები), ძამიკო, შენ რომ „მერცხალში“ და „დინამიტში“ ლექსებს ბეჭდავდი? მერე, კიდევე კარგი, კინოში წახვედი. რომ იცოდე, შენი „დაკარგული სამოთხის“ მაგვარი ბევრი არაფერი მინახავს. დაკარგული სამოთხე, დაკარგული სამოთხე, — რამდენჯერმე გაიმეორა გალაკტიონმა და თვალები აუწყლიანდა.

— ახლა მე და რეზო ჩხეიძე ახალ ფილმზე ვმუშაობთ, — სიტუაციის განმუხტვის მიზნით ჩაერთო გიორგი.

— რეზო კაი ბიჭია, ჟორჟიკა, ძამიკო, დია ჩიანელის ბიჭი სხვანაირი არც შეიძლება ყოფილიყო. — თქვა და, უცებ, თითქოს იმ წამს შემამჩინაო, მე გადმომხედა, მერე ნახევრად ხუმრობით მიმართა გიორგის: — დაცვა გყავს, ჟორჟიკა, ძამიკო?

— ეს ჩემი ბიჭია, მდივნების გვარის გამგრძელებელი.

— კაია, ძამიკო, გვარის გამგრძელებელი რომ გყავს — რა კაცი იყო მამაშენი, დათიკო მდივანი! ჩვენ ახლო მეგობრები ვიყავით, ხომ იცი? რა ღვინო იცოდა?! დათიკოს ღვინის გემო, — ქუთაისში, ფერმაში რომ ამზადებდა და მერე აგერ, პირველ „უღელში“, — ახლაც მახსოვს. ექ, მართლა კაი დრო იყო, ჩემო ჟორჟიკა, მართლა! აბა, კარგად იყავით, „საუღელში“ გავრბივარ, რაღაც პატარა გროშები მაქვს ასალები.



იყო გაზაფხული,
ცხრაას შვიდი.
წინამურთან ქარებს
შეაკლეს ილია...

გალაკტიონმა სწრაფად გადაკვეთა პროსპექტი და გზა მოედნისაკენ გა-
ნაგრძო.

ამასობაში მანქანაც მოვიდა

კინოსტუდიიდან სასტუმროში
გვიან დაებრუნდით. გიორგიმ კარი
მიხურა და, უცებ, თითქოს გალაკტ-
იონთან დილის შეხვედრა გაასუნდაო,
მეუბნება:

– თენგიზ, ბიჭო, რასაც ახლა მო-
გიყუები, მინდა შენც იცოდე. რა კიცი,
შეიძლება როდესმე დაგეჭვირდეს გახ-
სენება... გალაკტიონი მამასთან მეგობ-
რობდა, ქუთაისშიც და თბილისშიც
ხშირად გვესტუმრობდა. დედაჩემი,
ნუჩია კლდიაშვილი რომ გარდაიცვ-
ალა, მას შემდეგ ჩვენს ბინაში ისე
ხშირად აღარ მოდიოდა. მამას უფრო
ღვინის ქარხანაში გიორგი ქუჩიშვილ-

თან ერთად აკითხავდა. სმა არ უყვარ-
და. მთელი დღე შეეძლო სუფრასთან
მჯდარიყო და მხოლოდ ერთი ან ორი
ჭიქა დაელია. გიორგი ქუჩიშვილს,
პირიქით, სმაც უყვარდა და ქეიფიც
ერთხელ, მოსკოვიდან ჩამოსულს, მა-
მამ მიაძბო:

– ნაშუადღევის ოთხი იქნებოდა,
როცა ქარხანაში გალაკტიონი და გი-
ორგი მესტუმრნენ. მუშათა სასაღი-
ლოს ხომ ვერ ვაკადრებდი და ჩემს
კაბინეტში გავაშლევინე სახელდახელო
სუფრა. გიორგიმ კახური მოათხოვა.
გალაკტიონმა კი, როგორც ყოველთვის,
ერთი ჭიქა ოჯახულში გიორგი შეუ-
დგა სადღეგრძელოებს და სასმისს
სასმისზე ცლიდა. გალაკტიონი ცოტ-
ცოტას წრუპავდა, მერე კი ადგა და
კაბინეტიდან გავიდა, ეტყობა დაიღალა.
სულ რაღაც ხუთიოდ წუთში რატ-
ომღაც ავლევებუდი, აფორიაქებული

შემოვარდა უკან და გიორგის მიძარ-
თა: „აღექა, გიორგი, ძაძოჯო, წავედეთ!
სანამ ჩვენც არ გვესურვას, ღვინის სმას
თავს არ დაანებებ?“ – წააუღო ხელი
და მასთან ერთად კაბინეტიდან გა-
ვიდა. წამოუდგექი, ჭიშკრამდე მივაჯილე
და დავემშვიდობე. უზომოდ შეწუ-
ხებული და გალაკტიონის საქციელით
გაოცებული, კარგახანს ვიდექი და
„უდელის“ დაღმართზე მიმაკალო თე-
ალს ვაყოლებდი მდგომარეობიდან ჩე-
ენი ქარხნის მუშამ – ვალიკო
ამაღლობელმა გამომიყვანა.

– იაგორიჩ, გადამრევს ეს გიგლა
ბერბიჭაშვილი (იმ დროს ბერბიჭა-
შვილი ამ ღვინის ქარხანაში მუშა-
ობდა). უგონო მთერალი მუშებში ჩამ-
დგარა და ყვირის თქვენ ვინ მიყრი-
ხართ, თქვე ძაღლიშვილებო, აქვენა!
ხალხის მტერი ილია ჭავჭავაძე მე
მოგკალი, პირველმა მე ვესროლე და
თქვენ ვინა გდიხართო... ჩემი თუ არ
გვერათ, მის ყრანტალს გალაკტიონ-
იც შეესწრო და იმას ჰკითხეთო.

როგორც კი ეს მითხრა, გალაკტი-
ონის უცარი წასკლის მიზეხეს მაშინ-
ვე მივხვდი.



– მერე? მერე შენ რა აქენი, მამა?
– ვიკითხე აღმყოთებელმა.

– მერე? კაბინეტში დავბრუნდი
თუ არა, სასწრაფოდ ავიღე ტელეფ-
ონი, დაუბრუნე გიორგი სტურუას და
ყველაფერი მოვახსენე. გიორგიმ კი
ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა.
მოვიდინე და წაიყვანეს ბერბიჭა-
შვილი...

ეს ამბავი იმ საღამოსვე ბოზბივით
გავარდა მთელ ქალაქში: დიდი ილ-
იას მკვლელი, როგორც იქნა, გამო-
ამკარავდა და დააპატიმრესო.

იმ დღის მერე გალაკტიონი ქარხა-
ნაში რომ მეწვეოდა ან სადმე შემხვ-
დებოდა, ქირქილით მეტყვოდა: „იმ გარე-
წარს იმ დღეს ძალიან არ გადავე-
რჩითო?“ – დაასრულა თხრობა გი-
ორგი მდივანმა და ფიქრებით სად-
ღაც შორის წავიდა.

აყვავებულა მქენო
აყვავებულა მქენო

ლამარა კიკილაშვილი

„ამ ქარში...
ამ სიტყვეში...“

ხშირად მითქვამს, ამ სურათზე არ ვსუნთქავ-მეთქი. მარსლა არ ვსუნთქავ — „შესუნთქული“ ვდგავარ და ამაოდ დავეძებ გალაკტიონის სიცოცხლეში გამოცემული პატარ-პატარა ტომეულების ერთ-ერთ ბოლო ტომში რომელიმე შედევრს, რადგან წინასწარ ვიცი, ამ წიგნში ასეთი ლექსი (სუცხილბეკი არ არის, შედეკრი... იყოს რაიმე გალაკტიონისებური) არ არის. აქ ვერც წოდებული „იდეურა“ (როგორც მაშინ ეძახდნენ) ლექსებია და გალაკტიონსაც საგანგებოდ წამოუღია „ორჯინიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში“ 1958 წლის 31 მაისს (ამ დღეს დელაქა-ლაქში ახალგაზრდობისა და ყვავილების დღესასწაული იმართებოდა ხოლმე) ახალგაზრდაობასთან შეხვედრაზე. სადაც ის, ასევე საგანგებოდ, მიწვეული იყო ბატონ ლალო გუდი-აშვილთან ერთად.

გალაკტიონი ამ შეხვედრაზე ორი საათით ადრე მოხრისდა. ჩვენ კი, მე და ჩემი მეგობარი და რადიოში ჩემსავით იმ წელიწადს მოსული ახალბედა ჟურნალისტი თინა კობალაძე, ასევე ახალგაზრდა ოპერატორებთან — დიმიტრი ოვანიანსან და რომეო ტერ-გრიგორიანსთან ერთად — ოთხი საათით ადრე მივედი, რადგან სამწუთიანი რეპორტაჟი, რომლის მომზადებაც დაგვიკავალეს. იმ საღამოსვე უნდა

გასულიყო ეთერში, თანაც ვიცოდით, რომ დღესასწაულზე მოწვეულები იყვნენ გალაკტიონი და ლალო გუდი-აშვილი.

ერთსართულიანი ადმინისტრაციული შენობის ბიბლიოთეკაში ვიცდიდით. წარმოდგანეთ ჩვენი აფორი-აქება, როცა ბაღის ბილიკზე ორი საათით ადრე მომავალი გალაკტიონი დაეინახეთ. ჩვენ ხომ მაშინ გალაკტიონის ლექსების მეტი არაფერი გვწამდა და არაფერი გვიხდოდა იყო ასეთი პერიოდი ჩვენი თაობის ცხოვრებაში და არცთუ ხანმოკლე.

მაშინვე მივხვდით, ბატონი გალაკტიონი იქ დიდხანს გამხერვებელი არ იყო და, შემოდგა თუ არა ფეხი შენობის ორსაფეხურიან კიბეზე გულის კანკალით მიუჯახლოვდით და ვთხოვთ, წინასწარ რომელიმე ლექსი წაკითხა ჩვენთვის მაგისტროფონზე ჩასაწერად. ის უსიტყვოდ დაგვიანხმდა და ბიბლიოთეკაში შემოგვეყვა.

რეპორტიორი მოვიმარჯვეთ. ბატონმა გალაკტიონმა პორტრეტულიდან წიგნი ამოიღო, გადაშალა, ცოტა ხანს ფურცლა (მეც მასთან ერთად) და დაიწყო:

ძლიერზე ძლიერი,
მქუხარედ ხშიერი
ძახილი გაისმის
მსოფლიოსმიერი, —



თინა კობლაძე, გალაკტიონი, ლამარა კიკილაშვილი

ოქტომბრის, მაისის
სად დროშა შთაისმის,
ის უფრო და უფრო
მეტ ძალით გაისმის...

ძერე ვნახე — იყო, როგორ არ
იყო იმ წიგნშიც სასურველი სტრი-
ქონები — „რისთვის მაკონებ ვაზზე
მიძობნეული ნაძო“, ან „ეს იყო წინათ,
დიდი ხნის წინათ“..

სხვებიც..

მაგრამ გალაკტიონმა რაც ისურ-
ვა, ის წაიკითხა ჩვენ კი, ხმა რომ
ამოგვეყო, ალბათ, მაშინვე გაქრებოდა
ჩვენება, იმ წუთში რომ ჩვენს გვერ-
დით იყო.

კითხვა დაამთავრა. კმაყოფილმა
წიგნი პორტულში ჩააბრუნა. დაგვიბა-
რა, „ჩანაწერს ტაში დაადეთო“, რი-
თაც ძალიან გაგვაკვირვა (საიდან იყო-

და, რომ ასეთი რამაც კეთდება, წა-
შიდგა და დნევი ნახიჯით და პორტ-
ულის ქსეკით ბაღის გასასვლელის-
კენ გასწვია. ვიფიქრეთ, რომ შეხვედ-
რას აღარ დაუკვიდა.

თუცე ძერე, ბიბლიოთეკა ახალგაზ-
რდებით რომ გაივსო და ბატონი ლა-
ლი გუდასაშვილიც მობრძანდა, რომე-
ლიც სასტურესო ამბებს უფეხბოდა
გარშემო შემოხვეულ ყმაწვილებსა და
ქალიშვილებს. წამით კიდევ ვაიფელვა
გალაკტიონის სახემ და მყისვე გაქ-
რა.

როცა გალაკტიონის გვერდით
ვიდექით და ჩასაწერ ლექსს დავეძებ-
დით, ვილაც შემოსულა და ეს დაუკვირ-
ყარი წამები ფოტოზე გადაუღია ისე,
რომ ჩვენ არაფერი ვაგვივია.

ორი-სამი წლის შემდეგ თინა კო-
ბლაძე რაღაც ბრიშურაში წასწყდო-
შია ამ ფოტოს და გაბრწყინებულმა

მოიტანა სამსახურში. მერე ბატონმა პეტრე შამათავამ რადიოზე წიგნი დაწერა, ეს ფოტო იმ წიგნში შეიტანა, ნეგატივიც იშოვა და მე გადმომცა საჩუქრად.

გალაკტიონის ხმის ის ჩანაწერი კი, ჩვენ რომ იმ 1958 წლის 31 მაისს გავაკეთეთ, რამდენიმე წლის მანძილზე რადიოს „ოქროს ფონდში“ ერთადერთი იყო. დანარჩენებიც, „მთაწმინდის მთვარის“ ჩათვლით, ჩვენ მოვაგროვეთ. ჩანაწერი ლიტერატურული საღამოსი, გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარე“ რომ წაუკითხავს, ბათუმის რადიოში გამოგვიგზავნა ჩვენი რედაქციის (რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქციის) და მთავარი რედაქტორის — გივი დვალიშვილის ძალისხმევით.

ეს ფოტოსა და ჩანაწერებზე.

მაგრამ გალაკტიონი სხვა დროსაც მინახავს, შორიდან, ცხადია... ქუჩაში მიმავლსაც ავღევნებივარ მეგობრებთან ერთად. მინახავს მშვიდი, თავის თავში ჩაღრმავებული, გაზაფხულის წვიმით მოწინწკლულ ტროტუარზე მიმავალი, როცა გარემოს თითქმის არ გრძნობდა, მინახავს აფორიაქებული, ჩქარი ნაბიჯით ხან ერთ მალაზიაში შესული, ხან მეორეში (სულ ერთია, რას ყიდდნენ იქ) და წამსვე გამოსული, აქაც გარემოს მოწყვეტილი. მინახავს რუსთაველის პროსპექტზე, მარჯანიშვილის მოედანზე, უნივერსიტეტის უბანში, ზემელზე — მელიქ აზარიანცის სახლთან, ელბაქიძის დაღმართზე მდგარი. მაშინ დავინახე პირველად ძალიან ახლოს გალაკტიონის თვალების ზეთისხილის ფერი (ეს ფერი რეზი თვარასემ დაახუსტა).

გალაკტიონს ბავშვები ქვებს არ

ესროდნენ, როგორც ერთხელ დაწერეს. იქნებ იმიტომ, რომ არც რუსთაველზე, არც უნივერსიტეტთან, არც მარჯანიშვილის მოედანსა და ზემელზე ქვები არ იყო. გალაკტიონის გამოჩენაზე ქუჩა ჩერდებოდა და შესცქეროდა, როგორც სასწაულს. მე ასე მახსოვს, ასე მინახავს.

ერთხელ—

ეს მოხდა 1953 წლის თებერვალში. ქარი ქროდა... „ბაღში შემლილივით კვდება თებერვალი“... — აი, ასეთი დღე იყო.

მე და ჩემი მეგობარი ლოლა ქადაგიშვილი ელბაქიძის დაღმართით მარჯანიშვილისკენ მივდიოდით. რისთვის, არ მახსოვს, ალბათ, გზას მიყვავდით. ხიდის შუამდე მისულვებმა გამომცემლობის წინ გალაკტიონი დავინახეთ. ეს პირველი დანახვა იყო. მეორე თუ მესამე კურსის სტუდენტები გახლდით. დავინახეთ და უცებ ვიგრძენით, რომ ის იყო. ბორგავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, თან ეროსა და იმავე ადგილს უბრუნდებოდა. პორტფელიც ეჭირა, შლაპაც ეხურა, რომელსაც წამდაუწემ იხდიდა და იხურავდა. სახე ანთებული ქიონდა, შემოლილი რაღაცას ლაპარაკობდა კიდევ, მაგრამ გაურკვეველად. შიშის ქრუანტელმა დამიარა. გაქცევა დავაპირე, მაგრამ ჩემმა მეგობარმა ხელი ჩამავლო და არ გამიშვა.

სხვათა შორის, ვისაც რევაზ ინანიშვილის მოთხრობა — „იანი“ ახსოვს, სადაც იგი გალაკტიონთან შეხვედრაზე მოგვითხრობს წყნეთის ტყეში, ისიც გაახსენდება, რომ რეზოც ამას წერს: — „უჩვეულო შიშმა მომიცვია, მოვბრუნდი და თითქმის გამოვიქეცი, სულ წამოვედი

ტყიდანო". მაგრამ მან არ იცოდა, რომ ჩვენება, რომელიც ჩამობინდებულ ტყეში შეხვდა და მან პანად წარმოიდგინა, გალაკტიონი იყო. ეს მეორე დღეს გაარკვია.

მე კი ამჟამად გალაკტიონის ვხედავდი.

შიშატანილმა დავინახე, რომ გალაკტიონი პირდაპირ ჩვენს წამოვიდა. დედაძინა დაბარბაცდა—

— ქალიშვილებო, თქვენ, ალბათ, პაემანზე მოხვედით და კავალრებს უცდით.— ირონია გაურია თავის ბორგვას და დაგვაკვირდა.

რა პაემანი, რის კავალრები, აბუზულ ბელურებს ვგაედიო.

უცებ გამოფხიზლდა. ალბათ, იგრძნო, რომ მის გამო შეეჩერდით... მთლად შეიცვალა. მოგვხვია ორივეს მხრებზე ხელი და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ წაგვიყვანა.

— ამ ქარში... ამ სიცივეში... — მოლაპარაკობდა.

ვიდრე გაჩერებასთან მივიდოდით, ესეც თქვა:

— ასეთი იყო მთაწმინდაზე შემოღამება... — გაგონილი გვქონდა, რომ საუბარში ბარათაშვილის ციტირება უყვარდა.

გალაკტიონს შევხედეთ. მის სახეზე ორი ცრემლი მოგორავდა. უფრო სწორად, ორივე ცრემლი შემშრალიყო — ერთი შუამდე შეჩერებული... მეორეს აბურდულ წვერამდე ჩაეღწია.

— მე თქვენ ახლა ტროლეიბუსში „შეგსხავთ“ (შეგსხავთო, ასე თქვა)...

ამასობაში ტროლეიბუსიც წამოგვეწია. „შეგსხვა“ და... მეტი აღარაფერი მახსოვს. მხოლოდ მის მშვიდსა და გაღიმებულ სახეს ვხედავდი, ვიდრე ტროლეიბუსი დაიძრებოდა.

კიდევ რა მახსოვს...

უნივერსიტეტში რომ მივედი, ლექცია ახალი გამოხული იყო. სტუდენტები მეორე სართულის კიბისთავზე შეგროვილიყვნენ. ყველანი იქ იყვნენ — ფილოლოგები, ჩვენი კურსელებიც, უფროსებიც, უმცროსებიც. მე უკამბობდი, ალბათ, მკელვარედ, რადგან ვგრძნობდი, გული ამოვარდნაზე მქონდა. ლოლა გასალკლდეკებული იდგა.

მოძიერებოდნენ.

ცოცხლად მახსოვს ალექსი ჭინჭარული და ჯანსუღ ჩარკვიანი. ჯანსუღმა, მოდი და ახლა ლექსი დაწერეო, თქვა, ხელი ჩაიქნია და შებრუნდა. ასეთები ვიყავით...

*

ხშირად მახსენდება ერთი საღამოც, გალაკტიონის საღამო „ხელოვნების მუშაკთა სახლში“, ყოფილ მახარაძის (დღევანდელ გერონტი ქიქოძის) ქუჩაზე.

ეს სახლი ბევრ საინტერესო ამბავს მომაგონებს ხოლმე. მაგრამ სახლს თურმე ბალიც ჰქონდა ღია ესტრადით და საზაფხულო „დარბაზით“. და აი, ერთხელ იმ „ღია დარბაზში“ მოეხვედი გალაკტიონთან შეხვედრაზე ჩემს მეგობართან ერთად (ინფორმაცია უნდა მიგვეტანა რადიოში ღამის ცნობებისათვის). ეს იყო ძალიან მაღე, ორჯონიკიძის პარკში შეხვედრის შემდეგ.

მახსოვს ესტრადაზე პატარა კათედრა. კათედრასთან იდგა გიორგი ნატროშვილი და დიდხანს კიბხულობდა მოხსენებას ხალხი ყურადღებით უსმენდა. მწერალთაგან იქ მეტი არავინ ყოფილა, ასე თუ ისე ცნობილი

მოგონებათა გოგოს...

მანსი, არაყინ..

ბევრი ხალხი ესწრებოდა. სკამებიც შეკესებული იყო და ფეხზეც ბევრი იდგა. მიესალმა თუ არა ვინმე გალაკტიონს, არ მაგონდება, იმ წუთიდან კი, როცა გალაკტიონს სთხოვეს, რაიმე წაეკითხა, ყველაფერი ზუსტად მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება.

მანამდე ასე ვიცოდი, რომ გალაკტიონი ლექსს ვერ კითხულობდა კარგად. ასე გამგეონა (ორჯონიკიძის პარკში წაკითხული ლექსითაც ხომ ვერაფერს იტყვოდი).

ზაფხული იყო. ცხელია. გალაკტიონს თეთრი ეცვია. მივიდა კათედრასთან, პორტუკული დაღო და დაიწყო—

გადმოფრენას ეს ყორანი
მადათოვზე აპირებს...

ეს იყო საოცარი მუსიკა... და საოცარი სანახაობა...

გერ ერთი, „მიყუთოვოს, მოეთოვოს“ — მოძრაობითაც გამოხატა და

ისე თქვა, რომ დღემდე ვხედავ იმ „ფარშავანგების თოვას“, ფერების, ფერების თოვას კედლებზე უბრალოდ ხომ არ ახსენებს აქვე „ფიროსმანას“, თავისი „სვედიანი ტვირთებით“ და... საიათნოვას „დაფანგულ კანგებს“.

მხოლოდ ეს ლექსი წაიკითხა და ესტრადიდან ჩამოვიდა. აღფრთოვანებული ტაში შეაგებეს...

როგორ ვინანეთ მე და ჩემმა მეგობარმა, რომ ეს ლექსი ვერ ჩავისწერეთ— ტექნიკა არ გვქონდა.

ეს იყო აუდიტორიისათვის წაკითხული ერთადერთი ლექსი, რაც უშუალოდ გალაკტიონისგან მოვისმინე.


ვინ ამბობდა, ან რატომ ამბობდნენ, თითქოს ვერ კითხულობდა— არ ვიცდი.

გვიან, როცა სასწაულებრივად გადარჩენილი „მოაწმინდის მთვარის“ ჩანაწერი მოვისმინეთ, ყველა ერთბაშად ალაპარაკდა, რომ ეს განუმეორებელი წაკითხვაა და ეს ჩანაწერი რომ არ გექნაღეს, ბევრი რამ არ გვეკოლინებოდა ჩვენი ღროის დიდ პოეტზე. მართლაც ასეა.



გოგი ანთელავა

„Хороший был человек...“



სოხუმის ზღვისპირა ბულგარის დასაწყისში, იქ, სადაც პატარა ბესლეთი ზღვას უერთდება, სოხუმელთათვის საყვარელ ადგილას, რომელსაც ყველა „ავკალიპტოვია როშა“-ს ეძახდა, უზარმაზარი ევკალიპტების ჩრდილში იდგა ერთი ლამაზი ჯიხური, ცნობილი როგორც „ბუდკა ანდრონიკა“. ვინ იყო ეს ანდრონიკი, კაცმა არ იცოდა — ბერძენი თუ სომეხი, ყირიმელი თუ ყაზანელი თათარი, არც დაბალი და არც მაღალი, არც თხელი და არც სქელი. ხრინწიანი ხმა ჰქონდა, უყვარდა ლაპარაკი, „словом — иностранец“ (ბოდიშს ვუხდი მიხეილ ბულგაკოვს და მის გმირს). ამ ჯიხურის ყველაზე ხშირი სტუმრები სოხუმელი სპორტსმენები იყვნენ, რადგანაც ანდრონიკი კეთილი კაცი იყო და შეკრებებზე მიღებულ 25-მანეთიან ტალონებში მათ, ქალაქის რესტორნების ოფიციატებისაგან განსხვავებით, 22 მანეთს უხდიდა (რესტორნების „ტაქსა“ 20 მანეთი იყო). იმის გამო, რომ ხშირად გვიხდებოდა ჯიხურში სტუმრობა, კარგად ვიცოდით, რომელ თაროზე რა იდო, სად იყო არაყი, რა ღირდა პაპიროსი. ერთი სიტყვით, საკმაოდ გავუშინაურდით იმ კეთილ ადამიანს, რომლის წარსულზე შეიძლება გარკვეული წარმოდგენა გვქონოდა იმ ინფორმაციიდან, რომელსაც მის სხეულზე აღბეჭდილი „აიგი-რაფიკის“ და „ხელოვნების“ ნიშნები გვაწვდიდნენ.

მოგონებათა გზის...

ერთ დღესაც, ტალონების გასანაღებლად შე და ჩემი მეგობარი ჟორჟიკი (ჩორტიკი) ხორავა ვესტუმრეთ „მეტენატს“ და ჯიხურში სიახლე აღმოვაჩინეთ: ერთ-ერთ თაროზე, ბოთლზე დამაგრებული იყო გალაკტიონის საკმაოდ დიდი ფოტო სამახსოვრო წარწერით. იმ წარწერიდან ერთი დამამახსოვრდა: „Моему другу Андронику.“ ცოტა არ იყოს, გავეკვირდა: სად გალაკტიონი და სად ანდრონიკი. დავიწყეთ „გამოკვლევა“:

— Андроник, кто эта борода?

— Это не борода, это мой друг, знаешь, он большой поэт (სამწუხაროდ ვერ ვახერხებ ნაწერში მისი საუბრის იმიტაციას).

— Что, вместе сидели?

— Да ты что, о...л, что ли? Говорю, большой поэт. Видишь, орден имеет.

ფოტოზე გალაკტიონის პიჯაკის მარცხენა ბორტზე ლენინის ორდენი ჩანდა. ორდენს „კალოტკა“ არ ჰქონდა.

— Слушай, если он правда такой большой, как он стал твоим "кирюхой"?

გთავაზობთ ანდრონიკის მონაყოლს (მკითხველს უნდა ვუთხრა, რომ საუბარი რუსულად მიმდინარეობდა, ამიტომ მჭირდება რუსული ჩართვები).

„ეს კაცი აქ ხშირად მოდიოდა. დავდებოდა ხოლმე აი, იმ სკამზე (სკამი უშველებელი ეკალიპტის ჩრდილში იდგა) და საათობით უხმოდ იჯდა, თითქოს რაღაცას უსმენდა. ახლა კი ვიცი, რომ ეკალიპტების და ზღვის შრიალს უსმენდა (დამიჯერეთ, ზღვაც შრიალებს — გ.ა.). კაი ხანს იჯდა ხოლმე. მერე ეგრე 1 საათისთვის ადგებოდა და წავიდოდა წერეთლის ქუჩისკენ. ერთ დღესაც ადგა და ჩემკენ წამოვიდა. არც მომესალმა, ისე მითხრა:

— Налей сто грамм

ვიფიქრე, ამ ორდენიან კაცს ასი გრამი როგორ ვაკადრო, თანაც მარტო „მალენკოვის“ ჭიქები მქონდა. გაუუვსე ეს ჭიქა და გვერდზე ორი კანფეტი მოუღდე. კაცმა არაფი დალია, კანფეტები გადაწია, მიტრიალდა და წავიდა. ვიფიქრე, ალბათ, რაღაც აწუხებს-მეთქი და არ გავეკიდე. ჩემთვის ვთქვი: ჰალალ ოლსუნ!


— Что, правда не побежал?

— Клянусь вот этим хлебом, — ანდრონიკმა დახლიდან პურის ჰატარა ნატეხი აიღო და აკოცა. ეს არგუმენტი, როგორც მთქმელის არცთუ უღრუბლო წარსულის დამამტკიცებელი „საბუთი“, სრულიად ზედმეტი იყო, რადგანაც მის გულწრფელობაში ეჭვი არ შეგვაპრვია.

— Ну, а дальше?

— Больше очень долго он не приходил. Я не знал, кто он, но часто думал о нем, хотел знать, что с ним было в тот день. Потом решил, наверно, он уехал. Хорошо, если водка помогла ему тогда. И





вдруг, в один день он пришел опять.

— Налей сто грамм.

Я подумал про себя: наверное решил, что на фраера нарвался. Тот раз сто грамм попросил, но двести выпил. Я налил опять полный стакан и положил две конфеты. Он водку выпил, как и в прошлый раз, конфеты отодвинул и посмотрел на меня. Знаешь, грустный был. Думаю, еще налью... А он достал из старого черного пиджака (с орденом) "кошелек" и вынул из него четыре "цоцки" (სოხუმში ასე ეძახებენ ასმანეთიანებს). Опять посмотрел на меня и положил деньги на стойку.

Я сказал ему:

— Что это такое? Мне твоих денег не надо.

Он взял "бабки" и тихо стал говорить:

— Одна тебе за тот раз, вторая за сегодня, вот эта за то, что ты за мной не погнался тогда, а эта, если может когда-нибудь придет та-кой же, как я, угости его.

Ты знаешь, я не хотел деньги брать. Но понял, что обижу его. Я взял деньги и сказал:

— Вот эту, первую беру, вторую и четвертую тоже, а третью не возьму.

— Почему?

— Потому, что не побегал, за это не возьму, это мое...

Он взял "цоцку" и улыбнулся. Потом открыл свой старый портфель, достал вот эту карточку, написал на ней своей авторучкой и ушел. Больше никогда не приходил. Потом ребята сказали:

— Андроник, твой друг умер.

Хороший был человек, плохо ему было. Царство ему небесное.


ამ ამბის მერე კარგმა ხანმა განვლო. ის ჯიხური დაინგრა და, თუ არ ვცდები, მის ადგილზე პავილიონი ააშენეს და მასში საბილიარდო დამკვიდრდა. ანდრონიკი გაქრა. არ მეგონა, თუ როდესმე კიდევ შევხვდებოდი. და აი, ერთ დღეს (ისევ ცხელი ზაფხული იყო), თბილისიდან სოხუმში ჩასული, აღმოჩნდი ე.წ. გივი მეშველიანის ტურბაზასთან, კიპარისების ქვეშ მდგარ მალაზიის მაგვარობასთან (არც ჯიხური იყო, არც პავილიონი), რომელშიც იჯდა ანდრონიკი. კედელზე კვიდა გალაკტიონის ცელოფანგადაკრული ფოტო, რომელმაც ზღვისპირა ჯიხურიდან აქ გადმოინაცვლა — დროისგან გაყვითლებული და დაბველებული. მისი მფლობელიც დაბერებულიყო. თავი შეეახსენებ. არ ვიცი, მოვგონდი თუ არა. მისი ძველი ნაამბობი ამჯერად მე მოვუყევი. მომისმინა, არაფერი არ უთქვამს. შემდეგ ღინჯად ადგა, მაცივრიდან (ისიც პატრონივით „ბებერი“ იყო) ერთი „პოლიტირა“ ამოიღო, დიდი „მალენკოვის“ ჭიქა გამიღესო, თავისთვის ასი გრამი დაისხა პატარა ჭიქაში, რამდენიმე კანფეტი დადო დახლზე და ჩუმად თქვა:

— Царство ему небесное, хороший был человек. Спасибо.

Приходи еще.

შეესვით.

ეს ამბავი თავის დროზე მოვუყევი ჩემს მეგობარ მწერალს, მეცნიერს და ფოტოხელოვანს ალექსანდრე (შურა) ციბულევსკის. მან დაწერა რამდენიმე პატარა ჩანახატი, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნალ „Литературная Грузия“-ში. ამ ჩანახატებში ეს ამბავიც შევიდა, თუმცა ერთგვარად გადასხვაფერებული.



ცისანა გენძეხაძე

აკადემიის ბიბლიოთეკის სტუმარი

უნივერსიტეტის დამთავრების-თანავე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დავიწყე მუშაობა მეცნიერ-ბიბლიოგრაფად. ბიბლიოთეკის ფუძემდებელი და დირექტორი გახლდათ ვლადიმერ უზნაძე, რომლის სახელსაც ატარებს იგი დღეს.

1957 წლიდან ბიბლიოთეკამ გახსნა საპკითხველო დარბაზი. იქ, ძირითადად, თავს იყრიდნენ აკადემიის მეცნიერები. ამ ნათელ დარბაზს იმ წლებში სტუმრობდნენ: ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, სერგი ღურშიძე, გიორგი ძოწენიძე, რაფიელ დვალი, დავით კობახიძე, ლეო დავითაშვილი, ლეო გაბუნია და უამრავი სხვა, რომელთა შორის იყო გალაკტიონი. მას დიდი ბავშვით ახარებდა სახალხო პოეტისა და პოეტი-აკადემიკოსის ტიტულები. იქნებ ამის ხაზგასმა სურდა, აკადემიის ბიბლიოთეკას რომ სტუმრობდა ხოლმე.

ბატონმა ვლადიმერმა, როცა გაიგო, რომ გალაკტიონი სამკითხველო დარბაზში აპირებდა მუშაობას, უმალ ცალკე მაგიდა გამოუყო. ამით დიდად კმაყოფილი პოეტი ხშირად იხდიდა მადლობას.

ბიბლიოთეკაში გალაკტიონის ახლო მეგობრის — მხატვარ ფედია ჩუდეცკის ქალიშვილი ლონდა ჩუდეცკია მუშაობდა. ჩვეულება ჰქონდა,



თითქმის ყოველთვის, ბიბლიოთეკაში მოსვლისას, ლონდას იკითხავდა. ჩვენც ავჩოქოლდებოდით, რომ დიდ გალაკტიონს ლონდას ნახვა სურდა. ვერც კი წარმოიდგენთ, ეს უმნიშვნელო დეტალი რა ბედნიერ ღიმილს და სიამოვნებას ჰგვრიდა.

შემდეგ თავის მაგიდას მიუჯდებოდა, დიდი პორტფელიდან ან უჯრებიდან ამოალაგებდა წიგნებს, ფურცლებს, „ბლოკნოტს“, კალმისტრებს, ფანქრებს და რამდენიმე საათის განმავლობაში მუშაობდა. ეს უფრო ფიქრს მიაგავდა, ვიდრე ჩაკირკიტებულ მუშაობას. ასე გადიოდა დრო... ბატონი

გალაკტიონი არასისტემატურად, მაგრამ დროდადრო მინც მოაკითხავდა ხოლმე სამკითხველო დარბაზს.

1958 წლის მაისი იღვა... რატომღაც დიდმა პოეტმა რეგულარულად დაიწყო სამკითხველო დარბაზში სიარული. დარბაზის ოთხი დიდი ფანჯარა ქერეცისკის ქუჩაზე გადიოდა. ფანჯრები ღიად გექონდა, რომ ოთახში გაზაფხულის სუფთა ჰაერი შემოსულიყო...

ქუჩის მეორე მხარეს უამრავი ოჯახი ცხოვრობდა. ჩემი ნაცნობებიდან იქ ზურაბ კაკაბაძისა და ნათია ამირეჯიბის, ლევან ბახტაძისა და სხვათა ოჯახები სახლობდნენ. მესამე სართულზე, არ ვიცი, ძირითადი მაცხოვრებელი გახლდათ თუ ბინა. ქონდა დაქორავებული, უცნობი საოპერო მომღერალი ქალბატონი ცხოვრობდა ზუსტად 12-იდან 2-3 საათამდე ვარჯიშობდა და გაუთავებლად, დაბალი ნოტიდან უმაღლესამდე და პირიქით, სისტემატურად იმეორებდა: ს-ე-ე-ე-ე-ე, ს-ე-ე-ე-ე-ე, ს-ე-ე-ე-ე-ე გალაკტიონიც

დაბარებულევით ზუსტად ამ დროს მოდიოდა ბიბლიოთეკაში.

ყველანი შეწუხებული ვიყავით... მოვახსენეთ ბატონ ლადოს, რომ გალაკტიონს ალბათ ხელს უშლიდა ეს უცნაური ვარჯიში. დირექტორმა მე დამავალა მეთქვა დიდი პოეტისათვის, რომ მომღერალ ქალბატონს შიგა-ცკვლებინებდით მეცადინეობის დროს, თუკი ეს ვარჯიში მას ხელს უშლიდა მუშაობაში.

ასეც მოვიქეცი... მივედი ბატონ გალაკტიონთან და მორიდებით გადავეცი დირექციის გადაწყვეტილება პოეტი უცებ გარდაიქმნა, თვალები არაბუნებრივად გაუბრწყინდა, აუციმიკიძე და და ჩემს გაოცებას საზღვარი აღარ ქონდა, როცა ამ ღმერთკაცის პასუხი მოვისმინე: „ხელს მიშლის, ხელს მიშლის, პატარა ქალო? გმადლობთ, გმადლობთ, არაფერი შეცვლით, არა, არა, არაფერი ეს ხომ მთელი სიმფონიაა!“ — და ხელი უცნაური არტისტული მოძრაობით აღმართა პერში.



ოთარ ფარულავა

მიამიტი გენია

სამხატვრო აკადემიის სტუდენტი დროის დიდ ნაწილს ნიკოლოზ კანდელაკის სახელოსნოში ვატარებდი. ხან თიხის დაშადებაში ექმნარებოდი, ხან კარკასის გაკეთებაში, ხანაც სახელოსნოს დალაგებაში. ვიცოდი, ბატონი ნიკოლოზი მოლაპარაკებელი იყო გალაკტიონთან, რომ ნატურიდან შეექმნა მისი სკულპტურა.

აი, ერთ დღესაც გაიღო სახელოსნოს კარი და შემობრძანდა ლენინის ორდენით მკურდლამშვენებული გალაკტიონი ჯერ თაროებზე დალაგებული სკულპტურები დაათვალიერა. ძალიან მოეწონა მუხაძისა და ტოლბუხინის პორტრეტები, იმერლის პორტრეტს უცქირა და თქვა:

— ეს კაცი ძალიან შეცნობა.

— შენი კუთხიდან არის და ალბათ იმიტომ. ალადასტური ბომიტანა, შეგინახე, შენი პორტრეტის დამთავრების აღსანიშნავად ერთად გაესინჯოთ, — მიუგო ბატონმა კოლიამ.

— ეს მეჩაიე ქალის პორტრეტი რამ გაგაკეთებინა, კოლია, ხომ იცი, ქართველი ქალი ჩაიმ დაორგუნა და დაამახინჯა, — უსაყვედურა გალაკტიონმა.

— რა ვქნა, ჩემო გალაკტიონ, ფული მჭირდება, დიდი ოჯახი მაქვს.

გალაკტიონმა თავის მართლება არ აცალა:



— დიდებული პორტრეტების შექმნა შეგძლება, მაგრამ ტყუილად გარჯილხარ. შენ ჩემი პორტრეტი გააკეთე, უფრო მეტსაც გადავიხდიან და სახელიც მეტი გექნება.

შევაშინე, ბატონ კოლიას ცოტა ეწყინასავით. ისედაც წითური კაცი სულ გაწითლდა, მაგრამ დროზე მოერიდა წყენას:

— როგორ პოზაში გირჩენია დავდომბა?

— პოო, მართლა. ისე გააკეთე, რომ ჩანდეს: მე ვფიქრობ მშვიდობაზე მსოფლიოში.

ბატონი კოლია შემოტრიალდა,

თვალი ჩამიკრა და ჩაიღუღლუნა:

— Вы посмотрите на него! Он думает о мире, тоже мне Раимонда Дьен...

(რაიმონდა დიენი იყო ფრანგი ქალიშვილი, რომელიც ლიანდაგზე დაწვა და არ გაატარა ჯარისკაცებით დატვირთული მატარებელი აღუირისკენ).

— აბა, ჩემო გალაკტიონ, მიიღე სათანადო პოზა, რომ ჩანდეს, გალაკტიონი ფიქრობს მშვიდობაზე.

მიამიტმა გენიამ ვერ გაიგო ეს ხუმრობა და ატრიალა თავი ხან ასე, ხან ისე.

დაიწყო მუშაობა.

კოლიამ აუჩქარებელი ძერწვა იცოდა. ჯერ ააგებდა კონსტრუქციას, მონიშნავდა ფორმათა მოძრაობას. ქანდაკებაში ხასიათი თანდათან შექონდა. ამდენ პოზირებას გალაკტიონმა ვეღარ გაუძლო. ერთხელაც შეზარხოშებული მოვიდა და გამოშვევი ტონით იკითხა:

— ერთი მითხარი, ჩემო ბიძიკო, ამას ვის აკეთებ?

— Галактион, я создаю твой скульптурный портрет и это бу-

дет шедевр, я уверен в этом!

— А я нет! — მოუჭრა გალაკტიონმა, დაიხურა შლაპა, გაიხურა კარი და გავიდა.

გამოეკიდა კოლია ძახილით:

— დაიცა, გალაკტიონ, სად მიდიხარ, ალადასტურის გასინჯვას არ აპირებ?

როგორც იქნა, მოაბრუნა. თან ალიო მირცხულაუა და სიმონიკა სხორტლაძეც შემოჰყვნენ, თურმე გარეთ ელოდნენ პოეტს.

მასპინძლის ბაღში გაემალეთ სახელდახელო სუფრა. მახსოვს, ქსოვილი ალაგ-ალაგ გაცვეთილ-გამოჭმული იყო და ვიდრე ზედ ყველს, პურს, ცოტაოდენ სალათას დაეაწყობდი, ქვემოდან იქვე მოწყვეტილი ლეღვის ფოთლები ამოვუგე. ალადასტურმა თავისი ქნა. ისეთი სადღეგრძელოები ითქმებოდა და ისმებოდა, თავი ზღაპარში მეგონა.

მაგრამ ამ პურმარილმა მაინც არ გვიშველა. დაზგაზე ობლად იდგა დაწყებული პორტრეტი. თიხა თანდათან ხმებოდა. გალაკტიონი მუშაობის გასაგრძელებლად აღარ მოსულა.

ოვერაქოშენაძე

იოსებ გრიშაშვილი:

ერთხელ სახელგამის შესასვლელში შემხვდა გალაკტიონი, მე ჩამოვდიოდი, ის ამოდიოდა. დამინახა და შემომძახა: — სოსო, შე ძეგლო, გამარჯვება! — და მაგრად მომიჭირა ხელი.

მე ვუპასუხე:

— რა გიჭირს, საქართველოს პირველი პოეტი ხარ! იამა, დაინახა მიმავალი პოეტი ბორის სერებრიაკოვი და მოიხმო:

— ბორის, ბორის, იდი სუდა. ვოტ ონ გოვორიტ (ხელი ჩემკენ მოიშვირა), что я первый поэт, запомни. უყვარდა საწყალს ღიფირამბები, ის ამის ღირსი იყო უჭკველად—

* * *

ანდრია ბალანჩივაძე:

იაკობ ბობოხიძის მიერ გალაკტიონის ლექსებზე შექმნილმა მუსიკალურმა ნაწარმოებებმა ჩემი ახალგაზრდობა გამახსენა, დრო, როცა ხშირად ვხვდებოდი ამ დიდ პოეტს, გამოვდიოდი მის საღამოებზე იმპროვიზაციებით, ვუწევდი აკომპანიატორობას. გალაკტიონს ძალიან უყვარდა კითხვა მუსიკის ფონზე, კითხულობდა დიდებულად, შთაგონებით.

იმ დროს ძალზე პოპულარული იყო იმერული ქალაქური ფოლკლორის სტილი, რომელიც მთელი სისავსით გამოვლინდა დები იშხნელების საშემსრულებლო ხელოვნებაში გალაკტიონსაც ძალზე მოსწონდა ეს სიმღერები. შესაძლოა, ლექსების თხზვისას თავისთვის კიდევ მღეროდა მათ, განწყობილების შესაქმნელად.


* * *

ჯემბერ ჭუმბურიძე:

გალაკტიონ ტაბიძესთან პირადი ნაცნობობა არ მქონია, მაგრამ ერთ ამბავს მაინც გავიხსენებ, რომლის შემსწრე და თვითმხილველიც შემთხვევით ვაუხლი.

ეს ამბავი 1939-40 წლებში იყო, ჩემი სტუდენტობის პერიოდში.

ფურცელაძის ქუჩა მოკლეა, იმის ბოლოს, სკვერის გვერდით ყოველთვის იდგა რამდენიმე ეტლი და მუშტარს ელოდა. საღამო ხანია, ახლმახლო მივდივარ. დავინახე, რომ გალაკტიონ ტაბიძე, ოდნავ შემთვრალი, ეტლის საფეხურზე შედგა და მეეტლეს უთხრა, წამიყვანეო. მეეტლემ, ალბათ, იცნო



და ფული წინასწარ მოსთხოვა. გალაკტიონმა იწყინა, იუკადრისა და აყვირდა (რუსულად): ეს რასა ჰგავს, ჩემი არ სჯერა! ამის გაგონებაზე ეტლისკენ წავედი, მალე სხვა ახალგაზრდებიც მოვიდნენ. გალაკტიონი ახლა ჩვენ მოგვიბრუნდა: აი, ადამიანისა არა სჯერათო! ჩვენ მეეტლეს ერთად აუუყვირდით, იცით, ვინ არის ეს კაციო?

— ვიცი, ვიციო, — გვიასუსხა მეეტლემ, რომელიც დათმობას არ აპირებდა. ჩვენ დავაძალეთ და იმანაც ისე წაიყვანა პოეტი, რომ წინასწარ ფული არ გამოუთრმევია.

*

მეორე შემთხვევის მოწმე მე არ ვყოფილვარ, სტუდენტებისაგან მაქვს გაგონილი. სტუდენტთა ეს ჯგუფი (მომავალი ფილოლოგები) ქუჩაში მიმავალ გალაკტიონს შორიანხლო აედევნებოდა ხოლმე. მათ შორის იყო პოეტი ვახტანგ გოგოლაშვილი, რომელმაც მიაპბო:

გალაკტიონი დავინახეთ, კეახელით, სიყვარული და თაყვანისცემა გამოვხატეთ და ვთხოვეთ, ჩვენთან პური გაეტეხა და ჭიქა აეწია. თან ვუთხარით, რომ ეს იქნებოდა ჩვენი ცხოვრების მარად მოსაგონებელი, უპიერფასესი დღე. გალაკტიონი დაგვთანხმდა:

— კი, ბიძიკოებო, წავიდეთ, წავიდეთ!

სუფრას შემოვესხედით, ორიოდე სადღეგრძელოც ვთქვით... ერთ-ერთმა ახალგაზრდამ (ღვინითა და დიდი პოეტის სიახლოვით გათამამებულმა) ჯიბიდან ამოიღო თავისი ლექსი, გალაკტიონის მიაწოდა და მოწიწებით სთხოვა, წაიკითხეთ და თქვენი აზრი მითხარითო. ყველა შეცბუნდა. გალაკტიონმა წაიკითხა და იმავე ფურცელს დააწერა: გალაკტიონს მოსწონს! თან უთხრა: ახლა სადაც გინდა მიიტანე, ყველგან დაგიბეჭდავენო. სიხარულით ფრთაშესხმულმა ბიჭმა ლექსი ჯიბეში სასიუხად შეინახა. მალე მეორე სტუდენტმა მიაწოდა თავისი ლექსი იმავე თხოვნით. შეკატყვეთ, რომ ეს აღარ ესაიამონა გალაკტიონს. სასწრაფოდ ჩაიკითხა და დააწერა: კარგი სათაური აქვსო და ავტორს დაუბრუნა.

* * *

მეღეა ჩახავა:

ღიღი, ძალიან ღიღი ხნის წინათ სახლში ვიყავი — პატარა დედა ციცქნა შვილიკოსთან ერთად. უცებ შემოსასვლელთან ზარის მოუთმენელი და მომთხოვნი რეკვა გაისმა. სამი თუ ოთხი თვის თემურიკოს მშრალში ვახვევ, თან „ახლავე, ახლავეს“ გავიძახი, მაგრამ ვის ესმის... როგორც იყო, მივირბინე კართან, გავაღე და... „ვიღაცა“ კარზე იყო მიყუდებული, შეიძლება, ზეზეურად თელემდა კიდევ. ასევე ზეზეურად მიყუდებული შემოჰყვა კარებს და გვარიანად შემეჯახა. დარეტიანებული ბავშვისაკენ გავრბივარ, გულში ვიხუტებ და ვკივი გაუთავებლად, რადგან ის „ვიღაცა“ ოთახში შემომყვა და რაღაცას ბუტბუტებს:

— უკაცრავად, ბიძიკო, არ შეგეშინდეს. მე გალაკტიონი ვარ, გიორგისთან მოვედი...

ძალიან შემრცხვა.

— შენი შვილია? — მკითხა. დიახ-მეთქი, დაუუქნიე თავი.

— რა ჰქვია?

— თემური.

— იცი, რა სასახელო ვაჟაკი გაიზრდება? ყველას გვასახელებს. აი, მაშინ გაიხსენეთ გალაკტიონ ბიძია.

ბატონი გალაკტიონის სახელსა და მის ნათელ სულს მე, მაღლიერი დედა, მუდამ სანთელს ვუნთებ ხოლმე!

* * *

მარინა ყუბანეიშვილი:

იქ, სადაც ბარნოვის ქუჩა ვარაზისხევს კვეთს, ადრე ქალაქის ბოლო იყო. ხევის პირას ერთი პატარა, ლამაზი სახლი იდგა, ცნობილ კომპოზიტორს

თამარა შვეერზაშვილს ეკუთვნოდა. ერთი ოთახი ციციშვილებსაც ეკავათ. მათთან გალაკტიონი ხშირად სტუმრობდა. ამის მიზეზი უფრო ის იყო, რომ იგი სილამაზით გამორჩეულ ტასო ციციშვილს ეტრფოდა. ტასო და მარო ციციშვილები დედაჩემის — ხახე ანდრონიკაშვილის მამიდაშვილები იყვნენ. თვითონ დედაჩემი გალაკტიონს შორიდან იცნობდა. ერთხელ ოპერის თეატრში შემთხვევით შეხვდა მას. პოეტის ყურადღებანი მოკითხვით დაბნეულმა დედაჩემმა პასუხად რაღაც სისულელის თქმა-და მოახერხა:

— აბა, მე რა მოსაკითხი ვარ. ეს თქვენ... თქვენ ისეთი კარგი ხართ, თქვენ პოეტი ბრძანდებით—

ოპერიდან დაბრუნებლმა ყველაფერი მამიდაშვილებს უამბო.

არ გასულა ერთი კვირა და გაზეთში დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „სახლი ტყის პირად“.

*მეცავაზობდით თუ ვაქვით
და ამითაზობდით თორღობით*

*თქვენ ისეთი ვაქვით ხარ
თქვენ თორღობით ხარაქობით. —*

* * *

ნუგზარ ცინცაძე:

„კომუნისტის“ რედაქციის სასადილოში ერთ მაგიდას უზის გალაკტიონი ორ ახალგაზრდასთან ერთად. სვამენ ლუდს, არაყს, აყოლებენ ლობიოს. გალაკტიონი წამოდგა, კარგად შემთვრალი დახლთან მივიდა, გრძელი პალტოს უბეში ხელი ჩაიყო.

— გადახდაზე ნუ შეწუხდებით, — გაისმა მაგიდიდან.

— თქვენსასაც მე გადავიხდი, მე მილიონური ვარ! — ამ სიტყვებით ორდენი ამოიღო, ლუდჩარჩენილ კთხაში ჩააგდო და ჩქარი ნაბიჯით გარეთ გავიდა.

თანამესუფრე ქუჩაში ძლივს დაეწია და ორდენი დაუბრუნა.

* * *

ნოდარ ანთელიძე:

53 თუ 55 წელია. ასე, 15-17-სა ვიქნებოდი. თერიმეტსართულიანის ქვეშ „ზაკუსონაიაში“ გალაკტიონი ხშირად მოდიოდა. ერთ დილასაც ფეხბურთს ვთამაშობთ სახლის ეზოში და დავინახეთ, იქვე, წრიულად დადგმულ სკამებზე

გალაკტიონი წევს გამოტილი, ფეხსაცმლებგაზდილი. ეტყობა, ხმაურმა გამოაღვიძა. წამოჯდა, პიჯაკის ბორტზე ხელით რაღაცას ძებნა დაუწყო. (მაშინ ლენინის ორდენს ჩამოსაკიდი არ აქონდა, „რეზბით“ მაგრადებოდა). ბორტზე აღარაფერი ეკეთა. ხელი ჩაიქნია, წამოდგა და გზას გაუყვა.

* * *



გურამ ნიკოლაძე:

იაკობ ნიკოლაძე გალაკტიონის პორტრეტზე მუშაობს. მოგეხსენებათ, როგორია დიდხანს მოდელად, გაშეშებული ჯდომა. გალაკტიონს მოუსვენრობისგან ქვედა ტუჩი უთამაშებს. იაკობი ხელში იღებს ლენინის ბოთლს. გალაკტიონი ჩერდება, მაგრამ ცოტა ხნით. იაკობი ლენინოს ჭიქაში ასხამს და ხელში უჭირავს. გალაკტიონი წყნარდება. იაკობი ჭიქას დგამს და მუშაობას განაგრძობს: გალაკტიონს ისევ მოუსვენრობა ეტყობა. იაკობი აწვდის ლენინით სავსე ჭიქას. გალაკტიონი ამბობს ლამაზ სადღეგრძელოს და ჭიქას ცლის. ახლა იაკობს შეუძლია მშვიდად იმუშაოს პორტრეტზე.

* * *

ლია მიქაძე:

რკინიგზის მე-8 საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოწაფეები ვიყავით, როდესაც ბატონი პროკლე ტაბიძე მოგვეკვლინა ქართული ლიტერატურის მასწავლებლად. საოცარი პიროვნება იყო, მაღალი, სანდომიანი სახის, კეთილი, მოსიყვარულე თვალებით.

ბატონი პროკლე ბევრს გვიყვებოდა თანამედროვე მწერლებზე, ერთ დღეს კი გალაკტიონზე დაგვიწყო საუბარი. თვალები გაგვიფართოვდა. ჩვენს სამეუღლს — მე, ლია შარაშენიძესა და დალი ჭელიძეს, მიუხედავად იმისა, რომ პატარები ვიყავით, განსაკუთრებით გვიყვარდა გალაკტიონის პოეზია. ქუჩაშიაც, პლენარის პროსპექტზე (ჩვენი სკოლა იქ მდებარეობდა) ხშირად ვხვდებოდით, უკან მივდევდით, მაგრამ მიახლოებას და დალაპარაკებას ვერ ვებედავდით.

ახლა გავიგეთ, რომ ბატონი პროკლე დიდი პოეტის ძმა იყო, ეროვდ ცხოვრობდნენ იმ სახლში, რომლის სადარბაზოდვეც არაერთხელ მივიცილებია გალაკტიონი. როცა ბატონ პროკლეს ყველაფერი ეს მოუყვებით, გული აუჩუყდა, დაგვირდა, აუცილებლად წავიყვანთ სახლში და გალაკტიონს გაგვაცნობთო.

მახსოვს, შაბათი დღე იყო, როდესაც ბატონმა პროკლემ გაგვაფრთხილა, გაკეთილების შემდეგ დამელოდეთო. მღელვარებას და აღტაცებას ვერ ვმალავდით. როდესაც პოეტის ოთახში შევედი, იქ არაეინ დაგვხვდა. ბატონმა პროკლემ დავდომა შემოგვთავაზა, მერე ოთახში გავიდა და ცოტა ხანში გალაკტიონთან ერთად დაბრუნდა.

ზუსტად მახსოვს, ტანთ შავი შარვალი და ღია ფერის პერანგი ეცვა. საოცარი თვალები ჰქონდა, თითქოს სითბო იღვრებოდა ჩვენს გარშემო. ყველას თავზე ხელი გადაგვისვა, მერე სკამზე ჩამოჯდა და ჩვენც მის გარშემო მოეკალათდით. სახელი და გვარი გვიცხნა, შშობლების ეინაობით დაინტერესდა. როცა ეუთხარი, მამა 1937-ში დააპატიმრეს-მეოქი (მამინ გერ კიდვე ტროცკისტის შვილის იარლიყით დავდიოდი), ჩამიხუტა და შუბლზე მაკოცა: „ნუ გეშინია, გეთაყვა, ყველაფერი კარგად იქნება. თავი არავის დააჩაგვრინო!“

გამოგვიცხნა, როგორ ვსწავლობდით. როცა გაიგო, რომ სამივეს ყველაფერზე მეტად პოეზია გვიყვარდა, ლექსების კითხვა დაიწყო.

ცხოვრებაში არ დამავიწყდება ეს დღე! დიდი გალაკტიონი თავის ლექსებს გვიკითხავდა! თვალები მილულა და დაიძრა ჯადონური სტრიქონები. საოცარი მუსიკა იყო ყოველ სიტყვაში— სულგანბულნი ვუსმენდით. ვინ დაგვიჯერებდა, რომ თვით ბუმბერაზი გალაკტიონი გვიკითხავდა სამ პატარას თავის ლექსებს!

მეორე დღეს ბატონმა პროკლემ გვითხრა, ისე მოეწონეთ ჩემს ძმას, რომ მთხოვა, ხშირად მოიყვანე ეს ბავშვები, მათთან ურთიერთობამ საოცარი შეგრძნება დამიტოვაო. სიხარულით მეცხრე ცაზე ვიყავით. ასეთი შეხვედრა რამდენჯერმე განმეორდა.

* * *

ნანა ჭიჭინაძე:

1950 წლის 18 აპრილს ჩვიდმეტი წლისა შევსრულდი. ღამის თორმეტი საათი იქნება. ირეკება ხარი და შემოსავლელ კარებში დგას... გალაკტიონი! თან ჩემი თავხეხილადებული თავყანისმცემელი და მისი მეგობრები მოსდევენ.

ჩემს სახლთან ახლოს, შეროზიას კუთხეში ღვინის სარდაფი იყო. ეტყობა, იქ ნახეს სათაყვანებელი პოეტი და დაატივეს, რომ ჩემს დაბადების დღეზე შემოედწიათ. რასაკვირველია, ყველა შემოიპატივეს, მე კი, ჩვენებისგან განსხვავებით, აღშფოთებას ვერ ვმალავდი.

გალაქტიონი სუფრაზე ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე ხელი ასწია და დაუპატივებელ სტუმრებს ხელმწიფურად მიუთითა კარებისაკენ:


— თქვენ, შოფრებო, წადით!

ეს სიტყვები რამდენიმეჯერ ისე დაბეჯითებით გაიმეორა, რომ ჩემი თაყვანისმცემელი თავის ამალით იძულებული შეიქნა, წამომდგარიყო. ერთი ცდა მაინც სცადა, გალაქტიონიც თან წაეყვანა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო.

მათი წასვლის შემდეგ გალაქტიონი ჩემს დედ-მამასთან მშვიდად საუბრობდა, რაზე — აღარ მაგონდება. ერთი კი დამამახსოვრდა, გაკვირვებული იყო დედაჩემის — თინათინ ბალანჩივასის სილაშაზით, ამბობდა, ასეთი ლამაზი ქალი რატომ არსად დამინახავს ქალაქშიო. დედაჩემს საზე უბრწყინავდა.

გავიდა რამდენიმე ხანი, დაღლილ პოეტს საეარძელში ჩაეძინა. დედამ პლედი დააფარა და ყველანი დასაძინებლად წავედით.

დილას საეარძელი ცარიელი დაგვხვდა. არავის გაგვიგია, როდის გაიღვიძა გალაქტიონმა, რიჯის წაეიდა.



თენგიზ მირზაშვილის ნახატი

* * *

გივი ლომიძე:

1948 წლის გაზაფხულია. მეხუთე ნომერი ტრამვაი დღევანდელი ფილარმონიის შენობის წინ გაჩერდა, უკანა კარიდან გალაქტიონი ამოვიდა. ხალხი შეფარული ცნობისმოყვარეობით თვალს ადევნებდა მის ყოველ მოძრაობას.

— ბატონო გალაქტიონ, დაბრძანდით! — წამოდგა ერთი ახალგაზრდა, ეტყობა, სტუდენტი.

— მიცნობ, ძამიკო, მიცნობ?... გმადლობთ, გმადლობთ... — თითქოს მოულოდნელობისგან განცვიფრებულმა, სიხარულნარევი ხმით წარმოთქვა და წამიერად მგზავრებს თვალი მოავლო.

შეთავაზებულ სკამზე არ დამჯდარა, წინ წავიდა, ტრამვაი უნიკერსიტეტს უახლოუდებოდა. გაჩერებაზე ჩამოვედი. გალაკტიონმა გზა განაგრძო. გონებიდან არ მშორდებოდა მისი სიტყვები — „მიცნობ, ძამიკო, მიცნობ?“

*

მგონი, 1955 წლის დეკემბრის თოვლჭყაპიანი საღამო იდგა. მწერალთა კავშირში რაღაც საზეიმო ღონისძიება ტარდებოდა. გალაკტიონი სხდომათა დარბაზის გვერდითა ოთახში, კართან იჯდა. სკენაზე გამოვიდა ცნობილი მოძღვრული ეკატერინე სოხაძე, რომელმაც შეასრულა რომანის „მთაწმინდის მთვარე“. როცა დარბაზს მოეფინა სიტყვები: „რომ აჩრდილნო, მე თქვენს ახლოს სიკვდილს ვეგებები, რომ მეფე ეარ და მგოსანი და სიძღვრით კვკვები“... უეცრად ყრუ ქვითინი მოისმა. დარბაზის მარცხენა მხარეს, პირველ რიგში მჯდომი გიორგი ლეონიძე სწრაფად წამოდგა და გვერდით ოთახში გავიდა. სულ მალე ქვითინი ვესტიბიულში გაგრძელდა.

„კარგი, გალაკტიონ, არ გინდა...“ — გვესმოდა, როგორ ცდილობდა გოგლა თავისი ბუხუნა ხმით გალაკტიონის დამშვიდებას. ყველა სმენად ქცეულიყო, მაგრამ გარეთ არავინ გასულა. ცოტა ხნის შემდეგ ბატონი გიორგი თავის ადგილს დაუბრუნდა. კონცერტი გრძელდებოდა.

*

ზაფხულის ერთ საღამოს წყნეთში მივებგზავრებოდი. მიკროავტობუსი პირამდე იყო სავსე. ბოლო რიგში ძალზე ვიწროდ იჯდა გალაკტიონი. განუყრელი პორტფელი მუხლებზე ედო. მის ზურგს უკან საბარგული მოაგარაკებისა და ბაზრობიდან დაბრუნებული წყნეთელების კალათებით, ფუთებით, ჩანთებითა და ყუთებით იყო გამოტენილი, ბარგი პირდაპირ მხრებზე ეხებოდა, ის კი იჯდა ამ ბარგში ჩაფლული შვიდად, უდრტინეულად და დაფიქრებული გასყურებდა შორეულ სივრცეებს.

დავით კიკნაველიძე:

ოცდაერთისა ვიქნებოდი, 1951 წელი იყო.

იმ დილას სოფლიდან გამოვზავნილი ფული მომიტანეს მივდივარ სამხატვრო აკადემიაში, ლექციაზე ვიბეძე — ფულით, სახეზე — კმაყოფილი ღამილით მთელი ქვეყანა ჩემი მგონია. რუსთაველის ძველთან გალაკტიონი შემვჯდა ვიცილი, დააღუპა უყვარდა და დააბრუნებდაზე „წაიფილო, ბიძიკო“, უცებ დამეთანხმა. მოულოდნელად საიდანღაც ჩვენს გვერდით ვარლამ ჟურულიც გაჩნდა. იქვე ახლოს სასაუბრეში

ჩველით დიდი კრძალებითა და შორიდებით ეუსმენდი ყოველ სიტყვას, სმამი კი ტოლს არ ეუღლებოდა მოკლედ, სამიჯენი მაგარი მიუგრალები ვიყავით, გრიბიულოვის ქუჩაზე რომ აღმოქონდით გადათხრილი ასეაღტის გაყოლებაზე ჩასაწყოზად გამზადებული კაი მსხვილი მილები იყო. რომელი როგორ წამოვედეთ ამ მილებს, აღარ მახსოვს, ეს კია, თავი ვეღარ შევიკავეთ და სამიჯენი ორმოში ჩაუკვივდით, თან ეთომ წამოდგომას და ერთმანეთის მიშველებას ვცდილობდით. მოკლედ, გალაკტიონს, ვარლამ ჟურულს და მე ჩახუტებულებს გვეძინა იმ ორმოში, ვიდრე ეილაც მილიციონერს კაცები არ მიეხმარნენ და იქიდან არ ამოგვიყვანეს.

სამივე რომ დაგეტუქსეს, მახსოვს, მაგრამ მერე ერთმანეთს როგორ დაეცილდით, ვეღარ ვიხსენებ.

*

კოლმეურნეობის მოედანზე ერთი ლუდის გამყიდველი იყო, სახელად აბესალომი. ერთხელაც ვდგავარ აბესალომთან და ეუსმენ, როგორი სიღინჯით ქვეება თავისი სამაყო ვეარის ისტორიას. უეცრად სიცილი აუტყდა და „გაიხედე, გაიხედე, ვინ მოდისო“, მითხრა.

ჩვენსკენ გალაკტიონი მიდიოდა.

აბესალომმა სასწრაფოდ დაიწყო ახალი კათხის აესება. ლუდი ქაფად გადმოდიოდა, ის კი მაინც ასხამდა და ასხამდა. გალაკტიონმა კათხა უსიტყვოდ გამოაცალა ხელიდან და მოიყუდა. წვეთები წვერზე წურწურით ჩამოსდიოდა, დაცალა და მიაწოდა:

— კიდევ დამისხი, ძამიკო!

აბესალომი კვლავ იცინოდა. მერე კათხაც ისევე აუვსო.

დაეიბოდმე მელუდებზე: როგორ ბედავდა დიდი გალაკტიონის დაცინვას! გალაკტიონმა ეს კათხაც გამოაცალა, „გმადლობო, ბიძიკოებო“, მიტრილდა და წავიდა.

აბესალომმა სიცილს უმატა. ეუსაყვიდურე:

— რომ იცოდე, ეს კაცი გენიოსია. შენი დასაცინი რა სჭირს!


— ვიცი, გენიოსია, მაგრამ იმაზე მეცინება, რომ გენიოს კაცს ფული არა აქვს. ორი წელია, უფასოდ ვასმევ.

1957 წელი იყო. გალაკტიონი უკვე ვეღარ მცნობდა.

*

ერთ დღეს ცეკას გამოძეგლობასთან მოქანდაკე ვახტანგ (ბუკუ) მანჯაკიძე შემხვდა აღუღებულო, ხუთი წუთის წინ ძლივს გამოვექეცი გალაკტიონსო. თურმე რა ყოფილა:

ბუკუ თავის ეზოში, ფიქრის გორაზე, თაბაშირის მასალაში შესრულებულ რამდენიმე პორტრეტს „პატენს“ უკეთებდა. ჩამოუვლია გალაკტიონს, ღია ჭიშკრიდან დაუნახავს თავისი პორტრეტი და უთხოვია: „თუ შეიძლება, ბიძიკო, მათხოვე ეს ქანდაკება ხვალ საღამომდე უნივერსიტეტი შეხვედრას მიწყოზს და იქ მჭირდებაო“. ბუკუმაც გაატანა. მერე საღამოს გალაკტიონმა ქანდაკება



დაბრუნა პატრონმა ვახშამიც გაუმართა ყველაფერი თითქოს კარგად იყო. ბუცუს უფიქრია, ნასვამია გალაკტიონი და ჯობია, გაეცილოო ვერა მშვიდად გამოუვლიათ, ელბაქიძის დაღმართზე რომ ჩალოდნენ, გალაკტიონს უცებ უკითხავს მენ რატომ მომყვები, ბიძიკო? უნდა გამძარცვო? და დაუსწყია ყვირილი: „მილიცია, მილიცია!“

ბუცუსაც რაღა დარჩენოდა, გამოქცევით უშველა თავს.

* * *

დიმიტრი ახვლედიანი:

წყნეთში გალაკტიონის აგარაკის გვერდით ცეცხოვრობდით. ყოველ დილას აივანზე დიდხანს, გაუნძრევლად იდგა, ან ღრმა ფიქრებში წასული, სკამის თავს დაყრდნობილი აკეანივით არწევდა მას.

თავიდან ვესალმებოდი. მერე მივხვდი, ამ დროს ვერავის ამჩნევდა და მეც მივეჩვიე უსალმობას. უხმოდ ვუცქერდი ხოლმე.

მოგვიანებით, უკვე თბილისში, მე და ჩემი პატარა ბიჭი ელიჩკა ახვლედიანთან ვიყავით. უეცრად ეზოს მხრიდან გალაკტიონი შემოვიდა. გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— ლეინო გაქვს, გოგო? — ჰკითხა სტუმარმა.

— არა მაქვს, მაგრამ ახლავე გაეაჩენ. ამ სიტყვებით ელიჩკამ მე გადმომხვდა და იქვე, ვერის ბაზარში კახელ ვალიკოსთან გამგზავნა.

გალაკტიონმა რამდენიმე ჭიქა მიირთვა, ყველა დაგვლოცა, სტუმარ-მასპინძელმა ერთად წაიღიღინეს კიდევ. შერე მოლბერტს შეატყურდა:

— კახეთია? კარგი გამოდის... კარგა ხანს უცქირა და ისევ ელიჩკას მიუტრიალდა:

— რალაც ვერა ეხედავ შენს დანაპირებ სურათს, რაო, ვერ გაიმეტე ჩემთვის ვერაფერი? შენი საჩუქრები მთელ თბილისშია გაბნეული, მე კი კედლები ცარიული მაქვს.

— მეც კარგად მახსოვს შენი დანაპირები ლექსი, მაგრამ რალაც არც ის ჩანს.

პასუხად გალაკტიონმა უმაღ ქალაღდის პატარა ნაგლეჯზე ოთხსტრიქონიანი შარჲი მიაწერა. მახსოვს, მხიარულად ჟღერდა, მაგრამ ახლა აღარ მაგონდება.

ელიჩკამაც აღარ დააყოვნა, ხელის რამდენიმე მოსმით მისი კარიკატურა შექმნა. გალაკტიონი კმაყოფილი ჩანდა. დასცქეროდა ნახატს და უკვირდა:

— გოგო, ასე როგორ დიჭირე ეს ყველაფერი, ამას მე თვითონ ვერ ვაჰჩნევდი ჩემს გარეგნობაში... წასვლისას ბრძანა, იმედი მაქვს, კახეთის პეიზაჲს მე დავისაკუთრებო.

როგორც ვიცი, ელენემ დანაპირები შეუსრულა.



.. * * *

გიორგი ცოცანიძე:

სტომატოლოგი ლიზიკო კობალაძე ოთხმოცს გადაცილებულია. ნალამაზარი ჩანს. ძლიერ მსუქანია, ძლივს დადის, შავი თვალები კი მაინც ახალგაზრდული აქვს, ბებრული გაცრეცილობა-გამოხუნებულობის ნატამალიც არ ეჩნევა, რბილია, თბილი, ხავერდოვანი.

სკამზე რომ დაგვავსს, შენი წამოდგომა იმაზე აღარ არის დამოკიდებული, რა დრო სჭირდება კბილის მკურნალობას. თუ გარეთ მეტი აღარავინ ელოდება, დალუპულია შენი საქმე. სადაც გინდა გეჩქარებოდეს, დაგვიანებით ხომ დაგვიანებ და, შეიძლება, ნანატრი პეშანიც კი ჩაგეშალოს.

ერთხელაც, სკამს რომ მომარგო და თვითონაც მოემზადა სამკურნალ-სასაუბროდ, მეკითხება: თქვენ ხომ არ იცით გალაკტიონის ასეთი ლექსი — „ქალი სალაროში“, დაბეჭდილი ხომ არ შეგხვედრიათ სადმეო.

ვერ გავიხსენე არც ახლა ვიცი.

ჰოდა, იმ ექიმმა ლიზიკომ — ლამაზთვალემა და სიტყვაპრავალმა ქალბატონმა — მიამბო:

16-17 წლისა ვიქნებოდი, მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში სავაჭრო კურსები გავიარე და საკანცელარიო მაღაზიაში მოლარედ დაიწვე მუშაობა. ერთი ახალგაზრდა კაცი ყოველდღე შემოვიდოდა, ფაცი-ფუციით პატარა რამეს — ფანქარს, საშლელს, კალმის წვერს იყიდდა, დიდ ფულს დაგდებდა და გავარდებოდა. გამოვეკიდებოდი, ხურდა, ბატონო, ხურდა დაგავიწყდათ-მეთქი და, მე არაფერი დამვიწყებია, დადექი შენს ალაგას, იმუშავეო, — მომძახებდა.

ერთხელაც ჩვეულებრივ შემოვარდა, მაგრამ არაფერი უყიდა. ხელში ფურცელი ეჭირა, დახლზე დააგდო და გავარდა. ავიღე, დავხედე, ლექსი იყო. სათაურად „ქალი სალაროში“ ეწერა, მე შეძენებოდა. ისე ვყავი დახატული, იმის ნახევარიც რომ ეყოფილიყავი, მზეთუნახაობას არაფერი დამიკლდებოდა.

ღირექტორი გამოვიდა და რა არისო, მკითხა. აი, იმ გიჟმა ლექსი დამიწერა-მეთქი. ეგ გიჟი კი არა, პოეტი გალაკტიონ ტაბიძეაო. ამ სიტყვებით ლექსი გამომართვა, წაიკითხა, მერე სხვამ გამომართვა, იმ სხვას კიდევ სხვამ და ამასობაში ველარ დავიბრუნე. მას აქეთია, იმას კექებ, კექებ... ვერც სადმე დაბეჭდილი ვნახე, ვერც ვისმე ისეთს შევეყარე, გაგონილი რომ ჰქონდეს.

* * *

გიგო ბუაჩიძე:

ზემო წყნეთში, იფნის ბაღში პატარა აგარაკი ჰქონდა. იქ ყოფნა უყვარდა. ყოველ შეხვედრაზე წყნეთელ არტუას ასე ესალმებოდა:

გამარჯობა, ჩემო არტო!
ზომ არ შევსვათ თითო კვარტო?!

* * *

თორნიკე კოპალეიშვილი:

ბიძაჩემი ვანო კაკაბაძე ორმოცდაათიან წლებში ლიტერატურული მუშეუმის ღირექტორი იყო. მისი წყალობით ბევრ საინტერესო პიროვნებას შევხვედრივარ, მაგრამ გალაკტიონის ხილვა მაინც სხვა იყო.

1958 წელია. ბიძაჩემთან გამგზავნეს დაეალებით. სასტუმრო „თბილისთან“, ჯორჯაძის ქუჩის კუთხეში მოკვარი თვალი, ვიღაც ახოვან, წვერებიან კაცს ელაპარაკებოდა. იმ კაცს ტყავის გაცვეთილი ჩანთა ეჭირა ხელში. მე შორიანხლო

გაიქერდი. დაველოდე ბიძაჩემსა შემაძნია და ხელით მიმიხმო.

— გაიცანი, გალაკტიონ, დისშვილია ჩემი.

— ოჰ, კაი ბიჭი ჩანს! გალაკტიონ ტაბიძე, ძამიკო, სახალხო პოეტი. თქვენი სახელი?

— თორნიკე, — დარცხვენილმა მიუუგა.

— ოჰ, სახელიც კარგი გქონია, — მითხრა მან და ჩემი ხელი მის დიდ ხელში მოუქცა.

მათი საუბრიდან გავიგე, რომ მეორე დღეს მწერალთა კავშირში გალაკტიონის საღამო ეწყობოდა. პოეტი კმაყოფილებას ვერ მალავდა რამდენჯერმე გახსნა ჩანთა და რალაც ქაღალდებს უფრიალებდა ბიძაჩემს წინ. მათი საუბარი რომ შეწყვეტა, მე მომიბრუნდა და მკითხა:

— პოეზია გიყვართ, ძამიკო?

— დიახ, — მიუგე მე თუმცაღა მაინცადამაინც არ ვგიუღებოდი მაშინ.

— აბა, გვესტუმრეთ ხვალ ჩემს საღამოზე.

გალაკტიონმა ჩანთა გახსნა, მოსაწყვევების დასტა ამოიღო და ერთი ცალი გამოიწვირა.

— მოკიდდე, ბიჭო, ხელი და მოდით შენ და გულიკო მწერალთა კავშირში ხვალ, — მითხრა ბიძაჩემმა.

საღამოზე მე და ჩემი ბიძაშვილი პირველ რიგში ვისხედით და გალაკტიონს უესმენდით.

*

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რუსთაველის პროსპექტის ერთ-ერთი „ბირთის“ აქტიური წევრი გახსდით. იშვიათი იყო ისეთი დღე, გალაკტიონი არ მენახა — ქუჩაში მიმავალი, ჭადარზე მიყრდნობილი, „დარიალში“ ჩამავალი, „დარიალიდან“ ამომავალი, შუა ტროტუარზე შეჩერებული და ცაში მაცქერალი, მობუტბუტე, რესტორანში მარტო მჯდომი და ხმაძაღლა მოლაპარაკე არ ყოფილა შემთხვევა, ვინმესთან ერთად მენახის. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს არავინ კადრულობდა მის გვერდში დგომას, ყველა გაურბოდა. ხშირად ბიჭ-ბუჭების შეძახილებიც მომისმენია: — გალაკტიონ! გალაკტიონ! ეს ისე, გიჟს რომ გააჯავრებენ ხოლმე ბავშვები.

ერთხელ 8 ნომერი ტროლეიბუსით ვაკისკენ მივდიოდი. იმხანად ტროლეიბუსში ასეღა მხოლოდ უკანა კარებიდან შეიძლებოდა, ჩამოსვლა — წინიდან. ვერის ბაზართან ხელბარგით დატვირთული რამდენიმე ქალი ამოვიდა. ტროლეიბუსში ტყეა არ იყო. მე შუა გასასვლელში ვიდექი სახელურს ჩაბლაუჭებული. შემდეგ გაჩერებაზე ერთადერთი კაცი იდგა — წვერიანი, შლიაბით, ტორტმანებდა. ბაზრიდან მომავალმა ქალმა, რომელსაც ორივე ხელში ბარგი ეკაეა, იმის შიშით, გაჩერებას არ გავცდევო, ნერვიულად გაარღვია გასასვლელში მდგომი ხალხი და წინა კარებს მიუახლოვდა. ამ დროს გაჩერებაზე მდგომმა კაცმაც წინა კარებიდან სცადა ამოსვლა და



გალაკტიონი და ვანო კაკაბაძე

ჩამსვლელ ქალს წინააღმდეგობა შეუქმნა. „ჩათრიე, შე ოხერო, სად მოეირ-
ევი“, — იყვირა ქალმა და კიბეზე მდგომ კაცს მუხლი აკრა გულისპირში.
მაშკაცმა ხელი უშვა სახელურს და ტროტუარზე გულაღმა დაეცა, შლიაპა
ქუჩაზე გაგორდა. ნერვიული ქალბატონი ტროლეიბუსიდან ბორძიკით ჩაე-
იდა და დავარდნილ მამაკაცს წვეველა და ფურთხი მიაცილა. ვიცანი მგოსანი.
ხალხის ნაკადი ვერ გავარღვიე.

— გალაკტიონია! გააჩერეთ! — ვიყვირე მე, — გალაკტიონია!
ტროლეიბუსი გაქანდა, ხალხი დუშდა.

* * *

ჯონდო გეასალია:

1955 წლის გაზაფხულია. გამოვედი უნივერსიტეტიდან და ჩავევექი
ავტობუსში, რომელიც ბაგებში მიდიოდა. უზივარ წინა სკამზე, მივიხედე
გვერდით და წვერიან მამაკაცში შევიცანი გალაკტიონ ტაბიძე, თვისონ
გალაკტიონი! ისე მოულოდნელი იყო ეს შეხვედრა, რომ შეეცბი და ფეხზე
წამოვიჭერი. გალაკტიონი მიხვდა ჩემი შეკრთომის მიზეზს, აღერსიანად
გამიღიმა და მითხრა: „მიცანი ხომ, ძამიკო? დაჯექი“.

დავევექი სკამზე და მონუსხულივით შევექეროდი დიდ პოეტს. „მიცანი

დღეის ბაზრის...

ხომ?" — კვლავ გაიმეორა გალაკტიონმა და განაგრძო: „ჩემს ლექსებს კითხულობთ, არა?" მე ვუპასუხე: „რა თქმა უნდა, ბატონო გალაკტიონ, თქვენ ჩვენი უსაყვარლესი პოეტი ბრძანდებით“.

— კო, ძამიკო, თუმცა სხვა ვინ უნდა იკითხოთ, საქართველოში არაა სხვა პოეტი.

გამახსენდა გალაკტიონის ორი ლექსი, მიძღვნილი ი. გრიშაშვილისადმი და ანაზღაურად მიუგუე პოეტს:

— რატომ, ბატონო, განა გრიშაშვილი არაა პოეტი?

გალაკტიონს სახე მსწრაფლ შეეცვალა და მითხრა:

— ახალგაზრდავ, გრიშაშვილი რა პოეტია, გრიშაშვილი ჩემთან რა სახსენებელია — და სტუდენტულაქის გაჩერებაზე ჩამოვიდა.

მე გაოგნებული ვიყავი. იმ პერიოდში გრიშაშვილი მართლაც მომწონდა და გალაკტიონთანაც გულწრფელი ვიყავი.

* * *

ღვეი კახოძე:

— ბაბო, ის როგორ იყო, გალაკტიონი რომ ნახე?

— კოო, ომის შერე გლდანთან მაღაქნების ბაზარში რძე-მანონი დამქონდა. ერთ დილასაც, ვხედავ, მამადგა ერთი შუა ტანის, წვერებგაბურძენული კაცი, ერთი ბანკა მანონი იყიდა, იქვე კიბეზე ჩამოჯდა და დაუწყო ჭამა.

— კოვხით?

— კოვხით არა, ჯანდაბა! იგრევე, მიყულებით. მორჩა ჭამასა, ადგა და წავიდა. ბაზრის კონსტროლიორმა მითხრა, ეგა, იცი, ვინ იყო? — გალაკტიონ ტაბიძეო.

— ქილა დაგიბრუნა?

— დამიბრუნებდა, მა რა! რო არ მოეცა, დამახსოვდებოდა.

* * *

მერი გუგუშვილი:

1952 წელია. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩავირიცხე. ერთ პარასკევსაც ინსტიტუტში ვარ, ვხედავ — დერეფანში ბოლთას სცემს გალაკტიონი! ის პოეტი-აკადემიკოსი იყო, ამიტომ ზოგჯერ სამეცნიერო საბჭოს სხდომებს ესწრებოდა პოეტმა, ეტყობა, შეაშინა ჩემი ალტაცებული მზერა, მომიახლოვდა და — აქ რად დგახარო? — მკითხა; მერე თვალბში ჩამხედა და — რა გქვიაო? — ახლა ამით დაინტერესდა. მოარცხვად მივუგე, რომ მერი მერქვა.

— ალბათ, შენც ვინმეს შორეული მერი ხარ, — თქვა მან, — მეც მყავდა ჩემი შორეული მერი...

ეუთხარი, რომ ზეპირად ვიცოდი მერისადმი მიძღვნილი მისი ლექსები. ეს იამოვნა. გასასკლელისკენ წამიყვანა და მოულოდნელად შექმობიაკაზა:

— არ გინდა სახალხო პოეტთან ერთად გასეირნება? ძალიან-მეთქი, — ამოვიღულულულე. მაშინ — წავიდეთო.

ლიტერატურის ინსტიტუტი იმ დროს მუცნიერებათა აკადემიის ძველ შენობაში იყო, ძერეთისკის — ახლანდელ პავლე ინგოროყვას — ქუჩაზე. ჩამოვედით მოედანზე. გავედით რუსთაველის პროსპექტზე. კიდევ თუ იციო ჩემი ლექსები? ეუთხარი, რომ ახლად გამოსული „ასმანეთიანი“ წიგნიდან ბევრი ლექსი ვისწავლე ზეპირად.

ძალიან ნელა მივდიოდით, მაგრამ გალაკტიონს შანც შეეცყო დაღლა. მიიხედ-მოიხედა, სკამი ვერსად შეამჩნია და თქვა: — სახალხო პოეტი დაიღალა. რატომ არ დაუდგეს გზაზე სკამი?!

პოეტი სახლამდე მივაცილე და როცა სადარბაზოში გაუჩინარდა, სასწრაფოდ გავეკარდი, ახლობლებისთვის რომ მეამბაო ჩემი „თავგადასავალი“.

გალოკტიონ-ს ქართული
საქართველოს სახალხო პოეტი.

გალოკტიონ-ს ქართული
საქართველოს სახალხო პოეტი.

* * *

დემიტრი ერისთავი:

ვიღაცამ მიაშობო: გამოვიდა გალაკტიონი სახლიდან, მარჯანიშვილზე. დაინახა ბიჭი, რომელიც ქუჩის გადაღმა პაპიროსს ყიდდა. ამოიღო „პრიმის“ ცარიელი კოლოფი და ფანქრით მიაწერა:

მეპაპიროსე ბიჭო,
მეპაპიროსე ბიჭო,
შენთან გადმოსელას მიჯობს
ას კილომეტრზე კროსი.
მეპაპიროსე ბიჭო,
მომეცი პაპიროსი!

დღმა ბათიაშვილი:

1959 წელი. ვზივარს გიგა ლორთქიფანიძის ლექციაზე მე და გელა კანდელაკი წინა დღის ნაქეფრები. უცებ გიგამ აგვაყენა და გკეუბნება:

— თქვენ არაფრის მომსმენები არა ხართ. აი, თქვენ ფული, ოც მანეთამდეა. წადით და „პახმელიაზე“ გამოდით. ოპერის გადაღმა, მარჯვნივ რომ „ზაკუსონაიაა“, იქ შედით. ვიცო, ნაძყოფები იქნებით, კარგი ხალხი დადის, ბევრ საინტერესოს გაიგებთ— მერე, თუ ძალიან არ გაჩოთვერით, მოდით და გვიამბეთ, თუ არა და, ხვალ იცოს—

იმ დღეს ნიაზა დიასამიძის დაბადების დღე ყოფილა. ჰოდა, მოდის თურმე ჩვენი ნიაზა რუსთაველზე, თავის დაბადების დღეს წყველის და ხმამაღლა იგინება: „ნიაზ დიასამიძე, შენი...“ ვილაყ ჩამოსულებს გაუგიათ, ეტყობა, სახეზე არ იცნობდნენ და ბიჭო, შენ ვის აგინებო, ერთი მაგრად უფუფიათ, ასფალტზე დაუგდიათ და წასულან. საწყალი ძლივძლივობით წამომდგარა და „ზაკუსონაიაში“ შემოვიდა.

იქ გალაკტიონ ტაბიძე, ერთი რუსი, კიდევ ორი-სამი კაცი და ჩვენ ვიყავით.

რუსმა ლუღს თავი დაანება და გაკვირვებული ნიაზას მიუახლოვდა:

— Нияз Сулейманович, что с вами, кто посмел вас так изуродовать?

— Никто, шел я по улице и вдруг вижу, асфальт поднялся и так дал по морде... а потом приласкал...

გალაკტიონს გაელიმა:

— შენ, ბიბიკო, ასფალტი მაინც გეფურება... — არაყი გადაკრა, მერე ნიაზასთან მივიდა და თავზე აკოცა. ამ დროს ვილაყ ახალშემოსულმა ჰკითხა:

— ბატონო გალაკტიონ, როგორა ბრძანდებით?

პასუხად გალაკტიონმა ხელი გაშალა და წარმოთქვა:

და სხივი, რომელიც სარკმელთან გამრუდდა,
სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა.

მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:

— დალიეთ, გაცისკროვნდით, ოღონდ ნამეტანს ნუ გაცისკროვნდებით!



ვერის ბაღში, სკამზე ისხდნენ გალაკტიონ ტაბიძე, მუსიკოსი კოლა ქაშაკაშვილი და ვერელი ბიჭები, ცოტა სასმელი პქონდათ, ცოტაც — მისაყოლებელი. ბაღში შემოვიდა ერთი უცნობი ახალგაზრდა და გალაკტიონს მიმართა:

— ბატონო გალაკტიონ, უკაცრავად, რომ გაწუხებთ...

— ბრძანე, ბიძიკო, ბრძანე!

— გუშინ ჩვენს დიდ პოეტთან გახლდით და ჩემი ლექსები წავაკითხე. მითხრა, ეგ ლექსები დასაბეჭდილო და ხელიც მოაწერა, დაიბეჭდოსო. მერე მირჩია, კარგი იქნება, თუ გალაკტიონ ტაბიძესაც მონახავ და წააკითხებო.

— კი, ბიძიკო, წავიკითხავ, აუცილებლად წავიკითხავ, მაგრამ ვერ ვიგონებ, ვინ არის ეს დიდი პოეტი?

დაბნეულმა ახალგაზრდამ წაიღულულა:


— დიდი პოეტი... დიდი პოეტი...

გალაკტიონმა ბიჭებს მოავლო თვალი, მერე არაფი დაღია, ჭიქა დადგა და ახლა უკვე დაბეჯითებით თქვა:

— არ ვიცი მე მაგნაირი პოეტი... ერთის გარდა.

ყველას გაეცინა.

— ა, მომაგონდა, მომაგონდა, ბიძიკო! აი, ის მაღალ-მაღალი კაცი, მწერ-ალთა კავშირში რომ დაიარება ხოლმე — დაუმატა გალაკტიონმა თითქოს იმ ერთის დასამშვიდებლად.



დავით ნუბუთი ვერელი ბიჭებს
 ქაშაკაშვილს და ვერელს. მ. რაჭველი
 ქაშაკაშვილს მოსაყვარებელი ვერელი
 თუ მაგნაირი პოეტი მისი ახლები —
 ვერელი ბიჭები რაჭველი დიდი...
 მ. რაჭველი

*

გვიანი ღამეა. გალაკტიონი და ირაკლი ნანეიშვილი ერთად მიაბიჯებენ, ირაკლი ნიცშეზე საუბრობს.

— დიახ, დიახ, ბატონო ირაკლი, მართალსა ბრძანებთ, ფრიდრიხ ნიცშე დიდი ფილოსოფოსი იყო, დიდებული პოეტური თქმანი აქვს, — ეთანხმება პოეტი.

— „Ты, уединение! уединение!... ты истинно родина моя“, — ამბობს ირაკლი გატაცებით.

— რა დიდებული იქნება ეს გერმანულად! — ისმის გალაკტიონის სევდანარევი ხმა.

ირაკლი გერმანულად წარმოთქვამს ნიცშეს სიტყვებს.

ცოტა ხანს ჩუმად მიდიან. სიჩუმეს გალაკტიონი არღვევს:

— შემთხვევით, თქვენ ჩემი რომელიმე ლექსი ხომ არ გითარგმნიათ?

— დიახ, კცადე.

ირაკლი კითხულობს ფრანგულად თარგმნილ ლექსს „ამ ბნელი ღამით ვილაც დადის საქართველოში“.

— რა კარგად მეტყველებთ, ბატონო ირაკლი, დიახ, რა კარგად! — ალტაცებულია გალაკტიონი, შერე ხმადაბლა ამბობს:

— ცოტაოდენი ხომ არ დაგველია?

და გზას განაგრძობენ.

* * *

ინგა კალაძე:

უნდა ითქვას, რომ გამოჩენილი ადამიანების მოწვევის ტრადიცია კარგა ხნის დამკვიდრებული იყო ჩვენს სკოლაში (ვერიკო ანჯაფარიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი...), მაგრამ შეხვედრა თვითონ გალაკტიონთან!

როდესაც დადგა ნანატრი საღამო, ორი მოსწავლე გაგვიშვეს მანქანით სტუმრის მოსაბრძანებლად. დამამახსოვრდა — კართან მისულს ისე მიშლიდა ხელს საკუთარი გულისცემა, რომ ერთხანს ზარის დარეკვა ვერ მოვახერხე. კარი რომ გაგვიღო, შეგვიძღვა წიგნებით სავსე დიდ ოთახში, სადაც წიგნები იატაკზეც ეწყო მაღალ გროვებად. საზვიამოდ გამოწყობილი, ორდენით მკერდდამშვენებული გალაკტიონი ბოლთასა სცემდა, უფრო ზუსტად, რაღაც ნერვიულად წრიალებდა. მომეჩვენა, რომ ჩვენზე ნაკლებ არც ის ღელავდა.

— მობრძანდით, ბიძიკოებო, მობრძანდით! ნახეთ, რა ღლეში ვარ! წიგნები არსად მეტყუა, მთავრობა ბინას არ მაძლევს...

გზაში ცოტა დამშვიდდა. საღამო რომ დაიწყო, აშკარად გამოცოცხლდა,

ყველას ყურადღებითა და კეთილგანწყობით გვისმენდა.

ასეთ შეხვედრებზე მე ტრადიციულად შესავალი სიტყვა და საღამოს გაძლოლა შევალეობდა ხოლმე. ოფიციალური ნაწილის დასასრულს, კონცერტის დაწყებამდე, შესვენებისას, სტუმარი მომიახლოვდა, თავზე ხელი გადამისვა და: — ეს რა კარგი სიტყვა მითხარი, პატარა ქალო, გამატანეო. უღდა მეცა, გამახსენდა, რომ სრულიად უღაზათო, ჩასწორებებით აჭრელებული ქაღალდი მედო ჩანთაში (იმ საორგანიზაციო ფორიაქში გადათეთრება ვერ მოვასწარი). ვთხოვე, ახლავე გადაეწერ და მოგართმეეთ-მეთქი. — არა, სწორედ ეგ გამატანეო, — რაღაც ეშმაკურად ილიმებოდა. რაღას ვიზამდი!—

და ძალიან დიდხანს, წლების მანძილზე, მაშფოთებდა უხერხულობის განცდა იმ ბედკრული ფურცლის გამო, რომელმაც ერთგვარად გამიფერ-მკრთალა დღესასწაული (თითქოს ჩემს ნაწერს რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა!)—

* * *

თენგიზ ვაჩნაძე:

პიონერთა სასახლეში გალაკტიონს შეხვედრა მოუწყვეს. უზარმაზარი თაიგულიც მიაართევს. როცა პოეტი გარეთ გავიდა, მონუსხულივით გაეყვიე უკან. ქუჩა გადაჭრა და ქაშუეთის დაღმართზე ჩაუხვია. ერთგან შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, ყვაილები ურნაში საგულდაგულოდ ჩატენა და— სასაუბრეში შევიდა—



თენგიზ მირზაშვილის ნახატი

აკადემიური გამოცემის გამო

„გალაკტიონოლოგიის“ პირველ წიგნში საყურადღებოა რუსულან კუსრაშვილის მოგონება „როგორ ვმუშაობდი გალაკტიონის არქივზე“, საიდანაც ვგებულობთ, როგორ დაიკარგა (ალბათ, სამუდამოდ) პოეტის არქივიდან ჩანაწერების ერთი ნაწილი, ანდა როგორ ამოიღო დასაბუთებლად გამზადებული ტომებიდან მთავლიტმა იმ დროს აკრძალულ თემაზე დაწერილი ლექსები.

VII ტომშიც, რომელიც გამოუქვეყნებელ, უთარილო ნაწარმოებებს შეიცავს, ლექსები შერჩევით იქნა დაბეჭდილი (ეს აღნიშნულია ტომის წინასიტყვაობაში). სარედაქციო კოლეგიამ მოგვემართა ნოდარ აღანიას, გიორგი გაჩეჩილაძეს და მე, გაგვეცხრილა ტომში შესატანი ლექსები.

საერთოდ, ტომების შემდგენლები ხშირად მეკითხებოდნენ ტექსტის დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე, რომელთაგან ზოგს ითვალისწინებდნენ, ზოგს — არა.

მახსოვს, დაყენებით ვუმტყიცებდი II ტომის შემდგენელს, რომ ლექსში „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ უსათუოდ უნდა იყოს სიტყვა „ბროლისა“ („სიბღერები ხალისის და ბროლისა“), მაგრამ მანაც „ბროლის“ დატოვა, რომელიც თავდაპირველი ვარიანტიდან იყო, როცა ამ ლექსს „გვარდია“ ერქვა. ასევე არ დამიჯერა და ლექსში „მთ-

ისის ისრით“ სტრიქონები: „არ მებრალეა მე ჩემი მტრები / და ვიცი მტრობა“ ასე შეცვალა: „ო, მებრალეა მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა“, რაც უმართებლო კონიექტურაა. აქვე, მომდევნო ლექსში „ღამე, რა მოგივიდა“ თვითნებურად გადააადგილა ბოლო სტრიქონები.

ცალკეული ხარკვების ჩოუხედავად გალაკტიონის თირმეტრიუმების გამოცემა მნიშვნელოვანი საქმე იყო. ამის საფუძველზე იქნა შემდეგ შედგენილი „გალაკტიონის რთიმის ლექსიკონი“, „გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი“ და პოეტის არაერთი „რჩეული“.

რუსულან კუსრაშვილის მოგონება ამ თირმეტრიუმებს შეეხება, მაგრამ გალაკტიონის თხზულებათა აკადემიური გამოცემისთვის მზადება ლიტერატურის ინსტიტუტში უფრო ადრე დაიწყო.

პოეტის 1952 წლის ჩანაწერებში კვითხულობთ (XII, 430): „რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი მზადაა იკისროს აკადემიური გამოცემის ტექსტის დაშვალება (მაგრამ უჩემოდ ეს არ უნდა მოხერხდეს)“.

1958 წელს შეიქმნა კიდევ სარედაქციო კოლეგია სოლომონ ყუბანეიშვილის, დიმიტრი ბენაშვილის და ჩემი შემადგენლობით, რომელმაც განიხილა ვახტანგ ბაკაშვილის მიმზადებული

და ჩემს მიერ რედაქტირებული პირველი ტომი.


საინტერესოა, რომ ტომზე მუშაობის პროცესში ვახტანგ ბააკაშვილი გალაკტიონს შეხვედრია ტრამვაიში და უკითხავს: თქვენს წიგნებში 27 წლის კრებული ხომ ყველას ჯობსო? — როგორ, უპასუხია გალაკტიონს, 19 წლის კრებული არ მოგწონს, ძამიკო,

არც 37 წლის?

პოეტის სიკვდილის შემდეგ, როცა შესაძლებელი გახდა მის მდიდარ არქივზე მუშაობა, გალაკტიონის მემკვიდრეობის გამოცემის ახლებური გეგმა დაისახა, ახალი სარედაქციო კოლეგია დაამტკიცეს და ტომების შედგენა ტექსტოლოგიის განყოფილებას დაეკისრა.

აკაკი ხინთიბიძე

ბუარო. გაგაიკაძისთვის
ჯეორგიული მემკვიდრეობა.
 1) ითვალისწინება } შემოქმედების
 2) სეკონდი } ნაწილი



დოკუმენტირებული აბსურდი

„გალაკტიონოლოგიის“ პირველ წიგნში დაიბეჭდა ნუგზარ გოგიაშვილის მოგონება, რომელიც გალაკტიონის დასაფლავების ერთ უცნაურ დეტალს ეხება. იგი ეყრდნობა ცნობილი საბავშვო პოეტის — კუკური გოგიაშვილის ნაამბობს, რომელიც უშუალო მონაწილე იყო დაკრძალვის ცერემონიისა.

მწერალთა სასახლიდან გალაკტიონის გამოსვენებამდე ცოტა ხნით ადრე შეამჩნიეს, რომ მას ძველი, ლანჩაგახერტილი ფეხსაცმელი ეცვა. კუკური გოგიაშვილმა აიღო შავი ხავერდის ნაჭერი და ფეხებზე შემოახვია.

დაუჯერებელი ამბავი მაშინ დაიწყო, როდესაც დიდი პოეტი მთაწმინდის მიწას მიაბარეს აღმოჩნდა, რომ ხავერდის ნაჭერი, რომელიც მიცვალებულს საფლავში ჩაატანეს, ოპერის თეატრიდან ნათხოვარი ფარდა იყო. ოპერის ხელმძღვანელობა დაჟინებით მოითხოვდა პრადამი ვალუტაზე ნაყიდი ფა-

გამოძახილი, ჩივილი

რდის დაბრუნებას. საქმეში „კვბ“ ჩაერია და ლამის საფლავის გათხრა დააპირეს. სამარე ხელყოფას მხოლოდ მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარის — ირაკლი აბაშიძის თავგამოდებით გადაურჩა, რომელმაც საქმეში რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფალი ჩართო.

ამბავი, რომელიც ნუგზარ გოგიაშვილმა მოგვითხრო, იმდენად წარმოდგენელი, არაადამიანური და აბსურდულია, რომ, შესაძლოა, ეჭვიც შეგეპაროს მის რეალურობაში, მაგრამ ვაი, რომ ეს საბჭოური წარსულის უტყუარი ფაქტია. გალაკტიონ ტაბიძის პირად საქმეში ჩაკერებულა ორი დოკუმენტი, ფარდის „ეპოპეას“ რომ ეხება. გთავაზობთ მათ ფოტოკოპირებს:

სა. სა. კახეთის სსრ-ის
 ს. კახეთის სს. მხარის მხარის და კლდეის რაიონის მხარის
 საქმის № 1111
 Министерство Культуры Груз. ССР
 Тбилисский, ордена Ленина Государственный театр оперы и балета
 имени З. Палиашвили

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს აბბ. ა. აბაშიძეს

ბ. დარიაშვილის საბ. ოპერის ოპერისა და ბარეჯის სახეიმი. ოპერის დირექტორი ვაყენებთ, რომ აქრის 16 მაისს, თანხმად მწერალთა კავშირის სომართვისა ჩვენს სიერ აქნა აქვენი მოუქმედი აბრეშის ცილდამინის მოქანგური ფარდა, რომელიც ენდა დაგებრუნებინათ 10 მაისს, მაგრამ სიუბედავად ჩუნი არა ერთი მომართვისა აბბ. ქაუვანაძისადმი, ფარდა არ აქნა დაბრუნებულა, რომელიც აუცილებლად გვესაქირება 3 აპრილს გამსურელ ბარეჯ "მშვიდობისათვის".

ჩუნი უკანასკნელ მომართვისა 31/1111 აბბ. ქაუვანაძემ გაუიყბადა, რომ არნიმნელი ფარდა ჩაუყობიათ საფლავში, რაც ყოველად შეუძლებელია, ვინაიდან ეს არ ეფინა მიყვარებულს შიგნით, არამედ ეფინა კუბის ბემოდან, ამიტომ დასაშვებია ფარდას აღმოჩენა.

ბემოლნიმნელის გამა გთხოვთ მიიღოთ კონკრეტული მომები რათა ფარდა აქნას დაბრუნებული არა უგვიანეს 3 აპრილსა.

ბ. დარიაშვილის საბ. ოპერისა და ბარეჯის საბ. თეატრის დირექტორის მოადგილე- *ს. ჯ. მ. ქაუვანაძე*

4 აპრილი 1922 წ.

გ. ბ.

მ. ჯანაშიას ქორის სეპარაციონის მიზანად და
გაფრთხილების მიზნით კიბეების სახეობის ი. ჯანაშიას
ბრძანებების შესახებ - ანა. ბ. გუგუშვილი

ბრძანებთ ა. ბ. ჯანაშიას მიზანად და გუგუშვილს, რომ ჯანაშიას მიზანად
ბრძანებების მიზანად და გუგუშვილს იმის შესახებ დაგეგმილი კანონის
მიხედვით საკანონი.

სამსახურში მუშაობა კანონის ამგვარი ვერაუბ მიხედვით მათ მიმართ
ბე ანა, რომ ეს უნდა განხილეთ.

თქვენთვის ამ დეტალის დამატებითი აღწერა.

განმარტ - აქტი 1 1.

სამსახურის სამსახურის მუშაობის
კანონის საშუალო მუშაობის

ი. ბ. გუგუშვილი

ასე აფასებდნენ გენიალურ ადამიანებს დიად საბჭოეთში, სადაც ვალუტაზე
ნაყიდი ფარდის დასაბრუნებლად წმიდათაწმიდის ხელყოფაც კი
დასაშვებად მიაჩნდათ. საბედნიეროდ, დღეს სწორედ შავი ფარდის ქვეშ
განისვენებს ის აბსურდული სახელმწიფო.

კახი იოსებძე



შინაარსი

ნინათქმა 3

ასქივიდან

გალაკტიონ ტაბიძე. ლექსები 10

გალაკტიონ ტაბიძე. დღიურები 15

ცხოვება, საგონო ქიქტი

უმზარ კვიციანი. დედაშვილობის მადლი 29

ჭიხაძეებზე მალაღობა...

თეიმურაზ დოიაშვილი. „არტიტული ყვავილების“ პროლოგი 41

გუჩა კვარაცხელია. იდუმალეზა, სიცრუე-თამაში თუ უფრო ღრმა
ჭეშმარიტება 62

ინტერპრეტაცია

ზურაბ კიკნაძე. წმიდა გიორგი და ძველი წისქვილი 83

ირაკლი კენჭოშვილი. „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ 96

თენგიზ მირზაშვილი. გოტიეს ნათელი 102

ჩაჯი

გურამ ბენაშვილი. არაბესკები გალაკტიონის თემაზე 111

შალვა ფორჩხიძე. ასეთი მახსოვს 121

ესმა ონიანი. გალაკტიონი 129

ჯარჯი ფხოველი. დაჭრილი ლომი 131

გივი აღმაშვილი. ორი კონტური 135

გალაქტიონის შედეგ

ტარიელ ჭანტურია. ალქიმეოსის, ოქროს მაძიებელიც	141
ოთარ ჭილაძე. ღმერთის სიკვდილი	144
ვანტანგ ჯაფახაძე. გალაქტიონის გზით	146

კრიტიკული დისკუსია

სანდრო ბარამიძე. ყოფიერება და დრო გალაქტიონის პოეზიაში	148
გაგა ლომიძე. მელანქოლიური დისკურსი და უხილავი სუბიექტი	162

კონტრქსტი

ინესა მერაბიშვილი. ბაირონიდან გალაქტიონამდე ანუ ვინ იყო გალაქტიონის მერი	169
ზაზა შათირიშვილი. გალაქტიონის „მშობლიური“ და „უცხო“ ინტერტექსტები	184
ლევან ბრეგაძე. პოსტსკრიპტუმი წერილისათვის „გალაქტიონის პოსტმოდერნი“	199

გალაქტიონოლოგიის ისტორიიდან

კონსტანტინე კაპანელი. ქართული თანამედროვე ლიტერატურის მაგისტრალი	201
--	-----

მუსიკა, გრაფიკა და სივრცე

ზიძინა კვერნაძე. „ქარი დაცხრა სიბობოქრის“	208
გია ყანჩელი. „სამი ჩანახატი გალაქტიონის მიხედვით“	209

Receptio

პინც ფენრიხი. გალაქტიონ ტაბიძე	210
გასტონ ბუაჩიძე. ხვედრი პოეტად ყოფნისა	213

ტელეკომი — ჰელსინაჟი

ოთარ ჩხეიძე. ცვრიან ბალახზე.....	219
ნუგზარ შატაიძე. ცხელი ღვეჯელის სუნი.....	224
მიხეილ ჩაჩუა. ჩემი გალაკტიონი	228

მშენიარის ძვიტი ენა

ზურაბ სარჯველაძე. გალაკტიონის ერთი ლექსის ზოგი ადგილის გაგებისათვის	242
--	-----

ქიქსმოლოგია

ჯული გამოძე. „სახსოვართა ოქროს ფონდი“	247
ნანა კობალაძე. წერილები იოსებ გრიშაშვილს	259

ახლობაღები და მეტაბაღები

კორნელი სანაძე. დღიურის ფურცლები	266
მიხეილ ვადბოლსკი. შეხვედრები გალაკტიონ ტაბიძესთან	277
ჯენეტო ჭანტურაია. „რაც დავიწყებით არ იბინდება“	293

მოგონებათა გოგის...

მუსხრან მაჭავარიანი. ერთი შეხვედრა	312
გიორგი გიგაური. იმ დღეთა ექო	314
აკაკი ხინთიბიძე. როგორი მახსოვს იგი	318
იზა ორჯონიკიძე. „ჩამავალ მზეს, ჩამავალს...“	323
ნინო ულენტი. მოგონებები დიდ პოეტზე	329
ჩაკობ ბობოხიძე. მისი პოეზიით მთვრალეები	333
შანანა ახმეტელი. ვით სამრეკლო	336
თენგიზ მდივანი. ეპიზოდი გალაკტიონის ცხოვრებიდან	339
ლამარა კიკილაშვილი. „ამ ქარში... ამ სიცივეში...“	342
გოგი ანთელავა. „Хороший был человек...“	347
ცისანა გენძეხაძე. აკადემიის ბიბლიოთეკის სტუმარი	352
ოთარ ფარულავა. მიამიტი გენია	354

ღღუწი ბაყნაც...

იოსებ გრიშაშვილი. ანდრია ბალანჩივაძე.
ჯუმბერ ჭუმბურიძე. მედეა ჩახავა. მარინა ყუბანეიშვილი.
ნუგზარ ცინცაძე. ნოდარ ანთელიძე. გურამ ნიკოლაძე.
ლია მიქაძე. ნანა ჭიჭინაძე. გივი ლომიძე.
დავით კიკნაველიძე. დიმიტრი ახვლედიანი.
გიორგი ცოცანიძე. გიგო ბუაჩიძე.
თორნიკე კოპალეიშვილი. ჯონდო გვასალია.
დევი კახოიძე. მერი გუგუშვილი. დიმიტრი ერისთავი.
დიმა ბათიაშვილი. ინგა კალაძე. თენგიზ ვაჩნაძე. 356

გამოდინდი, ჩუჭუცია

აკაკი ხინთიბიძე. აკადემიური გამოცემის გამო 376
კახი იოსებიძე. დოკუმენტირებული აბსურდი 377

